**გამოვლებებისა და რაციონალიზატორული წინადაღებების რაოდენობა** – 17 რაციონალიზატორული წინადაღება;

**სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ.** – “შრომის წითელი დროშის” ორი ორდენი (1973 წ.), (1975 წ.).

**ბინის მისამართი, ტელეფონი** – ქ. თბილისი, ატენის ქ. 16, ტ. 2 23 37 53 (ბინა), 593 67 64 16.

### 32. ჯაფარიძე გიგი გალაქტიონის ძე

დაბადების თარიღი – 06.01.1944;

**სპეციალობა დიპლომის მიხედვით** – სატყეო მეურნეობის ინჟინერი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი; სამართალმცოდნე, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი;

**დაკავებული თანამდებობა** – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოს-მდივანი;

**სამეცნიერო ნარისხი** – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი;

**სამეცნიერო წოდება** – პროფესორი, აკადემიკოსი 18.02.2000;

**მეცნიერული შრომების რაოდენობა** – 87, მათ შორის 1 სახელმძღვანელო, 1 პროექტი;

**გამოვლებებისა და რაციონალიზატორული წინადაღებების რაოდენობა** –

**სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ.** – სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ოქროსა და ვერცხლის მედლები (1974 წ.); “შრომითი წარჩინებისათვის” მედალი (1976 წ.); “საპატიო ნიშნის” ორდენი (1982 წ.); “ღირსების” ორდენი (1999 წ.).

**ბინის მისამართი, ტელეფონი** – ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქუჩა №64, ბ. 17.

ტ. 2 22 20 47, 2 91 71 65 (ბინა), 2 91 01 14 (სამსახ.), 599 54 99 99.

## წევრ-კორესპონდენტები

**1. ბედია ომარი აქეცენტის ძე  
დაბადების თარიღი – 27.06.1943;**

**სპეციალობა დიპლომის მიხედვით – ინჟინერ-მექანიკოსი, საქართველოს  
სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;**

**დაკავებული თანამდებობა – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა  
აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი;**

**სამეცნიერო ხარისხი – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი;**

**სამეცნიერო წოდება – აკადემიის წევრ-კორესპონდენტი 16.07.2004;**

**მეცნიერული შრომების რაოდენობა – 133, მათ შორის 2 მონოგრაფია,**

**3 სახელმძღვანელო;**

**გამოვლენებისა და რაციონალიზაცორული წინადადებების რაოდენობა –  
2 გამოგონება;**

**სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ. –**

**საქართველოს სამეცნიერო მინისტრის სამკერდე ნიშანი (1972 წ.); სსრ კავშირის  
სახალხო მეურნეობის მილწევათა გამოფენის ვერცხლის მედალი (1977 წ.);  
“ღირსების” ორდენი (1999 წ.).**

**ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. თბილისი, უჩანეიშვილის 2 ჩიხი, №3.  
ტ. 2 29 13 59 (ბინა), 2 91 00 87 (სამსახ), 593 71 08 35.**

**2. გაბუნია ნოდარ ალექსანდრეს ძე  
დაბადების თარიღი – 23.04.1936;**

**სპეციალობა დიპლომის მიხედვით – ინჟინერ-მექანიკოსი, საქართველოს  
სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;**

**დაკავებული თანამდებობა –**

**სამეცნიერო ხარისხი – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი;**

**სამეცნიერო წოდება – პროფესორი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი 15.04.1994;**

**მეცნიერული შრომების რაოდენობა – 234, მათ შორის 1 წიგნი;**

**გამოვლენებისა და რაციონალიზაცორული წინადადებების რაოდენობა –  
77 გამოგონება;**

**სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ. – სას.სამ. ტექნიკის  
საერთაშორისო გამოფენების ორი თქროს და სამი ვერცხლის მედალი (1970–1980  
წწ.); “სსრკ გამოგონებელი” წოდება (1987 წ.); “შრომის ვეტერანი” მედალი (1988 წ.);  
“ღირსების” ორდენი (1999 წ.).**

**ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. თბილისი, ნუცუბიძის 1 მ/რ, კორპუსი 17, ბ.27. ტ.  
2 32 77 42 (ბინა), 599 33 31 93.**

**3. თურმანიძე თამაზ ივანეს ძე  
დაბადების თარიღი – 04.09.1932;**

**სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სწავლული აგრონომი, საქართველოს  
სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;**

**დაკავებული თანამდებობა –**

**სამეცნიერო ხარისხი – გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი;**

**სამეცნიერო წოდება – აკადემიის წევრ-კორესპონდენტი 15.07.1992;**

**მეცნიერული შრომების რაოდენობა – 200, მათ შორის 2 მონოგრაფია;**

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადაღებების რაოდენობა –  
1 გამოგონება;  
სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ. - “დირსების” ორდენი  
(2000 წ.).  
ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ.თბილისი, საბურთალოს ქ. №35, ბ.36,  
გ. 2 38 61 32 (ბინა), 591 17 04 96.

**4. კილასონია გურამ კონსტანტინეს ძე**  
დაბადების თარიღი – 22.09.1936;  
სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სწავლული აგრონომი, საქართველოს  
სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი;  
**დაკავებული თანამდებობა –**  
სამეცნიერო ხარისხი – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;  
სამეცნიერო წოდება – პროფესორი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი 16.07.2004;  
მეცნიერული შრომების რაოდენობა – 168, მათ შორის 4 მონოგრაფია,  
5 სახელმძღვანელო;  
გამოგონებებისა და რაც. წინადაღებების რაოდენობა –  
სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ. - “დირსების” ორდენი  
(2001 წ.).  
ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. ქუთაისი, ნიკას 2/37, გ. 2 22 78 90,  
577 43 24 67;

**5. კოლუაშვილი პაატა პეტრეს ძე**  
დაბადების თარიღი – 05.09.1956;  
სპეციალობა დიპლომის მიხედვით – ეკონომისტ-ორგანიზატორი, საქართველოს  
სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;  
**დაკავებული თანამდებობა –** თბილისის ი. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის  
ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის  
პროფესორი;  
სამეცნიერო ხარისხი – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი;  
სამეცნიერო წოდება – პროფესორი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი 16.07.2004;  
მეცნიერული შრომების რაოდენობა – 175, მათ შორის 7 მონოგრაფია,  
3 სახელმძღვანელო;  
გამოგონებებისა და რაც. წინადაღებების რაოდენობა –  
სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ. – აკაკი წერეთლის  
პრემია (1995 წ.).  
ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. თბილისი. ზაქარიაძის ქ. №8. ბ. 35.  
გ. 2 39 97 75 (ბინა), 597 33 34 75.

**6. ლიპარტელიანი ოთარ ანტონის ძე**  
დაბადების თარიღი – 03.12.1932;  
სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სწავლული აგრონომი, საქართველოს  
სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;  
**დაკავებული თანამდებობა –** სსმმ აკადემიის სამეცნიერო საბჭოს წევრი;  
სამეცნიერო ხარისხი – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;  
სამეცნიერო წოდება – პროფესორი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი 15.04.1994;

**მეცნიერული შრომების რაოდენობა – 162, მათ შორის 4 მონოგრაფია;  
გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადაღებების რაოდენობა –  
18 გამოგონება;**

**სახელმწიფო კილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ. – საქ. მეცნ. და  
ტექსახ. კომიტეტ-პირველი ხარისხის დიპლომი და ფულადი პრემია (1983 წ.);  
საქ.სახელმწინო მეცნიერებაში (1986 წ.); “დირსების” ორდენი (1999 წ.). საპატიო  
სიგელი (2002 წ.); სსმმ აკადემიის 2013 წლის აგრარულ სფეროში საუკეთესო  
მეცნიერის წოდება – აგრონომიულ დარგში.**

**ბინის მისამართი, ტელეფონი – მცხეთა, წილკნის საკრებულო სოფ. სელექცია,  
599 10 51.**

**7. ნიკოლეიშვილი გიორგი ვასილის ძე  
დაბადების თარიღი – 30.12.1930;**

**სპეციალობა დიპლომის მიხედვით – აგრონომ-ეკონომისტი, საქართველოს  
სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;**

**დაკავებული თანამდებობა –**

**სამეცნიერო ხარისხი – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი;**

**სამეცნიერო წოდება – პროფესორი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი 07.09.1995;  
მეცნიერული შრომების რაოდენობა – 155;**

**გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადაღებების რაოდენობა –  
5 გამოგონება, 2 ჯიშის ავტორი;**

**სახელმწიფო კილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ. - “დირსების” ორდენი  
(1999 წ.); ორი მედალი.**

**ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. თბილისი, რ. ერისთავის ქუჩა №3. ბ.6,  
599 56 58 84;**

**8. სარიშვილი დავით ეფრემის ძე  
დაბადების თარიღი – 24.01.1927;**

**სპეციალობა დიპლომის მიხედვით – ინჟინერ-მექანიკოსი, საქართველოს  
სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;**

**დაკავებული თანამდებობა –**

**სამეცნიერო ხარისხი – ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი;**

**სამეცნიერო წოდება – აკადემიის წევრ-კორესპონდენტი 27.02.1997;**

**მეცნიერული შრომების რაოდენობა – 21;**

**გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადაღებების რაოდენობა –**

**სახელმწიფო კილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ. – სსრკ მიღწევათა  
გამოყენის ვერცხლის მედალი (1961 წ.); “შრომითი მამაცობისათვის” მედალი (1966  
წ.); ვ.ო. ლენინის დაბადების 100 წლის აღსანიშნავი საიუბილეო მედალი (1970 წ.);  
“შრომის წითელი დროშის” ორდენი (1971 წ.); “ოქტომბრის რევოლუციის” ორდენი  
(1976 წ.); საქ. სსრ პრემიის ლაურეატის წოდება (1981 წ.); საქ. სსრ დამსახურებული  
მექანიზატორის საპატიო წოდება (1981 წ.).**

**ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. თბილისი, საბურთალოს 30 ა.,  
ტ. 2 38 20 31 (ბინა), 599 15 85 26.**

**9. ურუშაძე თენგიზ თედორეს ძე  
დაბადების თარიღი – 14.01.1940;**  
**სპეციალობა დიპლომის მიხედვით – აგრონომი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო  
ინსტიტუტი;**

**დაკავებული თანამდებობა – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის  
სრული პროფესორი; საუ-ს ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი;  
სამეცნიერო სარისხი – ბიოლოგის მეცნიერებათა დოქტორი;  
სამეცნიერო წოდება – პროფესორი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი 10.01.1991;  
მეცნიერული შრომების რაოდენობა – 396 მათ შორის 40 მონოგრაფია, 2  
სახელმძღვანელო.**

**გამოგონებებისა და რაც. წინადადებების რაოდენობა –  
სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ. – ვ. ვილიამსის სახ.  
პრემია (1991 წ.); საქ. აგრარული უნივერსიტეტის “უმაღლესი ჯილდო” 2013 წ.  
ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. თბილისი, მ. ალექსიძის № 1, ბინა 23,  
ტ. 2 10 20 05 (ბინა), 599 58 25 41.**

**10. დორჯომელაძე თთარ ლავრენტის ძე  
დაბადების თარიღი – 15.05.1955;**  
**სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სწავლული აგრონომი, საქართველოს  
სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი;**  
**დაკავებული თანამდებობა – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის  
თავმჯდომარის მრჩეველი;**  
**სამეცნიერო სარისხი – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;  
სამეცნიერო წოდება – აკადემიის წევრ-კორესპონდენტი 14.03.2003;  
მეცნიერული შრომების რაოდენობა – 148, მათ შორის 1 მონოგრაფია.  
გამოგონებებისა და რაციონალიზაციული წინადადებების რაოდენობა –  
5 რეკომენდაცია;  
სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ. -  
ბინის მისამართი, ტელეფონი – ხელვაჩაურის რ-ნი, სოფ. ახალშენი (ქვედა სამება),  
593 99 15 22.**

**11. შაფაქიძე ელგუჯა დავითის ძე  
დაბადების თარიღი – 20.05.1942;**  
**სპეციალობა დიპლომის მიხედვით – ინჟინერ-მექანიკოსი, საქართველოს სასოფლო-  
სამეურნეო ინსტიტუტი;**  
**დაკავებული თანამდებობა – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი;**  
**სამეცნიერო სარისხი – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი;**  
**სამეცნიერო წოდება – პროფესორი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი 07.09.1995;  
მეცნიერული შრომების რაოდენობა – 170, მათ შორის 3 მონოგრაფია, 6  
სახელმძღვანელო;**  
**გამოგონებებისა და რაციონალიზაციული წინადადებების რაოდენობა –  
15 გამოგონება, 6 რაციონალიზაციული წინადადება;**  
**სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ. – მედალი “შრომის  
ვეტერანი” (1988 წ.), “დირსექტორი” ორდენი (1999 წ.); “წლის ინჟინერის” საპატიო  
წოდება (2007 წ.).**  
**ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. თბილისი, პეტრიაშვილის ქუჩა №13. ბინა 4,**

**12. ჯაბნიძე რევაზ ხასანის ძე  
დაბადების თარიღი – 18.01.1954;**

**სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სუბტროპიკული მეურნეობის სწავლული  
აგრონომი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი;**

**დაკავებული თანამდებობა – ბათუმის შ. რუსთაველის უნივერსიტეტის სრული  
პროფესორი;**

**სამეცნიერო ხარისხი – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;**

**სამეცნიერო წოდება – პროფესორი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი 07.09.1995;**

**მეცნიერული შრომების რაოდენობა – 115, მათ შორის 7 წიგნი,**

**4 სახელმძღვანელო;**

**გამოგონებებისა და რაც. წინადაღებების რაოდენობა –**

**სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ. – – “ლირსების” ორდენი  
(1999 წ.); აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელი  
(2000 წ.); იაკობ გოგებაშვილის სახ. უმაღლესი საბჭოს სიგელი; ხელვაჩაურის  
რაიონის საპატიო მოქალაქის წოდება; ბათუმის შ. რუსთაველის უნივერსიტეტის  
საუკეთესო პროფესორის წოდება.**

**ბინის მისამართი, ტელეფონი – ქ. ბათუმი, მწვანე კონცხი, ტ. 5 46 20 (ბინა),  
555 64 58.**

### **თავი 3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მაცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭო**

#### **3.1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს შემადგენლობა**

- 1. გურამ ალექსიძე – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა  
აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი;**
- 2. გივი ჯაფარიძე – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა  
აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოს-მდივანი,  
აკადემიკოსი;**
- 3. ნუგზარ ბალათურია – ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის  
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი;**
- 4. ომარ ბედია – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის  
პრეზიდენტის მოადგილე, ადმინისტრაციული დეპარტამენტის  
უფროსი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;**
- 5. თამაზ კუნჭულია – საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მთავარი  
მრჩეველი, აკადემიკოსი;**
- 6. გოგოლა მარგველაშვილი – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა**

აკადემიის აგრონომიული საკორდინაციო-დარგობრივი  
სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი,  
აკადემიკოსი;

7. **რევაზ მახარობლიძე** – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა  
აკადემიის საინჟინრო საკორდინაციო-სამეცნიერო  
დარგობრივი განყოფილების აკადემიკოს-მდივანი,  
აკადემიკოსი;
8. **პეტრე ნასყიდაშვილი** – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა  
აკადემიის მთვარი ექსპერტი, აკადემიკოსი;
9. **ნაპოლეონ ქარქაშაძე** – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა  
აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე,  
აკადემიკოსი;
10. **გურამ პაპუნიძე** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის და  
აგრარული მემბრანული ტექნოლოგიის სამეცნიერო- კვლევითი  
ინსიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, აკადემიკოსი;
11. **ელგუჯა შაფაქიძე** — საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიის  
წევრ-კორექსპონდენტი;
12. **რევაზ ჩაგელიშვილი** – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი;
13. **ნოდარ ჩხარტიშვილი** – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი;
14. **გალერიან ცანავა** – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის და  
სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტის ლაბორატორიის  
გამგე, აკადემიკოსი.;
15. **ზურაბ ცქიტიშვილი** – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა  
აკადემიის მეცხოველეობის, გეტერინარიის, საკვებწარმოებისა  
და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების  
საკორდინაციო-სამეცნიერო დარგობრივი განყოფილების  
აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი;
16. **ომარ ქეშელაშვილი** – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა  
აკადემიის ეკონომიკის საკორდინაციო-სამეცნიერო  
დარგობრივი განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი.

**3.2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2013 წლის  
პერსპექტიული სამუშაო გეგმა**

**3.2.1. სსმმ აკადემიის საერთო კრებაზე განსახილველი საკითხები**

Nº	განსახილველი საკითხები	განხილვის დრო	მომხსენებელი	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის არჩევნები; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წესდებაში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ;	თებერვალი	საქ. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის არჩევნების საკონკურსო კომისია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიის მდივანი, აკადემიის გივი ჯაფარიძე	
2	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 2012 წელს ჩატარებული მუშაობის ძირითადი მიმართულებების შესახებ;  საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ, აკადემიის აკადემიური საბჭოს დადგენილების დამტკიცება;  საქ. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის საკორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილების აკადემიის-მდივნის არჩევის შესახებ, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის საკორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილების დადგენილების დამტკიცება;  საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიის არჩევნები) არჩევნები;	აპრილი	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი   საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიის მდივანი, აკადემიის გივი ჯაფარიძე	
3	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 2013 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ;	დეკემბერი	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიის მდივანი	

**3.2.2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის  
აკადემიური საბჭოს 2013 წლის სამუშაო გეგმა**

Nº	აკადემიურ საბჭოზე განსახილველი საკითხები	განხილ- ვის დრო	საკოორდინაციო- დარგობრივი სამეცნიერო განყოფილება, მომხსენებელი (მომხსენებლები)	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	საქართველოს ნიადაგების არსებული მდგომარეობა და მათი ნაყოფიერების აღდგენა- გაუმჯობესების გზები;	იანვარი	აგრონომიული საკოორდინაციო- დარგობრივი სამეცნიერო განყოფილება; აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი	
2	საქართველოში მებოსტნეობის არსებული მდგომარეობა და პრობლემების გადაჭრის გზები;	იანვარი	აგრონომიული საკოორდინაციო- დარგობრივი სამეცნიერო განყოფილება; აკადემიური დოქტორი ნატო კაკაბაძე	
3	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრების ვაკანტურ აღგილებზე ასარ- ჩევად, აკადემიის საერთო კრე- ბისა და საარჩევნო კომპანიის მაღალორგანიზებულად მომზადებისა და ჩატარების მიზნით საექსპერტო-საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ;	მარტი	აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე	
4	საქართველოს სოფლის მეურნე- ობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოსთან არსებუ- ლი ეროვნული კოორდინატორე- ბის დებულებისა და შემადგენ- ლობის დამტკიცების შესახებ;	მარტი	აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე	
5	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) ვაკანტურ აღგილებზე აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) ასარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ;	მარტი	საექსპერტო-საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე აკადემიკოსი პეტრე ნასყიდაშვილი	
6	აკადემიის სამეცნიერო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ;		საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე	

7	აკადემიის აკადემიური და ადმინისტრაციული დეპარტამენტების დებულებების დამტკიცების შესახებ;	მარტი	აკადემიის აკადემიური და ადმინისტრაციული დეპარტამენტების უფროსები, აკადემიის წევრ-კორესპონდენტები ელგუჯა შაფაქიძე და ომარ ბედია	
8	აკადემიის 2012 წლის წლიური ანგარიშის მომზადების მიმდინარეობის შესახებ;	მარტი	აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე	
9	აკადემიის აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ;	მარტი	აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე	
10	მეხილეობის დარგში არსებული მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში;	მარტი	აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გივი ბადრიშვილი	
11	პიბრიდული სიმინდი - მაღალი მოსავლიანობისა და ხარისხის საწინდარი;	მარტი	აგრონომიული საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილება; აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ო. ლიპარტელიანი	
12	მებოცვრეობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში;	აპრილი	მეცნოველეობის, ვეტერინარიის, საკებეჭვარმოებისა და მეცნოველეობის პროდუქტების გადამუშავების საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილება; აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ჯ. გუგუშვილი	
13	შუალედური კულტურები და მათი როლი სახნავი მიწის ინტენსიურად გამოყენების საქმეში;	აპრილი	აგრონომიული საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილება; აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გ. ცაგურიშვილი	
14	მეაბრეშუმეობაში სამანქანო ტექნოლოგიების და ტექნიკური საშუალებების დანერგვის პერსპექტივები;	აპრილი	საინჟინრო საკოორდინაციო-დარგობრივი განყოფილება; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ე. შაფაქიძე	

15	ნავენახარი ნიადაგების ნაყოფიერების აღდგენის ლონისძიებების შესახებ;	მაისი	აგრონომიული საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილება; აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ჯ. ონიანი	
16	სასოფლო სამეურნეო მანქანების სერვისის არსებული მდგრადმარეობა და მისი გაუმჯობესების პერსპექტივები საქართველოში;	მაისი	საინჟინრო საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილება; აკადემიკოსი ჯ. კაციტაძე	
17	აგრარული სექტორის ტექნოლოგიურ-რესურსული პოტენციალის ზრდის სტრატეგიული სისტემის შესახებ;	ივნისი	ეკონომიკის საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილება; აკადემიკოსი ო.ქეშელაშვილი	
18	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიული საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილების მიერ დამუშავებული პროგრამა “მარცვლის” შესახებ;	ივნისი	აგრონომიული საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილება; აკადემიკოსი პ. ნასყიდაშვილი.	
19	აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ნაყოფიერების ამაღლების ლონისძიებების შესახებ;	ივლისი	აგრონომიული საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილება; აკადემიის წევრ-კორესპონდენტი რ.ჯაბინიძე	
20	აგროსამრეწველო კომპლექსის საინჟინრო სფეროს განვითარების პერსპექტივები;	ივლისი	საინჟინრო საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილება; აკადემიკოსი რ. მახარობლიძე	
21	საქართველოში ინტროდუცირებული ხეხილის ახალი ჯიშები და მათი გეოგრაფიული გავრცელება;	აგვისტო	აგრონომიული საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილება; აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პ. კვალიაშვილი; აკად. დოქტორი ზ. ბობოქაშვილი	
22	ნიადაგის ეროზიისაგან დაცვა და ეროზირებული ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლების ლონისძიებები შიდამთიან აჭარაში;	სექტემბერი	აგრონომიული საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილება; აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ო.დორჯომელაძე.	
23	ასოციაცია “კავკასიის გენეტიკის” საქმიანობის	სექტემბერი	მეცნიერებების, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა	

	შესახებ;		და მეცხოველეობის პროდუქტების გადამამუშავებელ საწარმოებში შიდა კონტროლის, პრევენციული სისტემებისა და მიკვლევადობის გამოყენების პრობლემები;	და მეცხოველეობის პროდუქტების გადამამუშავებელ საწარმოებში შიდა კონტროლის, პრევენციული სისტემებისა და მიკვლევადობის გამოყენების პრობლემები;
24	მეცხოველეობის პროდუქტების გადამამუშავებელ საწარმოებში შიდა კონტროლის, პრევენციული სისტემებისა და მიკვლევადობის გამოყენების პრობლემები;	ოქტომბერი	მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამამუშავების საკონტროლო სამეცნიერო განყოფილება; აკადემიკოსი ზ. ცქიტიშვილი	
25	შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდი – განვლილი გზა და ახალი გამოწვევები;	ოქტომბერი	ეკონომიკის საკონტროლო სამეცნიერო განყოფილება; აკადემიკოსი რ. ასათიანი	
26	საინვესტიციო პროგრამის: “ხონის რაიონში მებრეშუმეობის დარგის რეაბილიტაციის, განადგურებული საკვები ბაზის ეტაპობრივი აღდგენის, პარკის წარმოების და კულტურული რეწვის მივიწყებული ტრადიციების აღორძინების” შესახებ;	ნოემბერი	ეკონომიკის საკონტროლო სამეცნიერო განყოფილება; აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გ.ნიკოლეიშვილი აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თ. კუნჭულია აკადემიკოსი გ. ჯაფარიძე	
27	ინოვაციური ტექნოლოგიები კვების და გადამამუშავებელ მრეწველობაში;	დეკემბერი	საინჟინრო საკონტროლინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილება; აკადემიკოსი ნ. ბალათურია	

### 3.2.3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის

2013 წელს ჩასატარებელი ღონისძიებების გეგმა

№	ღონისძიების დასახელება	განხილვის ფორმა	ჩატარების თარიღი	პასუხისმგებელი ჩატარებაზე	შენიშვნები
1	„საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ინოვაცი-	პრეზენტაც.	მარტი	საინჟინრო საკონტროლინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილება	

	ური განვი-თარების კონცეფციის “განხილვა				
2	საქართველოს მეცხოველეობის სექტორის განვითარების გეგმა, ქვეყნის ფარგლებში მიმდინარე და ახალი პროექტები, სამომავლო გეგმები, ახალი შეთავაზებები;	პრეზენტაც.	მარტი	მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების საკოორდინაციო– დარგობრივი სამეცნიერო განყოფილება	
3	აგროსამრწველო კომპლექსის აგროსა- ინჟინრო სფეროს მდგომარეობა და მისი განვითარების სტრატეგიის შესახებ;	მრგვალი მაგიდა	მარტი	საინჟინრო საკოორდინაციო– დარგობრივი სამეცნიერო განყოფილება	
4	თანამედროვე რესურსდამზოგი ტექნოლოგიები საქართველოში;	მრგვალი მაგიდა	მარტი	საინჟინრო საკოორდინაციო– დარგობრივი სამეცნიერო განყოფილება	
5	მებოსტნეობის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები;	სემინარი	აპრილი	აგრონომიული საკოორდინაციო– დარგობრივი სამეცნიერო განყოფილება	
6	მეხილეობის განვითარების პრობლემები საქართველოში;	მრგვალი მაგიდა	აპრილი	აგრონომიული საკოორდინაციო– დარგობრივი სამეცნიერო განყოფილება	
7	აგრარული სექტორის თანამედროვე მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები;	სემინარი	აპრილი	ეკონომიკის საკოორდინაციო– დარგობრივი სამეცნიერო განყოფილება	
8	ქართული ფუტკარი – სელექცია, დაავადებები, საკვები ბაზა;	მრგვალი მაგიდა	მაისი	მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების საკოორდინაციო– დარგობრივი სამეცნიერო განყოფილება	
9	საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარების პრობლემები;	სემინარი	მაისი	ეკონომიკის საკოორდინაციო– დარგობრივი სამეცნიერო განყოფილება	
10	საქართველოს მთიანი ტყეების თანამედროვე მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების გზები;	მრგვალი მაგიდა	ივნისი	აგრონომიული საკოორდინაციო– დარგობრივი სამეცნიერო განყოფილება; ეკონომიკის საკოორდინაციო–	

				დარგობრივი სამეცნიერო განყოფილება	
11	მემცნარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების გა- დამამუშავებელი მრეწველობის პრო- ბლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში;	მრგვალი მაგიდა	ივნისი	საინჟინრო საკოორდინაციო– დარგობრივი სამეცნიერო განყოფილება	
12	მცნარეთა დაცვის დარგში არსებული პრობლემები და მა-თი გადაჭრის გზები საქართველოში;	მრგვალი მაგიდა	ივლისი	აგრონომიული საკოორდინაციო– დარგობრივი სამეცნიერო განყოფილება	
13	სუბტროპიკული კულტურების დარ-გის განვითარების პრობლემები საქართველოში;	სემინარი	ივლისი	აგრონომიული საკოორდინაციო– დარგობრივი სამეცნიერო განყოფილება	
14	მევენახეობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში;	გასვლითი სემინარი	სექტემბერი	აგრონომიული საკოორდინაციო– დარგობრივი სამეცნიერო განყოფილება	
15	ნიადაგების დაცვისა და მათი ნაყოფიერე- ბის აღდგენა– გაუმჯობესების გზები;	მრგვალი მაგიდა	სექტემბერი	აგრონომიული საკოორდინაციო– დარგობრივი სამეცნიერო განყოფილება	
16	აგროეკოლოგიის სფეროში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში ;	სემინარი	ოქტომბერი	აგრონომიული საკოორდინაციო– დარგობრივი სამეცნიერო განყოფილება	
17	აგროქიმიური ღონისძიებების როლი მოსავლიანობის ამაღლების საქმეში ;	მრგვალი მაგიდა	ნოემბერი	აგრონომიული საკოორდინაციო– დარგობრივი სამეცნიერო განყოფილება	
18	სახნავი მიწის ინტენსიურად გამოყენების პრობლემები;	სემინარი	ნოემბერი	აგრონომიული საკოორდინაციო– დარგობრივი სამეცნიერო განყოფილება	
19	ხორბლის, სიმინდის და სხვა მარცვლოვანი კულტურების მოსავლიანობის ამაღლების გენეტიკური და სელექციური საფუძვლები ;	სემინარი	დეკემბერი	აგრონომიული საკოორდინაციო– დარგობრივი სამეცნიერო განყოფილება	

### **3.3. სსმმ აკადემიის აკადემიურ საბჭოში განხილული საკითხების მოკლე მიმოხილვა**

#### **3.3.1. საქართველოს ნიადაგების არსებული მდგომარეობა და მათი ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების გზები.**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2013 წლის 25 იანვარს მოისმინა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გოგოლა მარგველაშვილის მოხსენება: “საქართველოს ნიადაგების არსებული მდგომარეობა და მათი ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების გზები”.

აღინიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება უპირველესად ნიადაგზე და მის ნაყოფიერებაზეა დამოკიდებული.

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობის შემდგომი გადიდების რესურსები განსაზღვრულია. მოსახლეობა კი მჭიდროდ არის დასახლებული. ამიტომ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაზე მუდმივად მზარდი მოთხოვნა ძირითადად ფართობის ერთეულზე მოსავლის გადიდებით უნდა დაემაყოფილდეს.

საქართველოში მაღალი ხარისხის ბუნებრივად ნაყოფიერი სასოფლო-სამეურნეო მიწა 38%-ს შეადგენს, საშუალო ხარისხის 21%-ს, ხოლო დაბალი ხარისხის - 41%-ს.

მოტანილი ციფრებიდან ჩანს, რომ ჩვენი ქვეყნის მცირემიწიანობას ისიც ემატება, რომ მნიშვნელოვანი ფართობები უჭირავს დაბალნაყოფიერ ნიადაგებს, რომელთა გაკეთილშობილება სპეციფიკური არაორდინალური დონისძიებების გატარებას საჭიროებს და იგი დიდ ფინანსურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული.

დაბალნაყოფიერი ნიადაგებიდან განსაკუთრებით საშიშ მასშტაბებს აღწევს ეროზირებული ნიადაგები რომელსაც მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 33% უჭირავს. ეროზის ქვეყნის წინაშე მდგარ ეკოლოგიურ პრობლემათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ეროზირებული მილიონი ჰექტრიდან 330 ათასი ჰა სახნავ-სათესი ფართობია, რომელთაგან 221 ათასი წყლისმიერ ეროზის განიცდის, 109 ათასი ჰექტარი სახნავი მიწა კი - ქარისმიერ ეროზიას.

აღსანიშნავია ისიც, რომ სარწყავ ზონებში სოფლის მეურნეობას საგრძნობ ზიანს აყენებს ე.წ. ირიგაციული ეროზია, რაც არასწორი რწყვით არის გამოწვეული.

ეროზის გარდა ქვეყნისთვის დიდ პრობლემას წარმოადგენს საქართველოს ნახევრად გაუდაბნობებულ ტერიტორიებზე გავრცელებული დამლაშებული და ბიცობი ნიადაგები, რომელთა ფართობი 205 ათას ჰექტარზე მეტია.

აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო ზონაში გავრცელებული დამლაშებული და ბიცობი ნიადაგები ხასიათდებიან აგრონომიულად არახელსაყრელი თვისებებით. ასეთ პირობებში დაბალია ს/ს კულტურების მოსავლიანობა (საშემოდგომო თავთავიანების მოსავალი 0,9-1 ტ/ჰა არ აღემატება). მაშინ როცა იმ უნიკალურ ბუნებრიგ-კლიმატურ პირობებში, სადაც აღნიშნული

ნიადაგებია გავრცელებული კომპლექსური აგრომელიორაციული დონისძიებების განხორციელების შემდეგ მარცვლეულის, ბოსტნეულის და საკვები კულტურების მოსავლიანობა 2,5-3,0-ჯერ და მეტად იზრდება.

საქართველოში 220 ათასი ჰექტარი დაჭაობებული ნიადაგია. ისეთი მცირებიშიანი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა კოლხეთის დაბლობის ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებას უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობა გააჩნია. 1990 წლისათვის კოლხეთის დაბლობზე დაშრობილი იყო 140 ათასი ჰექტარი. აქედან, ათვისებული იყო 103,9 ათასი ჰა;

სასოფლო-სამეურნეო მიწის დაახლოებით 11% (330 ათასი ჰა) საქართველოში მეავე ნიადაგებს უკავიათ. ძლიერ მეავე ნიადაგების ფართობმა დასავლეთ საქართველოში 37 ათას ჰა-ს მიაღწია, სადაც ეკონომიკურად ღირებული მოსავლის მიღება პრაქტიკულად შეუძლებელია.

თანამედროვე ეტაპზე სამთომომპოვებელი მრეწველობის ინტენსიფიკაცია სასარგებლო წიაღისეულის დია წესით მოპოვების სულ უფრო ფართოდ დახერგვის ხარჯზე წარმოებს. მაღალი რენტაბელობის გამო იგი ყველაზე გამოიყენება სადაც კი საბადოს გეოლოგიური აგებულება ამის საშუალებას იძლევა. დღეისათვის ამ წესით მოპოვებული წიაღისეულის წილი 75-80%-მდე გაიზარდა. ამასთანავე, მისი უარყოფითი გავლენა დიდია. კერძოდ, წყობიდან გამოდის სხვადასხვა სავარგულების მნიშვნელოვანი ნაწილი, ხოლო ნაყარები, კარიერები, წარმოების ნარჩენები და სხვა სახის დარღვეული მიწები ხშირად გარემოს დაბინძურების წყაროსაც წარმოადგენენ.

საქართველოში სხვადასხვა სახის დარღვეული მიწების, კარიერების, ნაყარების, გამამდიდრებელი ფაბრიკების ნარჩენების, სალექავების და სხვა ფართობები 10 ათას ჰექტარს აღემატება.

მოყვანილი ციფრები ნიადაგების ფართობების შესახებ გასული საუკუნის 80-იანი წლების მონაცემებია. მას შემდეგ საქართველოში მიწების ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა. დღეისათვის ეს ციფრები, მნიშვნელოვნად მაღალი იქნება. აღნიშნულზე მიუთითებს შემდეგი ფაქტები:

უკანასკნელ 22 წელიწადში ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო ნიადაგის დაცვისა და ნაყოფიერების შენარჩუნება-ამაღლების სფერო კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ეროზირებული, დამლაშებული, ჭაობიანი, მწირი ნიადაგების ყოველწლიურ მოვლაში სახელმწიფოს როლის გაქრობამ ამ სფეროში დიდი პრობლემები შექმნა.

ეროზიასთან ბრძოლის შესუსტების გამო აღინიშნა ეროზიული პროცესების გააქტიურება. უმძიმესი შედეგები მოჰყვა დიდქანობიანი ფერდობების ათვისებას, ტყის, ბუნებრივების და ქარსაფარი ხოლების განადგურებას, სამოვრების უსისტემო, გადაჭარბებულ მოხმარებას, მიწათმოქმედ ფერმერთა დიდი ნაწილის მხრიდან ნიადაგის არასწორი დამუშავების სისტემის გამოყენებას, ნიადაგდაცვითი ტექნოლოგიების უგულვებელყოფას. ინტენსიურად დაიწყო ეროზიულ-მეწყრული პროცესების განვითარება საქართველოს მთიან რეგიონებში, რომლებიც მოსახლეობის დიდი ნაწილის საცხოვრებელ და საარსებო საშუალებას წარმოადგენენ. ამ პრობლემისადმი ინერტული დამოკიდებულება საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის ისედაც მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს კიდევ

უფრო აუარესებს და ეს ძირძველი მხარე მთლიანად ცარიელდება. დაიწყო მოსახლეობის მიგრაცია ეროვნისგან გამოფიტული, უნაყოფო ტერიტორიებიდან. „ეკოლოგიური ლტოლვილების” პრობლემა სახეზეა და გადაუდებელი ღონისძიებების გატარებას საჭიროებს.

ეროვნის საზიანო მოქმედებით აიხსნება ძირითადად ის, რომ უკანასკნელი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში 100 ათასამდე ჰა სახნავი ფართობი გადაირიცხა ნაკლებ ინტენსიურ სავარგულებში.

კოლხეთში, ძირითადი სამელიორაციო ქსელი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სათანადო მეთვალყურეობის გარეშე დარჩა. ყოველივე ამის შედეგად რიგ რაიონებში დაიწყო მეორადი დაჭაობების პროცესი, რის გამოც დღეისთვის კოლხეთის ზონაში 42 ათასი ჰა სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული ფართობები გამოეთიშა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს და კვლავ ჭაობად იქცა.

მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს ის გარემოება, რომ მეორად დაჭაობებას ქვემდებარე მიწების კერძო მფლობელობაში ან იჯარით აღებაზე უარს აცხადებს ადგილობრივი მოსახლეობა. მეორადი დაჭაობების პროცესი, მელიორაციული სიტუაციის დროთა განმავლობაში თანდათან გაუარესების კვალდაკვალ ინტენსიურად განვითარდება და სულ მაღე დაშრობილი მიწების 80-90 %-ზე გავრცელდება.

ანალოგიური მდგომარეობაა დამლაშებულ და ბიცობ ნიადაგებზე, სადაც საირიგაციო და სადრენაჟო ქსელის მოშლის შედეგად, რომელზეც თავის დროზე უდიდესი კაპიტალდაბანდება იყო ჩადებული, ინტენსიურად მიმდინარეობს მეორადი დამლაშების პროცესები.

მითითებული დაბალნაყოფიერი მიწების გაკეთილშობილებას ქვეყნის ეკონომიკური ზრდის, მისი სოციალური განვითარების და სიდარიბის აღმოფხვრის საქმეში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ პრობლემაზე:

როგორც ზემოთ აღინიშნა, 90-იანი წლებიდან დაწყებული პრაქტიკულად ყურადღების მიღმა დარჩა – ნიადაგი. ინტენსიურად წავიდა ნიადაგების დეგრადაციის, ზოგიერთ რაიონში გაუდაბნოების დაწყების და ნაყოფიერების დაცემის შეუქცევადი პროცესი.

ქვეყნის მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულის 80%-ზე მეტი დარიბია საკვები ელემენტებით, რაც სასოფლო-სამეურნეო კულტურათა დაბალ და უხარისხო მოსავლიანობას განაპირობებს. განსაკუთრებით დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ ქვეყნის ყველა რეგიონში შეინიშნება ნიადაგის ნაყოფიერების უმთავრესი მაჩვენებლის- პუშუსის მწვავე დეფიციტი და მისი ბალანსი უარყოფითია. ნიადაგის დაცვისა და ნაყოფიერების შენარჩუნება-ამაღლებასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა უკვე კრიტიკულ დონეს მიაღწია, რაც საფრთხეს უქმნის საქართველოში სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას. ნიადაგის მდგომარეობის ასეთ ფონზე, უსახსრობის გამო, პრაქტიკულად შეწყვეტილია ნიადაგების გამოკვლევის სამუშაოები. პრაქტიკულად არ ხდება ნიადაგის ნაყოფიერების მონიტორინგი და შესაბამისად- მისი მართვა. ნიადაგის განვითარება ძირითადად არაეფექტურიანად ტარდება, ელემენტარული წესების

დაუცველად, ან საერთოდ უგულვებელყოფილია სასუქების, შესაბამისი ტექნიკისა და ცოდნის არქონის გამო. ნიადაგში შესატანი სასუქების ოპტიმალური დოზების განსაზღვრა არ წარმოებს ლაბორატორიული ანალიზის საფუძველზე. ადგილი აქვს აგროქიმიკატების უკონტროლო გამოყენებას. ყოველივე ამის გამო სახეზეა საკმაოდ დიდი ფართობის სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან ამოვარდნის რეალური საშიშროება, რისი დაშვების უფლებაც ჩვენს ქვეყანას არ აქვს.

საქართველოში, სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში ახალი მიწების ჩართვის შესაძლებლობა საკმაოდ შეზღუდულია; ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაზრდის ერთადერთ გზად არსებული სავარგულების ნაყოფიერების ამაღლება და რაციონალური გამოყენება ითვლება. ამიტომ, მიწაზე საკუთრების ფორმის მიუხედავად სახელმწიფომ, პირველ რიგში, არსებული მიწის ფონდის შენარჩუნებაზე უნდა იზრუნოს. უფრო მეტიც, ნიადაგის დაცვისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების პროგრამის განხორციელება მთავრობის მიერ უნდა განიხილებოდეს არა მარტო როგორც მიწის ფონდის შენარჩუნების კამპანია, არამედ, როგორც ქვეყნის სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფა და იგი ქვეყნის უპირველესი სტრატეგიული მიზანი უნდა იყოს.

პირველ რიგში აუცილებელია შემუშავებულ იქნეს საქართველოს მიწის ფონდის შენარჩუნების გრძელვადიანი სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა. იგი თავის მხრივ მოიცავს შემდეგ ქვეპროგრამებს: „საქართველოს ნიადაგების ეროვნისგან დაცვის მიზნობრივი პროგრამა”; „საქართველოს დამლაშებული ნიადაგების მელიორაციისა და მათი ნაყოფიერების ამაღლების მიზნობრივი პროგრამა”; „კოლხეთის ჭარბტენიანი მელიორირებული ნიადაგების გაკულტურების და სასოფლო-სამეურნეო ათვისების მიზნობრივი პროგრამა”; „გაუდაბნოებასთან ბრძოლის სახელმწიფი მიზნობრივი პროგრამა”; „წიაღისეულის დია წესით მოპოვების შედეგად წყობიდან გამოსული მიწების რეკულტივაციის მიზნობრივი პროგრამა”.

ნიადაგის დაცვისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების ღონისძიებების გატარება ეფექტური იქნება მსხვილ სპეციალიზებულ მეურნეობებში („ფერმერთა ჯგუფები თუ გაერთიანებები”, „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები და გაერთიანებები” თუ სხვა) მიწის რესურსების კონსოლიდირების პირობებში.

აღნიშნული სახელმწიფო პროგრამების მომზადებისა და შემდეგ მათი პრაქტიკული განხორციელებისთვის პირველ რიგში აუცილებელია ნიადაგების პასპორტიზაციის (ინვენტარიზაციის) ჩატარება;

ნიადაგების პასპორტიზაციის (ინვენტარიზაციის) ჩატარება შესაბამისი დარგის მეცნიერების ( ნიადაგმცოდნის, ნიადაგმცოდნე-ეროვნიონისტის, ნიადაგმცოდნე-მელიორატორის, აგროქიმიკოსის, მიკრობიოლოგის) მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია. მიგვაჩნია, რომ საქართველოს მიწის ფონდის შენარჩუნების გრძელვადიანი სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის შემუშავება – განხორციელების საქმეს სათავეში მსაბაშვილის ნიადაგმცოდნების, აგროქიმიის და მელიორაციის ს/კ ინსტიტუტი უნდა ჩაუდგეს, ამის ინტელექტუალური პოტენციალი მას ნამდვილად გააჩნია. (ითვლებოდა რა მეთაურ დაწესებულებად ნიადაგმცოდნებისა და აგროქიმიის დარგში ინსტიტუტი მოწოდებული იყო დაემუშავებია ნიადაგის ნაყოფიერების

ამაღლების მეცნიერული საფუძვლები. უმთავრეს ამოცანას შეადგენდა: ქვეყნის ნიადაგური საფარის შესწავლა, მისი ნაყოფიერების შენარჩუნება-გაუმჯობესება, მიწების რაციონალურად გამოყენება; ეროზიისაგან ნიადაგის დაცვისა და ეროზირებული ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებების შემუშავება; დამლაშებული და ბიცობი ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლების და კოლხეთის დაბლობის ჭარბტენიანი მელიორირებული ნიადაგების გაკულტურებისა და მათი სასოფლო-სამეურნეო ათვისების რაციონალური ტექნოლოგიების დამუშავება; სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის მინერალური და ორგანული სასუქების დოზების, ფორმებისა და შეფარდებების დადგენა მაღალი ხარისხის და ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციის მისაღებად; სასარგებლო წიაღისეულის დია წესით მოპოვების ადგილებში წყობიდან გამოსული ნიადაგების რეკულტივაცია და მრავალი სხვა).

აუცილებელია, დადგეს მ.ნ.საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიის და მელიორაციის ს/კ ინსტიტუტის ა.ი.პ. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტიდან გამოყოფის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით აღდგენის, მეცნიერ-თანამშრომელთა დაბრუნებისა და სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუციების მიერ ინსტიტუტის კუთვნილი ქონების მითვისების საკითხი. (აგრარული უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში გადასვლამ ფაქტიურად გაანადგურა ინსტიტუტი. განთავისუფლებულია ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა მთელი კონტიგენტი, მიტაცებულია ინსტიტუტის კუთვნილი ქონება).

აუცილებელია აღდგენილ იქნეს ადრე არსებული „აგროქიმიური და ნიადაგის ნაყოფიერების სამსახური“ თავისი ლაბორატორიული ქსელით; თანამედროვე აპარატურა-მოწყობილობით აღჭურვილი ორი ცენტრალური სამეცნიერო-საწარმოო ლაბორატორია: ერთი – თბილისში, რომელიც მოქმედია აღმოსავლეთ საქართველოს და მეორე – ოზურგეთში (ანასეულში), რომელიც მოქმედია დასავლეთ საქართველოს (დღემდე შენარჩუნებულია ორივე ლაბორატორია მწირი, მოქველებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, მაღალკვალიფიციური კადრებით, მაგრამ, უსახსრობის გამო პრაქტიკულად ვერ საქმიანობენ. აღნიშნული ლაბორატორიები ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე პერიოდულად ჩაატარებენ ნიადაგის ნაყოფიერების მონიტორინგს და ყოველი კონკრეტული სავარგულისთვის შეადგენენ რეკომენდაციებს მისი ნაყოფიერების შენარჩუნება-ამაღლებისთვის. ნიადაგისა და მცენარის ანალიზის საფუძველზე მოხდება შესატანი სასუქების ოპტიმალური დოზების განსაზღვრა. დადგინდება სასუქების საჭირო ფორმები და რაოდენობა, მოხდება ქვეყანაში მათი შემოტანის და გამოყენების ორგანიზება.)

ნიადაგის დაცვა და მისი ნაყოფიერების ამაღლება არ არის მარტივი საქმე. იგი მაღალკვალიფიციურ აგროპერსონალს საჭიროებს. აუცილებელია ქვეყნას ყავდეს ნიადაგმცოდნები და აგროქიმიკოსები, რომლებიც ამ საშვილიშვილო საქმეს მოქმედიან. აუცილებლად მიგვაჩნია აგრარულ უნივერსიტეტში აწ გაუქმებული ნიადაგმცოდნეობისა და აგროქიმიის სპეციალობის აღდგენა ან ამ სპეციალობების შემსწავლელი დისციპლინების სწავლება მაინც.

### **3.3.2. საქართველოში მებოსტნეობის არსებული მდგომარეობა და პრობლემების გადაჭრის გზები.**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2013 წლის 25 იანვარს მოისმინა საქართველოში ბოსტნეული კულტურების ნაციონალური კოორდინაციორის, აკადემიურ დოქტორ ნატო კაკაბაძის მოხსენება.

აღინიშნა, რომ მებოსტნეობა არის სასოფლო სამეურნეო წარმოების დარგი, რომელიც ემსახურება ბოსტნეული კულტურების მოყვანას. ბოსტნეული ადამიანის კვების აუცილებელი პროდუქტია. მეცნიერული კვლევების მონაცემების მიხედვით ადამიანთა კვების რაციონში 1/4 ნაწილი უნდა ეკავოს სხვადასხვა სახის ბოსტნეულის მოხმარებას, ხოლო წელიწადში საჭიროა მოიხმაროს 130– 150 კგ ბოსტნეულის და ბაღჩეულის პროდუქტი.

განსაკუთრებით სასარგებლოა ბოსტნეულის მოხმარება ნედლი სახით, ამიტომაა აუცილებელი წლის განმავლობაში მათი რამდენჯერმე თესვა. მოხმარების ვადის გახანგრძლივების მიზნით უნდა გამოვიყენოთ კულტურათა სხვადასხვა სახეობები და ჯიშები განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს გარდამავალ ბრუნვაში დაცული გრუნტის მებოსტნეობის განვითარებას, ზამთარში სათბურებში მწვანილეულის წარმოებას, შემოდგომაზე მოწევლი ბოსტნეულის შესანახი საცავების გამოყენებას და სხვა.

საქართველოს ნიადაგურ-კლიმატური პირობები, გეოგრაფიული მდებარეობა, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხანგრძლივი ისტორია, 70-ზე მეტი სახეობის საადრეო, საშუალო და საგვიანო ბოსტნეულის, მათ შორის საადრეო კარტოფილის წარმოება, სავრგულების და იაფი მუშახელის სიუხვე განაპირობებს სხვა დარგებთან ერთად მებოსტნეობის პრიორიტეტულ დარგად ჩამოყალიბებას.

საქართველოში ბოსტნეულს აწარმოებენ როგორც დია, ასევე დაცულ გრუნტში. ამ უკანასკნელს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს შემოდგომა-ზამთარში და ადრე გაზაფხულზე ახალი ბოსტნეულით მომარაგების საქმეში, მაგრამ ბოსტნეულით ძირითადი მომმარაგებელი მაინც დია გრუნტია და მას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს.

2011 წლის მდგომარეობით საქართველოში ბოსტნეულის წარმოებამ შეადგინა სულ 185,8 ათასი ტონა, მაშინ როცა ერთ სულ მოსახლეზე, ტურისტზე, სტუმარზე საბაზრო მოთხოვნილების დასაქმაყოფილებლად საჭიროა 650 000-700 000 ტონა ბოსტნეულის წარმოება. ამისათვის ბოსტნეულმა უნდა დაიკავოს სახნავი მიწის 5,5-6%, რაც შეადგენს 45000-50000 ჰა ფართობს და კულტურების მიხედვით წარმოებული უნდა იქნეს: პამიდორი - 140 ათასი ტონა, კომბოსტო - 480 ათასი ტონა, კიტრი - 560 ათასი ტონა, ხახვი - 200 ათასი ტონა, ბადრიჯანი - 280 ათასი ტონა, მწვანილი და მწვანე ხახვი - 280 ათასი ტონა, სტაფილო - 400 ათასი ტონა, ჭარხალი - 400 ათასი ტონა, წიწაკა - 120 ათასი ტონა, ნიორი - 200 ათასი ტონა, კარტოფილი - 480 ათასი ტონა, ლობიო - 150 ათასი ტონა, ბაღჩეული - 200 ათასი ტონა, დანარჩენი სხვა - 40 ათასი ტონა.

ბოსტნეული კულტურების, ისე როგორც ნებისმიერი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და ხარისხი დამოკიდებულია ჯიშზე და ხარისხიან თესლზე. ამ ორი ფაქტორის გარეშე, რაც არ უნდა მოვლა-მოყვანის საუკეთესო ტექნოლოგიური ფონი შევუქმნათ ნათესს, მისგან

სასურველ შედეგს გერ მივიღებთ. ჯიშის და ხარისხიანი თესლის უგულვებელყოფაა ბოსტნეულის დაბალი საჰექტარო მოსავლიანობის მიზეზი. საქართველოს მთავრობამ უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოს სოფლის მეურნეობის მომარაგებას ჯიშიანი, კონდიციური თესლებით. სწორედ ამიტომ მებოსტნეობის დარგის მეცნიერები უპირველესად ყურადღებას აქცევენ მეთესლეობის საკითხს და ძირითად ამოცანად თვლიან ადგილობრივ პირობებთან კარგად შეგუებული მაღალხარისხოვანი და დიდმოსავლიანი, სელექციური და ადგილობრივი ჯიშების კარგი თესვითი ღირსების მქონე თესლების დამზადებას. უკანასკნელი 5-10 წლის განმავლობაში რეგისტრირებულია ძირითადი ბოსტნეული კულტურების: პამიდორი, ხახვი, კომბოსტო, საბოსტნე ლობიო, საბოსტნე ბარდა, საბოსტნე სოია—მაღალმოსავლიანი ჯიშები, რომლებიც საჭიროებენ გამრავლებას დიდ ფართობებზე და თესლის წარმოებას იმ რაოდენობით, რომ დაკმაყოფილდეს საბაზრო მოთხოვნილება ამ კულტურებზე. ამავე დროს აუცილებელია მჭიდრო თანამშრომლობა მებოსტნეობის მსოფლიო ცენტრთან მრავალფეროვანი სათესლე მასალის მისაღებად, განსაკუთრებით ისეთი დელიკატესი კულტურების, როგორიცაა: კომბოსტოს ნაირსახეობა: ყვავილოვანი, ბრიუსელის, სავოიის, ბროკოლი, საბოსტნე მიმართულების: სიმინდი, ლობიო, ბარდა, სოია, სალათების ნაირსახეობა, რომლებზეც მოთხოვნილება დიდია. ამასთან ერთად დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ადგილობრივი რეგისტრირებული ჯიშების გამრავლებას სადემონსტრაციო ნაკვეთებზე და რეპროდუქციული თესლების წარმოებას.

ბოსტნეულ კულტურებზე სელექცია მიმდინარეობდა მიწათმოქმედების ინსტიტუტში და მისი დაქვემდებარების სტრუქტურულ ერთეულებში: გარდაბანი, გორი, წყალტუბო. ჯიშების გამოცდას ზონების მიხედვით აწარმოებდა საქართველოს ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო კომისია. სამწუხაროდ დღეს ეს სისტემა თავისი რგოლებით მოშლილია, ქვეყანაში შემოდის ბოსტნეულის შეუმოწმებელი თესლები თურქეთიდან, გერმანიიდან, პოლანდიიდან, რომელსაც ყიდულობენ მებოსტნე ფერმერები და მებოსტნეობით დაინტერესებული პირები. ყოველივე ეს არის მიზეზი ბოსტნეულის დაბალი მოსავლიანობის და მოსავლის დაბალი ხარისხის. არის თანამედროვე ბიოტექნოლოგიური მეთოდების უკონტროლობა და დანერგვის საფრთხე, ახალგაზრდა კადრების მწვავე დეფიციტი. ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლის ნაკლებობა ქვეყნის შიგნით და გარეთ. ცოდნის და გამოცდილების უკმარისობა *ex-situ* და *in-situ* კონსერვაციის სფეროში. გენეტიკური რესურსების ხელმიუწვდომლობა ფერმერებისათვის და კანონმდებლობის დაუცველობა. ბოსტნეულის გამოყენებასთან დაკავშირებული ტრადიციული ცოდნის და გამოცდილების დაკარგვა. არსებული კვლევითი ინსტიტუტის, მებოსტნეობის განვითარების და კათედრის გაუქმება, საგანმანათლებლო პროგრამის არასრულყოფილება, მანქანა-იარაღების და შენობა-ნაგებობების დეფიციტი.

მებოსტნეობის განვითარებისათვის აუცილებელია დარგის ინტენსიფიკაცია, წარმოების კონცენტრაცია, სპეციალიზაცია, ბოსტნეულის სელექცია-მეთესლეობის სისტემის აღდგენა თავისი რგოლებით, ჯიშთა დაცვის და გამოცდის სამსახურის განახლება, მჭიდრო კავშირის დამყარება მებოსტნეობის მსოფლიო ცენტრთან,

სელექციური მუშაობის განახლება საცდელ სადგურებში, ადგილობრივი და საზღვარგარეთის ქვეყნების მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევებისა და გამოცდილების საფუძველზე დამუშავებული სამრეწველო ტექნოლოგიების დაწერვა; ბოსტნეული კულტურების: პამიდორი, კიტრი, ხახვი, კომბოსტო, წიწაკა, ბაღრიჯანი, ნიორი, კრასი, ხევი, გოგრა, საზამთრო რეკომენდირებული ჯიშების პირველადი მეთესლეობის დაწყება; აგრეთვე ზოგიერთი ნაკლებად გავრცელებული კულტურებისთვის: ბროკოლი, სატაცური, ფიზალისი, სალაოები - რომლებზეც უდიდესი მოთხოვნაა - შერჩევა საქართველოს მებოსტნეობის ზონებში (სუბტროპიკული, ზომიერად თბილი, მაღალმთიანი) მეთესლე-ფერმერთა კაგშირების და ასოციაციების, რომლებიც დაიწყებენ მეცნიერების მიერ საცდელ სადგურებში წარმოებული ბოსტნეულის მეორად მეთესლეობას და სათანადო სერთიფიცირების შემდეგ რეპროდუქციულ თესლებს გაყიდიან ბაზარზე 2005 წლიდან მიწათმოქმედების ინსტიტუტში ICARDA-ს (მშრალ რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო კვლევის საერთაშორისო ცენტრი) ფინანსური მხარდაჭერით ფუნქციონირებს გენბანკი საშუალო ვადიანი შენახვისათვის. დღევანდელი მდგომარეობით გენბანკში მოთავსებულია 4000-ზე მეტი ნიმუში. აქედან ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების 600-ზე მეტი ჯიშის სათესლე მასალა. ამ კოლექციის უსაფრთხოების უზრუნველყოფას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მიუხედავად ამისა, დღეს ეს უნიკალური მასალები დიდი საფრთხის წინაშეა. სასწრაფოდ საჭიროა მასზე ყურადღების გამახვილება. საქართველოს მდიდარი მემკვიდრეობის დაცვას და მის შენახვას მომავალი თაობებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის გრძელვადიანი სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში.

### **3.3.3. მეხილეობის დარგში არსებული მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2013 წლის 28 მარტს მოისმინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გიგი ბადრიშვილის მოხსენება: “მეხილეობის დარგში არსებული მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში”.

აღინიშნა, რომ სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ საექსპორტო, პროდუქციის მომცემ დარგს წარმოადგენს მეხილეობა, რომელიც აერთიანებს საქართველოში გავრცელებულ 100 კულტურას და ათასობით ჯიშს.

საქართველოს ბუნებრივი კლიმატური პირობები შესანიშნავი ხელისშემწყობი მნიშვნელოვანი ფაქტორია მეხილეობის დარგის განვითარებისათვის.

ცნობილია, რომ ერთი პექტარი ხეხილის ბაზი იძლევა 10 პექტარ სახნავი მიწის ტოლფას შემოსავალს, რაც ასაბუთებს წარმოების გადიდების მიზანშეწონილებას.

მეხილეობის განვითარებისათვის მიზანშეწონილია გათვალისწინებული იქნეს სოფლის მეურნეობის დარგთა შეთანაწყობა. ხილის მოსავლიანობის გაზრდა დამოკიდებულია ბაზის მფლობელის ინდივიდუალურ გემოვნებაზე, ბაზის ტიპის შერჩევაზე, ნარგაობის ფორმირებაზე, ბაზრის მოთხოვნილების მიხედვით კულტურების და ჯიშის შერჩევაზე.

გარდა საკარმიდამო (ნაკვეთებზე) ან კომერციულ ნაკვეთებზე მოსავლიანობის გადიდებისა, პარალელურად უნდა განისაზღვროს და დაპროექტდეს ხეხილის ბადების გასაშენებლად ის ნაკვეთები, რომელზეც ხეხილი იყო დარგული.

საერთოდ აუცილებელია ჩატარდეს მრავალწლიანი ნარგავების აღრიცხვა სახელმწიფოს მიერ იმ წესით, როგორც ტარდებოდა აღრიცხვა.

ხილის წარმოების ისეთ მაშტაბებს, რომელიც საქართველოს გააჩნია ყველა შემთხვევაში ესაჭიროება გადამამუშავებელი მრეწველობა, რომელიც მსოფლიო სტანდარტების დონეზე აწარმოებს სხვადასხვა პროდუქციას. ამჟამად გორის ტერიტორიაზე ძირითადად ორი ქარხანა მოქმედებს სხვადასხვა მიმართულებით და დატვირთვით. გამორიცხული არ არის ხილის ზრდის კვალობაზე დამატებითი სიმძლავრეების ამოქმედების აუცილებლობა, მაგრამ მთავარია არა გადამამუშავებელი სამრეწველო საწარმოების რაოდენობის ზრდა, არამედ ხილის მწარმოებელთა და გადამამუშავებელთა ურთიერთობა, რომელმაც უნდა შექმნას ორივე მხარის ხელსაყრელი და დამაინტერესებელი პირობები. ამ ურთიერთობის დარეგულირების პირობები ინტეგრაციაში დევს, რომელიც საბაზრო ურთიერთობის მოთხოვნების შესაბამისად უნდა გადაწყდეს ისე, რომ ხილის მიწოდებელი დაინტერესებული იყოს გადამამუშავებელი საწარმოს საქმიანობის შედეგებით.

ასეთივე საფუძველზე უნდა გადაწყდეს საკითხი ხილის საცავებთან დაკავშირებით.

რამდენადაც დღევანდელ გარდამავალ ეტაპზე ხილის წარმოებისა და მიწოდების ძირითადმა მოცულობამ საკარმიდამო და კერძო მეურნეობებში გადაინაცვლა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მათი საწარმო მომსახურების ორგანიზაცია.

საკარმიდამო მეურნეობებში ბადების დამუშავებისა და დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის, მოსავლის ტრანსპორტირებისა და სხვა შრომატევადი სამუშაოების შესრულება უნდა იკისრონ მეწარმეებმა სახელშეკრულებო საფუძველზე შეთანხმებულ ფასებში, ან მხარი უნდა დაუჭირონ იმ ინიციატორებს, რომლებიც ივალდებულებენ სოფლად მომსახურეობის სფეროს შექმნას.

რაიონის ზონების მიხედვით თუ ყველა სოფელში არა, უნდა შეიქმნას სავაჭრო ობიექტები, რომლებიც ივაჭრებენ შხამქიმიკატებით, მინერალური სასუქებით, ინვენტარით და სხვა საქონლით, რომელიც მეხილეობის დარგისთვის არის საჭირო.

განსაკუთრებულ საზრუნავს წარმოადგენს მოსავლის რეალიზაცია, რომლის გადაწყვეტის ქვაკუთხედი უნდა იყოს ის, რომ ხილის მომყვანი ბაზარში არ იღგეს.

ეს რომ ასე მოგვარდეს უნდა შეიქმნას ხილის დამზადება-რეალიზაციის ალტერნატიული სტრუქტურები, რომელთა დამფუძნებელი იქნებიან ხილის მწარმოებელი სუბიექტები და თვით მეწარმეები გაუმდგვებიან მათივე მოწეული მოსავლის გასაღებას. ასეთივე პრინციპით შეიძლება დარეგულირდეს მეხილეების ტარამასალით, ტარით და სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფის პრობლემები.

მეხილეობის გადამამუშავებელი მრეწველობისა და მომსახურე სფეროს ინტერესების შეთანხმების და დარეგულირების მიზნით შეიძლება შეიქმნას დარგის ასოციაცია, რომლის მონაწილე იქნება ყველა მეწარმე.

მიგვაჩნია, რომ ნერგის წარმოება და მიწოდება ძირითადად სახელმწიფოს გამგებლობაში უნდა იყოს, რომელსაც შეუძლია გადაწყვიტოს იგი ხარისხისა და ასორტიმენტის დაცვით.

მეხილეობა მაღალრეიტინგული დარგია, მაგრამ დღევანდელი კრიზისული მდგომარეობიდან მისი გამოყვანა შედავათებისა და დახმარებების გარეშე ძალიან გაჭიანურდება და ქვეყანას ზარალი უფრო მეტი მიადგება, ვიდრე შედავათების განხორციელებისათვის იქნება საჭირო. ამ მიზნით საჭიროდ მოგვაჩნია: ახლად გაშენებული ხილის ბაზის ფართობებზე პირველი ხუთი წლის მანძილზე გავრცელდეს შედავათები მიწის გადასახადზე; ხილის ბაზების გაშენებისთვის გამოიყოს დაბალპროცენტიანი და გრძელვადიანი კრედიტები; შეიზღუდოს თანდათან ხილისა და ხილის გადამუშავებით მიღებული პროდუქციის იმპორტი, ისე, რომ ხელი შეუწყოს ადგილობრივი წარმოების პროდუქციის გასაღებას; ჩატარდეს საოჯახო მიწების პრივატიზაცია და ბაზების გაშენებისთვის ვარგისი მიწები გაიცეს გრძელვადიანი იჯარით კონკურსის წესით; მკაცრად აიგრძალოს პრივატიზირებული ბაზების გახეხვა ნებართვის გარეშე; დაწესდეს მეხილეობის დარგში მოპოვებული წარმატებებისთვის წამახალისებელი რაიონული პრემიები და დამტკიცდეს მისი მინიჭების წესი;

### **3.3.4. ჰიბრიდული სიმინდი - მაღალი მოსავლიანობისა და ხარისხის საწინდარი**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2013 წლის 28 მარტს მოისმინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ოთარ ლიპარტელიანის მოხსენება: “ჰიბრიდული სიმინდი - მაღალი მოსავლიანობისა და ხარისხის საწინდარი”.

აღინიშნა, რომ სიმინდი კულტურული ფლორის ერთ-ერთი უძველესი ერთწლოვანი, ბალახოვანი, მძლავრი განვითარების, მოკლე დღის სითბოსა და სინათლის ერთლებიანი, გაყოფილ სქესიანი, ჯვარედინ დამამტვერიანებელი, უხვმოსავლიანი, სასურსათო, საკვები, სამრეწველო და სამკურნალო მცენარეა. მას კარგად იცნობდნენ ძველი ინდიელი ტომები ამერიკაში, აცტეკები მექსიკაში, მაიები ცენტრალურ ამერიკაში და ინკები პერუში. მათ სიმინდი მოჰყავდათ ჩვ. წ. აღ. 5000 წლის წინათ და იყენებდნენ სხვადასხვა დანიშნულებით.

საქართველოში სიმინდი შემოტანილი იქნა ესპანეთიდან მე-17 საუკუნის I ნახევარში 360 წლის წინათ კაუა ფორმები, ხოლო 250 წლის წინათ კბილა ფორმები. სიმინდმა თავისი ბიოლოგიური, ბოტანიკური და სამეურნეო თვისებებით სწრაფად დაიმსახურა უურადღება და გახდა პირველხარისხოვანი მარცვლეული კულტურა. სიმინდისაგან მზადდება 500-ზე მეტი დასახელების სასურსათო საკვები, სამრეწველო და სამკურნალო საშუალებები.

გასული საუკუნის I ნახევარში ქართველმა გლეხმა იმდენად აუდო ალდო სიმინდის მოვლა-მოყვანას, რომ ის გახდა საექსპორტო კულტურაც. სიმინდის მარცვალი ტონობით გადიოდა შავი ზღვით უცხოეთში, ხოლო თესლი შუა აზიასა და ჩრდილო კავკასიაში. ამჟამად სიმინდს მარცვლეულ კულტურებს შორის როგორც ნათესი ფართობით, ასევე საერთო მოსავლით პირველი ადგილი უკავია საქართველოში. ითესება 130000 ჰექტარზე და საერთო მოსავლია 191000 ტონა. ხორბალი ითესება 50,2 ათ. ჰექტარი და საერთო მოსავლია 53,9 ათ. ტონა. ერთ მოსახლეზე იწარმოება საქართველოში 126 კგ მარცვალი წელიწადში. მათ შორის ხორბალი 12 კგ და სიმინდი 66 კგ.

სელექცია არის მეცნიერება მცენარეთა ახალი ჯიშების და პიბრიდების გამოყვანის შესახებ. ეს არის კომპლექსური მეცნიერება, რომელიც მჭიდრო კავშირშია ისეთ მეცნიერებებთან, როგორიცაა ბოტანიკა, ფიზიოლოგია, ბიოქიმია, ანატომია, ციტოლოგია, მათემატიკა. სელექციური მეცნიერების თეორიული საფუძველი არის გენეტიკა.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების პრაქტიკით დამტკიცებულია, რომ პიბრიდის მოსავლიანობის, მისი ხარისხის გადიდების ძირითადი ფაქტორია მაღალმოსავლიანი ჯიშის პიბრიდი და ხარისხიანი თესლი. ამ ორი ფაქტორის მიღწევებით ამერიკისა და ევროპის მოწინავე ქვეყნებმა სიმინდის მოსავლიანობა 80%-ით გაადიდეს.

სიმინდის მეცნიერულ სელექციას საფუძველი ჩაუყარა პროფ. ლეონარდე დეკაპრელევიჩმა 1914 წელს, თბილისის ბოტანიკური ბაღის სელექციის განყოფილებაში და შემდეგ 1933 წლიდან საქართველოს სახელმწიფო სახელმწიფო სადგურში, მცხეთაში. აქ სელექციის პირველ ეტაპზე ჩატარებული იქნა საქართველოში არსებული სიმინდის ჯიშების ინვენტარიზაცია და შესწავლა. მეორე ეტაპზე არსებული მასალიდან გამორჩევის მეთოდით გამოყვანილი იქნა ჯიშები: იმერული პიბრიდი, აჯამეთის თეთრი, აბაშური ყვითელი, ქართული კრუგი, გეგუთური ყვითელი, ადგილობრივი კაჟოვანა თეთრი და ყვითელი. მესამე ეტაპზე დადგენილი იქნა სიმინდის აბორიგენული ჯიშების კომბინაციები, უნარი, მათი სამეურნეო ბიოლოგიური, ფიზიოლოგიური, ბიოქიმიური თვისებები. მეოთხე ეტაპზე დაიწყო სიმინდის სელექცია ჯიშთაშორისი და ხაზთაშორისი პიბრიდიზაციის მეთოდი. ისე როგორც სიმინდის სამშობლო არის ამერიკა, ასევე მისი სელექციის ფუძემდებელია ამერიკელი სელექციონერები.

მცენარეულ ფორმებში, პიბრიდის მნიშვნელობა – მოვლენა პეტეროზისის ანუ პიბრიდული ძალა აღმოაჩინა რუსმა მეცნიერმა კელ-რეიტერმა 1860 წელს. მან მიიღო თამბაქოს სახეთაშორისი პიბრიდი – წეკოსი და პერუს სახეობის ერთმანეთთან შეჯვარებით. მან პირველმა შეიმუშავა ყოველწლიურად პირველი თაობის თესლის მიღების მეთოდიც. ამ მოვლენას შემდგომში ამერიკელმა მეცნიერმა შელმა 1914 წელს უწოდა პეტეროზისი. მან მიიღო კულტურული და ველური მზესუმზირის პიბრიდი. კელ რეიტერის შემდეგ პეტეროზისის მოვლენა უფრო სრულყოფილად შეისწავლა დარვინმა შრომაში, რომელიც გამოაქვეყნა 1876 წელს „მცენარეთა სამყაროზე თვითდამტკერვისა და ჯვარედინად განაყოფიერების მოქმედება“. დარვინმა მიიღო სიმინდის პირველი ხაზიც.

სიმინდის ხაზთაშორისი პიბრიდიზაცია პირველად დაიწყო შელმა 1904 წელს ამერიკაში ილინოისის საცდელ სადგურში. 1926 წელს აიოვას შტატში დაარსდა კომპანია პიონერი ყოფილი სოფლის მეურნეობის მინისტრის და ვიცე პრეზიდენტის პენრი უოლესის მიერ, რომელიც დღეს სამცნიერო კვლევით მუშაობას ეწევა 4 ქვეყანაში: ამერიკა, კანადა, მექსიკა და ბრაზილია, სადაც აქვს 90 სამცნიერო კვლევითი ცენტრი და მუშაობს 6700 მეცნიერი. კარგი ნიადაგურ-კლიმატური პირობების 8 ქვეყანაში: ამერიკა, კანადა, რუმინეთი, ხორვატია, საფრანგეთი, იტალია, თურქეთი, უნგრეთი აწარმოებს პირველი თაობის თესლის გამოყვანას 5800 პეტარზე და აკმაყოფილებს პიბრიდულ თესლზე მსოფლიო მოთხოვნილების 30%-ს.

საქართველოში სიმინდის სელექცია ხაზთაშორის ჰიბრიდებზე დაიწყო 1955 წლიდან პროფ. დეკაპრელევიჩის ხელმძღვანელობით. 1956 წელს შეიქმნა სიმინდის საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, რომელშიც კავშირის მასშტაბით გაერთიანდა 29 სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი და 9 საცდელი სადგური. მათ შორის საქართველოს სახელმწიფო სასელექციო სადგური. სადგურებს დაევალათ ხაზებისა და ხაზთაშორისი ჰიბრიდების გამოყვანა, რაც განაპირობა სიმინდის მნიშვნელობამ, მისი მოსავლიანობის გადიდების აუცილებლობამ და მეცნიერების მიერ მოპოვებულმა შედეგებმა.

სიმინდზე თანამედროვე სელექცია დაფუძნებულია ინცუხტზე და ხაზთაშორის ჰიბრიდზაციაზე. ჩვენი მიზანი 1955 წლიდან არის ავტოხტონურ ჯიშებიდან ისეთი ხაზების გამოყვანა, რომლებიც ურთიერთ და შემოტანილ ხაზებთან დაწყვილებით მოგვცემდნენ პროდუქტიულობით, დაავადებამავნებლების მიმართ გამძლეობით, პროდუქციის ხარისხით და მთელი რიგი ბიოლოგიური, ფიზიოლოგიური თვისებებით უკეთეს ჰიბრიდებს, ვიდრე ადგილობრივი და შემოტანილი ფორმებია. სიმინდის მცენარეში არის 500-მდე გენეტიკური ფაქტორი, რომლებიც განსაზღვრავენ ხარისხობრივ და რიცხობრივ მაჩვენებლებს. ეს გენები იყოფა 4 კატეგორიად: 1) ხარისხის განმსაზღვრელი, დომინანტურად მოქმედი; 2) რეცესიული მუტაციის არასასარგებლო მოქმედების მაკონტროლებელი, რომლებიც აკონტროლებენ რიცხობრივი თვისებების მოქმედებას; 3) კუმულაციური – ერთობლივი მოქმედების პოლიმერული თვისებების; 4) მოსავლიანობის – ჰიბრიდული ძალის გამომხატველი.

ჰეტეროზისის ანუ ჰიბრიდული ძალის გამოვლინების ორი კატეგორიაა: 1) ალელური ანუ სრული დომინირება და 2) არაალელური ანუ კომპლექსური არობა, ეპისტაზი, პოლიმერია, მოდიფიკაცია. ჰეტეროზისი არის განსხვავებული ბირთვისა და ციტოპლაზმის (დომინანტური გენების) ურთიერთზემოქმედების შედეგი.

ჯიშთაშორის ჰიბრიდებში ჰეტეროზისი ანუ მოსავლიანობა იზრდება 8-10 %-ით, ჯიშხაზურში 19-20%, ხოლო მარტივ ხაზთაშორის ჰიბრიდებში 40%.

ხაზთაშორისი ჰიბრიდების გამოყენებით მსოფლიოში სიმინდის მოსავლიანობა გაიზარდა 80%-ით, რომელიც შეადგენდა 1,4 ტონას ჰექტარზე, ამჟამად არის 4,3 ტონა ჰექტარზე. ჰიბრიდული სიმინდის გამოყენებით საშუალო მოსავალია ესპანეთში 9,75 ტონა ჰექტარზე, გერმანიაში 9,53 ტონა ჰექტარზე, იტალიაში 9,42 ტონა ჰექტარზე, საფრანგეთში 9,66 ტონა ჰექტარზე და ამერიკაში 8,38 ტონა ჰექტარზე.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული საქართველოში თვითდამტვერილი ხაზების საფუძველზე სიმინდის სელექცია დაიწყო 1955 წლიდან, სელექციის IV ეტაპზე, სადაც მთავარი უურადღება გამახვილებული იყო ადგილობრივი ჯიშებიდან ხაზების მიღებაზე და ამ ხაზების საფუძველზე მაღალმოსავლიანი სხვადასხვა მიმართულების ხაზთაშორისი ჰიბრიდების გამოყვანაზე.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ამერიკა, საფრანგეთი, მექსიკა, არგენტინა, უკრაინა, რუსეთი, მოლდოვა მიღებული იქნა საინტერესო ფორმები. ამ მასალის გამოყენებით გამოყვანილი იქნა 3000-ზე მეტი ხაზთაშორისი ჰიბრიდი. მათ შორის 41 საუკეთესო სხვადასხვა დროს გადაეცა ჯიშთა დაცვისა და გამოცდის სახელმწიფო კომისიას და წარმოებაში დაინერგა 10 ხაზთაშორისი ჰიბრიდი და 1 ჯიში, აქედან 2 ჰიბრიდი და 1 ჯიში უცხოეთში.

პირველი ქართული ხაზთაშორისი ჰიბრიდია „ქართული-9“, რომელიც დარაიონებულია 1980 წლიდან საქართველოს როგორც სარწყავი, ასევე ურწყავი რაიონებისათვის. პოტენციური მოსავალია 10 ტონა ჰექტარზე. ამ ჰიბრიდის გამოყვანისა და დანერგვისათვის 7 თანამშრომელს მიენიჭა სახელმწიფო პრემია. ივერია-503 დარაიონდა 1973 წელს აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავი და დასავლეთ საქართველოს ტენით უზრუნველყოფილი დაბლობი ზონისათვის. პოტენციური მოსავალი 12 ტონა მარცვალი საშუალოდ ჰექტარზე. ქართული-52 დარაიონდა 1981 წელს აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავი და დასავლეთ საქართველოს ტენით უზრუნველყოფილი რაიონებისათვის, პოტენციური მოსავალია 14 ტონა მარცვალი საშუალოდ ჰექტარზე. ჰიბრიდი ლუჩი დარაიონდა 1985 წელს აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავი, დასავლეთ საქართველოს ტენით უზრუნველყოფილი რაიონებისათვის და უკრაინის დნეპროპეტროვსკის რაიონებისათვის. პოტენციური მოსავალია 12 ტონა მარცვალი საშუალოდ ჰექტარზე. ჰიბრიდი მცხეთა დარაიონდა 1988 წელს აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავი და ტენით უზრუნველყოფის რაიონებისათვის, პოტენციური მოსავალია 11 ტონა მარცვალი ჰექტარზე. ივერია-70 დარაიონდა აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავი და დასავლეთ საქართველოს დაბლობი რაიონებისათვის 1984 წელს. არის პირველი სასურსათო მიმართულების ჰიბრიდი, რომლის პოტენციური მოსავალია ჰექტარზე 14 ტონა მარცვალი საშუალოდ. ჯიში პაპალაშვილი-3 დარაიონდა 1994 წელს აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავი რაიონებისათვის, პოტენციური მოსავალია 9 ტონა მარცვალი ჰექტარზე. დნეპროლი 472 დარაიონდა 1994 წელს აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავი და ურწყავი რაიონებისათვის და უკრაინის სიმინდის მწარმოებელი რაიონებისათვის. პოტენციური მოსავალია 12 ტონა მარცვალი ჰექტარზე.

გასული საუკუნის 1990-იან წლებში სიმინდის ქართული ხაზთაშორისი ჰიბრიდები „ქართული-9“, „ენგური“, „ივერია-503“, „ქართული-52“ და „ივერია-70“ ითესებოდა საქართველოში 70000 ჰექტარზე და საერთოდ სიმინდის ნათესის 250000 ჰექტარზე საშუალო მოსავალი იყო 2,7 ტონა. სიმინდის მარცვლის საერთო მოსავალი 448000 ტონა ანუ დღევანდელთან შედარებით 257 ტონით ნაკლები.

უკანასკნელ წლებში ჩატარებული სამუშაოების შედეგად 2011 წელს საქართველოს გადაეცა 2 ხაზთაშორისი ჰიბრიდი, წილკანი 1, წილკანი 2 და 1 სინთეტიური ჰიბრიდი.

**პიბრიდების მოსავლიანობის 3 წლის შედეგები**

ცხრილი 5.1.

№	დასახელება	ხმელი მარცვლის მოსავალი ტ/ჰა-ზე			საშუალო მოსავალი ტონა ხაზზე	გადახრა სტან- დარტიდან	საშემძლებელო დღეთა რიცხვი	
		2010 წ.	2011წ.	2012წ.		ტ/ჰა		
1	ენგური სტანდარტი	8.8	8.9	7.8	8.1	±0.0	100	128
2	აბაშური ყვითელი 30Xმო17 წილკანი 1	10.0	9.8	8.2	9.3	+1.2	112	128
3	ქართ. კრუგი 44Xბი73 წილკანი 2	9.1	9.7	8.6	9.1	+1.0	112	128
4	იმ 18Xბი 73	9.2	10.1	8.9	9.4	+1.3	116	133
5	ქართული-9 სტანდარტი	7.6	6.3	5.7	6.5	±0.0	100	108
6	სინთეტიკი “ბექა”	7.9	7.8	6.9	7.5	1.0	115	112

სიმინდზე სელექციური მუშაობის მთავარ მიმართულებად ითვლება ხაზთაშორისი პიბრიდიზაცია, რომელიც იძლევა საშუალებას გამოყვანილი იქნას მაღალმოსავლიანი, ხარისხიანი პროდუქციის მომცემი, ჩაწოლისა და დაავადებების მიმართ იმუნური, მექანიზირებული წესით მოვლა-მოყვანისათვის ხელსაყრელი ხაზთაშორისი, მარტივი, ჯიშხაზური და სამხაზოვანი პიბრიდები;

რამდენადაც მდიდარია გენეტიკურად ხაზების საწყისი ჯიშები, იმდენად მათგან მიიღება მრავალმხრივ საინტერესო ხაზები. თვითდამტვერვა ავლენს ჯიშის გენეტიკურ სიმდიდრეს, რაც დაფარულია მის გენოტიპში;

სამეურნეო, ბიოლოგიური, ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური ნიშანთვისებებით სიმინდის უცხოურ და ადგილობრივ პიბრიდებთან შედარებით უკეთესი პიბრიდების გამოყვანის ყველაზე ეფექტური ღონისძიებაა უკეთესი ადგილობრივი ჯიშებიდან მიღებული ხაზებისა და უცხოური ხაზების ერთმანეთთან შეჯვარება.

### **3.3.5. მებოცვრეობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2013 წლის 25 აპრილს მოისმინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ჯემალ გუგუშვილის მოხსენება: “მებოცვრეობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში.”

ადინიშნა, რომ მებოცვრეობა მეცხოველეობის ერთ-ერთი ახალგაზრდა და პერსპექტიული დარგია, რომელიც სხვა სახოფლო-სამეურნეო ცხოველებისაგან გამოირჩევა მაღმწიფადობით, ადვილად შესანახია, იძლევა მაღალი ხარისხის ტყავ-ბეჭვეულის, განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩევა ბოცვრის ხორცი, თავისი გემოთ, ყუათიანობით, ნაზი კონსისტენციით, კულინარული თვისებებით, იგი ძვირფასი დიეტური პროდუქტია. 1კგ ხორცი შეიცავს 1500 კალ ენერგიას, 60% წყალს, 20% ცილას, 19% ცხიმს, 1% ნაცარს, მცირე რაოდენობით- 25გ ქოლესტერინს.

წლის განმავლობაში ერთი დედლისაგან თავისი ნამატით შესაძლებელია მივიღოთ 50 კგ დიეტური ხორცი, 30 ცალი ტყავი, 1 კგ თივთიკი.

მებოცვრეობის განვითარებას ხელს უწყობს დარგის მომგებიანობა. დედალი ცხოველისაგან შესაძლებელია მივიღოთ 20-40 ლარის მოგება.

ჩვენს ქვეყანაში მებოცვეობის მასშტაბური განვითარება **XX** საუკუნის 60 წლებიდან იწყება, როდესაც პირველად იქნა ჩამოყალიბებული ბებნისის, კუმისის, დედოფლისწყაროს, თეთრიწყაროს, მარტყოფის და მარაბდის მებოცვრეობის ფერმები. შემოყვანილი იქნა 450 სული რუხი გოლიათის, შინშილას და თეთრი გოლიათის ჯიშის ბოცვრები. 1989 წელს სულადობამ შეადგინა 350 ათასი, ხოლო 1999 წელს სულადობა შემცირდა 150 ათასამდე. ამჟამად ბოცვრების გავრცელების ძირითადი არეალი პირად საკარმილამო, გლეხურ მეურნეობაშია განთავსებული. სტატისტიკური მონაცემები ბოცვრის სულადობასთან დაკავშირებით ფაქტობრივად არ არსებობს დარგის დეგრადაციის პროცესი სახეზეა.

ცხოველის ბიოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე მებოცვრეობა უნდა განვითარდეს გლეხურ და ფერმერულ მეურნეობაში. მიზანშეწონილია მოშენდეს საქართველოში ბუნებრივ-კლიმატურ პირობებთან შეგუებული და აპრობირებული ბოცვრის ჯიშები, კერძოდ დასავლეთ საქართველოში თეთრი გოლიათი, აღმოსავლეთ საქართველოში რუხი გოლიათი, შინშილა, ვერცხლისებური, სამხრეთ საქართველოში ახალზელანდიური თეთრი, კალიფორნიული.

აღნიშნული ცხოველების საკვებად გამოყენებული უნდა იქნეს - მწვანე სახის საკვებიდან ბუნებრივი და ნაოესი ბალახი-სამყურა, იონჯა, ესპარცეტი, კოინდარი, მრავალძარღვა, უხეში საკვებიდან - თივა, პარკოსნების ძენძო, ფოთლოვანი და წიწვოვანი ხემცენარეების ნეკერი. წნიანი საკვები ცხოველა უნდა მიეცეს წლის ნებისმიერ დროს, საუკეთესო საკვებად ითვლება სტაფილო, ჭარხალი, კომბოსტო, გოგრა, კარტოფილი. მარცვლოვნებიდან მიზანშეწონილია-შვრია, ქერი, სიმინდი, ცერცველა და სხვა. წლის განმავლობაში საკვებზე მოთხოვნილება ერთ ბოცვერზე შეადგენს - მარცვლოვანი საკვები 30 კგ. მწვანე საკვები 150 კგ, ძირხვენები - 40 კგ, თივა - 45 კგ.

დიეტურ ხორცთან ერთად ბოცვერი იძლევა ძვირფას ტყავს და თივთიკს. ზრდასრული ცხოველისაგან 4-5 თვის ასაკში უნდა მოხდეს დაკლული ცხოველის გატყავება და ტყავის დამუშავება. მიზანშეწონილია ტყავის დამუშავება წარიმართოს გატყავების შემდეგ მისი გასუფთავების და ტყავიდან ცხიმის აცლით, ცხიმი საჭიროა გაეცალოს სპეციალურ ფიცარზე საფხეკი დანით კუდიდან თავის მიმართულებით, გაწმენდილი ტყავი უნდა გაშრეს ჩრდილში ან სითბოს წყაროდან მოცილებით 25-30 გრადუსზე გაჭიმულ მდგომარეობაში.

თივთიკის მიღება შესაძლებელია გაკრეჭვით და ჩამოვარცხნით. თივთიკს კრეჭენ ჩვეულებრივი მაკრატლით, რაც შეიძლება კანთან ახლოს. თავდაპირველად ხერხემლის გასწვრივ, შემდეგ ზურგიდან მუცლის მიმართულებით. ჩამოვარცხნა უნდა მოხდეს რკინის სავარცხლით. აღნიშნული მეთოდი იძლევა შედარებით მაღალი ხარისხის ბეჭვს, რადგან ამოივარცხნება მხოლოდ მომწიფებული ბეჭვი.

სწორად წარმართული ზოოტექნიკური დონისძიებების წარმართვის შემთხვევაში სავსებით შესაძლებელია 2020 წლისათვის ბოცვრის სულადობამ ჩვენ ქვეყანაში შეადგინოს სამასი ათასი სული.

აღნიშნულიდან გამომდინარე უნდა აღსდგეს მეცხოველეობის სახელმწიფო სამსახური, რომელსაც დაევალება ექსპედიციური გამოკვლევები, არა მარტო მებოცვრეობაში, არამედ ზოგად მეცხოველეობაში არსებული მდგომარეობის შესახებ. დაადგენს მათ სულადობას, აღწარმოების უნარს და სხვა ზოოტექნიკურ მაჩვენებლებს. განავითარებს სახორცე-ტყავბეჭვეული და სახორცე მიმართულების ბოცვრის ჯიშების სელექციას და მოშენებას, რომლებიც კარგად იქნებიან შეგუებული საქართველოს სხვადასხვა რაიონის შესაბამის კლიმატურ პირობებთან.

საჭიროება მოითხოვს შემუშავდეს კანონი „სოფლად კოოპერირების“-შესახებ, რომელიც გავლენას იქონიებს სოფლად სოციალური სფეროს განვითარებაზე და ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე.

აუცილებელია ზოოვეტერინარი სპეციალისტების მომზადების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება, რომლის წინა პირობაც წარმოადგენს ზოოვეტერინარული უნივერსიტეტის სტატუსის აღდგენა, აღნიშნული უმაღლესი სასწავლებელი სახელმწიფო დაკვეთით მოამზადებს მეცხოველეობისა და ვეტერინარიის პროფილის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს და სამეცნიერო კადრებს.

მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს მებოცვრეობის ასოციაცია, რომელიც, რეკომენდაციებით, რჩევებით დაეხმარება გლეხურ მეურნეობებს მებოცვრეობის საკითხებთან დაკავშირებით, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს დარგის შემდგომი განვითარების საქმეში.

### **3.3.6. ცვლილებები საქართველოს კანონში „ვაზისა და ღვინის შესახებ“**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2013 წლის 25 აპრილს მოისმინა აკადემიკოს ნუგზარ ბალათურიას მოხსენება: “ცვლილებები საქართველოს კანონში „ვაზისა და ღვინის შესახებ“.

აღინიშნა, რომ 1998 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „ვაზისა და ღვინის შესახებ“. გასული წლების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ კანონის მე-11 თავის არსებობა ხელს უშლის საქართველოში თავისუფალი მეწარმეობის განვითარებას და ამით წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლთან, შემდეგ გარემოებათა გამო: კანონით (თავი XI) დადგენილია საქართველოში შემდეგი დასახელების სპირტიანი სასმელების წარმოების შესაძლებლობა (თავი XI, მუხლი 25, პ.1): ა)ღვინის ბრენდი; ბ) ყურძნის არაყი - “ჭაჭა”; გ) მაგარი სასმელი;დ) ლიქიორი და ნაყენი;

ღვინის ბრენდი, კანონის თავი II, მუხლი 3, “ა.ა” ქვეპუნქტის თანახმად, არის დავარგებული საბრენდე სპირტების კუპაჟითა და შემდგომი დამუშავებით მიღებული სპეციფიკური თვისებების მქონე პროდუქტი”. იმავე მუხლის “ა.ო”

ქვეპუნქტის თანახმად, საბრენდე სპირტი - ესაა დვინის ბრენდის წარმოების შუალედური პროდუქტი, რომელიც მიიღება საბრენდე დვინის ორჯერადი ან ერთჯერადი გამოხდით.

ბრენდის და საბრენდე სპირტის და საქართველოს კანონში მოყვანილი განმარტებები ეწინააღმდეგება ევროპავშირის მიერ მიღებულ რეგლამენტებს, რომლებითაც დადგენილია სპირტიანი სასმელების აღნიშვნისა და ტერმინოლოგიის საერთო წესები. კერძოდ, ევროსაბჭოს 1989 წლის 21 მაისის №1576/89 რეგლამენტისა და 1999 წლის 17 მაისის №1493/99 რეგლამენტის შესაბამისად ბრენდი ეს არის არანაკლებ 37,5% მოც. ეთილის სპირტის შემცველი პროდუქტი, რომელიც მიიღება 52-86% სიმაგრის მქონე დვინის დისტილატის შერევით არანაკლებ 94,8% სიმაგრის მქონე დვინის რექტიფიცირებულ სპირტთან და დაყოვნებული მუხის ტკეჩთან შეხებით არა ნაკლებ 6 თვის განმავლობაში. შერეული სპირტი რექტიფიკატის რაოდენობა შეიძლება აღწევდეს საბოლოო პროდუქტში არსებული ალკოჰოლის 50%-ს.

ქართული კანონი (თავი II) მოითხოვს დვინის ბრენდის დამზადებას მხოლოდ დვინის სპირტებისაგან და არ ითვალისწინებს დვინის რექტიფიცირებული სპირტის გამოყენების შესაძლებლობას. ამდენად, ქართულ კანონში მოყვანილი ბრენდის განმარტებები გულისხმობენ ისეთი პროდუქტის მიღებას, რომელიც ევროპავშირის მოთხოვნათა შესაბამისად მიღებული ტერმინოლოგიით იწოდება “კონიაკი”.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს კანონი “ვაზისა და დვინის შესახებ” აიძულებს მეწარმეს აწარმოოს მაღალხარისხოვანი პროდუქტი (კონიაკი) და მისცეს მას დაბალხარისხიანი პროდუქტის – ბრენდის დასახელება. კანონი უკრძალავს მეწარმეს აწარმოოს ბრენდი იმ ტექნოლოგით, რომელიც აღიარებულია ევროსაბჭოს მიერ და ამით ხელს უშლის საქართველოში ალკოჰოლიანი სასმელების წარმოების სფეროში თავისუფალი მეწარმეობის განვითარებას.

დაუსაბუთებელი და ამდენად უსაფუძვლოა კანონში მოყვანილი ყურძნის არყის განმარტება. კერძოდ, კანონის 28-ე მუხლში ნათქვამია, რომ “ყურძნის არყის დამზადებისას დასაშვებია მხოლოდ დვინის სპირტის გამოყენება. დვინის სპირტი შეიძლება იყოს რექტიფიცირებული ან გააქტივებული ნახშირის ფილტრში გაფილტრული ან სხვა ექვივალენტური დამუშავების გზით მიღებული, რაც უზრუნველყოფს იმ ზოგიერთი ორგანოლეპტიკური მახასიათებლის სელექციურ გაძლიერებას, რომლებიც დამახასიათებელია ამ სპირტის ყურძნისეული ნედლეულისათვის”.

ეს განმარტება მცდარია, რადგან მეცნიერება არ იცნობს არანაირ მეთოდს, რომელიც უზრუნველყოფს “იმ ზოგიერთი ორგანოლეპტიკური მახასიათებლის სელექციურ გაძლიერებას, რომლებიც დამახასიათებელია ამ სპირტის ყურძნისეული ნედლეულისათვის”. ამასთან ერთად კანონის აღნიშნული მცდარი მოთხოვნა პრაქტიკულად გამორიცხავს ქართული ნაციონალური ალკოჰოლიანი სასმელის – ჭაჭის არყის წარმოების შესაძლებლობას.

მცდარია დვინის სპირტის კანონში მოყვანილი განმარტებაც (თავი II, მუხლი 3, “ა.ც.” ქვეპუნქტი), რადგანაც დვინის სპირტი ზოგადად ესაა იგივე ეთილის

სპირტი, და ის მიიღება როგორც ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტებისაგან, ასევე ხორბლისა და სხვა მცენარეული ნედლეულის გადამუშავებით.

მცდარია, და უნდა გასწორდეს თავი 1, "ა.ფ." პუნქტში მოყვანილი შაქრიანობის განმარტება, რადგანაც ორგანული ქიმია არ იცნობს ცნებას "დაშლილი შაქრები", და ეს უსწორობა შეიძლება გახდეს მაკონტროლებელი ორგანოების შეცდომაში შეევანის საფუძველი; კანონიდან ასევე ამოღებულ უნდა იქნას 33- მუხლის მე-2 პუნქტი, რადგანაც ის იმეორებს 32-ე მუხლის მე-2 პუნქტს;

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დაგასკვნათ, რომ კანონში "ვაზისა და დვინის შესახებ" მეცნიერულად დაუსაბუთებელი და პრაქტიკულად გაუმართდებელი განმარტებების არსებობა ხელს უშლის საქართველოში მეწარმეობის განვითარებას და ამით წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან დაკავშირებით მოვითხოვთ:

1. საქართველოს კანონიდან "ვაზისა და დვინის შესახებ" ამოღებულ იქნას თავი XI, მუხლი 25, მუხლი 26, მუხლი 27, მუხლი 28, მუხლი 29, მუხლი 30;
2. საქართველოს კანონიდან "ვაზისა და დვინის შესახებ" ამოღებულ იქნას კანონის მე-11 თავთან მიმართებაში არსებული ტერმინები და განმარტებები;
3. კანონში უნდა გასწორდეს მე-2 თავის მუხლი 3, "ა.ფ." პუნქტში მოყვანილი შაქრიანობის განმარტება;
4. კანონიდან ამოღებულ უნდა იქნას 33- მუხლის მე-2 პუნქტი, რადგანაც ის იმეორებს 32-ე მუხლის მე-2 პუნქტს;

### **3.3.7. შუალედური კულტურები და მათი როლი მიწის ინტენსიურად გამოყენების საქმეში**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2013 წლის 25 აპრილს მოისმინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გიგი ცაგურიშვილის მოხსენება: "შუალედური კულტურები და მათი როლი მიწის ინტენსიურად გამოყენების საქმეში"

ადინიშნა, რომ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში დამუშავებული იქნა თემა: „საშემოდგომო ხორბლისთვის მწვანე სასუქად გამოსაყენებელი ცელისპირას აგროტექნიკა ტირიფონას ველისათვის".

იგი მიზნად ისახავდა ხორბლის ორი წლის განმავლობაში ზედიზედ თესვისას მათ შორის თავისუფალი პერიოდი (2,5-3 თვე) გამოყენებული ყოფილიყო შუალედური კულტურების მოსაყვანად.

გამოკვლეულებმა დაადასტურა, რომ ამ მცირე მონაკვეთში შეიძლება 180 ცენტრალური შუალედური კულტურების მოყვანა, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას პირუტყვის საკვებად ან ნიადაგში ჩასახნავად მწვანე სასუქის სახით.

იმ დროიდან მოყოლებული დღემდე მეცნიერის მუშაობის ძირითადი მიზანი იყო ამ დიდი პრობლემის - შუალედური კულტურების შერჩევა, მათი თესვა-მოყვანის ტექნოლოგიის დამუშავება. პარალელურად მიმდინარეობდა მუშაობა

შერჩეული კულტურებისთვის თესლის წარმოების ორგანიზაციის და სრულყოფის საკითხებზე.

ცნობილია, რომ მინდვრის კულტურების მოსავლიანობის გადიდებისთვის ორი გზა არსებობს: პირველი ერთჯერადი თესვის პირობებში მაღალ აგროტექნიკურ ფონზე მაქსიმალური მოსავლის მიღება და მეორეა ძირითადი კულტურებისაგან თავისუფალ შუალედებში შესაბამისი კულტურების შერჩევა და მათი თესვა-მოყვანის სწორი განხორციელება სახნავი მიწის ინტენსიურად გამოყენების მიზნით.

ჩვენი ქვეყანა მცირემიწიანია. ამდენად სახნავი მიწის გონივრული გამოყენება აუცილებლობითაა გათვალისწინებული. აქედან გამომდინარე ძირითადი და შუალედური კულტურების მეცნიერულად დასაბუთებული მორიგეობა საშუალებას გვაძლევს მიწა მთელი წლის განმავლობაში დაკავებული იყოს მოსავლის მისაღებად.

აღნიშნული წესით მიწის გამოყენებისთვის საიმედო გარანტიას იძლევა ჩვენი ქვეყნის შესანიშნავი და გამორჩეული გარემო-კლიმატური პირობები; მცენარისათვის ხანგრძლივი სავაგეტაციო პირობები, ადრეული გაზაფხული და მზიანი შემოდგომა, აქტიურ ტემპერატურათა ჯამის სიდიდე, რომელიც წლის განმავლობაში 4 000 - 4 500 აღწევს, სარწყავი წყალი და ზოგიერთ ადგილებში ბუნებრივი ნალექები.

შუალედური კულტურები მეტად ეფექტურია სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით. ისინი ითესებიან ვიწრო მწერივად ან ჩვეულებრივი წესით მოკლე დროში მთლიანად ფარავენ ნიადაგის ზედაპირს და სარეველებს ზრდა-განვითარების საშუალებას არ აძლევენ. გარდა ამისა შუალედურ კულტურად დათესილი ერთწლოვანი პარკოსნები: ბარდა, ცერცველა, ცულისპირა ატმოსფეროს თავისუფალი აზოტის ფიქსაციას ახდენენ, აუმჯობესებენ მომდევნო მცენარისთვის ზრდა-განვითარების პირობებს. ხელს უშლიან ქარისმიერ და წყლისმიერ ეროზიას. ამასთან ერთად აღნიშნული კულტურებისაგან თავისუფალი ფართობი იძლენად ფხვიერია, რომ მისი დამუშავება თავისუფლად შეიძლება 12-14 სმ სიღრმეზე.

შუალედური კულტურების მნიშვნელობა დიდია მეცხოველეობისათვის მწვანე და წვნიანი საკვებით უზრუნველყოფის საქმეში. ძირითადი და შუალედური კულტურების სწორი შეთანაწყობით შესაძლებელია, რომ პირუტყვი უზრუნველყოფილი იყოს მთელი წლის განმავლობაში მწვანე და წვნიანი საკვებით.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩატარებული გამოკვლევები, წარმოების პირობებში გამოცდის შედეგები მტკიცე საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ ქვეყანაში განსაკუთრებით კი დაბლობ ნაწილში მოვიყვანოთ ყველა ტიპის შუალედური კულტურები, ადრე გაზაფხულზე, თავთავიანი პურეული ნაწვერალზე, შემოდგომაზე და შემოდგომა ზამთარში.

მიწათმოქმედებაში ცნობილია შუალედური კულტურების შემდეგი ტიპები: ადრეული გაზაფხულის შუალედური კულტურა, რომელიც ითესება და მოსავალს იძლევა სამარცვლე სიმინდის თესვის ოპტიმალურ ვადამდე 5-10 მაისამდე. შემდეგ კი ითესება სამარცვლე სიმინდი.

მეორე სანაწილეო შუალედური კულტურა, რომელიც ითესება თავთავიანი პურეულის აღების შემდეგ და მოსავალს გვაძლევს თითქმის ნომბრამდე. ჩვენს ქვეყანაში ეველაზე პერსპექტიული და ფართო მაშტაბით გამოსაყენებელია სწორედ ამ ტიპის შუალედური კულტურა.

მესამე საშემოდგომო შუალედური კულტურა, რომელიც ითესება სასილოსედ ნათესი სიმინდისა და ადრეული ბოსტნეული კულტურებისაგან გამოთავისუფლებულ ფართობებში.

მეოთხე ტიპის (სიცივის ამგანი) შუალედური კულტურები, რომლებიც ითესებიან ზაფხულის ბოლოს, შემოდგომის დასაწყისში, ტურნეფის და რაფსი. ისინი მოსავალს იძლევიან შემოდგომასა და ზამთრის განმავლობაში აპრილის ბოლომდე, შემდეგ კი ითესება ძირითადი კულტურა კერძოდ სამარცვლე სიმინდი.

შუალედური კულტურების ერთ-ერთ ტიპს მიეკუთვნება ასევე სანათიბო შუალედური კულტურების მოყვანა, რომელიც ადრე გაზაფხულზე საკვებად ან სასილოსედ აღებული კულტურების შემდეგ ითესება.

მიზანშეწონილია 2015 წლისათვის შუალედური კულტურების ნათესი ფართობი ავიყვანოთ 80-100 ათას პერსონამდე, ხოლო 2020 წლისთვის 180-200 ათას პერსონამდე.

### **3.3.8. მეაბრეშუმეობაში სამანქანო ტექნოლოგიების და ტექნიკური საშუალებების დანერგვის პერსპექტივები**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2013 წლის 25 აპრილს მოისმინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ელგუჯა შაფაქიძის მოხსენება “შეაბრეშუმეობაში სამანქანო ტექნოლოგიების და ტექნიკური საშუალებების დანერგვის პერსპექტივები”.

აღინიშნა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 20 ივნისის №04 ბრძანებით შეიქმნა კომისია (აკად. წ/კ გ. ნიკოლეიშვილი-კომისიის თავმჯდომარე, აკად. გ. ჯაფარიძე, აკად. თამაზ კუნძულია, აკად. წ/კ ე. შაფაქიძე, ს.მ. მეცნ. კანდიდატი ნ. ბარამიძე, ს.მ. მეცნ. კანდიდატი ე. ჭოლაძე, იურისტი მ. ბაგრატიონი), რომელმაც დაამუშავა “საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარების კონცეფცია 2012-2025 წლებში”; იგი გასაცნობად და რეაგირებისათვის დაგზავნილი იქნა საქართველოს აგრარული მიმართულების სამთავრობო და კვლევით ორგანიზაციებში, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებში.

აღნიშნულმა კონცეფციამ დიდი მოწონება და გამოხმაურება ჰქოვა FAO-სა და ევროკავშირის ქვეყნებში. შავი, კასპიის ზღვის აუზისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების მეაბრეშუმეობის საერთაშორისო ორგანიზაცია BACSA სერიოზულად დაინტერესდა საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის ეგიდით დამუშავებული “საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარების კონცეფციით” და მის შესახებ იმსჯელა 2013 წლის 7-12 აპრილს იტალიის ქალაქ პადუაში გამართულ BACSA-ს მე-6 კონფერენციაზე, სადაც დაიგეგმა შავი, კასპიის ზღვის აუზისა და

ცენტრალური აზიის ქვეყნების მეაბრეშუმეობის აღდგენის პროგრამის დამუშავება ეპროსაბჭოში წარსადგენად, რომელშიც ძირითადად გათვალისწინებული იქნება ქართველი მეცნიერების მიერ დამუშავებულ კონცეფციაში მოცემული ძირითადი დებულებები.

კონცეფციაში აღნიშნულია, რომ “მეაბრეშუმეობა, როგორც ეროვნული მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი, თავიდანაა ჩამოსაყალიბებელი, რისთვისაც საჭიროა: საკვები ბაზის აღდგენა და ყოველმხრივი განმტკიცება; ფერმერებისათვის მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებები - თუთის ექსპლუატაციის და საკვების მოსამზადებელი მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებები, მარტივი კონსტრუქციის საჭირ შენობები და მათში განლაგებული გამოსაკვები მოდერნიზებული თაროები ან მექანიზებული გამოსაკვები დანადგარები, პარკის ნაპერტყულისაგან გამწმენდი მოწყობილობები, ნედლი პარკიდან ძაფის ინდივიდუალურად ამოსახვევი მექანიკური დაზგები და ა.შ. შექმნა და მიწოდება ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით; წარმოებული აბრეშუმის პარკის პირველადი გადამუშავებისა და ხამი ძაფის წარმოებისათვის საჭირო დაზგა-დანადგარების შეძენა, ძაფის რეგიონული ამოხვევის უზრუნველყოფა; კონცერნტუნარიანი პროდუქციის წარმოება”.

მეაბრეშუმეობა, როგორც ეროვნული მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი, თავიდანაა ჩამოსაყალიბებელი, ამისთვის სხვა გადაუდებელ ღონისძიებებთან ერთად საჭიროა:

1. საკვები ბაზის აღდგენა და ყოველმხრივი განმტკიცება; 2. მეთუთეობის შრომატევადი ტექნოლოგიური პროცესების მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების და წარმოებული აბრეშუმის პარკის პირველადი გადამუშავებისა და ხამი ძაფის წარმოებისათვის საჭირო დაზგა-დანადგარების დამუშავება, ძაფის რეგიონული ამოხვევის უზრუნველყოფა; 3. ფერმერების მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა.

მეაბრეშუმეობა შედგება ოთხი დამოუკიდებელი ქვედარგისაგან: საკვებწარმოება - მეთუთეობა, პარკის წარმოება – ნედლი აბრეშუმის პარკის მიღება, პარკის პირველადი დამუშავება და საგრენაჟო წარმოება. ბოლო ორი ქვედარგის ტექნოლოგიური პროცესები ნაწილობრივ მექანიზებულია, რასაც მოკლებულია საკვებწარმოება და განსაკუთრებით პარკის წარმოება, რაც მეაბრეშუმეობის განვითარების ერთ-ერთი ხელისშემშლელი პირობაა; მეაბრეშუმეობის მექანიზაციის საკითხებზე მუშაობისას ყურადღება უნდა გამახვილდეს მეაბრეშუმეობის საკვები ბაზის და ნედლი აბრეშუმის პარკის მისაღებად თუთის აბრეშუმხევიას გამოკვების ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაციის და ავტომატიზაციის საკითხებზე. გარკვეული ყურადღება ამ მიმართულებით უნდა გამახვილდეს საკვებწარმოების და პარკის წარმოების ისეთ მიმართულებებზე, როგორიცაა მეთუთეობა, საკვების დამზადება, მისი ტრანსპორტირება, საკვების მომზადება, მისი შენახვა და თუთის აბრეშუმხევიას გამოკვება.

მეთუთეობაში ჩასატარებელი სამუშაოები ძირითადად სამ ჯგუფად იყოფა: სათეს განყოფილებაში თესლნერგის მოვლა-მოყვანა, სანერგა სკოლაში თუთის ნერგების მოვლა-მოყვანა და თუთის პლანტაციებში ნარგაობის მოვლა-მოყვანის და ექსპლუატაციის სამუშაოები.

დამუშავებულია თუთის სათეხი მანქანის და სათეს განყოფილებაში ნათესების მოვლის ტექნიკური საშუალებების კონსტრუქციები, სათეხი განყოფილების სარწყავი სისტემები, პლანტაციებში ნიადაგის დასამუშავებელი მოწყობილობები, თუთის ექსლუატაციის ხელის მოტორიზებული მოწყობილობები;

თუთის აბრეშუმხვევიას გამოკვებისათვის დამუშავებულია საკვების მომზადების მანქანა-დანადგარები (ფოთოლგამცლელი და ფოთოლსაჭრელი მანქანები), მარტივი ტიპის გამოსაკვები მოწყობილობები ნაძირის საჭიე შენობის გარეთ გამტანი ტრანსპორტით,

თუთის აბრეშუმხვევიას გამოკვებისა და ნედლი აბრეშუმის პარკის მიღების მანქანური ტექნოლოგიები აგრეთვე ითვალისწინებს ფერმერული მეურნეობებისათვის პარკის სახვეწი (საწმენდი) მარტივი ტიპის მოწყობილობას, რომლის კონსტრუქცია დამუშავების პროცესშია.

არსებული ტექნოლოგით თუთის აბრეშუმხვევიას ცენტრალიზებული გამოკვების შედეგად ცოცხალი პარკის პირველადი დამუშავების (ე.ი.გამოხმობის) შედეგად ძაფის ბუნებრივი თვისებები უარესდება და გამოსავალიც მცირდება, ამიტომ სასურველია ძაფი ამოხვეული იქნას ცოცხალი პარკიდან. ამ მიზნის განსახორციელებლად დამუშავების პროცესშია აგრეთვე მარტივი ტიპის ძაფის ამოსახვევი დანადგარი, რათა ფერმერს თვითონ შეეძლოს თავისი დამზადებული პარკის ამოხვევა და მიუცეს ძაფის რეალიზაციის ან სხვადასხვა ნაწარმის დამზადების საშუალება (ძაფის ინდივიდუალური ამოხვევა).

ამრიგად მცირე (ინდივიდუალურ) ფერმერულ მეურნეობებში თუთის აბრეშუმხვევიას ახალი ტექნოლოგით გამოკვების პროცესი გულისხმობს ზღვარის მოშლას სოფლის მეურნეობასა და მსუბუქ მრეწველობას შორის; ეს ნიშნავს, რომ მეაბრეშუმე ფერმერის შრომის საბოლოო პროდუქტი არის აბრეშუმის ძაფი, რაც მეტად ეფექტური ეკონომიკური ღონისძიება იქნება. ამის გათვალისწინებით კორექტივები შევა თუთის აბრეშუმხვევიას წარმოების ტექნოლოგიურ სქემაშიც.

ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციები საშუალებას იძლევა მინიმალური დანახარჯებით განხორციელდეს მეაბრეშუმების აღდგენის და განვითარების ღონისძიებები თანამედროვე სამანქანო ტექნოლოგიების და ტექნიკური საშუალებების ფერმერულ მეურნეობებში დანერგვის გზით, რაც დარგის აღმავლობის წინა პირობა იქნება.

### **3.3.9. ნაბადარი და ნავენახარი ნიადაგების ნაყოფიერების აღდგენის ღონისძიებების შესახებ**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2013 წლის 27 ივნისს მოისმინა აკადემიკოს ჯუმბერ ონიანის მოხსენება “ნაბადარი და ნავენახარი ნიადაგების ნაყოფიერების აღდგენის ღონისძიებების შესახებ”.

აღინიშნა, რომ მეცნიერის მიერ წლების მანძილზე ჩატარებული კვლევების საფუძველზე შემუშავდა ნაბადარი და ნავენახარი დეგრადირებული ნიადაგების ნაყოფიერების, შესაბარებელი ყამირი ნიადაგების ღონემდე აღმდგენელი აგროდონისძიებათა სისტემები. იგი მიიღწეოდა 4 წლის განმავლობაში, მრავალწლოვანი ბალახების რაციონალური გამოყენებით. დადგინდა, რომ ნაყოფიერება აღდგენილ ნიადაგებზე გაშენებული ვენახებისა და ბაღების 10 წლის

ვენახებისა და ბადებისათვის გამოყენებული ნიადაგების ნაყოფიერების გასაუმჯობესებლად უკეთეს შედეგს იძლევა მინერალური სასუქების, მრავალწლოვანი ბალახებისა და სიდერატების შეთანაწყობა, მათი რაციონალური გამოყენებით უმჯობესდება ნიადაგების ქიმიურ, ფიზიკურ-ქიმიური, ფიზიკური წყლისმიერი და მიკრბიოლოგიური თვისებები. 10 წლის საშუალო საპექტარო მოსავლიანობა 18-40 ც/ჰა იზრდება, საკონტროლო სისტემასთან შედარებით.

რეკომენდირებული სისტემების რაციონალური გამოყენებით შესაძლებელი გახდა ნავენახარ და ნაბალახარ ნიადაგებზე, მათი შეუსვენებლად იმავე კულტურების აღწარმოება, ე.ი. იგი ასრულებს ნაყოფცვლის მაგივრობას, რაც განაპირობებს მიწის მოვლისა და ქლოროზოვანი დაავადების თავიდან აცილებას.

შემუშავებული იქნა ვაზის ფესვთა სისტემის შესწავლის მეთოდი, ვენახებში ნიადაგის დამუშავების მეთოდი, მდელოს ყავისფერი და ყავისფერი ნიადაგების ნაყოფიერების ხარისხობრივი მაჩვენებლებისა და ჯიშების მოსავლიანობის მიხედვით ექსპერიმენტალური მოდელები და ახალი თეორიები.

ვენახებში მოსავლის აღებისთანავე, ბარდის მთელ ფართობზე სისტემატური თესვა და მასობრივი ყვავილობის პერიოდში 10-15 სმ ჩახვნა წარმატებით ცვლის მინერალური აზოტის გამოყენებას, ბიოლოგიური აზოტით.

მრავალწლოვანმა კვლევებმა დაადასტურა, რომ წყლით უზრუნველყოფილი ბადების ნიადაგების მუდმივი ხელოვნური დაკორდება აუმჯობესებს ნიადაგის თვისებებს, ზრდის მოსავლიანობას, ნიადაგების მოვლას, ქლოროზოვან დაავადებებს და განაპირობებს ნიადაგების მინიმალურ დამუშავებას. მცენარეთა ვეგეტაციის პერიოდში ნიადაგებში წყლის შემცველობის საველე ზღვრული ტენტევადობისა და მისი 80% შორის რეგულირების შედეგად სარეველა ბალახები იცვლება, სასარგებლო ბალახებით.

ორმოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში წარმოებული კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების გაანალიზებამ შესაძლებელი გახადა ნიადაგური ტიპებისა და ფენების მიხედვით დადგენილიყო მცენარეთა ნორმალური ზრდა-განვითარებისა და ნიადაგების დამუშავებისათვის საჭირო ოპტიმალური და დასაშვები ტენიანობის პარამეტრები.

დღემდე შემუშავებულია დეგრადირებული ნიადაგების ნაყოფიერების აღდგენის, ბალებისათვის და ვენახებისათვის გამოყენებული ნიადაგების ნაყოფიერების გასაუმჯობესებლად 30 რეკომენდაცია, 15 ნიადაგების მოვლის სისტემა და 6 ახალი თეორია. ესენია: ნიადაგთწარმომქმნელ ხუთ ფაქტორთა შორის წამყვანი როლი ანთროპოგენურ ფაქტორებს ენიჭება; წარმოებაში მასობრივად დასანერგი რეკომენდაციების სისტემებისა და ტექნოლოგიების შემოწმება უნდა ხდებოდეს: მოსავლიანობით, მიღებული პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლებისა და ნიადაგებში მიმდინარე თვისებათა ცვლილებების მიხედვით; ნიადაგების დაპლანტაციების ოპტიმალურ სიდრმეს განსაზღვრავს მათი თვისებები და მცენარეთა ფესვთა სისტემის განლაგების ხასიათი; ესა თუ ის სახეობები და აგროკულტურები ნიადაგებს ამზადებენ არა თავისთვის, არამედ სხვა სახეობების და სხვა აგროკულტურებისათვის;

მრავალწლოვანი კულტურების ფართობებზე განლაგება უნდა ხდებოდეს, ნიადაგების თვისებებისა და ამ თვისებებისადმი მცენარეთა მოთხოვნილებების შესაბამისად; სოფლის მეურნეობის დარგში მოღვაწე მეცნიერთა ვალია შეიცნონ ბუნების კანონზომიერებანი, გაითავისონ ისინი და გამოიყენონ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა აღწარმოებისათვის;

მრავალწლოვან კულტურებში ნათესბალახიანი სისტემების რაციონალურად გამოყენება, უზრუნველყოფს რამოდენიმე დიდი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამედროვე მეცნიერულ დონეზე ფუნქციონირებას – უკელა შესაბამისი მოთხოვნილებების სრული დაკმაყოფილებით.

წარმოებული კვლევების შედეგები წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული უკელა იმ ქვეყნების ნიადაგების ნაყოფიერების გასაუმჯობესებლად, რომლებიც მრავალწლოვან კულტურებს აწარმოებენ.

### **3.3.10. საქართველოს აგრარული სექტორის ტექნოლოგიურ-რესურსული პოტენციალი და მისი ზრდის ეკონომიკური მექანიზმი**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2013 წლის 27 ივნისს მოისმინა აკადემიკოს ომარ ქეშელაშვილის მოხსენება „საქართველოს აგრარული სექტორის ტექნოლოგიურ-რესურსული პოტენციალი და მისი ზრდის ეკონომიკური მექანიზმი“.

აღნიშნული პრიორიტეტული პრობლემის დამუშავების საჭიროება, და მნიშვნელობა განსაკუთრებული აქტუალობითა და სიმწვავით დადგა დღევანდელ ეტაპზე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების მრავალწლიური ტრადიციების შესწავლითა და სიტუაციურ-ფაქტორული ანალიზით დასტურდება, რომ ამ სფეროს დიდი პოტენციალური შესაძლებლობები არასრულად, არარაციონალურად და არაეფექტურად გამოიყენება, რამაც თვალსაჩინო დისპროპორციები შექმნა წარმოების ზრდის თვალსაზრისით. ჯერ კიდევ დიდი შეუსაბამობებია აგრარული სექტორის ეკონომიკურ-ტექნოლოგიური გარემოს ცალკეული ელემენტის ურთიერთშეჯერებული და შეწონასწორებული გამოყენების ერთიან სისტემაში.

უკველივე ეს აუცილებელს ხდის კომპლექსურად იქნას შესწავლილი სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიური და საწარმოო-რესურსული პოტენციალი და დამუშავდეს მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებები მისი ეტაპობრივი ზრდის თვალსაზრისით. ეს სამუშაოები უნდა შესრულდეს დარგობრივი და რეგიონული მიდგომებისა და პოზიციების შესაბამისად, რაც საქართველოს პირობებისათვის უდავო სიახლეს წარმოადგენს და ადასტურებს პრობლემის გადაწყვეტის აქტუალობასა და მეცნიერულ-პრაქტიკულ მნიშვნელობას.

აღნიშნული გამოკვლევები მოითხოვს ახლებურ, მოდიფიცირებულ ტექნოლოგიურ, საწარმოო და ეკონომიკურ პარამეტრებზე დაყრდნობილი გადაწყვეტილებების შემუშავებას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნოლოგიური, რესურსული და სტრუქტურული სრულყოფისა და რაციონალიზაციის მოტივაციური მოთხოვნების შესაბამისად.

ამ პრობლემის მეცნიერულად დასაბუთებულმა გადაწყვეტამ ხელი უნდა შეუწყოს სოფლის მეურნეობის განვითარების პოტენციალის საერთო კომპლექსის თითოეული ელემენტის მკაცრად მიზნობრივ, რაციონალურ და მოგებაზე ორიენტირებულ გამოყენებას. ეს მოიცავს ზონალობაზე მორგებულ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის დარგობრივ ტექნოლოგიურ არსენალს, რესურსულ შესაძლებლობებს, ეკონომიკურ-ორგანიზაციულ მექანიზმს.

აღნიშნულ პროექტს მჭიდრო კავშირი აქვს სამთავრობო პრიორიტეტებთან, რომლის მიზანია ქვეყნის ეკონომიკური სტაბილიზაცია, საწარმოო და ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცება, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სიღარიბის დაძლევა, ლოგიკურად და უშუალოდ გამომდინარეობს მათგან და იგი უნდა მივიჩნიოთ სახელმწიფობრივი მნიშვნელობის, მომავალზე ორიენტირებულ, პროგრესული ხედვის პრიორიტეტულ სტრატეგიულ პროგრამად.

ამჟამად, საქართველოში, ასეთი, ფართომასშტაბური, მრავალკომპონენტიანი, ახლებურად დანახული და მომავალზე ორიენტირებული, სტრატეგიული სისტემა, როგორც სამეცნიერო-პრაქტიკული ხასიათის კომპლექსური და სისტემურად სრულყოფილი ნაშრომი (რეკომენდაციები) არ გაგვაჩნია, ამიტომ, მისი მომზადება, რომელიც სხვადასხვა დარგის მეცნიერთა ერთობლივ შრომასა და ძალისხმევას მოითხოვს დიდად საშური საქმეა.

**აღნიშნული პრიორიტეტული სტრატეგიის აქტუალობა და სიახლე დასტურდება იმით, რომ:**

მასში, ჩვენს პრაქტიკაში პირველად იქნება ასახულ-წარმოდგენილი სოფლის მეურნეობის ფუნქციონირების მთელი ტექნოლოგიური გარემო, ფართო სპექტრის საწარმოო-რესურსული პოტენციალი, რეგიონულ-დარგობრივი მოდიფიკაციებით, ინსტიტუციონალური სისტემა.

პრიორიტეტული სტრატეგიის დამუშავების შედეგად მომზადებული ნაშრომი არსობრივად იქნება: ფუნდამენტურ-გლობალური, მიზნობრივ-სტრატეგიული, რეგიონულ-დიფერენცირებული, ეკონომიკურად უსაფრთხო და სოციალურად ორიენტირებული.

ნაშრომს, მეცნიერულთან ერთად დიდი გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს. ჯერ ერთი იგი, საშუალებას მისცემს მეცნიერებს დაეყრდნონ საფუძვლიან, უტყუარ, ამასთან, ერთ სისტემაში თავმოყრილ მასალას, ცნობებს, მონაცემებს, პარამეტრებს, ნორმატივებს, შეფასებებსა და პოზიციებს სოფლის მეურნეობის მთელი სისტემური ციკლის მიხედვით;

მეორეს მხრივ იგი, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მუშაკებისათვის (ფერმერები, ოჯახური მეურნეობები, სპეციალისტები) წარმოადგენს საწარმო-ტექნოლოგიურ დონისძიებათა ერთიან, ყოვლისმომცველ და პრაქტიკული თვალსაზრისით მდიდარ, რეკომენდაციური სტილის ქრესტომატიას, რომელზე დაყრდნობითაც მათ საშუალება ეძლევათ, თანამედროვე მოთხოვნების საფუძველზე და მასზე დაყრდნობით, დასაბუთებულად გამოიყენონ მთელი პოტენციური შესაძლებლობები, გაუძღვენ მეურნეობას (წარმოებას) და ამით გარანტია შექმნან მოგების მისაღებად და სტაბილური კვლავწარმოებისათვის.

**პრიორიტეტული სტრატეგიის აღწერა:**

ამ სახის გამოკვლევები საქართველოს პირობებში პირველად სრულდება, რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნება თანამედროვე ეკონომიკის ძირითადი მოტივაციური მოთხოვნების მთელი სისტემა, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს მკაცრად მიზნობრივ გამოკვლევებს, რეგიონულ-დიფერენცირებულ და მოდიფიცირებულ მიღებას.

**გამოკვლევათა აქტუალურობა და მიზანშეწონილობა** გაპირობებულია საბაზრო ურთიერთობათ იმ მოთხოვნებით, რაც უკავშირდება წარმოების ოპტიმიზაციასა და ინტეგრაციას, მოხმარების რაციონალიზაციას, რესურსული და ტექნოლოგიური პოტენციალის მაღალი უკუგებით გამოყენებას, რამაც უნდა უზრუნველყოს ეკონომიკური ზრდა და სასურსათო უსაფრთხოება.

პრობლემის დამუშავებამ უნდა უზრუნველყოს სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიური და საწარმოო-რესურსული პოტენციალის განვითარება, რაციონალური და ეფექტური გამოყენება.

### მიზანი

პროექტის დამუშავების მიზანია: დადგინდეს და შეფასდეს სოფლის მეურნეობის დარგობრივი და რეგიონული ტექნოლოგიური და საწარმოო-რესურსული პოტენციალი, განისაზღვროს მისი განმტკიცებისა და რაციონალიზაციის რეალური შესაძლებლობები და ეკონომიკური მექანიზმი, დამუშავდეს სტრატეგიულ-პრიორიტეტული მიმართულებები და მეცნიერულად დასაბუთებული პროგნოზული რეკომენდაციები.

ამ მიზნის განხორციელება მოითხოვს საგანგებო გამოკვლევების ჩატარებას და შემდეგი კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტას (თემების დამუშავებას);

I. სოფლის მეურნეობის დარგობრივი და რეგიონული ტექნოლოგიური პოტენციალის (კომპლექსის) შეფასება და მისი ზრდის სტრატეგიულ-პრიორიტეტული, მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების დამუშავება, შესაბამისი საცნობარო-ნორმატიული პარამეტრული ბაზის შექმნით

1.1. **ერთწლიანი კულტურების რეგიონული ტექნოლოგიური კომპლექსის შეფასება** და მისი ზრდის სტრატეგიულ-პრიორიტეტული, მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების დამუშავება, შესაბამისი საცნობარო-ნორმატიული პარამეტრული ბაზის შექმნით; (მარცვლეული, მარცვლეულ-პარკოსანი, ბოსტნეულ-ბალჩეული, კარტოფილი, ტექნიკური კულტურების მიხედვით);

1.2. **მრავალწლიანი კულტურების რეგიონული ტექნოლოგიური კომპლექსის შეფასება** და მისი ზრდის სტრატეგიულ-პრიორიტეტული, მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების დამუშავება, შესაბამისი საცნობარო-ნორმატიული პარამეტრული ბაზის შექმნით (ხეხილოვანი კულტურების, ვაზის, ჩაის, ციტრუსებისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების მიხედვით);

1.3. **მეცნოველეობის დარგობრივ-რეგიონული ტექნოლოგიური კომპლექსის შეფასება** და მისი ზრდის სტრატეგიულ-პრიორიტეტული, მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების დამუშავება, შესაბამისი საცნობარო-ნორმატიული პარამეტრული ბაზის შექმნით (მსხვილფეხა რქოსანის, დორის, ცხვრისა და თხის, ბოცვერის, ფრინველის და სხვათა მიხედვით).

II. სოფლის მეურნეობის რეგიონული საწარმოო-რესურსული პოტენციალის შეფასება და მისი ზრდის სტრატეგიულ-პრიორიტეტული, მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების დამუშავება

2.1. მიწის რესურსების გამოყენების შეფასება და მისი სრულყოფის რეგიონული, სტრატეგიულ-პრიორიტეტული, მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციებისა და პროგნოზის დამუშავება;

2.2. სოფლის მეურნეობაში ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების შეფასება და მისი სრულყოფის რეგიონული, სტრატეგიულ-პრიორიტეტული, მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციებისა და პროგნოზის დამუშავება;

2.3. სოფლის მეურნეობაში მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენების შეფასება და მისი სრულყოფის რეგიონული, სტრატეგიულ-პრიორიტეტული, მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციებისა და პროგნოზის დამუშავება;

2.4. სოფლის მეურნეობაში შრომითი რესურსების გამოყენების შეფასება და მისი სრულყოფის რეგიონული, სტრატეგიულ-პრიორიტეტული, მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციებისა და პროგნოზის დამუშავება.

III. დამუშავდეს სოფლის მეურნეობაში ტექნოლოგიური და რესურსული პოტენციალის გამოყენებისა და ზრდის ეკონომიკური მექანიზმის რეგიონული, სტრატეგიულ-პრიორიტეტული, მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები

3.1 საფინანსო-საბანკო და ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა სისტემა და მისი სრულყოფის რეკომენდაციები;

3.2. საგადასახადო მექანიზმის არსებული მოდელის შეფასება და მისი სრულყოფის რეგიონულ-დიფერენცირებული რეკომენდაციები;

3.3. სასურსათო პროდუქციის ფასებისა და ფასწარმოქნის რეგულირებისა და სრულყოფის რეგიონულ-დიფერენცირებული რეკომენდაციები;

3.4. აგრარული სექტორის სახელმწიფო, რაიონული და საწარმოო დონის მენეჯმენტის სტრატეგიულ-პროგრამული მოდელები და მისი რეგულირებული გამოყენების რეკომენდაციები;

4.4 საგარეო-ეკონომიკური კავშირების რეგულირებისა და სრულყოფის რეკომენდაციები და პროგნოზი.

#### მოსალოდნელი შედეგები:

სოფლის მეურნეობის რეალური, მეცნიერულად დასაბუთებული დარგობრივი და ზონალურ დიფერენცირებული ტექნოლოგიური სისტემის შექმნა;

1. სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიური პოტენციალის განმტკიცება;
2. სოფლის მეურნეობის რესურსული პოტენციალის განმტკიცება;
3. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდის უზრუნველყოფა;
4. სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
5. სიდარიბის დაძლევა;
6. ეკონომიკური ზრდა;
7. მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესება.

აღნიშნული სამეცნიერო-გამოყენებითი პროექტი უნდა დამუშავდეს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ხაზით, საგრანტო, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გამოყოფილი ან სხვა ფორმის დაფინანსებით.

მასში მონაწილეობას მიიღებენ ამ აკადემიის წევრები და წევრ-კორესპონდენტები, სხვადასხვა დარგის ცნობილი მეცნიერები და ამ გზით ისინი მიიღებენ დამატებით სოლიდურ ანაზღაურებას.

ამისათვის, საჭირო იქნება შეიქმნას დროებითი შემოქმედებითი ჯგუფი.

ასეთი სამეცნიერო-გამოყენებითი პროექტის დამუშავება და დანერგვა, დღეს განსაკუთრებით საჭიროა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და მისი სტაბილური და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფისათვის.

### 3.3.11. პროგრამა “მარცვლის შესახებ”

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2013 წლის 27 ივნისს მოისმინა აკადემიკოს პეტრე ნასყიდაშვილის მოხსენება “პროგრამა მარცვლი შესახებ” .

აღინიშნა, რომ საქართველო ოდითგანვე აგრარული ქვეყანა იყო. მიწათმოქმედება ქართველი კაცის სამეურნეო საქმიანობასთან ერთად ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ ქვის ხანაში. იგი უძველესი დროიდან იწყებს ნედლეულის, მიწის წიაღისეულის მოპოვებას, რკინის დამუშავებას და სამრეწველო საქმიანობას, მაგრამ ქართველი ხალხის მთელი საქმიანობა მაინც უშუალოდ მიწათმოქმედების განვითარებასთანაა დაკავშირებული. ამის ნათელი მაგალითია მათ მიერ შექმნილი და დღემდე მოტანილი ხორბლის, ვაზის, ხეხილის, ბოსტნის, მსხვილფეხა საქონლის, ფრინველის, ფუტკრისა და სხვა მრავალი აბორიგენული და უნიკალური ჯიშები.

მსოფლიო ექსპერტთა ანალიტიკური მონაცემების საფუძველზე დადასტურებულია, რომ XXI საუკუნეს კაცობრიობა მეტად გამწვავებული სასურსათო პრობლემით შეხვდა. თუ ახალი საუკუნის დამდეგისათვის დედამიწაზე შიმშილობდა მოსახლეობის 17%, უახლოეს 10-15 წელიწადში ეს საფრთხე ემუქრება პლანეტის მცხოვრებთა 25%-ს, ამიტომ სასურსათო უზრუნველყოფის პრობლემებიდან ყველაზე მთავარი იყო და მომავალშიც დარჩება, მარცვლეულის წარმოების გადიდების ამოცანა, რომლის წარმატებით გადაწყვეტა ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარების საფუძველთა საფუძველს წარმოადგენს.

კულტურულ მცენარეთა შორის ჩვენი ქვეყნისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია მარცვლეული კულტურები, რომელშიც გაერთიანებულია კულტურათა ორი ჯგუფი: 1) თავთავიანი პურეული (ხორბალი, ქერი, ჭვავი, შვრია), ბურღულეული (სიმინდი, ღომი, ფეტვი, წიწიბურა), 2) სამარცვლე პარკოსნები (ლობიო, სოია,) და ზეთოვანი (მზესუმზირა).

საქართველო კლიმატური და ნიადაგური პირობების მრავალფეროვნებისა და მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური და ჰორიზონტალური ზონალობის გამო, ერთწლოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის დაყოფილია 22 ზონად, ხოლო მრავალწლოვანი კულტურებისათვის 15 ზონად. ყველა ეს ზონა მკვეთრად განირჩევა მსოფლიოში არსებული ზონებისაგან. ამის გამო, მსოფლიოს ნებისმიერ ზონაში ჩატარებული გამოცდის შედეგები, მიუღებელია საქართველოსათვის. ყოველივე

აღნიშნულის გამო, აუცილებელია თითოეული რაიონისა და ზონისათვის, ჯიშებისა და ჰიბრიდების ზუსტად შერჩევა, მათ დარაიონებამდე ობიექტური შეფასება და რეკომენდაცია ზონისათვის, რასაც კანონის შესაბამისად, აწარმოებდა ჯიშთა გამოცდის თითოეული სადგური.

ცნობილია, რომ საქართველო დაყოფილია საწარმოო სპეციალიზაციის 11 ზონად. მარცვლეულის წარმოების განვითარების ბუნებრივ-სამეურნეო პირობებმა განაპირობეს მათი განსხვავებული სახეობების განლაგება დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში.

ცნობილია, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა შერჩევისა და შემადგენლობის განსაზღვრა დამოკიდებულია ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების კომპლექსზე. თავისთავად ცხადია, რომ, თუ დარგი არ შეესაბამება ამ პირობებს, მისი პროდუქტიულობა ჩვეულებრივ დაბალია. ასეთ შემთხვევაში, ნებისმიერი მეურნეობრივი ფორმირების მიერ, პროდუქციის წარმოებაზე სრული დანახარჯები მაღალია, რაც წარმოებული პროდუქციის გაძვირებას იწვევს.

მიზეზი იმისა, რომ დაბალია მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა, არის ის, რომ ითესება წინასწარ შეუსწავლელი ჯიშებისა და ჰიბრიდების თესლი. ჯიშისა და ჰიბრიდის შესწავლა ტარდებოდა ზონების მიხედვით ჯიშთაგამოცდისა და დანერგვის სისტემაში. ჯიშთა გამოცდის სისტემა იყო ობიექტური და ზუსტი, და ორი წლის გამოცდის შედეგად იმ უკეთეს ჯიშსა და ჰიბრიდს უწევდა რეკომენდაციას წარმოებაში დასანერგად (დასარაიონებლად), რომელიც იძლეოდა მაღალ, მყარ და ხარისხიან მოსავალს. სამწუხაროდ, დღეს ეს სისტემა გაუქმებულია და ამიტომ ქვეყანაში იგნორირებულია როგორც ახალი ჯიშებისა და ჰიბრიდების გამოყვანა, ასევე ჯიშების და ჰიბრიდების მეთესლეობა. მარცვლეული კულტურების, ქვეყნისათვის საჭირო ჯიშიანი და ჰიბრიდული თესლის წარმოებისათვის აღდგენილი უნდა იქნეს სელექცია-მეთესლეობის სისტემა თავისი 5 საფეხურით: 1) სელექცია (ახალი ჯიშებისა და ჰიბრიდების მიღება), 2) ჯიშთა გამოცდა და დარაიონება, 3) მეთესლეობა, 4) ჯიშიანი თესლის წარმოება და დამზადება, 5) ჯიშობრივი თესლის (ნერგის) კონტროლი.

ამრიგად, სელექციური მიღწევების გამოცდის სამსახური კონტროლის ტიპის ორგანიზაციაა, რომელიც ახალ ჯიშსა და ჰიბრიდს აძლევს ობიექტურ შეფასებას წარმოებაში გასავრცელებლად (დასარაიონებლად).

საქართველოში ობიექტური მიზეზების (მცირე მიწიანობა, მაღალმთიანობა) გამო თითქმის შეუძლებელია არა თუ ოპტიმალური, არამედ მინიმალური მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილება საკუთარი წარმოების მარცვლეულით. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ქვეყანაში დღეს არ იყოს მარცვლეულის წარმოების შემდგომი გადიდებისა და სასურსათოდ საკმარისი მარცვლეულის მიღების რეალური შესაძლებლობანი. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პროგნოზი მჭიდროდაა დამოკიდებული ახალი მიწების ათვისების მოსალოდნელი ტრანსფორმაციის, მელიორაციულ და მიწების დაცვის სხვა ღონისძიებებთან.

კულტურისათვის შესაფერისი აგროტექნოლოგიური ღონისძიებების გატარებით, მაღალხარისხოვანი რეპროდუქციული თესლით, საუკეთესო ბუნებრივი, მატერიალური, შრომითი, ინტელექტუალური და გეოპოლიტიკური პოტენციალის რეალურად ამოქმედებით და ეფექტიანობის ამაღლების გზით, საქართველოს შეუძლია ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიოს ინტეგრაციულ პროცესებში.

საქართველოში არის შესაძლებლობა წარმოებული იქნეს 600-650 ათასი ტონა ხორბალი, 100 ათასი ტონა ქერი, 900 ათასი ტონა სიმინდი, 20 ათასი ტონა ლობიო, 20 ათასი ტონა სოია, 500 ტონა წიწიბურა და ა. შ.

საუკუნეზე მეტმა ხანმა განვლო მას შემდეგ, რაც დამუშავდა და ყველა ქვეყნის სოფლის მეურნეობის პრაქტიკით დადასტურდა, კულტურათა სწორი მორიგეობის თეორია. მრავალი წლის გამოცდილება მოწმობს, რომ ამა თუ იმ კულტურის ყველაზე ცუდი წინამორბედი თვით ეს კულტურაა, ხოლო კულტურათა სწორი მორიგეობა, ხელს უწყობს ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებას და მოსავლიანობას ზრდის 20-25%-ით.

ერთსა და იმავე მინდორზე მარცვლეული კულტურების რამდენიმე წელიწადს ზედიზედ თესვა იწვევს საკვები ნივთიერებებით ნიადაგის ცალმხრივ გადარიბებას, ხელს უწყობს ერთგვაროვანი სარეველებით ნიადაგის დასარევლიანებას, დაავადებებისა და მავნებლების გავრცელებას, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მოსავლიანობას და მის ხარისხს, ამიტომ ერთსა და იმავე ნაკვთზე მარცვლეული კულტურების ზედიზედ თესვა დასაშვებია მხოლოდ და მხოლოდ ორ წელიწადს.

აღმოსავლეთ საქართველოს ურწყავ, გვალვიან პირობებში საგვიანო წინამორბედების მოსავლის აღების შემდეგ, ნიადაგი ძალზე გამომშრალი რჩება, რის გამოც ნიადაგის მომზადება გაძნელებულია და საშემოდგომო თავთავიანების თესვა წარმოებს გვიან, გამომშრალ, ბელტიან ხნულში, აღმოცენდება ზამთარში ან ზამთრის ბოლოს. ასეთი სუსტი ნათესები, ხშირად ქარებისგან ზიანდება ან მთლიანად იღუპება, ამიტომ, ამ პირობებში წინამორბედის ლირსება მით უფრო მაღალია, რაც უფრო ადრე ათავისუფლებს იგი მინდორს. მათზე თესვის დროისათვის ყოველთვის მაღალია ნიადაგში ტენის და შესათვისებელი საკვებ ნივთიერებათა მარაგი. ასეთი წინამორბედებია: სამარცვლე პარკოსანი კულტურები, სასილოსე სიმინდი, სიმინდი მწვანე საკვებად, ფართომწკრივად (70X210 სმ.) ნათესი სამარცვლე სიმინდი, ერთწლიანი პარკოსნებისა და მარცვლოვანების (შვრიანარევი ბარდა ან ცერცველა) ნარევი მწვანე საკვებად და მრავალწლიანი ბალახების კორდი.

აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავ მიწებზე თავთავიანი კულტურების სასურველი წინამორბედია: სამარცვლე სიმინდი (მოკლე ვეგებაციის), სასილოსე სიმინდი, ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურები, მრავალწლოვანი ბალახების კორდი, სანაწვერალო კულტურები, სამარცვლე-პარკოსანი კულტურებით მოთესილი ანეული.

დასავლეთ საქართველოში თავთავიანები მირითადად სათოხნი კულტურების (სიმინდი, სოია) და ერთწლიანი საკვები კულტურების შემდეგ ითესება.

რეკომენდებული წინამორბედების შემდეგ თესვა უზრუნველყოფს მიწების ინტენსიურად გამოყენებას, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებას, მოსავლიანობის ზრდას, მარცვლის ხარისხის გაუმჯობესებას, შხამქიმიკატების, ჰერბიციდების და სასუქების მოქმედი ნორმების მნიშვნელოვნად შემცირებას.

მარცვლეული კულტურებისათვის ნიადაგის დამუშავება უნდა ჩატარდეს კულტურებისათვის და წინამორბედისათვის დამახასიათებელი თვისებების, წინამორბედი კულტურის თავისებურებების, ნაკვეთის დასარევლიანების და ეროზიისაგან ნიადაგის დაცვის დონისძიებების გათვალისწინებით.

თავთავიანები, როგორც წესი, ფართობს შეა ზაფხულში ათავისუფლებს, რის შემდეგ არსებობს სრული შესაძლებლობა, ნაწვერალის ნახევრად ანეულის წესით დამუშავებისა. ამ შემთხვევაში ნაწვერალი იხვნება წინასწარი აჩეჩვის გარეშე, მოსავლის აღებისთანავე, სრულ სიღრმეზე. სარეველების გამოჩენისთანავე ტარდება კულტივაცია დაფარცხვით. ეს ოპერაცია უნდა განმეორდეს, თუ საშემოდგომო თესვამდე სარეველები ისევ აღმოცენდება. ასევე ნახევრადანეულის წესით უნდა დამუშავდეს სამარცვლე პარკოსანი კულტურებით და მწვანე საკვებად ან თივად ნათესი ერთწლოვანი მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურებით დაკავებული მინდორი. მოსავლის აღებისთანავე მოხსელ ნაწვერალზე ხორბლის მოსავალი შესაბამისად 2-4 ცენტნერით იზრდება თესვამდე 20-22 დღით ადრე მოხსელთან შედარებით.

საშემოდგომო თესვის ოპტიმალურ ვადაში ჩატარების უზრუნველსაყოფად, სიმინდის მოსავლის აღება უნდა ჩატარდეს შემჭიდროვებულ ვადებში, იმ ვარაუდით, რომ ნიადაგი დამუშავდეს თესვამდე 15-20 დღით ადრე მაინც. აღმოსავლეთ საქართველოს საწარმოო სპეციალიზაციის I, II, III, IV და V ზონებში საშემოდგომო თესვისათვის ნასიმინდარი უმჯობესია ჯერ დამუშავდეს მძიმე დისკოებიანი ფარცხით და შემდეგ მოიხნას 22-25 სმ-ის სიღრმეზე. ასევე უნდა დამუშავდეს სასილოსე ნასიმინდარი, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ მოსავლის აღებიდან საშემოდგომო თესვამდე ამ შემთხვევაში მეტი დრო რჩება და ხნულის დასარევლიანების შემთხვევაში საჭირო იქნება კულტივაცია-დაფარცხის ჩატარება. ასეთივე წესით უნდა დამუშავდეს ნამზესუმზირალი საწარმოო სპეციალიზაციის II ზონაში (გარე კახეთი), აგრეთვე სიღნაღისა და საგარეჯოს რაიონების უკანა მხარეში. ნასიმინდარის თესვისწინა დამუშავება კორდის მსგავსად ტარდება მძიმე დისკოიანი იარაღით.

დასავლეთ საქართველოში, კერძოდ იმერეთის დაბლობზე და რაჭის მთისწინა ზონაში თავთავიანები ძირითადად ნასიმინდარზე ითესება. ნიადაგი იხვნება 20-22 სმ. სიღრმეზე, თესვამდე 15-20 დღით ადრე, ხნული მუშავდება მძიმე დისკოებიანი ფარცხით ერთი ან ორი მიმართულებით. ზემო იმერეთისა და რაჭა-ლეჩხეუმის მთიან ზონაში ფერდობებზე, როგორც ხვნა, ისე თესვისწინა დამუშავება და თესვა ხდება, ფერდობების დახრილობის განვად. ეროზიულ ფერდობებზე როგორც ხვნა, ისე თესვისწინა დამუშავება ტარდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მთელ სიღრმეზე, ხოლო ხნულის დაღრმავება ხდება, გუთანზე დამაგრებული დამაღრმავებელით.

სარწყავ და ტენით უზრუნველყოფილ მიწებზე მინერალური სასუქების უფრო მაღალი დოზები შეაქვთ, ვიდრე ურწყავ და გვალვიან ზონებში, რადგან ტენით უზრუნველყოფილ პირობებში მცენარე მინერალურ სასუქებს უფრო უკეთ ითვისებს და მისი უფექტიც მეტია.

ნათესის გასანოფიერებლად მხოლოდ აზოტიანი სასუქის გამოყენება, რასაც ხშირად აქვს ადგილი ფერმერულ მეურნეობებში, ნებატიურ გავლენას ახდენს მცენარის ნორმალურ ზრდა-განვითარებაზე და იწვევს მოსავლიანობის შემცირებას და პროდუქციის ხარისხის გაუარესებას. ამიტომ დამაკმაყოფილებელი შედეგის მისაღებად აუცილებელია სამივე სახის სასუქის დაბალანსებული ასორტიმენტით გამოყენება, რის საშუალებასაც იძლევა რთული სასუქები.

მშრალ-გვალვიან ურწყავ ზონაში, მინერალური სასუქები, მათ შორის აზოტიც, სრული დოზით შეგრანილი უნდა იქნეს ერთხელ, ხვის წინ. თუ ამის შესაძლებლობა რაიმე მიზეზის გამო არ არის, მაშინ შეაქვთ თესვისწინა დამუშავების დროს.

სარწყავ და ტენით უზრუნველყოფილ მიწებზე ფოსფორ-კალიუმიანი სასუქების მთლიანი ნორმა შედის ხვის წინ, ხოლო აზოტიანი სასუქის მთლიანი დოზის 1/3 თესვის დროს, ხოლო 2/3 ჯეჯილის გამოკვებაში.

ცილებით მდიდარი და მაღალმოსავლიანი მარცვლის მისაღებად სარწყავ და ტენით უზრუნველყოფილ ზონებში კარგ შედეგს იძლევა მარცვლეულის გამოკვება აზოტიანი სასუქებით (ფესვგარეშე გამოკვება) ნათესის დათავთავება-ყვავილობის ფაზაში. ამ დროს პექტარზე შეაქვთ 0,6-1,0 ცენტნერი ამონიუმის გვარჯილა ან 0,45-0,65 ცენტნერი შარდოვანა.

მინერალური სასუქების დიდი ნორმა გავლენას ახდენს მოსავლიანობის მატებაზე, ნიადაგში მინერალური სასუქების შეტანის დრო და წესი დამოკიდებულია: საკვებ ნივთიერებებზე, მცენარის მოთხოვნილებაზე, მოცემული რეგიონის ნიადაგურ-კლიმატურ პირობებზე და განსაკუთრებით ცალკეულ საკვებ ნივთიერებების არსებობაზე. სასუქები შეტანილი უნდა იქნეს სამჯერ, შემდეგი სახით: ძირითადი განოყიერება, ძირითადი ხვის წინ, ან ძირითადი ხვისთანავე; სასტარტო განოყიერება - თესვის დროს; გამოკვებისას.

ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებისა და მდგრადი შენარჩუნებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ორგანულ სასუქებს, რომელთაც მიეკუთვნება: ნაკელი, ტორფი, კომპოსტი, მწვანე სასუქები (სიდერატი). მწვანე სასუქები ფართოდ გამოიყენება მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. ამ ღონისძიების არსი შემდეგში მდგომარეობს: ითესება საგანგებოდ შერჩეული მცენარეთა ნარევი - სიდერატები (პარკოსანი, მარცვლოვანი ერთწლოვანი კულტურები), რომლებიც შემდეგ ჩაიხვნება ნიადაგში. ჩახნული მწვანე მცენარეული მასა ამდიდრებს ნიადაგს ორგანული ნივთიერებებით, აუმჯობესებს ნიადაგის სტრუქტურასა და მიკროფლორას, ამცირებს ეროზიას. ეს ყველაფერი კი ხანგრძლივად ანოყიერებს ნიადაგს და ხელსაყრელ პირობებს უქმნის მომდევნო კულტურას.

მარცვლეულს მნიშვნელოვან ზიანს აყენებს და ზოგჯერ ნათესებს და მიღებულ მოსავალს მთლიანად ანადგურებს მავნებლები. ნაწილი მწერებისა მცენარეს აზიანებს წუწით, ნაწილი კი ღრღნით. ყოველივე ამის ცოდნას მნიშვნელობა აქვს ბრძოლის ქიმიური ღონისძიებების გამოყენების დროს, რადგან ნაწილი პესტიციდებისა მოქმედებს კონტაქტური, ნაწილი კი სისტემური გზით.

მნიშვნელოვანია იმის ცოდნაც, რომ მავნებლებს ჰყავთ ბუნებრივი მტრები, რომლებიც გარკვეული ხელშეწყობის პირობებში ძალზე დიდ სასარგებლო საქმეს აკეთებენ. ცნობილია ჭიამაიების, მტაცებელი ბუზების, ოქროთვალურების, მტაცებელი ბალლინჯოების, პარაზიტი მწერების მრავალი სახეობა, რომელთა ცოდნაც და ნათესებში შენარჩუნებაც მნიშვნელოვნად განაპირობებს მოსავლის დაცვას და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიღებას.

გამოვლენილია მარცვლეულის შემდეგი სახის მავნებლები: ველის ჭრიჭინა, ამიერკავკასიის პურის ბზუალა, ნამდვილი მავთულა ჭიები, ცრუმავთულა ჭიები, ჰესენის ბუზი, ფესვის ბუგრები, თელა წითელგულა ბუგრი, მღრღნელი ხვატარები, მარცვლოვანთა ფოთლის ბუგრები, კალიები, ჭია წურბელა, პურის ბალლინჯოები, პურის ხოჭოები, თაგვისებრი მღრღნელები: ჩვეულებრივი მემეინდვრია, საზოგადოებრივი მემინდვრია, ბუჩქნარის მემინდვრია, ამიერკავკასიური ზაზუნა, ჩვეულებრივი ტყის თაგვი, წითელქუდა მექვიშია და მთის ბრუცა და სხვა მარცვლეული ზრდა-განვითარების პერიოდში შეიძლება დაზიანდეს სხვადასხვა დაავადებებით, რომლებიც დიდ ზიანს აყენებენ ნათესებს და მკვეთრად ამცირებენ მოსავალს. გუდაფშუტათი და უანგათი დაავადებებისას მცირდება მცენარეთა ზამთარგამძლეობა და სუსტდება მათი განვითარება. ვირუსული დაავადებებით დაზიანებისას მარცვალი მიიღება ბჟირი და შემდგომში ხდება ვირუსის მატარებელი. ფესვის სიდამპლე აზიანებს სუსტ ნათესს, ამცირებს კროდუქტიულობას ან იწვევს მცენარეთა სრულ დაღუპვას.

მოსავლის აღებისას მნიშვნელოვანია არა მარტო მაღალი მოსავლის წარმოება, არამედ მისი დროულად და უდანაკარგოდ აღება და მარცვლის მაღალი ხარისხის შენარჩუნება. მნიშვნელოვანია მოსავლის აღების დაწყების ვადის განსაზღვრა. მოსავლის კომბინით აღებას იწყებენ მარცვლის სრული სიმწიფის მიღწევისას (ტენიანობა 16-18%) და აღებული უნდა იქნეს 5-8 დღის განმავლობაში, რადგან შემდეგ მცირდება მოსავლის რაოდენობა, ხშირდება თავთავიანიდან მარცვლის ცვენა, თავთავების მტკრევა და უარესდება მარცვლის ხარისხი – დაფქვისა და პურცხობის დირსებები.

მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სათესლე მასალის მოსავლის აღებას, გადამუშავებას და შენახვის აგროტექნიკური ვადების დაცვას. მარცვლეული კულტურების თესლის შენახვის ძირითადი მოთხოვნებია: აღების შემდეგ თესლის დაუყოვნებლივ გაწმენდა სხვადასხვა მინარევებისაგან; თესლის სწრაფად გაშრობა ნორმალურ სინოტივემდე;

მეორადი გაწმენდა, მშრალი თესლის დახარისხება და ხანგრძლივად შენახვა; მარცვლეულის თესლის შენახვის დასაშვები ტენიანობაა 14%.

დასკვნა: აღნიშნული ღონისძიებების საფუძველზე დამუშავდება ძირითადი სამარცვლე პურეული (ხორბალი, ქერი), ბურღულეული (სიმინდი, წიწიბურა), ზეთოვანი (მზესუმზირა) და მარცვლეულ პარკოსანი (ლობიო, სოია) კულტურების მაღალი და სტაბილური მოსავლის მისაღებად მათი მოვლა-მოყვანის თანამედროვე სრულყოფილი აგროტექნოლოგია, რითაც შესაძლებელი გახდება ქვეყანაში ვაწარმოოთ: ხორბალი 3,1-3,5 ტ/ჰა; ქერი 2,0ტ/ჸა; სიმინდი - 3,5ტ/ჸა; წიწიბურა 1,4- 1,5ტ/ჸა; მზესუმზირა -1,5ტ/ჸა; ლობიო - 1,5ტ/ჸა; სოია - 1,5ტ/ჸა. ამით საქართველო, დასახელებული კულტურების საშუალო მოსავლიანობის დონით მიუახლოვდება ევროპის ქვეყნების საშუალო მოსავლიანობის დონეს და ამ კულტურების შესაბამისი ოდენობის თესვით საქართველოს შეეძლება არამარტო სასურსათე და სათესლე მასალით უზრუნველყოფა, აგრეთვე ზოგიერთი კულტურის მარცვლის თესლის, ან დამზადებული პროდუქტების ქვეყნის ფარგლებს გარეთ გატანაც.

მარცვლეულით უზრუნველყოფის მიზნით საქართველოში უნდა დაითესოს:

1. ხორბალი -220 ათასი ჰექტარი;
2. სიმინდი - 220 ათასი ჰექტარი;
3. ქერი -60 ათასი ჰექტარი;
4. მზესუმზირა -30 ათასი ჰექტარი;
5. წიწიბურა -2,5 ათასი ჰექტარი;
6. ლობიო - 5 ათასი ჰექტარი;
7. სოიო -2 ათასი ჰექტარი.

მიღებული იქნება საერთო მოსავალი:

1. ხორბალი -700 ათასი ტონა;
2. სიმინდი - 825 ათასი ტონა;
3. ქერი -125 ათასი ტონა;
4. მზესუმზირა -45 ათასი ტონა;
5. წიწიბურა -3,5 ათასი ტონა;
6. ლობიო - 7 ათასი ტონა;
7. სოიო -3 ათასი ტონა;

აღნიშნულ სათესი ფართობების რაოდენობაში გათვალისწინებული იქნება ელიტური, რეპროდუქციული და პირველი თაობის მისაღებად სათესლედ საკმარისი ფართობები. სულ დაითესება მარცვლეული კულტურები 512 ათასი ჰა და მიღებული იქნება საერთო მოსავალი 1 660 500 ტონა.

ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული იქნება წელიწადში 350 კგ. მარცვალი, მ. შ. ხორბალი -140 კგ, სიმინდი -165 კგ.

2020 წლისათვის წარმოებული იქნება 1750 ათასი ტონა მარცვალი.

### **3.3.12. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების არსებული მდგრმარეობა და განვითარების პერსპექტივები**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2013 წლის 26 ივლისს მოისმინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის რევაზ ჯაბნიძის მოხსენება „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების არსებული მდგრმარეობა და განვითარების პერსპექტივები“.

აღინიშნა, რომ თავისი ნიადაგურ-კლიმატური და სხვა ეკოლოგიური ფაქტორების შეთანაწყობის თავისებურებით საქართველო უნიკალურ ქვეყანას წარმოადგენს აგრარული სფეროს აღორძინებისათვის და ასეთი ხელსაყრელი აგროკლიმატური პირობები იძლევა საშუალებას მრავალდარგოვანი და მაღლერენტბელური სასოფლო-სამეურნეო წარმოების შექმნისათვის, როგორიცაა: მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, მევენახეობა და სხვა კულტურების წარმოება: დაფნა, კიფი, თხილი, სიმინდი, სტევია, ბარამბო, ბრინჯი, წიწიბურა და სხვა.

ჩაის დარგი ქვეყანაში გადაშენების პირას მივიდა, მისი აღდგენის ერთადერთ პრიორიტეტულ ფორმად ფერმერული მეურნეობების ორგანიზაცია მიგვაჩნია. ამისათვის საჭიროა თითოეული ფერმერისათვის 3-5 ჰა ჩაის პლანტაციების იჯარის წესით გადაცემა. ყველა აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარებით პექტარიდან 2,5-3 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მიღება და 2-2,5 ტონა პროდუქციის წარმოება.

აუცილებელია სუბსიდიების გარკვეული ნაწილის გამოყენება მეცნიერული კვლევის დასაფინანსებლად, რათა შესაძლებელი გახდეს მეჩაიეობის კლასიკური შედარებით ჩვენი ჩამორჩენის აღმოფხვრა ისეთი ტექნოლოგიების დამუშავების გზით, როგორიცაა ცივ წყალში ხსნადი ჩაის წარმოება, რომელზეც ბუმია ევროპისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში, ჩაის დაბალ ტემპერატურაზე დამუშავების კომბინირებული ტექნოლოგიების დანერგვა, ჩაის ამოსაძირკვი ტექნიკის შექმნა, რომელსაც გვერდს ვერ ავუკლით, თუ რაციონალური მეჩაიეობის განვითარების გზას დავადგებით.

გეერდნობით რა აგრარიკოს მეცნიერთა მრავალწლიან გამოკვლევებს ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მიმართ, სუბტროპიკული ზონის ნიადაგურ-კლიმატური მაჩვენებლების გათვალისწინებით, გლეხურ-ფერმერულ მეურნეობებს ვთავაზობთ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების განაშენიანების სანიმუშო სქემას, სადაც წარმოდგენილია პირობითად სამი ზონა: პირველ ზონად მეციტრუსეობის და მეჩაიეობის მიგვაჩნია ის რაიონები, რომლებიც ძირითადად შავი ზღვის სანაპირო ზოლშია განლაგებული, სადაც ციტრუსოვანთა კულტივირება ღია გრუნტში გარანტირებულია. მეორე ზონად – შავი ზღვის სანაპიროდან დაცილებული რეგიონები, სადაც ძირითადად წარმოდგენილია მეჩაიეობა, თუმცა მიკოროკლიმატური ფაქტორების შედეგად შესაძლებელია ღია გრუნტში ზოგიერთი შედარებით ყინვაგამძლე ციტრუსოვანი კულტურების სამრეწველო კულტივირებაც. მესამე ზონად მიჩნეულია ტიპიური მეჩაიეობის რაიონები, სადაც შეუძლებელია ციტროსოვანთა წარმოება სამრეწველო დანიშნულებით.

კულტურათა განაშენიანებით მოდელი გლეხს, ფერმერს საშუალებას მისცემს მთელი წლის განმავლობაში აწარმოოს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, არ მოაცდინოს მუშახელი და უზრუნველყოს მათი სოციალურ-ეკონომიკური პირობების სტაბილური გაუმჯობესება.

გასათვალისწინებელია, რომ სუბტროპიკულ ზონაში მეციტრუსეობისათვის ახალი ფართობების ათვისების რეზერვი ამოწურულია და დარგის განვითარება, ძირითადად, ინტენსიფიკაციის ფაქტორებზეა დამოკიდებული. დარგის რენტაბელობის დონის ამაღლება უნდა მოხდეს ბიოლოგიურად მობერებულ (ამორტიზირებული) ხეების შეცვლით, პროგრესული აგროტექნიკის, სწორი ორგანიზატორული და ეკონომიკური ფაქტორების გამოყენებით, სანერგების მოწყობით, უხვად და რეგულარულად მსხმოიარე ჯიშების გამოყვანით და მათი ელიტური ნერგებით ახალი პლანტაციების გაშენებით.

ამ პრობლემის გადაწყვეტით აუცილებელია სადედე ბადებისა და ახალი სანერგების მოწყობა. უნდა ვეცადოთ, მივიღოთ მაღალხარისხოვანი სტანდარტული კალმები, რისთვისაც განსაკუთრებული პირობებია საჭირო: კერძოდ, ნიადაგის აგროწესებით განოყიერება, ნორმალური ტენის, ტემპერატურის, ჰაერაციის, ნიადაგში არსებული სასარგებლო მიკროორგანიზმების ცხოველმყოფელობის უზრუნველყოფა და ა.შ.

ციტრუსოვნების ახალი, გაუმჯობესებული ჯიშების გამოყვანის და წარმოებაში დანერგვის მხრივ სხვა ქვეყნებმა საგრძნობლად გაგვისწრეს. ისევე როგორც სხვა დარგებში, ჩვენთან ეს პროცესი ცნობილი პოლიტიკური და ეკონომიკური სირთულეების გამო ჩამორჩა. მისასალმებელია, რომ დღევანდელი ხელისუფლების მიერ სხვადასხვა ქვეყნებიდან შეძენილი და ჩამოტანილია ციტრუსოვანთა ნერგები: მანდარინის, ფორთოხლის, ლიმონის და პომელოს 5 სახეობის 50 ჯიშის ციტრუსოვანთა სანერგე მასალა. აქედან 14 ჯიში მანდარინია. ისინი დააპიკირეს ჩაქვის სანერგე მეურნეობის კვალსათბურებში, გამოაზამთრეს და სწორედ ახლა გადაიტანეს სადედე ნაკვეთზე. აქ გაშენებული ნარგავებიდან აიღებენ სანამყენე კვირტებს ციტრუსოვანთა ნერგების მასობრივი წარმოებისათვის.

მეციტრუსეობის დარგში არსებული მდგომარეობის გამოსწორება და არსებული პირობების მოგვარება შესაძლებელი იქნება მხოლოდ სერვისული მომსახურების შექმნით, რაც გულისხმობს: მაგნებელ-დავადებათა დიაგნოსტიკას, მის კვალობაზე პრეპარატების სახეობის და რაოდენობის, წამლობათა ვადების, ჯერადობების, კონცენტრაციების, სამუშაო ხსნარების მოცულობებისა და ლოდინის პერიოდის ზუსტ განსაზღვრას, საჭიროების მიხედვით ნიადაგის ნიმუშების აღებას და ქიმიური შედგენილობის განსაზღვრას, რეკომენდაციების საფუძველზე აგროქიმიკატებით ნიადაგის განოყიერებას, წამლობათა მაღალეფებურად და ხარისხიანად ჩატარების უზრუნველსაყოფად თანამედროვე დისპერსიული შემასხურებელი ტექნიკის შეძენას და გამოყენებას.

ციტრუსოვანთა რეაბილიტაციის პროგრამის განხორციელების საფუძველთა საფუძველია ფერმერთა რეორგანიზაცია და გაერთიანება კოოპერატიული ან სააქციო საზოგადოების ურთიერთობათა საფუძველზე, რომელთა კლასიკური მაგალითების შესახებ მიგვითოთებს სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება.

აღმოჩნდა, რომ აჭარის აგროსექტორში მუშაობს შვიდი საერთაშორისო დონორი ორგანიზაცია. თუმცა, მათი პროგრამებით დიდი გარდატეხა აჭარის აგროსექტორში ჯერ კიდევ არ შეიმჩნევა. სამაგიეროდ მისასალმებელია აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივა – “აგროსერვისცენტრების” შექმნა, რომელიც სამი მიმართულებით მუშაობს. ესაა, ფერმერთა სწავლება-კონსულტირება, სანერგე მეურნეობების მოწყობა-განვითარება და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების პრაქტიკის აღდგენა-განვითარება, ასევე, შპს “ვეტერინარის” შექმნა, რომელიც მოემსახურება აჭარის მეცხოველეობას.

აჭარის აგროსექტორის შესაძლებლობები გაცილებით დიდი და მრავალფეროვანია, რასაც მეტად უნდა დაეინტერესებინა ინვესტორები. ამჯერად გამოვყოფთ მთავარს – სხვადასხვა ქვეყანასთან ხელსაყრელი სავაჭრო რეჟიმები. შედაგათაინი ვაჭრობის სისტემა ევროკავშირის ქვეყნებთან, აშშ-თან და ზოგიერთ სხვა ქვეყნებთან. იაფი ნედლეული და მუშახელი, ხელსაყრელი ნიადაგობრივ კლიმატური პირობები, ინვესტიციების განხორციელების პრიორიტეტულობა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე.

### **3.3.13. ხეხილის ინტროდუქცია საქართველოში - ისტორია, არსებული მდგომარეობა და პრობლემების გადაწყვეტის მიმართულებები**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2013 წლის 30 აგვისტოს მოისმინა აკადემიკოს ვაჟა კვალიაშვილისა და აკადემიური დოქტორის ზვიად ბობოქაშვილის მოხსენება „ხეხილის ინტროდუქცია საქართველოში - ისტორია, არსებული მდგომარეობა და პრობლემების გადაწყვეტის მიმართულებები“.

აღინიშნა, რომ მეცნიერული კვლევების შედეგად დადასტურებულია, რომ საქართველო ხეხილის წარმოშობისა და მოშინაურების (დომესტიკაციის) მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენს. ჩვენი ქვეყანა მიჩნეულია ვაშლის, მსხლის, ქლიავის, ტყემლის, თხილის, ზღმარტლის, მაყვლის და სხვა მნიშვნელოვანი ხეხილოვანი და კენკროვანი კულტურების წარმოშობისა და მოშინაურების ერთ-ერთ კერად. უმდიდრესია საქართველოს ხეხილის ადგილობრივი გენოფონდი, რომლის მრავალფეროვნებას განაპირობებს ჩვენი ქვეყნის უნიკალური ეკოლოგიური პირობები.

მიუხედავად, ადგილობრივი ხეხილოვანი რესურსების გამოყენების დიდი გამოცდილებისა, სახეობების, ქვესახეობების, ჯიშების გაცვლას და შემოტანა-აკლიმატიზაციას ჩვენს ქვეყანაში მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს - მსოფლიოში ხეხილოვანი კულტურების ჯიშების ინტროდუქციის დაწყების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად ითვლება დიდი აბრეშუმის გზის დაარსება ჩვენს წელთ აღრიცხვამდე მეორე საუკუნეში, რომლის ერთ-ერთი მარშრუტიც საქართველოზე გადიოდა.

ჩვენს ქვეყანაში ჯიშების შემოტანისა და გამოცდის მიზანმიმართული სამუშაოები წამოწყებულ იქნა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ჯიშების მიღების ძირითად წყაროს წარმოადგენდა საზღვარგარეთის სანერგეებიდან (საფრანგეთი, გერმანია, ყირიმი) ნერგებისა და კალმების მიღება გასამრავლებლად. ამ დროისთვის საქართველოში დაარსდა სანიმუშო ხეხილის ბაღები და სანერგეები როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში: ისაია ფურცელაძის მიერ - იმერეთში, კეცხოველის მიერ - ტყვიავში, ხეთაგურის მიერ - კასპში, ფრიდონოვების და ავსარქისოვების მიერ - სკრაში და სხვა. ამ სანერგეებს გამოჰყავდა ხეხილის ძირითადი სახეობების, როგორც ადგილობრივი, ასევე ინტროდუცირებული ჯიშების ნერგი და აწვდიდა მოსახლეობას. 1901 წელს ისაია ფურცელაძემ მერეთში გააშენა ბაღი, სადაც 200-ზე მეტი ჯიშის ხეხილი იყო თავმოყრილი. აღნიშნული ბაღი პომოლოგიური ხასიათის იყო და განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა როგორც ხილის წარმოების პოპულარიზაციის შესანიშნავ საშუალებას, თუმცა ამ დროისათვის სამეცნიერო კვლევებს ჯიშების სრულყოფილი შესწავლის მიმართულებით შემთხვევითი და ფრაგმენტული ხასიათი ჰქონდა.

საქართველოში ხეხილის ჯიშების ინტროდუქცია, გამოცდა და შეფასება მეცნიერულ დონეზე იწყება მეოცე საუკუნის 20-30 -იანი წლებიდან როდესაც შეიქმნა მეხილეობის პროფილის კვლევითი დაწესებულებები - სკრის მეხილეობის ზონალური და ადგილობრივი მნიშვნელობის საცდელი სადგურები, მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ჯიშთა გამოცდის სტრუქტურა და სხვა. უკვე 1966 წლების მონაცემებით, ჯიშთა გამოცდის ქსელში იცდებოდა ხეხილის, როგორც ადგილობრივი, ასევე ინტროდუცირებული ჯიშები, რომელთა რაოდენობა 429 ჯიშს აღწევდა.

1993 წლის მონაცემებით მებაღეობის მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის მხოლოდ გალავნის მეურნეობის კოლექციის ინტროდუცირებული ჯიშების ნუსხაში მოცემული იყო 260-ზე მეტი სხვადასხვა ხეხილოვანი კულტურის ჯიში, რომელთა ძირითადი ნაწილი შემოტანილი იყო 80-იანი წლების დასაწყისში. ჯიშების კომპლექსური ბიოლოგიურ-სამეურნეო თვისებების შესწავლის საფუძველზე ხდებოდა რეკომენდებული ჯიშების სორტიმენტის დადგენა და რეკომენდება წარმოებისათვის. ინტროდუქციის მთავარ მეთოდოლოგიად გამოყენებული იყო კლიმატურ-ეკოლოგიური პირობების ანალოგების მეთოდი, ანუ იმ ჯიშების შემოტანა, რომელიც ეკოლოგიური პირობებით წააგავს საინტროდუქციო რეგიონის პირობებს.

პოლიტიკურ-ეკონომიკური ფორმაციის შეცვლის შედეგად განვითარებული მოვლენების გამო ახალი ჯიშების შემოტანისა და გამოცდის პროცესი შეწყდა თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე 1990 წლების მეორე ნახევრამდე, როდესაც აგრარული უნივერსიტეტის თაოსნობით (გ. ბარბაქაძე; მ. ვარძელაშვილი) უკრაინიდან გამოცდის მიზნით შემოტანილი იქნა ვაშლის წამყვანი ჯიშები (ჯონაგოლდი, ფუჯი, არლეტი, გალა, გოლდენ რეზისტენტი და სხვა).

XXI საუკუნის დასაწყისიდან გააქტიურდა საინტროდუქციო სამუშაოები ხეხილის სხვადასხვა ჯიშების შემოტანისა და შეფასების კუთხით, მებალეობის მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის ინიციატივით და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების (UN FAO, USAID, EU) მხარდაჭერით ინტროდუცირებული იქნა ხეხილის 180-ზე მეტი ჯიში და 20 -ზე მეტი საძირე, რომელიც გაშენდა სკრის და გორის კვლევითი სადგურების საკოლექციო ნაკვეთებზე, გორის მეხილეთა ასოციაციის ფართობებზე. შემოტანილი იქნა შემდეგი კულტურების ახალი და პერსპექტიული ჯიშები - ვაშლი, მსხალი, კომში, ატამი, ნექტარინი, ქლიავი, გარგარი, ბალი, ნუში, კაკალი, ჟოლო, ხურტამელი, ლურჯი მოცვი, მოცხარი, მარწყვი და სხვა. კვლევითი სამუშაოები აღნიშნული ჯიშების პირველადი შესწავლის მიზნით ხორციელდებოდა მებალეობის მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის სამეცნიერო თემატიკით გათვალისწინებული კვლევების ფარგლებში.

2008 - 2012 წლებში ვაზისა და ხეხილის გამრავლების ეროვნული ცენტრის (საგურამო) ინიციატივით შემოტანილი იქნა ხეხილის სხვადასხვა კულტურების 220-ზე მეტი ახალი ჯიში და კლონი, რომელიც გაშენდა 9,0 ჰა-ზე. 2010 წლიდან მიმდინარეობს სამუშაოები აღნიშნული ჯიშების პირველადი შესწავლისა და შეფასების მიზნით. გარდა ამისა, უკანასკნელი 5 წლის მანძილზე ხეხილის მცირე საკოლექციო ნარგაობები კერძო ინიციატივით და განვითარების დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით გაშენდა: გორში, ბებნისში, ჩუმლაყში, კასპში და სხვა. ჯიშების შესწავლის ინტროდუქციული სამუშაობის ეფექტიანობის ამაღლების, დახვეწის და სორტიმენტის გამდიდრებისათვის მნიშვნელოვნად მიგვაჩნია შემდეგი ღონისძიებების დასახვა და განხორციელება: რეგიონალური მნიშვნელობის ორი კვლევითი ცენტრის მოწყობა (დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში) ხეხილის ჯიშების სრულფასოვანი გამოცდისა და შეფასებისათვის; მიზნობრივი საგრანტო სისტემის კომპონენტის დამატება რუსთაველის ეროვნულ ფონდში ჯიშების შესწავლის მიზნით; წარმოების რეგიონების მიხედვით ხეხილის გასაშენებლად რეკომენდებული ჯიშების სიის შემუშავება - მეთოდოლოგიის შედგენა, სამოქმედო გეგმის დამტკიცება და განხორციელება; მონაცემთა ბაზის შექმნა შემოტანილი ჯიშების აღნუსხვის, დოკუმენტირებისა და შეფასების მიზნით; საცნობარო სახის პუბლიკაციების დაბეჭდვის ორგანიზება.

### **3.3.14. ნიადაგის ეროზიისაგან დაცვა და ეროზირებული ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებები შიდამთიან აჭარაში**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2013 წლის 27 სექტემბერს მოისმინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ოთარ დორჯომელაძის მოხსენება “ნიადაგის ეროზიისაგან დაცვა და ეროზირებული ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებები შიდამთიან აჭარაში”.

ადინიშნა, რომ აჭარა საქართველოს ის კუთხეა, სადაც შედარებით მცირე ტერიტორიაზე ბუნების მრავალსახეობაა წარმოდგენილი. მაშინ, როცა მთები უკვე თოვლითა დაფარული, ზღვისპირეთში რიგი მცენარეებისა ყვავის და ნარინჯოვანთა რთველი გრძელდება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ერთ-ერთი მცირემიწიანი რეგიონია, რომლის ფართობი შეადგენს 290000 ჰა. აქედან სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია მხოლოდ 26%. ერთ სულ მოსახლეზე მოდის 0,2 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული და 0,02 ჰა სახნავი. გარდა მცირემიწიანობისა, აჭარა გამოირჩევა მოსახლეობის სიმჭიდროვითაც, აქ 1 ჰ<sup>2</sup> საშუალოდ მოდის 126 ადამიანი.

სამეურნეო-გეოგრაფიული თვალსაზრისით აჭარაში გამოიყოფა ორი ძირითადი ზონა: შავი ზღვის სანაპირო მხარე (ქობულეთი, ბათუმი, ხელვაჩაური), რომელსაც უჭირავს ტერიტორიის დაახლოებით 40% და შიდამთიანი აჭარა (ქედა, შუახევი, ხულო), მასზე მოდის საერთო ფართობის 60%. აჭარის ზონები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან რელიეფით, კლიმატური პირობებით, ნიადაგებით, მცენარეული საფარის ხასიათით, ასევე სხვა მახასიათებლებით.

აჭარა გამოირჩევა უხვნალექიანობით. ზღვისპირეთში ნალექების საშუალო მრავალწლიური რაოდენობა შეადგენს 2500-2600 მმ, ხოლო შიდამთიანეთში რაიონების მიხედვით იგი მერყეობს 1050 მმ-დან 1900-2100 მმ-დან.

აჭარის ტერიტორიაზე ზღვისპირეთიდან ვიდრე ალპურ ზონამდე თავმოყრილია ლანდშაფტურ-გეოგრაფიული ზონალობის ყველა სპექტრი, რაც სხვადასხვა მიმართულების სასოფლო-სამეურნეო და საკურორტო-რეკრეაციული დარგების პერსპექტიული განვითარების საშუალებას იძლევა. მაგრამ, ამ დარგების მიზანდასახულ და გეგმაზომიერ მართვას ძლიერ უშლის ხელს ბუნების საშიში სტიქიური პროცესები: ნიადაგის ეროზია, წყალმოვარდნები და დატბორვა, მეწყრული და დვარცოფული მოვლენები, თოვლის, მიწისა და კლდის ზვავები, ზღვის ნაპირების წარეცხვა და სხვ.

პრობლემის მასშტაბურობაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ მთის მცირე მდინარეები, რომელებიც გამოირჩევიან მაღალი ეროზიული და ლვარცოფული პოტენციალით, შეადგენენ მდინარეთა ქსელის საერთო მაჩვენებლის 80%-ს და ამ ხეობებში თავმოყრილია მოსახლეობის 60%-ზე მეტი.

საკუთარი გამოკვლევების თანახმად, სახნავი მიწის 1 ჰა-ზე ერთი კატასტროფული წვიმის შედეგადაც კი შეიძლება ჩამოირეცხოს 150-200 ტ ნიადაგი, ეს მაჩვენებელი წლის მანძილზე შეიძლება გაიზარდოს 350-550 ტ-მდე და უფრო მეტადაც კი.

დღეისათვის საქართველოს გეოლოგიური სამსახურების მიერ, აჭარაში დაფიქსირებულია 300-ზე მეტი ახლად განვითარებული ან აქტივიზირებული მეწყერი, კლდეზვავი, ჩამონაქცევი, ლვარცოფი, თოვლის ზვავი და მდინარის ეროზიულ-აბრაზიული გარეცხვის უბანი. საშიში ბუნებრივი პროცესების აქტიური ზემოქმედების სფეროში აღმოჩნა 350-მდე დასახლებული პუნქტი და 5600-მდე ოჯახი; რეგიონში უკანასკნელი 25-30 წლის მანძილზე 1600-ზე მეტი საცხოვრებელი სახლი მთლიანად დაინგრა ან უვარგისი გახდა საცხოვრებლად, დაზიანდა მეურნეობის 400-მდე ობიექტი; განადგურდა 5000 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო

სავარგული, მწყობრიდან გამოვიდა რამოდენიმე ათეული ქმ-ის სიგრძის სხვადასხვა დანიშნულების გზები.

აჭარაში მიწა შევიწროებას განიცდის ზღვიდანაც. ზღვა ყოველწლიურად ხმელეთიდან იტაცებს მიწის დიდ მასივებს. სკეციალისტების გაანგარიშებით, 30 მილიონ მ³-ზე მეტი ხელი და ქვიშა, რომელიც სამეურნეო საქმიანობისათვის იქნა ამოღებული ბოლო 20-35 წლის მანძილზე, საქართველოს შავიზღვისპირა ზოლში ზღვის მიერ მიტაცებული 1000-ზე მეტი ჰა ნაყოფიერი მიწის ფასად გვიჩის. მათვე გაანგარიშებით, აღნიშნულ პერიოდში აჭარის სანაპიროს მთელ რიგ ადგილებში წყალმა წარეცხა 200-600 მ სიფართის ხმელეთი (მათ შორის ბათუმის ბულვარი და ქობულეთის სანაპიროები).

აჭარა ხასიათდება საკმაოდ რთული და მრავალფეროვანი რელიეფით. უმეტესი ნაწილი წარმოდგენილია გორაკ-ბორცვებით და სხვადასხვა სიმაღლის მთებით, რომლებიც დანაწევრებულია ღრმა, ციცაბო კალთებიანი ხეობებით. ტერიტორია გამოირჩევა წვრილნაკვეთიანობითაც. აქ დაბლობებზე მოდის ფართობების მხოლოდ 5,3%, გორაკ-ბორცვებზე – 9,3%, წინამთებზე და მთებზე 85,4%. ტერიტორიის 80%-ზე მეტი 20<sup>0</sup>-ზე უფრო დიდ დახრილ ფერდობებს უკავია.

დინამიკაში თუ თვალს გადავავლებთ აჭარის მიწის ფონდის ძირითადად კი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ტრანსფორმაციას დავინახავთ, რომ მკეთრად მატულობს ტყე-ბუჩქნარისა და საძოვარ-საბალახოების ქვეშ მყოფი ფართობები – მრავალწლოვანი კულტურების, სახნავი მიწებისა და სათიბების ქვეშ მყოფი ტერიტორიების შემცირების ხარჯზე.

უხნალექიან, ციცაბო რელიეფიან და მცირემიშიან აჭარაში, სადაც ტერიტორიის 96% არის სხვადასხვა ხარისხით ერთზირებული, მირითად პრობლემად კვლავაც რჩება ხეენებული სტიქიური და სხვა უბედურებებისაგან დაცვა, ამიტომაც, აქ სისხლხორცეულად აუცლებელი ხდება ნაყოფიერებადაკარგული ტერიტორიების აღდგენა-გაუმჯობესება და ადამიანთა სამსახურში კვლავ ჩაყენება, გარემოს ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესება, მიწათმოქმედების კულტურის ამაღლება, მიწის რაციონალური გამოყენების გზებისა და ხერხების ძიება-შემუშავება, მათი უცილობელი დანერგვა.არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ მხრივ საუკეთესო გამოსავალია წარმოების რაციონალური ორგანიზაცია და მისი მეცნიერული უზრუნველყოფა, სამთო მიწათმოქმედებაში მეცნიერული სისტემების დანერგვა-განხორციელება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა მიწის ნაყოფიერებისა და სავარგულების პროდუქტიულობის ამაღლება, მიწათსარგებლობის სივრცობრივი თვისებებისა და ეკოლოგიური წონასწორობის დაცვა. დროა მოვერიდოთ ისტორიულად პრაქტიკაში შეუმოწმებელ, არაადაპტირებულ და მეცნიერულად დაუსაბუთებელ ყოველ მოქმედებას.

აჭარის ზღვისპირეთის ტერიტორია ჩვენს ქვეყანაში ტიპიური სუბტროპიკული მეურნეობის მხარეა, ის უახლოეს წარსულში წარმოდგენილი იყო მაღალგანვითარებული მეჩაიეობით, მეციტრუსეობით, მეხილეობით, მევენახეობით, მებოსტნეობით, ეთერზეოვანი და სხვა ტექნიკური კულტურებით, სამცურნალწამლო მცენარეულობით. მის მთიან რაიონებში კვლავაც დომინირებს ერთწლოვანი საოთხნი კულტურების (სიმინდი, კარტოფილი, თამბაქო) წარმოება. აქ ნიადაგის

დამუშავებას მისდევენ ისეთ ფერდობებზედაც, რომელთა დაქანების ზღვარი 40 – 45° – საც კი აღწევს, რასაც ცხადია არავითარი გამართლება არ მოექცებნება და სამეურნეო ღირებულება არ გააჩნია, (მით უმეტეს ერთწლიანი საორხნი კულტურების ქვეშ). ასეთი ფართობები გამოყენებული უნდა იქნას არა სახნავ-სათესად, არამედ ნიადაგდამცველი ბალახოვანი საფარის, ასევე ნაყოფისმომცემის ეს და ბუჩქოვანი მცენარეების გასაშენებლად.

ავტონომიური რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მნიშვნელოვანი ნაწილი (47204 ჰა ანუ მთლიანი ტერიტორიის 16,3 %) სათიბ-საძოვრებია, რომელთა პროდუქტიულობა და რაციონალურად გამოყენება მეცხოველეობის მეცნიერების მეცნიერებული საკვები ბაზით უზრუნველყოფის პრობლემის გადაწყვეტის აუცილებელი პირობაა.

შიდამთიანი აჭარის ნიადაგების ეფექტური ნაყოფიერების ამაღლებისათვის აუცილებელია ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სოხუმის ფილიალისა და ნიადაგის ეროზიასთან ბრძოლის აჭარის საყრდენი პუნქტის მეცნიერ-მუშავების (შ. გვაზავა, ო. ღორჯომელაძე, ი. ბერიძე, ნ. ბერიძე) მიერ შემუშავებული მეცნიერული წინადაღებებისა და რეკომენდაციების კვლავაც დანერგვა, რომლებიც თავის დროზე ინერგებოდა წარმოებაში, მას სათანადო უკუგებაც პქონდა.

ამდენად, საერთოდ აჭარაში და განსაკუთრებით კი, მის შიდამთიან ნაწილში სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ზემოთ ხსენებული ნიადაგ-გრუნტის დამრდვევი სხვადასხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლას, ნიადაგდამცავი ღონისძიებების და აგროწესებით გათვალისწინებული, ასევე ჩვენს მიერ შემუშავებული კონკრეტული რეკომენდაციების მოთხოვნების დაცვას, ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების, წარმოების ინტენსიურობის ამაღლებას, რამაც უნდა განაპირობოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და ყოველი ჰა მიწის უკუგების მკვეთრი გადიდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, თანამედროვე ეტაპზე მიწის რაციონალურად გამოყენების აქტუალურ საკითხებად გვესახება შემდეგი:

მრავალი წლის მანძილზე წარმოებული სტაციონარული, საველე, ლიზიმეტრული, ლაბორატორიული და საწარმოო ცდებითა და კვლევა-ძიების საფუძველზე შედგენილი რეკომენდაციების მოთხოვნათა გათვალისწინება და ამის შესაბამისად ნიადაგდამცავი სამთო მიწათმოქმედების სისტემების დანერგვა. ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა-ამაღლება, მისი მოვლა-პატრონობის გაუმჯობესება, დაცვა ეროზიული, მეწყერული და სხვა უარყოფითი მოვლენებისაგან, დარღვეული ფართობების რეკულტივაცია, მიწების მელიორაცია, ქიმიზაცია, კომპლექსური სამთო მექანიზაცია, ნიდაგის განოყიერებისა და კულტურათა მოვლა-მოყვანის აგროწესებით გათვალისწინებული მოთხოვნების უცილობელი დაცვა და ა.შ. რაც მოგვცემს საშუალებას იმისას, რომ ეწ. მიგდებულ-მიტოვებული და ეროზირებული მიწები კვლავ ჩაერთოთ სასოფლო-სამეურნეო (ადამიანთა სასარგებლო) ბრუნვაში, ამით კი სოფელს დავუბრუნებთ იმ ტრადიციულ და ისტორიულ მისიას, როდესაც სოფელი მის მიერ წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით და სურსათით იკმაყოფილებდა საკუთარ

თავსაც და ნამეტი (ჭარბი) პროდუქცია გასაყიდად თუ ბარტერზე გასაცვლელად გაჰქონდა სამრეწველო ცენტრებსა და ქალაქებში.

### **33.15. მევენახეობის არსებული მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები საქართველოში**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ მიმდინარე წლის 27 სექტემბერს მოისმინა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ნოდარ ჩხარტიშვილის მოხსენება “მევენახეობის არსებული მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები საქართველოში.”

აღინიშნა, რომ ქვეყანაში განხორციელებული გარდაუვალ და მეტად სასურველ რეფორმებს, განსაკუთრებით მიწის პრივატიზაციის პროცესს, პირველ ეტაპზე თან ახლდა მოუმზადებელი, ნაჩარევი ნაბიჯები, რამაც მძიმე დაღი დაასვა აგრარულ სექტორს, მათ შორის მევენახეობას.

ამ პერიოდის მძიმე დაღი დღემდე მოყვება თანამედროვე მევენახეობას, რომლის უპირველესი მაჩვენებელი, სამრეწველო ვენაბის ფართობი აღწერით 37 419 ათას ჰექტარამდე შენარჩუნებული, რაც 1980-1990 წლების საკარმიდამო ვენახების ფართობზე ნაკლებია, და უტოლდება 1921 წლის მაჩვენებლებს, რაც შესაბამისად აისახება ქვეყანაში წარმოებული ყურძნის რაოდენობაში. კერძოდ, 1990 წელს დვინის ქარხნების მიერ 433 ათასი ტონა ყურძენი გადამუშავდა, 2003 წელს მან მხოლოდ 19.5 ათასი ტონა შეადგინა (22.2-ჯერ ნაკლები); შესაბამისად ქვეყანაში ამ წლებში დამზადდა 16 183 ათასიდან 2 414 ათასი დეკალიტრი დვინი და დვინის მასალა. შესაბამისად შემცირდა ცქრიალა (შამპანური) დვინოებისა და კონიაკის წარმოებაც. უარყოფითი შედეგი დღემდე გრძელდება – ბოლო წლებში ქვეყანაში წარმოებული ყურძნის რაოდენობა 100-150 ათას ტონას არ აღემატება. ძირითადად მსხვილი კომპანიების მონაწილეობით, რაც შორს არის შესაძლებლობის ფარგლებიდან. გლეხურ – ოჯახური მევენახეობა (ისე როგორც სხვა მიმართულებები) უყურადღებოდ არის მიტოვებული.

ქვეყანაში შიდა პოლიტიკური სტაბილურობის (1995-1998 წწ) დასაწყისიდანვე აგროსამრეწველო სექტორში უპირველესად აღდგენითი პროცესები მევენახეობა – მეღვინეობით დაიწყო. ისტორია მეორდება. გლეხი დაუბრუნდა ვენახს, განახლდა მიტოვებული ვენახების მოვლა – პატრონობა, აღდგენა – რეკონსტრუქცია; გაჩნდა ახალი ვენახების გაშენების მსურველები; გამოჩნდნენ ნამყენი ნერგის მწარმოებლებიც – გლეხური მეურნეობის პირობებში, რაც მოცემულ ეტაპზე მხარდაჭერილი და წახალისებული იქნა. ნამყენი ნერგის დეფიციტის გამო მოისინჯა ვენახის გაშენება (ყვარელში – საფერავი) საკუთარ ფესვზე – რქით, რაც დასაწყისშივე აიკრძალა, როგორც უპერსპექტივო და იგი შეწყდა. გამოჩნდნენ სამრეწველო მასშტაბით ნერგის მწარმოებლები: კახეთში: კონდოლში, ყვარელში, თელავში, კისისხევში, ქართლში – მცხეთა, იმერეთში – სვირის სანერგე, მაღალი კატეგორიის ნამყენი ნერგი შემოტანილი იქნა უცხოეთიდანაც; კერძოდ, თელავში, წინანდლის მიკროზონაში ნინო ანანიაშვილის მამულში, რამაც რა თქმა უნდა სასურველი შედეგი გამოიღო.

განახლდა არსებული დვინის ქარხნები, მოხდა მარნების აღდგენა-რეკონსტრუქცია. დაიწყო ახალი ქარხნების მშენებლობა, რომლებიც აღიჭურვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით, ტექნოლოგიური ხაზებით, კერძოდ: კახეთში: “თელავის მარანი”, “ჯვე”, უვარელში: “ვაზის ცრემლები”, “ქინდმარაული”, “საქართველოს მარანი”, ქართლში – “შატო მუხრანი”, იმერეთში – “ხარება”, რაჭაში – “ოქროს ხვანჭკარა” და სხვ.

დაიწყო ურთიერთობა საგარეო ბაზრებთან. პირველად ქვეყნაში შეიქმნა დარგის მართვის სამართლებრივი საფუძველი – საქართველოს კანონი ვაზისა და დვინის შესახებ (1998 წ.), შესწორებები განხორციელდა 2002 და 2010 წლებში. დამუშავდა დარგის რეაბილიტაციის პროექტი.

უმთავრეს პრიორიტეტულ მიმართულებად კვლავ რჩება უმაღლესი ხარისხის მშრალი (თეთრი და წითელი), ბუნებრივად მოტკბო, ქართული ცქრიალა დვინოების წარმოებისათვის სანედლეულო ბაზის განვითარება, ძირითადად ქართული აბორიგენული, უნიკალური ჯიშების ბაზაზე, რომლის შევსება განხორციელდება წინასწარ აპრობირებული და რეკომენდირებული ჯიშების გამოყენებით, მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

შიდა დარგობრივ პრიორიტეტთა შორის პრიორიტეტად კვლავ რჩება ბიოლოგიურად ჯანსაღი (ვირუსისაგან თავისუფალი) სელექციურად სუფთა, უმაღლესი კატეგორიის სერთიფიცირებული სარგავი მასალის (ნერგის) წარმოების მყარი ბაზის შექმნა.

ვაზისა და ხეხილის ჯანსაღი, სერთიფიცირებული ვაზის ნერგის წარმოების საბაზისო სანერგე უკვე შექმნილია და ფუნქციონირებს მცხეთის რაიონის სოფლ ჯილდურაში, 55.0 ჰა ფართობზე; ახლა პროგრამაშია მისი გაფართოება მხარეების მიედვით და ამავე კატეგორიის სამრეწველო სარგავი მასალის წარმოების ბაზის შექმნა.

საქართველოს მევენახობაში მკრთალად არის წარმოდგენილი სუფრის ყურძნის წარმოების სფერო. მას მხოლოდ ადგილობრივი მოხმარების დანიშნულება აქვს მინიჭებული, რაც გაუმართლებელია. საჭიროა: შეიქმნას სუფრის ყურძნის წარმოების გაფართოების ჯიშობრივი ბაზა, ცოცხალი სახით (მცენარიდან) ხანგრძლივ სეზონზე მოხმარების გათვალისწინებით (კონვეირული სისტემა); ამაღლდეს სასუფრე და საქიშმიშე ყურძნის წარმოებისა და მომხმარებლისათვის მიწოდების კულტურა; შემუშავდეს ქვეყნაში სუფრის ყურძნის წარმოების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა ექსპორტის გათვალისწინებით.

21-ე საუკუნეში ქართული მედვინეობის უმთავრესი პრიორიტეტია წარმოშობის ადგილის დასახელების, კონტროლის დაქვემდებარებული დვინოების წარმოების სანედლეულო ბაზის გაფართოება და მოწყობა.

ამჟამად საერთაშორისო რეესტრში რეგისტრირებულია 18 დასახელების დვინო; რეზერვი კვლავ დიდია და იგი რაციონალურად უნდა იქნეს გამოყენებული.

2004 წლის აღწერის მასალების მიხედვით საქართველოში აღრიცხულია 37.5 ათასი ჰექტარი ვენახი; იქვე მინიშნებულია ტერიტორიები, რომელთა ვენახებიც არ შესულა აღრიცხვაში, სადაც შესაძლებელია 7-10 ათასი ვენახის არსებობა, რომლის გათვალისწინებით დღეისათვის ოფიციალურ წყაროებში საქართველოში

45.0 ათასი პექტარი ვენახის არსებობაზე მიუთითებენ, რაც დაახლოებით XX საუკუნის 30-იანი წლების მაჩვენებელს უტოლდება და თითქმის ნახევარია 1875 წლის მაჩვენებლებისა (75.0 ათასი ჰა.).

ქვეყანაში მხარეების მიხედვით კახეთი ყოველთვის იყო ფლაგმანი და ასეა ახლაც; მთელი ფართობის 68% ანუ 32 823 ჰა პექტარი მოდის კახეთზე; ქართლში – 4177 ჰა (9%); იმერეთში – 18% ე.ი. 8584 ჰა; რაჭა-ლეჩხეუმში – 1348 ჰა (30%); გურია – 268.0 ჰა (1%); სამეგრელო – 775.0 ჰა (2 %), აჭარა – 42.0 ჰა. სულ საქართველოში 48 017 ჰა ვენახს ვარაუდობენ. მევენახეობა – მეღვინეობის უძველეს მხარეში მესხეთში სადღეისოდ ვენახის ფართობი 7.0 ჰა-ს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ აღწერის მასალები არ არის სრულყოფილი. იგი ვერ ასახავს ვენახების აგროტექნოლოგიურ და ბიოლოგიურ ფონს, ჯიშურ შედგენილობას, ვენახების კატეგორიებს, ნამყენი, საკუთარ ფესვებზე, გაშენების სქემებს და საერთოდ მთელ სტრუქტურას, რაც აუცილებელია ქვეყანაში დარგის განვითარების პერსპექტიული პროგრამების შესამუშავებლად.

აღნიშნულიდან გამომდინარე გადაუდებელია ვენახების (სხვა სას. სამ. კულტურების) სრულყოფილი აღწერა – ინვენტარიზაცია – პასპორტიზაცია.

ხანგრძლივი კვლევებისა და შესწავლის საფუძველზე მევენახეობის ზონების და მხარეების მიხედვით შედგენილია სამრეწველო ვაზის ჯიშების სტანდარტული ასორტიმენტი, რომლის განახლება, შევსება, გაუმჯობესება მუდმივი პროცესია და იგი გაგრძელდება.

სამრეწველო ასორტიმენტი მირითადად შედგენილია ადგილობრივი, აბორიგენული, საუკეთესო, მაღალხარისხოვანი ვაზის ჯიშების გამოყენებით; აგრეთვე გამოყენებულია ამავე პრინციპით შერჩეული უცხოური, ინტროდუცირებული ვაზის ჯიშები (10-მდე ჯიში); მ.შ. სუფრის ყურძნის ჯიშები.

**სამრეწველო ვაზის ჯიშები (ჰა):** რქაწითელი 19741, საფერავი 3704, მწვანე კახური 249, ქისი 20, ხიხვი 5, კაბერნე სოვინიონი 223, გორული მწვანე 224, ჩინური 955, თავკვერი 29, ალიგოტე 97, პინო თეთრი 171, ციცქა 2839, ცოლიკოური 6161, კრახუნა 36, ოცხანური საფერავ 5, წულუკიძის თეთრი 152, ალექსანდროული მუჯურეთული 219, უსახელოური 8, ოჯალეში 25, ჩხავერი 20, ალადასტური 46 ჰა.

სამწუხაროდ, საქართველოს ვენახების ჯიშობრივი შედგენილობის სრულყოფილი და დღევანდელი მდგომარეობის ამსახველი მონაცემები არ გაგვაჩნია; 2004 წლის მონაცემებიდან ჩანს, რომ თითქმის გაქრობის ზღვაზეა, სავალალო მდგომარეობაშია თავისი უნიკალურიბით გამორჩეული ვაზის ჯიშები: ჩხავერის, ოჯალეშის, უსახელოურის, ოცხანური საფერას, კრახუნას და სხვათა ფართობები, რომელთა აღდგენა-განვითარება სამთავრობო ზრუნვის საგანი უნდა გახდეს.

სამწუხაროდ, ბოლო წლებში ქვეყანაში გახშირდა უცხოური ვაზის ჯიშების სამრეწველო დანიშნულებით შემოტანა-გავრცელება წინასწარი აპორბაციის, შემოწმების გარეშე, რამაც სასურველი შედეგი არ მოგვცა; მაგ: შატო მუხრანში იტალიელი კონსულტანტის ინიციატივით საუკუნის დასაწყისში შემოტანილი იქნა უცხობი ვაზის ჯიში. “ნერო დე ოლა”, რომელიც 4-5 წლის შემდეგ ამოსაძირკვი გახდა და ამოიძირკვა კიდევ; ასევე, მეცნიერული რეკომენდაციის გარეშე კაბერნე სოვინიონი აღმოჩნდა თერჯოლის რაიონში,

შეუფერებელი ნიადაგურ-ქლიმატურ პირობებში. გასულ წლის 5 წლის ვენახი ამოიძირკვა; სხვა მაგალითებიც ბევრია, როლებიც რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს და სათანადო წესრიგი უნდა დამყარდეს ამ სფეროშიც.

ზემოთ აღინიშნა, რომ 21-ე საუკუნეში ქართული მედვინეობის პრიორიტეტია ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების წარმოების გაზრდა, რომლის შესაძლებლობაც ჩვენს ქვეყანას უხვად გააჩნია.

### **3.3.16. შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდი – განვლილი გზა და ახალი გამოწვევები**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2013 წლის 25 ოქტომბერს მოისმინა აკადემიკოს რევაზ ასათიანის მოხსენება: “შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდი – განვლილი გზა და ახალი გამოწვევები”.

აღინიშნა, რომ ეროვნული სამეცნიერო ფონდის ძირითადი მიზნებია სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევების ფინანსური ხელშეწყობა საქართველოში, მეცნიერების პოპულარიზაცია და ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების, აგრეთვე ქართული აკადემიური წრეების საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის მხარდაჭერა.

ფონდი ხელს უწყობს ახალგაზრდა კადრების მოზიდვას მეცნიერებაში, პოპულარიზაციას უწევს ქართული კულტურული მექანიზრების სამეცნიერო კვლევებს, ხელს უწყობს ინოვაციური ტექნოლოგიური ხასიათის კვლევებს.

ფონდის მიერ ფინანსდება შემდეგი ძირითადი მიმართულებების კვლევები:

1. ქართველოლოგიის მეცნიერებები;
2. ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებები;
3. საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები;
4. საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაციები;
5. მათემატიკური მეცნიერებები;
6. ფიზიკური და ქიმიური მეცნიერებები;
7. სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები;
8. სამედიცინო მეცნიერებები;
9. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები;
10. აგრარული მეცნიერებები

ფონდის მიერ შემუშავებული და დანერგილია კონკურენტული დაფინანსების სისტემა, რომელიც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის მხოლოდ ესტონეთსა და ლატვიაში მოქმედებს. ნებისმიერი ტიპის დაფინანსება ფონდიდან გაიცემა მხოლოდ კონკურსის საფუძველზე. ყველა კონკურსი ტარდება ლიად, გამჭვირვალედ, ობიექტურად. დიდია სამეცნიერო საზოგადოების ხდობა ამ სისტემის მიმართ, ფონდს მაღალი რეპუტაცია აქვს უცხოელ პარტნიორებს შორის. 4000-ზე მეტი მაღალკვალიფიციური უცხოელი ექსპერტი თანამშრომლობს საკონკურსო პროექტების რეცენზირებაში.

დაფინანსება ძირითადად ხორციელდებოდა ერთიანი უნიფიცირებული მიდგომით – ერთი კონკურსის სახელმწიფო სამეცნიერო-გრანტების კონკურსის ფარგლებში. ასეთი სისტემა არ ტოვებდა სახელმწიფო პრიორიტეტის გამოკვეთის

საშულებას. ნიველირებული იყო ყველა მიმართულება და იგი ადმინისტრირებისათვის მოუქნელი იყო.

ამისათვის ერთიანი კონკურსი ორად დაიყო: ამჟამად ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევებისათვის თითოეულ მათგანზე მორგებულია სპეციფიკური პირობები, სხვადასხვაა დაფინანსების მოცულობა, გამოიკვეთა ტექნოლოგიურ ინოვაციებზე ორიენტირებული კვლევების წახალისების მექანიზმი. დაიხვეწა ფონდისა და მეცნიერთა ურთიერთობის მექანიზმი. გამარტივდა პროექტების მონიტორინგის სქემა.

დაინერგა საკონკურსო განაცხადების შემოტანისა და მიმდინარე პროექტების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა.

სამეცნიერო პროექტების დაფინანსება ძირითადად ხორციელდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან. მკვლევარი და კვლევის შედეგების მომხმარებელი დისტანციებულები იყვნენ ერთმანეთისაგან, ბიზნეს-სექტორის ჩართულობა დაფინანსებაში პრაქტიკულად ნულოვანი იყო.

ამიტომ, ასევე გაჩნდა თანადაფინანსების კომპონენტი, რომელიც ზოგიერთ კონკურსში აუცილებელი პირობა გახდა. ზოგში კი უპირატესობა მიენიჭა. მაგალითად: საქართველოში ინერგება ბიზნესის მხრიდან კვლევების დაფინანსების ინსტიტუტი. წამყვანი ორგანიზაციებიდან თანადაფინანსება მნიშვნელოვნად ამაღლებს მათ პასუხისმგებლობას კვლევის პროცესისა და შედეგების მიმართ. ფონდი იღებს შემოსავალს დაფინანსებული პროექტების ფარგლებში შემუშავებული პატენტების მოგებიდან.

ფონდი თანამშრომლობს საერთაშორისო ფონდებთან: მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრი უკრაინაში (STGU); სამოქალაქო კალეგებისა და განვითარების ფონდი (GRDF) აშშ; საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრი (GNRS); იტალიის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრი (GNR); იულიხის კვლევითი ცენტრი (გერმანია). მიმდინარეობს მუშაობა ხელშეკრულებებზე TUBITAK-თან (თურქეთი) და DFG-თან (გერმანია).

ახალგაზრდა მკვლევართა მხარდასაჭერად ფონდის მიერ ჩატარებულია: ახალგაზრდა მკვლევართა სტაუირება; ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების კონკურსი; დოქტურანტურის საგანმანათლებლო პროგრამების თანახელმძღვანელობისათვის სახელმწიფო გრანტების კონკურსი; მოსწავლე-გამომგონებელთა კონკურსი “ლეონარდო დავინჩი”; სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი – “კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით”; საერთაშორისო ოლიმპიადებში საქართველოს ნაკრები გუნდების მონაწილეობის უზრუნველყოფა; ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევით-საგანმანათლებლო პროგრამის საგრანტო კონკურსი.

2011 წლიდან დანერგილია ახალი პროგრამები (კონკურსები): ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი; გამოყენებითი კვლევისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი; უცხოეთში მოღვაწე თანამემალულებთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევების სახელმწიფო გრანტი; სახელმწიფო გრანტი საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის; ქართული საბავშვო ფოლკლორის სახელმწიფო

სამეცნიერო გრანტი; სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი – “კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით”;

ფონდის მიერ 2011 წლიდან დანერგილია აგრეთვე ახალი კონკურსები: ქართული ეროვნული სამოსის კვლევის კონკურსი; სახელმწიფო გრანტი მსოფლიოს წამყვან კვლევით ცენტრებში საერთო კვლევითი და საგანმანათლებლო პროგრამის ჩამოყალიბებისა და მათი შემდგომში საქართველოში გადმოტანის მიზნით; დოქტურანტურის საგანმანათლებლო პროგრამების თანახელმძღვანელობის გრანტი; მოსწავლე-გამომგონებელთა კონკურსი “ლეონარდო დავინჩი”; ფონდისა და გერმანიის იულიოს კვლევითი ცენტრის – Forschungszentrum Jülich (JULICH) ერთობლივი კვლევით-საგანმანათლებლო პროგრამის საგრანტო კონკურსი; იტალიის კვლევების ეროვნულ საბჭოსთან ერთობლივი “ქართველი და იტალიელ მეცნიერთა თანამშრომლობის ხელშეწყობის პროგრამა” (CNR).

ფონდის მიერ დაფინანსებული და წარმატებული პროექტებია: “ჯუჯა ვაშლის თანამედროვე სანერგის და ინტენსიური ბალის გაშენება”; “საქართველოს ფარგლებს გარეთ მდებარე ქართული ხეროოთმოძღვრული ძეგლების ინტენსიური ისტორიულ-გეოგრაფიული რუკის და საცნობარო-საილუსტრაციო მონაცემთა ბანკის შექმნა”; “ქაღალდის საფუძველზე დამზადებული ქოლესტერული თხევადკრისტალური ინტერფერენციული სარკე ახალი სახეობის ამრეკლავი დისპლეებისათვის”; “ბაზალტის ბოჭკოს საფუძველზე კომპოზიტური ცემენტების წარმოება”; “დიგიტალიზაციის აპარატი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისათვის”, “არადესტრუქტიული რენდგენო-ფლუორესცენტრულ სპექტრომეტრი ეროვნული მუზეუმისათვის”, “დოკუმენტების, ფასიანი ქაღალდებისა და სამრეწველო პროდუქციისათვის ახალი ჰოლოგრაფიული დაცვის სისტემა”, “ნეიტრონული საველე საძიებო ხელსაწყო უკანონო, სახიფათო ტვირთბრუნვის წინააღმდეგ”.

სამომავლო გამოწვევებია საქართველოში ინოვაციური კვლევების ხელშეწყობა: ინოვაციური ტექნოლოგიების კონკურსი; პირველი კონკურსი საუნივერსიტეტო საწარმოების (Spi-off Company) შესაქმნელად; კვლევითი ინფრასტრუქტურის ხელშეწყობა-სამეცნიერო საგრანტო კონკურსი კვლევითი აპარატურის შესაძენად; ფონდის მიერ დაფინანსებული გამოყენებითი კვლევების ფარგლებში მიღწეული საუკეთესო შედეგების დაპატენტებაში ხელშეწყობა; საგანგებო თემატური კონკურსის გამოცხადება ქართული ენის ეროვნული კონკურსის ბალანსირებული ბაზის შესაქმნელად.

### **3.3.17. მეცნოველეობის პროდუქტების გადამამუშავებელ საწარმოებში რისკის შეფასების, შიდა კონტროლის (HACCP), პრევენციული სისტემებისა და მიკვლევადობის გამოყენების პრობლემები**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2013 წლის 25 ოქტომბერს მოისმინა აკადემიკოს ზურაბ ცქიტიშვილის მოხსენება: “**მეცნოველეობის პროდუქტების გადამამუშავებელ საწარმოებში**

**რისკის შეფასების, შიდა კონტროლის (HACCP), პრევენციული სისტემებისა და მიკვლევადობის გამოყენების პრობლემები”.**

აღინიშნა, რომ თანამედროვე გლობალიზაციის სისტემა უპრეცენდენტო გამოწვევების წყარო გახდა, მათ შორისაა სურსათისა და ცხოველთა საკვებით ადამიანთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის მიმართ გამოწვეული საფრთხეები, რაც ქვეყნის საზოგადოებისა და ხელისუფლების მხრიდან მოითხოვს ახალი სტანდარტების ჩამოყალიბებას, გლობალიზაციის უარყოფითი გავლენის შემცირებასა და საუკეთესო შედეგების გამოყენებას.

სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფა ყველა განვითარებული ქვეყნის ხელისუფალთა უპირველესი მოვალეობაა და ამ ქვეყნების მოსახლეობის (საზოგადოების) მზარდი ინტერესით ხასიათდება. მათ შორისაა ქართველი მომხმარებელიც, რომელმაც დღეს სურსათიდან მომდინარე საფრთხეები ოჯახში მსჯელობის საგნად აქცია (განსაკუთრებით იმპორტი).

საქართველოს მოსახლეობა ზოგიერთი მწარმოებლის მხრიდან არასათანადო პიგიენურ პირობებში და გაუგებარი წარმოშობის ნედლეულის გამოყენებით დამზადებული მავნე სურსათის შესახებ ინფორმაციას (ჯერ-ჯერობით მწირს) სატელევიზიო გადაცემებიდან და პრესის ფერცლებიდან გებულობს.

უნდა ვალიაროთ, რომ ნდობა სურსათის უვნებლობის მიმართ შერყეულია, თუმცა უახლოეს წარსულში ევროპის ქვეყნების მოსახლეობის დიდი ნაწილი ასევე სკეპტიკურად იყო განწყობილი უვნებლობის მართვის სახელმწიფო სისტემების მიმართ, რადგანაც წინა საუკუნის 90-იან წლებში განვითარებული ცხოველთა დაავადებები (მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ენცეფალოპათია) და სურსათში გამოვლენილი დიოქსინი და სხვა კონტამინანტები იწვევდა როგორც მედიის, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკოსთა მწვავე რეაქციებს შესაბამისი შეფასებებით და მოთხოვნებით ხელისუფალთა მიმართ, რამაც გარკვეული გავლენა იქონია და დღისათვის ევროკავშირის ქვეყნები გამოირჩევიან სასურსათო უსაფრთხოების სისტემების მაღალი დონითა და სანდოობით.

როდესაც ვსაუბრობთ გლობალიზაციის საუკეთესო შედეგების გამოყენებაზე, მხედველობაში გვაქვს განვითარებული ევროპული ქვეყნების გამოცდილება და საერთაშორისო ორგანიზაციების (FAO, CAC, WTO, WHO, EU) რეკომენდაციები ახალ მიღებითა დანერგვის შესახებ, რომელთა შორის მოიაზრება უვნებლობის მართვის ისეთი სისტემები, როგორიცაა “რისკის ანალიზი”, “HACCP” და “მიკვლევადობა”.

გთავაზობთ აღნიშნულ სისტემათა ზოგად განხილვას:

### **სურსათის უვნებლობა, რისკის ანალიზე დაფუძნებული მიღგომა.**

რისკის ანალიზი მოიცავს რისკის შეფასებას, კომუნიკაციას, მართვას და სხვა დამატებით დონისძიებებს.

ჩვენი ინტერესის სფეროა რისკის შეფასება საქართველოს კანონის “სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ” მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი “რისკის შეფასება ეფუძნება მეცნიერულად დასაბუთებულ შედეგებსა და მონაცემებს და ხორციელდება დამოუკიდებლად, ობიექტურად და გამჭვირვალედ”.

რისკის შეფასება მიიჩნევა სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სტანდარტის განვითარების მეცნიერულ მიდგომად. ბოლო წლების განმავლობაში სურსათის უვნებლობასთან მიმართებაში სიტყვა "რისკი" და სხვა ფრაზები: "უნდა ჩატარდეს რისკის ანალიზი", "უნდა მოხდეს დაინტერესებულ პირთათვის რისკის კომუნიკაცია" უფრო ხშირად გამოიყენება.

რატომ გამახვილდა ყურადღება რისკზე? შესაძლოა ეს არის საფრთხის ანალიზის კრიტიკული წერტილების (HACCP) რევოლუციის ლოგიკური განვითარება, რამაც 1980-1990-იან წლებში ინდუსტრიის ისტორიაში მოახდინა გადატრიალება. HACCP-ის I პრინციპი ამბობს, რომ საფრთხის ანალიზის განხორციელება სავალდებულოა. თავდაპირველად უნდა მოხდეს შესაძლო საფრთხეების იდენტიფიცირება, შემდგომ უნდა მოხდეს საფრთხეების შეფასება თითოეული საფრთხის სიმძიმის გათვალისწინებით, ამის შემდეგ კი უნდა შეფასდეს საფრთხის ალბათობა. აღნიშნული ორი ფაქტორი (საფრთხის ალბათობა და სიმძიმე) კი უკვე გვაძლევს ინფორმაციას რისკის შესახებ.

### რისკი

მომხმარებლის ჯანმრთელობაზე სურსათში არსებული საფრთხით გამოწვეული არასასურველი ზეგავლენის და მისი სიმძიმის ალბათობა.

რისკი მოიცავს ორ ნაწილს:

- ალბათობა, რომ საფრთხე მოახდენს ზეგავლენას მომხმარებელზე;
- იმ შემთხვევაში თუ მოახდენს ზეგავლენას - რა სიმძიმით.

### საფრთხე

სურსათში არსებული ბიოლოგიური, ქიმიური და ფიზიკური აგენტი ან სურსათის მდგომარეობა, რომელმაც შესაძლებელია ზიანი მიაყენოს ადამიანის ჯანმრთელობას.

### რისკის შეფასება

მეცნიერულად დასაბუთებული პროცესი, რომელიც მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

- საფრთხის იდენტიფიცირება;
- საფრთხის დახასიათება;
- საფრთხის გამოვლენის შეფასება;
- რისკის დახასიათება.

რისკის შეფასების მიზანია იმ დაავადების ხარისხის შეფასება, რომელიც შესაძლოა გამოიწვიოს პროდუქტთა ჯგუფმა მოსახლეობაში.

### საფრთხის იდენტიფიცირება

სურსათში ან სურსათთა ჯგუფებში არსებული იმ ბიოლოგიური, ქიმიური ან ფიზიკური აგენტების იდენტიფიცირება, რომელთაც შეუძლიათ ადამიანის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება.

### საფრთხის დახასიათება

ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზეგავლენის ბუნების ხარისხობრივი და რაოდენობრივი შეფასება, რომელიც შესაძლოა გამოწვეულ იქნას სურსათში არსებული ბიოლოგიური, ქიმიური ან ფიზიკური აგენტებით. მიკრობიოლოგიური რისკის შესაფასებლად უნდა მოხდეს მიკროორგანიზმებისა და ტოქსინების შესწავლა.

### საფრთხის გამოვლენის შეფასება

ბიოლოგიური, ქიმიური და ფიზიკური აგენტების გამოვლენის ხარისხობრივი და რაოდენობრივი შეფასება, რომელიც შესაძლოა გამოვლინდეს სურსათში ან სხვა რელევანტური წყაროების გზით.

### რისკის დახასიათება

ხარისხობრივი და ან რაოდენობრივი შეფასების განსაზღვრის პროცესი, რომელიც მოიცავს ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში დაავადებების არსებობის ან ალბათობის შეფასებას ადამიანთა ჯგუფში საფრთხის იდენტიფიცირების, დახასიათების და გამოვლენის საფუძველზე.

### HACCP-ის სისტემა

**რა არის HACCP? HAZARD - საფრთხის ANALYSIS - ანალიზი და CRITICAL - კრიტიკული CONTROL - საკონტროლო POINTS - წერტილები.**

HACCP-ის წარმოშობის ისტორია: წარმოიშვა საინჟინრო პროგრამიდან, Pillsbury / NASA - ამერიკული კოსმოსური პროგრამა - 1960-იან წლებში. 1971 - წარმოდგენილ იქნა სურსათის დაცვის სახელმწიფო კონფერენციაზე აშშ-ში. აშშ-ს რეგულაციები - FDA და USDA. 1988-1995 HACCP-ის პრინციპების ინტეგრირება სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში დასავლეთის ქვეყნებში.

**საფრთხის სახეებია:** ბიოლოგიური (მომწამვლელი ბაქტერიები, ვირუსები, მიკროსკოპული პარაზიტები), ქიმიური (საწმენდი საშუალებები, სამრეწველო დანიშნულების მიზნით გამოყენებული ქიმიური პრეპარატები, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ქიმიური პრეპარატები, პესტიციდები და სხვა ქიმიური საშუალებები). ფიზიკური (ქვა, ხრახნი, ომა, მეტალის ნატეხი, ჭიქის ნატეხი, მწერი).

**HACCP-ი არის:** პრევენციის და არა უკვე მომხდარზე რეაგირების სისტემა; მეცნიერულ საფუძველზე დამყარებული სისტემა; მართვის ხერხი, რომელიც უზრუნველყოფს სურსათის დაცვას ბიოლოგიური, ქიმიური და ფიზიკური საფრთხეებისაგან.

**HACCP-ის მიზანია:** თავიდან აიცილოს, შეამციროს ან მინიმუმამდე დაიყვანოს სასურსათო პროდუქტებთან დაკავშირებული რისკი; უზრუნველყოს უვნებელი სურსათის წარმოება და დაადასტუროს, რომ წარმოებული სურსათი უვნებელია.

**HACCP - სურსათის უვნებლობის მართვის სისტემა მთელი სასურსათო ქსელისათვის** - მწარმოებლები, გადამამუშავებლები, მომსახურების სექტორი, მომხმარებელი - "ფერმიდან სუფრამდე".

**HACCP-ის გეგმის შემუშავების წინასწარი ეტაპები:** 1. HACCP-ის ჯგუფის შექმნა, 2. სურსათის აღწერა და მისი დისტრიბუცია, 3. შესაძლო გამოყენებისა და

პროდუქციის მომხმარებელთა განსაზღვრა, 4. ბლოკ-სქემის შემუშავება და 5. შემუშავებული ბლოკ-სქემის გადამოწმება.

**HACCP-ის პრინციპები:** 1. საფრთხის ანალიზის განხორციელება, 2. კრიტიკული საკონტროლო წერტილების დადგენა, 3. კრიტიკული ზღვრების დადგენა, 4. მონიტორინგის პროცედურების დაწესება, 5. მაკორექტირებელი პროცედურების დაწესება, 6. გადამოწმების პროცედურების დაწესება და 7. ჩანაწერების შენახვის სისტემა.

HACCP-ი არ არის "განცალკევებული" სისტემა - HACCP, სავალდებულო პროგრამები/ წარმოების კარგი პრაქტიკა.


**რა არის მიკვლევადობა?** მომწოდებლები, ფერმერები, გადამამუშავებლები, ბროკერი-ექსპორტორი-საცალო მოვაჭრე, მომხმარებელი, საურსათო ქსელი - შესაძლებლობა დავადგინოთ სურსათში გამოყენებული ნებისმიერი ნივთიერების, ნედლეულის შესახებ ინფორმაცია სურსათის წარმოების ყველა ეტაპზე, რაც მოიცავს მომწოდებლებს, ფერმერებს, გადამამუშავებლებს სატრანსპორტო კომპანიებს, ბითუმად მოვაჭრეებს, საცალო ვაჭრობის ობიექტებს. (ე.ი. შესაძლებლობა მოვიძიოთ ინფორმაცია სურსათის წარმოების ნებისმიერი ეტაპის შესახებ საბოლოო მომხმარებლიდან მწარმოებლამდე, მომწოდებლამდე და პირიქით).

**რატომ არის მიკვლევადობა მნიშვნელოვანი?** სურსათის უგნებდლობის უზრუნველყოფის ძირითადი პროცესი, კომპანიის რეპუტაციის დაცვის საშუალება, მოითხოვება პროდუქციის ექსპორტისას, მოითხოვება კლიენტების მიერ.

### სურსათით გამოწვეული ეპიდემიის მიზეზები აშშ-ში 1993-1997 წლებში



### დიდი ბრიტანეთის რძის სექტორში HACCP-ის დანერგვის დადებითი შედეგები



### **3.3.18. ახალი კულტურა „ამარანტას“ გავრცელების პერსპექტივები საქართველოში**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2013 წლის 27 ნოემბერს მოისმინა აკადემიკოს ზაური ჩანქსელიანისა და აკად. დოქტორის იური რამაზაშვილის მოხსენება “ახალი კულტურა „ამარანტას“ გავრცელების პერსპექტივები საქართველოში”.

აღინიშნა, რომ გასულ წლებში საქართველოში აღირიცხებოდა დაახლოებით 700 000 ჰა სახნავი და 50 000 ჰა ბუნებრივი საკვები სავარგული. მოცემულ მომენტში ამ მიწების 20% მიტოვებულია. 20 წლის მანძილზე გაკულტურებულ ნიადაგებში არ ყოფილა შეტანილი ორგანიკა და მისმა დეფიციტმა 30 მლნ ტონას მიაღწია, ჰუმუსის შემცველობამ კი კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. აზოტოვანი სასუქების არაზომიერმა შეტანამ ნიადაგში გამოიწვია ნიადაგის მიკროფლორის განადგურება და შედეგად მივიღეთ ნიადაგის ბიოლოგიური და სტრუქტურული დეგრადაცია. ამიტომ ნიადაგების 50% ეროზირებული, გამოფიტული და ჩარეცხილია წყლისგან. ამგვარი მდგომარეობა გადაუჭარბებლად შეიძლება კლასიფიცირდეს როგორც პერმანენტული ეკოლოგიური უბედურების კრიტიკული ფაზა. საქართველოს ნიადაგების ნაყოფიერების აღდგენას და მათი ფართობების გაზრდას ათვული წლები დასჭირდება.

არასწორმა მიწათსარგებლობამ გაანადგურა სახელმწიფოები საპარისა და მესოპოტამიის ტერიტორიებზე, ცივილიზაციები მაია და კასსა, დააჩქარა რომისა და საბერძნეთის დაცემა. ეკოციდი, რომელიც წარსულში დაიწყო დღემდე გრძელდება. მე-20 საუკუნის შუა წლებში აშშ-სა და რუსეთში ნიადაგის საპარო ეროზიის (დეფლაცია) შედეგად დაიწყო შიმშილობა. მე-20 საუკუნის ბოლოს აფრიკაში 6,3 მილიონი ჰექტარი ნიადაგის დეგრადაციისა და შიმშილის საშიშროების გამო 20 მილიონზე მეტმა ადამიანმა განიცადა მიგრაცია მთელ მსოფლიოში.

ამის შემდგომ, 1982 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, იუნესკომ, ფაომ, იუნეპმა მიიღეს “ნიადაგის მსოფლიო ქარტია”, რომელშიც მოუწოდებლნენ ყველა ქვეყნის მთავრობებს, რომ ყოველი ქვეყნის მიწის საფარი განხილული იყოს როგორც კაცობრიობის მონაპოვარი. ნიადაგი გამოცხადდა როგორც მესამე ეკოლოგიური პრიორიტეტი, ისეთი როგორც წყალი და ჰაერი.

მაგრამ ცნობილია, რომ ისტორიის სამწუხარო გაკვეთილები ამჟამადაც მეორდება საქართველოშიც. ეს კარგად ჩანს ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორის მაგალითზე, კერძოდ მოცემულ მომენტში ნაციონალური საკვები პროდუქტების წილი საქართველოს ბაზარზე შეადგენს 50%.

**პრაქტიკული მოქმედებები.** შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე ნოუიერი საკვები პროდუქტის მოცულობის ზრდისთვის საჭიროა დარჩენილ მიწებზე სასწრაფოდ დაინერგოს მაღალი ნაყოფიერების მქონე მაღალმოსავლიანი კულტურები. აღნიშნული დონისძიება აამაღლებს ნიადაგების პროდუქტიულობას ბიომასების მხრივ.

გაერთიანებული ერების სასურსათო კომისიამ 21-ე საუკუნის პრიორიტეტულ კულტურებს შორის დაასახელა ამარანტი-უძველესი მრავალფუნქციური

მარცვლოვანი კულტურა. ამარანტი 8 ათასი წლის განმავლობაში იყო სამხრეთ ამერიკისა და მექსიკის ერთ-ერთი მთავარი თავთავიანი კულტურა. აზიის ქვეყნებში ამარანტი პოპულარულია როგორც მარცვლოვანი და ბოსტნეული კულტურა.

ამარანტის კულტურისადმი ყურადღების მიქცევა ერთ-ერთმა პირველმა სცადა აკადემიკოსმა ნ.ი.ვაკილოვმა 1930 წელს, რომელმაც იწინასწარმეტყველა, რომ “აღნიშნული მარცვლეული მომავალში დააპურებს მთელ კაცობრიობას”. ამარანტის კულტურისადმი ინტერესის განახლება აშშ-ის მეცნიერთა დამსახურებაა, რომლებმაც შექმნეს სხვადასხვა სახეობების თესლების საკოლექტიო ფონდი და დამუშავეს ტექნოლოგიური რეკომენდაციები. ჩვენთვის უახლესი ქვეყანა, რომელსაც ასევე აქვს მსოფლიო ავტორიტეტი ამარანტის კულტივირების საქმეში, ეს არის უკრაინა. გავითვალისწინეთ რა ამარანტის პოპულარობის ზრდა მსოფლიოში, ჩვენს მიერ ჩატარებული იყო სამუშაოები აღნიშნული კულტურის და მისგან პერსპექტიული პროდუქციის მიღების საცდელი წარმოების დასახერგად საქართველოში. აგროტექნიკური სამუშაოები ჩატარდა ხარკოვის აგრარული უნივერსიტეტის მეთოდური დახმარებით.

ამარანტის სამშობლოა პერუ და მექსიკა, იგი ერთწლიანი კულტურაა, სახეობა *Amaranthus*, ოჯახი *Amaranthaceal, Caryophyllales* რიგი, წყობა შედგება 60 სახეობისაგან, რომელთაგანაც 12 გაკულტურებულია. ამარანტის ეტიმოლოგიაა-მუდმივი, უძვნობი. ძირითადი კულტურული ჯგუფებია- სასურსათო , ზეთოვანი და საკვები. მცენარის სიმაღლე 0,5-დან 3 მეტრამდე. ნიადაგი-ქვიშნარი და თიხნარი ტყესტეპისა და სტეპის ზონის,  $\text{PH}$  8,5-6,0. მდგრადია ჟანგბადის ნაკლაბობისადმი. სიმაღლის სარტყელი 3000 მ-მდე. ფიტოსინთეზის მინიმალური ტემპერატურაა +12- $15^{\circ}\text{C}$ , მაქსიმალური +50 $^{\circ}\text{C}$ -მდე. გაღვივებისათვის საჭირო ნიადაგის ტემპერატურაა +12 $^{\circ}\text{C}$ , ვეგეტაციური პერიოდი 90-130 დღე. საუკეთესო წინამორბედია -საშემოდგომო მარცვლეული და პარკოსნები. ამარანტი დადებითადაა განწყობილი მორწყვისა და მინერალური სასუქებით კვებაზე ადრეულ ფაზაში.

ამარანტს ორი სახის ფესვები აქვს: ზედაპირული და ღეროვანი, რომელიც გვალვის პერიოდში 7 მეტრამდე სიღრმეში მოიპოვებს ტენს მცენარისათვის. ამიტომ მცენარეები უძლებენ გვალვას და იძლევიან გარანტირებულ მოსავალს. ორგანული ნივთიერების ერთეულის შესაქმნელად ამარანტი, როგორც  $C_4$  ტიპის მცენარე მოითხოვს წყლის ნაკლებ რაოდენობას- 2-ჯერ ნაკლებს ვიდრე ხორბალი და ქერი, 2,5-ჯერ ნაკლებს, ვიდრე ლობიო, იონჯა და მზესუმზირა.

ამარანტი მაღალპროდუქტიული კულტურაა .ბიომასის მოსავლიანობა 3-ჯერ აღემატება სიმინდის ბიომასას და შეადგენს 200 ტონა/ჰა მწვანე მასას მარცვალთან ერთად. მარცვლის მოსავალია 60 ც/ჰა; მინერალური ნივთიერებების საშუალო გამოსავალი 100ც მწვანე მასაზე გაანგარიშებით შეადგენს : N25-30კგ, P 18-22, K 75-85, Ca 35-40, Mg 16-18 გგ.

ამარანტი მაღალცილოვანი მცენარეა და ცილის შემცველობით უსწრებს სოიას, წიწიბურას, რძეს, უკვე აღარ ვსაუბრობთ მარცვლოვნებზე. ამარანტის სილოსში სიმინდის სილოსთან შედარებით პროტეინის შემცველობა 1,7-ჯერ უფრო მეტია. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოზარდეულის რაციონში სიმინდის

სილოსის ნაცვლად ამარანტის სილოსის გამოყენება საშუალო დღიურ წონამატს ზრდის 16%-ით, ასევე 12%-ით იზრდება წველადობა. დორების რაციონზიც ამარანტის სილოსი ცვლის კონცენტრირებული საკვების 20%. ფრინველის (ქათამი, ინდაური, სირაქლემა, წყალში მცურავები) რაციონზი ამარანტის დამატება ზრდის კვერცხმდებლობას და მათ წონამატს.

ცხოველთა კვება მხოლოდ ამარანტით არ არის რეკომენდებული. იგი უნდა შევიდეს კომბინირებული საკვების შემადგენლობაში, როგორც ცილისა და შეუცვლელი ამინომჟავების წყარო. ამიტომ საკვებ ამარანტს თესავენ სხვა კულტურებთან ერთად, კერძოდ სორგოსთან 1 : 1 შეფარდებით მიიღება იდეალურად დაბალანსებული საკვები. ამასთან ორიგეს ერთდროული სავეგეტაციო პერიოდი აქვთ.

ამარანტი მრავალ ბიოაქტიურ ნივთიერებებს შეიცავს: ვიტამინებს (რუტინი, კვარცეტინი და პროვიტამინი A ბეტა კაროტინი), ალკალოიდებს, ლიპიდებს, პიგმენტებს, ცილებს, პექტინებს, ფლავონოიდებს და სხვა. ამარანტის მარცვალი 16% ცილას, 5-6 % ცხიმებს, 55-62 % სახამებულს შეიცავს. ლიზინის შემცველობით ამარანტის ცილა ორჯერ აღემატება ხორბლის ცილას. ლიპიდური ფრაქცია შეიცავს 10%-მდე სკვალენს (სკვალენი აახალგაზრდავებს უჯრედებს, აუვენებს კიბოს წარმონაქმნების ზრდასა და გავრცელებას, ზრდის ორგანიზმის იმუნურ სისტემას). სკვალენი აღადგენს ეპიტალიის უჯრედების მოქმედებას, კურნავს დერმატოზებს, კოსმეტიკაში იგი ძალზე ძვირფასი კომპონენტია. ამარანტის ზეთი გამოიყენება სხივური თერაპიის დროს, იცავს კანს კანის კიბოსაგან. ამარანტის ფესვებს აქვთ სამკურნალო პეპტოპროტექტორული თვისება.

ამარანტის ზეთს დიდი კვებითი და ფარმაკოლოგიური დირსება აქვს. მას აქვს აგრეთვე დამწვრობის საწინააღმდეგო და ჭრილობის შემხერცებელი მოქმედება. პექტინურ ნივთიერებებს აქვთ უნარი ორგანიზმიდან გამოდევნონ მძიმე მეტალები. მაღალხარისხოვანი ცილა შეუცვლელი ამინომჟავების მაღალი შემცველობით შეიძლება გამოყენებული იქნას ცილით კვების ნორმალიზაციისათვის და სამკურნალო და პროფილაქტიკური დანიშნულების მქონე დიეტური პროდუქტების შესაქმნელად. ზეთი შეიცავს აგრეთვე რიბოფლავინს, ნიაცინს, ქლოროფილსა და მინერალურ ნივთიერებებს: Ca, Fe, P, Mg, Zn, Cu, Na, K.

ამარანტის ზეთი აუმჯობესებს თირკმლის, ღვიძლის ფუნქციონირებას, ნორმაში მოყავს სისხლის მაჩვენებლები, ახშობს პათოგენური მიკროორგანიზმების უჯრედებს და ორგანიზმიდან გამოაქვს ტოქსიკური პროდუქტები, ეხმარება შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მუშაობის აღდგენას და ა.შ. სხვა ბიოლოგიურად აქტიური სტიმულატორებისაგან განსხვავებით. ამარანტის ზეთის ხანგრძლივი გამოყენების შემთხვევაშიც კი არ ხდება უკუჩვენებები. იგი აუცილებელია ადამიანის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ორგანოებისათვის. 1 ლიტრი ფარმაცეპტული ზეთის ღირებულება აღწევს 500 ევროს (სასურსათოს-12ევრო/1 ლიტრი), ფასია 8 ევრო/1კგ.

ამარანტის ზეთი სხვა ზეთებთან შეთანაწყობაში მაღალ სამკურნალო თვისებებს სინერგიზმს ავლენს, რაც აძლიერებს ურთიერთ სამკურნალო თვისებებს.

ასეთია რასტორიპშის ( Silibum Marianum) ზეთი, რომელიც შეიცავს სილიმარინს, ლიკიდოს უჯრედების აღმდგენი და ყურძნის წიპრების ზეთი, რომელსაც აქვს უნიკალური სამკურნალო და დიეტური თვისებები. ზეთების გადაწურვის შედეგად მიღებული შროტი არის აქტიური ბიოლოგიური მზა საკვები დანამატი (БАВ). აღნიშნული პროდუქტი საერთაშორისო ბაზარზე 1კგ შეფასებულია 250 ევრომდე.

### **ჩატარებული სამუშაოების შედეგები.**

1. ჩვენს მიერ გამოცდილია საკვები ამარანტის უკრაინული ჯიში “ხარკოვული”-1 და ზეთოვანი “ულტრა”. ასევე გამოცდილია ამერიკული საკვები ჯიში ”პერუ”, დათესილია რასტოროპშის ( Silibum Marianum) ამერიკული და უკრაინული ჯიში.
2. ამარანტის დასათესად ჩვენს მიერ დამუშავებულია სპეციალური ჰუმუსიანი მასტიმულირებელი სასუქი, რომელიც გამოყენებული იყო მშრალი გამხსნელის სახით წვრილი ამარანტის დათესვის დროს, რის შედეგადაც გაღვივების პერიოდი ორჯერ შემცირდა. თესვის სქემა-რიგთაშორისებში 70 სმ, ბიჯი 45 სმ.
3. მცენარეები გამოიცადა საგარეჯოს, მარნეულის, კიკეთის ნაკვეთებზე და სათბურებში. აღმოჩნდა, რომ აღნიშნული რაიონების კლიმატური და ნიადაგობრივი პირობები იდეალურია ამარანტისათვის. საკვები ჯიშების სიმაღლემ 3მ-ს, ხოლო ზეთოვნების 1,8 მ-ს მიაღწია.
4. ნიადაგიდან 35 სმ სიმაღლეზე საკვები ამარანტის 35-ე დღეს (ვეგეტაციის პერიოდის 50%) მოჭრამ, 30 დღის შემდეგ მიაღწია თავისი პირველადი ბიომასის 80%-ს.
5. ამარანტის სხვადასხვა ბალახთან ნარევის (მთლიანი, სრული ნათესის დროს) მოსავლიანობამ ვეგეტაციის 30 დღეს ჰექტარზე 35 ტონა მწვანე მასა შეადგინა. დამზადდა მშრალი საკვები ბრიკეტები, რომლებიც წარმატებით იქნა გამოყენებული ძროხების საკვებად.
6. შეიქმნა ცივი გაწურვის მეთოდით ყურძნის ზეთის მისაღებად ყურძნის წიპრების მომზადების საცდელი ავტომატიზებული ხაზი. მიღებულია ყურძნის წიპრების და ამარანტის ზეთი, რომლებსაც ამჟამად უტარდება ბიოლოგიური ანალიზი. ზეთები და შროტები გამოცდილია დიეტური საკვების მომზადების დროს. დამზადებულია ბიოლოგიურად აქტიური საკვები დანამატები, ასევე ორიგინალური დიეტური საკვები.
7. გუმინური ნივთიერებებისა და ზეთების საფუძველზე შექმნილი და შემოწმებულია დერმატოზების სამკურნალო პრეპარატები. დამუშავებული და გამოცდილია სახის კანის გამაახალგაზრდავებული კოსმეტიკური საშუალება.
8. დამუშავებულია ამარანტისა და რასტოროპშის მოვლა-მოყვანის აგროწესები და ოპერაციების ჩატარების რუქები. დამუშავებულია პროდუქციის წარმოებისა და კულტურის მოვლა-მოყვანის კომპლექსური საწარმოო სისტემის ავანპროექტი. დამუშავებულია პროექტის ბიზნეს გეგმა და ინვესტიციური ანალიზი. პროექტის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები 10 წლის პერიოდზე არის: ინვესტიცია-2 მლნ. დოლარი, NPV-16 18000 USD, IRR-173%, ARR-193 %. მაჩვენებლების დონე პროდუქციის მოცემული ჯგუფის მსოფლიო საშუალო დონეს შეესაბამება.

მომავალი პერიოდის სამუშაოები.

1. ინვესტიციების მოზიდვა პროექტის განსახორციელებლად (არა უმცირეს 2,0 მლნ ლარისა).
2. ეკოლოგიურად სუფთა მცენარეების საწარმოებლად შეიქმნას ორგანულ-მინერალური სასუქების წარმოება.
3. დასავლეთ საქართველოში და მთის მეცხოველეობის რაიონებში ჩატარდეს გაფართოებული საველე ცდები, ამარანტი დაითვის 100 ჰა-მდე ფართობზე.
4. ჩატარდეს საკვები, სასურსათო, სამკურნალო და კოსმეტიკური პროდუქტების გამოცდა სახელმწიფო რეგისტრაციისა და ГОСТ-ის დასამუშავებლად.
5. შეიქმნას ზეთისა და მისი თანმდევი პროდუქციის სათავო წარმოება.
6. შეიქმნას ნედლეულის პირველადი გადამუშავებისა და ბრიკეტირებული საკვების წარმოების პუნქტები.

აღნიშნული გეგმის შესასრულებლად მიზანშეწონილია პროექტის აღიარება სამთავრობო დოკუმენტების როგორც სახელმწიფო რეგისტრის მინიშვნელობის და შეტანილი იქნას იგი საქართველოს ეკონომიკური განვითარების პერსპექტიულ გეგმაში. ეს აამადლებს ინვესტორთა ნდობას პროექტისადმი.

### **3.3.19. აგრარულ სფეროში 2013 წლის საუკეთესო მეცნიერები**

სსმმ აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2013 წლის 27 ნოემბერს დაამტკიცა საექსპერტო-საკონკურსო კომისიების გადაწყვეტილებები “აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო ქართველი მეცნიერის წოდების” მოსაპოვებლად გამოცხადებული კონკურსის შესახებ.

2013 წლის 22 ივლისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ გაზეთ “საქართველოს რესპუბლიკის” საშუალებით გაავრცელა განცხადება “აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო ქართველი მეცნიერის წოდების” მოსაპოვებლად გამოცხადებული კონკურსის შესახებ.

კონკურსი გამოცხადდა შემდეგ დარგებში: აგრონომიულ-ში; მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოების და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავებაში; აგროსაინჟინროსა და ეკონომიკაში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის 2013 წლის 27 სექტემბრის №12 ბრძანებით “აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო ქართველი მეცნიერის წოდების” მოსაპოვებლად გამოცხადებული კონკურსის ჩატარებისათვის დამტკიცდა საექსპერტო-საკონკურსო კომისიები დარგების მიხედვით (ბრძანება მოხსენებით ბარათს თან ერთვის).

სსმმ აკადემიის საკოორდინაციო-დარგობრივ სამეცნიერო განყოფილობებში შემოტანილი იქნა შემდეგი წარდგინებები: 1. აგრონომიული მიმართულებით – აკად. წევრ-კორესპონდენტი ოთარ ლიპარტელიანი (კანდიდატურა წარმოადგინა სსმმ აკადემიის აკადემიკოსმა გოგოთურ აგლაძემ); 2. მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოების და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების მიმართულებით - სსმმ აკადემიის აკადემიკოსი გოგოთურ აგლაძე (კანდიდატურა წარმოადგინა სსმმ აკადემიის აკადემიკოსმა ო. ზარდალიშვილმა და ს.მ. მეცნ. დოქტორმა ო. სარჯველაძემ); სსმმ აკადემიის აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი (კანდიდატურა წარმოადგინა საქ. მეცნიერებათა ეროვნ. აკადემიის აკადემიკოსმა, სსმმ აკადემიის წ/კორესპონდენტმა თენგიზ ურუშაძემ). 3. აგროსაინჟინრო

მიმართულებით – სსმმ აკადემიის აკადემიკოსი ნუგზარ ბალათურია (კანდიდატურა წარმოადგინა საქ. ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ს/კ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ); სსმმ აკადემიის აკადემიკოსი შოთა ჭალაგანიძე (კანდიდატურა წარმოადგინა სსმმ აკადემიის აკადემიკოსმა ჯემალ კაციტაძემ). 4. ეკონომიკის მიმართულებით - სსმმ აკადემიის აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი (კანდიდატურა წარმოადგინა სსმმ აკადემიის აკადემიკოსმა თამაზ კუნჭულიამ).

საექსპერტო-საკონკურსო კომისიების სხდომების გადაწყვეტილებების შესაბამისად დარგების მიხედვით აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო ქართველი მეცნიერის წოდების” მისანიჭებლად რეკომენდაციები მიეცათ: აგრონომიულ დარგში – **სსმმ აკადემიის წევრ-კორესპონდენტს** ოთარ ლიპარტელიანს; მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოების და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების დარგში – **სსმმ აკადემიის აკადემიკოს გოგოთურ აგლაძეს;** აგროინჟინერიის დარგში – **სსმმ აკადემიის აკადემიის აკადემიკოს შოთა ჭალაგანიძეს;** ეკონომიკის დარგში – **სსმმ აკადემიის აკადემიკოს ომარ ქეშელაშვილს.**

### **3.3.20. კვების მრეწველობის ინოვაციური განვითარების ძირითადი მიმართულებები საქართველოში**

2013 წლის 20 დეკემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ მოისმინა აკადემიკოს ნუგზარ ბალათურიას მოსსენება „ინოვაციური ტექნოლოგიები კვებისა და გადამამუშავებელ მრეწველობაში.“

ადინიშნა, რომ ბოლო წლებში ბევრი იწერება იმის შესახებ, თუ ეკონომიკური რეგულირების რომელი მოდელი უნდა მოვარგოთ საქართველოს ეკონომიკას. გაცილებით ნაკლები ინფორმაციაა იმის შესახებ, თუ რა პროდუქტების წარმოებას უნდა მოვარგოთ ეს მოდელები.

საკითხი აქტუალურია იმის გამო, რომ საბჭოთა პერიოდში ჩვენი ეკონომიკა ძირითადად აწყობილი იყო ღვინის, ჩაის, საკონსერვო პროდუქციისა და ეთეროვანი ზეთების წარმოებაზე. ჩაისა და ეთეროვანი ზეთების წარმოება მთლიანად შეწყდა და დავრჩით ერთადერთი ღვინის იმედად. ამასთან გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მსოფლიოში დაფიქსირდა ყურძნის ჭარბწარმოება, რის გამოც გაერთიან შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც სწავლობს და არეგულირებს ყურძნის ჭარბწარმოების პრობლემებს. რაც შეეხება ეთეროვან ზეთებსა და ხილ-კენკროვანთა წვენებს, აქაც არანაირი პერსპექტივები არ გვესახება, თუ არ შეგქმნით ინოვაციურ ტექნოლოგიებს და არ ვაჯობებთ ხარისხითა და თვითდირებულებით ამ პროდუქციის მწარმოებელ ქვეყნებს.

ზემოთქმული მიუთითებს იმაზე, რომ სასწრაფოდ უნდა მოხდეს ჩვენი ეკონომიკის დივერსიფიკაცია, ანუ ისეთი მიმართულებების განვითარება, რომლებიც ადრე ნაკლებად იყო წარმოდგენილი საქართველოს ეკონომიკაში.

საქართველოსავით პატარა ქვეყნების - ფინეთის, ესტონეთის - გამოცდილება გვერდნახობს, რომ უნდა ავითვისოთ ახალი მიმართულება -

ფუნქციონალური კვების პროდუქტების წარმოება, ადგილობრივი ნედლეულის რესურსების გამოყენებით.

ფუნქციონალური კვების პროდუქტები - ესაა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები, რომლებიც შეიცავენ სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების ბიოაქტიურ კომპონენტებს და განკუთვნილია ყოველდღიური მოხმარებისათვის.

ფუნქციონალური კვების პროდუქტების წარმოების სისტემა 1989 წელს ორგანიზებულ იქნა იაპონიაში. იაპონიის მთავრობა ფუნქციონალური პროდუქტებით კვებას მიიჩნევს მედიკამენტური თერაპიის ალტერნატივად და განსაზღვრავს მას როგორც Food for Specific Health Use (FOSHU).

საქართველოში არსებული მცენარეული ნედლეულის რესურსები(ხილი და კენკრა, ყურძენი, მანდარინის ნაყოფები) საშუალებას იძლევა ვაწარმოოთ ორი ტიპის ფუნქციონალური პროდუქტები - 1)ანტიოქსიდანტებითა და 2)კომპლექსურმოქმნელი ნივთიერებებით (პექტინოვანი ნივთიერებებით) გამდიდრებული პროდუქტები.

ქვემოთ მოყვანილია ამ პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიების მოკლე ანოტაცია.

### **ტექნოლოგიის დასახელება: პურის ნატურალური გამაუმჯობესებლის ტექნოლოგია.**

**მოთხოვნილება:** მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა პურის მოხმარება, რაც ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ პურის ხელოვნური გამაუმჯობესებლების და მათ შორის განსაკუთრებით გლუტენის მასიურმა გამოყენებამ გამოიწვია ურთულესი დაავადების – ცელიაკიისა და სხვა საშიში დაავადებების გავრცელება.

კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჩატარებული გამოკვლევებით დადგენილ იქნა, რომ პურცხობის მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად ხელოვნური გამაუმჯობესებლების ნაცვლად შეიძლება გამოყენებულ იქნას ყურძნიდან სპეციალური ტექნოლოგიით მიღებული ნატურალური ექსტრაქტები.

### **ტექნოლოგიის დასახელება: ანტიოქსიდანტური უალკოჰოლო ლვინის წარმოების ტექნოლოგიები**

**დანიშნულება:** რადიაციით დაბინძურებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციით უზრუნველყოფა;

### **ტექნოლოგიის დასახელება: ხილ-კენკროვანთა ანტიოქსიდანტური ფრუქტოზლი წვენების წარმოების ტექნოლოგია.**

კვების მრეწველობის ინსტიტუტში დამუშავებულია ხილ-კენკროვანთა ნედლეულიდან ფრუქტოზითა და ფენოლური ნაერთებით გამდიდრებული ნატურალური წვენების (ბიოანტი) წარმოების ტექნოლოგია. ახალი პროდუქტი შეიძლება გამოყენებულ იქნას დიაბეტით დაავადებულთა სამკურნალო-პრო-

ფილაქტიკური კვებისათვის. მსგავს პროდუქტებზე ასევე დიდია მოთხოვნილება რადიაციით დაბინძურებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის სამკურნალო-პროფილაქტიკური კვებისათვის.

### **ტექნოლოგიის დასახელება: „ მანდარინის თხევადი ნაყოფების წარმოების ტექნოლოგია“.**

დამუშავებულია მანდარინის ნაყოფების უნარჩენო გადამუშავების ტექნიკა და ტექნოლოგია.

აღნიშნული ტექნოლოგიის გამოყენებით შეიძლება ვაწარმოოთ საექსპორტო პროდუქცია ნატურალური საკვები დანამატის სახით.

### **ტექნოლოგიის დასახელება: „მანდარინის ნაყოფების გადამუშავების კომპლექსური ტექნოლოგია,,**

დამუშავებულია მანდარინის ნაყოფების კომპლექსური გადამუშავების ტექნოლოგია, რომელიც ითვალისწინებს ბავშვთა კვებისათვის გამიზნული პიურეს, დისტილაციური ეთეროვანი ზეთისა და პექტინის პასტის მიღებას.

ტექნოლოგიის დასახელება: ბალახოვანი ნედლეულიდან ეთეროვანი ზეთების მიღების ახალი ტექნოლოგია.

კვების მრეწველობის ინსტიტუტში დამუშავებული ეთეროვანი ზეთების მიღების ახალი ტექნოლოგიის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ მისი გამოყენების შედეგად მიღება ეკოლოგიურად სუფთა ეთეროვანი ზეთები, მკვეთრად მცირდება (50-60%-ით) 1კგ ეთეროვანი ზეთის გამოხდისათვის საჭირო ორთქლის ხარჯი, 50-60%-ით იზრდება გამოსახდელი აპარატების წარმადობა, რადგანაც შესაბამისად მცირდება გამოსახდელი ნედლეულის მასა.

ინოვაციური აგრარული ეკონომიკის ფორმირება ხდება მაშინ, როდესაც აგროსამრეწველო წარმოება ძირითადად ეფუძნება ინოვაციურ ტექნოლოგიებს. ინოვაციების განვითარების ყველა ქვეყნისათვის მისაღები ერთიანი სცენარი არ არსებოს, რის გამოც თითოეული ქვეყანა ემებს მსგავსი ამოცანების გადაჭრის საკუთარ მიღების შექმნა.

აგრარულ სფეროში წარმატებული ქვეყნების გამოცდილების გაცნობამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების ყველაზე რეალურ გზას წარმოადგენს აგროტექნოპარკების შექმნა.

**აგროტექნოპარკი** – ესაა სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მეცნიერებისა და განათლების ინტეგრაციის ფორმა, შექმნილი სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების სფეროში არსებული ინოვაციების კომერციალიზაციის მიზნით.

#### **დასკვნა:**

საქართველოს აგრარულ სფეროში ინოვაციური საქმიანობის სტიმულირებისა და მოწინავე ტექნოლოგიების დანეგვის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან უნდა შეიქმნას აგრარულ სფეროში ინოვაციური ტექნოლოგიების შემფასებელი ექსპერტთა საბჭო.

### **3.4. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს მიერ 2013 წელს ჩატარებული მუშაობის მოკლე ანგარიში**

სამეცნიერო საბჭო შეიქმნა აკადემიაში განხორციელებული სტრუქტურული  
ცვლილებების შედეგად 2013 წლის აპრილში. სამეცნიერო საბჭოს თამჯდომარედ  
დაინიშნა აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე.

სამეცნიერო საბჭოში გაერთიანებულები არიან: აკადემიის წევრები, სოფლის  
მეურნეობის დარგში მომუშავე მეცნიერები, სამთავრობო უწყებების  
წარმომადგენლები, წარმოების მუშაკები, ფერმერები და ა.შ.

სამეცნიერო საბჭო მუშაობს დამტკიცებული დებულების შესაბამისად,  
რომელიც აგებულია ინდივიდუალური თემატური მუშაობის პრინციპებზე.  
ვინილავთ პრობლემურ საკითხებს, რომლებიც დგას ქვეყნის აგროსამრეწველო  
კომპლექსის წინაშე.

მ.წ. ივლისში, სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე, მოსმენილი  
იქნა აკად. ი. ვასაძის მოხსენება, მეგენახეობა-მებაღეობის განვითარების  
პერსპექტივების შესახებ. სხდომას ესწრებოდნენ სოფლის მეურნეობის  
სამინისტროს წარმომადგენლები, ფერმერები, პრაქტიკოსები, დარგში მომუშავე  
მეცნიერები.

მიღებული იქნა შესაბამისი რეკომენდაციები, რომლებიც გაეგზავნა სოფლის  
მეურნეობის სამინისტროს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად, მომზადებულია მოხსენებები  
საქართველოს სოფლის მეურნეობის კოოპერაციის პრობლემებზე. კონფერენცია  
ჩატარდება მ.წ. ბოლომდე.

ამ საკითხთან დაკავშირებით, შემუშავებულია: დღის წესრიგი, ღონისძიების  
პროექტი, მზათაა გამომსვლელების მოხსენებები.

გარდა ამისა, ჩატარდა რამოდენიმე თემატური შეხვედრა: მეჩაიერების,  
მეფრინველეობის, კურკოვანი ხილის სანერგეების საკითხებზე.

თემატურ შეხვედრებს, ძირითადად აქვთ საკონსულტაციო ხასიათი. ამავე  
რეჟიმში ტარდება ინდივიდუალური შეხვედრები. სულ ჩატარდა 9 ასეთი ხასიათის  
შეხვედრა.

სამეცნიერო საბჭოს, მომზადებული ქონდა გამსვლელი სამეცნიერო  
კონფერენციები, რომლებიც უსასერობისა და უტრანსპორტობის გამო წელს ვერ  
ჩატარდა.

სამეცნიერო საბჭოს, განსაზღვრული აქვს შექმნას მონაცემთა  
კომპიუტერული ბანკი, რომელიც საშუალებას მისცემს დაინტერესებულ  
ადამიანებს, თავადვე მოიპოვონ შესაბამისი მასალები.

იდეის განხორციელებისათვის, საჭიროა როგორც ადამიანური, ისე  
მატერიალური რესურსების გაზრდა.

## **თავი 4. სსმა-ის სამრთაშორისო და აღგილობრივ აგრარული მიმართულების ორგანიზაციებსა და ფინანსურული თანამშრომლობა**

### **4.1. კონფერენციებში, კონგრესებში, სიმპოზიუმებში, სემინარებში, მრგვალ მაგიდაში მონაწილეობა**

#### **4.1.1. საერთაშორისო სემინარი**

2013 წლის 18 აპრილს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და ბონის უნივერსიტეტის მეცნიერების განვითარების ცენტრის (გერმანია) ორგანიზებით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა საერთაშორისო სემინარი თემაზე: “სასოფლო სამეურნეო განათლების და ცოდნის გავრცელების პრობლემები სოფლის მეურნეობაში”.

ბონის უნივერსიტეტის მეცნიერების განვითარების ცენტრიდან სემინარში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: დოქტორმა ანასტასია შტალტოვნამ – ბონის უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, პროფესორმა კრისტოფ ბან აშემ - ბონის უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, დოქტორმა ურლის კინდერმანმა – გერმანიის გარემოს დაცვის სამინისტროს ექსპერტმა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას სემინარზე წარმომადგენდნენ: აკადემიკოსი გურამ ალექსიძე – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოს მდივანი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ო. ბედია - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი, აკადემიური დოქტორი ანატოლი გიორგაძე - აკადემიის საკორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილებების სწავლული მდივანი, აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი - აკადემიის ეკონომიკის საკორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიური დოქტორი გივი მოსაშვილი - აკადემიის მთავარი სპეციალისტი, აკადემიური დოქტორი ქთევან მჭედლიშვილი - აკადემიის კოორდინატორი, თინათინ ეპიტაშვილი - აკადემიის კოორდინატორი, შოთა აბრამიშვილი - აკადემიის წამყვანი სპეციალისტი.

სემინარში მონაწილეობდნენ აგრეთვე: დოქტორი დავით ბედოშვილი – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი ა. ვაშაკიძე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სსმმ აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ო. ყურაშვილი – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, სსმმა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ო. კუნტულია - სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მარიამ ჯორჯაძე - არასამთავრობო ორგანიზაცია “ელკანა”-ს დირექტორი, აკადემიური დოქტორი კახა ლაშები - შპს “ლომთაგორა”-ს დირექტორი, ანა გულბანი - “ფონდი ქართუ”-ს და ICARDA-ს წარმომადგენელი საქართველოში, მედეა ინაშვილი - საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო, ნელი მახვილაძე – ტექნიფორმი, თენგიზ მაღლაკელიძე - ტექნიფორმი, დავით გაბუნია - ტექნიფორმი, მარიკა

ტატიშვილი – საქართველოს პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი, მაია მელაძე – საქართველოს პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი.

სემინარზე განხილული იქნა შემდეგი თემები: “სასოფლო-სამეურნეო განათლების საკითხები აგრარული სექტორისა და სოფლის განვითარებაში”, “რეფორმები-რეალური და სასურველი” და “ფერმერთა პრობლემები”.

მოსმენილი იქნა მეტად აქტუალური და საინტერესო საკითხები, როგორიცაა: სასოფლო სამეურნეო განათლების საკითხები აგრარული სექტორისა და სოფლის განვითარებაში, ინტერდისციპლინარული კვლევები სასოფლო-სამეურნეო სწავლების სისტემაში, რეფორმები საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში, რეფორმები და მიმდინარე მდგომარეობა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, უვირუსო კარტოფილის მეთესლეობის პროგრამა, “ელკანა”- ექსტენცია საქართველოში, ვეტერინარიის დღევანდელი მდგომარეობა და სწავლების სისტემა, კერძო ფერმერულ მეურნეობებში სასოფლო სამეურნეო ცოდნის გავრცელება და მდგომარეობა შპს “ლომთაგორას” მაგალითზე, ბონის უნივერსიტეტის მეცნიერების განვითარების ცენტრის (ZEF) საქმიანობა და სხვა.

დისკუსიაში აქტიურად მონაწილეობდნენ როგორც მოწვეული სტუმრები, ისე ადგილობრივი სპეციალისტები. სემინარის დასკვნით ნაწილში მონაწილეების მიერ აღნიშნული იქნა, რომ თემა: “სასოფლო სამეურნეო განათლების საკითხები აგრარული სექტორისა და სოფლის განვითარებაში” მეტად აქტუალურია, რომელიც შემდგომ კვლევას და განვითარებას მოითხოვს, ამიტომ საერთაშორისო სემინარის დადგენილებით ნაწილში აღინიშნა, რომ ამ ტიპის აქტუალურ საკითხებზე საჭიროა ხშირი შეხვედრები და შესაბამისი დასკვნების და დადგენილებების გამოტანა და აუცილებელია განხილულ საკითხებზე სამომავლოდ კვლავ გაგრძელდეს თანამშრომლობა.

#### **4.12. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია უკრაინაში**

2013 წლის 22-27 მაისს უკრაინის ქალაქ კამიანეც-პოდოლსკის სახელმწიფო აგრარულ-ტექნიკურ უნივერსიტეტში გაიმართა III საერთაშორისო პრაქტიკული-სამეცნიერო კონფერენცია „ ზოოტექნიკური მეცნიერება: ისტორია, პრობლემები, პერსპექტივები“-პლენარული სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა ნიკოლოზ ბახმატა. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს მეცნიერებმა სხვადასხვა ქვეყნებიდან: მოლდოვა, რუსეთი, ბელორუსია, პოლონეთი, რუმინეთი და სხვა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სწავლული მდივანი, აკადემიური დოქტორი ანატოლი გიორგაძე. იგი პლენარულ სხდომაზე წარსდგა მოხსენებით „გარეული ფრინველის გასამრავლებელი მეურნეობების განვითარების პერსპექტივები საქართველოში“.

კონფერენციის მუშაობა გაგრძელდა შემდეგ სექციებში: I- მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგია; სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების ისტორია; II- სასოფლო სამეურნეო ცხოველთა კვება და საკვების ტექნოლოგია; III- სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა გამრავლება-სელექცია; IV- მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავებისა და სტანდარტიზაციის ტექნოლოგია; მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და გადამუშავების ეკოლოგიური ასპექტები;

სულ ზეპირი და პოსტერული მოხსენებების სახით კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნა 310 სამეცნიერო ნაშრომი.

კონფერენციის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა უკრაინის სხვადასხვა საწარმოების მიერ გამოშვებული ხორცისა და რძის პროდუქტების ფართო ასორტიმენტი სადეგუსტაციო პავილიონებში. მეცნიერები ასევე გაეცვნენ უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიური ფაკულტეტის კათედრებს, ლაბორატორიებს და სასწავლო-ექსპერიმენტულ მეურნეობას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ უკრაინის პოდოლსკის სახელმწიფო აგრარულ-ტექნიკურ უნივერსიტეტთან ურთიერთობაში მემორანდუმი ჯერ კიდევ 2010 წელს გააფორმა და ეს თანამშრომლობა წარმატებით გრძელდება.



აკად. დოქტორი ა. გიორგაძე, მომხსენებელი სსმმ აკადემიიდან

#### 4.1.3. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ბულგარეთში.

2013 წლის 20,21 ივნისს ბულგარეთის ქალაქ ვარნაში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია თემაზე "მანქანები სოფლის მეურნეობაში". საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის თემატიკა მრავალფეროვანი იყო, რომელიც გაყოფილი იყო ორ სექციად: 1. მანქანები სოფლის მეურნეობაში: გამოკვლევა და გამოცდა; ახალი ტექნოლოგიები; 2. მანქანების გამოყენება: სერვისი; ეკოლოგია;

კონფერენციაში მონაწილეობას იღებდა ევროკავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების 88-ზე მეტი მეცნიერი. საქართველოდან კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა სსმმ აკადემიის აკადემიკოსი ჯემალ კაციტაძე.

სამეცნიერო კონფერენცია გახსნა საორგანიზაციო კომიტეტის თავჯდომარემ, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა მიხო მიხოვმა. აკადემიკოსი ჯემალ კაციტაძე ხელმძღვანელობდა სექციის „მანქანების გამოყენება, სერვისი, ეკოლოგია“ მუშაობას.

აკადემიკოს ჯემალ კაციტაძის მოხსენება შეეხებოდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გაცვეთილი დეტალების აღდგენის რესურსდამზოგი ინოვაციური ტექნოლოგიების დამუშავებას საიმედოობის გაზრდის მიზნით. მოხსენებაში წარმოდგენილი იყო ის მოწყობილობები, დანადგარები და სამარჯვები, რომლებიც ავტორის მიერ იქნა დამუშავებული, დამზადებული და გამოცდილი მანქანების საიმედოობისა და რესურსის გაზრდისათვის. წარმოდგელი იქნა ასევე ჩატარებული ექსპერიმენტული და თეორიული კვლევები ალბათურ-სტატისტიკური

მოდელირების, ექსტრემალური ექსპერიმენტების დაგეგმვისა და მსგავსობითობის თეორიის მეთოდების გამოყენებით. პრეზენტაციის დროს ნაჩვენები იქნა დამუშავებული ინოვაციური რესურსდამზოგი ტექნოლოგიური პროცესების გამოყენების პრაქტიკული მაგალითები, რამაც კონფერენციის მონაწილეთა დიდი მოწონება დაიმსახურა.



**სსმმა აკადემიკოს ჭ. გაციტაძის მოხსენება ბულგარეთის საერთაშორისო  
კონფერენციის პლენარულ სხდომაზე**

#### **4.1.4. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „აგრარიკოს მეცნიერთა კვლევის შედეგების კომერციალიზაცია“**

2013 წლის 28, 29 და 30 ნოემბერს ქ. ქუთაისში ჩატარდა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „აგრარიკოს მეცნიერთა კვლევის შედეგების კომერციალიზაცია“.

კონფერენციის მიზანი იყო საქართველოს აგრარიკოს მეცნიერთა კვლევის შედეგების წარმოჩინება და გააცნობა საქართველოს მთავრობის, საერთაშორისო და ადგილობრივ ფონდების და ბიზნეს წრეებისათვის, მათი კვლევის შედეგების შემდგომი დაფინანსებისათვის, ინვესტიციის, საერთაშორისო, თუ ადგილობრივ ბაზარზე ინტეგრაციისათვის, საავტორო უფლებების სრული დაცვის გარანტიით.

აგრარიკოს მეცნიერებს საშუალება მიეცათ მოეწყოთ შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში წარდგენილი წარმატებული, როგორც დაფინანსებული, ისე დაუფინანსებელი პროექტების სამეცნიერო შედეგების პრეზენტაცია მათი კომერციალიზაციის მიზნით.

კონფერენციის მიმართულებები იყო: აგრონომია; მცენარეთა დაცვა; სელექცია, გენეტიკა; ნიადაგმოცოდნეობა; ზოოტექნიკა; სატყეო მეურნეობა; ვეტერინარია; სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, ელექტროფიკაცია; სასოფლო პროდუქტების ტექნოლოგია და უსაფრთხოება; აგრობიოტექნოლოგია; სასოფლო-სამეურნეო მელიორაცია.

კონფერენციის ორგანიზატორი იყო აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. საკონფერენციო გრანტის პროექტის CF-41/10-150/13-ის ხელმძღვანელი - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი გულნარა ლვალაძე.

კონფერენციას უძღვებოდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე პროფ. რ. კოპალიანი.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრომ, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ, თბილისის, ქუთაისის, ბათუმის და ოელავის უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დასავლეთ საქართველოს რეგიონალურმა საკონსულტაციო ცენტრებმა და სხვა.

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროდან კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო მინისტრის მიადგილემ ბატონმა თამაზ მარსაგიშვილმა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს და მოხსენებებით გამოვიდნენ სსმმ აკადემიის პრეზიდენტი აკად. გურამ ალექსიძე, აკად. რ. მახარობლიძე, აკად. ჭ. ჯაციტაძე, აკად. ვ. ცანავა, აკადემიის წ/კორესპონდენტი ე. შაფაქიძე, აკადემიის წ/კორესპონდენტი რ. ჯაბნიძე, სწავლული მდივანი აკად. დოქტ. ა. გიორგაძე.

კონფერენციის შედეგები აისახა რეზოლუციის პროექტში, სადაც აღინიშნა, რომ მსგავსი ტიპის კონფერენციების მოწყობა მეტად საშური და აუცილებელი ღონისძიებაა, რათა ბევრ სასარგებლო და პრაქტიკულ პროექტს მიეცემა გარკვეული დანერგვის მიმართულება სპონსორების, ბიზნესმენების, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონალური საკონსულტაციო ცენტრების საშუალებით და ისინი ხელმისაწვდომი გახდებიან პრაქტიკოსი მეურნეებისათვის და პირველ რიგში ფერმერებისათვის.



კონფერენციის სხდომათა დარბაზი. მარცხნიდან: სსმმ აკადემიის წ/კ რ. ჯაბნიძე, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ს. ბერიძე, სსმმ აკადემიის სწავლული მდივანი ა. გიორგაძე, სსმმ აკადემიის წ/კ ე. შაფაქიძე, სსმმ აკადემიის პრეზიდენტი აკად. გ. ალექსიძე, აკად. ვ. ცანავა, პროფ. თ. ცანავა, პროფ. რ. ჭაბუკიანი, პროფ. ნ. ებანოიძე.



კონფერენციის მიმდინარეობა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების  
მინისტრის მოადგილე პროფ. თამაზ მარსაგიშვილი და სსმმ აკადემიის  
პრეზიდენტი აკად. გურამ ალექსიძე.



კონფერენციის სხდომათა დარბაზი. მარჯვნიდან: სსმმ აკადემიის  
პრეზიდენტი აკად. გ. ალექსიძე, სსმმ აკადემიის წ/კ ე. შაფაქიძე,  
აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ს. ბერიძე.



კონფერენციის მონაწილეთა ერთი ჯგუფი. მარცხნიდან: სსმმ აკადემიის წ/კ ე. შაფაქიძე, აკად. რ. მახარობლიძე, აკად. გ. ალექსიძე, აკად. ვ. ცანავა, პროფ. რ. კოპალიანი, პროფ. გ. ღვალაძე, პროფ. ქ. კინწურაშვილი, აკად. ჯ. კაციტაძე, პროფ. ზ. მიქელაძე.

#### **4.1.5. ცენტრალური აზისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების აგრარული კვლევების საკორდინაციო სამეთვალყურეო საბჭოს მე-14 სხდომა**

მიმდინარე წლის 4-5 დეკემბერს ქ. ბაქოში (აზერბაიჯანი) ჩატარდა ცენტრალური აზისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების აგრარული კვლევების საკორდინაციო სამეთვალყურეო საბჭოს მე-16 სხდომა, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობა მიიღო ყაზახეთის, უზბეკეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს წარმომადგენლებმა. საქართველოდან მუშაობაში მონაწილეობა მიიღო აკადემიკოსმა გ. ალექსიძემ (სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, სსმმ აკადემიის პრეზიდენტი), პროფ. დ. ბედოშვილმა (საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი), ა. გულბანმა (ICARDA-ს წარმომადგენელმა საქართველოში), აკადემიურმა დოქტორმა კ. ლაშემა (ფირმა „ლომთაგორა“, საქართველო).

თათბირზე განხილული იქნა „სიჯიარის“ სისტემის კვლევითი ცენტრების და ცენტრალურ აზისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ერთობლივი პროექტის მიმდინარეობა, ხაზი გაესვა იმ წარმატებულ პროექტებს, რომლებიც ხორციელდება აღნიშნულ ქვეყნებში. მოხსენებებით გამოვიდნენ დოქტორი კამილ შიდაძი (ICARDA-ს გენერალური დირექტორის მოადგილე საერთაშორისო ურთიერთობის დარგში), დოქტორი მარტინ ვან გინკელი (ICARDA-ს გენერალური დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში), დოქტორი ჯოზეფ ტუროკი (ICARDA-ს რეგიონალური კოორდინატორი), აგრეთვე საბჭოში შემავალი ყველა ქვეყნის

აგრარული მეცნიერების ხელმძღვანელი. საქართველოდან მოხსენებით გამოვიდა აკად. გურამ ალექსიძე, რომელმაც იდაპარაკა იმ წარმატებაზე, რაც მიღწეული იქნა ბოლო წლებში ICARDA-ს ერთობლივი თანამშრომლობით; კერძოდ ხორბლის, სიმინდის, მუხუდოს, კარტოფილის ახალი ჯიშების გამოცდით და მათი რეგისტრაციით, აგრეთვე თანამედროვე დონის მცენარეთა გენბანკის შექმნით საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში, ასევე ვაზის და ხეხილის კოლექციის შექმნით ფირმა „აგრო-ქართუს“ მიერ, სადაც თავმოყრილია „ინ-სიტუ“ კოლექციებში საქართველოში გავრცელებული ვაზის და ხეხილის ადგილობრივი და ინტერნაციურებული ჯიშები.

თათბირზე გადაწყდა, რომ შემდეგი ასეთივე თათბირი გაიმართება მომავალი წელს ტაჯიკეთში.



თათბირის მონაწილეები საქართველოდან – აკად. გ. ალექსიძე, ა. გულბანი, კ. ლაშეი.



თათბირის მონაწილეთა ერთი ჯგუფი; პირველ რიგში მარჯვნიდან მეორე – აკად. გურამ ალექსიძე.

#### **4.1.6. პოლონელი მეცნიერები საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში**

2013 წლის 13 დეკემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. გურამ ალექსიძემ სტუმრად მიიღო ქ. პოზნანის (პოლონეთი) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა უნივერსიტეტის სატყეო ფაკულტეტის პროფესორები გჟეგოჟ რონჩკა და დამიან სუგიერო. დოქტორი, პროფესორი გჟეგოჟ რონჩკა მოღვაწეობს ამავე ფაკულტეტის სატყეო მენეჯმენტის კათედრის გამგედ, ხოლო დოქტ. დამიან სუგიერო კი - კათედრის პროფესორად. პოლონელ სტუმრებს ასისტენტობას უწევდნენ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სატყეო ფაკულტეტის კურსდამთავრებულები ლეგან ჩოფლიანი და ვალერიან ლუდუნიშვილი, რომლებმაც წარმატებით დაამთავრეს პოზნანის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა უნივერსიტეტის მაგისტრატურის სრული კურსი სატყეო მენეჯმენტის სპეციალობით. აღსანიშნავია, რომ პროფესორ გჟეგოჟ რონჩკას ჰქონდა უნივერსიტეტის რექტორის რწმუნება და საუბრობდა პოზნანის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის სახელით და სურვილი გამოთქვა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან სამეცნიერო და საგანმანათლებლო სფეროში ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების შესახებ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან სტუმრებთან სამომავლო გეგმებზე აკად. გურამ ალექსიძესთან ერთად ისაუბრეს სსმმ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოს-მდივანმა აკად. გივი ჯაფარიძემ, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილემ, აკადემიის წ/კ ომარ ბედიამ, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსმა, აკადემიის წ/კ ელგუჯა შაფაქიძემ, აკადემიის სწავლულმა მდივანმა, აკადემიურმა დოქტორმა ანატოლი გიორგაძემ და სსმმ აკადემიის სატყეო მიმართულების ეროვნულმა კოორდინატორმა, ს.მ. მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გიორგი გაგოშიძემ.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ სხვა საინტერესო საკითხებთან ერთად მომზადდება ქ. პოზნანის (პოლონეთი) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა უნივერსიტეტს და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას შორის თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელზედაც ხელის მოწერა განხორციელდება ორ უწევებას შორის დელეგაციების გაცვლის დროს 2014 წლის დასაწყისში.



პოლონეთის დელეგაციის შეხვედრა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში. მარჯვნიდან: პროფ. გ. გაგოშიძე, აკად. გ. ალექსიძე, აკად. გ. ჯაფარიძე, პროფ. გჟეგოჟ რონჩკა, პროფ. დამიან სუგიერო, მაგისტრი ლ. ჩოფლიანი.



პოლონეთის დელგაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში.  
მარჯვნიდან: პროფ. გ. გაგოშიძე, აკად. გ. ჯაფარიძე, აკად. წ/კ ე. შაფაქიძე,  
აკად.გ.ალექსიძე, პროფ. გევგოუ რონჩევა, პროფ. დამიან სუგიერო, მაგისტრი გ.  
ლულუნიშვილი, მაგისტრი ლ. ჩოფლიანი.

#### **4.1.7. სემინარი „მებოსტნეობის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში 2013 წლის 17 აპრილს ჩატარდა სემინარი „მებოსტნეობის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“. სემინარის მუშაობაში მონაწილება მიიღეს: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიული საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა გოგოლა მარგველაშვილმა, აკადემიკოსებმა რევაზ ჩატელიშვილმა და რევაზ მახარობლიძემ, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსმა, აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ელგუჯა შაფაქიძემ, აკადემიური დეპარტამენტის აკადემიურმა დოქტორებმა კოორდინატორმა ქეთევან მჭედლიშვილმა და მთავარმა სპეციალისტმა გივი მოსაშვილმა, აკადემიურმა დოქტორმა ნატო კაკაბაძემ, გორის სუხიშვილის ინსტიტუტის რექტორმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორმა ვალერი სუხიშვილმა, აკადემიურმა დოქტორებმა გოდერძი გოდერძიშვილმა და ზურაბ საპატოვმა, აკადემიის საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილებების სწავლულმა მდივნმა აკადემიურმა დოქტორმა ანატოლი გიორგაძემ.

საქართველოში მებოსტნეობის არსებულ მდგომარეობაზე და პრობლემების გადაჭრის გზებზე მოხსენება გააკეთა აკადემიურმა დოქტორმა ნატო კაკაბაძემ. მან თავისი მოხსენების შემაჯამებელ ნაწილში აღნიშნა, რომ მებოსტნეობის განვითარებისათვის აუცილებელია დარგის ინტენსიფიკაცია, წარმოების კონცენტრაცია, სპეციალიზაცია, ბოსტნეულის სელექცია-მეთესლების სისტემის აღდენა თავისი რგოლებით, ჯიშთა დაცვის და გამოცდის სამსახურის განახლება, მჭიდრო კავშირის დამყარება მებოსტნეობის მსოფლიო ცენტრთან, სელექციური მუშაობის განახლება საცდელ სადგურებში, ადგილობრივი და საზღვარგარეთის ქვეყნების მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევებისა და

გამოცდილების საფუძველზე დამუშავებული სამრეწველო ტექნოლოგიების დანერგვა. ბოსტნეული კულტურების: პამიდორი, კიტრი, ხახვი, კომბოსტო, წიწაკა, ბადრიჯანი, ნიორი, პრასი, ნესვი, გოგრა, საზამთრო რეკომენდირებული ჯიშების პირველადი მეთესლეობის დაწყება. აგრეთვე ზოგიერთი ნაკლებად გავრცელებული კულტურებისთვის: ბროკოლი, სატაცური, ფიზალისი, სალათები, რომლებზეც უდიდესი მოთხოვნაა, მეთესლე-ფერმერთა კავშირების და ასოციაციების შერჩევა საქართველოს მებოსტნეობის ზონებში (სუბტროპიკული, ზომიერად თბილი, მაღალმთიანი), რომლებიც დაიწყებენ მეცნიერების მიერ საცდელ სადგურებში წარმოებული ბოსტნეულის მეორად მეთესლეობას და სათანადო სერთიფიცირების შემდეგ რეპროდუქციულ ოესლებს გაიტანენ შიდა და საერთაშორისო ბაზარზე.

#### **4.1.8. საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა მრგვალი მაგიდა**

2013 წლის 23 აპრილს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სააქტო დარბაზში ჩატარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მეცნიერების და “საქართველოს მიწათმფლობელთა და მექანიზატორთა საზოგადოების” გამგეობის წევრების მრგვალი მაგიდა.

შეხვედრას ესწრებოდნენ აკადემიკოსები რ. მახარობლიძე და ჭ. კაციტაძე, აკადემიის წევრ-კორესპონდენტები ე. შაფაქიძე, ო. ბედია, ო. ლიპარტელიანი, სსმმა მთავარი სპეციალისტი გ. მოსამვილი, “საქართველოს მიწათმფლობელთა და მექანიზატორთა საზოგადოების” გამგეობის წევრები – დამსახურებული მექანიზატორები: გ. ქურდიანი, ი. დვალი, რ. ფირაშვილი, შ. კიკალიშვილი, საუს ასოც. პროფესორი, ტ.მ.დ. დ. ნატროშვილი, შპს “აგროქართუს” დირექტორი, პროფესორი ზ. შხვაცაბაია, შპს “მექანიზატორის” წარმომადგენელი ე. სარიშვილი, ურნალ “აგრარული საქართველოს” რედაქტორი შ. მაჭარაშვილი. შეხვედრაზე განიხილეს ქვეყნისათვის ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა: მექანიზატორთა კადრების მომზადების მდგრმარეობა, ქვეყანაში შემოსატანი ს.ს. ტექნიკის შერჩევაში აგროსაინჟინრო მიმართულების მეცნიერების აქტუალური ჩართვა, აგროსაინჟინრო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სამომავლო პერსპექტივები და ა. შ.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ:

1. აუცილებელია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან კვლავ აღსდგეს სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო, სადაც საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციასთან დაკავშირებული საკითხების ფართო განხილვა უნდა ხდებოდეს.

2. მსგავსი შეხვედრები აუცილებლად უნდა გაშუქდეს პრესით და ტელევიზიით, რაც გასათვალისწინებელია ამ ტიპის მრგვალი მაგიდის შემდგომ შეხვედრებში.

#### **4.1.9. მრგვალი მაგიდა**

**“მეხილეობის დარგის განვითარების პრობლემები საქართველოში”.**

მეხილეობა საქართველოში ოდითგანვე გამორჩეული დარგი იყო, რაზედაც მიუთითებს ის საერთაშორისო ჯილდოები, რომელიც ქართულ ხილსა და მის პროდუქტს აქვს მიღებული. სწორედ ქართული ხილის აღორძინების საკითხებს მიეძღვნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში გამართული მრგვალი მაგიდა, რომელიც ჩატარდა აკადემიის სამეცნიერო საბჭოსა და საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილებების ეგიდით. მის მუშაობაში მეცნიერებითან ერთად მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა მეხილე-პრაქტიკოსებმა, ფერმერ-ბიზნესმენებმა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებმა, დარგში მომუშავე მეცნიერებმა.

2013 წლის 24 აპრილს მრგვალი მაგიდის მონაწილეებს მიესალმა აკადემიის პრეზიდენტი გურამ ალექსიძე. მოხსენებებით გამოვიდნენ, აკადემიის მეხილეობის დარგის ეროვნული კოორდინატორი აკადემიკოსი იუზა ვასაძე, აკადემიის წევრები ვაჟა კვალიაშვილი და გივი ბადრიშვილი.

საინტერესო გამოსვლები პრონდათ პრაქტიკოს მეხილეებს გივი აბალაკს, ნუგზარ შენგელიას, თამაზ ნიკარიშვილს, პროფესორებს კოტე სარაჯიშვილს, ვალერი სუხიშვილს და სხვებს. მიღებული იქნა, დარგის განვითარებისათვის საჭირო რეკომენდაციები, რომლებიც გადაეგზავნება სამინისტროს.

მრგვალი მაგიდის მუშაობა შეაჯამა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ აკადემიკოსმა ნაპოლეონ ქარქაშაძემ.

#### **4.1.10. მრგვალი მაგიდა**

**“ქართული ფუტკარი - მომშენებლობა-სელექცია, დაავადებები, საკვები ბაზა”**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში 2013 წლის 16 მაისს გაიმართა მრგვალი მაგიდა: „ქართული ფუტკარი - მომშენებლობა-სელექცია, დაავადებები, საკვები ბაზა.“ მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს მეცნიერებმა, პრაქტიკოსმა ფერმერებმა. საქართველოს მეფუტკრეობის დარგის მნიშვნელობაზე და მიღწევებზე ისაუბრა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ. მრგვალი მაგიდის მუშაობა მიჰყავდა აკადემიის მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების საკოორდინაციო-დარგობრივი განყოფილების აკადემიკოს მდივანს ზურაბ ცქიტიშვილს.

დისკუსიაში მონაწილება მიიღეს მეცნიერებმა: ბორის წითლიძემ, გიორგი მაძლარაშვილმა, მაია ფეიქრიშვილმა, მარინა ბარვენაშვილმა, ლიზა ბალიაშვილმა, ნანა მაისურაძემ, ვენერა სტეფანიშვილმა, თამაზ ტივიშვილმა, ალექსანდრე კორძახიამ, აკადემიის სწავლულმა მდივანმა ანატოლი გიორგაძემ, პროფესიონალ მეფუტკრეთა ასოციაციის წარმომადგენელმა თემურ ლოლობერიძემ, კომპანია „ბრეტის“ დირექტორმა გიორგი კვაშვილმა. მრგვალი მაგიდის ფორმატში განხილული იქნა დარგის განვითარებისათვის აუცილებელი ღონისძიებები. გადაწყდა გარკვეული საკითხების გადასაჭრელად სოფლის მეურნეობის სამინისტროსადმი მიმართვის ტექსტის მომზადება, რომელიც სსმმ აკადემიის აკადემიურ საბჭოზე განხილვის შემდეგ გაეგზავნება სამინისტროს. მიზანშე-

წონილად ჩაითვალია აკადემიის ინიციატივით მსგავსი შეხვედრის ორგანიზება მეცნიერთა და პრაქტიკოს-ფერმერთა უფრო ფართო წართო წარმომადგენლობით.

#### **4.1.11. სემინარი “საქართველოს მეაბრეშუმეობის განვითარების პრობლემები”**

2013 წლის 17 მაისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა სემინარი თემაზე: **“საქართველოს მეაბრეშუმეობის განვითარების პრობლემები”**.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გ. ჯაფარიძემ, აკადემიის წევრ-კორესპონდენტებმა გ. ნიკოლეიშვილმა და ე. შავაშვიძემ, აკადემიის მთავარმა საეციალისტმა გ. მოსაშვილმა, კოორდინატორმა ქ. ჭედლიშვილმა, საუ-ის მეაბრეშუმეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელებმა ნ. ბარამიძემ, ი. გუჯაბიძემ, ე. წოწკოლაურმა, აკადემიის საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილებების სწავლულმა მდივანმა ა. გიორგაძემ.

სემინარზე მოსმენილი იქნა ნ. ბარამიძის ინფორმაცია იტალიის ქ. პადუაში 2013 წლის 7-12 აპრილს ჩატარებული **BACSA**-ს საერთაშორისო კონფერენციის შესახებ, სადაც სხვა საკითხებთან ერთად განხილული იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში დამუშავებული “საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარების კონცეფცია 2012-2025 წლებში” და რომელმაც აღნიშნულ კონფერენციაზე დიდი მოწონება დაიმსახურა.

სემინარმა მიზანშეწონილად ჩათვალია, რომ აკადემიასთან შეიქმნას ჯგუფი, რომელიც დაამუშავებს “საქართველოს მეაბრეშუმეობის აღდგენისა და განვითარების პროგრამას”; კონცეფციის შესახებ ინფორმაცია გაშექდეს მასმედიის საშუალებებში; საჭიროა მეაბრეშუმეობის საკითხებზე და დარგის აღდგენა-განვითარებაზე აკადემიის ინიციატივით მოწვეული იქნეს მრგვალი მაგიდა, რომელსაც დარგის თვალსაჩინო მეცნიერებისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად დაესწრებიან რაიონების ხელმძღვანელები, ფერმერული მეურნეობების წარმომადგენლები, მეაბრეშუმეობით დაინტერესებული პირები, პრესა და ტელევიზია.

#### **4.1.12. ლია კარის დღე “ლომთაგორა 2013 LOMTAGORA”**

2013 წლის 15 ივნისს “ფირმა ლომთაგორას” (მარნეულის რაიონი) სასელექციო-სადემონსტრაციო ნაკვეთებზე ჩატარდა დია კარის დღე, რომლის მიზანი იყო ხორბლის ახალი ჯიშების, სიმინდის პიბრიდების, გაუმჯობესებული აგროტექნოლოგიების და მარცვლის შენახვა-გადამუშავების დანადგარების დემონსტრირება. აღნიშნულ დონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ, სელექციონერმა მეცნიერებმა, საეციალისტებმა და ფერმერებმა.

ლია კარის დღის პრეზენტაცია გადაკეთა “ფირმა ლომთაგორას” დამფუძნებელმა, აკად. დოქტორმა კახა ლაშმა. აღნიშნული ფირმა ერთადერთი პროფესიული კერძო მეურნეობაა, სადაც ხორბლისა და სიმინდის ახალი ჯიშები გამოჰყავთ, საუკეთესოებს არჩევენ და სუპერ ელიტურ, ელიტურ და I-II თაობის სათესლე მასალას აწარმოებენ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან დია კარის დღის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ, აკადემიკოსმა პეტრე ნასყიდაშვილმა და აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ელგუჯა შაფაქიძემ.



აკად. გ. ალექსიძე და აკად. პ. ნასყიდაშვილი დია კარის დღის მონაწილეებთან.



აკად. გ. ალექსიძე და აკად. პ. ნასყიდაშვილი ხორბლის საცდელ ნაკვეთში



აკად. გ. ალექსიძე, აკად. პ. ნასყიდაშვილი და საქართველოს სოფლის მეურნეობის  
მინისტრი შ. ფიფია ხორბლის საცდელ ნაკვეთში



აკად. პ. ნასყიდაშვილი და აკადემიის წ/კ ე. შაფაქიძე  
ხორბლის საცდელ ნაკვეთში

#### **4.1.13. მრგვალი მაგიდა „საქართველოს მთიანი ტყეების თანამედროვე მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების გზები“**

2013 წლის 19 ივნისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში გაიმართა მრგვალი მაგიდა: „საქართველოს მთიანი ტყეების თანამედროვე მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების გზები“.

აღნიშნულ თემაზე ვრცელი მოხსენება გააკეთა აკადემიის ეროვნულმა კოორდინატორმა აკადემიკოსმა რევაზ ჩაგელიშვილმა. გაიმართა დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოსებმა: გივი ჯაფარიძემ, ნაპოლეონ ქარქაშაძემ, გოგოლა მარგველაშვილმა, დამოუკიდებელმა ექსპერტმა, მეცნიერებათა დოქტორმა ლაშა დოლიძემ, აკადემიურმა დოქტორმა მერაბ მაჭავარიანმა, ნონა ლაბაძემ, მცენარეთა დამცველმა, აკადემიურმა დოქტორმა მანანა ჭყოიძემ. სატყეო განათლების შესახებ ისაუბრა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფ. გია გაგოშიძემ.

მრგვალი მაგიდის მუშაობა შეაჯამა აკადემიის ეროვნულმა კოორდინატორმა, აკადემიკოსმა რევაზ ჩაგელიშვილმა. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ შემუშავდეს წინადადებები რეკომენდაციების სახით და მიეწოდოს საქართველოს მთავრობას.

#### **4.1.14. პარლამენტარების სტუმრობა საქართველო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში**

2013 წლის 02 ივნისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას სამუშაო ვიზიტით სტუმრობდნენ ბატონი ზურაბ ტყემალაძე-საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე და ბატონი გიგლა აგულაშვილი - საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე. სტუმრები დაინტერესდნენ აკადემიის აკადემიური საბჭოს საქმიანობით, აკადემიის სამუშაო გეგმებით, ჩატარებული დონისძიებებით და აკადემიის სხვა საქმიანობით, რომელიც სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას შეეხებოდა. სსმმ აკადემიის პრეზიდენტმა აკად. გ. ალექსიძემ და აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკად. გ. ჯაფარიძემ სტუმრებს გააცნეს აკადემიაში მომზადებული სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების კონცეფციები, ყველა ის საკითხი და დონისძიებები, რასაც აკადემია ყოველდღიურად ატარებს სოფლის მეურნეობის მიმართულებით, განსაკუთრებით ფერმერების დახმარების კუთხით. სტუმრებმა გამოთქვეს სურვილი, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია ან სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარების კონცეფციები მოსმენილი იყოს დარგობრივი ეკონომიკის და ეკონომიკური პოლიტიკის და აგრარული კომიტეტების სხდომებზე, რათა ერთობლივად იქნეს მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილებები.



**შეხვედრის მონაწილეები:** ზურაბ ტყემალაძე - საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე, გიგლა აგულაშვილი - საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, აკად. გურამ ალექსიძე - სსმმ აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გიგი ჯაფარიძე - სსმმ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოს-მდიგანი.

#### **4.1.15. მრგვალი მაგიდა მცენარეთა დაცვის საკითხებზე**

მიმდინარე წლის 19 ივლისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა მრგვალი მაგიდა „მცენარეთა დაცვის საკითხებზე“. მასში მონაწილება მიიღეს მეცნიერებმა, შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებმა, მცენარეთა დაცვის საშუალებების მწარმოებელი ფირმების წამომადგენლებმა, პრაქტიკოსმა ფერმერებმა. მრგვალი მაგიდის მუშაობას ხელმძღვანელობდა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე. დარგში არსებულ სიტუაციაზე, ჩატარებულ სამეცნიერო კვლევებზე და სამომავლო პერსპექტივებზე მოხსენება გააკეთა აკადემიურმა დოქტორმა შაქრო ყანჩაველმა. მცენარეთა დაცვის პრევენციულ და სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებზე ისაუბრა სურსათის ეროვნული სააგენტოს ფიტოსანიტარიის დეპარტამენტის უფროსმა ზურაბ ლიპარტიამ, სურსათის ეროვნული სააგენტოს მცენარეთა კარანტინის სამმართველოს უფროსმა ოთარ სხვიტარიძემ. გაიმართა დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: არჩილ სუპატაშვილმა - სატყეო ინსტიტუტი; ზურაბ ლოლაძემ - კომპანია „SYNGENTA“-ს წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში; დავით კაკაშვილმა - სოფლის მეურნეობის სამინისტროს გორის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი; კარლო კიკორიამ - კომპანია „ბიოაგრო“; ავთანდილ მურვანიძემ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ლუიზა მიქაძემ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რადიოლოგიისა და ეკოლოგიის ინსტიტუტი; ლალი წივილაშვილმა - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი; ესმა

ორჯონიკიძემ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი; მზაღლ ლობჟანიძემ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი; თინათინ გოგიშვილმა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; ნინო დათუგიშვილმა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; ნოდარ მინდაშვილმა - აგრო განვითარების ჯგუფი; ლია რეხვიაშვილმა - ბიოლოგიური დაცვის ცენტრის ლაბორატორიის გამგე; გიორგი ბარისაშვილმა - ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“.

ასეთი შეხვედრების მნიშვნელობაზე და აუცილებლობაზე ყურადღება გაამახვილა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ. მრგვალი მაგიდის მუშაობა შეაჯამა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ. მან მიმართა მრგვალი მაგიდის მონაწილეებს წარმოადგინონ თავიანთი ხედვები მცენარეთა დაცვის დარგში განსახორციელებელი სამომავლო ღონისძიებების შესახებ, რომელთა საფუძველზეც შემუშავებული იქნება შესაბამისი რეკომენდაციები.



**მრგვალ მაგიდა მცენარეთა დაცვის საკითხებზე;  
მრგვალი მაგიდის ხელმძღვანელი აკად. გურამ ალექსიძე.**

#### **4.1.16. მრგვალი მაგიდა**

**თემაზე: „სუბტროპიკული კულტურების განვითარების პრობლემები  
საქართველოში“**

2013 წლის 26 ივნისს, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ს/კ ინსტიტუტში (ოზურგეთის რ-ნი, დაბა ანასეული) საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივით გაიმართა მრგვალი მაგიდა, რომელიც მიეძღვნა სუბტროპიკული კულტურების განვითარების პრობლემებს საქართველოში.

სიტყვით გამოვიდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჩაისა და ციტრუსების მიმართულების ეროვნული კოორდინატორი აკადემიკოსი ვ. ცანავა, რომელმაც მოკლედ მიმოიხილა მეციტრუსების მდგომარეობა და პერსპექტივები, მეცნიერების როლი ამ მიმართულებით; ისაუბრა ფერმერებთან მჭიდრო ურთიერთობის აუცილებლობაზე და დააყენა საკითხი, რომ მეციტრუსებაში განსაკუთრებული

ყურადღება უნდა მიექცეს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოებას, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოებას.

დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს მეცნიერ-თანამშრომელებმა: ა. ნიკოლაიშვილმა, ვ. გოლიაძემ, ი. მამულაშვილმა, ც. ქაშაკაშვილმა, ფერმერებმა: ა. ბოლქვაძემ, ო. ბარამიძემ, ბიზნესმენმა დ. სიხარულიძემ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკოსულტაციო სამსახურის უფროსის მოადგილემ გ. იობიშვილმა და სხვა დაინტერესებულმა პირებმა.

მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა ისაუბრეს ყველა იმ პრობლემურ საკითხებზე, რომელიც ხელს უშლის ფერმერებს ციტრუსების მოვლა-მოყვანა-გასაღებაში; გამოითქვა სურვილი, რომ საჭიროა მეცნიერების დიდი ძალის ხელში ამ კრიტიკული მდგომარეობიდან გამოსვლისათვის, უნდა გაიზარდოს მათი როლი ახალი ჯიშების გამოყვანის საქმეში და ა.შ. უფრო უნდა გააქტიურდეს მუნიციპალიტეტის დახმარების ღონისძიებებიც, განსაკუთრებით საბანკო საქმეში.

შეხვედრის მონაწილეების ერთსულოვანი აზრია მსგავსი შეხვედრების მოწყობა და კონკრეტულ საკითხებზე შედეგების დემონსტრირება.



მრგვალი მაგიდა ანასეულში. მას ხელმძღვანელობს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჩაისა და ციტრუსების მიმართულების ეროვნული კოორდინატორი აკადემიკოსი ვ. ცანავა.

#### 4.1.17. სემინარი

##### “საქართველოს მეცხოველეობის სექტორის განვითარების შესახებ”

2013 წლის 15 აგვისტოს სასტუმრო **Betsy's** -ში (თბილისი, მაყაშვილის ქ. 23) საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და CARE საერთაშორისო კავკასიაში ორგანიზებით გაიმართა სემინარი, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტის აგრარული კომიტეტის წევრები, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და CARE

საერთაშორისო კავკასიაში წარმომადგენლები, აგრარული უნივერსიტეტის პროფესორები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარებ გიგლა აგულაშვილმა. სემინარის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ.

მოსმენილი იქნა შემდეგი მოხსენებები:

1. საქართველოს მეცნიერებათა (მრკ) განვითარების სტრატეგია. მომხს. პროფ. ლევან თორთლაძე;

2. თბილისის რმით მომარაგების გეგმა. მომხს. აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი;

3. მეცნიერების სექტორში საკრედიტო პოლიტიკის შესახებ. მომხს. აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი;

4. სამომშენებლო საქმე. მომხს. პროფ. როლანდ მიტიჩაშვილი;

5. ხელოვნური განაყოფიერება. მომხს. აკად. დოქტ. გიორგი ხატიაშვილი;

6. საკვებწარმოება. მომხს. აკადემიკოსი გოგოთურ აგლაძე.

აღნიშნულ საკითხებზე გაიმართა დისკუსია. მასში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარებ გიგლა აგულაშვილმა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ, საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის აპარატის უფროსმა ივერი ახალბედაშვილმა, აკადემიკოსმა ზურაბ ცქიტიშვილმა, აკადემიკოსმა ჯემალ ბუგუშვილმა, აკადემიკოსმა გოგოთურ აგლაძემ, პროფ. გივი ბასილაძემ, აკად. დოქტ. ელიოზ ხაჭაპურიძემ, ნოდარ ხოსაშვილმა და შოთა გონგლაძემ (სოფლის მეურნეობის სამინისტრო), აკად. დოქტ. დავით ცომაიამ, ბუბა ჯაფარლიმ და გიორგი დლონგმა (CARE საერთაშორისო კავკასიაში).

სემინარის მუშაობა შეაჯამა საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარებ გიგლა აგულაშვილმა.

#### 4.1.18. მრგვალი მაგიდა

##### „ საქართველოს მეცნიერების განვითარების სტრატეგია“

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერების, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცნიერების პროდუქტების გადამუშავების საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილება - აკადემიკოს მდივანი ზურაბ ცქიტიშვილი, სწავლული მდივანი აკად. დოქტორი ანატოლი გიორგაძე.

აღინიშნა, რომ სტრატეგიაზე მუშაობა დიდი ხანია მიმდინარეობს და შესაბამისი განხილვების შემდეგ მან მიიღო საბოლოო სახე. სტრატეგიის მნიშვნელობაზე ისაუბრა აკადემიკოსმა ზურაბ ცქიტიშვილმა. მისი შექმნის აუცილებლობაზე ყურადღება გაამახვილა აკადემიკოსმა ნოდარ ჭითანავამ. ამის შემდეგ სტრატეგიის შექმნაში მონაწილე მეცნიერებს საშუალება მიეცათ თითოეულს წარმოედგინა თავისი დარგი.

შესავალი-მეცნიერების სექტორის მნიშვნელობა - აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი;

მეძროხეობა - პროფ. ლევან თორთლაძე;

სანაშენე საქმე - პროფ. როლანდ მიტიჩაშვილი;

ხელოვნური განაყოფიერება - აკად.დოქტორი გიორგი ხატიაშვილი;  
 მეცხვარეობა - აკად. დოქტორი გივი ბელელური;  
 მეღორეობა - მეცნ. დოქტორი გიორგი ბოჭორიშვილი;  
 მეფრინველეობა - აკად. დოქტორი თენგიზ ფირცხალაიშვილი; აკად. დოქტორი  
     ანატოლი გიორგაძე;  
 მებოცვრეობა - აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი;  
 მეცხენეობა - მეცნ. დოქტორი ანზორ ჩუბინიძე;  
 მეფუტკრეობა - მეცნ. დოქტორი გიორგი მაძლარაშვილი;  
 ვეტერინარია - აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი;  
 საკვებწარმოება - აკადემიკოსი გოგოთურ აგლაძე; პროფ. სოსო სარჯველაძე;  
 ხორცის გადამამუშავებელი საწარმოები - პროფ. გიული გოგოლი;  
 რძის გადამუშავება - აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი;  
 სასოფლო-სამეურნეო განათლება - მეცნ. დოქტორი გივი ბასილაძე;

შეხვედრა შეაჯამა აკადემიკოსმა ზურაბ ცქიტიშვილმა და აკადემიკოსმა  
 ნოდარ ჭითანავამ. გამოითქვა მოსაზრება სტრატეგიის ფართო განხილვისა  
 აკადემიის წევრების, მთავრობისა და საზოგადოების წარმომადგენლების  
 მონაწილეობით.

#### **4.2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომლობის მემორანდუმები**

##### **4.2.1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს საფაჭრო-სამრეწველო პალატისა და საქართველოს პროფესიული განათლების ფონდის თანამშრომლობის მემორანდუმი**

სოფლის მეურნეობის დარგებში პროფესიული განათლების გაუმჯობესებისა და  
 ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის დონისძიებათა თაობაზე

მემორანდუმის მხარეები - საქართველოს სოფლის მეურნეობის  
 მეცნიერებათა აკადემია (შემდგომში აკადემია), საქართველოს საფაჭრო-  
 სამრეწველო პალატა (შემდგომში პალატა) და საქართველოს პროფესიული  
 განათლების ფონდი (შემდგომში ფონდი) აღიარებენ რა პროფესიული მომზადება-  
 გადამზადების სისტემის მოდერნიზაციისა და პროფესიული განათლების  
 ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის აუცილებლობას, როგორც აგრარული  
 დარგის ინტენსიური განვითარებისა და მოსახლეობის დასაქმების პირობას, ამ  
 საკითხებში თანამშრომლობის მიზნით თანხმდებიან შემდეგზე:

#### **I.მიზნები**

- 1.1. აკადემიის, პალატისა და ფონდის მალისხმევათა გაერთიანება სოფლის  
 მეურნეობისათვის კვალიფიციური კადრების პროფესიული მომზადება-  
 გადამზადების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად და ოპტიმალურად  
 დაბალანსირებული პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება.
- 1.2. მრავალსახოვანი პროფესიული მომზადება-გადამზადების მობილური სისტემის  
 ფორმირების ხელშეწყობა, მოდულის ტიპის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება მინი  
 სასწავლო წარმოებითა და საკონსულტაციო პუნქტებით. შრომის ბაზარზე  
 კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად ცხოვრების განმავლობაში სწავლის ( )  
 პრაქტიკის გამოყენება, მეთოდური უზრუნველყოფა და მონიტორინგი.

1.3. ერთობლივი პროექტების შემუშავება და მათ სარეალიზაციოდ დონორი და პარტნიორი ორგანიზაციების კოორდინირებულად მოძიება და მათთან საქმიანი კონტაქტების დამყარება.

1.4. ინოვაციური, მ.შ. განახლებადი ენერგეტიკული ტექნოლოგიების გავრცელების ხელშეწყობა სოფლის მეურნეობაში, ამისათვის საჭირო სპეციალისტების მიზნობრივად მომზადების ორგანიზება.

1.5. წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიების და შრომის ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით აგრარულ დარგში პროფესიული განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამუშავებასა სა მათ სრულყოფაში მონაწილეობა.

## **II.თანამშრომლობის სფეროები და ფორმები**

2.1. პროფესიული ცოდნისა და უნარების შეძენის თანამედროვე მეთოდების გავრცელება, საზღვარგარეთ არსებული გამოცდილების გაზიარებით ხელმისაწვდომი, მობილური და შრომის ბაზარზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სივრცის ფორმირების ხელშეწყობა.

2.2. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი წარმოების და გადამუშავების საწარმოების პერსონალისა და ფერმერთა ადგილზე მომზადებაში დახმარების აღმოჩენის მიზნით ტრენინგებისა და კონსულტაციების ჩატარება, სწავლების პროგრამული და მეთოდური უზრუნველყოფა, თემატური დისკუსიების ორგანიზება.

2.3. სოფლის მეურნეობის ახალი ტექნოლოგიების განვითარების მიზნით სტაუირებისა და გადამზადების საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ჩართვა, კონფერენციების და სასწავლო-საწარმოო ვიზიტების პრაქტიკის გამოყენება.

2.4. არაფორმალური პროფესიული განათლების სრულყოფა, საგანმანათლებლო და საკონსულტაციო კერების მოქმედ საწარმოებთან და ფერმერულ მეურნეობებთან ინტეგრაცია.

2.5. მაღალმთიანი რეგიონებისათვის მოძრავი სასწავლი-საკონსულტაციო პუნქტების ორგანიზება, აღნიშნული პრაქტიკის მეთოდური და პროგრამული უზრუნველყოფა.

2.6. ახალგაზრდობის, უფროსკლასელთა და სკოლადამთავრებულთა პროფორიენტაციის ამოცანიდან გამომდინარე, რეგიონებში მათთვის მასტერკლასების ჩატარება, წარმატებულ ფერმერებთან და ბიზნესმენებთან შეხვედრების ორგანიზება, მიზნობრივი კონკურსებისა და შოუ-სადამოების მოწყობა, უფასო სწავლებისა და სხვა მომსახურების მოპოვების გათამაშება და ა. შ.

2.7. დასახული პროგრამების რეალიზაციისათვის ექსპერტთა და სპეციალისტთა თემატური ჯგუფების შექმნა, სხვადასხვა მიმართულებით მიზნობრივი პროექტების, ბიზნეს გეგმების შემუშავება, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისთვის და საქართველოში მოქმედი სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდისთვის შეთავაზება, განხორციელების ერთობლივი ანალიზი და შეფასება.

2.8. სოფლის მეურნეობისათვის კვალიფიციური კადრების მომზადების საკითხებთან დაკავშირებით დონისძიებათა გეგმის შემუშავება და სხვა დაწესებულებებთან საქმიანი კონტაქტების დამყარება.

2.9. პროფესიული სასწავლების მასტავლებელთათვის წარმოების ახალი ტექნოლოგიების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება, მათი გადამზადებისათვის სათანადო პირობების უზრუნველყოფა.

## **III.დასკვნითი დებულებები**

3.1. მხარეებს უფლება აქვთ გამოვიდნენ მემორანდუმიდან ერთობლივი პროექტის დასრულების შემდეგ, რისთვისაც აუცილებელია სათანადო წერილობითი შეტყობინება.

3.2. მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია მემორანდუმში ცვლილებების შეტანა, რაც ფორმდება ოქმით, რომელიც წარმოადგენს მემორანდუმის ნაწილს.

3.3. მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერის თარიღიდან. მემორანდუმი შედგენილია 2013 წლის ივნისში, სამ (3) ეგზემპლარად და გადაეცა მხარეებს.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა**

**აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი**

**გურამ ალექსიძე**

**საქართველოს საგაჭრო-სამრეწველო**

**პალატის პრეზიდენტი**

**ქახა ბაინდურაშვილი**

**საქართველოს პროფესიული განათლების**

**ფონდის გამგეობის თავმჯდომარე**

**ალექსანდრე ეჯიბაძე**

#### **4.2.2. მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ**

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალს “ახალი აგრარული საქართველო” შორის**

აგრარული მეცნიერების, ინოვაციების და მოწინავე ტექნოლოგიების სფეროში თანამშრომლობის შემდგომი გააქტიურების და პროპაგანდის მიზნით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია (შემდგომში „აკადემია“) და სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალის „ახალი აგრარული საქართველო“ რედაქცია შეთანხმდნენ შემდეგზე:

#### **მუხლი 1.**

აკადემიასა და ჟურნალს “ახალი აგრარულ საქართველო”-ს შორის თანამშრომლობა დაფუძნება მეცნიერების, განათლების და ჟურნალისტიკის სისტემაზე ურთიერთ საინტერესო სფეროებს. ადნიშნული თანამშრომლობა განხორციელდება საერთო ინტერესებისა და თანაბარი ურთიერთობის საფუძველზე.

#### **მუხლი 2.**

1. ხელი შეუწყონ ინფორმაციის შემდგომ პოპულარიზაციას და გაზიარებას აგრარულ სფეროში;
2. ერთობლივად ჩაატარონ შეხვედრები, სემინარები, მრგვალი მაგიდა და კონფერენციები აგრარული მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საკითხებზე;

3. გაატარონ დონისძიებები შესაბამის საერთაშორისო სტრუქტურებსა და ორგანიზაციებში თანამშრომლობის და კომპეტენტური მასალების მოპოვების საქმეში;
4. გაატარონ დონისძიებები შესაბამის საერთაშორისო სტრუქტურებსა და ორგანიზაციებში თანამშრომლობის და კომპეტენტური მასალების მოპოვების საქმეში;
5. შეიმუშაონ ერთობლივი დონისძიებები ახალგაზრდა ფერმერებთან და მენეჯერთა მომზადებისათვის;
6. შეიმუშაონ დონისძიებები ურთიერთსაინტერესო პროექტების და პროგრამების მომზადებისათვის და მიიღონ ერთობლივი მონაწილეობა მათ შესრულებაში;
7. ხელი შეუწყონ აგრარულ სფეროში პროექტებისა და პროგრამების რეკლამირებას და შემდგომში მათი დანერგვის საკითხების მიმდინარეობას.

### **მუხლი 3.**

აკადემიამ და უურნალის რედაქციამ შეთანხმების საფუძველზე ხელი უნდა შეუწყონ აგრარული სფეროს პრობლემებზე ინფორმაციის შეგროვებას და შეთანხმების შემთხვევაში მათ გამოქვეყნებას.

### **მუხლი 4.**

მხარეებს უფლება აქვთ მემორანდუმის ტექსტში შეიტანონ ცვლილებები და დამატებები. ცვლილებები და დამატებები ძალაში შევა შესაბამისი ოქმის ხელმოწერის შემდეგ.

### **მუხლი 5.**

ხელშეკრულება ძალაშია, აკადემიკოსი ხელის მოწერიდან 5 (ხუთი) წლის განმავლობაში. თუ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე 3 (სამი) თვით ადრე ერთ-ერთი მხარე არ შეატყობინებს მეორე მხარეს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ, ხელშეკრულება ითვლება გაგრძელებულად.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა  
აკადემიის სახელით პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე**

**უურნალის “ახალი აგრარული საქართველო”  
სახელით მთავარი რედაქტორი**

**შოთა მაჭარაშვილი**



ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ხელს აწერენ  
სსმმ აკადემიის პრეზიდენტი აკად. გურამ ალექსიძე და  
ჟურნალის “ახალი აგრარული საქართველო”  
მთავარი რედაქტორი შოთა მაჭარაშვილი.

#### 4.2.3. მემორანდუმი

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია  
საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი**

თბილისი 25 ოქტომბერი 2013 წელი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია (“აკადემია”) წარმოდგენილი პრეზიდენტის გურამ ალექსიძის მიერ და ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი (“უნივერსიტეტი”) წარმოდგენილი რექტორის ლაშა გოცირიძის მიერ, მეცნიერებასა და განათლების სფეროში საერთო ინტერესების გათვალისწინებით და ურთიერთკავშირების განვითარების მიზნით თანხმდებიან შემდეგზე:

#### მუხლი 1. მემორანდუმის საგანი

1. აკადემიას და უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობა მეცნიერებისა და განათლების სფეროებში.
2. აღნიშნული თანამშრომლობა განხორციელდება საერთო ინტერესებისა და თანაბარი ურთიერთობათა საფუძველზე.

## **მუხლი 2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები**

1. მეცნიერებისა და პროფესორ-მასწავლებელთა ურთიერთდახმარება აგრარული სფეროს აქტუალური პრობლემების გადაწყვეტაში, სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებაში და სხვა.
2. ტრენინგებისა და სემინარების ჩატარება ახალგაზრდა მეცნიერების, მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის.
3. გამოცდილების გაზიარება თანამედროვე მეთოდების, სამეცნიერო მიღწევებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების სფეროში.
4. ერთობლივი სამეცნიერო სიმპოზიუმის, კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზება.
5. მხარეების ერთობლივი მონაწილეობა პროექტებსა და პროგრამებში.
6. პროფესორ-მასწავლებელთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზღვარგარეთის მოწინავე სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებში მივლინების ხელშეწყობა.
7. დამუშავებული პროექტებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების რეკლამირება მასობრივი საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით.
8. აგრარულ სფეროში აქტუალური პრობლემების გადაწყვეტისათვის ერთობლივი შემოქმედებითი ჯგუფების ჩამოყალიბება და მათი მუშაობის ორგანიზება.

## **მუხლი 3. ზოგადი დებულებანი**

მემორანდუმში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს თრივე მხარის წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

## **მუხლი 4. ფორს-მაჟორი**

1. მემორანდუმის პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.
2. ამ მუხლის მიზნებისათვის “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული მემორანდუმის მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვ.
3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში მემორანდუმის დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებები ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით

აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოკიდებული იქნება ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

### **მუხლი 5. დავის გადაწყვეტის წესი**

1. მხარეთა შორის წარმოჭრილი ნებისმიერი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.
2. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.
- 3.

### **მუხლი 6. მემორანდუმის მოქმედების ვადა**

წინამდებარე მემორანდუმი ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 5 წლის ვადით. ვადის გასვლამდე რომელიმე მხარის მიერ ამ მემორანდუმის შეწყვეტის შესახებ წერილობითი მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაში, მემორანდუმი ავტომატურად გრძელდება ერთი წლის ვადით.

საქართველოს სოფლის მეურნეობის  
მეცნიერებათა აკადემიის  
პრეზიდენტი  
აკადემიკოსი გურამ ალექსიძე

ა(ა)იპ საქართველოს აგრარული  
უნივერსიტეტის რექტორი  
**ლაშა გოცირიძე**

#### **4.2.4. მემორანდუმი**

##### **თანამშრომლობის შესახებ**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და  
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შორის

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია (შემდგომში “აკადემია”) წარმოდგენილი პრეზიდენტის გურამ ალექსიძის მიერ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო (შემდგომში “სამინისტრო”) წარმოდგენილი მინისტრის ზაურ ფუტკარაძის მიერ, აგრარულ მეცნიერებასა და განათლების სფეროში საერთო ინტერესების გათვალისწინებით და ურთიერთკავშირების განვითარების მიზნით, თანხმდებიან შემდეგზე:

### **მუხლი 1. მემორანდუმის საგანი**

1. მემორანდუმის საგანია აკადემიასა და სამინისტროს შორის თანამშრომლობა მეცნიერებისა და განათლების სფეროში;

2. აღნიშნული თანამშრომლობა განხორცილდება საერთო ინტერესების და თანაბარი ურთიერთობების საფუძველზე.

### **მუხლი 2. მსარეთა უფლებები და ფალდებულებები**

აკადემიამ და სამინისტრომ მეცნიერებასა და პრაქტიკულ დონისძიებებში ურთიერთ თანამშრომლობის საფუძველზე გაატაროს დონისძიებები შემდეგი მიმართულებით:

1. სასოფლო-სამეურენო გაერთიანებების (კოოპერატივების) ჩამოყალიბებისა და შემდგომი ფუნქციონირების ხელშემწყობი დონისძიებების შემუშავება.
2. აჭარაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივი სტრუქტურების ოპტიმიზაცია, ბუნებრივ-კლიმატური, რელიეფური, ზონალური და გეოგრაფიული გარემოებების გათვალისწინებით. ცალკეული დარგების გაადგილების სარეკომენდაციო სქემების შემუშავება.
3. მეციტრუსეობის დარგში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მოსავლიანობისა და ხარისხის ამაღლების პრობლემების გადაჭრის რეკომენდაციების დამუშავება.
4. მეციტრუსეობის დარგში ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების, აგრეთვე დაავადება-მავნებლებთან ბრძოლის თანამედროვე მეთოდების ეფექტური აგრო-ტექნოლოგიების დანერგვის პრიორიტეტების ჩამოყალიბება.
5. მეჩაიეობის დარგში რეაბილიტაცია-განვითარების კონცეპტუალური განვითარების სრულყოფა არსებული რეალობების გათვალისწინებით. მეჩაიეობის პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური უზრუნველყოფის, ასორტიმენტისა და ნომენკლატურის გაფართოების პროგრამული მიღების ჩამოყალიბება.
6. აჭარაში საღვინე და სუფრის ყურძნის ჯიშების გავრცელების, დვინისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოების პერსპექტივების განსაზღვრა, ოპტიმალური საწარმოო მაჩვენებლების დადგენა.
7. მეცხოველეობის და მიწათმოქმედების დარგების განვითარებისათვის ალპური ზონის ეფექტური გამოყენების რეკომენდაციების შემუშავება.
8. აჭარის წყლის რესურსების რაციონალური ათვისების, სატბორე მეურნეობის ქსელის შექმნისა და თუვზის წარმოება-გადამუშავებისათვის პროგრამული მიღების ჩამოყალიბება.
9. სასოფლო-სამეურნეო დარგების განვითარებისა და გარემოს დაცვითი პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში მონიტორინგული კვლევების ჩატარება.

10. სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაში აგრობიზნესის როლის ამაღლების პრიორიტეტული მიმართულებების ჩამოყალიბება, პროგნოზული შეფასებების მომზადება;
11. აჭარის რეგიონში აგრობიზნესის დარგობრივი მრავალფეროვნების განვითარების მდგომარეობის რეალური პოტენციალის გათვალისწინებით მეცნიერული კვლევების გაფართოების, საჭირო კადრების მომზადების პროგრამების შემუშავება.
12. სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებში მაღალ მეცნიერულ დონეზე დასაბუთებული პროგრამებისა და პროექტების შემუშავება ქვეყნის ბიუჯეტის, შიგა და გარე ინვესტიციების, სხვადასხვა წყაროების რესურსების ფართოდ მოზიდვისათვის.
13. აჭარის რეგიონში აგრობიზნესის განვითარების რესურსების შეფასება და რეკლამირება მათი გამოყენების გაფართოებისათვის სხვადასხვა გეოგრაფიულ სივრცეში.
14. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებული პროექტებისა და პროგრამების შესახებ და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას შორის ინფორმაციული მასალების გაცვლა შემდგომში გადაწყვეტილებათა მიღების მომზადებისათვის.

### **მუხლი 3. ზოგადი დებულებანი**

მემორანდუმში ცვლილებები და დამატებები შეტანილი იქნეს ორივე მხარის წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

### **მუხლი 4. მემორანდუმის მოქმედების გადა.**

წინამდებარე მემორანდუმი ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 5 წლის ვადით. ვადის გასვლამდე რომელიმე მხარის მიერ ამ მემორანდუმის შეწყვეტის შესახებ წერილობითი მოთხოვნის არ არსებობის შემთხვევაში, მემორანდუმი ავტომატურად გრძელდება ერთი წლის ვადით.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის  
მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი**

**აკად. გურამ ალექსიძე**

**აჭარის აგტონომიური რესპექტი  
სოფლის მეურნეობის მინისტრი**

**ზაურ ფუტკარაძე**

**4.2.5. მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ  
საქართველოს სოფლის მეურნეობის მცნიერებათა აკადემია  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

თბილისი-ქუთაისი

28 ნოემბერი 2013 წელი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მცნიერებათა აკადემია (“შემდგომში “აკადემია”) წარმოდგენილი პრეზიდენტის გურამ ალექსიძის მიერ და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (“შემდგომში “უნივერსიტეტი”) წარმოდგენილი რექტორის გიორგი ლავთაძის მიერ, მცნიერებასა და განათლების სფეროში საერთო ინტერესების გათვალისწინებით და ურთიერთკავშირების განვითარების მიზნით თანხმდებიან შემდეგზე:

**მუხლი 1. მემორანდუმის საგანი**

1. აკადემიას და უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობა მცნიერებისა და განათლების სფეროებში.
2. აღნიშნული თანამშრომლობა განხორციელდება საერთო ინტერესებისა და თანაბარი ურთიერთობათა საფუძველზე.

**მუხლი 2. მხარეთა უფლებები და გადატყვევებულებები**

1. მცნიერებისა და პროფესორ-მასწავლებელთა ურთიერთდახმარება აგრარული სფეროს აქტუალური პრობლემების გადაწყვეტაში, სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებაში და სხვა.
2. ტრენინგებისა და სემინარების ჩატარება ახალგაზრდა მცნიერების, მაგისტრანტებისა და დოკტორანტებისათვის.
3. გამოცდილების გაზიარება აგრარული მიმართულებების თანამედროვე მეთოდების, სამეცნიერო მიღწევებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების სფეროში.
4. ერთობლივი სამეცნიერო სიმპოზიუმის, კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზება.
5. მხარეების ერთობლივი მონაწილეობა აგრარული მიმართულების პროექტებსა და პროგრამებში.
6. პროფესორ-მასწავლებელთა და ახალგაზრდა მცნიერთა საზღვარგარეთის მოწინავე სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებში მივლინების ხელშეწყობა.
7. დამუშავებული პროექტებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების რეკლამირება მასობრივი საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით.
8. აგრარულ სფეროში აქტუალური პრობლემების გადაწყვეტისათვის ერთობლივი შემოქმედებითი ჯგუფების ჩამოყალიბება და მათი მუშაობის ორგანიზება.

**მუხლი 3. ზოგადი დებულებანი**

მემორანდუმში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს ორივე მხარის წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

**მუხლი 4. ფორს-მაჟორი**

1. მემორანდუმის პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.
2. ამ მუხლის მიზნებისათვის “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული მემორანდუმის მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვ.
3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში მემორანდუმის დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებები ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოკიდებული იქნება ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

### **მუხლი 5. დავის გადაწყვეტის წესი**

1. მხარეთა შორის წარმოჭრილი ნებისმიერი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.
2. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

### **მუხლი 6. მემორანდუმის მოქმედების ვადა**

წინამდებარე მემორანდუმი ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 5 (ხუთი) წლის ვადით. ვადის გასვლამდე რომელიმე მხარის მიერ ამ მემორანდუმის შეწყვეტის შესახებ წერილობითი მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაში, მემორანდუმი ავტომატურად გრძელდება ერთი წლის ვადით.

საქართველოს სოფლის მეურნეობის აკაკი წერეთლის სახელმწიფო  
მეცნიერებათა აკადემიის უნივერსიტეტის რექტორი  
პრეზიდენტი  
აკადემიკოსი გურამ ალექსიძე

**სრული პროფ. გიორგი ლავთაძე**



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა  
და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის  
თანამშრომლობის მემორანდუმს ხელს აწერენ სსმმ აკადემიის პრეზიდენტი აკად.  
გურამ ალექსიძე და აწსუ-ს რექტორი, სრ. პროფესორი გიორგი ლავთაძე.



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა  
და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის  
თანამშრომლობის მემორანდუმის ხელის მოწერის პროცედურა.

**ДОГОВОР  
о творческом сотрудничестве**

«03» октября 2013 г.

г. Винница, г. Тбилиси

Винницкий национальный аграрный университет в лице президента, профессора Калетника Григория Николаевича с одной стороны и Академия сельскохозяйственных наук Грузии в лице Президента Алексидзе Гурама Николаевича, с другой стороны, именуемые в дальнейшем «Стороны», заключили настоящий договор взаимного сотрудничества о нижеследующем:

**1. ПРЕДМЕТ ДОГОВОРА.**

1.1. Предметом настоящего договора является организация и проведение совместной научно-исследовательской, научно-методической, научно-педагогической деятельности по проблемам, представляющим взаимный интерес сторон:

- организация сотрудничества в подготовке научно-педагогических кадров и специалистов высшего профессионального образования;
- использование кадрового потенциала договаривающихся сторон в организации и проведении совместной научно-исследовательской деятельности;
- научно-методическое и научно-практическое сотрудничество;
- участие в проведении совместных научно-технических мероприятий различного уровня (симпозиумах, форумах, конференциях, чтениях, семинарах и пр.);
- проведение совместной опытно-экспериментальной, деятельности.

1.2. Академия сельскохозяйственных наук Грузии обязуется:

- предоставлять базу для проведения совместных научных исследований, лекций, семинаров, конференций;
- выполнять необходимые опытно-конструкторские, поисковые и экспериментальные работы;
- предоставлять право сотрудникам партнера публиковать результаты исследований в своих плановых изданиях совместных публикациях;
- принимать участие в изучении влияния разработанных кормовых добавок на продуктивность, качество и безопасность продукции сельскохозяйственных животных.

Для оперативного решения вопросов относительно реализации данного договора назначить ответственных лиц:

ВНАУ:

- Скоромная Оксана Ивановна, кандидат сельскохозяйственных наук, доцент, декан факультета Технологии производства переработки продукции животноводства;

- Кучеряый Виталий Петрович, профессор кафедры разведения сельскохозяйственных животных, доктор сельскохозяйственных наук, профессор. Мобильный телефон: +38 098 240-89-65, +38 097 610-37-50, домашний телефон: 0432 57-43-78
- Трачук Евгений Григорьевич, ассистент кафедры разведения сельскохозяйственных животных. Мобильный телефон: +38 093 887-70-89, домашний телефон: (0432) 26-33-58

**1.3. Винницкий национальный аграрный университет (ВНАУ) обязуется:**

- предоставлять базу для проведения лекций и семинаров руководящими работниками и специалистами АПК;
- оказывать взаимную помощь в планировании и проведении научных исследований и научно-методической работы в соответствии с согласованной тематикой;
- привлекать ученых Академии сельскохозяйственных наук Грузии к выполнению совместных НИР, подготовке коллективных научно-методических трудов;
- принимать участие в научном редактировании изданий, а также в рецензировании работ сотрудников партнера;
- информировать ученых Академии сельскохозяйственных наук Грузии о проводимых региональных, всеукраинских и международных конференциях, предоставляя право участия в них сотрудникам партнера;

Для оперативного решения вопросов относительно реализации данного договора назначить ответственных лиц:

- Шапакидзе Елгуджа, начальник Академического департамента Академии, член-кор Академии;
- Георгадзе Анатолия Анзориевича, доктор, ученый секретарь Академии наук, (+99532) 2941321, (+99593) 314143.

## **2. ПРАВА И ОБЯЗАТЕЛЬСТВА СТОРОН**

**2.1.** Стороны имеют право взаимного участия профессорско-преподавательского состава в образовательном и научном процессе.

**2.2.** Стороны имеют право пользоваться информационно-библиотечными ресурсами.

**2.3.** Представлять учебно-производственную и приборно-лабораторную базу и оборудование.

## **3. ОТВЕСТВЕННОСТЬ СТОРОН.**

**3.1.** Стороны ответственны за разрешение всех разногласий, которые могут возникнуть в процессе исполнения договорных обязательств.

#### **4. ЗАКЛЮЧИТЕЛЬНЫЕ ПОЛОЖЕНИЯ**

- 4.1. Настоящий договор составлен в двух экземплярах. По одному экземпляру для каждой стороны. Оба экземпляра имеют одинаковую юридическую силу.
- 4.2. Договор считается пролонгированным на каждый последующий год, если ни одна из сторон не заявила о его расторжении.
- 4.3. Срок действия договора 5 лет (бессрочный). Договор прекращается при взаимном согласии сторон, нарушения одной из сторон условий настоящего договора или действующего законодательства.
- 4.4. Изменение и расторжение договора может иметь место по взаимному согласию сторон.
- 4.5. Договор вступает в силу с момента его подписания обеими сторонами.

#### **5. ПРОЧИЕ УСЛОВИЯ**

- 5.1. По другим вопросам, не предусмотренным настоящим договором о совместной деятельности, стороны руководствуются действующим законодательством.
- 5.2. Дополнения и изменения в настоящий договор вносятся по обоюдному согласию сторон по мере необходимости на взаимовыгодных условиях.

#### **6. ЮРИДИЧЕСКИЕ РЕКВИЗИТЫ СТОРОН**

Академия сельскохозяйственных  
наук Грузии.

Адрес: 0102 Грузия  
г. Тбилиси, ул. И.Джавахишвили 51,  
тел. (+995 32) 2960300, 2910390

Президент Академии  
сельскохозяйственных наук Грузии,  
академик  
Г.Н. Алексидзе



03 октября 2013 г.

Винницкий национальный аграрный  
университет.

Адрес: 21108 Украина  
г. Винница, ул. Солнечная 3,  
тел. +38(0432)357084, 574387

Президент Винницкого  
национального  
аграрного университета, академик  
Г.Н. Калетник



03 октября 2013 г.



ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმის ხელმოწერა საქართველოს სოფლის  
მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და უკრაინის ვინიცის ეროვნულ აგრარულ  
უნივერსიტეტს შორის.



მარცხნიდან: აკად. წ/კ ე. შაფაქიძე, პროფ. ვ. გუჩერიავი, აკად. გ. ალექსიძე, აკად. დოქტ. ა. გიორგაძე

## 4.2.7. СОГЛАШЕНИЕ

### о творческом сотрудничестве

г. Тбилиси

16 декабря 2013 г.

Настоящее Соглашение заключено между Академией сельскохозяйственных наук Грузии (АСХНГ) и Казахским НИИ механизации и электрификации сельского хозяйства (КазНИИМЭСХ) с целью установления и развития творческого сотрудничества в области разработки сельскохозяйственной техники и мероприятий по инженерно-техническому обеспечению механизированных сельскохозяйственных работ.

Настоящее Соглашение заключено на основе следующих условий:

1. Для решения вопросов, связанных с проведением совместных исследований, конференций и совещаний, а также подготовки совместных публикаций и заявок на патенты и изобретения стороны будут принимать следующие меры:

- организовать двусторонние встречи представителей сторон;
- осуществлять взаимный безвалютный обмен научно-технической литературы;
- вступать по мере надобности во взаимные контакты и вести между собой постоянную переписку;

2. Объемы и содержание работ определяются рабочим планом, разрабатываемым ежегодно в дополнение к настоящему соглашению и являющимся его неотъемлемой частью.

3. Все расходы по выполнению предусматриваемых рабочими планами работ договаривающиеся стороны производят за счет своих средств без взаимных расчетов.

4. Годовые результаты работ и предложения рассматриваются и обсуждаются с участием обеих сторон на заседании рабочей группы.

5. При составлении заявок на предполагаемые изобретения в число соавторов должны включаться представители договаривающихся сторон при условии их творческого участия. Публикации по совместно выполняемой тематике могут производиться в объеме работ, проведенных каждой из договаривающихся сторон, со ссылкой на совместную работу и по согласованию сторон, при этом публикации не должны преждевременно раскрывать суть предполагаемого изобретения.

6. Конечные результаты работ считать совместными, а доля участия каждой стороны определяется после завершения по согласованию сторон и оформлением протокола.

7. Спорные вопросы по выполнению настоящего соглашения разрешаются руководителями договаривающихся сторон.

8. Соглашение может быть расторгнуто любой из сторон при подаче стороной письменного заявления остальным участникам за месяц до расторжения.

9. Договоры (контракты), а также программы и календарные планы выполнения работ по каждой теме совместных разработок и испытаний будут согласовываться и утверждаться сторонами отдельно в рабочем порядке.

10. Настоящее Соглашение вступает в силу с момента его подписания и действует в течение пяти лет. Если ни одна из сторон за 6 месяцев до окончания действия Соглашения не заявит своего желания его расторгнуть, то Соглашение автоматически продлевается на следующие пять лет.

11. Настоящее Соглашение подписано в 2-х экземплярах на русском языке, по одному экземпляру для каждой стороны.

12. Юридические адреса сторон:

**АСХН Грузии**

ул.Джавахишвили №51,  
Тбилиси, 0102, Грузия.  
Академия сельскохозяйственных  
наук Грузии,  
**Тел/факс:** (+995 32) 294 02 14  
**Эл.почта:** [gaas.georgia@gmeil.com](mailto:gaas.georgia@gmeil.com)  
**Вебстраница:** [www.academy-as-georgia.dsl.ge](http://www.academy-as-georgia.dsl.ge)

**КазНИИМЭСХ**

050005, г. Алматы,  
пр. Райымбека, 312  
РНН 600700595725  
БИН 071140007530  
ИИК KZ096010131000120013  
БИК HSBHKZKX  
Св-во о пост на учет по НДС  
Серия 60001 № 0070299 от 27.09.2012г.  
АОФ АО «Народный банк Казахстана» в  
г. Алматы, ул. Розыбакиева, 101

**Президент АСХН Грузии,**  
Академик АСХН Грузии

Г. Алексидзе

**Генеральный директор,**  
Академик АСХН РК

С. Кешуов

## **თავი. 5. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია**

2013 წლის 3-4 ოქტომბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: “ინოვაციური ტექნილოგიები აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის”. კონფერენცია ჩატარდა შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით.

კონფერენციის მოსამსადებელ პერიოდში ჩამოყალიბდა საორგანიზაციო კომიტეტი და სარედაქციო კოლეგია. დაიგზავნა მოსაწვევი ბარათები და კონფერენციის ჩატარების პირობები საზღვარგარეთის და საქართველოს სამეცნიერო ცენტრებში.

### **5.1. კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი:**

**აკად. ალექსიძე გურამ**

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, სსმმა, აკადემიის პრეზიდენტი, საქართველო;

**აკად. ჯაფარიძე გივი**

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სსმმა, ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, საქართველო;

**აკად. ქარქაშაძე  
ნაპოლეონ**

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სსმმა, აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველო;

**აკად. შ/კ შაფაქიძე  
ელგუჯა**

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სსმმა, აკადემიიური დეპარტამენტის უფროსი, საქართველო;

**აკად. დოქტ. გიორგაძე  
ანატოლი**

საორგანიზაციო კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი, სსმმა, სწავლული მდივანი, საქართველო.

### **საორგანიზაციო კომიტეტის წევრები:**

**აკად. შ/კ ბედია ომარ**

სსმმა, პრეზიდენტის მოადგილე, საქართველო;

**აკად. დოქტ. მოსაშეილი  
გივი**

სსმმა, საქართველო;

**დოქტ. ტუროკი ჯოზეფ**

„იკარდის“ (მშრალი რეგიონების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი) რეგიონალური წარმომადგენლობის ხელმძღვანელი. დოქტორი;

**პროფ. პოვოზნიკოვი  
ნიკოლოზ**

უკრაინის პოდოლსკის აგრარულ – ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, ს.მ.მ. დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი;

**დოქტ. ალექსანიანი  
სერგეი**

რუსეთის მეცნიერების კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, დოქტორი,

**აკად. მარგველაშეილი  
გოგოლა**

სსმმა, განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, საქართველო;

**აკად. ცქიტიშვილი ზურაბ**

სსმმა, განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, საქართველო;

**აკად. მახარობლიძე რევაზ**

სსმმა, განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, საქართველო;

<b>აკად. ქეშელაშვილი ომარ</b>	სსმმა, განყოფილების	აკადემიკოს-მდივანი,
<b>დოქტორანტი ეპიტაშვილი</b>	საქართველო;	
<b>თინათინ</b>	სსმმა, საქართველო;;	

## 5.2. სარედაქციო კოლეგია

<b>აკად. ალექსიძე გურამი</b>	მთავარი რედაქტორი, სსმმა, საქართველო;	სსმმა,
<b>აკად. ჯაფარიძე გივი</b>	მთავრი რედაქტორის მოადგილე, სსმმა,	
<b>აკად. ქარქაშაძე</b>	საქართველო;	
<b>ნაპოლეონი</b>	მთავრი რედაქტორის მოადგილე, სსმმა,	
<b>აკად. წ/პ შაფაქიძე</b>	მთავრი რედაქტორის მოადგილე, სსმმა,	
<b>ელგუჯა</b>	საქართველო;	
<b>აკად. დოქტ. გიორგაძე</b>	კასუხისმგებელი მდივანი, სსმმა, საქართველო.	
<b>ანატოლი</b>		

## სარედაქციო კოლეგიის წევრები

<b>პროფ. აკპაროვი ზეინალ</b>	გენეტიკური რესურსების ინსტიტუტი, აზერბაიჯანი;	სამეცნიერო-კვლევითი
<b>პროფ. ალექსანდრინი სერგეი</b>	მემცნარეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი,	
<b>დოქტ. ალიმგაზინოვა</b>	რუსეთი;	
<b>ბაიანი</b>	სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ყაზახეთი;	
<b>ეპიტაშვილი თინათინი</b>	სსმმა, საქართველო;	
<b>აკად. კუნჭულია თამაზი</b>	სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველო;	
<b>პროფ. კუჩერიავი ვიტალი</b>	ვინიცის ეროვნული აგრარული უნივერსიტეტი, უკრაინა;	
<b>პროფ. ლებედეკო ეგორი</b>	ბრიანსკის სახელმწიფო აკადემია, რუსეთი;	სასოფლო-სამეურნეო
<b>აკად. დოქტ. მოსაშვილი</b>	სსმმა, საქართველო;	
<b>გივი</b>		
<b>აკად.დოქტ. მჭედლიშვილი</b>	სსმმა, საქართველო;	
<b>ქეთეგანი</b>		
<b>პროფ. პოვოზნიკოვი</b>	პოდოლსკის აგრარულ-ტექნიკური უნივერსიტეტი, უკრაინა;	
<b>ნიკოლოზი</b>		
<b>პროფ. ტუროკი ჯოზეფ</b>	ICARDA (მშრალი რეგიონების კვლევითი ცენტრი);	საერთაშორისო

## 5.3. კონფერენციის შინაარსი

კონფერენციის პლენარულ სხდომაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკად. გურამ ალექსიძე; კონფერენციის მონაწილეებს მიესალმნენ და კონფერენციის მნიშვნელობაზე ილაპარაკეს საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ ზურაბ

2. კუხალაშვილი ედუარდი - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, აგრარული უნივერსიტეტის პიდრომელიორაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
3. მჭედლიძე ვალერიანი - სოფლის მეურნეობის სამინისტროს მელიორაციის პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი;
4. კირტავა ვაჟა - მელიორაციის დეპარტამენტის უფროსი;
5. მინაშვილი ირმა - ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი;
6. ტუდუში პაატა - ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სააქციო საზოგადოება “საქწყალპროექტი” მთ. სპეციალისტი;
7. ბზიავა კონსტანტინე - ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი;
8. ლიპარტელიან დავითი - ფერმერი (ახმეტა).

**62.11. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოსთან არსებული მეცნიერებელობის ეროვნული კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფი**

1. გუგუშვილი ელგუჯა - ეროვნული კოორდინატორი, სსმმა-ის აკადემიკოსი;

**ჯგუფის წევრები:**

2. თორთლაძე ლევანი - (მემონეობა) ს.მ.მ. დოქტორი, სრული პროფესორი აგრარული უნივერსიტეტის ზოობექნიკური დეპარტამენტი;
3. ბელელური გივი - (მეცნიერეობა) ს.მ.მ. დოქტორი, ასისტენტი პროფესორი;
4. ბოკუჩავა როინი - (მეოვეზეობა) ს.მ.მ. დოქტორი, ასოცირებული პროფესორი;
5. ებანოიძე დალი - (მებოცვრეობა) ს.მ.მ. დოქტორი;
6. ჩუბინიძე ანზორი - (მეცნიერეობა) ს.მ.მ. დოქტორი, ასოცირებული პროფესორი;
7. ბოჭორიშვილი გია - (მელორეობა) ს.მ.მ. დოქტორი, ასისტენტი პროფესორი;

9. ხუციშვილი მაია - (მეფრინგელება) ს.მ.მ. დოქტორი, ასოცირებული პროფესორი;
10. მამუკაშვილი ნაირა - (კინელოგია) ს.მ.მ. დოქტორი, ასისტენტი პროფესორი;
11. ჭკვასელი ამბროსი - (ს.ს.სამ.ცხოველთა კვება) ს.მ.მ. დოქტორი, სრული პროფესორი, აგრარული უნივერსიტეტის ზოოგეჯინიკური დეპარტამენტის უფროსი;
12. მიტიჩაშვილი როდანდი - (ს.ს.სამ.ცხოველთა გენეტიკა, მომშენებლობა) ს.მ.მ. დოქტორი, სრული პროფესორი, აგრარული უნივერსიტეტის ზოოტექნიკური დეპარტამენტი.

**6.2.12. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოსთან არსებული გეტერინარიის ეროვნული კოორდინატორის დარგობრივი**

**ჯგუფი**

1. ყურაშვილი თენგიზი - ეროვნული კოორდინატორი, სსმმა-ის აკადემიკოსი, აგრარული უნივერსიტეტის სრული პროფესორი;

**ჯგუფის წევრები:**

2. მაკარაძე ლევანი - გეტერინარიულ მეცნიერებათა დოქტორი, სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის დეპარტამენტის სრული პროფესორი;
3. ჭანტურიძე რამაზი - გეტერინარიულ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი;
4. კერესელიძე მაია - გეტერინარიულ მეცნიერებათა დოქტორი, აგრარული უნივერსიტეტი;
5. ნაჭელიძე ჯემალი - გეტერინარიულ მეცნიერებათა დოქტორი;
6. ჭიჭაყუა მიხეილი - ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;
7. ნასიძე მერაბი - გეტერინარიულ მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი;
8. კოჩალაძე ამირანი - აკადემიური დოქტორი.

**6.2.13. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოსთან არსებული საგვებწარმოების ეროვნული კოორდინატორის დარგობრივი**

**ჯგუფი**

1. აგლაძე გოგოთური - ეროვნული კოორდინატორი, სსმმა-ის აკადემიკოსი;

**ჯგუფის წევრები:**

2. სარჯველაძე იოსები - ს.მ. მეცნიერებათა დოქტორი;
3. ჯინჭარაძე ჯემალი - ს.მ. მეცნიერებათა დოქტორი.

**6.2.14. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ  
საბჭოსთან არსებული მეტყველეობის ეროვნული  
კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფი**

- |                        |  |
|------------------------|--|
| 1.ჩაგელიშვილი რევაზი   | - ეროვნული კოორდინატორი, სსმმა-ის აკადემიკოსი;   |
| 2. ჯაფარიძე გივი       | - ეროვნული კოორდინატორი სსმმა-ის აკადემიკოსი, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი - აკადემიკოს – მდივანი;                            |
| <b>ჯგუფის წევრები:</b> |  |
| 3. კანდელაკი თეიმურაზი | - მეცნიერებათა დოქტორი, არასამთავრობო მეტყველეთა ასოციაციის პრეზიდენტი, სრული პროფესორი;                                   |
| 4. დვალი მერაბი        | არასამთავრობო მეტყველეთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი;   |
| 5. დოლიძე ლაშა         | - მეცნიერებათა დოქტორი არასამთავრობო ასოციაციის წევრი;   |
| 6. მაჭავარიანი მერაბი  | - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სატყეო დეპარტამენტის უფროს;  |
| 7. ფანჩულიძე აკაგი     | - ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ანტიკრიზისულ საქმეთა ექსპერტები მდგრადი განვითარებისათვის ცენტრის თავმჯდომარე; |
| 8. სუპატაშვილი არჩილი  | - ს.მ.მ. აკადემიური დოქტორი, გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის განყოფილების გამგე;  |
| 9. ლაბაძე ნანა         | - არასამთავრობო მეტყველეთა ასოციაციის მეცნიერ მუშაკი.  |

**6.2.15. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ  
საბჭოსთან არსებული მეაბრეშუმეობის ეროვნული  
კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფი**

- |                        |   |
|------------------------|---|
| 1. ნიკოლეიშვილი გიორგი | - ეროვნული კოორდინატორი, სსმმა-ის წევრ-კორესპონდენტი;   |
| 2. კუნჭულია თამაზი     | - ეროვნული კოორდინატორი სსმმა-ის აკადემიკოსი, სოფლის მეურნეობის მინისტრის მრჩეველი;             |
| 3. შაფაქიძე ელგუჯა     | - ეროვნული კოორდინატორი სსმმა-ის წევრ-კორესპონდენტი, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი; |

**ჯგუფის წევრები:**

- |                     |                              |
|---------------------|------------------------------|
| 4. ბარამიძე ნარგიზა | - ს.მ.მ. აკადემიური დოქტორი; |
|---------------------|------------------------------|

5. დალალიშვილი თინათინი - ს.მ.მ. აკადემიური დოქტორი;
6. ჭოლაძე ემზარი - ს.მ.მ. აკადემიური დოქტორი;
7. წყარუაშვილი ზოია - ს.მ.მ. აკადემიური დოქტორი, უფროსი მეცნიერული მუშაკი.

**6.2.16. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოსთან არსებული მეფუტკრეობის ეროვნული კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფი**

1. წითლიძე ბორისი - ეროვნული კოორდინატორი, ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი;
- ჯგუფის წევრები:**
2. მაძლარაშვილი გიორგი - ს.მ.მ. დოქტორი, პროფესორი;
3. სტეფანიშვილი ვენერა - ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი, შპს “აპი-ფიტო და ტრადიციული ნატურალური პროდუქტები”;
4. ბალიაშვილი ლიზა - საკვები ბაზის სპეციალისტი;
5. კორძახია ალექსანდრე - სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი;
6. ტივიშვილი თამაზი - ვეტერინარიის აკადემიური დოქტორი;
7. თავართქილაძე რამაზი - მეფუტკრეთა კავშირის თავმჯდომარე;
8. სარაჯიშვილი კონსტანტინე - ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეფუტკრეთა ფედერაციის პრეზიდენტი.

**6.3. ფერმერთა საყურადღებოდ!**

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია იწყებს უფასო კონსულტაციებს ფერმერებისათვის**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩამოყალიბებულია სპეციალური დარგობრივი ჯგუფები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ეროვნული კოორდინატორები.

საქართველოს ფერმერებმა, სოფლის მეურნეობის ნებისმიერ დარგში მათვის საინტერესო თეორიულ თუ პრაქტიკულ საკითხებზე კონსულტაციებისთვის შეუძლიათ მიმართონ ტელეფონით, წერილობით ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით აკადემიის ეროვნულ კოორდინატორებს.

ფერმერების მოთხოვნებისა და წერილობითი განცხადებების მიხედვით შესაძლებელია აგრეთვე ფერმერთა ეროვნულ კოორდინატორებთან შეხვედრა აკადემიაში, სადაც ისინი მიიღებენ შესაბამის კონსულტაციებს სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ საკითხზე. შეხვედრის დრო და თარიღი მათ დამატებით ეცნობებათ.

იმ შემთხვევაში, თუ საკითხების რაოდენობა და ფერმერთა დაინტერესება რომელიმე რეგიონში დიდია, შესაძლებელია ეროვნული კოორდინატორების შეხვედრა ფერმერებთან ჩატარდეს ადგილებზე.

აკადემიის ეროვნულ კოორდინატორებთან კონტაქტები შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგ მისამართზე:

0102, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის ქუჩა №51;

ელ.ფოსტა E-mail: [gaas.georgia@gmail.com](mailto:gaas.georgia@gmail.com); [fermer-academy@mail.ru](mailto:fermer-academy@mail.ru);

ვებ-გვერდი: [www.academy-as-georgia.dsl.ge](http://www.academy-as-georgia.dsl.ge).

ტელეფონები: 294 13 21 (591 32 34 63); 294 13 20 (593 314 143).

**აკადემიის ეროვნული კოორდინატორების მიმართულებების მიხედვით:**

1. **მეცნიერება** – აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი – ბინ.2 36 00 16; მობ. 599 51 88 58;
2. **მელიქიშვილი** – აკადემიკოსი გურამ პაპუნიძე – ბინ.2 7 50 21; მობ. 599 50 61 25;
3. **მესამება** – აკადემიკოსი იუზა ვასაძე – ბინა 2 23 21 51; მობ. 577 40 76 31;
4. **ჩაი და ციტრუსები** – აკადემიკოსი ვალერიან ცანავა – ბინა 6 45 38 (ოზურგეთი-ანასეული); მობ. 599 53 22 25;
5. **მინდვრისა და ბოსტნეული კულტურები** – აკადემიკოსი პეტრე ნასყიდაშვილი – ბინა 2 30 26 28; მობ. 595 08 77 60;
6. **მცენარეთა დაცვა** – აკადემიკოსი გურამ ალექსიძე – ბინ. 2 36 00 16; მობ. 593 20 07 93;
7. **მიწათმოქმედება** – აკადემიკოსი გივი ცაგურიშვილი – ბინ.2 53 39 61; მობ. 599 63 12 34;
8. **სასოფლო-სამეურნეო ეკოლოგია** – აკადემიის წ/კ თამაზ თურმანიძე – ბინ. 2 38 61 32; მობ. 591 17 04 96;
9. **აგროქიმია-ნიადაგმცოდნება** – აკად. გოგოლა მარგველაშვილი – ბინ. 2 38 61 34; მობ. 599 63 14 61;
10. **მეცნიერება** – აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი – ბინ. 2 69 40 24; მობ. 577 41 29 23;
11. **საკვებწარმოება** – აკადემიკოსი გოგოთვერ აგლაძე – ბინ.2 95 36 58; მობ. 577 46 11 44
12. **ვეტერინარია** – აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი – ბინ. 2 31 48 18; მობ. 599 58 55 16;
13. **მეცნიერების პროდუქტების გადამუშავება** – აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი – ბინ.2 37 18 52; მობ. 577 57 77 71;
14. **მეაბრეშუმება** – აკადემიის წ/კ გიორგი ნიკოლეიშვილი – მობ. 597 31 33 11; აკადემიკოსი თამაზ კუნჭულია – ბინ. 2 38 29 28; მობ. 599 50 38 16; აკად. წ/კ ელგუჯა შაფაქიძე – ბინა 223 23 02 93; მობ. 577 711 775.
15. **სოფლის მეურნეობის მექანიზაცია** – აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე – ბინ. 2 61 00 26; მობ. 599 53 52 82;
16. **სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია და ავტომატიზაცია** – აკადემიკოსი არჩილ ვაშაკიძე – ბინა 222 53 53; 577 79 91 91;
17. **სასოფლო-სამეურნეო პიდრომელიორაცია** – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ირაკლი ყრუაშვილი – ბინა 2 22 22 42; მობ. 555 23 23 73.
18. **სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შენახვა და გადამუშავება** – აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია – ბინ. 2 22 66 46; მობ. 599 43 15 14. აკადემიკოსი თენგიზ ნანიტაშვილი – ბინ. 2 33 27 37; მობ. 599 71 55 33

19. **მეტყველეობა** – აკადემიკოსი რევაზ ჩაგელიშვილი – ბინ.2 23 28 74; მობ. 599 93 96 00;
20. **მეფუტკრეობა** – ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი ბორის წითლიძე – ბინ.2 60 70 16; მობ.593 65 69 92.

#### **6.4. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ფერმერებთან კავშირისა და საქმიანობის კოორდინატორის ანგარიში.**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ფერმერებთან კავშირისა და საქმიანობის კოორდინატორის აკადემიური დოქტორის ქეთევან მჭედლიშვილის 2013 წლის მოკლე ანგარიში შემდეგია:

სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოს ეკონომიკის მუდმივი ტკივილია. სამწუხაროა, რომ დარგს, რომელშიც საქართველოს მოსახლეობის 50 პროცენტზე მეტია დასაქმებული, მთლიანად ქვეყნის შიდა პროდუქტში მხოლოდ 8-9% უკავია, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელ საწარმოთა წილი 4 პროცენტს შეადგენს.

აგრარულ სექტორში დასაქმებულთათვის საკონსულტაციო მომსახურების მიზნით საქართველოში 12 საკონსულტაციო (ექსტენციის) ცენტრი გაიხსნა გურჯაანის, დედოფლისწყაროს, ქარელის, კასპის, მარნეულის, ბოლნისის, ახალციხის, ზესტაფონის, სამტრედიის, აბაშის, ოზურგეთის და ამბოლაურის რაიონებში. ყველა ცენტრი თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით არის აღჭურვილი. ცენტრების მიზანია თანამედროვე ტექნოლოგიების მოსახლეობისათვის გაცნობა და დანერგვა, მიზნობრივ ჯგუფს სტუდენტები, სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებული ადამიანები წარმოადგენენ.

მთელი საქართველოს მასშტაბით ფერმერებს დაურიგდათ ნომინალური და კომბინირებული სასოფლო-სამეურნეო ბარათები, რომელიც საქართველოს მთავრობის 2013 წლის საგაზაფხულო პროგრამით “მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტით” იყო განსაზღვრული. ბენეფიციარებს შეეძლოთ, მიმდინარე წლის 1 აგვისტომდე შეეძინათ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონელი და ინვენტარი, მოეხნათ 0,25 ჰა-დან 1,2 ჰა-მდე მიწა. დახმარება მთლიანობაში 710 000-მდე მიწის მესაკუთრემ მიიღო. საქართველოს მასტაბით 200 ათას ჰექტარამდე ფართობი დამუშავდა (მათ შორის 110 ათასი ჰექტარი - მოხსნა). აგრეთვე ფერმერებს უსასყიდლოთ გადაეცათ სხვადასხვა საქონელი და ინვენტარი.

შედავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში შემდეგი კომპონენტი განისაზღვრა: **პირველი კომპონენტის** (განვადების) გაცემას, რომლის ზედა ზღვარიც 5 000 ლარი იყო, ხოლო საპროცენტო განაკვეთი ფერმერებისათვის – 0. მცირე ფერმერებზე გაიცემოდა 6 თვიანი ვადით. **მეორე კომპონენტი** – ეს არის საშუალო და მსხვილი ფერმერებისათვის – 2 წლამდე 8 პროცენტიანი კრედიტის გაცემას ითვალისწინებდა. **მესამე კომპონენტი** – გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის 7 წლამდე ვადით შედავათიანი აგროკრედიტის გაცემას, რომლის ზედა ზღვარიც 1 მილიონი ლარი იქნება (ან ეკვივალენტი აშშ დოლარში) და საპროცენტო განაკვეთი მსესხებლისათვის შეადგენს 3 პროცენტს. **მეოთხე კომპონენტი** – გულისხმობს მეწარმისათვის სხვადასხვა დანადგარ-მოწყობილობების ლიზინგის თანადაფინანსებას. **მეხუთე კომპონენტით** – მხოლოდ ღვინის მწარმოებელი კომპანიების დაფინანსებას ითვალისწინებდა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების რეგისტრირებულ ფერმერთა და საწარმოთა რაოდენობა შეადგენდა:

**გურჯაანი** – 226 ფერმერი; **საგარეჯო** – 83 ფერმერი, 19 საწარმო; **სიღნაძი** – 311 ფერმერი, 61 საწარმო; **დედოფლისწყარო** – 44 ფერმერი; **ლაგოდეხი** – 205 ფერმერი; **ყვარელი** – 325 ფერმერი, 24 საწარმო; **თელავი** – 171 ფერმერი; **ახმეტა** – 245 ფერმერი; **მარნეული** – 344 ფერმერი; **გარდაბანი** – 338 ფერმერი; **დმანისი** – 53 ფერმერი; **თეთრიწყარო** – 169 ფერმერი, 21 საწარმო; **წალკა** – 39 ფერმერი, 8 საწარმო; **კასპი** – 302 ფერმერი; **ქარელი** – 31 ფერმერი; **გორი** – 94 ფერმერი; **ხაშური** – 94 ფერმერი; **ახალციხე** – 156 ფერმერი; **ახაინძა** – 94 ფერმერი; **ადიგენი** – 341 ფერმერი; **ბორჯომი** – 10 ფერმერი, 81 საწარმო; **ახალქალაქი** – 503 ფერმერი; **ნინოწმინდა** – 16 ფერმერი, 8 საწარმო; **მცხეთა** – 29 ფერმერი, 8 საწარმო; **დუშეთი** – 41 ფერმერი; **თიანეთი** – 151 ფერმერი, 50 საწარმო; **ყაზბეგი** – 26 ფერმერი; **საჩხერე** – 29 ფერმერი; **ჭიათურა** – 2 ფერმერი; **ხარაგაული** – 10 ფერმერი; **ზესტაფონი** – 40 ფერმერი; **განი** – 84 ფერმერი, 5 საწარმო; **ბალდათი** – 22 ფერმერი; **ხონი** – 189 ფერმერი, 8 საწარმო; **წყალტუბო** – 301 ფერმერი; **თერჯოლა** – 50 ფერმერი; **ტყიბული** – 106 ფერმერი, 3 საწარმო; **აბაში** – 17 ფერმერი; **სენაკი** – 6 ფერმერი, 11 საწარმო; **ხობი** – 215 ფერმერი; **ზუგდიდი** – 44 ფერმერი; **წალენჯიხა** – 63 ფერმერი, 11 საწარმო; **მარტვილი** – 481 ფერმერი; **ჩხოროწყუ** – 55 ფერმერი; **მესტია** – 104 ფერმერი; **აბბროლაური** – 20 ფერმერი; **ონი** – 36 ფერმერი; **ლენტეხი** – 1 ფერმერი; **ოზურგეთი** – 29 ფერმერი; 36 საწარმო; **ჩოხატაური** – 14 ფერმერი, 8 საწარმო; **ლანჩხუთი** – 13 ფერმერი; საანგარიშო 2013 წელს სსმმ აკადემიას და პირადად კოორდინატორს კავშირი ჰქონდათ ხუთ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, როგორიცაა: 1. ბიოლოგიური ფერმერული მეურნეობის ასოციაცია “ელგანა”; 2. მცენარეთა დაცვის ფონდი “ცისკარი-

99". 3. აგრომრავალფეროვნების დაცვის საზოგადოება "დიკა"; 4. საქართველოს ფერმერთა ასოციაცია; 5. მემამულდათა კავშირი.

აღნიშნულ ორგანიზაციებს აქვთ იმ ფერმერთა სია, რომლებთანაც წლის მანძილზე მუშაობდნენ. აღნიშნული სიები ცნობილია სსმ აკადემიისთვისაც, რომელიც მათთან კავშირებს ამყარებს აკადემიის ფერმერებთან კავშირისა და საქმიანობის კოორდინატორის და აკადემიის ეროვნული კოორდინატორების და მათი ჯგუფების საშუალებით.

## თავი 7. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილებები

### 7.1. აგრონომიული საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილება

**აკადემიკოს მდიგანი - აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი**  
**სწავლული მდიგანი - აკადემიური დოქტორი ანატოლი გიორგაძე**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიულ საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილებაში გაერთიანებულია აკადემიის 20 წევრი, მათ შორის აკადემიის ნამდვილი წევრი 14 და აკადემიის წევრ-კორესპონდენტი 6.

**აკადემიკოსები:** ალექსიძე გურამი, ვასაძე იუზა, ზარდალიშვილი ოთარი, მარგველაშვილი გოგოლა, ნასყიდაშვილი პეტრე, ქევხიშვილი ვლადიმერი, ჩაგელიშვილი რევაზი, ჩანქელიანი ზაური, ჩხარტიშვილი ნოდარი, ცანავა ვალერიანი, ბადრიშვილი გივი, კვალიაშვილი ვაჟა, ონიანი ჯუმბერი, ცაგურიშვილი გივი.

**წევრ-კორესპონდენტები:** თურმანიძე თამაზი, კილასონია გურამი, ლიპარტელიანი ოთარი, ურუშაძე თენგიზი, ღორჯომელაძე ოთარი, ჯაბნიძე რევაზი განყოფილებაში 2013 წელს ჩატარდა 11 სხდომა.

პირველი სხდომა ჩატარდა 11 იანვარს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს პეტრე ნასყიდაშვილის 2012 წლის სამეცნიერო საქმიანობის ანგარიშის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი პეტრე ნასყიდაშვილი. 2. აგრონომიული სამეცნიერო დარგობრივი განყოფილებიდან საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად აკადემიკოს გურამ ალექსიძის წარდგინების შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოს-მდიგანი გოგოლა მარგველაშვილი

მეორე სხდომა ჩატარდა 8 თებერვალს და განხილული იქნა საკითხები: . 1. აგრონომიული განყოფილების ანგარიში 2012 წელს გაწეული მუშაობის შესახებ; **მომხსენებლები:** აკადემიკოს-მდიგანი გოგოლა მარგველაშვილი; **სწავლული მდიგანი ანატოლი გიორგაძე** 2. აგრონომიული განყოფილების აკადემიკოსებისა და წ/კორესპონდენტების მიერ 2012 წელს ჩატარებული პედაგოგიური და

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგების შესახებ; მომხსენებლები: აკადემიკოს-მდივანი გოგოლა მარგველაშვილი; სწავლული მდივანი ანატოლი გიორგაძე

მესამე სხდომა ჩატარდა 25 მარტს და განხილული იქნა შემდეგი საკითხები: 1. ჰიბრიდული სიმინდი - მაღალი მოსავლიანობისა და ხარისხის საწინდარი; მომხსენებელი: აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ოთარ ლიპარტელიანი; 2. მეხილეობის დარგში არსებული მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში; მომხსენებელი: აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გივი ბადრიშვილი;

მეოთხე სხდომა ჩატარდა 4 აპრილს და განხილული იქნა საკითხი: შუალედური კულტურები და მათი როლი სახნავი მიწის ინტენსიურად გამოყენების საქმეში; მომხსენებელი: აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გივი ცაგურიშვილი.

მეხუთე სხდომა ჩატარდა 15 აპრილს და განხილული იქნა საკითხები: აგრონომიული საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილებიდან საარჩევნო-საექსპერტო კომისიის მიერ კონკურსში დაშვებული კანდიდატების წინასაარჩევნო მოხსენებები. მომხსენებელი: აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გივი ბადრიშვილი; აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თამაზ თურმანიძე; აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვაჟა კვალიაშვილი; აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ოთარ ლიპარტელიანი; აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ჯუმბერ ონიანი; აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გივი ცაგურიშვილი. 2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევასთან დაკავშირებით საარჩევნო-საექსპერტო კომისიის მიერ დაშვებული კანდიდატებისათვის რეკომენდაციის მიცემის შესახებ (ფარული კენჭისყრა).

მეექვსე სხდომა ჩატარდა 14 მაისს და განხილული იქნა საკითხი: ნავენახარი და ნაბადარი ნიადაგების ნაყოფიერების აღდგენის ღონისძიებების შესახებ; მომხსენებელი: აკადემიკოსი ჯუმბერ ონიანი.

მეშვიდე სხდომა ჩატარდა 7 ივნისს და განხილული იქნა საკითხი: პროგრამა „მარცვლის“ შესახებ; მომხსენებელი: აკადემიკოსი პეტრე ნასყიდაშვილი

მერვე სხდომა ჩატარდა 4 ივლისს და მოსმენილი იქნა საკითხი: აჭარის აგრონომიური რესპუბლიკაში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების არსებული მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები; მომხსენებელი: აკად. წ/კ რეზო ჯაბიძე.

მეცხრე სხდომა ჩატარდა 5 აგვისტოს და განხილული იქნა საკითხი: საქართველოში ინტროდუცირებული ხეხილის ახალი ჯიშები და მათი გავრცელების მდგომარეობის შესახებ; მომხსენებელი: აკადემიკოსი ვაჟა კვალიაშვილი; აკად. დოქტორი ზვიად ბობოქაშვილი;

მეათე სხდომა ჩატარდა 23 ოქტომბერს და განხილული იქნა შემდეგი საკითხები: 1. აგროფიზიკური კვლევები და მისი განვითარების სამომავლო პერსპექტივები; მომხსენებელი: აკად. წ/კ თამაზ თურმანიძე. 2. ახალი კულტურა "ამარანტას" მოშენების პერსპექტივები საქართველოში. მომხსენებელი: აკადემიკოსი ზაურ ჩანქელიანი, აკად. დოქტ. იური რამაზაშვილი.

მეთერთმეტე სხდომა ჩატარდა 13 ნოემბერს და განხილული იქნა საკითხი: აკადემიაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილების აღდგენის შესახებ; მომსხენებელი: აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი.

აღსანიშნავია, რომ განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები: სემინარი – მებოსტნეობის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები; მრგვალი მაგიდა მეხილეობის პრობლემებზე საქართველოში; მრგვალი მაგიდა საქართველოს მეტყველეობის პრობლემებზე; მრგვალი მაგიდა მცენარეთა დაცვის საკითხებზე; მრგვალი მაგიდა სუბტროპიკული კულტურების დარგის განვითარების პრობლემებზე საქართველოში;

### 7.1.1. აკადემიკოსი გურამ ალექსიძე



საანგარიშო პერიოდში, მომზადებული იქნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტისათვის მცენარეთა დაცვის განხილით ხუთი საგნის სილაბუსი, რომელიც მოწოდებული იქნა და რომლებიც განხორციელდება მომდევნო წლებში. ამავე დროს აკად. გ. ალექსიძე არის ამ უნივერსიტეტის სრული პროფესორი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში, №32 2013წელს გამოქვეყნებული აქვს შემდეგი სამეცნიერო შრომები: 1. „აჭარის მეციტრუსეობის რეგიონში გავრცელებული ფარიანები, ცრუფარიანები და მათი ბუნებრივი მტრები” (თანაავტორობით);

2. „ანალიტიკური მოსწორების მეთოდის გამოყენება „მტაცებელ – მსხვერპლის“ სისტემის მათემატიკურ მოდელირებაში (თანაავტორობით);

3. „ანალიტიკური მოსწორების მეთოდის პრაქტიკული რეალიზაცია „მტაცებელ-მსხვერპლის“ სისტემის მათემატიკური მოდელირებისათვის“ (თანაავტორობით);

4. „სასოფლო-სამეურნეო კვლევისა და ინოვაციური სისტემის გარდაქმნის სტრატეგია“;

5. „აგრარული მეცნიერების განვითარების ცალკეული პრობლემები და მათი დაძლევის წინადადებების შესახებ“ (თანაავტორობით);

6. „მოსაზრებები უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების რეფორმის გასატარებლად“. (თანაავტორობით).

7. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „ინოვაციური ტექნოლოგიები აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის“ მასალებში ერთი სტატია „საქართველოს აგრარული მეცნიერება-აწყო და მომავალი“.

ამავე დროს, აკად. გ. ალექსიძის მიერ გამოცემული იქნა სტამბური წესით წიგნი „ადამიანი და მწერები“ (150 გვ), გამომცემლობა „ივერიონი“. ამასთან ერთად მომზადდა სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლისათვის „მცენარეთა დაცვა“ (400 გვ), რომლის გამოქვეყნებაც გათვალისწინებულია მომავალ წელს.

მონაწილეობა აქვს მიღებული ორ საერთაშორისო და ერთ რესპუბლიკურ კონფერენციაში. აქედან ერთი ჩატარდა ქ. თბილისში - „ინოვაციური

ტექნოლოგიები აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის”, მეორე ქ. ბაქოში (აზერბაიჯანი) „შუა აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მე-16 საკორდინაციო თაობირი”, სადაც აკად. გ. ალექსიძე გამოვიდა მოხსენებით თემაზე - „სიჯიარის” სისტემის საერთაშორისო კვლევითი ცენტრების და საქართველოს აგრარული დარგის კვლევითი ორგანიზაციების ურთიერთობის შესახებ”.

მონაწილეობას დებულობდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – “ბიოსისტემების მათემატიკური მოდელირება და მისი გამოყენება ციტრუსების ინტეგრირებულ დაცვაში” (თემის შემსრულებელი).

ამავე დროს, მონაწილეობა აქვს მიღებული პროექტის: “კლიმატის ცვლილებების გავლენა ვაზის განვითარებასა და მოსავალზე საქართველოში (კახეთი)”, მომზადებაში, რომელიც გადაცემულია ფონდში დასაფინანსებლად. აქტიურ მონაწილეობას იღებდა სსმმ აკადემიის აკადემიური საბჭოს მუშაობაში, როგორც თავმჯდომარე.

არის არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკოსანდოს” თავმჯდომარე, საქართველოს ენციკლოპედიის სოფლის მეურნეობის დარგის ხელმძღვანელი, აკადემიის სამეცნიერო ჟურნალის “მოამბის” მთავარი რედაქტორი, შუა აზიისა და სამხრეთ კავკასიის სოფლის მეურნეობის კვლევების სამეთვალყურეო საბჭოს წევრი; ეკონომიკის მცენარეთა გენერიკური რესურსების “ბეტა” ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე, შუა აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების კვლევითი ორგანიზაციების ასოციაციის საბჭოს წევრი. საქართველოს პარლამენტის აგრარული კომიტეტის მეცნიერებისა და კონსულტირების საბჭოს წევრი და სხვა.

რაც შეეხება დარგის განვითარების კონცეფციას, მხედველობაში გვაქვს მცენარეთა დაცვა, ის მოცემულია მცენარეთა დაცვის სტრატეგიაში, რომელიც შედგენილია აკად. გ. ალექსიძის ხელმძღვანელობით.

## 7.12. აკადემიკოსი გივი ბადრიშვილი



2013 წელს სამეცნიერო – კვლევითი სამუშაო შესრულდა სოფ. ქვემოთ შემდეგი ქადაგის ახალი ჯიშების შესასწავლად. თემის ხელმძღვანელი აკად. გ. ბადრიშვილი.

სტამბური წესით დაიბეჭდა წიგნი “ჯონჯოლი”; ავტორები, აკადემიკოსები გ. ბადრიშვილი და ჯ. კერესელიძე. 2013

წიგნში განხილულია ჯონჯოლის კულტურის მნიშვნელობა და ისტორია ამ კულტურის ლიტერატურის მწირი მასალის გამო ავტორებმა ამოცანად დაისახეს საფუძვლიანად შეესწავლათ ჯონჯოლის ბიოლოგიური, ბიოქიმიური, აგროეკოლოგიური ფაქტორების გავლენა მცენარის სასიცოცხლო პროცესებზე, მის ხანგრძლივობაზე ექსპლოატაციის პერიოდზე, სახალხო მეურნეობაში და მედიცინაში მის გამოყენებაზე.

## **ჯონჯოლის ნერგის წარმოებისათვის**

სამეცნიერო შრომა ეხება ჯონჯოლის თესლით გამრავლების აქტუალობას, ბიოლოგიურ თვისებებს, გარემო ფაქტორებს, ფიზიოლოგიურ პროცესებს, სანერგეში თესვის, ნათესარების აღმოცენებისა და ზრდა-განვითარების საკითხებს.

წიგნი წარმოდგენილია აგრეთვე შემოკლებით რუსულ და ინგლისურ ენებზე.

მონაწილეობდა საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაში „ინოვაციური ტექნოლოგიები აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის“. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. ქ.თბილისი 3-4 ოქტომბერი GF/56/10-100/13

### **7.13. აკადემიკოსი იუზა გასაძე**



- 1. დასაქმების ადგილი – საქართველოს „მედვინეთა, მევენახეთა და მებაღეთა სამეცნიერო-კვლევითი-საწარმოო კავშირის“ პრეზიდენტი. (არასამთავრობო ორგანიზაცია, საიდენტიფიკაციო კოდი: 404918292)**
- 2. გამოქვეყნებული შრომების რაოდენობა – 142, მ/შ მიმდინარე წელს 6:**

#### **2.1. თხილის ახალი პერსპექტიული ჯიშები**

ნაშრომში განხილულია თხილის იმ პერსპექტიული სამრეწველო ჯიშების სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება, რომლებიც მრავალწლიანი კვლევის შედეგად გამოვლენილია იმერეთისა და კახეთის რეგიონის ენდემური გენოფონდიდან.

სსმმ აკადემიის “მოამბე”, №32, თბილისი 2013წ.

#### **2.2. თხილის კულტურის თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში**

შრომაში განხილულია თხილის კულტურის თანამედროვე მდგომარეობა, მოცემულია მისი ზოგიერთი ძირითადი ბიოლოგიური თავისებურებანი და გაანალიზებულია ფართობებთან, საწარმოებთან და პერსპექტივებთან დაკავშირებული საკითხები.

საქართველოს მ.მ.მ. ს.კ.ს. კავშირის შრომათა კრებული №1. თბილისი 2013წ.

#### **2.3. თხილის ბაზის პროდუქტიულობის ამაღლება**

ნაშრომში განხილულია თხილის სრულმსხმოიარე ბადში პროდუქტიულობის გახანგრძლივებისათვის ჩატარებული ძირითადი ღონისძიებები.

საქართველოს მ.მ.მ. ს.კ.ს. კავშირის შრომათა კრებული №1. თბილისი 2013წ.

#### **2.4. ჯონჯოლის ნერგის წარმოებისათვის**

სამეცნიერო შრომა ეხება ჯონჯოლის თესლით გამრავლების აქტუალობას, ბიოლოგიურ თვისებებს, გარემო ფაქტორებს, ფიზიოლოგიურ პროცესებს, სანერგეში თესვის, ნათესარების აღმოცენებისა და ზრდა-განვითარების საკითხებს.

საქართველოს მ.მ.მ. სამ.-კვ. – საწ. კავშირის შრომათა კრებული №1. თბილისი 2013წ.

#### **2.5. ადგილობრივი თხილის ჯიშების ხარისხობრივი მაჩვენებლები**

სტატიაში შეფასებულია თხილის ქართული ჯიშები, საერთაშორისო სტანდარტის (OOH DDP-03) მოთხოვნების ძირითადი პარამეტრების მიხედვით.

საქართველოს მ.მ.მ. ს.კ.ს. კავშირის შრომათა კრებული №1. თბილისი 2013წ.

#### **2.6. ხილ-ბოსტნეულის გადამუშავება და სამაცივრო მეურნეობის განვითარება შიდა ქართლში, გორის რაიონის დიცის საკრებულოს სოფელ ქორდში**

ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში სოფლის მეურნეობას განსაკუთრებული როლი აკისრია. იგი ერთ-ერთი აქტიური სფეროა და ვალდებულია უზრუნველყოს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილი დასაქმებით, ამავე დროს წარმოადგენს სასურსათო პროდუქციის ძირითად მწარმოებელს.

საქართველოს მ.მ.მ. ს.კ.ს. კავშირის შრომათა კრებული №1. თბილისი 2013წ.

**3. კადრებთან მუშაობა** – მეხილეობის ხაზით დაცულია სამი საკანდიდატო და ცხრა სადოქტორო დისერტაციები (საქ. მ.მ.მ. ს.კ. ინსტიტუტის და საქართველოს სუბტოპიკულ მეურნეობათა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო). დასაცავად გადაცემულია ორი სადოქტორო და ერთი საკანდიდატო დისერტაცია. საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში დაცულია ხუთი დიპლომი.

#### **4. კონფერენციები – 19;**

სიმპოზიუმი – 2;

სესია – 12;

მსოფლიო კონგრესი – 3;

**5. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული ფონდი, გრანტი № GNSF/ST07/8-276;**

**6.** საქართველოს „მედვინეთა, მეგენახეთა და მებაღეთა სამეცნიერო-კვლევითი-საწარმოო კაფშირის“ ყოველწლიური შრომათა კრებულის მთავარი რედაქტორი.

გამომცემლობა: ი/ზ პაატა ახრახაძე, ს/კ 54001006160;

**7. გამოგონება – 7; პატენტი – 5;**

**8. ჯილდოებ** საპატიო ნიშნის ორდენი;

**9:** საპატიო ნიშნის მედალი.

**9. სხვა მნიშვნელოვანი სამუშაოები – 2013 წლის 1 მარტს მეხილეობის დარგის აღორძინების საკითხების განხილვას მიეძღვნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოსა და სოფლის მეურნეობის ახლად შექმნილი მეხილეობის დარგობრივ საკოორდინაციო კომისიის მიერ გამართული მრგვალი მაგიდა, მის მუშაობაში მეცნიერებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს, ცნობილმა მეხილე პრაქტიკოსებმა, ფერმერ-ბიზნესმენებმა, დარგში მომუშავე მეცნიერებმა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებმა (92 მონაწილე).**

მრგვალი მაგიდის მონაწილეებს მიესალმა აკადემიის პრეზიდენტი გურამ ალექსიძე. აკადემიკოსები: ი. ვასაძე, გ. ბადრიშვილი და ვ. კვალიაშვილი.

საინტერესო გამოსვლები ჰქონდათ პრაქტიკოს მეხილეებს: გ. აბალაკას, თ.ნიპარიაშვილს, პროფესორებს: კ. სარაჯიშვილს და ვ. სუხიშვილს; მეცნიერებათა დოქტორებს: ნ. შენგელიას, ნ. მიროტაძეს, გ. ბარბაქაძეს და სხვებს.

მიღებულ იქნა დარგის განვითარებისათვის საჭირო დონისძიებები, რომელიც შემდგომში დაიხვეწა და ჩამოყალიბდა, როგორც დარგის განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც გადაეგზავნა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს განსახილველად.

მიმდინარე წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საკოორდინაციო კომისიის მიერ დამუშავებულ იქნა სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა „მეხილეობის განვითარების ხელშეწყობა“. მასში განხილულია: პროგრამის წინადადებების ძირითადი არსი; მიზნები და ამოცანები; პროგრამის რეალიზაციის დასაბუთება; შესრულების ვადები; ობიექტი და მისი მდგომარეობა; მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური და ფინანსური ეფექტი; საერთო ღირებულება და საჭირო ინვესტიციები წლების მიხედვით; პირველი და სრული შედეგების მიღების ვადები;

რეალიზაციის, მარკეტინგული სტრატეგიისა და რისკის შეფასება; სავარაუდო უარყოფითი რისკების შემცველობა და სხვა;

აღნიშნული მიზნობრივი პროგრამა გადაეცა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დავალებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამეცნიერო ცენტრში მეცნიერების დეპარტამენტის გახსნასთან დაკავშირებით წარდგენილი იქნა საკოორდინაციო საბჭოს მოსაზრებები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დავალებით მიმდინარე წლის სექტემბერ-ოქტომბერში დაზუსტებული და წარმოდგენილი იქნა საქართველოში გავრცელებული აბორიგენული და ინტროდიცირებული ხეხილოვან კულტურათა დაზუსტებული ჩამონათვალი, შემდგომში მისი დაბეჭდვის მიზნით. ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ: ი. ვასაძე – ხელმძღვანელი, წევრები: გ.ბადრიშვილი, ვ. კვალიაშვილი, ნ. მიროტაძე, ზ. ბობოქაშვილი, ნ. შენგელია, ნ.იქაძე, ლ. გოგინავა.

საკოორდინაციო კომისიამ (ი. ვასაძე, ლ. ჯალაბაძე) შეისწავლა სამაჩაბლოს რეგიონში საზღვრისპირა სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის დასაქმებისა და მოსავლის ჩაბარება-რეალიზაციის მდგომარეობა;

კომისიის დასკვნის საფუძველზე მიზანშეწონილად ჩაითვალა ხილ-ბოსტნეულის გადამამუშავებელი და სამაცივრო მეურნეობის საწარმოს გახსნა შიდა ქართლის გორის რაიონის დიცის საკრებულოს სოფელ ქორთში (400000 ევროს საპროექტო ღირებულებით). აღნიშნული წარმოების გახსნის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მოსახლეობის სამუშაოზე დასაქმებასთან ერთად მრავალი სოციალური პრობლემის გადაწყვეტა.

საქართველოს მ.მ. ს.კ. წ./კავშირის მიმართულებით მიმდინარე წელს, აჭარის აგტონომიური რესპუბლიკისა და გურიის რეგიონში ჩატარდა კავშირის ზონალური დამფუძნებელი კრებები და ამ რაიონების გამოკვლევა მეხილეობის დარგის მხრივ.

**10. წინადაღები:** 10.1. 2014 წელს აკადემიურ საბჭოზე მესამე-მეოთხე კვარტალში განსახილებელად შემოტანილი იქნება საკითხი – “ხილ-ბოსტნეულის გადამამუშავებელი და სამაცივრო საწარმოთა თანამედროვე მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში”.

10.2. აკადემიის პერსპექტივებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია დასახელდეს თაობის მეხილეობის დარგის ის მეცნიერები, რომელთა აკადემიაში შერჩევის

(კონკურსის) გზით მოსვლა ხელს შეუწყობს დარგის განვითარებას. ასეთები არიან:

მეხილეობაში: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორები: ნუგზარ შენგელია, ნადეჟნა მიროტაძე, ლალი გოგინავა;

შენახვა-გადამუშავებაში: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორები: ზაირა შაფათავა, იოსებ ბახილია, მერაბ ქლენტი.

#### 7.14. აკადემიკოსი ოთარ ზარდალიშვილი



საანგარიშო პერიოდში აკად. ო. ზარდალიშვილი იმ კონსულტაციების გარდა რასაც უწევდა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პედაგოგებს და სტუდენტებს, დიდ დროს უთმობდა ნიადაგის ნაყოფიერების დაცვის კოდექსის შექმნას.

ცნობილია, რომ კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ფართობის გარდა, საქმაოდ დიდი ნაწილი სახელმწიფო საკუთრებაა და იჯარით გაიცემა გარკვეული ვადით. სწორედ ამ ნიადაგების ნაყოფიერება არის საფრთხეები, რომ მოიჯარე ცდილობს ნაკლები დანახარჯით დიდი ეფექტის მიღებას.

ეს სამუშაო ძალიან როგორია და საჭიროებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერების ჩართვას. მოვიყვანო თრიოდე მაგალითს: 1% პუმუსის შემცირება ძალიან უარყოფითი მოვლენაა, მაგრამ იგი კატასტროფა არ არის შავმიწა ნიადაგისათვის, მაშინ როცა ეწერი ზონის ნიადაგებისათვის ის ნამდვილი კატასტროფაა. ამიტომ ერთნაირი სანქციების დაწესება ამ ორ ზონაზე არ შეიძლება.

მეორე მაგალითი: შესათვისებელი კალიუმის შეცირება 10 მგ/კგ დამლაშებულ ნიადაგებში არ მოქმედებს მცენარეზე, მაშინ როდესაც ალუვიურ ნიადაგებში მცენარის ხარისხობრივ გაუარესებას გამოიწვევს. ასეთი მაგალითები შეიძლება მოვიყვანოთ უამრავი.

ამჟამად აკად. ო. ზარდალიშვილი ამუშავებს ყველა იმ მასალას, რომელიც მოპოვებულია მის მიერ და ეხება პუმუსის და ნიადაგის საერთო ფორმებს.

## 7.1.5. აკადემიკოსი გაუა კვალიაშვილი



გრძელდებოდა მუშაობა ვაზის და ხეხილის (ვაშლი, ქლიავი, ატამი, კაკალი) სელექციაში ს.წედისის (გორი) საცდელ ბაღში, სადაც თავმოყრილია სელექციონერ ვ.ბესტავაშვილის და საკუთარი პიბრიდული ჯიშების და ფორმების დიდი ნაწილი, ასალი თესლერგები (ფოტოსურათები თან ერთვის).

ვ.ბესტავაშვილის და მისი სელექციის ვაზის 17 ჯიში გაშენებულია ჯილდურას ეროვნულ სანერგეში, დაცულია, მოვლილია და წარმოებს დაკვირვებაშესწავლა. საანგარიშო წელს სასუფრე

„ბესტავაშვილის თეთრაშ“ საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეთაგან მოწონება დაიმსახურა.

ვაზის სელექცია. საანგარიშო 2013 წელს პერსპექტიული პიბრიდული ფორმებიდან გამოირჩა წითელყურძნიანი საღვინე ყურძნის ფორმა „გორის წითელი“ (თავკვერი X ჯიშების ნარევი მტვერი); მიღებულია 2003 წელს ს.წედისში.



საღვინე ყურძნის ფორმა „გორის წითელი“

გორში ხეივნად ფორმირებული ოთხწლიანი ვაზი საკმაოდ ღონიერი ზრდისაა; ხეივანზე პირველად იმსხმოიარა. ყვავილი ორსქესიანია. ფოთოლი საშუალოზე დიდია, სამ-ხუთნაკვთიანი, ოვალური და საშუალოდ დანაკვთული. ზედა ამონაკვეთები ხშირად დახურული და მცირე ნასვრეტისებრია, ნაკვთები ერთმანეთზეა გადადებული, ამონაკვეთის ფუძე წამახვილებულია. ქვედა ამონაკვეთები მცირე შეჭრილ კუთხეს ქმნიან, მცირედ ან საშუალოდ არის ჩაჭრილი, საშუალო სიგანის ჩანგისებრია, ფუძეწამახვილებული; ქვედა მხრიდან თითქმის შიშველია, ძარღვებზე უმნიშვნელო ბუსუსით. ყუნწის ამონაკვეთი უმეტესად ღია და ჩანგისებრია, ზოგჯერ თაღისებრია და ფუძეწამახვილებული. ღია მწვანეა, სიმწიფეში მოყვითალოა და ფირფიტაზე ჩნდება ღია წითელი ლაქები. **მტევანი** საშუალო ან საშუალოზე დიდია, ზოგჯერ დიდი, კონუსურია, ხშირად უფორმო, განტოტვილი და მხრიანი; საშუალოდ კუმსი ან კუმსია; გვხვდება თხელ მტევნებიც. კლერტი საკმაოდ ჩანს. **მარცვალი** საშუალო ზომისაა, მრგვალი, უხვად

დაფარული ცვილით. სრულ სიმწიფეში მუქი ლურჯი-იისფერია, გარდამავალი შავ ფერში. მტკიცედაა ყუნწეული მიმაგრებული. მარცვლის კანი თხელია; რბილობი საკმაოდ ხორციანი და უფრო მეტად წვნიანია, სასიამოვნო, ტკბილი, მცირე მომჟავო გემოთი. რბილობი ღია მწვანეა; კანი შეიცავს წითელ ანტოციანებს და წვენი ღიაწითელი-ლალისფერია.

ბიოლოგიური და სამეურნეო-ტექნოლოგიური თვისებების შესწავლის მიზნით მოსავალი ადებული იქნა 1 ნოემბერს. გაკეთდა მტკიცენის მექანიკური შედგენილობის ანალიზი; განისაზღვრა ყურძნის წვენის შაქრიანობა და ტიტრული მეავიანობა. პატარა მტკიცენის საშ. წონამ შეადგინა 87,5გ, საშუალო მტკიცენისამ - 243 გ, დიდი მტკიცენის საშუალო წონა იყო 675 გ.

დიდი მტკიცენის სიგრძე 31-33 სმ, სიგანე 19-22 სმ; საშუალო მტკიცენის სიგრძე 16-19 სმ, სიგანე 11-13 სმ-ია. მარცვალი მრგვალია (სიმაღლე-16,55 მმ, სიგანე-15,95 მმ).

100 მარცვლი იწონის 217გ. 100 მარცვლის კანი - 42 გ(19,4%); 100 მარცვალში 190წიანია და 9,0გ(4,1%) იწონის. 100 მარცვლის წვენის გამოსავალი აღმატება 76%-ს. ყურძნის წვენის შაქრიანობა 26%-ია, მეავიანობა 6,5 გ/დმ<sup>3</sup>. დამზადდა საცდელი ლინო; ჩატარდება მისი ქიმიური ანალიზი და ორგანოლეპტიკური შეფასება. დაკვირვების შედეგების მიხედვით **გორის წითელი** საყურადღებო საღვინე ყურძნის ფორმაა. შესწავლა გრძელდება.

### **სენილის სელექცია. 1. გადალი**

კაკალი მსოფლიო ბაზარზე მუდმივად დეფიციტურია. ადგილობრივი ბაზარი მინიმალურადაც ვერ კმაყოფილდება. დეფიციტის შევსება მეზობელი ქვეყნებიდან ხდება და ამიტომ ბაზრის ფასები მაღალია.

პრობლემის დაძლევა შესაძლებელია ბალების გაზენებით უხვმოსავლიანი და ნაყოფების მაღალი სასაქონლო თვისებების მქონე კაკლის როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური ჯიშების ნამყენი ნერგით.

ქართული კაკლის ფორმებით დაინტერესება 1990-იანი წლებიდან დაიწყო და გააქტიურა 2004 წელს კაკლის V საერთაშორისო სიმპოზიუმში (იტალია) მმმის-ს თანამშრომლების (ვ-კვალიაშვილი, ნ.შენგელია) მონაწილეობაში.

ს.წედისში და მის შემოგარენში (ატენის ხეობა) ისწავლება ადგილობრივი და სხვა წარმომავლობის უხვმოსავლიანი კაკლები. ქვემოთ მოტანილია ორი ახალი ფორმის: **ბესტავაშვილის ლონდონურის** და **წელისურას** დახასიათება.



### **ბესტავაშვილის ლონდონურა**

შერჩეულია თავისუფალი დამტკიცერვის შედეგად მიღებული ნათესარებიდან. ლონდონში მცხოვრებმა ალექსანდრე ბესტავაშვილმა თავისი სახლის ბაღში 1991 წელს დათესა შერჩეული კაკლის თესლი. ერთწლიანი თესლნერგი იმავე წლის დეკემბერში აკად. ვ-კვალიაშვილმა ჩამოიტანა საქართველოში და დარგო ს.წედისში. **სე** სუსტი ზრდით და კომპაქტური გარჯით გამოირჩევა. მსხმოიარობს ძირითადად კენტრულ და გვერდით სანაყოფების ტოტებზე. ყვავილობის პერიოდი

საშუალოა, ყვავილობს აპრილის ბოლოდან. **ყვავილობის ტიპი** პროტერანდრიულია. მსხმოიარობაში თესლნერგი შევიდა დარგვიდან მეხუთე წლის. 22 წლის ხის სიმაღლე 3,5-4 მეტრია, ვარჯის დიამეტრი 3 მეტრი. სიმწიფის პერიოდი საშუალოა მწყდება სექტემბრის ბოლოდან. დაავადებებისადმი საშუალოდ მგრძნობიარეა.

**ნაყოფები** საშუალო ზომისაა ( $34 \times 32 \times 31$  მმ), მასა 10,5 გრ, მომრგვალო, პატარა წვერით. ნაჭუჭი ჩალისფერია, საშუალო სისქის-1,3 მმ, მტვრევადი, სუსტად დანაოჭებული. ლებნები თეთრია, მთლიანად ავსებს ნაჭუჭის დრუს, გამოდის მთლიანად ან ნახევრებად; გემრიელია, გულის გამოსავლიანობა 45-48%-ია, ცხიმიანობა 66,9%.



### წედისურა

ადგილობრივი ფორმაა, შერჩეულია თავისუფალი დამტვერვის შედეგად მიღებული ნათესარებიდან. დარგულია წედისის საცდელ ნაკვეთში.

**ხე** საშუალო ზრდით და კომპაქტური ვარჯით ხასიათდება. მსხმოიარობს ძირითადად კენტრულ და გვერდით სანაყოფე ტოტებზე. ყვავილობის პერიოდი საშუალოა, ყვავილობს აპრილის ბოლოდან. **ყვავილობის ტიპი** პროტერანდრიულია. სიმწიფის პერიოდი საშუალოა. მწიფდება სექტემბრის ბოლოდან. დაავადებებისადმი საშუალოდ მგრძნობიარეა.

**ნაყოფები** საშ. ზომისაა ( $33 \times 30 \times 31$  მმ), მასა 9,7გ, მომრგვალო, ოდნავ შესამჩნევი პატარა წვერით. სიმრგვალის მაჩვენებელი 0,92-ია. ნაჭუჭი მოყავისფროა, საშუალო სისქის -1,2 მმ, მტვრევადი, სუსტად დანაოჭებული. ლებნები მოყავისფრო, მთლიანად ავსებს ნაჭუჭის დრუს, გამოდის მთლიანად ან ნახევრებად, გემრიელია; გულის გამოსავლიანობა 47-50%-ია, ცხიმიანობა - 64,9%.

კაკლის სხვადასხვა ფორმების ნიშან-თვისებების შეჯერება-შედარების შემდეგ, გამორჩეული პერსპექტიული ფორმები დაიმუნობა და გაშენდება კაკლის ბაზი.

### 2. გაშლი

ქართული ჰიბრიდული ვაშლის ჯიშის „ივერია“-ს თვისებების გასაუმჯობესებლად, მისი მონაწილეობით ჯიშთაშორის შეჯვარებებში მიღებულ თესლნერგებს, წედისის საცდელ ნაკვეთზე უტარდებათ მოვლითი ღონისძიებები. მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მსხმოიარობის დასაჩქარებლად, საჭიროებისდა მიხედვით, მოხდეს მათი დამყნობა მსხმოიარე ვაშლის ხეებზე.

პერსპექტივაში, გათვალისწინებულია „ივერია“-ს ვეგეტატიურ და გენერატიულ ორგანოებზე მუტაგენების ზემოქმედება.

### 3. მუტანტური ქლიავი

2012 წ. ჭანჭურის ხეზე აღმოჩენილი ბუნებრივი კვირტული მუტანტი „ქლიავის“ სტრატიფიცირებული თესლი 2013 წელს დაითვა და მიღებულია თესლნერგები. ჭანჭურის დედა მცენარემ მიმდინარე წელს არ იმსხმოიარა. დაკვირვება გრძელდება.

#### **4. ატაზი**

გრძელდება დაკვირვება მსხმოიარე ჰიბრიდულ ფორმებზე, მიმდინარეობს ახლის გამოვლინება-შერჩევა.

ჰიბრიდული ფონდიდან მსხმოიარობითა და მაღალხარისხოვანი ნაყოფებით უურადღება მიიქცია რამდენიმე ფორმამ, რომელთაგანაც გამოირჩა ბერიკა, გორის ყვითელი, ვახტანგური, ალექსანდრეს იუბილე, ყვითელი №10, ლალება და სხვ.

ქვემოთ მოტანილია პირველი 3 ფორმის მოკლე დახასიათება:



**ბ ე რ ი კ ა**

მიღებულია 2005 წელს წელისური თეთრის და ბერების ატმის შეჯვარებით. ხე საშუალო სიდიდისაა, ოვალური შენების ვარჯით, საკმაო სიხშირის შეფოთვლით. **ფოთოლი** ღია მწვანეა, შემოდგომაზე მოყავისფრო ლაქებით. ყუნწვევა 2 ჯირკვალით. **ყვავილი** ვარდისებრი ტიპისაა. **ნაყოფი** მსხვილია ( $77,0 \times 75,1 \times 74,0$  მმ), მომრგვალო-ოვალური, ასიმეტრიულად განვითარებული გვერდებით და ბოლოზე ნისკარტით. აქვს დიდი ნაყოფების განვითარების უნარი, რაც გამოსაყენებელია შეჯვარებაში. მასა საშუალოდ 180-200 გ აღემატება, ხშირია 250-320 გ. კანი დაფარულია მოკლე ხავერდისებრი ბუსუსით; ძირითადი ფერი ღია მწვანე-მოყვითალოა, მზის მხარეზე ვარდისფერი შეფერვითა და მუქი წითელი ლაქებითაა დაფარული. ლამაზი და მიმზიდველია. იკრიფება სექტემბრის შუა დეკადაში. **რბილობი** ღია მწვანე - თეთრი - მოყვითალოა, საკმაოდ წვნიანი, რბილი ხრტილიანი, ნაკლებად მჟავე, ტკბილი და სასიამოვნო გემოსი; კურკასთან შეუფერავი; სახრავია; სიმწიფეში კანი არ ეცლება.

კურკის მასა 5%-ია. მშრ.ნივთიერება-13,6%, შაქარი-11,5%, ტიტრ./მჟავიანობა-0,54 გ/დმ<sup>3</sup>. ატმის ჯიშების ნარევი მტვრით ჸ/ჯიშის ხილისთავის საკონსერვოს ხელოვნური განაყოფიერებითაა მიღებული 2005 წელს. თესლნერგებიდან უხვი მსხმოიარობით გამოირჩა. ხე საშუალო სიდიდისაა, მომრგვალო შენების ვარჯით, საშუალო შეფოთვლით. **ფოთოლი** ღია მწვანე-მოყვითალოა, იშვიათად ღია ყვითელი-მოყავისფრო ლაქებით. ყუნწვევა 2 თირკმლისებრი ჯირკვალი ზის. **ყვავილი** ზარისებრია.



### გორის ყვითელი

**ნაყოფი** მცირედ მობრტყო-მრგვალია ( $68 \times 75 \times 75$ მმ), საკმაოდ მსხვილი და მკვრივი, მასა საშუალოდ 150-180გ აღემატება, გვხვდება უფრო დიდი (230-250გ) ნაყოფებიც. კანი ყვითელი-ოქროსფერია, დაფარულია მუქი წითელი-ბორდოსფერი მთლიანი ლაქებითა და ზოლებით და ზამშისებრი მოკლე ბუსუსით; ლამაზი და მიმზიდველია. **რბილობი** ყვითელია, კურკასთან მცირე პიგმენტაციით, მკვრივია, ხრტილიანი, ნაკლებად წვნიანი, გემრიელია. შაქრები-10,8%, მჟავიანობა - 0,61 გ/დმ<sup>3</sup>. მწიფდება სექტემბრის მეორე დეკადის ბოლოს; სიმწიფეში კანი არ ეცლება. კურკა ნაყოფის 5,6-6,0%-ია. სახრავია. მაღალხარისხოვან საკონსერვო-სამურაბე ჯიშებს განეკუთვნება. წედისში, ვახტანგ ხუბულურის ბალშია აღმოჩენილი 2007 წ.; კურკის ოესვით გამრავლებული ფორმაა. **ხე** საკმაოდ ძლიერი ზრდისაა, მომრგვალო-გადაშლილი ვარჯით, უხვი შეფოთვლით. **ფოთოლი** მწვანეა, საშ. დანაოჭებული გვერდებით-ყუნწევა 2 თირკმლისებრი ჯირკვალი ზის. **ყვავილი** ზარისებრი ტიპისაა.



### გახტანგური

**ნაყოფი** ოვალური-კვერცხისებრია, საკმაოდ მსხვილი ( $73 \times 66 \times 65$ მმ), მცირედ ასი-მეტრიული გვერდებით, ბოლოზე პატარა ნისკარტით; საშ. მასა 150გ, გვხვდება 180გ მეტი მასის. კანი თხელი ქეზისებრადაა შებუსული. ლია ყვითელია, მთელი ზედაპირი ლია ვარდისფერი ზოლებით და წერტილებით, მზის მხარეზე კი წითელი ლაქებითაა დაფარული. ლამაზია.

**რბილობი** თეთრი-ღია ყვითელია, მკვრივი, რეზინისებრი კონსისტენციის, ადვილად არ იკბიჩება, კურკის ბუდე ვარდისფერია; სახრავია, ნაკლებად წვნიანი. მწიფდება ოქტომბრის მეორე ნახევარში, ხიდისთავის ყვითელ საგვიანოზე გვიან. გემრიელია, შაქრიანობა 9,5%, მუვიანობა 0.63გ/დმ<sup>3</sup>. კურკა ნაყოფის 5%-ია. ბაზარზე კონკურენტუნარიანია. ჩართულია პიბრიდიზაციაში.

**6. 6.1.** 2013 წლის ივნისში, **იტალიაში** (ქ. მატერა), ჩატარდა მებალეთა საერთაშორისო საზოგადოების VIII სიმპოზიუმი ატმის კულტურაზე. ქართველ მეხილე-მეცნიერთა ჯგუფმა წარადგინა მოხსენება: „**ატმის კულტურა საქართველოში, არსებული მდგრმარეობა და სამომავლო პერსპექტივები**“. - Z. Bobokashvili, D. Maghradze, V. Kvaliashvili, I. Mdinaradze, E. Abashidze, 2013. **Peach Industry in Georgia – Present Situation, Challenges, Prospective and Research Approaches.** ISHS Acta Horticulturae. - (მოხსენებაში განხილულია დარგის ისტორია, ნარგაობით დაკავებული ფართობები, მოსავლიანობა, მდგრმარეობა კვლევის მხრივ).

**6.2.** 2013 წლის ნოემბერში **სომხეთში** (ქ. ერევანი) და **საქართველოში** (ქ. თბილისი) მოეწყო მებალეთა საერთაშორისო საზოგადოების სიმპოზიუმი თემაზე: **მეხილეობა აბრეშუმის გზის ქვეყნებში.** სხვა საკითხებთან ერთად, მოსმენილი იქნა ქართველ მეცნიერთა მოხსენება: -„**ვაშლის სელექცია საქართველოში: წარსული, აწყვო და სამომავლო პერსპექტივები**“ - Z. Bobokashvili, D. Maghradze, V. Kvaliashvili, 2013. **The apple breeding of Georgia: Past, present and perspectives.** ISHS Acta Horticulturae. (საკითხი ეხება ადგილობრივი ჯიშების შეგროვება-კოლექციების მოწყობას, შესწავლას, ახალი ჯიშების გამოყვანას, ინტროდუქციას, გამოცდა-გამრავლება-დანერგვას და სამომავლო ამოცანებს). სიმპოზიუმების მასალები დაიბეჭდება.

**6.3.** 2013 წლის 3-4 ოქტომბერს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში გამართულ **საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე** - „**ინოვაციური ტექნოლოგიები აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის**“ მოისმინეს ნ.ჩხარტიშვილის, ვ.კვალიაშვილის, დ.მაღრაძის და ლ.უჯმაჯურიძის მოხსენება: -„**ქართული სელექციური საღვინე ვაზის ახალი ჯიშები**“. სტატიაში მოტანილია ვ.ბესტავაშვილის სელექციის საღვინე ჯიშების მმმი-ში შესწავლის შედეგები; პერსპექტიული ჯიშები იცდება ჯიღაურას ეროვნული სანერგიის კოლექციაში. რეკომენდაცია ეძლევა 6 ჯიშის დანერგვას წარმოებაში.

#### **8. აკად. ვ. კვალიაშვილის მონაწილეობა სსმმ აკადემიის დონისძიებებში:**

8.1. აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ მოწყობილ **მრგვალი მაგიდის მუშაობაში** (2013 წ. ივნისი), სადაც განიხილეს **მდგრმარეობა მეხილეობაში**.

აკად. ვ. კვალიაშვილის მოხსენებაში საზი გაესვა ჩვენივე უნიათობით მივიწყებული და დაკარგვის პირას მისული იშვიათი აბორიგენული ჯიშების მოძიების პროცესის დაჩქარება-გაძლიერების და ზონალური კოლექციების მოწყობის აუცილებლობას, მათი ნიშან-თვისებების შესწავლას და მიზნობრივად გამოყენებას; ჯიშთა გამოცდის აღდგენას და დარგის დაცვას სტიქიურად

შემოტანილი ჯიშებისაგან; კონტროლის დაწესებას სანერგებზე და ჯიშების ინტროდუქციაზე.

8.2. აკადემიის აკადემიური საბჭოს სხდომაზე 2013 წლის 30 აგვისტოს მოსმენილი იქნა აკად. ვ.კვალიაშვილის და აკად. დოქტორის ზ. ბობოქაშვილის მოხსენება:

„**ხეხილის ინტროდუქცია საქართველოში – ისტორია, არსებული მდგომარეობა და პრობლემების გადაწყვეტის მიმართულებები.**“

აღინიშნა, რომ არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში ჯიშთა გამოსაცდელი რეგიონალური კვლევითი ცენტრების შექმნა და წარმოების რეგიონების მიხედვით ხილის ჯიშების სიის დაზუსტება - შედგენა. მოტანილი მასალები ჯილდურას ეროვნულ სანერგებზი გაშენებულ ინტროდუცირებულ ჯიშებზე დაკვირვების შედეგადაა მიღებული.

11. 2013 წ. 26 აპრილს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ ვაჟა კვალიაშვილი აირჩია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად) – სელექცია-მეთესლეობის განხრით.

### **13. აკად. ვ.კვალიაშვილის წინადადებები სოფლის მდგომარეობისა და ქართული მცენარეული ჯიშების დაცვა - გაუმჯობესების შესახებ.**

13.1. სოფელს გულშემატკივარი ჰყავს, პატრონი - ჯერ არა. ბევრია დაუმუშავებელი, უსარგებლოდ დაგდებული მიწა, განსაკუთრებით, ყოფილი სახნავი ფერდობები, რომლებიც გაჯაგებულია და საძოვრებადაც არ იყენებენ. მელიორაციის სისტემის მოშლა-გაძარცვის გამო ყოფილი სარწყავი მიწები ურწყავი და დაბალმოსავლიანი გახდა. დაუსაქმებელი ახალგაზრდობა გასულია გარე სამუშაოზე; შინ დარჩენილი მოხუცები ვერ ასდიან ბაღ-ვენახებში და მინდვრად მუშაობას, პირუტყვის მოვლა-მწყემსვას და იძულებული არიან დაკმაყოფილდნენ მოწეული მცირე მოსავლით; ჭარბის ბაზარზე წაღება და რეალიზება ხომ დროს დაკარგვა და ზედმეტი ხარჯია.

-საჭიროა ადგილებზე პროდუქტების დამზადების და სოფლის ორგანიზაციული მოწყობის – კოოპერაციის დაჩქარება.

13.2. ქართული ხილი ყოველთვის გამოირჩეოდა საუკეთესო გემო-სურნელებით და ამ მხრივ ბევრად აღემატებოდა უცხოურ ჯიშებს. დღეს ინტროდუქციით გატაცებამ ჩვენებურის ეს დიდი დირსება არ უნდა შელახოს და არც უნდა დაგვავიწყოს.

იგივე ითქმის პურეული, ბოსტნეული, ბაღჩეული და სხვა კულტურების ჯიშების მიმართ. მათი მეთესლეობა მოისპო, აღარ ვაწარმოებთ და გარედან მდარე ხარისხის უცხო ჯიშების თესლი და ნაყოფი შემოგვაქს, რაც დანაშაულია.


- ინტროდუქცია სელექციის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და აუცილებელია მის პარალელურად ჩატარდეს მუშაობა ჯიშთაშორის პიბრიდიზაციაში ქართული და უცხოური მაღალხარისხოვანი ჯიშების მონაწილეობით, რაც სასურველ ნაყოფს მოგცემს; დღეს ეს ფაქტობრივად კი გამნელდება კვლევითი ბაზის განადგურებისა და სათანადო კადრების ნაკლებობის გამო, მაგრამ ხვალ მეტად საჭირო გახდება.

## ამიტომ, აუცილებელია:

საქართველოს ს/ზ სამინისტრომ და ს/ზ მეცნიერებათა აკადემიამ ერთად შეიმუშაონ და აკადემიის სისტემაში აღადგინონ სათანადო კადრით, ფინანსებით და ტექნიკით უზრუნველყოფილი კვლევითი ცენტრები, მოქმედების ეროვნული პროგრამით - ქართული მცენარეული ჯიშების დაცვის და სელექციურად გაუმჯობესების მიზნით. სხვაგარად წარმოუდგენელია ცოცხალი ეროვნული განძის ხვალინდელი დღე. საქართველოს I პრეზიდენტის ზ. გამსახურდიას ერთ-ერთი პირველი ბრძანება ეხებაქართული მცენარეული ჯიშების დაღუპვისგან გადარჩენა-დაცვას. იგი ნაწილობრივ შესრულდა მხოლოდ; მას შემდეგ კი არათუ ჯიშები, სოფელი განადგურდა.

დღეს სოფლის მეურნეობა პრიორიტეტულ დარგადაა გამოცხადებული, ამიტომ დროის მოთხოვნას ქვეყნის ეროვნული ხელმძღვანელობა უთუოდ მხარს დაუჭერს. 13.3. აკადემიური საბჭოს და დარგობრივი განყოფილებების ერთობლივმა სხდომამ (მრგვალი მაგიდა) განიხილოს საკითხი: **სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა პულტურების და ცხოველთა ქართული ჯიშების მდგრამარეობა: დაცვა, წარმოება, გამრავლება-სელექცია.**

### 7.1.6. აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი



2013 წელს ჩატარებულია სამეცნიერო-კვლევითი და საზოგადოებრივი საქმიანობა:

1. გამოქვეყნებულია სამეცნიერო შრომა:

„საკვები ელემენტების ბალანსი საქართველოს მიწათმოქმედებაში და მისი რეგულირების რეკომენდაციები“; საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის – „ინოვაციური ტექნოლოგიები აგრარული სექტორის მდგრადი და უსფრთხო განვითარებისათვის“ – მასალები; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, 2013 წ; გვ.155-157;

შრომაში აღნიშნულია, რომ მცენარისათვის აუცილებელი სამივე ძირითადი საკვები ელემენტის – აზოტის, ფოსფორის და კალიუმის საერთო ბალანსი საქართველოს მიწათმოქმედებაში ბოლო 20 წლის განმავლობაში უარყოფითია. მოსავლით გამოტანილი საკვები ნივთიერებების 64% გამოიყენება ნიადაგის მარაგების ხარჯზე, რაც ნიადაგის გადარიბებას და გამოფიტვას იწვევს. მითითებულია, რომ საკვები ელემენტების ბალანსის გასაუმჯობესებლად აუცილებელია ბალანსური გაანგარიშებების საფუძველზე გადიდებეს სოფლის მეურნეობისადმი მინერალური და ორგანული სასუქების ყოველწლიური მიწოდება.

2. მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის – „ინოვაციური ტექნოლოგიები აგრარული სექტორის მდგრადი და უსფრთხო განვითარებისათვის“ მუშაობაში, 3-4-ქტომბერი,

2013 წ. თბილისი. იყო დარგობრივი აგრონომიული სექციის თავმჯდომარე მოხსენების თემა: „ საკვები ელემენტების ბალანსი საქართველოს მიწათმოქმედებაში და მისი რეგულირების რეკომენდაციები”.

3. არის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიული საკორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი.

– ჩატარებულია განყოფილების 9 სხდომა.

– განყოფილების სხდომებზე სოფლის მეურნეობის სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე მოსმენილი იყო განყოფილების აკადემიკოსების და წევრ-კორესპონდენტების 16 მოხსენება. განხილული და დამტკიცებული იქნა ასევე აკადემიური საბჭოს სხდომაზე გასატანი საკითხები და „მრგვალი მაგიდის” და სემინარების ჩატარების თემატიკა და კალენდარული გეგმა.

4. არის აკადემიური საბჭოს წევრი და მონაწილეობს მის საქმიანობაში. საბჭოს სხდომაზე გაკეთებულია ორი მოხსენება: 4.1. „საქართველოს ნიადაგების არსებული მდგრადრეობა და მისი ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების ღონისძიებები”, რომელიც გამოქვეყნდა „აკადემიის მაცნე”-ში, № 1, 2013 წ. მოხსენებაში საუბარია ჩვენს ქვეყანაში დაბალნაყოფიერი ნიადაგების ფართოდ გავრცელების შესახებ, რომელთა გაკეთილშობილება სპეციფიკური არაორდინალური ღონისძიებების გატარებას საჭიროებს.

4.2. მოხსენება აგრონომიული საკორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილების მიერ 2012 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ.

5. არის სსმმ მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მოამბე”-ს რედკოლეგიის წევრი და აქტიურად მონაწილეობს მის მუშაობაში.

6. არის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოსთან არსებული ეროვნული კოორდინატორი აგროქიმია-ნიადაგმცოდნების დარგში.

ჩამოყალიბებული სტრატეგია საქართველოს მიწის ფონდის – როგორც ქვეყნის სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფის საფუძვლის – შენარჩუნების შესახებ. სტრატეგიაში განხილულია ქვეყნის ნიადაგური საფარის ნაყოფიერების შენარჩუნება-გაუმჯობესებასთან დაკავშირებით არსებული პრობლემები და მოცემულია რეკომენდაციები არსებული პრობლემების გადასაჭრელად.

აღნიშნული სტრატეგია – საქართველოს მიწის ფონდის შენარჩუნების შესახებ – გადაეცა აკადემიკოს ნოდარ ჭითანავას, რომელიც ამუშავებს საქართველოს აგრარული მეურნეობის განვითარების ახალ სტრატეგიას.

7. არის საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში არსებული ნიადაგის დაცვის კომისიის წევრი. მონაწილეობს სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის – „საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნიადაგური საფარის ინვენტარიზაცია და არსებული მონაცემების განზოგადება/სისტემატიზაცია/შევსება სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მათი რაციონალურად გამოყენების და ეფექტურად დაცვის მიზნით” – პროექტის შედგენაში.

8. ეროვნული კოორდინატორის ერთ – ერთ უპირველეს მოვალეობად მიაჩნია იღვაწოს საქართველოში აგრარული მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის.

როგორც ცნობილია საქართველოში 1946 წლიდან ფუნქციონირებდა მ.საბაშვილის სახელობის ნიადაგთმცოდნეობის, აგროქიმიის და მელიორაციის სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც ყოველთვის იდგა სოფლის მეურნეობის სამსახურში. მის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები დანერგილი იყო სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ასი ათასობით პექტარ ფართობზე და მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გასული საუკუნის 50-80-იან წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში. 2011 წელს აგრარულ უნივერსიტეტთან შეერთებით ფაქტიურად გააუქმეს აღნიშნული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. აგრარული უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ გაანთავისუფლა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა მთელი კონტიგენტი.

ამასთან დაკავშირებით, ინსტიტუტის ყოფილ თანამშრომლებთან ერთად 2013 წლის 3 იანვარს წერილით მივმართეთ საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარეს - აკადემიკოს ი. კილურაძეს. წერილში დასაბუთებული იყო ის ფაქტი, რომ ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნება - ამაღლებასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა კრიტიკულ დონეს მიაღწია, რაც საფრთხეს უქმნის საქართველოში სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას. სწორედ ახლა, როცა ასეთი უმძიმესი მდგომარეობაა ამ სფეროში, ვთხოვდით კომიტეტის თავმჯდომარეს დაეყენებინა მ. საბაშვილის სახ. ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიის და მელიორაციის ს/კ ინსტიტუტის ა.ი.პ. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტიდან გამოყოფის და საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით ან აგრარული სამეცნიერო ცენტრის ორგანიზების შემთხვევაში მის შემადგენლობაში დეპარტამენტის სახით აღდგენის შესახებ (წერილს ხელს აწერს ინსტიტუტის 25 თანამშრომელი). ანალოგიური წერილი გაიგზავნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის სახელზეც. ახალი ხელისუფლების მიერ გაცხადებული პოლიტიკური ნება - სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების აღდგენის შესახებ ქართულ სამეცნიერო საზოგადოებას დიდ იმედს აძლევს -აღდგენის სამართლიანობა, ხოლო, მეცნიერებამ თავისი დირსეული ადგილი დაიმკვიდროს ჩვენი საზოგადოების განვითარებაში.

9. მონაწილეობა მიიღო მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის - გია დვალის, გ.ბერეჟიანის, ზ.კოკაიას და დ.ლორთქიფანიძის მიერ შემუშავებული „უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების რეფორმის კონცეფცია“-სთან დაკავშირებით მოსაზრებებისა და წინადაღებების შემმუშავებელი კომისიის მუშაობაში.

ძირითადად მხარდაჭერა გამოითქვა აღნიშნული კონცეფციის იმ ნაწილს, რომლის მიზანია მეცნიერული კვლევის ახლებური მოწყობა და მისი ახალ სისტემაზე გადასვლის პრინციპების შემუშავება. ამასთან ერთად, აღნიშნული დოკუმენტის ზოგიერთ კონცეპტუალურ დებულებასთან დაკავშირებით წარდგენილია წინადაღებები, რომლებმაც ასახვა პპოვა აღნიშნულ კონცეფციასთან დაკავშირებით კომისიის წევრების მოსაზრებებისა და წინადაღებების გათვალისწინებით აკადემიის საბოლოო ვარიანტის შემუშავებაში.

## **მოსაზრებები ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებისა და აღმაფლობის მიმართულებით.**

სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება უპირველესად ნიადაგზე და მის ნაყოფიერებაზეა დამოკიდებული.

ქვეყნის მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულის 80%-ზე მეტი დარიბია საკვები ელემენტებით, რაც სასოფლო-სამეურნეო კულტურათა დაბალ და უხარისხო მოსავლიანობას განაპირობებს. განსაკუთრებით დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ ქვეყნის ყველა რეგიონში შეინიშნება ნიადაგის ნაყოფიერების უმთავრესი მაჩვენებლის- პუმუსის მწვავე დეფიციტი და მისი ბალანსი უარყოფითია. ნიადაგის დაცვისა და ნაყოფიერების შენარჩუნება ამაღლებასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა უკვე კრიტიკულ დონეს მიაღწია, რაც საფრთხეს უქმნის საქართველოში სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას.

### **რა უნდა გაკეთდეს ?**

საქართველოში, სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში ახალი მიწების ჩართვის შესაძლებლობა საკმაოდ შეზღუდულია; ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაზრდის ერთადერთ გზად არსებული სავარგულების ნაყოფიერების ამაღლება და რაციონალური გამოყენება ითვლება. ამიტომ, მიწაზე საკუთრების ფორმის მიუხედავად სახელმწიფომ, პირველ რიგში, არსებული მიწის ფონდის შენარჩუნებაზე უნდა იზრუნოს. უფრო მეტიც, ნიადაგის დაცვისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების პროგრამის განხორციელება მთავრობის მიერ უნდა განიხილებოდეს არა მარტო როგორც მიწის ფონდის შენარჩუნების კამპანია, არამედ, როგორც ქვეყნის სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფა და იგი ქვეყნის უპირველესი სტრატეგიული მიზანი უნდა იყოს.

### **პირველ რიგში აუცილებელია შემუშავებულ იქნეს:**

საქართველოს მიწის ფონდის შენარჩუნების გრძელვადიანი სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა.

### **იგი თავის მხრივ მოიცავს 5 ძირითად მიმართულებას:**

1. ნიადაგების ეროზიისაგან დაცვას;
2. დამლაშებული ნიადაგების მელიორაციას და მათი ნაყოფიერების ამაღლებას.
3. კოლხეთის ჭარბტენიანი მელიორირებული ნიადაგების გაკულტურებას და სასოფლო-სამეურნეო ათვისებას.
4. გაუდაბნოებასთან ბრძოლას.
5. წიაღისეულის ღია წესით მოპოვების შედეგად წყობიდან გამოსული მიწების რეალულტივაციას და სხვა;

ნიადაგის დაცვისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების დონისძიებების გატარება ეფექტური იქნება მსხვილ სპეციალიზებულ მეურნეობებში (იქნება ეს „ფერმერთა ჯგუფები თუ გაერთიანებები”, „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები და გაერთიანებები” თუ სხვა) მიწის რესურსების კონსოლიდირების პირობებში.

-- აღნიშნული სახელმწიფო პროგრამის მომზადებისა და შემდეგ მისი პრაქტიკული განხორციელებისათვის პირველ რიგში აუცილებელია ნიადაგების პასპორტიზაციის (ინვენტარიზაციის) ჩატარება;

- აუცილებელია ადგგენილ იქნეს ადრე არსებული „აგროქიმიური და ნიადაგის ნაყოფიერების სამსახური“ თავისი ლაბორატორიული ქსელით; თანამედროვე აპარატურა-მოწყობილობით აღჭურვილი ორი ცენტრალური სამეცნიერო-საწარმოო ლაბორატორია: ერთი – თბილისში, რომელიც მოემსახურება აღმოსავლეთ საქართველოს და მეორე – ოზურგეთში (ანასეულში), რომელიც მოემსახურება დასავლეთ საქართველოს (დღემდე შენარჩუნებულია ორივე ლაბორატორია მწირი, მოძველებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, მაღალკვალიფიციური კადრებით, მაგრამ, უსახსრობის გამო პრაქტიკულად ვერ საქმიანობენ).

(აღნიშნული ლაბორატორიები ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე პერიოდულად ჩატარებენ ნიადაგის ნაყოფიერების მონიტორინგს და ყოველი კონკრეტული სავარგულისთვის შეადგენენ რეკომენდაციებს მისი ნაყოფიერების შენარჩუნება-ამაღლებისთვის. ნიადაგისა და მცენარის ანალიზის საფუძველზე მოხდება შესატანი სასუქების ოპტიმალური დოზების განსაზღვრა. დადგინდება სასუქების საჭირო ფორმები და რაოდენობა, მოხდება ქვეყანაში მათი შემოტანის და გამოყენების ორგანიზება.)

- ერთ-ერთი პრიორიტეტული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ნიადაგის აგროეკოლოგიურ მონიტორინგს და ბიოლოგიური მიწათმოქმედების განხორციელებას საქართველოში, რომელიც უზრუნველყოფს ეკოლოგიურად საიმედო პროდუქციის წარმოებას და გარემოს დაცვას. სათანადო აგროწესების დაცვის პირობებში ჩვენში მოყვანილი პროდუქციის ხარისხი და გემური თვისებები კონკურენციას გაუწევს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანას.

- დაბალნაყოფიერი ნიადაგების გაკეთილშობილება და სწორი გამოყენება საქართველოს სოფლის მეურნეობის და საერთოდ ეკონომიკის დინამიკური განვითარების მთავარი რეზერვია. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩინა, ამ ეტაპზე, ნიადაგის დაცვისა და ნაყოფიერების ამაღლებასთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯები სახელმწიფო თავის თავზე აიღოს (სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში). დარწმუნებული ვართ, თითოეული დახარჯული ლარი უმოკლეს დროში მოგებით დაუბრუნდება ქვეყნის ბიუჯეტს.

- ნიადაგის დაცვისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების პრობლემის გადაწყვეტა მისი მეცნიერული უზრუნველყოფის გარეშე შეუძლებელია. აქვე გვინდა მოვიშველიო ინგლისის სოფლის მეურნეობის კვლევის საბჭოს ყოფილი მდივნის უილიამ სლეიიტერის გამონათქვამი: „სოფლის მეურნეობა მეცნიერებაზე დამყარებული ინდუსტრიაა“. მეცნიერულ უზრუნველყოფას და ზედამხედველობას განახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია და აგრარული პროფილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები.

- ნიადაგის დაცვა და მისი ნაყოფიერების ამაღლება არ არის მარტივი საქმე. იგი მაღალკვალიფიციურ აგროპერსონალს საჭიროებს. აუცილებელია ქვეყანას ყავდეს ნიადაგმცოდნები და აგროქიმიკოსები, რომლებიც ამ საშვილიშვილო საქმეს

მოემსახურებიან. აუცილებლად მიგვაჩნია აგრარულ უნივერსიტეტში გაუქმებული ნიადაგმცოდნეობისა და აგროქიმიის სპეციალობის ადდგენა.

— საქართველოში ყველა რაიონს უნდა ჰყავდეს 2-3 აგროქიმიკოსი მაინც, რომლებიც უხელმძღვანელებენ ცენტრალური სამეცნიერო-საწარმოო ლაბორატორიების მიერ გადაცემული რეკომენდაციების პრაქტიკულ განხორციელებას ყოველ კონკრეტულ ნაბეჭოზე.

— საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით, შესაბამის ინსტიტუტებთან და ორგანიზაციებთან ერთად საჭიროა შეიმუშაოს „ადგილობრივი აგრომადნების და ორგანული სასუქების ადგილობრივი რესურსების მოპოვების, გადამუშავების და სოფლის მეურნეობაში გამოყენების” პროგრამა.

— ორგანული სასუქების წარმოებისათვის ერთ-ერთი დიდი რესურსი საქართველოში გავრცელებული ტორფებია. აუცილებელია ტორფის ზოგიერთ საბადოზე წარმოების რეაბილიტაცია. უნდა განისაზღვროს შავი ზღვის აუზში ტორფის ის საბადოები, საიდანაც შეიძლება ტორფის ამოღება ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების და სხვა აუცილებელ მოთხოვნათა გათვალისწინებით. ტორფის გარკვეულ უბნებზე ტორფის ამოღების დაშვება სოფლის მეურნეობაში მინერალური სასუქების გამოყენების შემცირების და ბიოლოგიური მიწათმოქმედების განვითარების დიდი გარანტია იქნება.

— მიზანშეწონილად მიგვაჩნია მიღებულ იქნეს კანონი — „საქართველოს მიწის ფონდის შენარჩუნების შესახებ”.

### 7.1.7. აკადემიკოსი პეტრე ნასყიდაშვილი

#### გამოქვეყნებული თეზისები და სტატიები:

1. “საქართველოს ხორბლის ენდემური სახეობების და რბილი ხორბლის ჯიშების შეჯვარებით მიღებული მეორე თაობის პიბრიდებში ნიშან-თვისებათა მემკვიდრეობა”; (თანაავტორობით, ინგლისურ ენაზე). საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, გ. 7, №1, თბილისი, გვ.93-99.

ნაჩვენებია, ხორბლის ქართული ენდემური სახეობების და ჯიშების რეციპროკული შეჯვარებით მიღებულ სახეობათა შორის პიბრიდების მეორე თაობაში ადგილი აქვს ფართე ფორმათა წარმოქმნის პროცესს.

გამოთიშულ ფორმებშია: საწყისი მშობლიური ფორმების ტიპის მცენარეები, შუალედური ფორმები, სტერილური მცენარეები და ისეთი ტიპის მცენარეები, რომელთა სახეობრივი კუთვნილების დადგენა შეუძლებელია.

2. “ქართლურ ხორბალ დიკას (T. carthlicum Nevski) როლი Triticum-ის ევოლუციაში და მსოფლიო სელექციაში”, (თანაავტორობით). საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის მასალები, 3-4 ოქტომბერი, თბილისი, გვ.177-178.

ნაჩვენებია, რომ საქართველოს ხორბლის ენდემურმა სახეობა დიკამ (T. carthlicum) დიდი როლი შეასრულა ხორბლის გვარის ევოლუციაში და მსოფლიო სელექციაში. გაირკვა, რომ საქართველოს ხორბლის ენდემურ სახეობებთან შედარებით, ხორბალი დიკა კოსმოპოლიტური სახეობაა და შეიჭრა სხვა ქვეყნებშიც.

3. “ქართლურ ხორბალ დიკას (T. carthlicum Nevski) შეჯვარებადობისა და პირველი თაობის პიბრიდების შესწავლის შედეგები”, (თანაავტორობით). საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის მასალები, 3-4 ოქტომბერი, თბილისი, გვ. 180-182.

დადგენილი იქნა, რომ ქართლური ხორბალი დიკა, ხორბლის გვარის სხვა სახეობებთან შეჯვარება არ საჭიროებს სხვა დამატებითი ღონისძიებების ჩატარებას.

4. “ქართლურ ხორბალ დიკას (T. carthlicum) საფუძველზე მიღებულ სახეობათაშორის პიბრდებში დათიშვის შესწავლის შედეგები”, (თანაავტორობით). სსმ აკადემიის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები, 3-4 ოქტომბერი, თბილისი, გვ. 182-183.

ნაჩვენები იქნა, რომ ქართლურ ხორბალ დიკას, ხორბლის სხვა სახეობებთან შეჯვარებით მიღებული პიბრიდების დათიშვა წარიმართება ისეთივე კანონზომიერებებით, რასაც ადგილი აქვს სხვა სახეობების შეჯვარებისას.

5. პროგრამა “მარცვალი” (თანაავტორობით). საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, სარეკლამო-საინფორმაციო ბიულეტენი, №2 (49), ივნისი, 2013, გვ. 11-12.

ნაჩვენებია, საქართველოში მარცვლეული კულტურების წარმოების გადიდების აუცილებლობა და დასახულია ამ პრობლემის გადაწყვეტის გზები.

6. “მეტი კურადღება საქართველოს ხორბლის ენდემური სახეობების და აბორიგენული ჯიშების შენარჩუნებას”, (თანაავტორობით). საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, №32, თბილისი, 2013, გვ. 145-148.

ნაჩვენებია, საქართველოს ხორბლის ენდემური სახეობების და აბორიგენული ჯიშების მეცნიერეული და პრაქტიკული დირსება და ამავე დროს გამოთქმულია სინანული იმის თაობაზე, რომ ქართული ხორბლის ამ ძირფას გენეტიკურ ფონდს გადაშენების საშიშროება ელის.

7. “საქართველოს რბილი ხორბლის აბორიგენული და სელექციური ჯიშების მაგარ ხორბალთან შეჯვარებით მიღებულ მეორე და შემდგომ თაობებში ფორმათა წარმოქმნის პროცესი და საინტერესო მცენარეთა გამორჩევა”, (თანაავტორობით). საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, №32, თბილისი, 2013, გვ. 174-181.

დადგენილი იქნა, რომ რბილი ხორბლის და მაგარი ხორბლის შეჯვარებით მიღებულ მეორე და მესამე თაობაში მიმდინარეობს ახალ ფორმათა წარმოქმნის ფართე პროცესი, ხოლო მეოთხე და შემდგომ თაობებში ახალ ფორმათა წარმოქმნა წყდება.

8. “ძირითადი მარცვლეული პარკოსანი კულტურები”, (თანაავტორობით). წიგნში – საქართველოს მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიის საპატიოარქოს

სოფლის მეურნეობის ცენტრი. საქართველო ჩვენი ფასეულობები, სოფლის მეურნეობა, გამომცემლობა “ივერიონი”, გვ.123-137.

ნაჩვენებია, საქართველოს ხორბლის და სიმინდის სახეობრივი, სახესხვაობრივი და ჯიშობრივი შედგენილობა, შესაბამისი ფოტოსურათების ჩვენებით.

9. “ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურები და მეკარტოფილეობა”, (თანავგტორობით). წიგნში საქართველოს მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიის საპატიარქოს სოფლის მეურნეობის ცენტრი. საქართველო ჩვენი ფასეულობები, სოფლის მეურნეობა, გამომცემლობა “ივერიონი”, გვ.138-146.

ნაჩვენებია საქართველოს ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურები და მეკარტოფილეობა, შესაბამისი ფოტოსურათების ჩვენებით.

10. “საქართველოს ხორბალი”. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო-პრაქტულარული ჟურნალი “მეცნიერება და კულტურა”, №2, გვ.110-135.

ნაჩვენებია, ქართული ხორბლის სახეობრივი, სახესხვაობრივი და ჯიშური შედგენილობა, მათი მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება. თითოეული სახეობა და ამ სახეობაში შემავალი ჯიშები წარმოდგენილია ფერადი ფოტოსურათებით.

### **გამოქვეყნებული მონოგრაფიები.**

11. “საქართველოს ხორბალი და სელექციური მუშაობა მასზე”, (თანავგტორობით). საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი “საზოგადოება ცოდნა”, თბილისი, 750 გვ.

ნაჩვენებია, რომ საქართველო მსოფლიოს სხვა ქვეყნებს შორის გამოირჩევა ხორბლის ენდემიზმის მაღალი დონით, ამავე დროს დასაბუთებულია, რომ საქართველო წარმოადგენს იმუნური და მაღალხარისხეოვან ხორბლის სამშობლოს, მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ხორბლის გვარის ევოლუციაში და ხორბლის მსოფლიო სელექციაში. მონოგრაფიაში სრულად არის წარმოდგენილი კვლევის შედეგების ფერადი ფოტო მასალა, რომლებიც პირველად ქვეყნდება.

### **სიმპოზიუმებში და კონფერენციებში მონაწილეობა.**

2013 წელს მონაწილეობა მიიღო საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ და აგრეთვე ქ. გორგა ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციებში.

### **სხვა მნიშვნელოვანი სახის სამუშაოები:**

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დავალებით მთელი წლის მანძილზე აკად. პ. ნასყიდაშვილი მონაწილეობდა ხორბლის ნათესების მონიტორინგში.

სიღნადის რაიონში, მისი ინიციატივით და უშუალო მონაწილეობის შედეგად, მოეწყო ხორბლის 12 ჯიშის საკონკურსო ჯიშთაგამოცდა, რაც საფუძვლად დაედო, შესაბამისი პროექტის წარდგენით ხორბლის საკონკურსო სახელმწიფო ჯიშთაგამოცდის სამსახურის აღდგენას და ხორბლის მომუკან 6 რაიონში ხორბლის და ჯიშთაგამოცდის სამსახურის აღდგენას.

## 7.1.8. აკადემიკოსი ჯუმბერ ონიანი



1. 2013 წელს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბის“ 32 ნომერში გამოქვეყნდა ოთხი შრომა:

1.1. ნაშრომში „ალაზნის ველის ძლიერ დამლაშებული ნიადაგების ათვისების გავლენა: მექანიკურ, მიკროაგრეგატულ, სტრუქტურულ და მაკროაგრეგატების შედგენილობაზე“, მოცემულია:

1.1.1. 1200-1500 მ<sup>3</sup> ალაზნის წყლით 4-ჯერ ჩარეცხვის შედეგად Na-ის ადგილს კალციუმი იკავებს, ე.ი. ბიცობიანების გასანეიტრალებლად საუკეთესო ღონისძიებაა;

1.1.2. ძლიერ დამლაშებული ნიადაგების ვენახებისათვის ათვისების შედეგად მიკრო აგრეგატების წყალგამძლეობა 0-60 სმ ფენაში 12,8%-ით იზრდება, რაც პა-ზე 997 ტონას შეადგენს;

1.1.3. ვენახის ნიადაგის 0-60 სმ ფენაში დისპერსიულობის კოეფიციენტი 28,6%-ით მცირდება, ყამირი ნიადაგის იმავე ფენასთან შედარებით, ე.ი. ვენახის ნიადაგი 2216 ტ/ჰა აგრონომიულად სრულფასოვანი სტრუქტურის წარმოქმნის საშუალებას იძლევა;

1.1.4. ვენახის ნიადაგის წყალგამძლე მიკროაგრეგატების შემცველობა 0-60 სმ ფენაში 44%, ე.ი. 3410 ტ/ჰა იზრდება, ყამირი ნიადაგის იმავე ფენასთან შედარებით;

1.1.5. ძლიერ დამლაშებული ნიადაგების 12000-15000 მ<sup>3</sup> ალაზნის წყლით, ღრმა პორიზონტალური დრენაჟით გამორეცხვას და მაკროაგრეგატების სიმტკიცის ზრდა, ქმნის ისეთ პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან მაღალი და მყარი მოსავლის მიღებას.

1.2. „ანთროპოგენური ფაქტორების გავლენა ძლიერ დამლაშებული ნიადაგებიდან მარილების გამორეცხვაზე“, შრომაში მოცემულია: ალაზნის ველის ძლიერ დამლაშებული ნიადაგების 1200-1500 მ<sup>3</sup> ალაზნის წყლით ოთხჯერ გამორეცხვა, ტარდება ღრმა პორიზონტალური დრენაჟის მეშვეობით, მაშინ, როდესაც მათი დანაპრალება მაქსიმუმს აღწევს. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების შედეგად ვენახის ნიადაგის 0-60 ფენიდან გამორეცხილი მარილების შემცველობა 3,325-დან 0,265%-მდე მცირდება, რაც სასოფლო-სამეურნეო კულტურათა წარმოებას პერსპექტიულს ხდის. აღნიშნული მელიორაციული ღონისძიებათა განხორციელების შედეგად სახნავ-სათეს ფართობებს ათეულობით ათას ჰექტარს შევმატებთ, რაც ესოდენ საჭიროა ჩვენი ქვეყნის სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის.

1.3. „ყავისფერი კარბონატული ყამირი ნიადაგების პირველადი დამუშავების სიღრმისა და ვენახებისათვის გამოყენების გავლენა წყლიერ თვისებებზე“, შრომაში მოცემულია:

1.3.1. ყავისფერი კარბონატული ყამირი ნიადაგის პირველადი დამუშავების შესაბამისად მცირდება ნიადაგის 60 სმ ფენის მოცულობითი წონები, რომლებიც რიგში მცენარეთა შორის ებზი ყოველთვის ოპტიმალურ 1,0-1,15 ფარგლებშია;

1.3.2. მოცულობითი წონების შესაბამისად, ვარიანტების მიხედვით იცვლება აბსოლუტურად მშრალი ნიადაგის წონები, საველ ზღვრული ტენტევადობა, პროდუქტიული და აქტიური ტენის შემცველობები;

1.3.3. ლაბორატორიულ პირობებში ჭრის საშუალო შემცველობა 18, ხოლო ნიადაგის კაპილარებში წყლის კაგშირის წყვეტის ტენი, კი 24% შეადგენს, მინიატურებში, ლიზომეტრებში და ვენახების ნიადაგებში წყლის შემცველობა ჭრის ტენამდე ვერ მცირდება;

1.3.4. ნავენახარი და ყამირი ნიადაგების მოცულობითი წონების ზრდასთან ერთად იცვლება ვაზის ნამყენი ნერგის ზრდის სიძლიერე, იგი მაქსიმუმს აღწევს 1,0-1,15 გ/სმ<sup>3</sup> პირობებში, ხოლო მისი 1,5 გ/სმ<sup>3</sup> გაზრდა აჩერებს ნამყენი ნერგის ზრდას და მინიმუმამდე ამცირებს პაერით დაკავებული ფორების მოცულობას, მაქსიმალურად ზრდის კაპილარულ ტენტევადობას და მცენარეთა ჭრის შემცველობას;

1.3.5. ყველა ჩამოთვლილი თვისებათა მიხედვით უპირატესობა ეძლევა 60 სმ სიღრმეზე დამუშავებულ ვარიანტს.

1.4. “ანთოროპოგენური ფაქტორების გავლენა ყავისფერი კარბონატული ნიადაგის მექანიკურ და მიკროაგრეგატულ, სტრუქტურულ და მაკროაგრეგატულ შედგენილობაზე”. შრომაში მოცემულია:

1.4.1. ყავისფერი კარბონატული ნიადაგი ძირითადად შეიცავს მეორე ჯგუფის მექანიკურ ელემენტებს, რაც ნიადაგის ქიმიური და ფიზიკო-ქიმიური მონაცემებით დასტურდება;

1.4.2. ნიადაგის ნიმუშების 0,05 ნორმალობის მარილმჟავას ხსნარით ჩარეცხვის შედეგად დანაკარგი იზრდება შთანთქმული კალციუმის ზრდასთან ერთად;

1.4.3. ყავისფერ კარბონატულ ნიადაგებში სილის შემცველობა ძალზე მცირეა, რაც ამ ნიადაგებში ძნელად ხსნადი მარილების – კვარციტების, მინდვრის შპატების, ქარსებისა და სხვათა მცირე შემცველობაზე მიგვითოთებს;

1.4.4. მექანიკური ელემენტების ფრაქციათა დიამეტრების შემცირების მიხედვით ჯერადობით იზრდება მათში ჰუმუსისა და საკვები ელემენტების შემცველობა;

1.4.5. ლუქსის ფრაქციის შემცველობა ვენახის ნიადაგში 3-5% აღემატება, შესადარებელ ყამირ ნიადაგს;

1.4.6. მექანიკური, მიკროაგრეგატული და მაკროაგრეგატული ფრაქციათა შეთანაწყობა უკეთესია რიგებში მცენარეთა შორისებზი, რიგთაშორისებთან შედარებით;

1.4.7. ყავისფერი კარბონატული ნიადაგების პირველადი დამუშავების სიღრმისა და ვენახებისათვის 46 წლის გამოყენების შედეგად შეიმჩნევა მიკროაგრეგატების სიმტკიცის შემცირება და დისპერსიულობის კოეფიციენტის ზრდა;

1.4.8. ყავისფერი კარბონატული ნიადაგის 0-75 სმ ფენაში მიკროაგრეგატების სიმტკიცე 85,6, ხოლო ვენახის ვარიანტების იმავე ფენებში შესაბამისად 74,9; 79,3 და 78,5% შეადგენს, ე.ი. ვენახის ვარიანტებში სტრუქტურის სიმტკიცე 10,7; 0,3 და 7,1% მცირდება, რაც დეგრადირების მაჩვენებელია.

1.5. “ნაბაღარი და ნავენახარი ნიადაგების ნაყოფიერების დონისძიებების შესახებ”. დაბეჭდილია აკადემიის მაცნეში 2013 წ. №2. შრომაში მოცემულია: ნაბაღარი და ნავენახარი ნიადაგების ნაყოფიერების შესაბარებელი ყამირი ნიადაგის დონემდე აღდგენისათვის საჭიროა: ნაბაღარი და ნავენახარი ნიადაგების გაწმენდა, ნიადაგის ზედაპირის მოსწორება, ოპტიმალურ სიღრმეზე დაპლანტაჟირება, დაპლანტაჟებამდე PK - 10-12 წილის დოზის ერთჯერადად, ხოლო N-ის პლანტაჟის დაჯდომის შემდეგ ერთი წლის დოზის შეტანა, ლურჯი იონჯისა და მრავალი სათიბი კოინდარის ერთობლივი თესვა, ოთხი წლის განმავლობაში დაკორდება, თიბგა და ნათიბის მსხვილფეხა რქოსანი საქონლის საკვებად გამოყენება და მისგან მიღებული ნაკელის მეოთხე წლის შემოდგომაზე კორდის დაპლანტაჟების წინ მთელ ფართობზე შეტანა, რაც ნაბაღარი და ნავენახარი ნიადაგების ნაყოფიერებას აღადგენს, საწყისი ნიადაგის დონემდე. ნაყოფიერება აღდგენილ ნიადაგებზე გაშენებული ვენახების მოსავლიანობა 20, ხოლო ხეხილოვანი კულტურებისა კი – 150 ტ/ჰა-ზე იზრდება, ბუნებრივად დაკორდებულ სისტემასთან შედარებით.

## 2. აკად. ჯ. ონიანის რეკომენდაციები აგრონიადაგთმცოდნეობის რეაბილიტაციისა და განვითარების შესახებ:

2.1. საქართველოს ნიადაგური თავისებურებებიდან გამომდინარე, მათი პირველადი დამუშავების (პლანტაჟის) ოპტიმალური სიღრმე ისაზღვრება ნიადაგების თვისებებისა და მათზე მოზარდი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და ჯიშების ფესვთა სისტემა განლაგების ხასიათით და არა გეოგრაფიული მდებარეობით, კლიმატური პირობებითა და ფერდობთა დახრილობის მიხედვით, როგორც დღემდე არსებულ ლიტერატურულ წყაროებშია მოცემული;

2.2. ნეშომპალა-სულფატური ნიადაგების პლანტაჟი ისე უნდა ჩატარდეს, რომ დამუშავებულ ფენაში გაჯის შემცველობა 15% არ აღემატებოდეს;

2.3. ყავისფერი ძლიერ კარბონატული ნიადაგების პლანტაჟი ისე ტარდება, რომ დამუშავებულ ფენაში ტკილისებური მასა 8% არ აღემატებოდეს;

2.4. ქვიანი ნიადაგების პლანტაჟი ისე უნდა ჩატარდეს, რომ 5 სმ დიამეტრის მქონე ქვების გამოტანის შემდეგ დამუშავებული ფენის სისქე 50 სმ ნაკლები არ იყოს;

2.5. ძლიერ დამლაშებული გრუნტის წყლების პირობებში პლანტაჟი, ისე უნდა ტარდებოდეს, რომ გრუნტის წყლების კაპილარული არშია დამუშავებულ ფენამდე ვერ აღწევდეს;

2.6. სიღრმით დამლაშებული ნიადაგების პლანტაჟი ისე უნდა ტარდებოდეს, რომ დამუშავებულ ფენაში  $\text{NaCO}_3$ ,  $\text{NaHCO}_3$ ,  $\text{NaCl}$ ,  $\text{Na}_2\text{SO}_4$ ,  $\text{CaCl}_2$ , ჯამური შემცველობა 0,2 გრამს არ უნდა აღემატებოდეს 100 გრ ნიადაგში;

2.7. ბიცობიან ნიადაგებში ნატრიუმის გაუვნებელყოფა ტარდება კალციუმიანი ქვედა ფენების ზევით ამოტანით;

2.8. მრავალწლოვანი კულტურები უხვ და ხარისხიან მოსავალს მხოლოდ ოპტიმალურ სიღრმეზე დაპლანტაჟების პირობებში იძლევიან, რასაც მათ ამორტიზაციამდე ინარჩუნებენ;

2.9. ნამარხი ნიადაგების დაპლანტაჟება უნდა ტარდებოდეს ისე, რომ ნამარხი ფენები შეძლებისდაგვარად ერეოდეს დამუშავებულ ფენებში, თუ ეს შეუძლებელია, მაშინ უნდა ხდებოდეს მათი გაფხვიერება, ნამარხი ფენების სიმკვრივეები კრიტიკულ ზღვარს ხშირად აღემატება, რის გამოც მათი ბუნებრივი ნაყოფიერება გამოუყენებელი ხდება, ფორების ზომის შემცირების გამო;

2.10. ნიადაგების კრიტიკული სიმკვრივეები, რომლებშიც ბუსუსა ფესვებიც ვერ ვითარდებიან მძიმე თიხა ნიადაგებისათვის 1,35; საშუალო თიხა ნიადაგებისათვის 1,40; მსუბუქი თიხა ნიადაგებისათვის 1,45; მძიმე, საშუალო და მსუბუქი ნიადაგებისათვის შესაბამისად 1,50; 1,60 და 1,70 მ/სმ<sup>3</sup> შეადგენს;

2.11. მოცულობითი წონების ოპტიმუმები მძიმე საშუალო და მსუბუქი თიხა ნიადაგებისათვის შესაბამისად 0,80-1,05; 1,0-1,15 და 1,10-1,25, ხოლო მძიმე, საშუალო და მსუბუქი თიხნარი ნიადაგებისათვის შესაბამისად 1,10-1,25; 1,25-1,40 და 1,35-1,50, სილნარებისათვის კი 1,60-1,70 გ/სმ<sup>3</sup> შეადგენს;

2.12. ნეშომპალა-კარბონატული (რენდირები) და სუბტროპიკული ეწერი ნიადაგების დაპლანტაჟების ოპტიმალურ სიღრმეს განსაზღვრავს კირიანი და ორშტეინიანი ფენების მდებარეობა. აღნიშნულის საფუძველზე ეს ნიადაგები უნდა დაპლანტაჟდეს 40-50-60-70 სმ სიღრმეზე და შეძლებისდაგვარად ტარდება მკვრივი ფენების გაფხვიერება.

2.13. შავმიწა, შავმიწისებრი, მდელოს ყავისფერი და ალუვიური ნიადაგების პლანტაჟი ისე უნდა ჩატარდეს, რომ რაც შეიძლება მეტი პროდუქტიული ტენის დაგროვება ხდებოდეს დამუშავებულ ფენაში, რათა თავიდან იქნას აცილებული მათზე მოზარდი მცენარეთა ზრდა-განვითარების შეზღუდვა ტენის დეფიციტის გამო. აქედან გამომდინარე აღნიშნული ნიადაგები უნდა დაპლანტაჟდეს 70-80-90 და 100 სმ სიღრმეზე;

2.14. ნიადაგებში ჩონჩხის შემცველობის კრიტიკულ ზღვარს მძიმე, საშუალო და მსუბუქი ნიადაგებისათვის შესაბამისად 50; 45 და 40, ხოლო მძიმე, საშუალო და მსუბუქი თიხნარი ნიადაგებისათვის 40; 35 და 25, სილნარებისათვის კი პლანტაჟირებული ფენის მთლიანი წონის 10% შეადგენს;

2.15. სუბტროპიკული ზონის წითელმიწა ყომრალი ნეშომპალა-კარბონატულ და ყვითელმიწების პლანტაჟი ისე უნდა ჩატარდეს, რომ ჰუმუსიან ფენაში ქვედაფენების შერევამ არ შეამციროს წყალგამტარობა, ე.ი. არ გააძლიეროს ეროზიული მოვლენები. ამ ნიადაგების დაპლანტაჟდება უნდა ტარდებოდეს 45-60-70 და 80 სმ სიღრმეზე;

2.16. მცირე და საშუალო სისქის ალუვიური, ლამიანი და მდელოს ყავისფერი ნიადაგები უნდა დაპლანტაჟდეს 40-50 და 60 სმ სიღრმეზე;

2.17. ვენახებში ნაღარად და ნაზურგად ხვნა უნდა შეიცვალოს ზედაპირული დამუშავებით და ნიადაგის ზედაპირის მოსწორებით, რაც 1,5-ჯერ ამცირებს წყლის ფიზიკურ აორთქლებას;

2.18. არამინერალიზებული გრუნტის წყლების ნიადაგის ზედაპირთან სიახლოვე, თიხა ნიადაგებში 3, თიხნარ ნიადაგებში 2, ხოლო სილნარ ნიადაგებში

1, ხოლო ძლიერ მინერალიზებული გრუნტის წყლების შემთხვევაში 6, 4 და 2 მეტრს არ უნდა აღემატებოდეს;

2.19. სხვადასხვა ხარისხით დამლაშებული ნიადაგების პლანტაციონებულ ფენებში, როდესაც მარილების შემცველობა 1-2%, ზონების შესაბამისად უნდა გაშენდეს: ვაზი, უნაბი, ბროწეული, ჭერამი, გარგარი, ნუში, ქლიავი, მსხალი, ვაშლი, თუთა, თუ ერთ პროცენტზე ნაკლებია – ლელვი, ბალი, ატამი, კაკალი, თხილი და ბოლოს ხურმა;

2.20. ნიადაგების დამუშავება ტარდება ფიზიკური სიმწიფის ფაზაში, ე.ი. საველე ზღვრული ტენტევადობის 60-70 (დასაშვებია 55-75)% პირობებში, რის შედეგადაც მიიღება მაღალხარისხსხვანი დამუშავებული ფენები, აგრონომიულად სრულფასოვანი სტრუქტურა არ უარესდება და იზოგება ენერგორესურსები;

2.21. ფიზიკურ სიმწიფის ფაზაში დაპლანტაციებული ნიადაგების დაჯდომამდე მძიმე, საშუალო და მსუბუქი თიხანიადაგებისათვის საჭიროა 70; 65 და 60, ხოლო მძიმე საშუალო და მსუბუქი მექანიკური შედგენილობის ნიადაგებისათვის 55; 40 და 30, სილნარი ნიადაგებისათვის კი 20 დღე;

2.22. სუბტროპიკული ერთი ნიადაგების სტრუქტურის გაუმჯობესება წარმატებით ხორციელდება კრილიუმის მჟავის შენაერთების (აკრილატების) გამოყენებით;

2.23. პწკლიანი და მტევნიანი მუხლების გავლენა ყურძნის მოსავლიანობაზე;

2.24. ჩაის პლანტაციების გამაგრილებელი მორწყვა (ყოველდღიურად 1-3 საათზე 2-3 მმ) საუკეთესო ღონისძიებაა;

2.25. ვაზის ფესვთა სისტემის შესწავლის ფენობრივი მეთოდი;

2.26. ვაზის ფესვების, შტამბიდან დაშორებისა და დიამეტრების მიხედვით ჩაჭრის გავლენა მათი რეგენერაციის უნარიანობაზე და მცენარეთა ზრდა-განვითარებაზე;

2.27. ვენახის რიგთაშორისების შტამბებიდან თანდათან დაშორების მიხედვით პლანტაციის სიღრმეზე გაფხვიერების გავლენა მცენარეთა ზრდა-განვითარებაზე;

2.28. ნიადაგების დამუშავებისათვის საჭირო ოპტიმალური და დასაშვები ტენიანობები;

2.29. მცენარეთა ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის საჭირო ნიადაგების ოპტიმალური ტენიანობების პარამეტრები;

2.30. ყავისფერი კარბონატული ნიადაგის პირველადი დამუშავების სიღრმის გავლენა ნიადაგის თვისებებზე და ვაზის ზრდა-განვითარებაზე;

2.31. ვენახებში რიგთაშორისების ნადარად და ნაზურგად ხვნების მართებულობის შესახებ;

2.32. ყურძნის მაღალი და ხარისხიანი მოსავლის მიღებისათვის;

2.33. ბალებისა და ვენახებისათვის ნიადაგების სწორად გამოყენების შესახებ;

2.34. ნიადაგების კულტივაციისათვის, ხვნისათვის და დაპლანტაციებისათვის ოპტიმალური და დასაშვები ტენიანობის პარამეტრები;

2.35. მცენარეთა ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის ოპტიმალური და დასაშვები ნიადაგების ტენიანობების პარამეტრები;

2.36. ვენახის ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესების ხერხები;

- 2.37. სავენახე ნიადაგების შერჩევა და მათი რაციონალურად გამოყენება;
- 2.38. საბადე ნიადაგების შერჩევა და მათი რაციონალურად გამოყენება;
- 2.39. ვენახებში სიდერატების რაციონალურად გამოყენება;
- 2.40. ხეხილის ბადების მრავალწლოვანი ბალახებისა და სიდერატების რაციონალურად გამოყენება;
- 2.41. ბიომასების გამოყენების გავლენა ნამყენი ვაზის ზრდის სიძლიერეზე;
- 2.42. ბადებისა და ვენახებისათვის გამოყენებული ნიადაგების, რწყვისათვის საჭირო ქვედა და ზედა ზღვრების დადგენისათვის;
- 2.43. მცენარეებისათვის წყლის მიწოდების წესებიდან საუკეთესო შედეგებს გამაგრილებელი და წვეთოვანი მორწყვა იძლევა;
- 2.44. ვენახებში სიდერატების გამოყენების გავლენა მიკროორგანიზმების ცხოველმყოფელობაზე და ყურძნის მოსავლიანობაზე;
- 2.45. ვენახებში მოსავლის აღებისთანავე ბარდის სისტემატური თესვა და ყვავილობის პერიოდში ნიადაგში ზედაპირული ჩაკერება წარმატებით ცვლის მიხერალური აზოტის გამოყენებას ბიოგენური აზოტით;
- 2.46. ვენახებისათვის საუკეთესო სასიდერაციო კულტურას ბარდა, ხოლო თესვის ვადებიდან მოსავლის აღებისთანავე თესვა წარმოადგენს;
- 2.47. წარმოებაში მასობრივად დასანერგი რეკომენდაციების შემოწმება უნდა ხდებოდეს მოსავლიანობით მიღებული პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლებითა და ნიადაგებში მიმდინარე ცვლილებების მიხედვით.
- ორმოცდამეშვიდე რეკომენდაციის მიხედვით შემუშავებული აგროდონისძიებათა ერთობლიობა იძლევა მეცნიერულად დასაბუთებულ სრულყოფილ სისტემას, რომლის გამოყენების შედეგად ნიადაგების ნაყოფიერება არ მცირდება, არამედ იზრდება კიდეც.
- ჩვენს მიერ წარმოებული კვლევებით დადასტურდა, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის ნიადაგების გამოყენება, მათ ნაყოფიერებას 20-40% და ზოგჯერ 50%-ით გაუარესების მაუწყებელია.
- ღვთით მომადლებული ბუნებრივი სიმდიდრისადმი (ნიადაგის ნაყოფიერებისადმი) ასეთი მოპყრობა ყოვლად დაუშვებელია. აღნიშნულმა გარემოებამ გვაიძულა გვეცადა შეგვემუშავებინა დეგრადირებული ნიადაგების ნაყოფიერების აღმდგენელი და გამაუმჯობესებელი სისტემები.

### **3. აკად. ჯ. ონიანის მიერ შემუშავებული დეგრადირებული ნიადაგების ნაყოფიერების აღმდგენელი და გამაუმჯობესებელი სისტემები**

- 3.1. ამორტიზირებული 46 წლიანი ვენახი ამოიძირკვება, გამოიტანება მიწისზედა ნაწილები, მოსწორდება ნიადაგის ზედაპირი, დაპლანტაჟდება ოპტიმალურ სიღრმეზე, დაპლანტაჟებამდე შეიტანება PK-ას ოთხი წლის დოზა ერთჯერადად და აზოტის ერთი წლის დოზა, გამოიტანება მსხვილი ფესვები, მოსწორდება ნიადაგის ზედაპირი, პლანტაჟის დაჯდომის შემდეგ ნოემბრის პირველ დეკადაში, ლურჯი იონჯისა და მრავალსათიბი კონდიდარის ერთობლივი თესვა, ოთხი წლის განმავლობაში დაკორდება, თიბვა და ნათობის მსხვილფეხა რქოსანი საქონლის საკვებად გამოყენება და მისგან მიღებული ნაკელის, მეოთხე

წლის ბოლოს კორდის დაპლანტაჟების წინ მთელ ფართობზე შეტანა, მოსწორდება ნიადაგის ზედაპირი და მომდევნო წლის ადრე გაზაფხულზე გაშენდება ვაზის პირველხარისხოვანი ნერგებით.

ამ სისტემის განხორციელების შედეგად ყავისფერი კარბონატული ნავენახარი ნიადაგის ნაყოფიერება აღსდგა შესატყვისი ყამირი ნიადაგის დონემდე.

ნაყოფიერება აღდგენილ ნიადაგზე გაშენებული რქაწითელის – მოქმედი აგროწესების მიხედვით მოვლის შედეგად ათი წლის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 87 ცენტნერს შეადგენდა და იგი 19 ცენტნერით აღემატება ბუნებრივად დაკორდებულ სისტემას, კ.ი. იგი ყოველწლიურად იძლევა 710 ლარ წმინდა შემოსავალს, ხოლო თითოეულ დახარჯულ ლარზე 18,5 ლარს – მისი წარმოებაში დანერგვა განაპირობებს ფერმერებისა და ინდენტურნეობების ყოველწლიური შემოსავლების მნიშვნელოვან ზრდას, ეკონომიური და სოციალური მდგრმარეობის გაუმჯობესებას.

3.2. ნავენახარი დეგრადირებული ნიადაგი, სექტემბრის პირველ დეკადაში გაიწინდება, მოსწორდება ნიადაგის ზედაპირი, დაპლანტაჟედება ოპტიმალურ სიღრმეზე, დაპლანტაჟებამდე შეიტანება PK-ას 4 წლის დოზა ერთჯერადად, პლანტაჟის დაჯდომის შემდეგ დაიფარცხება და იმავდროულად შეიტანება აზოტიანი სასუქების ერთი წლის დოზა, ლურჯი იონჯისა და მრავალსათიბი კონდრის ერთობლივი თესვა, დაკორდება და თიბვა, ნათიბის მსხვილფეხა რქოსანის საკვებად გამოყენება და მისგან მიღებული ნაკელის კორდის დაპლანტაჟებამდე მთელ ფართობზე შეტანა. მეოთხე წლის დასასრულს კორდი დაპლანტაჟედება ოპტიმალურ სიღრმეზე, დაპლანტაჟებამდე შეიტანება PK-ას 12-14 წლის დოზა ერთჯერადად, მომდევნო წლის გაზაფხულზე გადაიხვნება, გადახვნამდე შეიტანება აზოტიანი სასუქების სრული დოზა და დაირგვება ვაზის პირველხარისხოვანი ნერგებით, სამი წლის განმავლობაში ვენახის ნიადაგში შედის აზოტიანი სასუქები 10-15 სმ სიღრმეზე, სუფთა ანეული, მეოთხე და მომდევნო წლებში, მოსავლის აღებისთანავე ბარდის მთელ ფართობზე სისტემატური თესვა და მასობრივი ყვავილობის პერიოდში ნიადაგში 10 სიღრმეზე ჩაკეთება. ბარდის აღნიშნულების მიხედვით გამოყენება წარმატებით ცვლის მინერალური აზოტის გამოყენებას ბიოგენური აზოტით.

12-14 წლიან ვენახები ტარდება პლანტაჟის სიღრმეზე გაფხვიერება შტამბიდან 15 სმ მოშორებით, მაშინ, როდესაც ფეხვების გადაჭრის ადგილას მათი დიამეტრები 15 მმ-ს და მეტს აღწევს. მეორე და მესამე გაფხვიერება ტარდება 10-10 წლის შემდეგ, წინა გაფხვიერების ადგილიდან 15-15 სმ მოშორებით, გაფხვიერებისას PK-ას 10-10 წლის დოზის ერთჯერადად შეტანა და ბარდის სისტემატიური თესვა მთელ ფართობზე, მის ნიადაგში ჩაკეთებას უნდა დაემატოს ცის გახსნისა და ანასხლავი მასის დაქუცმაცებული სახით ნიადაგში შეტანა. აღნიშნული სისტემის წარმოებაში მასობრივი დანერგვის შედეგად, არამარტო შენარჩუნებულია აღდგენილი ნიადაგების ნაყოფიერება, არამედ აუმჯობესებს მას და საშუალო საჰექტარო მოსავლიანობას 20-25% ზრდის.

3.3. სარწყავ ვენახებში ნაყოფიერება აღდგენილი ნიადაგების აგრონომიულად დადგებითი თვისებების შენარჩუნებას განაპირობებს, რიგთაშორისებში მრავალწლიურვანი ბალახების, რიგებიდან 25 სმ მოშორებით თესვა, 4 წლის

განმავლობაში დაკორდება, თესვამდე PK-ს 4 წლის დოზის ხვნის წინ, ხოლო N-ის ერთი წლის დოზის შეტანა, ხშირი თიბვა და ნათიბის რიგებში მულჩად გამოყენება, ხოლო N-ის მორწყვის წინ წილადობრივი შეტანა, მეოთხე წლის შემოდგომაზე კორდის ჩახვნა, 2 წლით სუფთა ანეული და NPK-ას სრული დოზების გამოყენება, 2 წლით ბარდის მთელ ფართობზე თესვა, თესვამდე PK-ას 2 წლის დოზის შეტანა და მასობრივი ყვავილობის პერიოდში ნიადაგში 10 სმ ჩაკეთება, შემდგომ პერიოდში როტაცია მეორდება. საჭიროების მიხედვით გამოიყენება ჰერბიციდები.

3.4. ამოსაძირკვად გათვალისწინებულ ბალის ნიადაგი, ამოძირკვამდე 4 წლით ადრე მოიხვება 25-30 სმ სიღრმეზე, დაიფარცხება, დაითესება ლურჯი იონჯისა და მრავალსათიბი კოინდარის ნარევი თესლით, ხვნის წინ შეიტანება PK-ას 4 წლის დოზა ერთჯერადად, ხოლო N-ის სრული დოზა წილადობრივად ყოველი გათიბის შემდეგ, მოირწყვება, ხშირი თიბვა და ნათიბის ადგილზე დატოვება. ხელოვნურად დაკორდებული ბალი მეოთხე წელს მოსავლის აღებისთანავე ამოძირკვება, ნაკვეთიდან გამოიტანება მიწისზედა ნაწილები და მსხვილი ფესვები, ნიადაგის ზედაპირი მოსწორდება და ოპტიმალურ სიღრმეზე დაპლანტაჟდება, დაპლანტაჟებამდე მთელ ფართობზე შეიტანება PK-ას 10-20 წლის დოზა ერთჯერადად, ხოლო N-ის სრული დოზა ყოველწლიურად. ამ ნიადაგის შეუსვენებლად, ახალი ბალის გაშენებისა და მცენარეთა ნორმალური ზრდა-განვითარების სრულ გარანტიას იძლევა. სასურველია განსხვავებული ხეხილოვანი პულტურების გაშენება თუ ამის საშუალება არ არის, მაშინ მკვეთრად განსხვავებული საძირეების ჯიშების მყნობის შედეგად მიღებული სტანდარტული ნერგებით ბალის გაშენება.

3.5. ნაბალარი ნიადაგი მოსწორდება მოიხვება 25-30 სმ სიღრმეზე დაიფარცხება, დაითესება ლურჯი იონჯისა და მრავალსათიბი კოინდრის ნარევი თესლით, თესვისწინა ხვნის დროს შეიტანება PK-ას 4 წლის დოზა. ერთჯერადად, ხოლო N-ის სრული დოზა წილადობრივად ყოველი გათიბის შემდეგ, მოირწყვება, ხშირად ითიბება, პირველ წელს გასათიბი ადგილზე რჩება, ხოლო მე-2-3 და მე-4 წლის განათიბის მსხვილფეხა რქოსანი საქონლის საკვებად გამოყენება, ხოლო მისგან მიღებული ნაკელის კორდის დაპლანტაჟების წინ მთელ ფართობზე შეტანა, მეოთხე წლის შემოდგომაზე დაკორდებული ნიადაგი დაპლანტაჟდება ოპტიმალურ სიღრმეზე, დაპლანტაჟებამდე PK-ას 10-20 წლის დოზის ერთჯერადად შეტანა, მოსწორდება ნიადაგის ზედაპირი და ადრე გაზაფხულზე გაშენდება ბალი, პირველ, მეორე და მესამე წელს სუფთა ანეული და N-ის სრული დოზის შეტანა, საჭიროების მიხედვით ჰერბიციდების გამოყენება, მეოთხე წლის შემოდგომაზე 2 წლით ბარდის მთელ ფართობზე თესვა და მასობრივი ყვავილობის პერიოდში ნიადაგში 10 სმ ჩაკეთება, რაც სრულყოფილად ცვლის მინერალური აზოტის შეტანის ბიოგენური აზოტით.

მერვე წლის შემოდგომაზე რიგთაშორისები სათითურათი ან საძოვრის კოინდარით 4 წლით დაკორდება, დაკორდებამდე N-ის სრული დოზის შეტანა, ხშირი თიბვა და ნათიბის რიგებში მულჩად გამოყენება, მეოთხე წლის შემოდგომაზე კორდის ჩახვნა, სუფთა ანეული, აზოტის შეტანა, მომდევნო 2 წლის

განმავლობაში ბარდის სისტემატური თესვა და მასობრივი ყვავილობის პერიოდში ნიადაგში 10 სმ ჩაკეთება და ა.შ.

3.6. ბაღების ნიადაგებში წყლის შემცველობის საველე ზღვრული ტენტევადობის 80-100%-ის ფარგლებში რეგულირების დროს იქმნება ისეთი პირობები, რომლის მეშვეობითაც ხდება სარეველა ბალახების, ხეხილოვანი კულტურებისათვის სასარგებლო ბალახებით შეცვლა და ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლება, რაც ნათლად ადასტურებს მუდმივი დაკორდების პერსპექტიულობას.

3.7. ახალგაზრდა ხეხილის ბაღის რიგებში 40 გ/ჸა ნაკელის შეტანა 4 წელიწადში ერთხელ, 4 წლის განმავლობაში სუფთა ანეული, რიგთაშორისებში რიგებიდან 50-75 და 100 სმ მოშორებით მრავალწლოვანი ბალახების ნარევების თესვა, თესვისწინა ხვნის დროს PK-ას 6 წლის დოზის ერთჯერადად, ხოლო N-ის სრული დოზის ყოველი გათიბვის შემდეგ წილადობრივი შეტანა, ოთხი წლის განმავლობაში დაკორდება, ხშირი თიბვა და ნათიბის ადგილზე დატოვება, მეოთხე წლის ბოლოს კორდის ჩახვნა, ორი წლის განმავლობაში სუფთა ანეულით, მეშვიდე და მერვე წელს შემოდგომაზე ბარდის მთელ ფართობზე თესვა, თესვისწინა ხვნის დროს PK-ას 2 წლის დოზის ერთჯერადად შეტანა და 2 წლის განმავლობაში ბარდის მასობრივი ყვავილობის პერიოდში 10 სმ სიღრმეზე ჩაკეთება.

3.8. ხეხილის სრულმსხმოიარე ბაღში მოსავლის აღებისთანავე ნიადაგი მოიხვნება, დაიფარცხება და დაითესება მრავალწლოვანი ბალახები, ხვნის წინ შეიტანება PK-ას 6 წლის დოზა ერთჯერადად, რიგებში სუფთა ანეული, ხშირი თიბვა და ნათიბის რიგებში მულჩად გამოყენება. მეოთხე წელს შემოდგომაზე კორდის ჩახვნა, სუფთა ანეული და ჰერბიციდების საჭიროების მიხედვით გამოყენება. მეშვიდე-მერვე წელს ბარდის მთელ ფართობზე თესვა, თესვისწინა ხვნის დროს PK-ას 2 წლის დოზის ერთჯერადად შეტანა, ბარდის მასობრივი ყვავილობის პერიოდში, ნიადაგში 10 სმ ჩაკეთება. შემდგომ პერიოდში როტაცია მეორდება.

3.9. NPK-ას ფონზე რიგთაშორისებისა და დროგამოშვებით მუდმივი დაკორდება – სათითურათი და საძოვრის კონდარით, ხშირი თივითა და ნათიბის რიგებში მულჩად გამოყენებით უმჯობესდება ნიადაგის ნაყოფიერება, იზრდება მოსავლიანობა, მცირდება ენერგორესურსების ხარჯვა, მცირდება ქლოროზოვანი დაავადება, სიდამპლეები და ტარდება ნიადაგის მინიმალური დამუშავება.

3.10. ყავისფერი კარბონატული ნიდაგების მცირე, საშუალო და მაღალი ნაყოფიერების 19 მირითადი თვისებათა მახასიათებლების მიხედვით მოცემულია 18 ვაზის ჯიშის მოსავლიანობა.

3.11. მდელოს ყავისფერი ნიადაგების მცირე, საშუალო და მაღალი ნაყოფიერების 23 თვისებათა მახასიათებლების მიხედვით მოცემულია 18 ვაშლის ჯიშის მოსავლიანობა.

3.12. ალაზნის ველის დამლაშებული ნიადაგების 1200-1500 გ<sup>3</sup> მდ. ალაზნის წყლით ოთხჯერ გამორეცხვა, ტარდება პორიზონტალური დრმა დრენაჟის მეშვეობით მაშინ, როდესაც მათი დანაპრალება მაქსიმუმს აღწევს. ამ

აგროდონისძიების განხორციელების შედეგად, მათში წყალსნადი მარილების შემცველობა იმდენად მცირდება, რომ მათზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება პერსპექტიული ხდება. აღნიშნული ლონისძიებების განხორციელებით სახნავ ფართობებს ათეულობით ათას ჰექტარს შევმატებთ, რაც ესოდენ საჭიროა ჩვენი ქვეყნის სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის.

3.13. თორმეტი ნიადაგური ტიპისა და სავარგულთა მიხედვით, ნიადაგების მექანიკური შედგენილობის, ჰუმურის შემცველობისა და მოცულობითი წონების შესაბამისად მოცემულია: ნიადაგების დამუშავებისა და მცენარეთა ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის საჭირო წყლიერ თვისებათა რეგულირების სისტემები და მორწყვის ნორმები.

ზემოთ აღნიშნულის მიხედვით შემოწმებული სისტემების ერთობლიობა შეადგენს – სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანისათვის საჭირო მეცნიერულად დასაბუთებულ ტექნოლოგიებს.

მეხილეობაში და მევენახეობაში ნათებადლახიანი სისტემები წარმატებით უნდა იქნას გამოყენებული. რიგთაშორისებში უნდა ითესებოდეს ისეთი ბალახები, რომლებიც კულტურულ მცენარეთა მიერ გამოყოფილ და მათზე უარყოფითად მოქმედ ნივთიერებებს ბალახები შეითვისებენ და გამოიყენებენ თავიანთი ორგანიზმის საშენ მასალად, ხოლო ამ უკანასკნელთა მიერ გამოყოფილი ნივთიერებები უნდა ასტიმულირებდნენ ხეხილოვანი კულტურებისა და ვაზების ზრდა-განვითარებას. ასეთი ბალახების სისტემატური თესვა ბადებში და ვენახებში თავიდან აგვაცილებს მიწის მოღლას, ე.ო. ეს ლონისძიება სრულყოფილად ასრულებს ნაყოფთცვლის მაგივრობას; ქლოროზოვან დაავადებას; სიდამპლეებს; ეროზიულ მოვლენებს და განაპირობებს ნიადაგების ნაყოფიერების ზრდას. აღნიშნული ლონისძიების განხორციელება ნიადაგების შეუსვენებლად ხეხილოვანი კულტურებისა და ვენახების აღწარმოების სრულ გარანტიასაც იძლევა.

#### 4. აკად. ჯ. ონიანის მიერ შემუშავებული თეორიები

4.1. თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების პირობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის თავისებურებათა შესაბამისად აგროდონისძიებათა კომპლექსის განხორციელება, ანთოპოგენურ ფაქტორს ნიადაგწარმომქმნელ ხუთ ფაქტორთა შორის წამყვან როლს ანიჭებს;

4.2. ნიადაგების ოპტიმალურ სიღრმეზე დაპლანტაჟება ტარდება A და B პორიზონტების სისქის, მათი და ნიადაგქვედა ფენების თვისებების, “ზონების შემცველობის, ნამარხი, კირიანი, გაჯიანი, ორტშტეინიანი ფენების მდებარეობის, გრუნტის წყლების დგომის დონის, მათი დამლაშების ხარისხისა და მცენარეთა ფესვთა სისტემის განლაგების ხასიათის მიხედვით;

4.3. წარმოებაში მასობრივად დასანერგი რეკომენდაციების (შემოწმება) შეფასება უნდა ხდებოდეს; მოსავლიანობით მიღებული პროდუქციის ხარისხობივი მაჩვენებლებითა და ნიადაგში მიმდინარე თვისებათა ცვლილებების მიხედვით.

4.4. ესა თუ ის სახეობები და აგროკულტურები ნიადაგებს ამზადებენ არა თავისთვის, არამედ სხვა სახეობებისა და სხვა აგროკულტურებისათვის;

4.5. სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე მეცნიერთა ვალია, შეიცნონ ბუნების კანონზომიერებანი, გაითავისონ ისინი და გამოიყენონ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა აღწარმოებისათვის.

## 5. აკად. ჯ. ონიანის წინადადებები სოფლის მეურნეობის რეაბილიტაციის შესახებ

5.1. დეგრადირებული ნიადაგების ნაყოფიერების გაზრდა, მრავალწლოვანი ბალანსებისა და სასუქების რაციონალური გამოყენებით;

5.2. ნიადაგების დაცვა – ეროზიების, დამლაშების, დაჭაობებისა და მდინარეთა მიერ წალეპვისაგან;

5.3. სარწყავი სისტემების რეაბილიტაცია, წყლის მიწოდების უახლესი ტექნიკური საშუალებათა გამოყენება, დაშრობითი და ქიმიური მელიორაციული ღონისძიებათა ეფექტურად გამოყენება;

5.4. ნიადაგების მსხვილმასშტაბიანი გამოკვლევა. ნარკვევში მოცემული უნდა იყოს ნიადაგების ნაყოფიერების თვისებათა მახასიათებლები, სავარგულთა (სახნავი, სათიბი, საძოვარი) ფართობები, რომელთა ცოდნის გარეშე შეუძლებელია სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის შემუშავება;

5.5. სოფლის მეურნეობის განვითარების ერთადერთ გზად კოოპერირება მიგვაჩნია, თუმცა არსებული მდგომარეობის გამო, მისი განხორციელება შეიძლება შეუძლებელი გახდეს;

5.6. კოოპერირებისათვის აუცილებელი ხდება რაიონებისა და სოფლების მფლობელობაში არსებული მიწების ზღვრების დადგენა. კოოპერატივში ერთიანდება ერთი სოფლის მოსახლეობა. თუ მეზობელ ურთიერთ მოსაზღვრე სოფლების მოსახლეობა მცირეა, მაშინ ისინი უნდა გაერთიანდნენ ერთ კოოპერატივში. კოოპერირების ორგანიზება ბარში და მთაში არაერთგვაროვანი იქმნება;

5.7. კოოპერატივების მფლობელობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანაში სახელმწიფოს მონაწილეობა აუცილებელი იქნება. სახელმწიფომ მანქანა-იარაღების რაციონალურად გამოყენების მიზნით უნდა შექმნას ცენტრები, რომლებიც მიიღებენ უშუალო მონაწილეობას სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანაში, ხოლო ცენტრებში მომსახურე პირთა შრომის ანაზღაურება უნდა ხდებოდეს მოსავლის აღებისთანავე;

5.8. მიწა შეძლებისდაგვარად თანაბრად უნდა იყოს განაწილებული, სოფლის მკვიდრ მცხოვრებლებზე ნაყოფიერების შესაბამისად;

5.9. მიწის გაყიდვა უცხოელებზე უნდა აიკრძალოს, აგრეთვე უნდა აიკრძალოს გრძელვადიანი იჯარით მიწის გაცემა მაშინ, როცა მათ მიწის არაფერი გავგებათ;

5.10. მეცნიერების გარეშე წარმოუდგენელია სოფლის მეურნეობის განვითარება. აღნიშნული გვავალდებულებს, რომ სათანადოდ დაგაფასოთ და ჯეროვნად გავუფრთხილდეთ გამოცდილ მკვლევარებს;

5.11. აუცილებლად მიგვაჩნია ისეთი ინსტიტუტების ადდგენა როგორებიცაა: ნიადაგორმცოდნების, აგროქიმიისა და მელიორაციის; მიწათმოწყობის; მებაღეობის, მეგენახეობისა და მედვინეობის; ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების; მცენარეთა დაცვის; მიწათმოქმედების; რადიოლოგიისა და აგროეკოლოგიის;

მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები – შესაბამისი სტრუქტურებით, ლაბორატორიებით და ექსპერიმენტული ბაზებით;

5.12. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში უნდა შეიქმნას სადოქტორო და საკანდიდატო სამეცნიერო ხარისხების დაცვის გაფართოებული სამეცნიერო საბჭო.

### 7.1.9. აკადემიკოსი ვლადიმერ ქევხიშვილი



2013 წლის განმავლობაში აკად. ვ. ქევხიშვილი მუშაობდა წინა წლებში დაწყებული და ჯერ კიდევ დაუმთავრებელი საკითხების სრულყოფაზე, სტატიებზე, რეკომენდაციებზე და დასკვნების ფორმირებაზე, მათ შორის:

1. საქართველოს რესპუბლიკის პურით უზრუნველყოფის პრობლემისათვის;
  2. პური ქვეყნის ეროვნული ვალუტა;
  3. მიწათმოქმედება-ქვეყნის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის პირობა;
1. ანეულების შესახებ აღმოსავლეთ საქართველოს მიწათმოქმედებაში;
  2. კულტურათა მოვლა-მოყვანის ინტენსიური ტექნოლოგია-მოსავლის გადიდების სამსახურში;
  3. მარცვლეულის მეურნეობის არსებული მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოს რესპუბლიკის კახეთის რეგიონში.
- მათზე მუშაობა ჯერ კიდევ გრძელდება.

### 7.1.10. აკადემიკოსი რევაზ ჩაგელიშვილი



ჩვენს მრავალი წლის მცდელობას შეგვენარჩუნებინა ვასილ გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტი, უპირველესად კადრები, ინფრასტრუქტურა და საკვლევი ბაზები, უშედეგოდ დამთავრდა. ინსტიტუტის ხარჩენები ტრაფარეტული სახელის ქვეშ იძულებით შეერწყა აგრარულ უნივერსიტეტიდ წოდებულ დაწესებულებას.

2013 წლის დასაწყისიდან შეწყდა წინასწარ შედგენილი და მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს სხდომაზე დამტკიცებული მოქმედებათა პროგრამა. უფუნქციონ და უსახსროდ დარჩენილი მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები (მეცნიერებები, პროფესორები, აკადემიკოსები) მიმოიფანებენ, შეწყდა მათთან კომუნიკაცია.

საბედნიეროდ დამუშავდა და გაანალიზდა ბოლო 10 წლის მანძილზე დამუშავებული, სტაციონარული და სამარშრუტო კვლევებზე დაფუძნებული პრობლემები, რომლებიც ჩამოყალიბდა შემდეგი სხვადასხვა სახის პროექტების ფორმით:

1. „პროგრესული ტექნოლოგიების შემუშავება დარღვეული ქარსაფარი ზოლების აღსაღენად მათი მრავალფუნქციური პოტენციალის გათვალისწინებით. (კვლევის სიახლე, მიზანი და ამოცანები, პრობლემის აქტუალობა).“
2. „ ბუნებრივი და ხელოვნური ტყის ეკოსისტემების გავლენა ნიადაგის ძირითადი ფიზიკური თვისებების დინამიკაზე და კლიმატის ფორმირებაზე. (მიზანი, აქტუალობა, სრული ინფორმაცია პროექტის შესახებ).“
3. წინასწარი საპროექტო განაცხადი ევრაზიის ფონდს. პროექტის სახელწოდება: „საქართველოს ტყეებში არსებული არამერქნითი რესურსების შეფასება ბიზნესის განვითარებისათვის.“ ბორჯომის ხეობის მაგალითზე, (მიზანი აქტუალობა და ამოცანები).
4. პრობლემა -,, მდ. არაგვის აუზის ტყეების დაცვითი ფუნქციების შესწავლა - ეროზიებთან, დვარცოფთან და თოვლის ზვავებთან ბრძოლის ღონისძიებების დამუშავება უინვალის ჰიდროკანაბის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით“ (მიზნები, ამოცანები, აქტუალობა).“
5. პროექტი: - „საქართველოს სამხედრო გზის მცხეთა-გუდაურის მონაკვეთზე, ზვავსაშიში და დვარცოფსაშიში უბნების გამოვლენა, შესწავლა და აღმკვეთი და შემარბილებელი ღონისძიებების დამუშავება“. (მიზნები, ამოცანები, აქტუალობა).
6. პროექტი: - „აჭარის საკურორტო ზონის პოტენციურად ზვავ და მეწყერსაშიში უბნების პროგნოზირება და ზვავების წინააღმდეგ ბრძოლის ინიციატივი, კომპლექსური ღონისძიებების შემუშავება“ პროექტი დამთავრებული, სრულყოფილი წარედგინება ეროვნული საგრანტო პროექტების დაფინანსების ფონდს.

საანგარიშო პერიოდში აკად. რ. ჩაგელიშვილის მიერ მომზადდა და სსმდ აკადემიის აკადემიური საბჭოს სხდომაზე განხილული იქნა მოხსენება - „საქართველოს მთის ტყეების თანამედროვე მდგომარეობა და დაცვითი ფუნქციების შესრულების პროგნოზი.“ შესრულებული იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოქმედებათა გეგმით გათვალისწინებული სხვა პროგრამული საკითხები.

საანგარიშო წლის 3 მაისს აკადემიკოსს ვასილ გულისაშვილის დაბადებიდან 110 წლისთვის დაკავშირებით, მის მშობლიურ რაიონში, საგარეჯოში აკად. რ. ჩაგელიშვილის თაოსნობით ჩატარდა სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია მიძღვნილი აღნიშნული თარიღისადმი. მოხსენებით - ვ. გულისაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, გამოვიდა რ. ჩაგელიშვილი. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ვ. გულისაშვილის აღზრდილებმა

სატყეო ინსტიტუტიდან (რ.ობოლაძე, დ.გიგაური, მ.დვალი) და მშობლიური რაიონიდან (აკად. დოქტორი ა.ჩაფიძე);

კონფერენციამ გამოხმაურება პპოვა ადგილობრივ პრესასა და გაზეთების ფურცლებზე (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ №86 (7213) სათაურით „გარეჯელი მინდიას“ ოდაბუდეში). ამავე საკითხებზე 2013 წლის 3 მაისს გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ №83 (7210) დაიბეჭდა რევაზ ჩაგელიშვილის წერილი: „ბუნების დიდი ქომაგი“.

აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს მუშაობაში. (გ. დვალის კონცეფციის განხილვა, სატყეო სტრატეგიის შემუშავება და სხვა).

არის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის „სატყეო მოამბე“ - რედკოლეგიის წევრი, სატყეო დარგის ეგიდით გამოცემული მრავალი პუბლიკაციისა თუ ნაშრომის რედაქტორი და რეცენზენტი.

სმმ აკადემიის პრეზიდენტის განკარგულებით აკად. რ. ჩაგელიშვილი არის სატყეო სექტორის ეროვნულ კოორდინატორი. ამ მიზნით ჩამოყალიბებულია ეროვნული კოორდინატორის სამუშაო ჯგუფი. პერიოდულად ხდება ჯგუფის შეკრება, სადაც იხილება სატყეო დარგის მიმართულებით არსებული პრობლემატური საკითხები და მათი გადაჭრის სავარაუდო ღონისძიებები. საჭიროების შემთხვევაში ჯგუფი შეიკრიბება ექსტრემალურად შექმნილ სიტუაციებთან დაკავშირებით. (მაგ. გამოჩენილი პიროვნებების საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით ვ. გულისაშვილის, ნ. კაცხველის, გ. გიგაურის, ს. ქურდიანის და სხვა) მოეწყობა შეხვედრები ჟურნალ „სატყეო მოამბის“ სარედაქციო კოლეგიასთან, სატყეო მეურნეობის ყოფილ და ახლანდელ სპეციალისტებთან, შესაძლებელია მოხერხდეს გასვლითი შეხვედრები ტყის დარგის მოქმედ სპეციალისტებთან, მოხდება თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება მომიჯნავე დაწესებულებებთან. ჯგუფთან ერთად მომზადდება ცვლილებები სატყეო კანონმდებლობასა და ნორმატიულ აქტებში შესატანად. საბჭოს წევრებს მოეთხოვებათ თანამშრომლობა და აქტიურობა ბეჭდვით მედიასთან. ინფორმაციის სხვა საშუალებებთან და სხვა.

- წინადაღებები:**
1. ტყის მართვის გასაუმჯობესებლად აუცილებელია სატყეო მეურნეობას დაუბრუნდეს სამეურნეო ფუნქცია, მეურნეობის წარმოების ძირითად ფუნქციად უნდა იქცეს მეურნეობის გაძლოლის უწყვეტობის პრინციპი.
  2. ჭრის სისტემად უნდა განისაზღვროს ნებით-ამორჩევითი ჭრა. საანგარიშო ტყეპაფი უნდა განისაზღვროს წლიური შემატების ფარგლებში ტყის მთლიანი ფართობიდან და არა მხოლოდ საექსპლოატაციო ტყეებიდან.
  3. მთის ტყეებში მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს ეკოლოგიური (დაცვითი ფუნქციების) შესრულებას - ეკონომიკური სარგებლიანობა მასზეა დაქვემდებარებული.

### 7.1.11. აკადემიკოსი ზაურ ჩანქელიანი



- 1.სამეცნიერო თემები:** 1.1. “ქუთაისის მიმდებარე ბიოლანდშაფტების რადიოგოლოგიური შესწავლა”. (სადოქტორო დისერტაცია, ხელმძღვანელი);  
1.2. “პესტიციდების სარეგისტრაციო საექსპერტო სამუშაოები” (ექსპერტი გარემოს დაცვით საკითხებში).  
2.საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხელმძღვანელობს დისციპლინას “ მცენარეთა ეპოლოგია“.

3. გამოქვეყნებული სტატია – “რადიონუკლიდების შემცველობა ქუთაისის ზონის ნიადაგებში”. სსმა საერთაშორისო-სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია „ინოვაციური ტექნოლოგიები აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის“, თბილისი, 2013 წელი, გვ. 216-218;

სტატიაში ძირითადად მოცემულია ,რომ ნიადაგი არის ბუნებრივი გარემოს რადიაციული ფონის წყარო, ეკოლოგიური ჯაჭვის უმთავრესი და უპირველესი რგოლი, ამავე დროს რადიონუკლიდების მიგრაციის ბიოლოგიური და გეოლოგიური წრებრუნვის ძირითადი შემადგენელი ნაწილი ბიოსფეროს გარსში. ნიადაგი არის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი ,რომელშიც ხდება ხელოვნური ბუნებრივი რადიონუკლიდების ლოკალიზაცია.

4. სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელობა. დოქტორანტი მაკა ხეცურიანმა, სადისერტაციო თემა: “ქალაქ ქუთაისისა და მისი მიმდებარე ლანდშაფტების რადიოეპოლოგიური კვლევა”. დისერტაცია დაცული იქნა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე, ქ. ქუთაისი.

5. მონაწილეობა სსმ აკადემიის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაში „ინოვაციური ტექნოლოგიები აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის“, თბილისი, 3-4 ოქტომბერი, 2013 წელი.

6. მოხსენება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოზე, 2013 წლის 27 ნოემბერი; თემა „ამარანტის“ კულტურის ზეთის მიღება რადიაციულ-იმპულსური მეთოდით და „ამარანტის“

კულტურის პერსპექტივები საქართველოში“. თანამომხსენებელი ი. რამაზაშვილი.

7. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო გურნალი „მოამბე“-ს სარედაქციო კოლეგიის წევრი.

8. „ქართული ოცნების“ მცხეთის სათათბირო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი აგრარულ საკითხებში.

9. წინადადებები: აგრარული და გადამამუშავებელი წარმოების განვითარება დამოკიდებულია მის მდგრადობაზე, ანუ წარმოება თუ დაეფუძნება

ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიღების ტექნოლოგიასა და მიღებული პროდუქციის უვნებლობის საერთაშორისო  
სტანდარტების დაცვას.

ეს ყოველივე გულისხმობს ნიადაგის აგროქიმიური მაჩვენებლების გათვალისწინებით მცენარის ზრდა-განვითარებისათვის საჭირო ნივთიერებების ტექნოლოგიური მოთხოვნილებების (ორგანული, ორგანულ-მინერალური ან სხვა) შესაბამისად გამოყენებას; სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაავადებებისა და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის (ბიოლოგიური, ინტეგრალური ან სხვა) მეთოდების გონივრულ გამოყენებას.

ამ საკითხებთან დაკავშირებით აუცილებელია აკადემიაში შეიქმნას ქვეყნის მუნიციპალიტეტებთან შექმნილი სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო სამსახურებში დასაქმებული სპეციალისტების კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები და ჩვენთან უნდა შეიქმნას სახელმძღვანელოები არა ბეჭდური სახით, არამედ ელექტრონული ვერსიები, რადგანაც ეს სახელმძღვანელოები უნდა იყოს ყოველთვის განახლებადი, ახალი ნოვაციების გათვალისწინებისათვის მოსახერხებელი და არა დოგმატური,

10. ზემოთ აღნიშნულის შესაბამისად მიზანშეწონილად მიგვაჩნია წინადადება განხილული იქნას სსმმ აკადემიის აგრონომიულ სამეცნიერო განყოფილების სხდომაზე და შემდეგ დასამტკიცებლად განხილული იქნას სსმმ აკადემიის აკადემიურ საბჭოზე.

#### 7.1.12. აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი



1. საანგარიშო წელს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის სფეროში აკად. ნ. ჩხარტიშვილის მუშაობა განისაზღვრა საერთაშორისო პროექტით ვაზის საკოლექციო ნარგაობაში (სოფ. ჯილდურა, მცხეთის რ-ნი) ქართული აბორიგენული ვაზის ერთი ჯგუფის (32 ჯიში) კომპლექსური შესწავლის პროცესში მონაწილეობით და კონსულტაციებით. სამუშაო სრულდება საერთაშორისო დესკრიპტორული მეთოდიკით. პროექტის მიზანია ქართული ვაზის ჯიშების შერჩევა და მონაწილეობა საერთაშორისო სელექციურ პროგრამებში. მუშაობა გრძელდება.

2. პედაგოგიური მუშაობა: თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის საჯარო უნივერსიტეტში აგრძელებდა მუშაობას პროფესორის თანამდებობაზე აგრონომიული და სასურსათო ტექნოლოგიის მიმართულებებზე. ხელმძღვანელობდა და კითხულობდა სალექციო კურსს საგნებში: “შესავალი კურსი – აგრონომიაში”, “მევენახეობის აგროტექნოლოგიაში”, “ამპელოგრაფიაში”, “ვაზის ეკოლოგიაში”; ხელმძღვანელობს სამაგისტრო თემებს;

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში აგრეთვე აგრძელებდა მუშაობას თბილისის მევენახეობა-მედვინეობის, ხილ-ბოსტნეულის წარმოებისა და

სპეციალისტთა გადამზადების სახწავლო ინსტიტუტში რექტორის თანამდებობაზე; ამავე ინსტიტუტში წაიკითხა ლექციები საგნებში: “მევენახეობა”, “ამპელოგრაფია–სელექციის საფუძვლებით”. 2013 წლის მეორე ნახევრიდან აღნიშნულმა ინსტიტუტმა შეწყვიტა ფუნქციონირება.

3. გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები (სტატიები, თეზისები):

საანგარიშო წელს გამოქვეყნდა შემდეგი სამეცნიერო სტატიები, შრომები:

3.1. „ქართული სელექციური ვაზის ახალი ჯიშები“, ნ. ჩხარტიშვილი, ვ. კვალიაშვილი, ლ. უჯმაჯურიძე; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის “მოამბე”, №32, ოქტომბერი, 2013წ.

სტატიაში აღწერილი და დახასიათებულია გასული საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში გამოყვანილი საღვინე მიმართლების ჯიშები, რომლებიც ძირითადად რეკომენდებულია ქართლის ზონაში დასახერგად.

3.2. „საქართველოში მევენახეობა–მედვინეობის დარგში არსებული მდგომარეობა და პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ”; ნ. ჩხარტიშვილი, გ. ჯაფარიძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის “მოამბე”. №32, ოქტომბერი, 2013წ.

სტატიაში გაშუქებულია დარგში არსებული მდგომარეობა, პრობლემები; განსაზღვრულია პრიორიტეტული მიმართულებები და ეკონომიკური პოტენციალი.

3.3. „სეტყვა, მასთან ბრძოლის არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები”; შ. ჭალაგანიძე, ნ. ჩხარტიშვილი, თ. თურმანიძე; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის “მოამბე”. №32, ოქტომბერი, 2013წ.

სტატიაში გაანალიზებულია გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში ვენახების სეტყვისაგან დაცვის (აქტიური–რაკეტული სისტემა, პასიური–ვენახების გადახურვა სეტყვადამცავი ბადებით) დონისძიებების, საშუალებების გამოყენების შედეგები. რეკომენდებულია მათი ადდგენის პერსპექტივები.

3.4. “მევენახეობის არსებული მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები საქართველოში” (თეზისები); ნ. ჩხარტიშვილი, საქართველოს სოფლის მერუნეობის მეცნიერებათა აკადემიის “მაცნე”, 2013 წ. მოხსენება მოსმენილი იქნა სსმმ აკადემიის აკადემიურ საბჭოზე.

რეკომენდებული დარგის დაჩქარებული რეაბილიტაციის გზები; პრიორიტეტული მიმართულებები, პარამეტრები და სახელმწიფო დონისძიებები.

4. საქართველოს საპატიორებლოს ინიციატივითა და ფინანსური მხარდაჭერით გამოიცა მრავალტომეული კაპიტალური წიგი – მონოგრაფია – „საქართველო ჩვენი ფასეულობანი“; ერთი ტომი მიეძღვნა სოფლის მეურნეობას, რომელშიც დაიბჭდა აკად. ნ. ჩხარტიშვილის (თანაავტორებთან) მონოგრაფიული ხასიათის სტატიები, კერძოდ:

4.1. ნოდარ ჩხარტიშვილი, ნინო ჩხარტიშვილი – “მევენახეობა” (გვ. 62-71);

შრომაში ისტორიულ–არქეოლოგიურ წყაროებზე დაყრდნობით გაშუქებულია დარგის ჩასახვა–განვითარების ისტორიული ეტაპები, არსებული მდგომარეობა და დასახულია მისი განვითარების მეცნიერულ–ორგანიზაციული დონისძიებები. განსაზღვრულია დარგის ეკონომიკური პოტენციალი; დასახულია მისი აღორძინების დონისძიებები.

4.2. 6. ჩხარტიშვილი, ბ. კალანდაძე, მ. ხოსიტაშვილი, ნინო ჩხარტიშვილი – “საქართველო – დვინის აკვანი” (გვ. 72-99). სტატიაში გამახვილებულია ყურადღება პროდუქტების ქართულ წარმომავლობაზე; მის თავისებურებებზე, ტრადიციებსა და პერსპექტივებზე.

4.3. 6. ჩხარტიშვილი, დავით აბზიანიძე – “ქართული კონიაკები” (გვ. 100-106). სტატიაში საუბარია საქართველოში „კონიაკის“ გავრცელების ისტორიაზე; ქართველ მოღვაწეთა, მამულიშვილთა დიდ დვაწლზე; დარგში მოპოვებულ წარმატებებზე და განვითარების პოტენციალზე.

სულ საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნებულია 7 (შვიდი) შრომა.

5. კონსულტაციებისა და დანერგვის სფეროში გაწეული მუშაობიდან ეფექტური იყო სოფ. ვაჩნაძიანის (გურჯაანის რაიონი) წინა წელს სეტყვისაგან ძლიერ დაზიანებულ ვენახებში აკად. 6. ჩხარტიშვილის რეკომენდაციით გასხლეული ვენახებიდან პაზე მიღებული იქნა 4-5 ტონა ყურძენი; სრულყოფილად იქნა ადდგენილი ვაზის ფორმა და მოსავლიანობა.

6. საპატრიარქოს რადიოთი ორჯერ გადაიცა აკად. 6. ჩხარტიშვილის საუბარი მევენახეობა–მეღვინეობაში არსებულ აქტუალურ პრობლემებზე; სპეციალური რადიოსაუბარი მიეძღვნა ქვეყანაში ჯანსაღი ვაზის წარმოების პრობლემებს. საუბარი სოფ. ჯილდურის საბაზისო სანერგის მუშაობის მიზნებსა და ამოცანებზე. მისი მუშაობის პრინციპებზე, ქსელის გაფართოებისა და სრულყოფის აუცილებლობაზე.

7. სიმპოზიუმებში და სამეცნიერო–პრაქტიკულ კონფერენციებში მონაწილეობა. მონაწილეობა მიიღო ქ. თბილისში, საქართველოს განათლების სამინისტროს, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ერთობლივი საერთაშორისო სამეცნიერო–პრაქტიკული კონფერენციის მუშაობაში, რომელიც მიეძღვნა „ინოვაციური ტექნოლოგიები აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის“ პრობლემებს.

მოხსენება – „ქართული ვაზის სელექციური საღვინე ვაზის ჯიშები“ – დაიბეჭდაკონფერენციის შრომათა კრებულში.

8. მონაწილეობა მიიღო ქ. ბათუმში გამართულ „ოჯახური ლვინის“ ტრადიციული ფესტივალის და კონფერენციის მუშაობაში მოხსენებით – „აჭარის მევენახეობის ზონები, მიკროზონები და აგროტექნოლოგიის თავისებურებანი“, აჭარელ მევენახეებს დასახმარებლად გადაეცათ – „რეკომენდაციები“.

9. სმეხ აკადემიის აკადემიური საბჭოში მუშაობა: 9.1. მიმდინარე წლის დასაწყისში არჩეულია აკადემიური საბჭოს წევრად. მოამზადა და საბჭოზე წარადგინა მოხსენება თემაზე – „საქართველოში მევენახეობა–მეღვინეობის განვითარების შესაფასებლად პრიორიტეტების განსაზღვრის კონცეფტუალური ასპექტები“. იგი თანაავტორებთან ერთად დაიბეჭდა აკადემიის მოამბეში.

9.2. თანამომხსენებლის სტატუსით მონაწილეობა მიიღო მეტად აქტუალური პრობლემის „სეტყვა და მასთან ბრძოლის არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები“.

9.3. მომზადდა და აკადემიურ საბჭოს გადაეცა – „საქართველოს მევენახეობა–მედვინეობის არსებული მდგომარეობა, კონცეფტუალური პრიორიტეტული მიმართულებები და პერსპექტივები“.

9.4. აკადემიურ საბჭოს გადაეცა აგრეთვე წარმოებაში დასანერგი რეკომენდაციები, ტექნოლოგიები და ტექნიკური საშუალებები.

10. საზოგადოებრივი საქმიანობა: იაკობ გოგებაშვილის სახელობის საჯარო უნივერსიტეტში 2008 წლიდან არის აგრონომიული და სასურსათო ტექნოლოგიის სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი–საკალიფიკაციო საბჭოს წევრი.

არის „ქართული ენციკლოპედიის“ სოფლის მეურნეობის სარედაქციო კომისიის წევრი. რედაქტირება გაუკეთდა რამდენიმე სტატიას „გაზის ჯიშის“, „მევენახეობისა“ და სხვა სტატიებს.

აკად. 6. ჩხარტიშვილი არის:

- სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს წევრი (ნოემბერი, 2013წ.);
- საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის სამეცნიერო–საკონსულტაციო საბჭოს წევრი (ოქტომბერი, 2013წ.);
- არჩეულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეროვნულ კოორდინატორად მევენახეობა–მედვინეობაში;
- თანამშრომლობს საქართველოს მედვინეობის სააგენტოსთან საზოგადოებრივი ექსპერტის სტატუსით.

11. მიმდინარე წლის რთველთან დაკავშირებით რადიოთი გადაიცა აკად. 6. ჩხარტიშვილის რამოდენიმე შეფასებები რთველის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნდა საუბრის ჩანაწერი რთველთან დაკავშირებული სამთავრო ღონისძებების ეფექტიანობის თაობაზე.

12. არის სამეცნიერო პოპულარული ჟურნალის „აგრობიზნესის“ სამეცნიერო საბჭოს წევრი.

13. წინადადებები სოფლის მეურნეობაში გასათვალისწინებელი ღონისძებების შესახებ: – აუცილებელია, რომ სოფლის მეურნეობაში განვითარდეს კოოპერირება დაჩქარებული გზით. გათვალისწინებული უნდა იქნას დარგობრივი თავისებურებები; მაგალითად: წვრილი გლეხური, ფერმერული, ოჯახური მეურნეობები კოოპერაციაში გაერთიანდნენ საშუალო და მსხვილ კომპანიებთან ტერიტორიულ ფარგლებში – მეპარებად.

– ხელი უნდა შეეწყოს მაღალი კატეგორიის, ჯანსაღი უვირუსო ნერგის წარმოების გაფართოვებას.

აკადემიის სისტემაში განსახორციელებელი ღონისძიებები:

- დარგობრივ (მევენახეობა–მედვინეობის) საკორდინაციო ჯგუფში, საქართველოს მედვინეობის სააგენტოსთან ერთად მოსმენილი და განხილული იქნას ვაზისა და ღვინის შესახებ კანონში ცვლილებების პროექტი. ეს საკითხი შესაძლოა მოსმენილი იქნას აკადემიურ საბჭოს სხდომაზე;
- ასევე ერთობლივად მომზადდეს და მოსმენილ იქნას საკოორდინაციო ჯგუფში ქართული ვაზისა და ხილის ქართული გენოფონდის კვლევის, კონსერვაციის და დაცვის პრობლემა. შესაძლებელია საერთოდ სასოფლო–

სამეურნეო კულტურების ქართული გენოფონდის კონსერვაცია-დაცვის პრობლემაც იქნას მოსმენილი.

- გადაუდებელი ამოცანაა სასოფლო სამეურნეო სავარგულების მიწის ფონდის დაზუსტება;
- გადაუდებელი ამოცანაა მრავალწლიანი კულტურების აღწერა-პასპორტიზაცია;
- აკადემიურ საბჭოზე მოსმენილი უნდა იქნას აგრარული მეცნიერების გადარჩენისა და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების პრობლემები.

### 7.1.13. აკადემიკოსი გივი ცაგურიშვილი



ჩვენი ქვეყნის შესანიშნავი გარემო-კლიმატური პირობების მიუხედავად, რომელიც სოფლის მეურნეობის დარგის აღმავლობისა და განვითარების საიმედო საფუძველს იძლევა, დღემდე ვერ მოხერხდა მოსახლეობის საკუთარი წარმოების საკვებით უზრუნველყოფა. ამ უარყოფით მაჩვენებელს მრავალი ფაქტორი განაპირობებს, რომელთა შორის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია მეცნიერებასა და წარმოების მუშაკებს შორის საქმიანი კავშირის არარსებობა. ყოველგვარი ეჭვის გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ამ

ორ დანაყოფს შორის სანამ არ მოხდება დაახლოება და ურთიერთკავშირი, მანამდე დარგის აღმავლობა თითქმის შეუძლებელი იქნება. გამომდინარე აქედან, სახელმწიფომ მეცნიერებთან კავშირში ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში დაგროვილი უამრავი სასარგებლო მასალა გამოიყენოს წარმოებაში გასატანად და დასანერგად, პრაქტიკული რეალიზაციისათვის.

აგრარული დარგის მეცნიერების უპირველესი დავალებაა ფერმერები და წარმოების მუშაკები მოამარაგონ დარგობრივი აგროწესებით, რეკომენდაციებით, ბუკლეტებით და სხვა სახის მითითებებით, რომელიც მათ დაეხმარება ყოველდღიურ საქმიანობაში. ჩამოთვლილი პუბლიკაციებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აგროწესებს, სადაც დეტალურად გათვლილია ცალკეულ კულტურებზე ჩასატარებელი ღონისძიებანი დათესვიდან მოსავლის აღების ჩათვლით.

ადსანიშნავია, რომ დარგობრივი აგროწესები მზადდებოდა და სიახლის გათვალისწინებით იბეჭდებოდა 5-6 წელიწადში ერთჯერ და ეგზავნებოდა ცალკეული რაიონების მიხედვით წარმოების მუშაკებს სახელმძღვანელოდ. ამ საქმეს ხელმძღვანელობდა სოფლის მეურნეობის სამინისტრო. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ მებოსტნეობაში აგროწესები ბოლოს გამოიცა 1965 წელს,

მარცვლეულ კულტურებში 1981 წელს, ხოლო საკვებ კულტურებში 1986 წელს. ე. გ. შესაბამისად 43-32-27 წლის წინათ. უნდა ითქვას, რომ ათეული წლების წინ გამოცემული აგროწესები პრაქტიკულად აღარ არსებობს და იბადება კითხვა, რით სარგებლობენ და ხელმძღვანელობენ ფერმერები და აგრარულ დარგში დასაქმებული პიროვნებები. ცალკეულ კულტურათა მოსაყვანად? რომელთაც საამისო მასალა არ გააჩნიათ (შედეგი სახეზე გვაქვს: შეუწყნარებლად მცირე საშუალო საჰქმეტარო მოსავლიანობა).

გამომდინარე აქედან აკად. გ. ცაგურიშვილის მიერ მომზადებულია სიახლეების გათვალისწინებით „შესებული და შესწორებული “საკვები კულტურების აგროწესები” (60 გვ), რომელსაც თან ახლავს შესაბამისი დარგის სპეციალისტების მიერ დაწერილი საკვებ კულტურებზე გავრცელებული მავნებლები, დაავადებანი და მათ წინააღმდეგ ბრძოლის დონისძებანი (10 გვ).

საანგარიშო წელს აღნიშნული აგროწესები, აგრეთვე რეკომენდაციები „შეალედური კულტურები და მათი როლი წლის განმავლობაში ორი და მეტი მოსავლის მისაღებად“ და „აგრარულ დარგში მინდვრის კულტურებზე ჩასატარებელი დონისძიებების პუნქტობრივი ჩამონათვალი“, გადაეცა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დასაბუჭიდად.

სსმმ აკადემიის აკადემიურ საბჭოზე გაკეთდა მოხსენება თემაზე: „შეალედური კულტურების როლი სახნავი მიწის ინტენსიურად გამოყენების საქმეში“. ასეთივე მოხსენება მოსმენილი იქნა სსმმ აკადემიის აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების სხდომაზეც.

სსმმ აკადემიის პრეზიდენტის დავალებით შესრულდა სამუშაო, რომელიც ითვალისწინებდა მოსაზრების ჩამოყალიბებას საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აღდგენისა და ფუნქციონირების აუცილებლობის მნიშვნელობაზე.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის დისერტაციების დაცვის საბჭოს მიერ დანიშნული იყო რეცენზენტად აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ შრომაზე, რომლის დაცვა მოხდა მიმდინარე წლის 25 სექტემბერს.

ეროვნული კორდინატორის მოვალეობის შესაბამისად (მიწათმოქმედების მიმართულება), შედგენილია მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებული შვიდკაციანი ჯგუფი რეგიონების გათვალისწინებით, გაკეთებულია არსებული ჯგუფისათვის სასწავლო-საკონსულტაციო გეგმა პრაქტიკოსებისათვის კვალიფიკაციის ამაღლების თვალსაზრისით წარმოებაში გამოსაყენებლად.


მონაწილეობას დებულობს „საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების კონცეფციის“ მომზადებაში (ხელმძღვანელი აკად. ნ. ჭითანავა).

### 7.1.14. აკადემიკოსი ვალერიან ცანავა



1. 2013 წელს გრძელდებოდა მუშაობა სამეცნიერო-კვლევით თემაზე: “ნიადაგის ნაყოფიერების დონის შესწავლა, დიფერენცირებული განოყიერების სისტემის შემუშავება – დანერგვა” (თემის ხელმძღვანელი).
2. საანგარიშო წელს გამოქვეყნებული შრომები:
  - 2.1. “ძირითადი სუბტროპიკული კულტურები”. წიგნი “საქართველო-ჩვენი ფასეულობები”, თბილისი, 2013, გვ. 112-122;
  - 2.2. “სუბტროპიკული კულტურების განოყიერების აქტუალური საკითხები”. სსმმ აკადემიის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ინოვაციური ტექნოლოგიები აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის“, თბილისი, 3-4 ოქტომბერი, 2013 წელი. გვ.221-222;
- 3.2. გამოსაცემად მომზადდა სახელმძღვანელო “აგროქიმია” (თანაავტორები ა. ბაჯელიძე, შ. ლომინაძე); ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა;
- 3.3. “სასუქების გავლენა სუბტროპიკული კულტურების პროდუქტიულობისა და ნიადაგების ქიმიურ შემადგენლობასა და ნაყოფიერებაზე (გეოგრაფიული ქსელის მრავალწლიანი ცდების მონაცემები)”—(რუსულ ენაზე); რუსეთის აგროქიმიისა და აგრონიადაგმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები; სტატია მომზადდა გამოსაქვეყნებლად.
4. მონაწილეობა მიიღო კონფერენციებში:
  - 4.1. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ინოვაციური ტექნოლოგიები აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის“, თბილისი, 3-4 ოქტომბერი, 2013 წელი;
  - 4.2. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია “აგრარიკოს მეცნიერთა კვლევის შედეგების კომერციალიზაცია”, ქუთაისი, 28,29,30 ნოემბერი, 2013 წელი. მოხსენება: “სტევია-ეკოლოგიურად სუფთა კულტურა”.

### 7.1.15. სსმმ აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თამაზ თურმანიძე



2013 წელს თ. თურმანიძის სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობა მიმართული იყო კლიმატის ცვლილებით გამოწვეული სტიქიური მოვლენებისადმი აგროსაწარმოო სექტორის ადაპტაციისა და დარგისათვის საშიში ბუნებრივი მოვლენების შერბილების ღონისძიებების მეცნიერული საფუძვლების დამუშავებისაკენ.

აღნიშნული მიმართულებით საანგარიშო წელს განხორციელებულია შემდეგი კვლევითი და ოპერატიული სამუშაოები:

1. სავეგეტაციო პერიოდის სითბოთი უზრუნველყო-

ფისა და ტენიანობის პირობების გრძელვადიანი პროგნოზის შედგენა.

მეთოდს საფუძვლად უდევს აკად. თ. დავითაიას მიერ აღმოჩენილი კორელაციური კავშირი გაზაფხულზე პაერის დღედამური საშუალო ტემპერატურის  $10^{\circ}$  –ზე ზევით გადასვლის თარიღსა და სავეგეტაციო პერიოდში დაგროვილ აქტიურ ტემპერატურათა ჯამებს შორის. მეთოდი ემყარება შემდეგ კანონზომიერებას: გაზაფხულზე რაც უფრო ადრე გადადის პაერის დღე–დამური საშუალო ტემპერატურა  $10^{\circ}$  –ზე ზევით, მით უფრო გვიან დგება ტემპერატურის  $10^{\circ}$  –ზე ქვევით გადასვლა შემოდგომით, შესაბამისად მეტია სასოფლო–სამურნეო კულტურათა სითბოთი უზრუნველყოფის ალბათობა, უკეთესია სითბოს მოვარულ მცენარეთა ნაყოფის მომწიფების ხარისხი და გადაზამთრებისათვის მცენარეთა მომზადება.

აღნიშნული მეთოდით გათვლილი იქნა სავეგეტაციო პერიოდის მოსალოდნელი ხანგრძლივობა, ტემპერატურათა ჯამები და ატმოსფერული ნალექების საალბათო რაოდენობა ( $80\%$ –იანი უზრუნველყოფით).

იმის გამო, რომ  $10^{\circ}$  –ზე გადასვლა 2013 გვიან მოხდა, გაკეთდა დასკვნა, რომ მოსალოდნელი იყო შედარებით გრილი და უხვნალექიანი წელი, რაც დადასტურდა ფაქტიური მონაცემებით.

## 2. ზაფხულის სეზონის გვალვიანობის პროგნოზირება.

ზაფხულის გვალვის სეზონური პროგნოზირების მეთოდი შემუშავებულია აკად. წ/კ თ თურმანიძის მიერ (იხ. მონოგრაფია – „კლიმატი, სტიქია და სასურსათო უშიშროება“, 2010 წ.). მეთოდი საშუალებას იძლევა გაზაფხულზე, მაისის თვეში შევაღინოთ გვალვის ალბათობა და განვსაზღვროთ მისი ძირითადი შემადგენელი პარამეტრები – წყალმოთხოვნილება (EO), წყალმოხმარება (ევაპოტრანსპირაცია E<sub>mm</sub>), წყალმოხმარების დეფიციტი და სარწყავი ნორმები (EO-E) რაიონების მიხედვით.

პროგნოზის თანახმად, მიმდინარე წლის ზაფხული არ იყო გვალვიანი, პირიქით, გამოირჩეოდა უხვი ნალექებითა და წყალმოვარდნებით.

3. ზამთრის ყინვების გრძელვადიანი (სეზონური) პროგნოზირება – მეთოდი დამუშავებულია თ. თურმანიძის მიერ გასული საუკუნის 70–იან წლებში. იგი ემყარება ასინქრონულ კორელაციურ კავშირს შემოდგომის ამინდის ზოგიერთ მაჩვენებლებსა და ზამთრის ყინვების სიმკაცრეს შორის. მეთოდის თანახმად, რაც უფრო დაბალია ოქტომბრის თვის მინიმალური ტემპერატურა და რაც უფრო ადრე გადავა პაერის დღე–დამური ტემპერატურა  $5^{\circ}$  –ზე დაბლა, მით უფრო მკაცრი იქნება მოსალოდნელი ზამთარი. უახლოეს წარსულში ასეთი პროგნოზი შედგენილ იქნა 2011–2012 წლების ზამთრისთვის და იგი კარგად გამართლდა.

მიმდინარე წლის შემოდგომა გამოირჩეოდა ცივი და არამდგრადი ამინდით. ოქტომბრის მინიმალური ტემპერატურა დაეცა შიდა ქართლში  $0^{\circ}$  –მდე, თიანეთში  $-2^{\circ}$  –მდე, ახალციხეში შეადგინა  $-4^{\circ}$ , წალკაში  $-6^{\circ}$ , ხოლო ახალქალაქში  $-10^{\circ}$ . თ. თურმანიძის მიერ დამუშავებული ზამთრის ყინვების სეზონური პროგნოზის მეთოდით გათვლილი იყო 2013–2014 წლების ზამთრის მოსალოდნელი ყინვები საქართველოს ძირითადი რეგიონების მიხედვით, რამაც შემდეგი სურათი მოგვცა:

## საპროგნოზი გათვლები 2013–2014 წლების ზამთრისთვის:

1. შიდა ქართლი

$$\Delta = -0.38 + 0.26 \cdot 26 - 22.5 = -0.38 + 6.76 - 25.5 = -19.5^{\circ}$$

2. ჯავახეთის პლატო

$$\Delta = -0.04 \cdot 10 + 0.2 \cdot 5 - 28 = -0.7 + 1 + 28 = -28^{\circ}$$

3. ახალციხე

$$\Delta = -0.25 \cdot 4 + 0.33 \cdot 8 - 24.1 = -1 + 2.6 - 24.1 = -25^{\circ}$$

4. ქვემო ქართლი

$$\Delta = -0.5 \cdot 50 + 0.25 \cdot 30 - 20.6 = -2.5 + 7.5 - 20.6 = -16^{\circ}$$

5. კახეთი

$$\Delta = -0.5 \cdot 3 + 0.25 \cdot 30 - 20.6 = -1.5 + 7.5 - 20.6 = -15^{\circ}$$


6. იმერეთი და რაჭა ლეჩხეუმი

$$\Delta = -0.38 \cdot 5 + 0.26 \cdot 90 - 20.6 = -1.75 + 7.5 - 20.6 = -15^{\circ}$$

საანგარიშო წელს დამუშავდა საქართველოს აგრარულ მეცნიერებაში ახალი მიმართულების – აგროფიზიკის განვითარების საკითხი, რომელიც მოსმენილ იქნა აკადემიის აკადემიურ საბჭოს სხდომაზე.

აკად. წ/კ თ. თურმანიძემ მონაწილეობა მიიღო ორ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში თბილისში.

### 7.1.16. სსმმ აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გურამ კილასონია



აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. გურამ კილასონიას მეცნიერულ საქმიანობაში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია სუბტროპიკულ კულტურებზე, კერძოდ დამუშავებულია და დაინერგა წარმოებაში ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა კეთილშობილი დაფნის პლანტაციის გაშენების აგროტექნოლოგია; ასევე წლების განმავლობაში მრავალი ექსპერიმენტის ჩატარებით შესწავლილი აქვს გერანის, კვერცხლის, კამელიას, ლუფის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიის საკითხები, ციტრუსოვანი პიბრიდებიდან ეთეროვანი ზეთის გამოსავლიანობის გადიდების გზები და სხვა.

განსაკუთრებით დიდია მისი ღვაწლი ბამბუკის მოვლა-მოყვანის ინტენსიური ტექნოლოგიის დამუშავების საქმეში დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. პროფ. გ. კილასონია მიუთითებს თავის შრომებში, რომ ბამბუკი ძვირფასი და იაფფასიანი მერქნის მომცემი მცენარეა და ამიტომ უახლოეს პერსპექტივაში ბამბუკის ნარგავებმა უნდა დაიკავონ ხევები, მდარე დირსების ტყებურქენარების და სხვა კულტურებისათვის ნაკლებად გამოსაყენებელი ადგილები.

### 7.1.17. სსმმ აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ოთარ ლიპარტელიანი.



1. საანგარიშო წელს ო. ლიპარტელიანის უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით მუშავდებოდა თემა 1-03-04 „სიმინდის სელექცია და პირველადი მეთესლეობა საქართველოში“. დაწყება 1986 წელი, დამთავრება 2013 წელი (გარდამავალი).

თემა მუშავდება ორ პროექტი: 1.1. პროექტი №6 „საქართველოს ურწყავი შემადლებული და მთის ზონისათვის სიმინდის საადრეო და საშუალო საადრეო, სავეგეტაციო პერიოდი 90-105 დღე ჰიბრიდულისა და ჯიშების გამოყვანა და დანერგვა, რომელთა მარცვლის პოტენციალური მოსავალი იქნება 6-7 ტონა ჰექტარზე“.

1.2. პროექტი №7 „საქართველო სარწყავი და ტენით უზრუნველყოფილი ზონებისათვის სიმინდის საგვიანო და საშუალო საგვიანო ფორმების, სავეგეტაციო პერიოდი 120-130 დღე, ჰიბრიდულისა და ჯიშების გამოყვანა, რომელთა მარცვლის პოტენციალური მოსავალი იქნება 9-12 ტონა ჰექტარზე“.

თემა თავისი პროექტებით საქართველოს მიწათმოქმედების ინსტიტუტის მცხეთის სასელექციო სადგურის გაუქმებიდან 2006 წლის გაზაფხულიდან მუშავდებოდა 2012 წლამდე ინსტიტუტის ურწყავ ფართობზე და კერძო ნაკვეთზე მცხეთის რაიონის სოფელ სელექციაში.

2012 წლამდე თემის დამუშავებას ო. ლიპარტელიანთან ერთად ემსახურებოდა სამი უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორები) და ერთი ლაბორატორი. საანგარიშო წელს თემის მიხედვით კვლევა მიმდინარეობდა მხოლოდ კერძო სამ ნაკვეთზე. ყველა აგროტექნიკოლოგიური დონისმიერები – ნიადაგის დამუშავებიდან მოსავლის აღება-დაბინავებამდე და ის მეცნიერული პროცესები, რაც საჭიროა მცენარეთა აღმოცენებიდან – ბოტანიკური, ბიოლოგიური, ფიზიოლოგიური და სამურნეო ნიშან-თვისების აღრიცხვა ტარდება კერძო ხარჯებით.

თემის მიზანია გამოყვანილი იქნეს და დაინერგოს წარმოებაში სიმინდის უხვმოსავლიანი საადრეო და საშუალო საადრეო, საშუალო საგვიანო და საგვიანო სამარცვლე სასურსათო და საკვები მიმართულების, ხარისხიანი პროდუქციის მოცემი, ჩაწოლისა და დაავადებამავნებლების მიმართ გამდლე ინტენსიური ტექნოლოგიით მოყვანისადმი ხელსაყრელი ჰიბრიდული ჰიბრიდები და ჯიშები.

თემის მიზანია აგრეთვე გამოყვანილი, დანერგილი და ჰერსპექტიული ჰიბრიდული მეთესლეობა.

თემის მიხედვით წლების განმავლობაში ჩატარებული კვლევითი მუშაობის შედეგად გამოყვანილი და დანერგილია წარმოებაში სიმინდის 9 ჰიბრიდი და 1 ჯიში, რომლებიც სტანდარტთან შედარებით 0,7-1,2 ტონით მეტ მოსავალს იძლევიან საშუალოდ ჰექტარზე მარცვალში. აქედან 3 ჰიბრიდი და 1 ჯიში დანერგილია უცხოეთშიც. ჰიბრიდმა „ენგურმა“ უზბექეთში 24 ტონა მოსავალი უჩვენა საშუალოდ ჰექტარზე მარცვალში. გარდა ამისა, 2012 წელს საქპატენტს

გადაეცა 2 მარტივი ხაზთაშორისი ჰიბრიდი – “წილკანი-1”, “წილკანი-2” და 1 სინთეტიკური ჰიბრიდი “ბექა”, რომლებიც სტანდარტულ ჰიბრიდებს 1-1,8 ტონით აღემატებიან საშუალოდ პექტარზე მარცვალ ში. მიმდინარე საანგარიშო წელს საქაბერძნებს გადაეცა კიდევ 2 მარტივი ხაზთაშორისი ჰიბრიდი “კახურა” და “საბა”. ეს ორი ჰიბრიდი და გასულ წელს დაპატენტებული “წილკანი-1” არის უნივერსალური მიმართულების, როგორც სამარცვლე, ასევე სასურსათო და ისინი რეკომენდებულია როგორც სარწყავი, ასევე დასავლეთ საქართველოს დაბლობი რაიონებისათვის.

**კვლევის აგროტექნიკა.** ცდები განლაგებული იყო ნასიმინდარზე, ნიადაგის მზრალად მოხენა ჩატარდა 2012 წლის ნოემბერში. 2013 წლის 7 აპრილს მოეწყო თესვისწინა კულტივაცია დაფარცხვით. სელექციური ცდები დაითესა 24 აპრილს. საკონკურსო, წინასწარი და საკონტროლო გამოცდები დაითესა სიხშირით: საგვიანო და საშუალო საგვიანო ფორმები 52 ათასი მცენარე პექტარზე, ხოლო საადრეო და საშუალო საადრეო ფორმები 62 ათასი მცენარე პექტარზე. თესვა ჩატარდა პუნქტირებული წესით – ხელით. ბუდნაში ჩაითესა 2 მარცალი და აღმოცენების შემდეგ დატოვებული იქნა თითო მცენარე. ნათესების პირველი თოხნა ჩატარდა 20 მაისს, ხოლო მეორე თოხნა 9 ივნისს. მორწყვა მოეწყო სამჯერ” 1. ყვავილობის დაწყებამდე, 2. ყვავილობის დამთავრების შედმებ და 3. რძისებრ სიმწიფის პერიოდში.

**ცდის ტექნიკა და მეთოდიკა.** საკონკურსო გამოცდა მოეწყო 10 კვ.მ. დანაყოფზე, სამ განმეორებაში. წინასწარი ჯიშთა გამოცდები დაითესა 10 კვ.მ. დანაყოფზე, ორ განმეორებაში. საკონტროლო ჯიშთა გამოცდა დაითესა 5 კვ.მ. დანაყოფზე, ორ განმეორებაში. დანარჩენი სანერგებები ხაზების და საკოლექციო დაითესა სამ კვ.მ. დანაყოფზე, განმეორების გარეშე. თესვა ჩატარდა საგვიანოების და საშუალო საგვიანოების 70X30სმ, ხოლო საადრეოების და საშუალო საადრეოების 70X27 სმ.

კვლევით მუშაობაში გამოყენებული იყო სელექციის ძირითადი მეთოდები: გამორჩევა, ჰიბრიდიზაცია, ინცუხტი და სიბსური სელექცია. ჰიბრიდების მისაღებად წყვილთა შერჩევა და ინცუხტი მიმდინარეობდა ფიზიოლოგიური და ანალიზური მეთოდით, ხოლო ჰიბრიდების მიღება – მარტივი ხაზთაშორისი, ჯიშხაზური და სამხაზოვანი დაწყვილებით. მშობლიური ფორმების გამორჩევას ვაწარმოებდით სასურველი ხარისხობრივი და რიცხობრივი ნიშან-თვისებების მცენარეთა თვითდამტკერით და სიბსური გამრავლებით. სელექციის საწყის მასალად გამოყენებულია სიმინდის ადგილობრივი ჯიშები, მათგან მიღებული ხაზები და უცხოური ფორმები მსოფლიო კოლექციიდან. გამოცდის შედეგები შეფასებულია ტარო-მარცვლის ბოტანიკური მაჩვენებლების, ხოლო სამუშარნეო მონაცემები ხმელი მარცვლის წონით დანაყოფზე. მოსავლის აღება – აღრიცხვა და დამუშავება მიმდინარეობდა ჯიშთა გამოცდის მეთოდიკის მიხედვით.

**კლიმატური პირობები.** აპრილის პირველი ნახევარი და მაისის მეორე ნახევარი ხასიათდებოდა უხვი ნალექებით. ასევე ნალექიანი იყო ივნისის და ივლისის პირველი ნახევარი. ივლისის მეორე ნახევარი და აგვისტო მთლიანად იყო გვალვიანი. სელექციური ცდების ნათესების დროული მორწყვით შენარჩუნებული იქნა მცენარეთა ნორმალური ზრდა-განვითარება.

პირველი პროექტის მიხედვით ჩატარებული ცდები 2013 წელს.

ცხრილი 1

№	ცდის დასახელება	ნომრების რიცხვი	ცდის ფართობი, კვ.მ.
1	საკოლექციო სანერგე	30	90
2	პერსპექტიული ხაზების სანერგე	202	606
3	საკონტროლო ჯიშთა გამოცდა	6	60
4	წინასწარი ჯიშთა გამოცდა	6	120
5	საკონკურსო ჯიშთა გამოცდა	11	330
6	პიბრიდული სანერგე	2	6000
	ჯამი	<b>257</b>	<b>12206</b>

პროექტის მიხედვით კვლევა ჩატარდა ექვს ცდაში, სადაც ისწავლებოდა 257 ნომერი 12206 კვ.მ. ფართობზე. სელექციურ ცდებში მცენარეთა განვითარება ნორმალური იყო. ცხრილ 2-ში მოტანილია პირველი პროექტის მიხედვით საკონკურსო გამოცდის შედეგები.

ცხრილი 2

№	გამოცდილი ნომრების დასახელება	ხმელი მარცვლის მოსავალი ტ/ჰა	გადახრა სტანდარტიდან		საეგებაციო დღეთა რიცხვი
			ტ/ჰა	%-ში	
1	(ქ.ქ.44Xმო.17)	5,9	+0,4	107	121
2	(ქ.ქ.44Xვირ.44)	7,3	+1,8	132	118
3	(ქ.ქ.44Xბი.37)	6,7	+1,2	122	117
4	(ვირ.44Xლაფსკ.9)	4,9	-0,6	90	115
5	(მო.17Xვირ.44)	6,6	+1,1	120	115
6	(ლაფსკ.9Xმო.-17)	6,9	+1,4	126	115
7	ქართ. 9. სტ.	5,5	±0,0	100	110
8	კაჭ. თეთრი	4,8	-0,7	81	107
9	კაჭ. ქვითელი	4,0	-1,5	73	110
10	ბექა	7,2	+1,7	131	114

იცდებოდა 10 ნომერი, მათ შორის 7 მარტივი ხაზთაშორისი პიბრიდი, 1 სინოებიკური და 2 ჯიში. სტანდარტად აღებული იყო «ქართული 9 », რომელსაც ჩამორჩა 1 მარტივი ხაზთაშორისი პიბრიდი და 2 ჯიში. მათ შორის ყველაზე მაღალი მოსავალი უჩვენა მარტივმა ხაზთაშორისმა პიბრიდმა (ქართ.კრ.Хვირ.44), რომელმაც აჯობა სტანდარტას 1,8 ტონით საშუალოდ ჰქექტარზე. მეორე ადგილზე გამოვიდა სინოეტიკი « ბექა », აჯობა სტანდარტს 1,7 ტონით საშუალოდ ჰქექტარზე მარცვალში. უკეთესი პიბრიდების შესწავლა გაგრძელდება მომავალ წელს.

პირველი პროექტის მიხედვით წინასწარ ჯიშთა გამოცდაში ისწავლებოდა 6 ნომერი. სტანდარტად აქაც აღებული იყო « ქართული-9 ». როგორც მოსავლიანობით, ასევე სხვა დადებითი თვისებებით გამოირჩა 2 ნომერი, რომლებიც მომავალ წელს გამოიცდებიან საკონკურსო ჯიშთა გამოცდაში. საკონტროლოში იცდებოდა 11 ნომერი, სტანდარტთან შედარებით მაღალი შეფასება დაიმსახურა 5 ნომერმა, ეს უკეთესი ნომრები გამოიცდება მომავალ წელს წინასწარ ჯიშთა გამოცდაში. საკოლექციო და სელექციურ სანერგეში ისწავლებოდა 232 ნომერი, სადაც უკეთეს მცენარეებზე ჩატარდა თვითდამტვერვა და სიბსური გამრავლება, სულ მიღებული იქნა ხელოვნურად 245 ტარო, რომლებიც მომავალ წლებში გამოყენებული იქნება შესაბამის ცდებში და სანერგებში.

პროექტზე პირველადი მეთესლეობის მიზნით მოეწყო ორი საიზოლაციო ნაკვეთი, სადაც მიღებული იქნა მარტივი ხაზთაშორისი პიბრიდის წილკანი-2 და სინოეტიკი ბექას პირველი თაობის თესლი 1,5 ტონა.

### პროექტი 2-ის მიხედვით მოწყობილი ცდები 2013 წელს ცხრილი 3

№	ცდის დასახელება	ნომრების რიცხვი	ცდის ფართობი, კვ.მ.
1	საკოლექციო სანერგე	61	383
2	პერსპექტიული ხაზების სანერგე	222	666
3	საკონტროლო ჯიშთა გამოცდა	6	60
4	წინასწარი ჯიშთა გამოცდა	7	140
5	საკონკურსო ჯიშთა გამოცდა	21	630
6	პიბრიდული სანერგე	3	10000
<b>ჯამი</b>		<b>320</b>	<b>12019</b>

შესაბამისად პროექტისა, კვლევა ჩატარდა 6 ცდაში, სადაც ისწავლებოდა 320 ნომერი 2019 კვ.მ. ფართობზე.

მეორე პროექტის მიხედვით საკონკურსო გამოცდის შედეგები მოტანილია ცხრილში 4.

ცხრილი 4

№	გამოცდილი ნომრების დასახელება	სმელი მარცვლის მოსავალი ტ/ჰა	გადახრა სტანდარტიდან		სავაგეტაციო დღეთა რიცხვი
			ტ/ჰა	%-ში	
1	(ქ. კო. 44X მო. 17)	9,7	-0,3	97	121
2	(აჭ. ოქთორ ქ. შალ)	9,1	-0,9	91	134
3	(3.31N 27X აჭ. ოქთორ)	9,6	-0,4	96	134
4	(ქ. კო. 44X ბი. 73)	12,7	+2,7	127	126
5	(ბი. 73X კო. 44)	14,2	+4,2	142	122
6	(ქ. კო. 44X ბი. 47)	12,2	+2,2	122	127
7	(ქ. კო. 44X ბი. 18)	9,7	-0,3	97	128
8	(ბი. 73X ქ. კო. 44)	9,8	-0,2	98	126
9	(3-31 N 27X ქ. კო. 44)	11,2	+1,2	112	126
10	ენგური სტანდარტი	10,0	±0,0	100	124
11	(აბ. ყვ. 30X მო. 17)	13,4	+3,4	134	124
12	(ბი. 73X ბი. 18) საბა	14,2	+4,2	142	127
13	პაპალაშვილი 3	8,1	-0,9	81	136
14	იმერული პიბრიდი	7,8	-2,2	78	136
15	აბაშური ყვითელი	7,1	-2,9	71	126
16	ქართული კრუბი	8,1	-1,9	81	129
17	აჯამეთის თეთრი	7,9	-2,1	79	132
18	წილკანი-1	13,3	+3,3	133	126
19	წილკანი-2	12,4	+2,4	124	122
20	(3006.-20X აჭ. ოქთ. -2) კახურა	12,9	+2,9	129	128
21	ქართული კრუბი მლ.	9,4	-0,5	94	126

როგორც ცხრილიდან ჩანს, გამოცდილი ნომრებიდან სტანდარტ  
« ენგურთან » შედარებით პირველ ადგილზე გამოვიდა მარტივი ხაზთაშორისი

ჰიბრიდული « საბა » (ბი-73Хიმ-18), რომელმაც სტანდარტს აჯობა 4,2 ტონით საშუალოდ ჰქექტარზე მარცვალდაში. იმავე მონაცემებით აჯობა სტანდარტს მარტივმა ხაზთაშორისმა ჰიბრიდმა (ბი-73Хვირ-44). მეორე ადგილზე გამოვიდა « წილკანი-1 », აჯობა სტანდარტს 3,4 ტონით საშუალოდ ჰქექტარზე მარცვალდაში. მესამე ადგილზეა ახალი ჰიბრიდი « კახურა » თეთრმარცვლიანი, აჯობა სტანდარტს 2,9 ტონით საშუალოდ ჰქექტარზე მარცვალდაში. საკონკურსო გამოცდაში სტანდარტს ჩამორჩა მოსავლიანობით 11 ნომერი, 10 ნომერი კი უკეთესი აღმოჩნდა სტანდარტთან შედარებით. უკეთესი ფორმები ხელმეორედ გამოიცდებიან მომავალ წელს საკონკურსოში. პროექტის მიხედვით წინასწარ ჯიშთა გამოცდაში ისწავლებოდა 13 ნომერი. აქაც სტანდარტი იყო « ენგური ». სტანდარტთან შედარებით უკეთესი აღმოჩნდა 5 ნომერი, რომლებმაც სტანდარტს აჯობა 1,4 ტონით ჰქექტარზე მარცვალდაში. ეს უკეთესი ჰიბრიდი მომავალ წელს გამოიცდება საკონკურსო ჯიშთა გამოცდაში. საკონტროლოში ისწავლებოდა 6 ნომერი. აქ უკეთესია 2 ნომერი, რომლებიც მომავალ წელს გამოიცდებიან წინასწარ ჯიშთა გამოცდაში. პერსპექტიული ხაზებისა და საკოლექციო სანერგეში ისწავლებოდა 435 ნომერი, სადაც ყვავილობის დაწყებამდე ჩატარდა უკეთესი მცენარეების გამორჩევა და მათზე მოეწყო თვითდამტვრვა და სიბსური გამრავლება. მიღებულია ხელოვნურად 280 ტარო. ამ მასალის გამოყენება ჩატარდება მომავალ წლებში შესაბამის ცდებში.

სულ თემის მიხედვით მოწყობილი იყო 12 გამოცდა, სადაც ისწავლებოდა 577 ნომერი 24225 კვ.მ. ფართობზე. პერსპექტიული ჰიბრიდების მიზნით მიღებულია 4 ჰიბრიდის პირველი თაობის და სინთეტიკური ჰიბრიდის 4,2 ტონა თესლი.

## **2. საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნებულია შემდეგი შრომა:**

2.1. „ძირითადი მარცვლეული და მარცვალ პარკოსანი კულტურები“ – საქართველო ჩვენი ფასეულობები – სოფლის მეურნეობა, თბილისი, 2013 წელი;

სტატიაში მოცემულია საქართველოში დარაიონებული ძირითადი მარცვლეული და პარკოსანი კულტურების ჯიშების დახასიათება და მათი მოვლა-მოყვანის მეცნიერეული ტექნოლოგიები.

2.2. „საქართველოს და მის უძველეს კუთხეს – სვანეთს უმრავლოს მსგავსი მეცნიერები“. სსოფნა უკვდავებაა თავად, თბილისი, 2013წ.

„მარცვლეული კულტურების სელექციის, მეთესლეობის, მოვლა-მოყვანის დღევანდელი მდგრმარეობა საქართველოში და მისი გაუმჯობესების გზები“ – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის “მოამბე”, №32, 2013წ.

შრომაში მოტანილია საინტერესო მასალები მარცვლეული კულტურების სელექციის მეთესლეობის, მოვლა-მოყვანის დღევანდელ მდგრმარეობაზე და მისი გაუმჯობესების დონისძიებები. ქართული ხაზთაშორისი ჰიბრიდული სიმინდი მაღალი მოსავლის საფუძველია; – „საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები – ინოვაციური ტექნოლოგიები აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის“, თბილისი, 2013წ.

ო. ლიპარტელიანის ხელმძღვანელობით მომზადებული და გადაცემული იქნა საგრანტო პროექტი ქერის კულტურაზე, სადაც მოტანილია მასალები სალუდე და სასურსათო ქერის ახალი ჯიშების წარმოებაში დანერგვაზე.

**წინადადებები:** სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენს ქვეყანაში მოიშალა სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა გენეტიკა, სელექცია, მეთესლეობისა და ნერგის წარმოების სისტემა. კატასტროფის წინაშეა საქართველოს ბუნებისა და მეცნიერების მიერ დიდი შრომით გამოყვანილი კულტურულ მცენარეთა ჯიშები და პიბრიდები, გაქრობის საფრთხეშია კულტურულ მცენარეთა და ცხოველთა უნიკალური ენდემური ფორმები. იმისათვის, რომ გადავარჩინოთ, შევინახოთ და მათ საფუძველზე გამოვიყვანოთ ახალი მაღალპროდუქტიული ჯიშები და პიბრიდები, აუცილებელია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო კულტურათა და ცხოველთა დაცვისა და გამოყენების საკორდინაციო ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს აგრეთვე ახლის მოძიებას, გამრავლებას, შენახვას და წარმატებით გამოყენებას.

### 7.1.18. სსმმ აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თენგიზ ურუშაძე



1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობას. თემა: „აქართველოს ნიადაგების მონაცემთა ბანკის შექმნა“ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის გრანტი;
2. სასწავლო პროცესი: დისციპლინა „ნიადაგ-მცოდნეობა“, საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში;
3. 2013 წლის სტატიები და კონფერენციები
  - 3.1. თ. ურუშაძე, თ. ქვრივიშვილი, ე. სანაძე – „დასავლეთ საქართველოს ნიადაგები და ახალი საერთაშორისო კლასიფიკაცია“ - ი. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი -II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. „ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება“, შრომათა კრებული, თბილისი, 2013, გვ. 457-460.

3.2. თ. ურუშაძე, თ. ურუშაძე, დ. ხომასურიძე – „საქართველოს ძირითადი ნიადაგები და ნიადაგური საფარი“ - ა.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-კონფერენცია. „ინოვაციური ტექნოლოგიები და თანამედროვე მასალები“, შრომათა კრებული, ქუთაისი, 2013 (ინგლისურად), გვ. 225-227.

3.3. თ.ურუშაძე, თ.ურუშაძე, თ. ქვრივიშვილი, რ.კახაძე – “ყომრალი ნიადაგების ზოგიერთი მაჩვენებლის ცვლა მთავარი სარგებლობის ჭრის გავლენით აჭარის წიფლნარებში” - საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია. მიძღვნილი პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის დაარსების 60 წლისთავისადმი და მისი პირველი დირექტორის, მეცნიერების გამოჩენილი ორგანიზაციის ვასილ ლომინაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი, „პიდრომეტეოროლოგიისა და ეკოლოგიის აქტუალური პრობლემები“, შრომათა კრებული, თბილისი, 2013 წელი, გვ. 278-281.

3.4. თ.ურუშაძე. თ.ურუშაძე, დ.ხომასურიძე, ნ.ნიკოლეიშვილი - „საქართველოს ნიადაგები მათი დაცვის პრობლემები“ - ბათუმის ბოტანიკური ბაღის დაარსებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, ”ფლორისა და მცენარეულობის მრავალფეროვნება, მცენარეთა სელექცია და მცენარეთა დაცვა“, შრომათა კრებული, ქ. ბათუმი საქართველო, 2013, გვ. 312-314.

3.5. თ. ურუშაძე, თ ქვრივიშვილი – “ყვითელმიწა ეწერი ნიადაგების კორელაცია ნიადაგის რესურსების მსოფლიო მონაცემთა ბაზის საფუძველზე” - საერთაშორისო კონფერენცია „კოლხეთის დაბლობის წყლის ეკოსისტემები-დაცვა და რაციონალური გამოყენება“ შრომათა კრებული, თბილისი, 2013, გვ. 63-65.

3.6. თენგიზ ურუშაძე, თეო ურუშაძე, დ. ხომასურიძე, ნ. ნიკოლეიშვილი - “საქართველოს ნიადაგები როგორც ბიომრავალფეროვნების საფუძველი” - საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ტყეების მდგრადი მართვის თანამედროვე გამოწვევები კავკასიაში”, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, თეზისების კრებული, 2013, გვ. 61-63.

3.7. ურუშაძე თ. ფ., ურუშაძე თ. თ., ხომასურიძე დ. რ. - **ПОЧВЫ ГРУЗИИ: СОСТОЯНИЕ, ПРОБЛЕМЫ И ПЕРСПЕКТИВЫ**, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „მოლდოვას - შავმიწები - განვითარება, დაცვა და ნაყოფიერების აღდგენა“ მიძღვნილი ინსტიტუტის დაარსების 60 წლისთავთან დაკავშირებით, შრომათა კრებული, მოლდოვა, ჩიხინაუ, 2013, გვ. 351-353.

3.8. თ. ფ. ურუშაძე, თ. ო. კვრივიშვილი - **О КОРРЕЛЯЦИИ ГОРНО-ЛУГОВЫХ ЧЕРНОЗЕМОВИДНЫХ ПОЧВ ИФАЙОЗЕМОВ В ГРУЗИИ**, Национальный аграрный университет Армении, “международная научная конференция, проблемы продовольственной обеспеченности и биоразнообразия”, Международный научный журнал „Известия“, Армении, 2013, ст.21-23.

3.9. თენგიზ ურუშაძე, თ ქვრივიშვილი – “საქართველოს ანდოსოლების ზოგადი დახასიათება”, - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი - სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „აგრარიკოს მეცნიერთა პვლევის შედეგების კომერციალიზაცია“, შრომათა კრებული, ქუთაისი, 2013, გვ. 23-31.

3.10. თენგიზ ურუშაძე, თ. ქვრივიშვილი – “აღმოსავლეთ საქართველოს ნიადაგები და მათი გეოეკოლოგიური თავისებურებანი”, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიხეილ ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი, საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია, მიძღვნილი გეოფიზიკის ინსტიტუტის დაარსების 80 წლისთავისადმი “გეოფიზიკის აქტუალური პრობლემები”, თბილისი, 2013, გვ.

3.11. თენგიზ ურუშაძე, თამარ ქვრივიშვილი, ეკა სანაძე - საქართველოს ნიადაგური რესურსების მსოფლიო მონაცემთა ბაზის გამოყენების გამოცდილება. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, მიხეილ საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიის და მელიორაციის ინსტიტუტი - სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ნიადაგმცოდნეობაში, თბილისი, 2013.

3.12. საერთაშორისო კონფერენცია კიევში - OPEN-AIR MUSEUM OF SOILS”

3.13. თემურაზ ანდრონიკაშვილი, თენგიზ ურუშაძე - ბუნებრივი ცეოლიტები-ჯადოსნური ქვები. მეცნიერება და კულტურა, 1, 2013, 31-43.

3.14. ქმილ წერეთელი, თენგიზ ურუშაძე, ომარ ქუცნაშვილი, გიორგი გაფრინდაშვილი - საქართველოში ბუნებრივი სტიქიური კატასტროფებისა და გეოლოგიური გარემოს ანთროპოგენური ტრანსფორმაციის მასშტაბები და საშიშროების რისკი XXI საუკუნეში, მეცნიერება და კულტურა, 11, 2013, 40-58.

#### 4. სახელმძღვანელოები

4.1. „ნიადაგების კლასიფიკაცია“, თსუ, 2013. განხილულია ნიადაგების კლასიფიკაციის საკითხები; მათ შორის ზოგადი ცნება, კლასიფიკაციის განვითარების პერიოდები, კლასიფიკაციის თანამედროვე სისტემები, მსოფლიოს ნიადაგური ბაზა - გასაღები, ობიექტები, დიაგნოსტიკური ჰორიზონტები, ნიშნები და სუსტრატები, მსოფლიოს ნიადაგური ჯგუფების დახასიათება, თანამედროვე ანალიზების მოკლე მიმოხილვა, ტერმინთა ლექსიკონი.

4.2. „გამოყენებითი ეკოლოგიის საფუძვლები“ (ლ. მაჭავარიანთან ერთად), თსუ, 2013. განხილულია გარემოს დაცვის, ბუნების დაცვის და ბუნებათსარგებლობის ცნებების ურთიერთკავშირი; პირველი ნაწილი ეხება ეკოლოგიის საფუძვლებს, მეორე ნაწილი - გარემოს კომპონენტებს, ხოლო მესამე ნაწილი - გარემოს დაცვის მექანიზმებს.

5. აკადემიის წ/კ თ. ურუშაძე არის საქართველოს ნიადაგთცოდნეთა სახოგადოების პრეზიდენტი; იუნესკოს პროგრამის ”ადამიანი და ბიოსფერო“ საქართველოს ნაციონალური კომიტეტის პრეზიდენტი; ასოციაცია ”ძელქვას“ პრეზიდენტი; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიის აკადემიურ საბჭოსთან არსებული ეკოლოგიური უსაფრთხოების კომისიის თავმჯდომარე.

6. აკადემიის წ/კ თ. ურუშაძე არის საერთაშორისო ჟურნალ „Annals of Agrarian Science“ მთავარი რედაქტორი;

ჟურნალი “Chemical & Environment research” (ინდოეთი) - რედკოლეგიის წევრი 2005 წლიდან;

ჟურნალი “Archives of Agronomy and Soil Science” (გერმანია) - რედკოლეგიის წევრი 2010 წლიდან

ჟურნალი “Metteilungen der Deutschen Dendrologischen Gesellschaft” (გერმანია) - რედკოლეგიის წევრი 2008 წლიდან.

ჟურნალი “Mediterranean Soils Ecosystems” (თურქეთი) – რედკოლეგიის წევრი 2001 წლიდან;

ჟურნალი „Chilean Journal of Agricultural & Animal Science“ (Cile) - რედკოლეგიის წევრი 2011 წლიდან;

ჟურნალი “Annals of the State Agrarian University of Armenia” (სომხეთი) - რედკოლეგიის წევრი 2003 წლიდან;

ჟურნალი „გაგასიის გეოგრაფიული ჟურნალი“ - რედკოლეგიის წევრი 2002 წლიდან;

ჟურნალი „მეცნიერება და კულტურა“ – თანარედაქტორი;

### 7.1.19. სსმ აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ოთარ ლორჯომელაძე



I. აგრძელებს მუშაობას პრობლემაზე: “ეროზიული პროცესების შესწავლა სხვადასხვა სავარგულების ქვეშ და ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების ღონისძიებანი,, 631,459 (ნიადაგის ეროზია) და 631,45 (ნიადაგის ნაყოფიერება). ცნობილია, რომ შიდამთიანი აჭარა ხასიათდება მთა-გორიანი, გორაკ-ბორცვიანი რელიეფით, ციცაბო ფერდობებითა და უხევნალექიანობით, დომინირებს წვრილ ნაკვეთიანობა. სწორედ მცირე მიწიანობის გამო მოსახლეობა იძულებულია ერთწლოვანი სათოხნი კულტურების (სიმინდი, კარტოფილი, თამბაქო, და სხვ.) ქვეშაც კი გამოიყენოს 30-35 გრადუსით და უფრო მეტად დახრილი ფერდობები. სწორედ ამ და სხვა მიზეზთა გამო გააქტიურებულია ეროზიული პროცესები, წლითი-წლითით მატულობს სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან (სარგებლობიდან) გამოსული და “მიგდებულ-მიტოვებული” ფართობების რაოდენობა. აღნიშნულიდან გამომდინარე მოსახლეობისა და

რეგიონების ინტერესების გათვალისწინებით, კვლევის ამოცანას შეადგენს შემდეგი (სათანადო) საკითხების შესწავლა: а) ეროზიული პროცესების შედეგად ხმარებიდან გამოსული მიწების გამოვლენა-აღრიცხვის, მათი დაკარგული ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესებისა და სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში კვლავ ჩართვის ღონისძიებების შემუშავება; ბ) სიდერაცია, მულჩირება და ნიადაგის ნაყოფიერებასთან დაკავშირებული სხვა მეთოდების შესწავლა-დანერგვა, ნაყოფის მომცემი ხე და ბუჩქოვანი მცენარეების რიგთაშორისებში; გ) კულტურული თხილის ბიო-ეკოლოგია, გავრცელება და მოვლა-მოყვანის პირობებზე დაკვირვება-შესწავლა შიდამთიან აჭარაში (ხულოს რაიონი, სოფ. ღურტა).

აღნიშნულ პრობლემაზე მუშაობა მიმდინარეობს 1978 წლიდან – მოსკოვის მ.ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის მ.ნ. ზასლავსკისა და დოცენტ შ. გვაზავას ხელმძღვანელობით, ხოლო 1989 წლიდან სამუშაოს ასრულებს ო. ლორჯომელაძე, დამოუკიდებლად.

II. დისციპლინებში: “მსოფლიო ნიადაგების საფარის სტრუქტურა”, “ნიადაგის ეროზია და დაცვა”, “ეროზიათმცოდნები”, “მიწათმოქმედების საფუძვლები” – 2002 წლიდან 2011 წლამდე ლექციები იკითხებოდა ო. ლორჯომელაძის მიერ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტში, ხოლო ამჟამად - აჭარის კოოპერაციულ ინსტიტუტში.

III. 2013 წელს გამოქვეყნებულია და გამოსაცემად გადაეცა შემდეგი სტატიები:

3.1. “ეროზიული პროცესების გამოვლინებისა და ნიადაგწარმოქმნასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხების შესწავლის შესახებ”; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის “მოამბე”, №32.

ნაშრომში განხილულია ეროზიული პროცესების გამოვლინების, ეროზიის შედეგად ნიადაგის დანაკარგების აღრიცხვისა და მისი ნაყოფიერების შემცირების გზების შესახებ.

3.2. “ეროზიული პროცესების გამოვლინება ზემო იმერეთის მდინარეთა აუზებში”. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის “მოამბე”, №32.

მთა-გორიანი, გორაკ-ბორცვიანი და უხვნალექიანი რეგიონის პირობებში გაანალიზებულია ნიადაგის დანაკარგების მექანიზმი, მისი აღრიცხვის შედეგები და სასოფლო-სამეურნეო კულტურათა გავლენა ნიადაგის ჩამორეცხვაზე - ზემო იმერეთის მდინარეთა აუზებში.

3.3. “სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ქვეშ არსებული მიწების ეროზიული საშიშროების შეფასება და ნიადაგდამცავი ღონისძიებები”. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის “მოამბე”, №32;

ნაშრომში ასახულია მასალები მიწების ეროზიული საშიშროების შეფასებასთან და ნიადაგდამცავ (ეროზიასაწინააღმდეგო) ღონისძიებებთან დაკავშირებით.

3.4. “საქართველოს მელიორაციული ფონდის მიწების ეროზიული საშიშროების შეფასება ნიადაგდამცავ ღონისძიებებთან დაკავშირებით”. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის “მოამბე”, №32;

ნაშრომში განხილულია ქვეყნის მელიორაციული ფონდის ტერიტორიების (მიწების, ფართობების) შესახებ მასალები ეროზიული საშიშროების

პროგნოზირებასთან და ნიადაგის ეროვნისაგან დამცავ საშუალებებთან დაკავშირებით.

3.5. “მცენარეული საფარის როლი ეროვნის აღკვეთისა და ნიადაგდაცვის საქმეში”. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის “მოამბე”, №32;

სტატიაში ასახულია მცენარეული საფარის იმ უდიდესი და ფასდაუდებელი წვლილის თაობაზე, რასაც ისინი ასრულებენ და შეუძლიათ შეასრულონ ფერდობების ჩამორეცხვისაგან დასაცავად.

3.6. “მიწების ეროვნიული საშიშროების მცენარეული საფარის შეფასების მეთოდიკა”. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის “მოამბე”, №32;

ნაშრომში გადმოცემული და ოღწერილია მიწების ეროვნიული საშიშროების მოსალოდნელი პროგნოზირებისა და ეროვნის თავიდან აცილების შეფასების მეთოდიკასთან დაკავშირებული ასპექტები.

3.7. “შიდამთიანი აჭარის რელიეფი და სამიწათმოქმედო პრობლემები”. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია “ინოვაციური ტექნოლოგიები აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის”. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2013.

ნაშრომში ასახულია შიდამთიანი აჭარის (ქედის, შუახევის, ხულოს) რელიეფური, ოროგრაფიული, ჰიდსომეტრიული, ნიადაგობრივი, კლიმატური პარამეტრები და ფერდობ მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემები.

3.8. “ნიადაგის (მიწის) ეროვნისაგან დაცვა და მაღალეფებზე გამოყენება დროის მოთხოვნაა”. საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია “ინოვაციური ტექნოლოგიები აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის”. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2013;

კონფერენციაზე წარდგენილ მოცემულ მასალაში სამთო (ფერდობი) მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული სიძნელეები, ეროვნისაგან ნიადაგებისა და ნათეს-ნარგაობების დაცვის აქტუალური საკითხები.

3.9. Земельный фонд Аджарии: Экологическое состояние и защита почв Аджарии. Электронный научно – производственный журнал «АгроЭко Инфо», М. №1

სტატიაში განხილულია მასალები აჭარის მიწის ფონდის, ეკოლოგიური მდგრამარეობისა და ნიადაგის დაცვასთან დაკავშირებით.

3.10. О борьбе с эрозионными процессами на террасированных склонах Аджарии.

Электронный научно – производственный журнал «АгроЭко Инфо», М. №1

ნაშრომში ასახულია აჭარის ტერასირებულ ფერდობებზე განვითარებულ ეროვნიულ პროცესებთან ბრძოლის გარკვეული კონკრეტული მასალები. პრაქტიკული დონისძიებები.

3.11. Горни, морской, экологические и другие виды туризма перспективные направление развития экономики Аджарии. Электронный научно – производственный журнал «Агро эко инфо», М. №1

ნაშრომში მოცემულია აჭარის მოსახლეობის ეკონომიკურ დაწინაურებასთან დაკავშირებული ხედვები და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების პერსპექტივები.

გარდა ამისა, უურნალ “კვალში,, და უურნალ“Agroekoimfo”-ში (ქ. მოსკოვი) გამოსაცემად გადაცემულია 5 სტატია:

1. აჭარის ეროზირებული ტერიტორიების აღდგენა-გაუმჯობესება და სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში კვლავ ჩართვის აუცილებლობა;

2. საქართველოს ნიადაგების და ნიადაგური საფარის თანამედროვე მდგომარეობა;

3. Оприменении универсального уравнения потери почв от эрозии в Аджарии.

4. Восстановление плодородия смытых разной степени почв внутригорной Аджарии.

5. Защита почв от эрозии – основа экологической обезопасности для Аджарии.

IV. ნიადაგის ეროზიასთან ბრძოლის ღონისძიებების მეცნიერებლი საფუძვლები (მონოგრაფია), ბათუმი, 1997 წ. აჭარის კომპერაციული ინსტიტუტის გამომცემლობა “მეცნიერება”.

500 გვერდიან ნაშრომში განხილულია ნიადაგის ეროზიის გამოწვევა პირობებთან, საწინააღმდეგო ღონისძიებებთან და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესებასთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხები.

V. ო. ღორჯომელაძის ხელმძღვანელობით ბათუმის რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის 4 სტუდენტმა დაიცვა სადიპლომო ნაშრომი: 1. კაკლოვანი კულტურების (კაკალი, თხილი) გავრცელება შიდამთიან აჭარაში და ნიადაგის ეროზია; 2. ჩაისა და სუბტროპიკული კულტურებისათვის ახალი ფართობების ათვისება შიდამთიან აჭარაში; 3. ხურმის გავრცელება შიდამთიან აჭარაში და ნიადაგის ეროზია; 4. მდინარე აჭარის წყლისზემო წელის აუზის ნიადაგები და მათი დაცვა ეროზიისაგან.

VI. ა) “შიდამთიანი აჭარის რელიეფი და სამიწაომოქმედო პრობლემები”. საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია- “ინოვაციური ტექნოლოგიები აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის”. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აცადემია, თბილისი, 2013 წ.

ნაშრომში ასახულია შიდამთიანი აჭარის (ქედის, შუახევის, ხულოს) რელიეფური, ოროგრაფიული, ჰიდრომეტრიული, ნიადაგობრივი, კლიმატური პარამეტრები და ფერდობ მიწაომოქმედებასთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემები.

ბ) “ნიადაგის (მიწის) ეროზიისაგან დაცვა და მაღალეფებზე გამოყენება დროის მოთხოვნაა”. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია- “ინოვაციური ტექნოლოგიები აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის”. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აცადემია, თბილისი, 2013 წ.

კონფერენციაზე წარდგენილ მოცემულ მასალაში ასახულია სამთო (ფერდობი) მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული სიძნელები, ეროზიისაგან ნიადაგებისა და ნათეს-ნარგაობების დაცვის აქტუალური საკითხები.

VIII. სსმმ აკადემიის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 17 სექტემბრის სხდომაზე წარდგენილია მოხსენება თემაზე: “ნიადაგის ეროზიისაგან დაცვა და ეროზირებული ნიადაგების ამაღლების დონისძიებები შიდამთიან აჭარაში”.

IX. აჭარის კოოპერაციული ინსტიტუტის გამომცემლობა “შეცნიერება”-ს მთავარი რედაქტორის მოადგილე; საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი “კვალი”-ს სარედაქციო კოლეგიის წევრი.

XII. ხანგრძლივი (1978 წლიდან) სამეცნიერო-კვლევითი, საწარმოო, ლაბორატორიული და ლიზიმეტრული კვლევების (საქმიანობის საფუძველზე) შემუშავებულია და წარმოებას გადაეცა 4 რეკომენდაცია: 1. ნიადაგის ეროზიისაგან დაცვა და ეროზირებული ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლების დონისძიებები შიდამთიან აჭარაში; 2. სათიბ-საძოვრების ნაყოფიერების გაუმჯობესება, როგორც ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალება ზემო აჭარაში; 3. ეროზირებული მიწების ნაყოფიერების ამაღლება და მათი ათვისების შესაძლებლობა ჩაის კულტურის ქვეშ; 4. გადარეცხილი მიწების ნაყოფიერების ამაღლების დონისძიებები თამბაქოს კულტურის ქვეშ.

XIII. სტიქიური ბუნებრივი პროცესების საშიშროების შემცირების, გეოეკოლოგიური წონასწორობის აღდგენის მიზნით საჭიროა გატარდეს შემდეგი დონისძიებები:

1. დამუშავდეს მთის რაიონების ტერიტორიებისათვის ბუნებრივი რესურსების დატვირთვის ნორმატიული კრიტერიუმები და საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს თანდათანობითი ხელოვნური განტვირთვა ჭარბი მოსახლეობისაგან. ამის საჭირებას ითხოვს არა მარტო ის ტერიტორიები, რომლებიც ამჟამად იმყოფებიან სტიქიური პროცესების აქტიური ზემოქმედების სფეროში, არამედ პოტენციურად საშიში ფართობები და აგრეთვე მიწის ის სავარგულები, რომელთა ნიადაგური საფარი მთლიანად ეროზირებულია;

2. დღემდე ეროზიის, მეწყერების, ღვარცოვების და თოვლზვავების საწინააღმდეგო მიმართულებით მცირე მოცულობის ლოკალურმა დონისძიებებმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. საჭიროა დაიწყოს ტერიტორიის გაჯანსაღების გადაუდებელი პროფილაქტიკური დონისძიებები, რათა მიწის დამანგრეველ პროცესებს არ მიეცეთ გააქტიურების საშუალება;

3. დამუშავდეს რაიონული და შიდა სამეურნეო მიწათმოწყობის პროექტები;

4. გაძლიერდეს ბუნების სტიქიური მოვლენების ტენდენციებსა და ადამიანის საქმიანობის გარემოში წარმოქმნილ ცვლილებებზე გეომონიტორინგული დაკვირვებები;

5. დამუშავდეს ბუნების სტიქიური პროცესებისაგან ტერიტორიის საინჟინრო დაცვის და ბუნებათსარგებლობის კომპლექსური რეგიონული სქემა, რაც საშუალებას იძლევა მიზნობრივად წარიმართოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოქლე და გრძელვადიანი პროგრამების რეალიზაცია.

მრავალი წლის მანძილზე წარმოებული კვლევა-ძიების საფუძველზე შედგენილია და აკადემიის აკადემიურ საბჭოში წარდგენილია რეკომენდაციები;

საჭიროა ამ მოთხოვნათა გათვალისწინება და ამის შესაბამისად ნიადაგდამცავი სამთო მიწათმოქმედების სისტემების დანერგვა. ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა-ამაღლება, მისი მოვლა-პატრონობის გაუმჯობესება, დაცვა ეროზიული და სხვა უარყოფითი მოვლენებისაგან, დარღვეული ფართობების რეკულტივაცია, მიწების მელიორაცია, ქიმიზაცია, კომპლექსური სამთო მექანიზაცია, ნიადაგის განვითარებისა და კულტურათა მოვლა-მოყვანის აგროწესებით გათვალისწინებული მოთხოვნების უცილობელი დაცვა და ა.შ. რაც მოგვცემს საშუალებას იმისას, რომ ე.წ. მიტოვებული და ეროზირებული მიწები კვლავ ჩაერთოთ სასოფლო-სამეურნეო (ადამიანთა სასარგებლო) ბრუნვაში, ამით კი სოფელს დაფუძრუნებთ იმ ტრადიციულ და ისტორიულ მისიას, როდესაც სოფელი მის მიერ წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით და სურსათით იკავოფილებდა საკუთარ თავსაც და ნამეტი (ჭარბი) პროდუქცია გასაყიდად თუ ბარტერზე გასაცვლელად გაპქონდა სამრეწველო ცენტრებსა და ქალაქებში.

XIV ა) ეთერზეთოვანი ვარდი, შიდამთიანი აჭარის გადარეცხილ ფერდობებზე, ეკონომიკური სარგებლიანობა და ნიადაგის დაცვა ეროზისაგან;

ბ) შიდამთიანი აჭარის ფერდობებზე, ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების წარმოება და ნიადაგის ეროზისაგან დაცვა.

#### 7.120. სსმმ აკადემიის წევრ-კორესპონდენტი რეზო ჯაბნიძე



##### 1. სამეცნიერო თემატური გეგმით გათვალისწინებული კვლევები:

1.1. სამეცნიერო თემატური გეგმიდან გამომდინარე აკადემიის წ/კ რ. ჯაბნიძე მუშაობდა შემდეგ საკითხებზე: „ლიმონის გამორჩეული ფორმების შესწავლა აჭარის პირობებში“.

**ანოტაცია:** ლიმონის პერსპექტიული ფორმების შესწავლა-გამოვლენის და მათი ბიომეტრიული მაჩვენებლის დამუშავების მიზნით, დაკვირვებები ტარდებოდა 2012-2013 წლებში ქობულეთისა და ხელვაჩაურის ფერმერულ და საკარმიდამო ნაკვეთებში. შესწავლითა დამუშავების გავლენა ლიმონ „მეივრის“ახალი ფორმების მოსავლიანობაზე, მათი პროდუქტიულობისა და რეგენერაციული უნარის ამაღლების მიზნით. სიახლეა ისიც, რომ ინტენსიური ტექნოლოგიის კომპლექსში ჩართულია საორგანიზაციო-სამეურნეო ღონისძიებები და ეკონომიკური საკითხები, რომელიც მიმართულია დარგის ორგანიზაციისა და მართვის ძირები გაუმჯობესებისათვის.

##### 12. „ძაკლის კულტურის ზრდა-განვითარების თავისებურებანი აჭარაში“.

**ანოტაცია:** ნაშრომის მეცნიერული სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ ისწავლეობდა ინტროდუცირებული კაკლის სხვადასხვა ჯიშების ზრდა-

განვითარებისა და მოსავლიანობის საკითხები აჭარის პირობებში. ცდები ტარდებოდა 2012-2013 წლებში მცენარის მსხმოიარობაზე, ვეგეტაციური და გენერაციული ორგანოების ზრდის დინამიკაზე და ნაყოფების ტექნიკურ მახასიათებლებზე. დაკვირვებები გაგრძელდება 2014 წელს.

## 2. სახელმძღვანელო ან სხვა სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა.

ა) 2013 წელს მომზადებულია და გამოცემულია სახელმძღვანელო: „სუბტროპიკული ტექნიკური კულტურები”, რომელიც განკუთვნილია აგრარული დარგის სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სტუდენტების, სოფლის მეურნეობაში მომუშავე მეცნიერების, სპეციალისტებისა და ამ დარგით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის. ISBN 978-9941-429-50-7;

ნაშრომი ნაბეჭდი სახით წარმოდგენილია 405 გვერდზე და აერთიანებს 42 სახელწოდების კულტურას. სუბტროპიკული ტექნიკური კულტურების შესწავლის ობიექტია საქართველოში გავრცელებული სუბტროპიკული და ტროპიკული წარმოშობის ისეთი ტექნიკური მცენარეები, რომელთა ცალკეული ორგანოები, ან მათგან მიღებული პროდუქცია, გამოიყენება სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგში. ნაშრომში გაერთიანებული სუბტროპიკული ტექნიკური კულტურები მათი შესწავლის გაადგილების მიხედვით განხილულია შემდეგი თანმიმდევრობით:

1. **ეთერზეთოვანები** – რომელთა ამა თუ იმ ნაწილის გადამუშავების შემდეგ მიღებული ეთერზეთები გამოიყენება პარფიუმერია კოსმეტიკაში, ფარმაკოლოგიაში, კვების მრეწველობაში და სხვა, რომელთაც მიეკუთვნება: კეთილშობილი დაფნა, ვარდისებრი გერანი, ევენოლის რეპანი, ეთერზეთოვანი ვარდი, მსხვილყვავილა ჟასმინი, როზმარინი, უნაბი, ლავანდი, ქაფურის ხე, პაჩული, აკაცია, ხარისფარდა, კვლიავი, სურნელოვანი ია და სხვა;

2. **ცხიმზეთოვნები** – რომელთა ცხიმზეთები გამოიყენება ლაქ-საღებავების მრეწველობაში. მათ მიეკუთნება: ტუნგის ხე, ლაქის ხე, მელია, ქაფურის ხე, საპნის ხე და სხვა.

3. **სართავები ანუ ბოჭკოვანები** – რომლებიც იძლევიან საფეიქრო მრეწველობისათვის ვარგის ბოჭკოს. ასეთებია: ახალზელანდიური სელი, დრაცენა, თეთრი რამი, აგავა, იუკა, კენაფი, რამი, კანაფი, ჯუთი და სხვა.

4. **მერქნოვანი ტექნიკური მცენარეები** – ბამბუკი, ეკვადიპტი, კაუჩუკის ხე, კორპის მუხა, გუდაპერჩის ხე და სხვა.

5. **სამკურნალწამლო მცენარეები** – ხისებრი ალოე, თირკმლის ჩაი, კალენდულა, კატაბალახა, ცხრატყავა, სვია, პასიფლორა, კალანხოა, სტევია, კატაბალახა, ოლეანდრა, მიწავაშლა, მსხვილყვავილა მაგნოლია და სხვა.

3. **საზღვარგარეთ და საქართველოს რეცენზირებად საერთაშორისო და ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სია:**

1. მეჩაიერბის სექტორში არსებული სირთულეები და მათი გადაჭრის გზები - საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია მიძღვნილი, ბათუმის ბოტანიკური ბაღის დაარსებიდან 100 წლისთავისადმი. ქ. ბათუმი, 8-10 მაისი, 2013;

2. აჭარის ავტომომიურ რესპუბლიკაში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების არსებული მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“ 3(50). თბილისი, 2013 წ.

3. ჩინური აქტინიდიის ზრდა-განვითარებისა და მოსავლიანობის თავისებურებანი აჭარის სუბტროპიკულ ზონაში - რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. ქუთაისი. 28-29 მაისი, 2013 წ.

4. Стевиа перспективная культура для Грузии - Международная Конференция, Г. Ганджа (Азербайджан) 2013 г.

5. ციტრუსოვანთა ნარგაობის აღდგენა-განახლების აქტუალური საკითხები ადრემწიფადი და უხვმოსავლიანი ჯიშების გაშენებით - მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გორი 15-16 ნოემბერი, 2013 წ.

6. კლიმატის გლობალური ცვლილებების გავლენა სასოფლო-სამეურნეო კულტურების გავრცელების არეალზე აჭარაში - სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია - „ინოვაციური ტექნოლოგიები აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის“. 3-4 ოქტომბერი, 2013 წ. ქ. თბილისი.

7. აჭარის სოფლის მეურნეობაში არსებული დონის ანალიზი და პრიორიტეტული მიმართულებები - საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „აგრარიკოს მეცნიერთა კვლევის შედეგების კომერციალიზაცია“ შრომათა კრებული. 28-30 ნოემბერი, 2013 წ. ქ. ქუთაისი.

8. აჭარის რეგიონში გავრცელებული უმთავრესი სამკურნალო მცენარეები და მათი მნიშვნელობა სახალხო მეურნეობაში - თურქეთის რესპუბლიკა, ქ. ართვინი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „international caucasian forestry symposium“. 24-26 ოქტომბერი, 2013 წ. Artvin, Turkey.

9. აჭარის ისტორიაში პირველად რვა ქალბატონს- აგრარულ მეცნიერებაში მიენიჭა აკადემიური დოქტორის ხარისხი - სამეცნიერო საინფორმაციო ჟურნალი „აგრარული საქართველო“ 11. 2013 წ.

#### 4. საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციები

1. ოურქეთის რესპუბლიკა. ქ. სტამბული, „თურ აფის“ კონგრეს ცენტრი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. 4-7 აპრილი. 2013 წ.

2. საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია მიძღვნილი ბათუმის ბოტანიკური ბაღის დაარსებიდან 100 წლისთავისადმი. ქ. ბათუმი, 8-10 მაისი, 2013;

3. რესპუბლიკური სამეცნიერო- პრაქტიკული კონფერენცია. ქუთაისი. 28-29 მაისი, 2013 წ.;

4. Стевиа перспективная культура для Грузии - Международная Конференция, Г. Ганджа (Азербайджан) 2013 г.

5. მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გორი 15-16 ნოემბერი, 2013 წ.

6. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ინოვაციური ტექნოლოგიები აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის“. 3-4 ოქტომბერი, 2013 წ. ქ. თბილისი.

7. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „აგრარიკოს მეცნიერთა კვლევის შედეგების კომერციალიზაცია“ შრომათა კრებული. 28-30 ნოემბერი, 2013 წ. ქ. ქუთაისი.

8. თურქეთის რესპუბლიკა, ქ. ართვინი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „International caucasian forestry symposium~. 24-26 octomberi, 2013 w. Artvin, Turkey.

**5. სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა, სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების რედაქტორობა და რეცენზირება**

- 2013 წლიდან აკადემიის წ/კ რ. ჯაბინძე არის გულადი თხილაიშვილის სადოქტორო ნაშრომის: „აჭარის აგრარული პროდუქციის საგარეო ბაზარზე გასვლისა და დამკვიდრების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე“ -მეცნიერ ხელმძღვანელი;

- პროფესორ შოთა ლამპარაძისა და ბონდო თუთბერიძის მონოგრაფიის: „ციტრუსოვანთა საძირეების სელექცია“ რედაქტორი, ასევე რეცენზენტი პროფესორ რომან მარგალიტაძის დამხმარე სახელმძღვანელოს - „ჩაის მოვლა-მოყვანისა და სარეაბილიტაციო მანქანათა სისტემა“. ა. გორელოვის სახელმძღვანელოს (თარგმანი ქართულ ენაზე) „ეკოლოგია“ - რეცენზენტი;

- არჩეული იყო საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის საორგანიზაციო კომისიის წევრად, რომელიც ჩატარდა ქ. ქუთაისში 2013 წლის 30-31 მაისს, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში;

- ბათუმის ბოტანიკური ბაღის დაარსების 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით იყო საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციის, სელექცია-მემცნარეობის სექციის თავმჯდომარე და სარედაქციო კომისიის წევრი.

## **6. გრანტები და მიზნობრივ პროგრამებში მონაწილეობა.**

ა) მონაწილეობა აქვს მიღებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2013 წლის მიზნობრივი პროგრამის №02-20/213 პროექტში, სადაც პროფესორ შოთა ლამპარაძესთან ერთად წარდგენილია პროექტი: ”აჭარის სუბტროპიკული ზონაში არსებულ ციტრუსოვანთა პლანტაციებში ბიოლოგიურად მობერებული მცენარეების აღწერის და მათი განახლების ღონისძიებები”, რომელიც მიეკუთვნება თანამედროვე ტექნოლოგიების დემონსტრირების კატეგორიას;

**პრობლემის აქტუალურობა:** დღეისათვის აჭარაში მწვავედ დგას მეცნიტრუსეობის საკითხი, რის გამოც პირველ რიგში უნდა ჩატარდეს ბიოლოგიურად მობერებული მცენარეების მონიტორინგი, რადგანაც საწარმოო ბალების დიდი ნაწილი 80 წელზე მეტი ხნისაა, ხოლო მაშინ როცა მცენარე სრულმოსავლიანობას 50 წლამდე ინარჩუნებს, შემდეგ მსხმოიარობა და ნაყოფის ხარისხი თანდათან უარესდება. ამას მცენარის ბიოლოგიური, ჯიშური თვისებები, აგროტექნიკის დონე და გარემოს არახელსაყრელი ფაქტორები განაპირობებს;

კვლევის მიზანი: ამ პრობლემის გადასაჭრელად მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საწარმოო პლანტაციებში ციტრუსოვანთა კულტურების ამორტიზირებულ მცენარეთა აღრიცხვა და რეკომენდაციების მიწოდება ჯიშთგანახლებასთან დაკავშირებით;

**კვლევის მოსალოდნელი შედეგები და დასკვნები:** ეკონომიკური თვალსაზრისით პროექტი მომგებიანია, რასაც გაანგარიშებაც ადასტურებს. ამორტიზირებული მცენარეები ჰქექტარზე საშუალოდ იძლევა 6-7 ტონა ნაყოფს, ახალგაზრდა (25 წლის) კი 30 ტონას, რაც ყოველწლიურად ფერმერებისა და კერძო მესაკუთრეებისათვის მნიშვნელოვანი დამატებითი მოგების მოცემა შეუძლია.

## 7. საგანმანათლებლო პროგრამები და სასწავლო სილაბუსები

ა) არის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის, აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (საბაკალავრო) საგანმანათლებლო ხუთწლიანი პროგრამის „აგრონომია“, ხელმძღვანელი. (აკადემიური საბჭოს დადგენილება №75.1306.11);

ბ) არის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის, აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის (დოქტორანტურა) საგანმანათლებლო ხუთწლიანი პროგრამის „აგროტექნოლოგია“ ხელმძღვანელი. (აკადემიური საბჭოს დადგენილება №86.15.06.2013.);

გ) აღნიშნული პროგრამების ფარგლებში მომზადებულია ექვს საგანაში სილაბუსები: „სუბტროპიკული კულტურები“, „სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის ინტენსიური ტექნოლოგია“, „სუბტროპიკული ტექნიკური კულტურები“, „კონტინენტალური მეხილეობა“, „მექაიკობა“, „სასოფლო სამეურნეო კულტურების აგროტექნოლოგია“.

8. აკადემიის წ/კ რ. ჯაბნიძე არჩეულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარედ. საბჭოს მიზანმიმართული მუშაობით 2013 წელს სადოქტორო დისერტაციები დაიცვა 13-მა დოქტორანტმა, სადაც სპეციალიზებული სხდომის თავმჯდომარეებად, საბჭოს გადაწყვეტილებითა და რექტორის ბრძანებით ინიშნებოდნენ და სხდომებს უძღვებოდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი აკადემიკოსი ელგუჯა შაფაქიძე, საქართველოს ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სრული პროფესორი ვანო პაპუნიძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ჯემალ კაციტაძე, აფხაზეთის ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, ბიოლოგ. მეცნ. დოქტორი პროფ. ზაურ ლომთათიძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი, ტექნიკის აკადემიური დოქტორი ზაურ ფუტკარაძე, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სრული პროფესორი ოთარ შაინიძე და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე სრული პროფესორი რეზო ჯაბნიძე.

სადისერტაციო ნაშრომების მეცნიერული სიახლისა და საზოგადოების დიდი დაინტერესების გამო მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჩამოვთვალოთ თითოეული ცალკალქები.

გიული ბერიძე. თემა: „აჭარისა და ართვინის ვილაიეთის სუბტროპიკული ზონის აგროცენოზთა ალგოფლორის სისტემატიკა და ეკოლოგიური ასპექტი“;

მირანდა წეროძე. თემა: “ფიტოფაგი მწერების ეკოლოგიური თავისებურებანი და მათი პათოგენი სოკოები აჭარის სუბტროპიკულ ზონაში”;

მზიური გაბაიძე. თემა: „ხორბლის ნაცრის გამომწვევი პათოგენის ვირულენტური სტრუქტურა საქართველოში“;

მირანდა გორგილაძე. თემა: „ფორთოხლის წვენის ნატურალობის მახსინათებელი პარამეტრების დადგენა და მათი განსაზღვრის მეთოდიკების შემუშავება“;

ნათელა დუმბაძე. თემა: „ჩაის პლანტაციების მძიმედ გასხვლის სამანქანო ტექნოლოგიისა და ტექნიკური საშუალებების დამუშავება მცირე ენერგეტიკის ბაზაზე“;

ლამზირი გორგილაძე. თემა: „ხორბლის სილაქავეების გამომწვევთა პოპულაციების სახეობრივი და შიდასახეობრივი სტრუქტურა საქართველოში და სელექციისათვის საწყისი მასალის შერჩევა“;

ფირუზა ვარშანიძე. თემა: „ფერდობებზე თხილის მოსავლის კრეფა მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით“;

ცისანა ცეცხლაძე. თემა: “ქერის ნაცრის გამომწვევის ლუმერია graminis DS. f.sp.Hordei Marchal შიდასახეობრივი დიფერენციაცია საქართველოში”; აროშიძე ნანი. თემა: „ტოპინამბურის (მიწავაშლას - Helianthus tuberosus L.) საქართველოში ინტროდუცირებული ჯიშის შესწავლა და ფრუქტოზად გადამუშავების ტექნოლოგია“;

რუსლან დავითაძე. თემა: „აჭარის დაცული ტერიტორიების ტყის მცენარეულობა (მრავალფეროვნება, ტიპოლოგია, ეკოლოგია)“;

ფადიგო აბუსელიძე. თემა: „მცირე სიმძლავრიანი სათიბელების მოდერნიზაცია ახალი ტიპის მჭრელი აპარატის გამოყენებით“;

არჩილ ძირკვაძე. თემა: „აჭარისა და ართვინის ვილაეთის ტყის შემქმნელი ძირითად ფორმაციებში ბუნებრივი განახლებისა და აღმონაცენ მოზარდის ფორმირების თავისებურებანი“;

სოსო მეფარიშვილი. თემა: „ხორბლის სეპტორიოზის განვითარების ხერხები საქართველოს პირობებში“.

**9. მონაწილეობდა სხვადასხვა კომისიების, საბჭოებისა და საზოგადოებრივ საქმიანობაში**

- არჩეულია: ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალის ”ეკონომიკა“, სარედაქციო კოლეგიის წევრად. ქ. თბილისი;

- პერიოდულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ ”ხანძთა“-ს რედაქოლების წევრად;

- სომხეთის აგრარული უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად;

- აზერბაიჯანის აგრარული უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად;

- საქართველოს დაცული ტერიტორიების, მტირალას ეროვნული პარკის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრად;
- ენციკლოპედია ”აჭარა”, სარედაქციო კოლეგიის წევრად;
- ურნალ „აგრარული საქართველოს“ რედკოლეგიის წევრად;
- საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის აგრარულ საკითხთა კომისიის წევრად;
- ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე, აგრონომიის პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელად;

- დამტკიცებულია სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტზე სუბტროპიკული კულტურების მიმართულებით ორი სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელად:

1. „ჩაის ახალი სელექციური ფორმების (59, 62, 102) შესწავლა, სამეურნეო და აგრობიოლოგიური ნიშან-თვისებების შეფასება“, მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი-სოფლის მეურნეობის დოქტორი.

2. „აქტინიდიის (კივი) მცენარის ზრდა განვითარების, პროდუქტიულობისა და გამრავლების საკითხები“. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი-სოფლის მეურნეობის დოქტორი;

2013 წლის 26 ივლისს - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში, აკადემიის საბჭოს სხდომაზე წარდგენილია მოხსენება: „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების არსებული მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები“ ;

2013 წელს არჩეულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და თვითმმართველობის საკითხთა კომისიასთან არსებული სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭოს წევრად და ფერმერული მეურნეობის განვითარების, ფერმერთა სწავლება კონსულტირების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის ხელმძღვანელად;

2011-2013 წწ. რ. ჯაბნიძის მიერ გაკეთებულია გამოხმაურებები დოქტორანტების მამუკა გოგელიას, მირანდა წეროძის, ნათელა დუმბაძის, მიქაელ სანტოროსიანის (ერევანი), ვლადიმირ გუკალოვის (მოსკოვი) და ალი აკბარ ლალინიას (ბაქო) სადოქტორო დისერტაციებზე;

აკადემიკოს მამია გოგოლიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავის (16. 09. 1914) საიუბილეო ღონისძიების და კონფერენციის ჩატარებისათვის შემუშავებულია გეგმა-პროგრამა, რომლის განხილვა მოხდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით საჭიროა წინადადებით შესვლა აჭარის მთავრობაში და ქობულეთის რაიონის საკრებულოში.

აქტიურად თანამშრომლობს პრესასთან, სხვადასხვა გაზეთებში და ურნალებში ვაქვეყნებ სტატიებს და ინტერვიუებს

დამსახურება და ჯილდოვები:

- დაჯილდოებულია: ღირსების ორდენით;
- იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედლით და საპატიო სიგელით;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით;
- ხელვაჩაურის რაიონის საკრებულოს გადაწყვეტილებით რ. ჯაბნიძეს მიენიჭა ხელვაჩაურის რაიონის საპატიო მოქალაქის წოდება;

-ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგრარული და საინჟინრო დეპარტამენტის სხდომის გადაწყვეტილებით წარდგენილია უნივერსიტეტის საუკთხესო პროფესორის წოდებაზე.

**აკადემიის წევრ-კორესპონდენტის რეზო ჯაბნიძის რეკომენდაციები  
„აჭარის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების თაობაზე“.**

მრავალწლიანი პრაქტიკული მუშაობისა და ჩატარებული სამეცნიერო გამოკვლევების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს ძირითადი დასკვნები გამომდინარე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საკითხის აქტუალურობიდან:

1. აჭარის, როგორც ტურისტული რეგიონისათვის და ბუფერული ზონისათვის განსაკთორებული მნიშვნელობა ენიჭება სურსათის უკნეობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის მიზნით სახელმწიფო კონტროლის გაძლიერებას, რომელიც წარმოადგენს ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ეკონომიკური ინტერესების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გარანტს. შესაბამისად მიზანშეწონილია აჭარაში შეიქმნას რესპუბლიკის სურსათის სააგენტო, რომლის უფლებამოსილებებში არ შევა სურსათის უკნეობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით განსაზღვრული ისეთი უფლება-მოსილებები, რომელსაც ერთიან ეროვნულ რეჟიმში ახორციელებს ეროვნული სააგენტო;

2. დღეისათვის ჩაის კულტურის ქვეშ აჭარაში ირიცხება 3500 პექტრამდე ჩაის პლანტაცია, საიდანაც საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს საკუთრებაშია 2050 პექტარი, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საკუთრებაში კი 1450 პექტარი. მეჩაიერების დარგის აღორძინებისათვის და აღნიშნული მიმართულებით საინვესტიციო პროექტების განვითარებისათვის მიზანშეწონილია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების გადმოცემა აჭარის ა/რ საკუთრებაში;

3. ხორციელდება რეგიონში არსებული ჩაის ნარგაობების პასპორტიზაციის ჩატარება ჯიშური შემადგენლობის, ასაკობრივი მდგომარეობის და საკუთრების ფორმის გათვალისწინებით. კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების მიზნით ჩაის წარმოებისა და გადამუშავების ერთი მესაკუთრის ხელში მოქცევა. სამუშაოთა წარმოების პირველ ეტაპზე მეჩაიერების რეაბილიტაციაში მონაწილეობანიზაციების განთავისუფლება გადასახადებისაგან და შემოსული თანხების მოხმარების დარგის კვლავწარმოებისათვის;

4. 2011 წელს აჭარაში ამოქმედდა პირველი უახლესი ტექნოლოგიებით გაშენებული ციტრუსის სადემონსტრაციო ნაკვეთი, რომელიც მოიცავს ციტრუსის ათამდე პერსპექტიულ ჯიშებს. ვინაიდან აღნიშნული სანერგე მეურნეობა გათვლილია ძირითადად სუბტროპიკულ ზონაში არსებული ამორტიზებული ბალების განახლებაზე და მოსახლეობაში არსებული ციტრუსის ჯიშების ადრემწიფადი და უხვმოსავლიანი ჯიშებით ჩანაცვლებაზე, მიზანშეწონილია სანერგე მეურნეობა მიუერთდეს სამინისტროს აგროსერვისცენტრს, რომლის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად სფეროს წარმოადგენს აღნიშნული მიმართულება. მეციტრუსების შემდგომი აღორძინება-განვითარება, კულტურათა მეცნიერებლი საფუძვლების ახლებურ დამუშავებას მოითხოვს. პროგრამა მეციტრუსების

დარგის კრიზისიდან გამოყვანის ერთ-ერთ გადამწყვეტ გზად კოპერაციული მეურნეობების შექმნა გვესახება;

5. აჭარის ა/რ-ში ყოველწლიურად საშუალოდ 10000 ტონამდე ბოსტნეული, 13000 ტონა ხილი (თესლოვანი, კურკოვანი) და 60000 ტონამდე ციტრუსი იწარმოება. აჭარის მოსახლეობისა და ტურისტების წლიური მოთხოვნილება ბოსტნეულზე 70000 ტონამდე, ხოლო ხილზე 50000 ტონამდე შეადგენს. შესაბამისად მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება არასამრეწველო პერიოდში იმპორტირებული პროდუქციით ხდება. რეგიონში პროდუქციის შემნახველი სამაცივრე მეურნეობის არარსებობის გამო ფერმერები იძულებულნი არიან პროდუქციის რეალიზაცია ერთდროულად, მოკლე პერიოდში მოახდინონ, რის გამოც სამომხმარებლო ბაზარს ჭარბი პროდუქცია მიეწოდება, რაც თავისთავად სარეალიზაციო ფასების შემცირებასა და პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილის გაფუჭებას იწვევს. ამასთან, არასამრეწველო პერიოდში მომხმარებელთა დაკმაყოფილება იმპორტული პროდუქციის ხარჯზე ხდება, რაც თავისთავად ხელს უწყობს ქვეყნის უარყოფით საგაჭრო ბალანსს და პროდუქციაზე ფასების ზრდას. აქედან გამომდინარე, საკმარისად აქტუალურია რეგიონში შეიქმნას უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი კომპლექსური სამაცივრე მეურნეობა;

6. 2011 წელს აჭარაში ამოქმედდა პირველი უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბოსტნეულისა და დეკორატიული კულტურების შპს „საქართველოს სათბურების კომპანიის“ ახალსოფლის საჩითილე სასათბურე მეურნეობა (100%-იანი სახელმწიფო წილით). კომპანიის საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს უვირუსო, მაღალხარისხიანი, დახურულ ფესვთა სისტემით გამოყვანილი ჩითილების წარმოება. აღნიშნული სათბური ძირითადად ორიენტირებულია რეგიონის ადგილობრივ ფერმერულ მეურნეობებსა და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ელიტური, უვირუსო საჩითილე მასალებით უზრუნველყოფაზე. ამიტომ, მიზანშეწონილია აღნიშნული სასათბურე მეურნეობა ირიცხებოდეს სამინისტროს დაქვემდებარებაში;

7. რეგიონისათვის დამახასიათებელი მწირი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები არ იძლევა საშუალებას ფართო მასშტაბებზე განვითარდეს აგრარული დარგის სხვადასხვა მიმართულებები (მებოსტნეობა, მემარცველობა, მეცხოველეობა). სწორედ ამიტომ, აჭარის ტერიტორიაზე სამელიორაციო სისტემის სრულად აღდგენა-რეაბილიტაციას (რიგი ახალი არხების გაყვანას, პიდროტექნიკური და პიდრომელიორაციული ნაგებობების, ცალკეულ მაგისტრალურ არხებზე ავარიული წყალსაგდებების, წყლის ჩამკეტი მარეგულირებელი ფარების, ურდულების, მდინარეებისა და არხების ნაპირსამაგრი კედლების, ჯებირების მშენებლობას და სხვა) მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რეგიონის აგრარული დარგის განვითარების საქმეში. დღეისათვის ქობულეთის მუნიციპალიტეტის მასიურ სახნავ-სათეს საგარეულებში სამელიორაციო სისტემები ძირითადად განთავსებულია 3350 ჰექტარ ფართობზე, რომლებიც ორ ათეულ წელზე მეტია საერთოდ არ გაწმენდილა და პრაქტიკულად გაუქმებულია, ამოვსებულია მიწით, დაფარულია ჭილოფის, ისლის და ჭაობის სხვა მცენარეებით, რომელთა გავრცელების არეალი არხის სიგანეზე ზოგან 4 მ-მდე აღწევს, რაც

საგრძნობლად ამცირებს სახნავ-სათესი საგარეულების ფართობებს. სწორედ ამიტომ მიზანშეწონილია აღნიშნული ფართობებზე ჩატარდეს სამელიორაციო სამუშაოები.

8. დღეისათვის, რეგიონის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სამექანიზაციო საშუალებების ამხანაგობები, რომლებიც შეღავათიან ფასებში უწევენ მომსახურებას რეგიონის ფერმერებს. მცირე და დიდი სამექანიზაციო საშუალების ტექნიკური გამართვისა და სარემონტო სამუშაოების სერვისისათვის, აუცილებელ პირობას წარმოადგენს რეგიონში ფუნქციონირებდეს სამექანიზაციო სერვის ცენტრი, რომელიც აჭურვილი იქნება უახლესი სამექანიზაციო ტექნიკით, სათადრიგო ნაწილებითა და დაკომპლექტებული იქნება კვალიფიციური საეციალისტებით. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია უახლეს პერიოდში ამოქმედდეს მექანიზაციის სერვის ცენტრი;

9. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროში და რაიონის შესაბამის სამსახურებში უნდა დაასაქმონ გამოცდილი და მაღალკვალიფიციური აგროსაეციალისტები, ვინაიდან მარტო 2013 წელს აჭარის აგრარულ სექტორს შეემატა ცამეტი სოფლის მეურნეების აკადემიური დოქტორი, რომელთა შორის თერტიმეტი ქალია. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ყველა ღონე უნდა იხმაროს ქართული სოფლის, ტრადიციული დარგებისა და აჭარაში არსებული სამეცნიერო-კვლევითი, ბათუმის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აღსაღენად, რომელსაც 2014 წელს დაარსებიდან 90 წელი უსრულდება და დღემდე შენარჩუნებული აქვს 25 ჰექტარი ჩაის, ციტრუსებისა და სხვა სუბტროპიკული კულტურებით გაშენებული პლანტაციები.

## 72. მეცხოველეობის, ვეტერინარიის და საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილება

**აკადემიკოს მდიგარი - ზურაბ ცქიტიშვილი  
სწავლული მდიგარი - აკადემიური დოქტორი ანატოლი გიორგაძე**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის, ვეტერინარიის და საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილებაში გაერთიანებულია 4 წევრი, 4 აკადემიკოსი.

აკადემიკოსები - აგლომერიული (გარდაიცვალა 2013 წლის 31 დეკემბერს), გუგუშვილი ჯემალი, უურაშვილი თენგიზი, ცქიტიშვილი ზურაბი.

განყოფილებაში 2013 წელს ჩატარდა 6 სხდომა.

პირველი სხდომა ჩატარდა 1 თებერვალს და განხილული იქნა საკითხი: 2012 წლის 12 დეკემბერს მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო დარგობრივი

განყოფილების ორგანიზებით მეცხოველეობის პრობლემატურ საკითხებზე გამართული მრგვალი მაგიდის შედეგები და პერსპექტივები, მომხსენებელი: აკადემიკოს მდივანი ზურაბ ცქიტიშვილი.

მეორე სხდომა ჩატარდა 11 თებერვალს და განხილული იქნა შემდეგი საკითხები: მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილების ანგარიში 2012 წელს გაწეული მუშაობის შესახებ; მომხსენებლები - აკადემიკოს-მდივანი ზურაბ ცქიტიშვილი; სწავლული მდივანი ანატოლი გიორგაძე; 2. მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილების 2013 წლის აკადემიკოსებისა და წ/კორესპონდენტების მიერ 2012 წელს ჩატარებული პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგების შესახებ; მომხსენებლები - აკადემიკოს-მდივანი ზურაბ ცქიტიშვილი; სწავლული მდივანი ანატოლი გიორგაძე;

მესამე სხდომა ჩატარდა 2 აპრილს და განხილული იქნა საკითხი: მებოცვრეობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში, მომხსენებელი: აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა გუგუშვილი.

მეოთხე სხდომა ჩატარდა 16 აპრილს და განხილული იქნა შემდეგი საკითხები:

1. მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილებიდან საარჩევნო-საექსპერტო კომისიის მიერ კონკურსში დაშვებული კანდიდატების წინასაარჩევნო მოხსენებები, მომხსენებლები: აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ჯემალ გუგუშვილი; აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თენგიზ ყურაშვილი;

2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევასთან დაკავშირებით საარჩევნო-საექსპერტო კომისიის მიერ დაშვებული კანდიდატებისათვის რეკომენდაციის მიცემის შესახებ (ფარული კენჭისყრა).

მეექვთე სხდომა ჩატარდა 21 ოქტომბერს და განხილული იქნა შემდეგი საკითხები: 1. მეცხოველეობის პროდუქტების გადამამუშავებელ საწარმოებში რისკის შეფასების, შიდა კონტროლის (HACCP), პრევენციული სისტემებისა და მიკვლევადობის გამოყენების პრობლემები; მომხსენებელი: აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი;

2. ინფექციური დაავადებების გავრცელების მდგომარეობა საქართველოში, გასატარებელი ღონისძიებები, მოსალოდნელი საფრთხეების ანალიზი;

მომხსენებელი: აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი

მეექვსე სხდომა ჩატარდა 13 ნოემბერს და განხილული იქნა საკითხი: აკადემიაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილების აღდგენის შესახებ; მომხსენებელი: აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი;

აღსანიშნავია, რომ განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები: პრეზენტაცია - საქართველოს მეცხოველეობის სექტორის განვითარების მეცნიერული და პრაქტიკული ხედვა; მრგვალი მაგიდა მეფუტკრეობის პრობლემატურ საკითხებზე; დამუშავდა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში, ხოლო შემდეგ ფართო საზოგადოებისათვის მოხდა თბილისის რძით მომარაგების გეგმის პრეზენტაცია; საქართველოს მეცხოველეობის განვითარების სტრატეგიის პრეზენტაცია; საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტთან ერთად ორგანიზება გაეწია სემინარს საქართველოში მეცხოველეობის სექტორის განვითარების შესახებ.

განყოფილების მიერ მიმდინარე წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში გაგზავნილი იქნა ორი წერილი: თბილისის რძით მომარაგების შესახებ და მეფუტკრეობაში სელექციის შესახებ.

### **72.1. აკადემიკოსი გოგოთურ აგლაძე (გარდაიცვალა 2013 წლის 31 დეკემბერს)**



2013 წელს აკად. გოგოთურ აგლაძეს მიენიჭა აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო მეცნიერის წოდება მონოგრაფიისათვის „საკვებწარმოება“ (საკვების წარმოების ტექნოლოგია და საძოვრული მეურნეობა), თბილისი, 2010, გვ. 565. იგი დაჯილდოებულია ლაურეატის საპატიო დიპლომით და ფულადი პრემიით.

**აკად. გ. აგლაძის წინადადებები „საქართველოს სოფლის მეურნეობის რამდენიმე ძირითარების შესახებ“**

ერთ-ერთ, უაღრესად საჭირო აუცილებლობას წარმოადგენს ის, რომ უახლოეს წლებში შესაძლებელი გახდეს დაიწყოს და მზარდი მასშტაბებით წარიმართოს ბუნებრივი საკვები სავარგულების გაუმჯობესებისა და მოსავლიანობის ამაღლების ღონისძიები. ამ სავარგულების დიდი პოტენციური შესაძლებლობების ათვისება მეცხოველეობის აღორძინებისა და განვითარების უპირველესი წინაპირობაა. საკვების დეფიციტი, მისი დაბალი ხარისხი, მაღალი თვითდირებულება მნიშვნელოვნად ზღუდავს რძის, ხორცის და მოსახლეობისათვის პირველი მოთხოვნილების მქონე მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოებას, ხელს უწყობს ამ პროდუქტების დიდი რაოდენობით იმპორტს, ამასთან, როგორც წესი, ხშირ შემთხვევაში იგი უხარისხოა და ზოგჯერ საფრთხის მომტანსაც კი წარმოადგენს.

საქართველოს ტერიტორია თითქმის 70 ათას კვადრატულ კილომეტრს, ანუ დაახლოებით 7,0 მლნ. ჰექტარს შეადგენს. აქედან სახნავ მიწებს 750 ათასი ჰექტარზე ნაკლები უკავია, მაშინ როდესც ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების ფართობი 2 მლნ ჰექტარს აღწევს. 2011 წელს სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნაოესი ფართობი 310 ათას ჰექტარს, ე.ი. ბუნებრივ საკვებ სავარგულებზე 6,3-ჯერ ნაკლებს შეადგენს.

ბუნებრივი სათიბ-საძოვრების როლისა და მნიშვნელობის გადიდება და მათი ხვედრითი წილის გაზრდა მეცხოველეობისათვის საჭირო საკვებთა ბალანსში განაპირობა, უპირველეს ყოვლისა, ნაოესი ფართობების მკვეთრმა (710 ათასი-დან 310 ათას ჰექტარამდე ბოლო 20 წლის მანძილზე) და განსაკუთრებით კი საკვები კულტურების ქვეშ ნაოესი ფართობის კატასტროფულმა კლებამ - 329 ათასიდან 17 ათას ჰექტარამდე. ყოველივე ამან განსაზღვრა ბუნებრივი საკვები

სავარგულებიდან მიღებულ საკვების პროცენტი მოხმარებული ყველა სახის საკვებში 48-50%-დან (1990 წელი) 80-85%-მდე (2011 წელი).

მეტად მნიშვნელოვანია ბუნებრივი სათიბების ფართობის შეძლებისდაგვარად მაქსიმალური გადიდება და მათი მოსავლიანობის ამაღლება. დღეისათვის ბუნებრივი სათიბების ფართობი 193 ათას ჰექტარს შეადგენს რაც ბუნებრივი საკვები სავარგულების მთელი ფართობის მხოლოდ 7,18%-ია. მათი საშუალო მოსავლიანობა 1,2-1,4 ტ/ჰა შორის მერყეობს. ამოცანა მდგომარეობს სათიბების გადიდებაში სულ ცოტა 20%-ით, ე.ი. 380-390 ათას ჰექტარამდე, ხოლო მოსავლიანობის საშუალო მაჩვენებლების მომატება 2,4-2,8 ტ/ჰა-მდე.

ბუნებრივი სათიბ-საძოვრების მოსავლიანობის გადიდების მიზნით ადრე წარმოებული გამოკვლევებით დასტურდება, რომ ამ სავარგულების ძირეული და ზედაპირული გაუმჯობესების სისტემების სწორად შერჩეული და ხარისხიანად განხორციელებული ღონისძიებების და ხერხების რეალიზაცია საშუალებას იძლევა 2-2,5-ჯერ და მეტად გავადიდოთ მათი მოსავლიანობა. ბუნებრივი სათიბების ფართობის გადიდება სავსებით რეალურია, მითუმეტეს, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ე.წ. ყიზლარის ზამთრის საძოვრებით სარგებლობის შეწყვეტის და ცხვრის სულადობის მნიშვნელოვანი შემცირების შემდეგ თითქმის გამოუყენებელი დარჩა ზაფხულის საძოვრების ბევრი მასივი. ცხადია, ეს აადვილებს ამ საძოვრების უკეთესი ნაკვეთების სათიბებში გადაყვანას და თივის დამზადების მნიშვნელოვნად გადიდებას.

ბუნებრივ საძოვრებსა და სათიბებზე ყველა სახის საკვების წარმოების გადიდება (საძოვრული, მწვანე, წვნიანი, უხეში), მათი ხარისხის ამაღლება და თვითდირებულების შემცირება მეცხოველეობის განვითარების საფუძველთა საფუძველია. ხაზგასასმელია, რომ მეცხოველეობის პროდუქტების თვითდირებულებაში 65-75%-ს სწორედ დახარჯული საკვების ღირებულებაზე მოდის. ამიტომ ნათელია, რომ წარმოებული საკვების რაოდენობის გადიდება, მისი ხარისხის გაუმჯობესება მეცხოველეობის პროდუქტებზე (რძე, ხორცი, კვერცხი, მატყლი, ტყავი და სხვა) მოსახლეობის მზარდი მოთხოვნების მაქსიმალურად შესაძლებელი დაკმაყოფილების წინა პირობაა.

ბუნებრივი საკვები სავარგულების მდიდარი პოტენციური შესაძლებლობის ათვისება მთელი რიგი ორგანიზაციულ-სამეურნეო ხასიათის საკითხების მოგვარებას მოითხოვს. მათ მიეკუთვნება სოფლის მეურნეობის სამინისტროში სათანადო დეპარტამენტის (საკვებწარმოების) ჩამოყალიბება, რომლის ამოცანა უნდა გახდეს პრობლემასთან დაკავშირებული ყველა საკითხის გადაწყვეტისთვის საჭირო ღონისძიებების ორგანიზაცია და წარმართვა, ცხადია ფერმერთა შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენებით. მათ მიეკუთვნება სააქციო საწყისებზე სათანადო სამანქანო-სატრაქტორო მდელო-საძოვრული ბრიგადების შექმნა, ამ ბრიგადებისთვის სამუშაო ფრონტის მოგვარება, კონტროლი სამუშაოთა ხარისხზე და სხვა.

მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების მეორე მთავარი წინაპირობაა (ფარის, ჯოგის, კოლტის, რემას, გუნდის) ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება, სწორი მიმართულებით გაძლოლა რეგიონების მიხედვით გონივრულად შედგენილი გეგმის შემუშავებით და ჯიშსაშენების აღდგენა,

აგრეთვე კერძო ფერმერული სანაშენო მეურნეობების, ჩამოყალიბება, სადაც შესაძლებელი იქნება ჯიშიანი მოზარდის მიღება და გამოზრდა. სოფლის მეურნეობის სამინისტროში უნდა აღდგეს სანაშენო დეპარტამენტი (სამართველოები). ამ ორგანიზაციებმა უნდა წარმართონ ქვეყანაში სანაშენო საქმე, ხელოვნური დათესლვა და სელექციური მუშაობა მეცხოველეობაში, როგორც სახელმწიფო, ასევე ფერმერულ მეურნეობაში, აგრეთვე სასოფლო – სამეურნეო კულტურების მეთესლეობა-სელექცია, ჯიშთა გამოცდა, შეიმუშაონ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურების და ცხოველთა ჯიშების დარაიონების რეკომენდაციები, ერთხელ და სამუდამოდ დაამყარონ წესრიგი დღეს სრულიად მოუგარებელ საკითხებში.

## 7.22. აგადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი



საანგარიშო წელს დასრულდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა თემაზე „ქართული ჯიშური ჯგუფის ბოცვრების პროდუქტიულობის შესწავლა და სრულყოფა“. ხელმძღვანელი ჭ. გუგუშვილი. აღსანიშნავია, რომ ზორბექნიკურ მეცნიერებაში პირველად იქნა საქართველოში გაფრცელებული ბოცვრის ჯიშები (საბჭოური შინშილა, რუხი გოლიათი, ახალზელანდიური თეთრი), როგორც ხალასჯიშიანი მოშენებით, აგრეთვე ჯიშთაშორისი, მარტივი, რთული, შთანთქმითი და საახალჯიშო შეჯვარებით.

მიმდინარე წელს გამოქვეყნებულია სამეცნიერო ნაშრომი, „ხალასჯიშიან და ნაჯვარ ბოცვრებში დედლების განაყოფიერებისა და ნაყოფიერების უნარის შენარჩუნება“. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე №32 2013 წ. ჩვენს ქვეყანაში პირველად ჩატარდა გამოკვლევები ხალასჯიშიანი, ორი და სამჯიშიანი ნაჯვარი ბოცვრების აღწარმოებითი უნარის, განაყოფიერების, მოზარდის შენარჩუნების, სახორცე და ტყავბეწვეული პროდუქტიულობის გაზრდის და ხარისხის გაზრდის მიზნით. სახორცე და ტყავ-ბეწვეული ჯიშების გამოყენებით.

ჩაბარებულია დასაბეჭდად სამეცნიერო ნაშრომი თემაზე „მებოცვრეობა გლეხურ მეურნეობაში“, რომელიც დაიბეჭდება საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში, მიმართულებით – ორგანული სოფლის მეურნეობა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს სხდომაზე 2013 წლის 25 აპრილს გაკეთებული იქნა მოხსენება თემაზე: „მებოცვრეობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში“.

მიმდინარე წლის აპრილის თვეში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ აირჩია აკადემიის ნამდვილ წევრად – აკადემიკოსად. არის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეროვნული

კოორდინატორი. აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულია აკად. ჯ. გუგუშვილის მიერ წარმოდგენილი აკადემიურ საბჭოსთან არსებული დარგობრივი (მეცნიერებების) ჯგუფის წევრები.

მეცნიერების პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით, ფერმერებს მათთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით უწევს უფასო კონსულტაციებს. მიმდინარე წლის აპრილის, მაისის, ივნისის თვეში სსმ აკადემიაში ჩატარდა შეხვედრები ფერმერებთან, სადაც ჩატარდა კონსულტაციები მათთვის საინტერესო თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე. არის არასამთავრობო ორგანიზაციის „განათლების სისტემის წარმომადგენელთა ასოციაციის“ პრეზიდენტი.

მებოცვრეობა მეცნიერების ერთ-ერთი ახალგაზრდა დარგია. ამჟამად ბოცვრის გავრცელების ძირითადი არეალი პირად საკარმილამო, გლეხურ მეურნეობაშია განთავსებული; მიზანშეწონილია განისაზღვროს დარგის სისტემური ანალიზი, რისთვისაც საჭიროა განხორციელდეს შემდეგი დონისძიებები:

1. ცხოველის ბიოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე მებოცვრეობა უნდა განვითარდეს გლეხურ და ფერმერულ მეურნეობებში;

2. მიზანშეწონილია ბოცვრები მოშენდეს საქართველოს ბუნებრივ-კლიმატურ პირობებთან შეგუებული და აპრობირებული ცხოველები, კერძოდ, დასავლეთ საქართველოში თეთრი გოლიათი. აღმოსავლეთ საქართველოში – რუხი გოლიათი, საბჭოური შინშილა, ვერცხლისებრი, სამხრეთ საქართველოში – ახალზელანდიური თეთრი, კალიფორნიული.

3. მოქმედებაში უნდა შევიდეს კანონი „სანაშენო საქმის შესახებ“.

4. ბოცვერი ბალახის მჭამელი ცხოველია, მისი გენეტიკური პოტენციალის სრული რეალიზაციისათვის საჭიროა მარცვლეულის, ბოსტნეულის და ბალჩეული საკვების წარმოების გაზრდა.

5. დარგის არსებული მდგომარეობის განვითარებისათვის ფართო გზა უნდა დაეთმოს კოოპერირებას.

6. ფერმერთა დაფინანსებისათვის გამოყენებული იქნეს დაფინანსების გრძელვადიანი დაკრედიტების ფორმა ლიზინგი.

7. სრულად იქნას გამოყენებული აგრარულ სექტორში მომუშავე მეცნიერთა პოტენციალი.

დარგობრივ განყოფილებებში სასურველია განხილული იქნეს მეცნიერების შემდეგი საკითხები: 1. სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კვება. 2. მეძროხეობის, მეცხვარეობის, მეთევზეობის, მებოცვრეობის, მეცხენეობის, მეღორეობის, მეფრინველეობის, კინელოგიის, მეფუტკრეობის, გენეტიკური დათესვლის, გენეტიკა-მომუშავებლობის, თანამედროვე მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მიზანშეწონილია ჩატარდეს სემინარები, მრგვალი მაგიდა და კონფერენციები.

### 7.2.3. აკადემიკოსის ზურაბ ცქიტიშვილი



აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი 2013 წელს თავის საქმიანობას აგრძელებდა, როგორც საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების საკოორდინაციო-სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი. ამასთან ერთად იგი კითხულობდა ლექციებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტებთან „რძის და რძის პროდუქტების ტექნოლოგიაში“. მისი ხელმძღვანელობით მიმდინარე წელს სამეცნიერო

განყოფილებაში ჩატარდა 6 სხდომა. აღნიშნულ სხდომებზე უშუალოდ მის მიერ განხილული იქნა 4 საკითხი, აქედან ერთი "მეცხოველეობის პროდუქტების გადამამუშავებელ საწარმოებში რისკის შეფასების, შიდა კონტროლის (HACCP), პრევენციული სისტემებისა და მიკვლევადობის გამოყენების პრობლემები;" მოსხენდა აკადემიის აკადემიურ საბჭოს. მისი ხელმძღვანელობით სსმმ აკადემიაში ჩატარდა მრგვალი მაგიდა, სემინარი და მნიშვნელოვანი პრეზენტაციები მეცხოველეობის პრობლემატურ საკითხებზე. კერძოდ: პრეზენტაცია – "საქართველოს მეცხოველეობის სექტორის განვითარების მეცნიერული და პრაქტიკული ხედვა"; მრგვალი მაგიდა მეფუტკრეობის პრობლემატურ საკითხებზე; დამუშავდა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ფართო საზოგადოებისათვის მოხდა თბილისის რძით მომარაგების გეგმის პრეზენტაცია; საქართველოს მეცხოველეობის განვითარების სტრატეგიის პრეზენტაცია; საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტთან ერთად ორგანიზება გაეწია სემინარს საქართველოში მეცხოველეობის სექტორის განვითარების შესახებ.

ადსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროში გაგზავნილი იქნა ორი წერილი: "თბილისის რძით მომარაგების უზრუნველყოფის პროგრამის შესახებ" და "მეფუტკრეობაში სელექციის მეცნიერულად წარმართვის პრობლემები"ს შესახებ.

მიმდინარე 2013 წელს აკადემიკოსი ზ. ცქიტიშვილი მონაწილეობდა გაეროს განვითარების პროგრამის პროექტში "პროფესიული განათლება და გადამზადების და ექსტენციის სისტემის მოდერნიზაცია, სოფლის მეურნეობის სფეროში პროფესიული სტანდარტების და მოდელური საგანმანათლებლო სისტემის შემუშავება", როგორც საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენელი. იგი ასევე არის განათლების სამინისტროს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დარგობრივი საბჭოს წევრი. გარდა ამისა იგი მონაწილეობას იღებდა კანონშემოქმედებით საქმიანობაში. კერძოდ, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის დახვეწაში. მონაწილეობდა სსმმ აკადემიის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაში "ინოვაციური

ტექნოლოგიები აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის". ხელმძღვანელობდა მეცნიერებების, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცნიერებების პროდუქტების გადამუშავების სექციის მუშაობას. მის მიერ გაკეთებული იქნა მოხსენება "ვაკუუმირების გამოყენება რძის მრეწველობაში", რომელიც გამოქვეყნდა კონფერენციის შრომათა კრებულში.

#### **72.4. აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი**



1. 2013 წელს დასრულდა გარდამავალი თემა: „რძის გადამამუშავებელ საწარმოებში ნედლეულის კეთილსაიმედოობის შემოწმება ბრუცელოზზე”.
2. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის მე-5 კურსზე (3 ჯგუფი) იკითხებოდა საგანი „ზოონოზები“ (ლექცია, სემინარი, პრაქტიკული, დატვირთვა 8 საათი კვირაში).
3. გამოქვეყნებული სტატიები:
  - 3.1. “ლორის კლასიკური ჭირის პრობლემები საქართველოში”. საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის მასალები. თბილისი 2013, გვ. 311-334.

3.2. Prevalence of brucellosis in Georgia in the past XX century. sonovactive medicine and biology. 8-9, 2013, Canada, pg. 54-63.

4. გამოქვეყნებულია - სახელმძღვანელო - „ვეტერინარია“, 658 გვ. სახელმძღვანელო – „რძისა და ხორცის წარმოების კატალოგი ფერმერთათვის და მეცნიერებებისათვის“, 70 გვ.  
ბროშურა – “ჯილების პრევენცია და ბრძოლის ღონისძიებები”, 23 გვ.
5. აკად. თ. ყურაშვილის ხელმძღვანელობით დაცულია სადოქტორო დისერტაციები:
  - დავით შალამბერიძე – “ბოლო თაობის ანტიბაქტერიული პრეპარატების შედარებითი ეფექტურობა დორის და ფრინველის ზოგიერთი ბაქტერიული დაავადებების დროს”. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი.
  - ლადო ბარათაშვილი – “ენტერობაქტერიების როლი ახალ შობილი ხბოების დაავადებაში”. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი.
6. მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კომფერენციაში: „ინოვაციური ტექნოლოგიები აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის“. თბილისი, 2013 წლის 3-4 ოქტომბერი.
- მოხსენება: “ლორის კლასიკური ჭირის პრობლემები საქართველოში”.
- მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კომფერენციაში. უკრაინა, ლვოვი, 2013 წლის 2-4 სექტემბერი
- მოხსენება: “საქართველოში წარმოებული ვეტერინარიული პრეპარატები”.
- CARD (სომხეთი), HEIFER (საქართველო) და DA (ავსტრია) ერთობლივი კომფერენცია თემაზე: “მეცნიერებების მართვა და დაავადებათა პრევენცია”. სომხეთი, ალავერდი, 2013 წლის 25-27 ნოემბერი.

მოხსენება: “სომხეთის მოსაზღვრე რეგიონებში გავრცელებული დაავადებების პრევენცია”.

7. რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში წარდგენილია გრანტის პროექტი თემაზე: “აღწარმოების დაქვეითების (ბერწიანობის და უნაყოფობის) მიზეზების შესწავლა და მისი თავიდან აცილების გზები”.

- პროექტი: “ცხოველთა ჯანმრთელობის მენეჯმენტი საქართველოსა და სომხეთის საზღვრისპირა რეგიონებში”. Heifer internascional Georgia, 2012-2013.

8. სსმმ აკადემიის სამეცნიერო განყოფილებაში 2013 წლის 21 ოქტომბერს გაპეტებულია მოხსენება: “ინფექციური დაავადებების გავრცელების მდგომარეობა საქართველოში, მოსალოდნელი საფრთხეების ანალიზი და გასატარებელი ლონისძიებები”.

9. რედკოლეგიის წევრი:

- სამეცნიერო ჟურნალი „Innovative medicine and biology Canadian~“.
- სამეცნიერო ჟურნალი: „Известия аграрной науки“.
- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი „მოამბე“.

- მრავალი სახელმძღვანელოს, დამხმარე სახელმძღვანელოს და ბროშურის რედაქტორი და რეცენზენტი.

- საქართველოს მემამულეთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე.
- საქართველოს პარლამენტის სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭოს წევრი.

10. მიღებულია პატენტი „დია თევზსაზრდელი ნაგებობების ქვეშ განსათავსებლად“ 1768.

11. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

12. სამეცნიერო კონსულტანტი:

- კომპანია „ივნეტი“-ს.
- კომპანია „გავკასიის გენეტიკის“.
- სურსათის სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტის.

ატარებდა ტრენინგებს: ვეტერინარ ექიმებთან, ფერმერებთან და მოსახლეობასთან, ნინოწმინდის, დმანისის, ბორჯომის, ახმეტის, ახალციხის რაიონებში.

13. წინადადებები: 13.1. ვეტერინარიის განვითარება წარმოუდგენელია კანონის „ვეტერინარიის შესახებ“ მიღების (აღდგენის) გარეშე ვეტერინარიას უნდა დაუბრუნდეს საზაზღვრო ვეტერინარიული სამსახური. უნდა გაძლიერდეს ვეტერინარიული მომსახურება ადგილებზე სოფლად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ვეტერინარიულ განათლებას და მეცნიერებას.

13.2. გაუმჯობესდეს ცხოველთა სადგომების ვეტერინარიულ-სანიტარიული პირობები და კვება. განსაკუთრებული ზომების მიღება საძოვრების მოსაწყობად და ცხოველების ხარისხიანი წყლით დაწყურვების პირობების შესაქმნელად.

14. სასურველია აკადემიაში ჩატარდეს მრგვალი მაგიდა, კონფერენცია ან სხვა სახის შეკრება მიძღვნილი ვეტერინარიის აქტუალურ საკითხებზე.

### **7.3. საინჟინრო საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილება**

**აკადემიკოს მდივანი - აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე  
სწავლული მდივანი - აკადემიური დოქტორი ანატოლი გიორგაძე**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საინჟინრო საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილებაში გაერთიანებულია აკადემიის 13 წევრი, მათ შორის აკადემიის ნამდვილი წევრი 8 და აკადემიის წევრ-კორესპონდენტი 5.

**აკადემიკოსები:** ბადათურია ნუგზარი, დიდებულიძე ალექსანდრე, ვაშაკიძე არჩილი, კაციტაძე ჯემალი, მახარობლიძე რევაზი, ნანიტაშვილი თენგიზი, პაპუნიძე გურამი, ჭალაგანიძე შოთა.

**წევრ-კორესპონდენტები:** ბედია ომარი, გაბუნია ნოდარი, თევზაძე ვახტანგი (გარდაიცვალა 2013 წლის მაისში), სარიშვილი დავითი, შაფაქიძე ელგუჯა. განყოფილებაში 2013 წელს ჩატარდა 7 სხდომა.

პირველი სხდომა ჩატარდა 18 იანვარს და განხილული იქნა საკითხები: 1. ცვლილებები საქართველოს კანონში ვაზისა და ღვინის შესახებ; მომხსენებელი: აკადემიკოსი ნუგზარ ბადათურია; 2. საინჟინრო სამეცნიერო დარგობრივი განყოფილებიდან საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად აკადემიკოს გურამ ალექსიძის წარდგინების შესახებ; მომხსენებელი: აკადემიკოს-მდივანი რევაზ მახარობლიძე

მეორე სხდომა ჩატარდა 5 მარტს და განხილული იქნა შემდეგი საკითხები: 1. პიდრომელიორაციის არსებული მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში. მომხსენებელი: აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვახტანგ თევზაძე 2. საინჟინრო სამეცნიერო დარგობრივი განყოფილების 2012 წლის ანგარიშის შესახებ. მომხსენებლები: აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე; აკადემიის სწავლული მდივანი აკად. დოქტორი ანატოლი გიორგაძე; 3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოზე დამტკიცებული ეროვნული კოორდინატორების შესახებ; მომხსენებელი: აკადემიკოს მდივანი რევაზ მახარობლიძე;

მესამე სხდომა ჩატარდა 3 აპრილს და განხილული იქნა შემდეგი საკითხები: 1. მეაბრეშუმეობაში სამანქანო ტექნოლოგიების და ტექნიკური საშუალებების დანერგვის პერსპექტივები; მომხსენებელი: აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე; 2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საინჟინრო საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილების 2013 წლის 18 იანვრის სხდომაზე განხილული საკითხის „ცვლილებები საქართველოს კანონში ვაზისა და ღვინის შესახებ“ - მომხსენებელი აკად. 6.

ბალათურია) დადგენილების შესახებ. მომხსენებელი: აკადემიკოსი ნუგზარ ბალათურია;

მეოთხე სხდომა ჩატარდა 17 აპრილს და განხილული იქნა შემდეგი საკითხები:

1. საინჟინრო საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილებიდან საარჩევნო-საექსპერტო კომისიის მიერ კონკურსში დაშვებული კანდიდატის წინასაარჩევნო მოხსენება. მომხსენებელი: აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გურამ პაპუნიძე. 2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევასთან დაკავშირებით საარჩევნო-საექსპერტო კომისიის მიერ დაშვებული კანდიდატისათვის რეკომენდაციის მიცემის შესახებ (ფარული კენჭისყრა).

მეხუთე სხდომა ჩატარდა 15 მაისს და განხილული იქნა შემდეგი საკითხები: 1. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მელიორაციის მდგრამარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები . მომხსენებელი: ტ.მ. დოქტორი ირაკლი ყრუაშვილი. 2. აგროსაინჟინრო სფეროს განვითარების სტრატეგიის შესახებ. მომხსენებელი: აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე

3. მოქალაქე ვლადიმერ მირუაშვილის განცხადების შესახებ. მომხსენებელი: აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე

მეექვსე სხდომა ჩატარდა 10 ივნისს და განხილული იქნა შემდეგი საკითხები: 1. ბულგარეთის ქ. ვარნაში გამართული საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შესახებ. მომხსენებელი: აკადემიკოსი ჯემალ კაცირაძე 2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის დავით გალეგაშვილის წერილის შესახებ (მოქ. ვასილ ჩხიგვაძის წერილითან დაკავშირებით). მომხსენებელი: აკად. დოქტორი გივი მოსაშვილი.

მეშვიდე სხდომა ჩატარდა 16 ოქტომბერს და განხილული იქნა შემდეგი საკითხები: 1. მოქალაქე კუკური ფიფიას წერილის შესახებ მომხსენებელი: აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე 2. განათლების სამინისტროს 120/6 ბრძანებაში „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესახებ“ შესწორებებისა და დამატებების შესახებ. მომხსენებელი: აკადემიკოსი ნუგზარ ბალათურია 3. სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილების აღდგენის შესახებ. მომხსენებელი: აკადემიკოსი ნუგზარ ბალათურია.

აღსანიშნავია, რომ განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები: საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ინვაციური განვითარების კონცეფციის პრეზენტაცია; საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა მრგვალი მაგიდა; განხილული იქნა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში გაიგზავნა სამი დასკვნა სხვადასხვა გამოგონებებთან დაკავშირებით.

### 7.3.1. აკადემიკოსი ნუგზარ ბადათურია



1. სამეცნიერო თემის დასახელება (გეგმიური დავალებით) :

1.1. ”ნაკლებად გავრცელებული ყურძნის პერსპექტიული ჯიშების გამოკვლევა ნატურალური საკვები სალებავის მიღების მიზნით”;  
მიმდინარე წელს ჩატარდა კვლევები საქართველოში ამჟამად გავრცელებული ყურძნის წითელი ჯიშებიდან.

კვლევების შედეგად მიღებულ იქნა კონცენტრატები და სალებავი ნივთიერებები, რომელთა ბაზაზეც ლაბორატორიულ პირობებში დამზადებულ იქნა პური და პურპროდუქტები ყურძნის სალებავის გამოყენებით.

1.2. ”პურის ნატურალური გამაუმჯობესებლის მიღების ტექნოლოგიის გამოკვლევა”.

პურის ხარისხის გასაუმჯობესებლად შესწავლილ იქნენ პურის ნატურალური გამაუმჯობესებლები, რომლებიც მიღებულ იქნა საქართველოში ველურადმზარდი კულტურებიდან: კუნელი, ასკილი, ქაცვი და უნაბი. შესწავლილ იქნა თითოეული მათგანიდან მიღებული პექტინის ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლები: თავისუფალი კარბოქსილის ჯგუფი, ეთერიფიცირებული კარბოქსილის ჯგუფი, საერთო კარბოქსილის ჯგუფი, ეთერიფიკაციის ხარისხი, აცეტილის ჯგუფი, მეტოქსილის ჯგუფი. დადგენილ იქნა ველურად მზარდი მცენარეების ნაყოფებიდან პექტინოვანი ნივთიერებების ჰიდროლიზის ჩატარების ოპტიმალური პარამეტრები. გამოკვლეული იქნა ჰიდროპექტინის ორგანოლეტიკური და ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები.

1.3. ”ადგილობრივი მცენარეული ნედლეულიდან (მოცვის, მაყვლის, ქაცვის და შინდის) გამოყენებით ანტიოქსიდანტური სასმელების მიღების ტექნოლოგიური გამოკვლევა”

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ტექნოლოგიური გამოკვლევა მაყვლის, ქაცვის, მოცვის და შინდის ნიმუშებზე. ჩატარებული კვლევების შედეგად დადგენილ იქნა, რომ ველურად მზარდი ხილ-კენკროვანების: შინდის, მოცვის, მაყვლის და ქაცვის ნაყოფები გამოირჩევიან ანტიოქსიდანტური ნივთიერებების მაღალი შემცველობით. ლაბორატორიულ პირობებში დამუშავდა ანტიოქსიდანტური წვენების მიღების ტექნოლოგია, რომელიც ითვალისწინებს ნაყოფების ინსაექციას, დახარისხებას, რეცხვას, წყლის დამატებას, გაცხელებას 80°C ტემპარატურაზე, გამოწევას, დიფუზიური წვენის მიღებას, კონსერვანტების დამატებას.

მიღებულ წვენებში განსაზღვრული იქნა ძირითადი ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები, რომლებიც განსაზღვრავენ აღნიშნული წვენების ანტიოქსიდანტურ აქტივობას.

**14. “საქართველოში გავრცელებული მანდარინის, ფეიხოას და კივის არასტანდარტული ნედლეულიდან პექტინის პასტის მიღების ტექნოლოგიის დამუშავება”;**

კვლევის მიზანს წარმოადგენდა მანდარინის, ფეიხოას და კივის არასტანდარტული ნაყოფებიდან მაღალი პექტინოვანი ნივთიერების შემცველობის დადგენა. ამ მიზნით დამუშავდა აღნიშნული ნაყოფებიდან პექტინის პასტის მიღების ტექნოლოგია.

ჩატარებული კვლევებისა და ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლების: მშრალი ნივთიერება, შაქრები, სიმჟავე, ვიტამინი C, საერთო პექტინების განსაზღვრის შედეგად დადგენილ იქნა, რომ ახალი სახის პროდუქტები წარმოადგენენ ნახევარფაბრიკატებს პექტინოვანი ნივთიერებებისა და სხვა სასარგებლო ნივთიერებების მაღალი შემცველობით, რის გამოც ისინი გამოიყენებიან საკვებად და სხვადასხვა სახის სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების პროდუქტების მისაღებად.

**15. “ველურად მზარდი ღვიის ნედლეულის ქიმიკო-ტექნოლოგიური გამოკვლევა, ნატურალური საკვები დანამატის დამზადების მიზნით”.**

შესწავლილ იქნა ღვიის გირჩა-კენკრებიდან ეთეროვანი ზეთის სრულყოფილ გამოხდაზე მოქმედი ტექნოლოგიური პარამეტრები: გამოხდის სიჩქარე და ხანგრძლივობა. ღვიის გირჩა-კენკრებიდან და მწვანე მასიდან ექსტრაქტული ნივთიერებების სრულყოფილ გამოწვლილვაზე მოქმედი ტექნოლოგიური პარამეტრები (ეთილის სპირტის მოცულობითი წილი, ექსტრაქტული ნივთიერების მასური წილი, აქტიური მჟავიანობა) – ექსტრაციის პროცესის ტემპერატურული რეჟიმი, ხანგრძლივობა და ექსტრაგენტის – სპირტყალხსნარის კონცენტრაციის გავლენა. მრავალნაყოფიანი ღვიის ნედლეულის გადამუშავების ოპტიმალური ტექნოლოგიური პარამეტრების დადგენის მიზნით ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგების საფუძველზე დადგენილ იქნა, რომ ღვიის კენკრები უნდა გადამუშავდეს დაქუცმაცებულ მდგომარეობაში; ღისტილატის სიჩქარე უნდა შეადგენდეს 12-13 სმ<sup>3</sup>/წ.

ეთეროვანი ზეთის გამოხდის ხანგრძლივობა უნდა შეადგენდეს 1 საათს; ღვიის გირჩა-კენკრებს და მწვანე მასას უნდა ჩაუტარდეს თბური ექსტრაქცია 40°C 4 საათის ხანგრძლივობით 60% სპირტყალხსნარით. მიღებული ნატურალური საკვები დანამატი გამოიყენება კვების სხვადასხვა პროდუქტების დასამზადებლად.

**2. მომზადებულ იქნა კონცეფცია ”საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ინვაციური განვითარების შესახებ. კონცეფცია მოსმენილ იქნა სოფლის მეურნეობის და ეროვნულ აკადემიებში.**

**3. დამუშავდა საკითხი ”საქართველოს კანონში ”ვაზისა და ღვინის შესახებ” შესწორებებისა და დამატებების შესახებ.”**

”შესწორებები” განხილულ იქნა აკადემიისა და პარლამენტის კომიტეტის სხდომებზე.

**4. დაისვა საკითხი აკადემიაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების განყოფილების აღდგენის შესახებ.**

#### **IV. გამოქვეყნებული შრომები:**

- “შაქრის წარმოების განვითარების ძირითადი მიმართულებები საქართველოში”. საქართველოს მთიანეთი სოციალ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. თბილისი, 2013 წ.
- ტექნოპარკი სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი გზა. საქართველოს მთიანეთი სოციალ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. თბილისი, 2013 წ.
- საქართველოში ველურად მზარდი კულტურების – კუნელის, ასკილის, ქაცვის, უნაბის – ნაყოფების ქიმიური შედგენილობა და გამოყენების პერსპექტივები. ქ. აგრარული ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები. №1, 2013 წ. თბილისი. გვ. 52-56. თანაავტორობით.
- ნატურალური მცენარეული არომატიზატორები და მათი სამრეწველო გამოყენება. ქ. აგრარული ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები. №1, 2013 წ. თბილისი. გვ. 56-59. თანაავტორობით.
- საფერავის ჯიშის უურქნისაგან ღვინო-მასალების დამზადების, დამწიფების და დაძველების პროცესების ბიოქიმიური და ტექნოლოგიური გამოკვლევა. ქ. აგრარული ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები. №1, 2013 წ. თბილისი. გვ. 62-73. თანაავტორობით.
- ვარდისფერი ღვინოების დამზადების პროცესების ბიოქიმიური და ტექნოლოგიური გამოკვლევა. ქ. აგრარული ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები. №2, 2013 წ. თბილისი. გვ. 69-77. თანაავტორობით.
- მეღვინეობის სფეროში გამოყენებული ტერმინები და განმარტებები. ქ. აგრარული ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები. №4, 2013 წ. თბილისი. გვ. 66-89. თანაავტორობით.
- Математическое описание процесса получения экологически чистых эфирных масел. Международная научно-практическая конференция. с. 359.
- Физико-химические показатели фальсификации коньяков. Международная научно-практическая конференция. с.362. Соавт.

**V. გამოქვეყნდა მონოგრაფია :** ”ღვინის ექსპერტიზა”, ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა, 290 გვ.

**VI. სამეცნირო საზოგადოების დასახელება, რომლის მუშაობაში იღებს მონაწილეობას აკად. ნ. ბალათურია:** 1. ”საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიის მთიანეთის პრობლემათა შემსწავლელი კომისია”.

2. ”მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან არსებული ექსპერტთა საბჭო”

**VII. გაკეთდა განაცხადი პატენტზე ”ნახევრად ტკბილი ღვინის ”ხვანჭკარას” დამზადების ხერხი”.**

### 7.3.2. აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე



აკად. ა. დიდებულიძის აკადემიური დატვირთვა საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში 2012/2013 სასწავლო წლის მეორე სემესტრში შეაღგენდა კვირაში 5 საათს, 2013/2014 წლის პირველ სემესტრში – 3 საათს. იყო ორი მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, რომლებმაც წარმატებით დაიცვეს თავისი ნაშრომები.

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მაგისტრატურის სტუდენტებთან აკადემიური დატვირთვა 2012/2013 სასწავლო წლის

მეორე სემესტრში შეაღგენდა კვირაში 3 საათს;

- ელექტროამძრავი. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბაკალავრიატი, მე-IV კურსის მეორე სემესტრი, 3 საათი კვირაში;
- საიმედოობის თეორია. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბაკალავრიატი, მე-IV კურსის მეორე სემესტრი, 3 საათი კვირაში;
- ელექტრული მიკრომანქანები. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბაკალავრიატი, IV კურსის პირველი სემესტრი, 3 საათი კვირაში;
- ბიომეცნიერებების საკანონმდებლო, კომერციული და ეთიკური პრინციპები და უფლება ინტელექტუალურ საკუთრებაზე. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მაგისტრატურის I კურსის მეორე სემესტრი, 3 საათი;
- ინტელექტუალური საკუთრების უფლებები, კანონმდებლობა და კომერციალიზაცია. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის I კურსის მეორე სემესტრი, 3 საათი.

#### 3. გამოქვეყნებული თეზისები, სტატიები

1. Привод электрифицированного мостового агрегата для фермерских хозяйств. «Инновационные технологии для устойчивого и безопасного развития аграрного сектора», Тбилиси, 2013. - стр. 374-376 (ფერმერული მეურნეობებისათვის განკუთვნილი ელექტრიფიცირებული ხიდური აგრეგატის ამძრავი.საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის: „ინოვაციური ტექნოლოგიები აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის“, თბილისი, 2013, გვ. 374–376).

2. Agriculture of Georgia: Reforms, Global Impact and Outlook. International Workshop: The Latest Developments in Food Science and Technology in European and South Caucasus Countries. Praga, 2013 (საქართველოს სოფლის მეურნეობა: რეფორმები, გლობალიზაციის ზემოქმედება და პერსპექტივები. ევროკავშირის პროექტის „ბიოპარტნერები“-ს საერთაშორისო სესია: უახლესი დამუშავებები კვების მრეწველობასა და ტექნოლოგიებში ევროპულ და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, პრაღა, 2013).

3. Operating Regimes of the Electromagnetic Oscillation Motor. Materials of the International Conference "Innovative technologies for sustainable and secure development of the agricultural

sector”, Tbilisi, 2013. - pp. 376-379 (ელექტრომაგნიტური ვიბრაციული ძრავას მუშაობის რეჟიმები. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის: „ინოვაციური ტექნოლოგიები აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის“, თბილისი, 2013, გვ. 376–379).

4. Effects of Food Quality on Heavy Metals Content in Hair of Residents of Cities in Georgia. Materials of the 6<sup>th</sup> International Symposium on Recent Advances in Food Analysis, Praga, 2013. p.257 (Co-authors: Chelidze T., Enukidze L., Chankashvili M.) (სურსათის ხარისხის გაფლენა საქართველოს ქალაქების მაცხოვრებელთა თმებში მძიმე ლითონების შემცველობაზე. მექანიკური საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, პრაღა, 2013, გვ.257, თანააგტორები თ.ჭელიძე, ლ.ენუქიძე, მ.ჩანგაშვილი).

5. ელექტრომაგნიტურ ვიბრაციულ ამგზნებში ენერგიის გარდაქმნის პროცესი. კონფერენცია „აგრარიკოს მეცნიერთა კვლევის შედეგების კომერციალიზაცია“, შრომების კრებული. ქუთაისი, 2013. – გვ. 17-23.

#### 4. გამოქვეყნებული მონოგრაფია, სახელმძღვანელო.

აკად. ა. დიდებულიძეს გამოქვეყნებული აქვს სამი ელექტრონული სახელმძღვანელო:

15. ელექტრული მიკრომანქანები. სალექციო კურსი. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, თბილისი, 2013. – 80 გვ.

ჩამოყალიბებულია ავტო-სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო ხელის იარაღების, აგრეთვე ავტომატიკის სისტემების მიკრომანქანების თეორიული სქემები, აღწერილია ამ მიკრომანქანების კონსტრუქციები და გამოყენების მაგალითები.

16. მექატრონიკის კურსი. თავისუფალი უნივერსიტეტი, თბილისი, 2013. – 85 გვ.

მექატრონიკა წარმოადგენს მექანიკური (ელექტროძრავას) და ელექტრონული ბლოკების ერთობლიობას;

17. ელექტრული მიკრომანქანები. პრაქტიკული. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, თბილისი, 2013. – 29 გვ.

წარმოადგენს სასწავლო კურსში ცოდნის გასაღრმავებლად და საკურსო სამუშაოს შესასრულებლად განკუთვნილი 7 მაგალითის ერთობლიობას.

#### 18. დაცული სამაგისტრო ნამუშევრები

1. კულიაშვილი ზ. ხელის ინსტრუმენტის მუდმივი დენის ძრავას ენერგიის თანაზომადი სიმძლავრის ფოტოელექტრული წყაროთი მუშაობა. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი, დაცვა შედგა 2013 წლის 19 ივნისს.

2. კიზივაძე-თავაძე ნ. ბიოაგროწარმოების საერთაშორისო სტანდარტები, ბიოპროდუქციის წარმოება, ნიშანდებისა და სერთიფიცირების პრობლემები საქართველოში. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგროტექნოლოგიური ფაკულტეტი, დაცვა შედგა 2013 წლის 17 ივნისს.

#### 6. საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებში, კონფერენციებში მონაწილეობა

1. The 6<sup>th</sup> International Symposium on Recent Advances in Food Analysis. Prague, 04-08 November (მეექვეს საერთაშორისო სიმპოზიუმი: “ახალი წარმატებები სურსათის ანალიზში”, პრაღა, 04-08 ნოემბერი);
2. International Conference "Innovative technologies for sustainable and secure development of the agricultural sector" (საერთაშორისო კონფერენცია: “ინოვაციური ტექნოლოგიები აგრარული საქმორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის”) თბილისი, ოქტომბერი;
3. საერთაშორისო კონფერენცია: „აგრარიკოს მეცნიერთა კვლევის შედეგების კომერციალიზაცია“, ქუთაისი, 28-30 ნოემბერი;
4. ევროკავშირის პროექტის “ბიოპარტნერები”-ს სესია: უახლესი დამუშავებები კვების მრეწველობასა და ტექნოლოგიებში ევროპულ და სამხრეთ კავკასიის ქავებში, პრაღა, 07 ნოემბერი;
5. Fourth International Forum of UNECE, ESCAP, UNDP: Energy for Sustainable Development, Tbilisi, Georgia (გაერთს მეოთხე საერთაშორისო ფორუმი: ენერგია მდგრადი განვითარებისათვის), თბილისი, 2013 წლის 17-19 სექტემბერი.
7. საზღვარგარეთის და ადგილობრივ სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა. მიუთითეთ საგრანტო ფონდი, გრანტის დასახელება.

მონაწილეობდა ევროკავშირის ტემპუსის პროექტში TEMPUS-ES-JPCR-159340 ([www.biosciences.org](http://www.biosciences.org)): "სამაგისტრო პროგრამა გამოყენებით ბიომეცნიერებებში" (საქართველო, სომხეთი, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი, პორტუგალია, 2010 წლის მარტი – 2013 წლის ივნისი).

ევროკავშირის მე-7 ჩარჩო პროგრამის პროექტი "BIOPARTNERS" (ბიოპარტნერები).

#### **8. აკადემიის აკადემიური საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა**

აკადემიური საბჭოს დავალებით აკად. ა. დიდებულიძე ხელმძღვანელობდა შემდეგი კომისიების მუშაობას:

1. გია დვალის კონცეფციის ანალიზის და აგრარულ მეცნიერებაში კონცეფციის დებულებების გამოყენების მიზანშეწონილობის განმსაზღვრელი კომისია – 15 მაისი – 16 ივნისი;

2. სსმმ აკადემიას, საქართველოს საგაჭრო-სამრეწველო პალატასა და საქართველოს პროფესიული განათლების ფონდს შორის თანამშრომლობის მემორანდუმის შემდგენი კომისია – 07 ივნისი - 05 ივლისი;

3. სსმმ აკადემიის საინჟინრო საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილების საქსპერტო-საკონკურსო კომისია „აგრარულ სფეროში საუკეთესო ქართველი მეცნიერის წოდების მინიჭება”, ნოემბერი.

9. სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს, ურნალის, კრებულის, გამომცემლობის და ა.შ. საბჭოსა და რედკოლეგიის წევრობა.

არის არასამთავრობო ორგანიზაციის - პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

არის არასამთავრობო ორგანიზაციის – შეფასების ასოციაციის წევრი.

აგრძელებდა მუშაობას ორი სამეცნიერო გამოცემის სარედაქციო კოლეგიაში:

- ჟურნალი: "Проблемы Аграрной Науки", თბილისი;
- ჟურნალი "ინტელექტი", თბილისი.

## 10. გამოგონება, პატენტი

მიღებული აქვს საქართველოს ერთი პატენტი გამოგონებაზე: კომბინირებული მაგნიტური ძრავა. საქართველოს პატენტი № 5947, "საქპატენტის ოფიციალური ბიულეტენი" № 20(384), 2013, გვ. 15 (თანაავტორები: ა.სანაძე, რ. კურტანიძე, გ. ცერცვაძე, რ. ცერცვაძე, მ. ცერცვაძე).

გამოგონება განეკუთვნება მოწყობილობებს, რომლებიც კომბინირებულად გარდაქმნიან მუდმივი მაგნიტების და ელექტრომაგნიტების ენერგიას ბრუნვითი მოძრაობის მექანიკურ ენერგიაში და შეიძლება იყოს გამოყენებული ეკოლოგიურად სუფთა, კინემატიკურად მარტივი და კარგი წევითი მახასიათებლების მქონე ამძრავის სახით.

## 12. სხვა მნიშვნელოვანი სახის სამუშაოები.

აკად. ა. დიდებულიძე მონაწილეობდა ენციკლოპედია "საქართველოს" III ტომის მასალებთან დაკავშირებული შენიშვნების მომზადებაში.

### 7.3.3. აკადემიკოსი არჩილ ვაშაკიძე



1. თემის დასახელება რომლის კვლევებსაც ასრულებს აკად. ა. ვაშაკიძე:

1.1. „ბიოენერგეტიკის (ბიოდიზელი, ბიობენზინი) განვითარება საქართველოში“;

1.2. „საქართველოში ლოკალური განაწილებული სასოფლო–სამეურნეო ქსელების შექმნისათვის მოწყობილობების და პარამეტრების შერჩევის ანგარიში მართვის ალგორითმის არჩევით“;

2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში ასწავლის შემდეგ სასწავლო კურსებს:

„აგრარულ წარმოების ელექტრიფიკაცია“;

„ელექტროტექნიკური დანადგარების, კომპლექსების და ელექტრომომარაგების სისტემების მონტაჟი“;

„ ავტომატური მართვის საფუძვლები“;

„ექსპერიმენტის დაგეგმვის მეთოდები“

„ მემცნარეობის საწარმოთა ელექტრომოწყობილობები“;

ხელმძღვანელობს: ორ – მაგისტრს; სამ – დოქტორანტს.

3. მიმდინარე წელს აკად. ა. ვაშაკიძის ხელმძღვანელობით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში დაცულია ორი სამაგისტრო ნაშრომი:

3.1. “110 კვ. ძაბვის საპაერო ხაზის „ზესტაფონი–ხაშურის“ მაგისტრალის ელქტროენერგიით მომხმარებელთა საიმედობის ანალიზი”;

3.2. „სამცხე-ჯავახეთის“ რეგიონის ელქტროენერგიით მომხმარებელთა საიმედობის ანალიზი”.

4. მონაწილეობდა ბონის უნივერსიტეტის მეცნიერების განვითარების ცენტრის (გერმანია) და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სემინარის მუშაობაში თემაზე „ სასოფლო სამეურნეო განათლების საკითხები აგრარულ სექტორსა და სოფლის განვითარებაში“. წაკითხულია მოხსენება თემაზე „ აგრარული განათლების საკითხები“;

5. სამცნიერო ჟურნალების რედკოლეგიების წევრი: ჟურნალი „ინტელექტი“, „აგრარულ მეცნიერებათა უწყებანი“, ~Bulletin of Armenian Agricultural Academ“, „აგრარულ–ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“; დაჯილდოებულია: „საპატიო ნიშის ორდენით“, „ღირსების ორდენით“, მედლებით და სიგელებით.

## **6. ბიოენერგეტიკისა და სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის განვითარება**

### **6.1. ბიოენერგეტიკის განვითარება**

ბიოენერგეტიკის განვითარება წარმოადგენს ერთერთ პრიორიტეტულ მიმართულებას ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობისა და ენერგოუსაფრთხოებისათვის. საქართველოს პარლამენტი წარმოდგენილი იყო მოხსენება „ბიოსაწვავი“. საქართველოს მთავრობამ (№6211-რს ) უკვე მიანიჭა პროდუქციას შესაბამისი სასაქონლო ses esn კოდი 3826 00 000 00; ბიოდიზელისა და ბიობენზინის წარმოება საქართველოში, როგორც ჩატარებულმა პლატფორმა გვიჩვინა რეალიზებადი და აქტუალურია.

### **6.2. სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის განვითარების პრიორიტეტები**

აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს აგრარული წარმოების ელექტრიფიკაცია.

აგრარული წარმოების ელექტრიფიკაცია დაკავშირებულია, სოფლის მეურნეობის ენერგეტიკულ ბალანსთან, ენერგიის მისაღებად ენერგიის ახალი წყაროების ათვისებასთან. ენერგოდამზოგ ტექნოლოგიებთან და ტექნიკასთან, ელექტრო ენერგიით მომარაგების სისტემის რაციონალიზაციასთან.

აგრარული წარმოების ელექტროენერგიით უზრუნველყოფა მოითხოვს, ამ საწარმოებისათვის და საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის, როგორც ავტონომიური, ასევე ცენტრალიზებულ ელექტრომომარაგებას რაციონალური სქემების განვითარებასა და რეკონსტრუქციას, მათ ოპტიმიზაციასა და მართვის ავტომატიზაციას. 100/35/0,4 კვ. ძაბვის სისტემის სატრანსფორმატორო ქვესადგურების, მაგისტრულ ხაზებში ერთი ამაღლებული კვეთის გამოყენებას. საჭირო ხდება ფერმერულ მეურნეობასთან ახლოს აშენებული 10/0,4 კვ. ქვესადგურსა ან 10კვ. საპაერო ხაზზე (შეკრული სამფაზა-ერთფაზა ენერგიის გამანაწილებელი შერეული სისტემით), მოქმედ საპაერო ხაზთან მიერთება.

ეს იდეა განხორციელებადია რადგან, ელექტროენერგიის მყიდველს უფლება აქვს, ელექტროენერგია შეისყიდოს ნებისმიერი გამყიდველისაგან, თუ მისი წლიური მოხმარება შეადგენს:

- ა) 2013-2015 წლ არანაკლებ 3 მლნ. კვტ. სთ;
- ბ) 2016-2017 წლ არანაკლებ 1 მლნ. კვ. სთ.;
- გ) 2017წ-1 მილიონ კვტ. სთ;

#### **ელექტროენერგიის მოხმარება, წარმოება. კვტ.სთ**

წელი	მოხმარება	წარმოება
2013	11,517	14,991
2014	12,06	15,710
2015	12,61	16,2019

ეს პირობები საშუალებას იძლევა გაიზარდოს აგრარულ წარმოებაში ელექტროენერგიის გამოყენებაში პერსპექტივები, რომლის ძირითადი კონცეპტუალური მოთხოვნილებებია:

#### **62-I. ელექტროენერგიის ეფექტურად გამოყენება**

1. ენერგოეფექტურობის ამაღლება;
2. განახლებადი ენერგიის წყაროების ფართოდ გამოყენება;

#### **62-II ელექტროენერგიის განაწილებისა და მოხმარების უსაფრთხოება**

1. ქსელების, ქვესადგურებისა და ელექტროდანადგარების ორგანიზაცია, მოდერნიზაცია;
2. ახალი ქსელებისა და ელექტროფიცირებული ობიექტების მშენებლობა;
3. ელექტროენერგიის მისადებად ალტერნატიული ენერგიის წყაროების გამოყენება.

#### **62-III ახალი ელექტრული სიმძლავრეების შექმნა.**

2015 წლისათვის საქართველოში ელექტროენერგიის წარმოება 16,219 კვტ. სთ-ს მიაღწევს, რაც პროპორციულად გადანაწილდება აგრარულ წარმოებასა და საყოფაცხოვრებო კომუნალურ მომხმარებელზე. საქართველოს აგრარული სექტორის ელექტროფიკაცია დამოკიდებულია აგრარულ წარმოებაზე, ხოლო ეს დამოკიდებულია ქვეყნის კლიმატურ, ნიადაგობრივ და საწარმოო ობიექტების ბიოლოგიურ პირობებზე.

თითქმის ყოველწლიური სტიქიური მოვლენები (სტიქი, ძლიერი ქარი, გვალვა და სხვა) და მცენარეთა განსაკუთრებული მგრძნობიარობა მათ მიმართ აუცილებელს ხდის შესაბამისი დონისძიებების გატარებას განსაკუთრებით გვალვების მიმართ, რომლის მატერიალური ზარალი 2000 წ. 450,0 მლნ ლარს შეადგენდა. სამელიორაციო სამუშაოები, სატუმბო სადგურები და მისი ავტომატური მართვა ერთ-ერთი საშუალება ამ მოვლენებით ზარალის შესამცირებლად, რისთვისაც აუცილებელია სამელიორაციო დანადგარების ელექტროენერგიით უზრუნველყოფა.

მემცენარეობაში მცენარეთა თესლის წარმოება მოითხოვს გამწმენდ და დამხარისხებელ ელექტრიფიცირებულ მოწყობილობებს, რომლებიც მოითხოვენ მანქანათა ბრუნვის სიხშირის რეგულირებას.

მეცხოველეობა რაც მეტად განვითარდება, მით მეტი ეფექტი გააჩნია ელექტროენერგიის გამოყენებას ამ დარგში, რადგან სწორი, პიგიენური, საკმაო წყალმომარაგება, საკვების მომზადების რეგულირება (ძირხვენებისა და თივის დამჯუცმაცებლის, ნაკელგამტანის სანიტარული დამუშავების და სხვა) მოიცავს უწყვეტ ელექტრომომარაგებას ისევე როგორც რძის წარმოების მანქანების (სეპარატორების, კარაჟი-სელევატორების, ჩამოსასხმელი და სხვა) რომლებიც ინტენსიური სოფლის მეურნეობის განუყოფელი ნაწილია.

### 6.3 აგრარული წარმოების ელექტრიფიკაციის განვითარებისათვის საჭიროა

6.3.1 სასოფლო სამეურნეო რაიონებში განხორციელდეს ორგანიზაციული ღონისძიებები:

ენერგიის ალტერნატიური წყაროების გამოყენებასთან ერთად, 0,4/10კვ-ელექტრული ქსელების ტექნიკური გადაიარაღების რეკონსტრუქციის რეკომენდაციების დამუშავება. 0,38კვ. 6-10კვ. საპაერო ხაზებისა და 6-10/04კვ. სატრანსფორმატორო ქვესადგურების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და ტექნიკური გადაიარაღება. მთიან რეგიონში სასოფლო-სამეურნეო ელ. გადამცემი ხაზების გაყინვის შემცირების ღონისძიებები. ზოგიერთ რაიონებში ელექტრომომარაგებისა და განაწილების ლოკალური სისტემის შექმნა და მათი მიერთება ენერგოსისტემასთან. საიმედობის ამაღლების მიზნით დენის სწრაფმოქმედი (არაუმეტეს 2...3 მწმ.) შემზღვედვების გამოყენება, რადგან ელექტრული დატვირთვებისა და ელექტროგენერაციის სიმძლავრეების გაზრდას მივყენართ ელმომარაგების სისტემის საიმედობის შემცირებისაკენ, რაც იწვევს მის სტატიკურ და დინამიურ მდგრადობის გაუარესებას. ელმომარაგების სისტემის განვითარება განაპირობებს მოკლებართვის დენების ზრდას, ეს კი ზოგჯერ ელმოწყობილობების მწყობრიდან გამოსვლისა და ხანძრის განხილვის მიზნიც შეიძლება გახდეს. დენის სწრაფმოქმედი შემზღვედვების გამოყენება საშუალებას იძლევა შევზღუდოთ დარტყმისა და დამყარებული დენების მნიშვნელობები, რომ არ მოხდეს გავლენა ქსელის ელემენტებზე, ხოლო მოკლებართვის აღმოფხვრისას ავტომატური ამუშავება და აღდგენა. 2030 წლისათვის ელ. ენერგიის საერთო მოთხოვნაში (პროგნოზირებულია გაიზარდოს 1,5 ჯერ) აგრარული წარმოების ელექტროფიკაციის წილის გაზრდა. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მზის ავტონომიური ინვენტორების, ქარისა და მიკროჰესების გამოყენებით. ენერგოდამზოგი ლუმინესცენტური და შუქდიოდური ნათურების გამოყენება. 10კვ. სასოფლო დანიშნულების ხაზების მუშაობის უნარიანობის გაზრდა დიაგნოსტიკური მეთოდების გამოყენებით. სარწყავ სისტემების სატუმბო სადგურების პოლუსგადამრთველი ხვიებიანი ელ.ამძრავების გამოყენება. სარწყავი მიწათმოქმედების ტექნოლოგიების ელ.მოწყობილობების ფუნქციების ეფექტურობის ამაღლება. სასოფლო სამეურნეო ტექნოლოგიების ელექტრო-ფიზიკური მეთოდებით კონტროლი და მართვა. თესლის გაწმენდის,

შრობის პროცესის ელექტროაქტივება; ხორბლის თესლის ოზონისებრი ჰაერით დამუშავება ელექტროფიცირებული შემბოლავი მოწყობილობის დამუშავება .ფრინველის გალიაში შენახვის აეროინიზაციის ეფექტურობის ამაღლება. მეფრინველების ნაკადური საწარმოო ხაზების ელექტრომოწყობილობების სისტემების შექმნა.სახმორებებში ელექტრო გამახურებელი თბოაკუმლირებული სისტემების შექმნა და სხვა.

### **6.3.2 დასახული მიზნების რეალიზაციის მექანიზმები:**

აგრარულ წარმოებაში ელექტროფიკაციის ინოვაციურ მოთხოვნილების ანალიზი. ელექტროენერგიის ინოვაციური საქმიქნობისათვის მისი წარმოების ყოველ სტადიაზე(ტექნოპარკები,ბიზნესინკუბატორები)ინფრასტრუქტურის ელემენტების შექმნა. ელექტროფიკაციის პროექტების, მაღალტექნოლოგიური და მეცნიერტევადი პროდუქციისა და პოტენციურ ინვესტორთა საერთო მონაცემთა ბანკის შექმნა. საინფორმაციო-საკონსულტაციო მხარდაჭერა მედიის გამოყენებით. საკანონმდებლო, ნორმატიული და მეთოდური უზრუნველყოფის დოკუმენტების შექმნა.

სოფლის მეურნეობაში ელექტროენერგიის მოხმარების მაღალი აერსაექტივებით გამოირჩევა სხვადასხვა დარგები, მათშორის : მეცხოველეობა, სერვისული და სარემონტო მომსახურება, სასათბურე და პროდუქტოა გადამამუშავებელი საწამოები.

### **6.3.3. მოსალოდნელი შედეგები:**

- აგრარული წარმოების ელექტრიფიკაციაში სხვადასხვა წყაროებიდან საინვესტიციო მიმზიდვებელობის გაზრდა;
- სოფლის მეურნეობის შიდა პროექტში ელექტროფიკაციის მაღალი ტექნოლოგიური წილის გაზრდა;
- აგრარული წარმოების ელექტროფიკაციაში დასაქმებულთა რაოდენობის გაზრდა;
- აგრარული წარმოების მცირე და საშუალო ინოვაციური საწარმოების გაზრდა განვითარება;
- აგრარული წარმოების ელექტრული მეურნეობის დაბალი და მაღალი ძაბვის ელექტრომოწყობილობების, ელექტროტექნიკური დანადგარებისა და ქსელების გაფარაოება;
- ელექტროტექნოლოგიური, ელექტროფიზიკური დანადგარებისა და პროცესებში საკაბელო და საჰაერო ელექტროგადამცემი საშუალებების და ელექტრული კონდენსატორების, ელექტრული და ელექტრონული აპარატების, ელექტროტექნიკური საშუალებების გამოცდისა და კონტროლის მეთოდებისა და საშუალებების ელექტრომომარაგებისა და აგრარული წარმოების პროცესების ავტომატიზაციის სისტემების ფართოდ გამოყენება;
- ელექტროსამონტაჟო, საექსპლუატაციო და სარემონტო სამუშაოებში ელექტრომომარაგების სისტემის რეჟიმების პარამეტრების ოპტიმიზაცია, ენერგოდამზოგი ღონისძიებების რეკომენდაციები და გამოყენება;
- სასოფლო-სამეურნეო ელექტრული ქსელების განვითარება;

- აგრარული წარმოების საიმედო, უსაფრთხო ელექტრომომარაგების უზრუნველყოფა, პროდუქციის ელექტროტენადობის შემცირებისა და საყოფაცხოვრებო პირობებისათვის კომფორტული ცხოვრების უზრუნველყოფა;
- სასოფლო-სამეურნეო ელექტრული ქსელების განვითარების საჭიროებისათვის განხორციელდება :

- ფერმერული მეურნეობის, წარმოებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის უწყვეტი ელექტრომომარაგების უზრუნველყოფა;
- აგრარულ დარგში მოხმარებული ელექტროენერგიის ხარისხის გაზრდა;
- ელექტროენერგიის მოხმარებლების მიერთება ელექტრული ენერგიის წყაროებთან;

სოფლის მეურნეობაში, ენერგიის განაწილების უბრალო და ეკონომიური მეთოდების გამოყენება, როგორიცაა ტრანზიტული სქემა. აგრეთვე(0,38კვ. ძაბვით შესრულებული სქემა) შეიძლება განხორციელდეს 10კვ. საჰაერო ხაზის ბოლოს დაყენებული ერთი გამთიშველით სამფაზა-ერთფაზა სისტემების გამოყენება სოფლად.

გარე ელექტრომომარაგების ოპტიმიზაციისათვის, აგრარული წარმოების ელექტრული დატვირთვისა და კვების ობიექტიდან მისი დამოკიდებულების ფაქტორების გათვალისწინება.

- მოქმედი 0,38კვ. საჰაერო ხაზის ბოლოში ან მაგისტრალთან მიერთება.
- ცალკე აშენებულ 0,38კვ. საჰაერო ხაზით მიერთება მოქმედ ქვესადგურთან 10/0,4კვ. ტრანსფორმატორის შეუცვლელად ან მაღალი სიმძლავრის ტრანსფორმატორის დაყენება.
- მარცვლის თესვისწინა დამუშავების ელექტროტექნოლოგიის ელექტროდამზოგი ტექნოლოგიები.
- სასოფლო სამეურნეო ასინქრონული ძრავის იზოლაციის კონტროლი სისტირული გენერატორის საფუძველზე კონტროლი სისტირული განმუხტვის საფუძველზე.
- სასოფლო სამეურნეო ასინქრონული ძრავის იზოლაციის დიაგნოსტირება მისი ტევადური წინაღობის კონტროლით.
- ოპტიკური გამოსხივების გამოყენება სოფლის მეურნეობაში.

- ასინქრონული ძრავის დიაგნოსტიკური მეთოდი მასზე მაგნიტური ველის პარამეტრების ანალიზის საფუძველზე.
- 10კვ. რკინა-ბეტონის ანძის საექსპლუატაციო თვისებების გაუმჯობესება ელექტროტექნიკური დონისძიებებით.
- თესლის დიელექტრული სეპარაცია.
- სარეველებისაგან ელექტროიმპულსური გაწმენდა.
- სასოფლო ელდანადგარების მუშაობის ეფექტურობის გაუმჯობესება.
- ასინქრონული ძრავის დაცვის ეფექტების ამაღლება ელექტროდანადგარების არანორმალურ და ავარიულ რეჟიმში მუშაობის დროს.
- ჩაის ელექტროფიცირებული ხელის იარაღების შექმნა.
- ჩაის მომხალავი ელექტრიფიცირებული აგრეგატების დამუშავება.
- საკვები ბალახის ფქვილის დამამზადებელი დანადგარის შექმნა .

- მცირე მეცხოვლეობის ფერმების (20 სული) საწველი და რძის პირველადი გადამამუშავებელი ელექტრიფიცირებული აგრეგატის შექმნა .
- ელექტრიფიცირებული მიწის სტრატიფიკატორის შექმნა.
- სათბურებში წყლის ელმაგნიტური სარწყავი და აკუსტიკური ზემოქმედების გამოყენება.
- მეფრინველეობაში სინათლის წყვეტილი რეჟიმის გამოყენება.
- მსუბუქი ტიპის საფრინველების ელექტრიფიკაცია.

#### **ჩატარებული კვლევების შედეგად:**

სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის განვითარების პრიორიტეტების (6.2) საფუძველზე, ძირითადი კონცეპტუალური მოთხოვნილებების: ელექტროენერგიის ეფექტურად გამოყენებისა (6.2-I) და ელექტროენერგიის განაწილებისა და მოხმარების უსაფრთხოების (6.2-II) გათვალისწინებით, ახალი ელექტრული სიმძლავრეების შექმნის (6.2-III) მხედველობაში მიღებით,

**საჭიროა:** აგრარული წარმოების ელექტრიფიკაციის განვითარებისათვის (6.3): სასოფლო სამეურნეო რაიონებში განხორციელდეს ორგანიზაციული დონისძიებები (6.3.1); დამუშავდეს დასახული მიზნების რეალიზაციის მექანიზმები (6.3.2); მოსალოდნელი შედეგების (6.3.3) პროგნოზირება.

#### **7.3.4. აკადემიკოსი ჯემალ კაციტაძე**



1. **სამეცნიერო-კვლევითი თემა:**“ახალი მასალებისა და ტექნოლოგიების დამუშავება მანქანების საიმედოობის გაზრდისათვის”; სამეცნიერო ხელმძღვანელი.
2. **საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი-საგნები:** “მანქანების საიმედოობა და რემონტი”, “მასალათმცოდნეობა” .აღნიშნულ საგნებში კითხულობს ლექციებს და ხელმძღვანელობს მაგისტრანტებსა და დოკტორანტებს.
3. **გამოქვეყნებული სტატიები:**

3.1. Research and Development of resource-saving Technologies for

the Recovery of Worn-out Parts of agricultural Machineri with the Aim of increasing theier Reliabiliti. ,საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის შრომათა კრებული „მანქანები სოფლის მეურნეობაში“, ვარნა (ბულგარეთი), 2013,გვ.67...70;

სტატიაში განხილულია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გაცვეთილი დეტალების აღდგენის არსებული ხერხების ანალიზი,ჩატარებულია თეორიული და ექსპერიმენტული კვლევები მრავალ ფაქტორიანი ექსპერიმენტების დაგეგმვის თეორიის გამოყენებით და დამუშავებულია რესურსდამზოგი ტექნოლოგიები მათი საიმედოობის გაზრდისათვის, რომლებიც საშუალებას იძლევიან გაიზარდოს დეტალის რესურსი 2,5-3 ჯერ.

3.2. Повышение надежности сельско-хозяйственной техники, *საერთო მორისონის სამეცნიერო ჟურნალი „Механизация на земледелието“ № 5, სოფია, 2013, გვ.17..20.*

სტატიაში მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მათემატიკური მეთოდების გამოყენებით დამუშავებულია მეთოდიკა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საიმედოობაზე გაანგარიშებისათვის და მათი დეტალების აღდგენითი პროცესების ოპტიმიზაციისათვის, რომელიც რეალიზებულია კონკრეტულ მანქანებზე.

3.3. Теоретико-технологические основы для расчета и повышения надежности сельскохозяйственной техники. *საერთაშორისო სამეცნიერო -პრაქტიკული კონფერენციის შრომათა კრებული „ინვაციური ტექნოლოგიები აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის“, თბილისი, 2013.*

სტატიაში მოცემულია თეორიული და ტექნოლოგიური საფუძვლები მანქანების საიმედოობაზე გაანგარიშებისათვის, რომლებიც ითვალისწინებენ მათ უკცარ და თანდათანობით მტკუნებებს .მიღებულია შესაბამისი კოლმოგოროვის დიფერენციალური განტოლებანი, რომელთა ამოხსნის შედეგად შესაძლებელია მანქანის ტექნიკური მდგომარეობის პარამეტრების დადგენა.

3.4. „ახალი მასალები და ინოვაციური ტექნოლოგიები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საიმედოობის გაზრდისათვის“, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შრომათა კრებული „აგრარიკოს მეცნიერთა პლევის შედეგების კომერციალიზაცია“, ქუთაისი, 2013, გვ. 10...16

გამოკვლეულია საზღვარგარეთული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის  
საიმედოობის მაჩვენებლები საქართველოს თავისებურ ნიადაგობრივ-კლიმატურ  
პირობებში მუშაობის გათვალისწინებით და დამუშავებულია პრაქტიკული  
რეკომენდაციები მათი გაზრდისათვის.

3.5. „გუთნების სახნისების ცვეთის ალბათურ-სტატისტიკური მოდელირება“, ინტერენტ-პონტერენციის შრომათა კრებული, ქუთაისი, 2013, გვ.98...101.

სტატიაში მოცემულია რაჭა-ლეჩხეუმის მთიან პირობებში მომუშავე გუონების სახენისების ცვეთის აღექვაზური ალბათურ-სტატიისტიკური მოდელები და განსაზღვრულია მათი მოდალური ცვეთის მნიშვნელობანი აღდგენის რაციონალური ხერხის შერჩევისათვის.

6.მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდა ქ. ვარნაში (ბულგარეთი) 2013 წლის 20...22 ივნისს.

აკად. ვ. გაციტაძე გამოვიდა მოხსენებით: - Research and Development of resource-saving Technologies for the Recovery of Worn-out Parts of agricultural Machineri with the Aim of increasing theier Reliabiliti~. სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობდა ევროკავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების 120-ზე მეტი მეცნიერი. მოხსენება საუკეთესოდ იქნა შევასებული და მოსმენილი იქნა პლენარულ

სხდომაზე. კონფერენციის ხარჯები დაფინანსებული იქნა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ;

იყო აღნიშნული კონფერენციის საერთაშორისო საორგანიზაციო კომიტეტის წევრი და ასევე პირადად ხელმძღვანელობდა მანქანების სერვისის სექციას.

მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე „ინოვაციური ტექნოლოგიები აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის“, თბილისი, 2013. მოხსენების თემა: „Теоретико-технологические основы для расчета и повышения надежности сельскохозяйственной техники“.

ასევე მონაწილეობა მიიღო ქალაქ ქუთაისში 2013 წლის 28...30 ნოემბერს ჩატარებულ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მუშაობაში, რომელიც ეძღვნებოდა საგრანტო პროექტებში მიღებული მეცნიერული შედეგების კომერციალიზაციას. გამოვიდა მოხსენებით -“ახალი მასალები და ინოვაციური ტექნოლოგიები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საიმედოობის გაზრდისათვის“. ასევე წარადგინა მოხსენება, რომელიც დაიბეჭდა ქუთაისში ჩატარებულ საერთაშორისო ინტერნეტ-კონფერენციის შრომათა კრებულში 2013 წლის 10...15 დეკემბერს. მოხსენების თემა - „გუთნების სახნისების ცვეთის ალბათურ-სტატისტიკური მოდელირება“.

7. ხელმძღვანელობს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებულ შიდა საგრანტო პროექტს: “ახალი მასალებისა და ტექნოლოგიების დამუშავება მანქანების საიმედოობის გაზრდისათვის“. ასევე ახალი საგრანტო პროექტი წარდგინა შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში.

8. მოხსენება გაკეთდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგროსაინჟინრო საკორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილების სხდომაზე თემაზე: „ქ. ვარნაში (ბულგარეთი) 2013 წლის 20...22 ივნისს ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის შესახებ“. წარდგენილია ასევე რეკომენდაციები საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სერვისის რაციონალური ორგანიზაციის შესახებ.

9. არის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის „Механизация на земледелии“ (ბულგარეთი) რედაქტორის წევრი, რომელიც გამოიცემა ევროკავშირის ეგიდით ქალაქ სოფიაში. ასევე არის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მოამბის“, ჟურნალ „სოფლის მეურნეობის ეკონომიკის“ და ჟურნალ „Вопросы металловедения“ რედაქტორის წევრი.

10. წარდგენილია პატენტზე ერთი წინადადება „გუთანი ცვალებადი მოდების განით“, რომელიც ამჟამად არის რეცენზირების პროცესში.

11. არის “დირსების ორდენის” კავალერი.

12 ქალაქ ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე იყო ორი სადოქტორო დისერტაციის შემფასებელი:

-ვარშანიძე ფირუზა „ფერდობზე თხილის მოსავლის კრეფა მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით“ ( დაცვის თარიღი 2013 წლის 15 ივნისი).

- ფადიკო აბუსელიძე „მცირე სიმძლავრიანი სათიბელების მოდერნიზაცია ახალი ტიპის მჭრელი აპარატის გამოყენებით“, (2013 წლის 06 დეკემბერი);

გარდა ამისა, 2013 წლის 14 ივნისს იყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთჯერადი სადისერტაციო საბჭოს წევრი ნათელა დუმბაძის სადოქტორო დისერტაციის დაცვაზე თემაზე „ჩაის პლანტაციების მძიმედ გასხვლის სამანქანო ტექნოლოგიისა და ტექნიკური საშუალებების დამუშავება მცირე ენერგეტიკის ბაზაზე“.

12. არის საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საინჟინრო - ტექნოლოგიური ფაკულტეტის სრული პროფესორი და აგროსაინჟინრო სპეციალობის სადისერტაციო საბჭოს წევრი.

13. საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომი წინსვლისათვის საჭიროა გატარდეს შემდგომი დონისძიებანი:

-- მოხდეს შპს “მექანიზატორის“ განსახელმწიფოებრიობა;

- აიკრძალოს უცხო ქვეყნების მოქალაქეებზე ქართული მიწის გაყიდვა;
- შეიქმნას მანქანების საგამოცდო საწარმო;
- მიღებული იქნას კანონი, რომელიც დააწესებს კატეგორიულ ჯარიმებს იმ პირების მიმართ, რომლებსაც დაუმუშავებელი აქვთ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები;

- საქართველოს პარლამენტმა მიიღოს კანონები „ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სერვისის შესახებ“, „საქართველოს სოფლის მეურნეობის ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ“ და სხვა საკონდენსაციო დოკუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობაში შრომატევადი სასოფლო-სამეურნეო ოპერაციების მექანიზაციას.

14. დარგობრივ განყოფილებაზე 2014 წლის ივნისში იგეგმება მოხსენებით გამოსვლა საერთაშორისო კონფერენციის შესახებ, რომელიც ჩატარდება 2014 წლის 20...21 ივნისს ბულგარეთის ქალაქ ვარნში და რომლის საორგანიზაციო კომიტეტის წევრიც არის აკად. ჯ. კაციტაძე.

### 7.3.5. აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე



1. აკად. რ. მახარობლიძე ხელმძღვანელობდა და მონაწილეობდა შემდეგი პროცესის შესრულებაში: „საქართველოს სოფლის მეურნეობის ენერგოდამზოგი სამანქანო ტექნოლოგიის, მანქანათა სისტემის და მათი უფექტური გამოყენების მეცნიერული საფუძვლების დამუშავება“.

2. აგრარული უნივერსიტეტის აგროსაინჟინრო ფაკულტეტზე კითხულობდა ლექციების კურსს ბაკალავრებთან და მაგისტრანტებთან შემდეგ დისკიპლინებში :

ა. „ტრაქტორების და ავტომობილების თეორია“;

ბ. „სოფლის მეურნეობის წარმოების ავტომატიზაცია“ ;

გ. „სამთო მექანიზაცია სოფლის მეურნეობაში“ ;

დ. „მცირე მექანიზაცია სოფლის მეურნეობაში“ ;

3. გამოქვეყნებული სტატიები :

3.1. „საქართველოში აგროსაინჟინრო კვლევების პრიორიტეტები“. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, №30, 2012 წ.

გაანალიზებულია საქართველოში აგროსაინჟინრო კვლევების ძირითადი შედეგები და ქვეყნის სოფლის მეურნეობის თავისებურებებიდან გამომდინარე, გამოყოფილია უახლეს წლებში მექანიზაციის დარგში ფუნდამენტური და კომპლექსური გამოყენებითი კვლევების ძირითადი მიმართულებანი. ყურადღება გამახვილებულია მექანიკა-მათემატიკური მეცნიერების იმ დარგებზე, რომელთა გამოყენება მნიშვნელოვნად აამაღლებს კვლევების მეცნიერულ დონეს. დასახულია დონისძიებანი აგროსამრეწველო სექტორის საინჟინრო სფეროს სტაბილიზაციისა და სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიური და ტექნიკური ინოვაციის გზით განვითარებისათვის.

3.2. „ცვალებადი მასის კარტოფილის სარგავი მანქანა-ტრაქტორთა აგრეგატის დინამიკა“. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, №30, 2012 წ. (რუსულ ენაზე).

სარგავი მანქანა-ტრაქტორთა აგრეგატის მაგალითზე გამოკვლეულია გარდამავალი პროცესების დინამიკა ექსპერიმენტული კარტოფილის სარგავი მანქანის ბუნკერში კარტოფილის მასის თანდათანობითი შემცირების გათვალისწინებით. საანგარიშო ფორმულის სახით დამყარებულია ფუნქციონალური კავშირი აგრეგატის სიჩქარისა ძრავას, ტრაქტორისა და ტექნოლოგიური მანქანის მახასიათებლებთან, ბუნკერში სასოფლო- სამეურნეო მასალის მასის (მოცულობის) თანდათანობითი შემცირების გათვალისწინებით.

3.3 „ცვალებადი მასის ჩაის სასხლავ-სარეაბილიტაციო აგრეგატის დინამიკა“. ქ. „მექანიკის პრობლემები“, № 4, 2013 წ. (ინგლისურ ენაზე).

ექსპერიმენტული ჩაის სასხლავ-სარეაბილიტაციო აგრეგატის მაგალითზე გამოკვლეულია გარდამავალი პროცესების დინამიკა მანქანის გადაადგილების ფუნქციაში მასის მიერთების გათვალისწინებით. საანგარიშო ფორმულის სახით

დამყარებულია ფუნქციონალური კავშირი აგრეგატის სიჩქარის ძრავას, ტრაქტორის და ტექნოლოგიური მანქანის მახასიათებლებთან, ბუნკერში სასოფლო-სამეურნეო მასალის (ჩაის დაქუცმაცებული მასის) თანდათანობითი გადიდების გათვალიწინებით.

3.4. „გადაზრდილი და დეგრადირებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის ან ამოძირკვის სამანქანო ტექნოლოგია და ტექნიკური საშუალებანი“. შრომათა კრებული „აგრარიკოს მეცნიერთა კვლევის შედეგების კომერციალიზაცია“, ქ. ქუთაისი, 2013 წ.

მოცემულია საგრანტო პროექტით დამუშავებული, გადაზრდილი და დეგრადირებული ჩაის პლანტაციების რებილიტაციის ან ამოძირკვის სამანქანო ტექნოლოგია და ტექნიკური საშუალებების კონსტრუქციული თავისებურებანი, რომლებიც გამოცდილი და აპრობირებულია საწარმოო პირობებში.

4. მომზადებულია ელექტრონული ვერსია სახელმძღვანელოებისა: „მცირე მექანიზაცია სოფლის მეურნეობაში“ და „სამთო მიწათმოქმედების მექანიზაცია“.

5. მონაწილეობდა ქ. ქუთაისში გამართულ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაში „აგრარიკოს მეცნიერთა კვლევის შედეგების კომერციალიზაცია“, რომელზედაც გამოვიდა მოხსენებით „გადაზრდილი და დეგრადირებული ჩაის პლანტაციების რებილიტაციის ან ამოძირკვის სამანქანო ტექნოლოგია და ტექნიკური საშუალებანი“.

6. ხელმძღვანელობს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის 2012 წლის კონკურსის გამარჯვებულ პროექტს „დარტყმის თეორიისა და რეოლოგიის გამოყენება სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიური პროცესების, მანქანების და იარაღების დამუშავებაში“.

7. არის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს წევრი და საინჟინრო საკორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, ასევე ეროვნული კოორდინატორი სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საკითხებში.

8. არის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბის“ რედკოლეგიის წევრი და სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალის „აგრარული საქართველოს“ სამეცნიერო საბჭოს თაგმჯდომარე.

9. მიღებული აქვს პატენტი P.5852 - „უნივერსალური ხელის ჩაის სასხლავ-საკრეფი, გაზონის სასხლავი და ბალახის ამდები მანქანა“.

#### **აკად. რ. მახარობლიძის წინადაღებები სოფლის მეურნეობის მექანიზაციის განვითარების შესახებ.**

1. სოფლის მეურნეობის ხელახალი ტექნიკური გადაიარაღება უნდა მოხდეს მაღალი ტექნოლოგიის შემსრულებელი მანქანებით.

2. საზღვარგარეთიდან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენამდე საჭიროა მათი ნიმუშების წინასწარი გამოცდა ქვეყნის რეგიონების მიხედვით.

3. ქვეყანაში არსებულ და მშენებარე სერვის ცენტრებს უნდა დაეკისროს დამატებითი ფუნქცია. კერძოდ, ისინი უნდა გახდნენ რეგიონებში მაღალი ტექნოლოგიების დემონსტრირების ორგანიზაციები. ამისათვის მათ უნდა ჰქონდეთ საკუთარი მიწის ნაკვეთები, სადაც მოახდენენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანას მაღალი ტექნოლოგიებით და ამ ტექნოლოგიების დემონსტრირებას ფერმერული მეურნეობებისათვის.

4. სამეცნიერო-კვლევითმა ორგანიზაციებმა უნდა დაამუშაონ რეკომენდაციები, თუ რომელი ტიპის მაღალი ტექნოლოგია გამოდგება კულტურების მოვლა-მოყვანისათვის ქვეყნის რეგიონების ბუნებრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით.

5. ქვეყანაში უნდა აღდგეს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხანა სპეციფიკური კულტურების (ჩაი, სუბტროპიკები, სამთო მიწათმოქმედება და ა.შ.) მოვლა-მოყვანის კომპლექსური მექანიზაციისათვის.

6. მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე უნდა შეიქმნას სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი, რომლის ფუნქცია იქნება:

ა) ქვეყნის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისათვის სამანქანო ტექნოლოგიების და მანქანათა სისტემის დამუშავება;

ბ) სპეციფიკური კულტურების მოვლა-მოყვანისათვის ახალი თაობის მანქანათა კომპლექსების დაპროექტება, დამზადება და წარმოება;

გ) საზღვარგარეთიდან შემოსატანი ტექნიკის ნიმუშების გამოცდა;

დ) ტექნოლოგიური პროცესების შესრულების ოპერაციების მიხედვით სამუშაოების ნორმირება;

7. სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის განვითარების სახელმწიფო რეგულირებისათვის მისაღებია მთელი რიგი საკანონმდებლო აქტები:

7.1. კანონი აგროსამრეწველო კომპლექსის მანქანათმშენებლობის შესახებ;

7.2. კანონი საქართველოს აგროსამრეწველო წარმოების ტექნოლოგიური პოლიტიკის შესახებ;

7.3. კანონი ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მოწყობილობებისა და ხელსაწყოების სერტიფიკაციის ნორმატიული აქტების შესახებ;

7.4. კანონი სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების სერტიფიკაციის ნორმატიული აქტების შესახებ; აგროსამრეწველო კომპლექსში საწარმოო ტექნოლოგიური და აგროსაინჟინრო სერვისის შესახებ;

7.5. კანონი საამორტიზაციო ანარიცხებისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში ტექნიკური განახლების მიზნობრივი ფონდების ფორმირების შესახებ; კანონი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დილერების შესახებ;

8. დამუშავდეს მომხმარებელთა კრედიტირების მექანიზმი ტექნიკის შესყიდვის დაფინანსებისათვის, მათ შორის ლიზინგის საფუძველზე.

### 7.3.6. აკადემიკოსი თენგიზ ნანიტაშვილი



დასაქმებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში მთავარ მეცნიერ თანამშრომლად. მონაწილეობს, როგორც უშუალო შემსრულებელი, ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევითი თემატიკური გეგმით გათვალისწინებული შემდეგი პრობლების დამუშავებაში: პრობლება 4.1. – „დამუშავდეს წითელი ნატურალური საღებავების მიღების ტექნოლოგია აღილობრივი წითელი ჯიშის ყურძნისაგან“.

#### გამოქვეყნებულია სამი სამეცნიერო ნაშრომი:

1. „საფერავის ყურძნის ჯიშისაგან დვინო-მასალების დამზადების, დამწიფებისა და დაძველების პროცესების ბიოქიმიური და ტექნოლოგიური გამოკვლევა“, ავტორები: ნ. ბადათურია, თ. ნანიტაშვილი, ნ. ბეგიაშვილი, ც. შილაკაძე, ბ. ბადათურია. ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“. 2013 წ. №1, გვ. №61.

ჩატარებული თეორიული და ექსპერიმენტული კვლევების შედეგად დადგენილია საფერავის ჯიშის ყურძნიდან მიღებული დვინომასალების შენახვის, დამწიფებისა და დაძველების პროცესში საღებავ ნივთიერებათა და სხვა ძირითადი შემადგენელი ნაერთების ცვლილებებისა და გარდაქმნების დინამიკა. მიღებულ მონაცემებს დიდი მნიშვნელობა აქვს წითელი დვინოების ნატურალობის მაჩვენებელი ძირითადი კრიტერიუმების დასადგენად. აგრეთვე ამ დვინოების ტექნოლოგიური დამუშავების სტაბილიზაციის ოპტიმალური რეჟიმების დასადგენად.

საფერავის ჯიშის ყურძნისაგან დამზადებულ ნატურალურ წითელ ორდინალურ სუფრის მშრალ დვინოებში საღებავი ნივთიერებების საერთო შემცველობა არ უნდა იყოს 380-400 მგ/დმ<sup>3</sup>-ზე ნაკლები, ხოლო ნატურალურ წითელ სამარკო სუფრის დვინოებში, რომლებმაც გაიარეს სამწლიანი დაძველების პროცესი, როგორც ეს მათი დამზადების ტექნოლოგიითაა გათვალისწინებული, საღებავ ნივთიერებათა საერთო შემცველობა არ უნდა იყოს 253-162 მგ/დმ<sup>3</sup>-ზე ნაკლები, რაც ამ დვინოების ნატურალურობის ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმად უნდა მივიჩნიოთ.

2. „გარდისფერი დვინოების დამზადების პროცესების ბიოქიმიური და ტექნოლოგიური გამოკვლევა“. ავტორები: ნ. ბადათურია, თ. ნანიტაშვილი, ნ. ბეგიაშვილი, ც. შილაკაძე, ბ. ბადათურია. ჟურნალი - „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“. 2013 წ. №2, გვ. №68.

ავტორების მიერ პირველად დადგინდა სხვადასხვა ყურძნის ჯიშიდან სხვადასხვა ტექნოლოგიური რეჟიმებით მიღებულ მაღალხარისხოვან მშრალ გარდისფერ დვინოებში ფენოლური ნაერთების შემცველობის ოპტიმალური

ზღვრები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ დვინოებისათვის დამახასიათებელ შეფერილობას და ხარისხობრივ მაჩვენებლებს. ამასთანავე ვარდისფერი დვინოების შეფერილობის სტანდარტულ მაჩვენებლად, ავტორების მიერ რეკომენდებული იქნა 6 მოლეკულა, წყალთან დაკრისტალებული ორქლორიანი კობალტის – **CeC12 - 6 H<sub>2</sub>O – 7-8 %** წყალსსნარის შეფერილობა, რომელიც არ იცვლება დვინის pH-ის ცვალებადობის მიხედვით, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს მასში ტიტრული მეჟავიანობის სხვადასხვა შემცველობისას.

ექსპერიმენტულად დადგენილ იქნა, რომ ვარდისფერი დვინოების სტაბილიზაციის მიზნით უკეთეს შედეგს იძლევა, ორგანული გამწებავი ნივთიერებების (ჟელატინი, თევზის წებო) გამოყენება, ვიდრე არაორგანული ნივთიერებებისა, როგორიცაა ბენტონიტი, დიატომიტი, ცეოლიტი და სხვა, რომლებიც ინტენსიურად ამცირებენ დვინოში მონომერული ანტოციანების შემცველობას, რის შედეგად მკვეთრად მცირდება ვარდისფერი დვინოებისათვის დამახასიათებელი შეფერილობა და ტიპიურობა. პოლიმერული გამწებავი ნივთიერებებიდან, უკეთეს შედეგს იძლევა პოლივინილპიროლიდონის დაბალი დოზების გამოყენება. პასტერიზაციის გამოყენებისას, ვარდისფერი დვინოები წინასწარ უნდა დამუშავდნენ გოგირდოვანი ანჰიდრიდის ოპტიმალური დოზებით, რათა არ მოხდეს ანტოციანებისა და სხვა ფენოლური ნაერთების ინტენსიური დაჟანგვითი გარდაქმნები და ფერის ინტენსივობის საგრძნობი შემცირება. ვარდისფერი დვინოების სიცივით დამუშავების დროს, ფერის ინტენსივობის მნიშვნელოვან ცვლილებებს არა აქვს ადგილი.

**3. შესწორებები საქართველოს კანონში „ვაზისა და დვინის შესახებ“.**  
ავტორები: 6. ბადათურია, თ. ნანიტაშვილი, 6. ბეგიაშვილი, ლ. მუჯირი, ც. შილაკაძე. უურნალი - „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“. 2013 წ. №3, გვ. №64.

ნაშრომში წარმოდგენილია ავტორების მიერ გაკეთებული შესწორებები „ვაზისა და დვინოს შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანად.

არის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეროვნული კოორდინატორი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების დარგში. აქტიურად მონაწილეობს ამ დარგის ჯგუფის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული აქტუალური საკითხების მომზადებასა და განხილვაში. სულ განხილულ იქნა სამი საკითხი, რომელთა ჩამონათვალი მოცემულია ამ ჯგუფის სამუშაო გეგმით, სამუშაო გეგმა და ჯგუფის შემადგენლობა, რომელიც დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტებით წარდგენილია სსმმ აკადემიაში.

არის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დარგობრივი განყოფილების წევრი, კვების მრეწველობის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საერთაშორისო ინფაქტ-ფაქტორის მქონე უურნალ „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“-ს სარედაქციო სამეცნიერო საბჭოს წევრი.

### 73.7. აკადემიკოსი გურამ პაპუნიძე



2013 წელს მონაწილეობდა აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებული მიზნობრივი პროგრამის “სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების (კოპერატივების) სარეკლამო მოდელების ჩამოყალიბება და შემდგომი დანერგვის ორგანიზაცია” შესრულებაში; ერთ-ერთი ძირითადი შემსრულებლი.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში ხელმძღვანელობდა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგიური უზრუნველყოფის პროექტებისა და რეკომენდაციების შემუშავებას. ასევე მონაწილეობდა ჩამოყალიბებული სასოფლო-სამეურნეო კოპერატივებში სწავლება-კონსულტირებისა და ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური სამოქმედო პროგრამების შემუშავებას.

სასოფლო-სამეურნეო კოპერატივების გამგეობებს მიეწოდათ წინადადებები გადამამუშავებული საწარმოო ობიექტების ჩამოყალიბების, მათი პროფილის და საწარმოო სიმძლავრის ამსახველი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების, წარმოებული პროდუქციის ასორტიმენტისა და ნომენკლატურის, მარკეტინგული საქმიანობის ორგანიზაციის შესახებ.

პროგრამის შესრულების მიმდინარეობის დროს წარმოშობილი პრობლემების გადაჭრის საკითხები განიხილებოდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონალური სამეცნიერო ცენტრის აგრარული კომისიის სხდომებზე, რომელსაც ხელმძღვანელობს აკად. გ. პაპუნიძე.

ასრულებდა სამუშაოებს ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თემატიკის ფარგლებში, როგორც ამ ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი. ხელმძღვანელობს სამეცნიერო თემას “აჭარაში მევენახეობა-მედვინეობის დარგის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები”. სამეცნიერო კვლევების მიზანია აჭარის სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში საღვიწე და სასუფრე უურნის ჯიშების დარაიონების ოპტიმალური სქემების შემუშავება და კონკურენტუნარიანი ცქრიალა, ბუნებრივად ნახევრად ტკბილი და სუფრის დვინოების წარმოების პოტენციალის განსაზღვრა.

შუახევის რაიონის ტბელ აბუსერიძის სახელობის ხიჭაურის უნივერსიტეტში აკად. გ. პაპუნიძის უშუალო მონაწილეობით აგრარული ფაკულტეტებისათვის შემუშავდა სასწავლო პროგრამები მევენახეობა-მედვინეობისა და კვების პროდუქტების ტექნოლოგიაში, რომელიც გაიხსნა მიმდინარე სასწავლო წლიდან.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში გ. პაპუნიძის, როგორც აკადემიური საბჭოს წევრის საქმიანობა აისახა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს შორის ურთიერთობანაშრომლობის მემორანდუმის პროექტის

მომზადებაში, აქტიურ მონაწილეობას დებულობდა საქართველოს კანონის “ვაზისა და ღვინის შესახებ” ცვლილებასა და დამატებების შეტანასთან დაკავშირებით წინადადებებისა და რეკომენდაციების განხილვაში.

არის ბათუმი ლაზეთის ჩრდილოეთ ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტის მეუფე დიმიტრის ინიციატივით მოწყობილი ყოველწლიური ტრადიციული ფესტივალის ერთ-ერთი ორგანიზაციონი და აქტიური მონაწილე, რომელიც ეძღვნება საქართველოში ოჯახში დამზადებული ღვინოებისა და მაგარი ალკოჰოლური სასმელების დათვალიერება-დეგუსტაციას. ერთდროულად არის ღვინოების სადეგუსტაციო კომისიის თავმჯდომარე, ასევე ამ უგილით გამოშვებული ბროშურის ერთ-ერთი თანაავტორი.

აკად. გ. პაპუნიძის ხელმძღვანელობით მიმდინარე წელს ტექნიკის აკადემიური დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია დოქტორანტმა გ. გორგილაძემ – თემაზე “ციტრუსოვანთა წვენების ფალსიფიკაციის პრობლემები და მისი გამომჯდავნების მეთოდები”.

არის სამეცნიერო ჟურნალის “ხანძთა” სარედაქციო კომისიის წევრი.

აკად. გ. პაპუნიძე არის ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის სადოქტორო დისერტაციების დაცვის სპეციალიზებული საბჭოს წევრი.

იყო ტექნიკის აკადემიური დოქტორის რაულ გოცირიძის წიგნის “ადამიანის უოფიერება და წყალი”-ს რეცენზენტი.

მონაწილეობდა არასამთავრობო ორგანიზაციის მეცნიერთა კავშირის “ინტელექტის” მიერ აჭარის მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების შემუშავებაში 2013-2022 წლებში. მომზადებული იქნა რეკომენდაციები, შენიშვნები და წინადადებები აგრარული სფეროს განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების მიზნებისა და ამოცანების საკითხებზე.

აკად. გ. პაპუნიძის, როგორც აგრარული სფეროს პრობლემებზე მომუშავე მეცნიერის ხედვა მომავალი წლების განმავლობაში მოიცავს სხვადასხვა ასპექტებს, რომელიც ასე შეიძლება იქნას განხილული:

1. ქვეყანაში აგრარული სფეროს განვითარების მიმართულებით ხელისუფლების მიერ განხორციელებული პოლიტიკის პოზიტიური შედეგების მიუხედავად სახელწიფოს მხარდაჭერი პოლიტიკა ჯერ-ჯერობით არასაკმარისი და არაქმედითურნარიანია. პირველ რიგში ეს აისახება სახელწიფოს მხრიდან აგრობიზნესის სუბიექტების მიერ დეკლარირებული ფინანსური და მატერიალური რესურსებისადმი შედავათიანი პირობებით მისაწვდომობის მიუღწევლობაში. სერიოზული პრობლემები დგას სოფლის რესურსების სახელმწიფოს მფლობელობაში გადაცემით გამოწვეული შეზღუდულობის საკითხი სასოფლო-სამეურნეო რესურსების გამოყენებისა და საწარმოო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებაში. არ არის ჩამოყალიბებული სასოფლო-სამეურნეო სფეროში აგრო და გადამუშავების ტექნოლოგიების დაბალანსებული განვითარების პროგრამული მიდგომები. სუსტია ან არ არსებობს პროგნოზული შეფასებები ცალკეული დარგების განვითარების პროპორციულობის, ურთიერთშეთანაწყობის თაობაზე.

აქედან გამომდინარე მეცნიერული კვლევები და პრაქტიკული სამოქმედო პროგრამა ამ მიმართულებით იქნება განსაზღვრული.

2. სერიოზული ნაბიჯები უნდა გადაიდგას სახელმწიფოს მხრიდან განათლების, მეცნიერებისა და ბიზნესის ინტეგრაციის მსოფლიო გამოცდილების დანერგვის მიმართულებით. უნდა დაჩქარდეს აკადემიის სისტემაში სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ფუნქციონირების აღდგენა. სახელმწიფომ უნდა შეძლოს მატერიალური და ფინანსური რესურსების მობილიზაცია ამ მიმართულებით. აკად. გ. პაპუნიძე იზრუნებს აჭარაში რეგიონალური ეკონომიკის სპეციფიკის აღეპვატური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ჩამოყალიბების პრობლემათა გადაჭრაზე.

3. სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული კურსი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბების მიმართულებით ვერ მოიტანს სასურველ პოზიტურ შედეგებს თუ არ მოხდება ახლად შექმნილი კოოპერატივების სასტარტო პერიოდში მატერიალური და ფინანსური დახმარებების გაწევა. საქართველოს კანონი “კოოპერატივების შესახებ” დახვეწას მოითხოვს. თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სააგენტო თავისი დებულების შესაბამისი ფუნქციებით ვერ პასუხობს ამ დარგში არსებულ გამოწვევებს.

4. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დარგობრივი განყოფილებებისა და აკადემიური საბჭოს სხდომებზე უნდა იხილებოდეს საკითხები, რომლებიც ეხება მეცნიერული კვლევების გაფართოებას, პრაქტიკული ღონისძიებების გატარებას სახელმწიფოს მხრიდან შემდეგი მიმართულებებით:

- 4.1. მეციტრუსეობის დარგის რეაბილიტაცია-განვითარება
- 4.2. მეჩაიერების დარგის რეაბილიტაცია-განვითარება
- 4.3. მეთამბაქეობის დარგის რეაბილიტაცია
- 4.4. მევენახეობა-მედვინეობის დარგის განვითარება აჭარაში
- 4.5. მავნებლებთან და დაავადებებთან ბრძოლის გაფართოება
- 4.6. სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ნედლეულის წარმოების, გადამუშავებისა და შენახვის ტექნოლოგიების სრულყოფა.

5. აგრობიზნესის განვითარების პრობლემებზე სამეცნიერო-კვლევითი ოემატიკის შერჩევის, შესრულების და დანერგვის ორგანიზაცია და ა.შ.

ზემოთაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით რეგიონებში სისტემურ ხასიათს უნდა ატარებდეს სახალხო განხილვების მოწყობა სხვადასხვა ფორმებით.

### 2013 წელს გამოქვეყნებულია შემდეგი სტატიები:

19. გ. პაპუნიძე, ა. დევაძე –სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბება და განვითარება აქტიური სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, №32, 2013 წლის სექტემბერი.
20. გ. პაპუნიძე, მ. კობახიძე, ა. დევაძე –სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების განვითარება სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავების

- ტექნოლოგიების დანერგვით უნდა დავიწყოთ. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე №32, 2013 წლის სექტემბერი.
21. გ. პაპუნიძე, მ. კობახიძე, ა. დევაძე – საგრანტო პროექტის “ზეთისხილის ყინვაგამძლე ჯიშების შემოტანა და გავრცელება აჭარაში”. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის – სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია “აგრარიკოს მეცნიერებათა კვლევის შედეგების კომერციალიზაცია.” შრომების კრებული, ქ. ქუთაისი 2013 წლის ნოემბერი;
22. გ.პაპუნიძე, ი. ჩხარტიშვილი, მ. კობახიძე, ნ. სეიდიშვილი - “მწვანე ჩაის ენერგოდამზოგავი კომპლექსური ტექნოლოგიის ასპექტები”. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია “აგრარიკოს მეცნიერთა კვლევის შედეგების კომერციალიზაცია”, შრომების კრებული, ქ. ქუთაისი 2013 წლის ნოემბერი.

### 7.3.8. აკადემიკოსი შოთა ჭალაგანიძე



**1. 2013 წელს მონაწილეობა მიიღო რამდენიმე კონფერენციისა და მრგვალი მაგიდის მუშაობაში, მათ შორის:**

- კონფერენციის მუშაობაში, რომელიც მიეძღვნა საკითხს “საქართველო დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე” – 11 ოქტომბერი, 2013 წ., თბილისი;
- ღია კარის დღის მუშაობაში, რომელიც მიეძღვნა ხორბლის ახალი ჯიშების, სიმინდის ჰიბრიდული აგრო – ტექნოლოგიების და მარცვლის გადამუშავების საკითხებს – 15 ივნისი, 2013 წ., ლომთაგორა, მარნეული.
- საერთაშორისო სამეცნიერო – პრაქტიკული კონფერენცია “ინოვაციური ტექნოლოგიები აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის”, 3-4 ოქტომბერი, 2013 წ., თბილისი.

### 2. აკადემიის აკადემიური საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა და განხილული საკითხები

- სეტემბერი, მასთან ბრძოლის არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები, აგვისტო, 2013 წელი.

### 3. 2013 წელს აკად. შ ჭალაგანიძის მიერ შემუშავებული და შედგენილი იქნა:

- “სამთო სოფლის მეურნეობის მექანიზაციისათვის საქართველოში დამუშავებული ტექნიკური საშუალებები” (კრებული).
- სამთო სოფლის მეურნეობის აქტუალური პრობლემებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის პროგრამა და რეკომენდაციები.

### 4. 2013 წელს აკად. შ ჭალაგანიძის მიერ გამოქვეყნებული შრომები:

- სოფელს გამართული აგროსაინჟინრო სამსახური სჭირდება – უურნალი “აგრარული საქართველო”, №3, 2013, თბილისი;

- მეაბრეშუმეობაში სამანქანო ტექნოლოგიების და ტექნიკური საშუალებების დანერგვის პერსპექტივები – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, №32, 2013, თბილისი;
  - სეტყვა, მასთან ბრძოლის არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, №32, 2013, თბილისი;
  - საინოვაციო საქმიანობის საინფორმაციო უზრუნველყოფა საქართველოს სოფლის მეურნეობაში – საერთაშორისო სამეცნიერო – პრაქტიკული კონფერენციის კრებული, 3-4 ოქტომბერი, 2013, თბილისი;
  - საინოვაციო საქმიანობის განვითარების პერსპექტივები საქართველოს სოფლის მეურნეობაში – საერთაშორისო სამეცნიერო – პრაქტიკული კონფერენციის კრებული, 3-4 ოქტომბერი, 2013, თბილისი.
23. არის საქართველოს საინჟინრო აკადემიისა და საქართველოს სამეცნიერო – საინჟინრო საზოგადოებათა კავშირის პრეზიდიუმების წევრი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის “მოამბის”, ურნალების “საქართველოს საინჟინრო სიახლეები”, “კვალი” და “სატყეო მოამბე”-ს რედკოლეგიის წევრი, შეადგინება და სამსრეთ კავკასიის კვლევითი ორგანიზაციების ასოციაციის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.
24. **სახელმწიფო ჯილდოები, დამსახურების წოდებები:**  
 დაჯილდოებულია 4 ორდენით, მ.შ. “მეგობრობის” და “ღირსების” ორდენებით, 2 მედლით და 2 საპატიო ნიშნით. არის საქართველოს დამსახურებული ინჟინერი და სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, მინიჭებული აქვს “წლის ინჟინერის” საპატიო წოდება.

### 7.3.9. სსმმ აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ომარ ბედია



2013 წელს გამოქვეყნებულია 3 სამეცნიერო ნაშრომი:

25. “სოფელს გამართული აგროსაინჟინრო სამსახური სჭირდება”. ქ. “აგრარული საქართველო” №3, 2013 წ. სადაც მოცემულია აგროსაინჟინრო სამსახურის მდგომარეობა და პერსპექტივაში მისი განვითარების საკითხები.
  26. “ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების ზოგიერთი ასპექტი თანამედროვე სოფლის მეურნეობაში”. სმმ აკადემიის “მოამბე” №32 2013 წ.
- თბილისი. მოცემულია ნიადაგის მომზადების მინიმალური, აგრეთვე ნულოგანი ტექნოლოგია.
27. “მდელო-საძოვრების ზედაპირული გაუმჯობესების მანქანა და მისი კინემატიკური რეჟიმის შერჩევის პრინციპი”. ნაშრომში მოცემულია მანქანის

კონსტრუქცია, მუშაობის პრინციპი და სიჩქარითი, ანუ კინემატიკური რეჟიმი და მისი შერჩევისათვის აუცილებელი პირობები.

მომზადებულია გამოსაცემათ მოცულობითი მონოგრაფია მევენახეობის ტექნოლოგიაზე და შესაბამის მანქანათა კომპლექსზე.

მონაწილეობდა საქართველოში, თბილისში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაში “ინოვაციური ტექნოლოგიები აგრარული სექტორის უსაფრთხო განვითარებისათვის”, 3-4 ოქტომბერი 2013, თბილისი, ვიყავი კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი. გამოვიდა მოხსენებით “მდელო-სამოვრების ზედაპირული გაუმჯობესების მანქანა და მისი კინემატიკური რეჟიმის შერჩევის პრინციპი”, რომელიც გამოქვეყნდა კონფერენციის კრებულში.

მუდმივად მონაწილეობდა სმმ აკადემიის აკადემიური საბჭოს მუშაობაში, როგორც მისი წევრი.

წარდგენილია განსახილველად ერთი საგრანტო პროექტი.

არის სამი უკრნალის რედკოლეგიის წევრი: “მოამბე”, “ქვალი”, “აგრარული საქართველო”.

სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის საჭიროა:

1. ჩამოყალიბდეს სოფლად კოოპერატივები.
2. გაძლიერდეს მომსახურების სფერო (მექანიზაცია, ქიმიზაცია, მცირე საწარმოების მშენებლობა).
3. მოსაგვარებელია დაზღვევისა და დაკრედიტების საკითხი.
4. ჩამოყალიბდეს სოფლად სამეცნიერო მომსახურების ქმედითი სისტემა.

გადასაწყვეტია კადრების, აგრეთვე ფერმერთა მომზადების საკითხები.

#### 7.4.10. სსმმ აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნოდარ გაბუნია



აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ნოდარ გაბუნიას სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ძირითადად მიმართული იყო ჩაის მოვლა-მოყვანის კომპლექსური მექანიზაციის ტექნოლოგიების და ტექნიკური საშუალებების სრულყოფისკენ, მანქანების და კონსტრუქციების ძირითადი პარამეტრების თეორიული გაანგარიშების საფუძვლების დამუშავებისაკენ, ამავე დროს მუშაობას აგრძელებდა სამთო მიწათმოქმედების ისეთი კულტურების მექანიზაციის საკითხებზე, როგორიცაა ვაზი, ციტრუსები, ხეხილი, ერთწლიანი კულტურები და სხვა. დამუშავებული აქვს სამთო მიწათმოქმედების მობილური ენერგეტიკული საშუალებები თეორიული საფუძვლები; მუშაობას აგრძელებდა მანქანების და მოწყობილობების სრულყოფის საკითხებზე, როგორიცაა: ჩაის მოვლა-მოყვანის, ფოთლის კრეფისა და აღების მანქანები; სუბტროპიკული კულტურების მოვლა-მოყვანის, მოსავლის

აღებისა და პირველადი გადამუშავების მანქანები; მანქანა-იარაღები ფერდობების დასამუშავებლად, ვაზის გასაშენებლად და სხვა ოპერაციებისათვის; თამბაქოსა და წეკოს მოვლა-მოყვანის, მოსავლის აღებისა და პირველადი გადამუშავების მანქანები; საკარმიდამო, გლეხურ, სასკოლო და სხვა მცირეკონტურიან ნაკვეთებში სამუშაო მცირე გაბარიტიანი მანქანა-იარაღები და სხვა.

### 7.3.11. სსმმ აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დავით სარიშვილი



აკადემიის წ/კ დ. სარიშვილის სამეცნიერო კვლევის ძირითადი მიმართულებაა საქართველოს აგროსაინჟინრო სფეროს გაუმჯობესებისა და სტაბილიზაციის ღონისძიებების დამუშავება და მათი ფერმერულ მეურნეობებში დანერგვის საკითხების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სათიბ-სამოვრების ძირეული და ზედაპირული გაუმჯობესების საკითხებზე კვლევების ჩატარება სათანადო მანქანა-იარაღების შექმნით. აგრეთვე აღსანიშნავია მის მიერ დანერგილი საქართველოში თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება ქვეყნის კერტიკალური ზონალობის გათვალისწინებით და შექმნილია მოსავლის აღების ოპტიმალური მათემატიკური მოდელი. მის კვლევებს შორის მრავალი შრომა ეძღვნება სოფლად საინჟინრო სამსახურის მრავალწახნაგოვან საინჟინრო მომსახურებას და ა.შ.

### 7.1.12. სსმმ აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე



**1. სამეცნიერო თემა:** “მეაბრეშუმეობის შრომატევადი ტექნოლოგიური პროცესების ტექნოლოგიების და ტექნიკური საშუალებების დამუშავება” (შესრულების ვადა 01.01.2005-01.01.2014). **თემის ხელმძღვანელი – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ე. შაფაქიძე;**

**2.** მონაწილეობდა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნოლოგიური (ყოფილი აგროსაინჟინრო) ფაკულტეტის ს.მ. მექანიზაციის სპეციალობის სასწავლო პროცესში; II კურსის მაგისტრანტ 6. ნათენაძის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი; სამაგისტრო ნაშრომის თემა:

“გარდაბნის რაონში მარცვლოვანი კულტურების მოვლა-მოყვანის რესურსდამზოგი სამანქანო ტექნოლოგიის დამუშავება ნიადაგდამამუშავებელი კომბინირებული მანქანის კონსტრუქციული პარამეტრების გაუმჯობესებით”.

### **3. გამოქვეყნებული თეზისები და სტატიები.**

- 3.1. ნიადაგის მინიმალური დამუშავება-ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. უკრნალი “აგრარული საქართველო”, №5(25), მაისი, 2013, თბილისი, გვ. 13-14;
- 3.2. ახალი ტექნოლოგიები მეაბრეშუმეობაში; საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის მასალები. ქ. თბილისი, სსმმა, 3-4 ოქტომბერი, 2013; გვ. 412-415.
- 3.3. ნიადაგის დამუშავების პერსპექტიული მიმართულება-თანამედროვე კონკურენტუნარიანი ტექნოლოგიები. საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის მასალები. ქ. თბილისი, სსმმა, 3-4 ოქტომბერი, 2013; გვ. 416-419 (თანაავტორი მ. ქვარცხავა);
- 3.4. საქართველოს მეაბრეშუმეობას ახალი ტექნოლოგიების დანერგვის გარეშე მომავალი არა აქვს. უკრნალი ”აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები”. თბილისი, №4, 2013; გვ. 42-56 (თანაავტორი გ. ნიკოლეიშვილი);
- 3.5. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია და საქ. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. უკრნალი “აგრარული საქართველო”; №10(30), ოქტომბერი, 2013, თბილისი; გვ. 22-23;
- 3.6. მეაბრეშუმეობაში სამაქანო ტექნოლოგიების და ტექნიკური საშუალებების დანერგვის პერსპექტივები; საქ. ს.მ. მეცნიერებათა აკადემიის “მოამბე”, №32 თბილისი, სექტემბერი, 2013 წ. გვ. 305-316 (თანაავტორი ჭ. ჭალაგანიძე);
- 3.7. მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებები მეაბრეშუმეობაში; საქ. ს.მ. მეცნიერებათა აკადემიის “მოამბე”, №32, თბილისი, სექტემბერი, 2013 წ. გვ. 335-339 (თანაავტორი ვ. მირუაშვილი);
- 3.8. თუთის აბრეშუმსვევიას პროდუქტიულობის ამაღლებისათვის კომპლექსური დონისძიებების შემუშავება, ცენტრალიზებული გამოკვებისათვის მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების შექმნა და ფერმერულ მეურნეობებში დანერგვა. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია “აგრარიკოს მეცნიერთა კვლევის შედეგების კომერციალიზაცია”. შრომების კრებული. ქ. ქუთაისი, 28,29,30 ნოემბერი, 2013 წ. გვ. 42-48 (თანაავტორები ნ. ბარამიძე, ე. წოწოლაური).\\

### **6. საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებში, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობა.**

- 6.1. საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია: „ინოვაციური ტექნოლოგიები აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის“ ქ. თბილისი, სსმმა, 3-4 ოქტომბერი, 2013; მოხსენების თემა: “ახალი ტექნოლოგიები მეაბრეშუმეობაში;
- 6.2. საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია: „ინოვაციური

ტექნოლოგიები აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის“

ქ. თბილისი, სსმმა, 3-4 ოქტომბერი, 2013; მოხსენების თემა: ” ნიადაგის დამუშავების პერსპექტიული მიმართულება-თანამედროვე კონკურენტუნარიანი ტექნოლოგიები”.

6.3. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია “აგრარიკოს მეცნიერთა კვლევის შედეგების კომერციალიზაცია”. ქ. ქუთაისი, 28,29,30 ნოემბერი, 2013 წ. მოხსენების თემა: “თუთის აბრეშუმხვევიას პროდუქტიულობის ამაღლებისათვის კომპლექსური დონისძიებების შემუშავება, ცენტრალიზებული გამოკვებისათვის მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების შექმნა და ფერმერულ მეურნეობებში დანერგვა”.

**7. სამეცნიერო გრანტის დასახელება:** 1. შ. რუსთაველის სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტი *CF/56/10-100/13 ”ინოვაციური ტექნოლოგიები აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის”* (საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის საგრანტო პროექტი). პროექტის ხელმძღვანელი სსმმ აკადემიის წ/კ ე. შაფაქიძე.

2. წარდგენილია განსახილველად რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში ერთი საგრანტო პროექტი.

**8. სსმმ აკადემიის აკადემიური საბჭოს სხდომების მუშაობაში მონაწილეობა.**

სსმმ აკადემიის აკადემიური საბჭოს სხდომებზე გატანილია საკითხები:

- 8.1. მოხსენება: აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის დებულებების დამტკიცების შესახებ;  
მომხსენებელი: აკად. წ/კ ე. შაფაქიძე (ოქმი №3. 07 მარტი, 2013 წელი);
- 8.2. მოხსენება: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოსთან არსებული ეროვნული კოორდინატორის დებულების დამტკიცების შესახებ.  
მომხსენებელი: აკადემიური დეპარტამენტის უფროსი აკად. წ/კ ე. შაფაქიძე (ოქმი №3. 07 მარტი, 2013 წელი);
- 8.3. მოხსენება: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს სხდომის მომზადების რეგლამენტის შესახებ.  
მომხსენებელი: აკადემიური დეპარტამენტის უფროსი აკად. წ/კ ე. შაფაქიძე (ოქმი №4, 28 მარტი, 2013 წელი).
- 8.4. მოხსენება: მეაბრეშუმეობაში სამანქანო ტექნოლოგიების და ტექნიკური საშუალებების დანერგვის პერსპექტივები საქართველოში.  
მომხსენებელი: აკადემიის წ/კ ე. შაფაქიძე (ოქმი №6, 25 აპრილი, 2013 წელი);
- 8.5. მოხსენება: აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო ქართველი მეცნიერის წოდების მინიჭების დებულების დამტკიცების შესახებ.  
მომხსენებელი: აკადემიის წ/კ ე. შაფაქიძე (ოქმი №7, 31 მაისი, 2013 წელი);
- 8.6. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას, საქართველოს სავაჭრო პალატასა და პროფესიული განვითარების ფონდს შორის მეორანდუმის შემუშავებელი კომისიის შესახებ.

- მომხსენებელი: აკადემიის წ/კ ე.შაფაქიძე (ოქმი №9, 26 ივლისი, 2013 წელი);
- 8.7. ინფორმაცია საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის “ინოვაციური ტექნოლოგიები აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის” მზადებასთან დაკავშირებით. მომხს. აკად. წ/კ ე. შაფაქიძე (ოქმი №10, 30 აგვისტო, 2013 წელი);
- 8.8. სსმმ აკადემიას და სახელმწიფო, სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმების მომზადების მიმდინარეობის შესახებ.  
მომხს. აკადემიური დეპარტამენტის უფროსი აკად. წ/კ ე. შაფაქიძე (ოქმი №10, 30 აგვისტო, 2013 წელი);
- 8.9. “აგრარულ სფეროში წლის საუკეთესო მეცნიერის წოდების” კონკურსის მიმდინარეობის შესახებ.  
მომხს. აკადემიური დეპარტამენტის უფროსი აკად. წ/კ ე. შაფაქიძე (ოქმი №10, 30 აგვისტო, 2013 წელი);
- 8.10. ინფორმაცია საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციის “ინოვაციები აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის” საორგანიზაციო ღონისძიებების დასრულებასთან დაკავშირებით;  
მომხსენებელი: აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ე.შაფაქიძე (ოქმი №11, 27 სექტემბერი, 2013 წელი);
- 8.11. ინფორმაცია აგრარულ სფეროში 2013 წლის საუკეთესო ქართველი მეცნიერის წოდების მინიჭების შესახებ.  
მომხსენებელი: სსმმ აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე (ოქმი №13, 27 ნოემბერი, 2013 წელი);
- 8.12. მოხსენება: აგრარულ სფეროში 2013 წლის საუკეთესო ქართველი მეცნიერის გამოსავლენად ჩატარებული კონკურსის შედეგების შესახებ”.  
მომხსენებელი: სსმმ აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე (ოქმი №14, 20 დეკემბერი, 2013 წელი);

**9. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი; სსმმ აკადემიის აკადემიური საბჭოს წევრი; სსმმ აკადემიის საინჟინრო საერთაშორისო დარგობრივი სამეცნიერო განყოფილების წევრი; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის “მოამბის” რედკოლეგიის წევრი; ურნალის “Annals of Agrarian Science”-ის რედკოლეგიის წევრი. ურნალ “აგრარული საქართველო”-ს რედკოლეგიის წევრი; საქართველოს ენციკლოპედიის სოფლის მეურნეობის განყოფილების წევრი. საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი);**

**12. შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა.**

12.1. სადისერტაციო ნაშრომის პირველი შემფასებელი. ბათუმი, 2013 წლის 13 ივლისი;

დისერტანტი ნათელა დუმბაძე, სადისერტაციო თემა: “ჩაის პლანტაციების მდიმედ გასხვლის სამანქანო ტექნოლოგიისა და ტექნიკური საშუალებების დამუშავება მცირე ენერგეტიკის ბაზაზე”.

12.2. შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე; ბათუმი, 2013 წლის 15 ივლისი.

დისერტანტი ფირუზა ვარშანიძე, სადისერტაციო თემა: “ფერდობებზე თხილის მოსავლის კრეფა მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით”.

12.3. შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე; ბათუმი, 2013 წლის 5 დეკემბერი.

დისერტანტი ფადიკო აბუსელიძე, სადისერტაციო თემა: “მცირე სიმძლავრის სათიბელების მოდერნიზაცია ახალი ტიპის მჟრელი აპარატის გამოყენებით”.

### **13. წინადადებები საქართველოში მეაბრეშუმეობის, როგორც დარგის, აღდგენისა და განვითარების ღონისძიებების შესახებ (დანახული ინჟინერ-მექანიკოსის თვალით)**

ვინაიდან ჩვენი სამეცნიერო-კვლევის მიმართულება არის მეაბრეშუმეობის შრომატევადი ტექნოლოგიური ოპერაციების მექანიზაციის და ავტომატიზაციის საკითხები, ამდენად გაგვაჩნია გარკვეული წინადადებები საქართველოში მეაბრეშუმეობის, როგორც დარგის, აღდგენისა და განვითარების ღონისძიებების შესახებ.

მეაბრეშუმეობა, რომელსაც საქართველოში 15 საუკუნოვანი ისტორია აქვს, ყოველთვის განიხილებოდა როგორც შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების, ოჯახების ფულადი შემოსავლების ზრდისა და ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცების წყარო. მაღალხარისხის ხარისხი აბრეშუმი დიდი მოწონებით სარგებლობდა მსოფლიო ბაზარზე. აბრეშუმის დიდი გზა საქართველოზე გადიოდა. “საქართველოს მმართველი უცხოელ დამპურობლებს აბრეშუმით უხდიდნენ ხარკს”, ხოლო ისინი, ქვეყნის ეკონომიკის დაცემისა და ხალხის დამორჩილების მიზნით, ვაზოან ერთად თუთასაც ჩეხედნენ”.

დღეისათვის მეაბრეშუმეობის დარგი განადგურებულია. მასზე ზრუნვა ცალკეული ენთუზიასტი პრაქტიკოსისა და მეცნიერის იმედადად მიტოვებული. მიუხედავად ამისა მეაბრეშუმეობა ისეა ფესვგადგმული ქართველი კაცის ყოფაში, რომ სახელმწიფოს მხრიდან მცირედი ხელშემწყობი პირობების შექმნის შემთხვევაში იგი დირსეულ ადგილს დაიკავებს დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკაში. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ამ მიზნით შესამუშავებელია ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შესატყვისი მეაბრეშუმეობის საინვესტიციო პროგრამა, რომელიც დივერსიფიცირებული იქნება რეგიონებისა და ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით, რაც გააადვილებს აბრეშუმის ბიზნესით დაინტერესებული ინვესტორების მოზიდვას.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 20 ივნისის №04 ბრძანებით შეიქმნა კომისია (აკად. წ/კ ბ. ნიკოლეგიშვილი-კომისიის თავმჯდომარე, აკად. გ. ჯაფარიძე, აკად. თამაზ კუნძულია, აკად. წ/კ ე. შაფაქიძე, ს.მ. მეცნ. კანდიდატი ნ. ბარამიძე, ს.მ. მეცნ.

კანდიდატი ქ. ჭოლაძე, იურისტი მ. ბაგრატიონი), რომელმაც დაამუშავა “საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარების კონცეფცია 2012-2025 წლებში”; იგი გასაცნობად და რეაგირებისათვის დაგზავნილი იქნა საქართველოს აგრარული მიმართულების სამთავრობო და კვლევით ორგანიზაციებში, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებში.

აღნიშნულმა კონცეფციამ დიდი მოწონება და გამოხმაურება ჰპოვა FAO-სა და ევროკავშირის ქვეყნებში. შავი, კასპიის ზღვის აუზისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების მეაბრეშუმეობის საერთაშორისო ორგანიზაცია BACSA სერიოზულად დაინტერესდა საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის ეგიდით დამუშავებული “საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარების კონცეფციით” და მის შესახებ იმსჯელა 2013 წლის 7-12 აპრილს იტალიის ქალაქ პადუაში გამართულ BACSA-ს მე-6 კონფერენციაზე, სადაც დაიგეგმა შავი, კასპიის ზღვის აუზისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების მეაბრეშუმეობის აღდგენის პროგრამის დამუშავება ევროსაბჭოში წარსადგენად, რომელშიც ძირითადად გათვალისწინებული იქნება ქართველი მეცნიერების მიერ დამუშავებულ კონცეფციაში მოცემული ძირითადი დებულებები.

კონცეფციაში აღნიშნულია, რომ “მეაბრეშუმეობა, როგორც ეროვნული მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი, თავიდანაა ჩამოსაყალიბებებით, რისთვისაც საჭიროა: საკვები ბაზის აღდგენა და ყოველმხრივი განმტკიცება; ფერმერებისათვის მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების-თუთის ექსპლუატაციის და საკვების მოსამზადებელი მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებები, მარტივი კონსტრუქციის საჭიე შენობები და მათში განლაგებული გამოსაკვები მოდერნიზებული თაროები ან მექანიზებული გამოსაკვები დანადგარები, პარკის ნაპერტყულისაგან გამწმენდი მოწყობილობები, ნედლი პარკიდან ძაფის ინდიკიდუალურად ამოსახვევი მექანიკური დაზგები და ა.შ., შექმნა და მიწოდება ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით; წარმოებული აბრეშუმის პარკის პირველადი გადამუშავებისა და ხამი ძაფის წარმოებისათვის საჭირო დაზგადანადგარების შექმნა, ძაფის რეგიონული ამოხვევის უზრუნველყოფა; კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება”.

საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარებას ხელს უწყობდა როგორც ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა და კარგი ბუნებრივი პირობები, ისე მცირემიწიანობის გამო სოფლად დაუსაქმებელი მუშახელის სიჭარბე. ეს პრობლემა დღევანდელ სოფელში უფრო მწვავედ დგას ვიდრე წარსულში, რაც მეაბრეშუმეობის აღორძინების პარალელურად შემცირდება.

ჩვენი გაანგარიშებით უახლოეს ორ-სამ წელიწადში შეიძლება ვაწარმოოთ 280-300 ტონა ცოცხალი პარკი და შევქმნათ 2,5-3,0 ათასი ახალი სამუშაო ადგილი, ხოლო არცთუ შორეულ პერსპექტივაში 2,5-3,0 ათასი ტონა პარკის წარმოება და 11-12 ათასი კაცის დასაქმება რეალურად მიგვაჩნია. სამომავლოდ კი 4,0-4,5 ათასი ტონა (1964 წლის დონე) პარკი უნდა ვაწარმოოთ.

მეაბრეშუმეობის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა მივიჩნიოთ შრომითი რესურსების და საგარეულების რაციონალური გამოყენება,

სოფლის მოსახლეობის ოჯახობრივი დასაქმება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება.

მოსახლეობაში შემორჩენილია დარგისადმი დიდი სიყვარული, საკვები ბაზა, მეცნიერული პოტინციალი, სპეციალისტები, მეაბრეშუმეობის აღდგენით დაინტერესებული ენთუზიასტები.

- მეაბრეშუმეობა, როგორც უროგნული მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი, თითქმის თავიდანაა ჩამოსაყალიბებელი, ამისთვის საჭიროა: საკვები ბაზის აღდგენა და ყოველმხრივი განმტკიცება; მეთუთეობის შრომატევადი ტექნოლოგიური პროცესების მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების და წარმოებული აბრეშუმის პარკის პირველადი გადამუშავებისა და ხამი ძაფის წარმოებისათვის საჭირო დაზგა-დანადგარების დამუშავება, ძაფის რეგიონული ამოხვევის უზრუნველყოფა, ფერმერების მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა.
- საგრენაჟო ქარხნებისა და სასელექციო სადგურების რეაბილიტაცია და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა, მათ ბაზაზე თუთის აბრეშუმებევიას ადგილობრივი ჯიშების პიბრიდული გრენის წარმოება, მათ შორის საექსპორტოდ.
- კუსტარული მეწარმეობის მივიწყებული ტრადიციების აღდგენა და ადგილობრივ ნაწარმზე ტურისტთა მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება.
- თუთის მცენარის მრავალმიზნობრივი გამოყენება, ინტეგრაციის გაღრმავება, მმართველობის სისტემის სრულყოფა და სხვა საჭირო დონისძიებების განხორციელება.

დარგის ადორდინების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა შრომატევადი ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაციის და ავტომატიზაციის საკითხების გადაწყვეტა.

მეაბრეშუმეობის მექანიზაციის საკითხებზე მუშაობისას ყურადღება უნდა გამახვილდეს მეაბრეშუმეობის საკვები ბაზის და ნედლი აბრეშუმის პარკის მისაღებად თუთის აბრეშუმებევიას გამოკვების ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაციის და ავტომატიზაციის საკითხებზე. გარკვეული ყურადღება ამ მიმართულებით უნდა გამახვილდეს საკვებწარმოების და პარკის წარმოების ისეთ მიმართულებებზე, როგორიცაა მეთუთეობა, საკვების დამზადება, მისი ტრანსპორტირება, საკვების მომზადება, მისი შენახვა და თუთის აბრეშუმებევიას გამოკვება.

იმ სიძნელეების გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი, სხვა მიზეზებთან ერთად, რასაც განიცდის დღევანდელი მეაბრეშუმეობის აღდგენა-განვითარება, არის ამ დარგში მექანიზაციის ჩამორჩენა, რაც ძირითადად აიხსნება ადამიანების შემცვლელი იმ მანქანების და მექანიზმების შექმნის სირთულით და საკითხების გადაწყვეტის შრომატევადობით, რომელიც საჭიროა თუთის აბრეშუმებევიას გამოკვებისათვის.

მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების სიმცირის გამო, აბრეშუმის პარკის წარმოება მეტად შრომატევადი პროცესია. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მონაცემების

მიხედვით, 100 კილოგრამი (1,0 ც) აბრეშუმის პარკის მისაღებად საჭიროა 600 – 700 კაც.საათი. ამ დანახარჯებიდან 15% მოდის საკვების დამზადებაზე და ტრანსპორტირებაზე, 15-20% – საკვების მომზადებაზე, 55-60% – თუთის აბრეშუმხვევიას გამოკვებასა და 10% – პარკის ჩამოკრეფაზე, დახარისხებასა და გაწმენდაზე. როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, საკვების დამზადებასა და მომზადებაზე საკმარისად დიდი დანახარჯებია და ამდენად ამ ტექნოლოგიური პროცესის მექანიზაციის საკითხები მეტად აქტუალურია.

თუთის აბრეშუმხვევიას გამოკვებისა და ნედლი აბრეშუმის პარკის მიღების მანქანური ტექნოლოგიები ითვალისწინებს ფერმერული მეურნეობებისათვის პარკის სახვეწი (საწმენდი) მარტივი ტიპის მოწყობილობას, რომლის კონსტრუქციის დამუშავება სადღეისო ამოცანა უნდა გახდეს.

არსებული ტექნოლოგიით თუთის აბრეშუმხვევიას ცენტრალიზებული გამოკვების შედეგად ცოცხალი პარკის პირველადი დამუშავების (ე.ი.გამოხმობის) შედეგად ძაფის ბუნებრივი თვისებები უარესდება და გამოსავალიც მცირდება, ამიტომ სასურველია ძაფი ამოხვეული იქნას ცოცხალი პარკიდან. ამ მიზნის განსახორციელებლად უნდა დამუშავდეს აგრეთვე მარტივი ტიპის ძაფის ამოსახვევი დანადგარი, რათა ფერმერს თვითონ შეეძლოს თვისი დამზადებული პარკის ამოხვევა და მიუცეს ძაფის რეალიზაციის ან სხვადასხვა ნაწარმის დამზადების საშუალება (ძაფის ინდივიდუალური ამოხვევა).

ამრიგად მცირე (ინდივიდუალურ) ფერმერულ მეურნეობებში თუთის აბრეშუმხვევიას ახალი ტექნოლოგიით გამოკვების პროცესი უნდა გულისხმობდეს ზღვარის მოშლას სოფლის მეურნეობასა და მსუბუქ მრეწველობას შორის; ეს ნიშნავს, რომ მებრეშუმე ფერმერის შრომის საბოლოო პროცესი არის აბრეშუმის ძაფი, რაც მეტად ეფექტური ეკონომიკური დონისძიება იქნება. ამის გათვალისწინებით კორექტივები უნდა შევიდეს თუთის აბრეშუმხვევიას წარმოების ტექნოლოგიურ სქემებშიც.

- დასკვნა.** 1. ქართული მეაბრეშუმეობის ეტაპობრივი აღდგენისათვის მიზანშეწონილია სხვა მნიშვნელოვან აგროტექნიკურ, ბიოლოგიურ და ბიოტექნოლოგიურ დონისძიებებთან ერთად პირველ ეტაპზე მეაბრეშუმეობის შრომატევადი პროცესების მცირე მექანიზაციის ტექნოლოგიების დამუშავება და ტექნიკური საშუალებების კონსტრუქციების დამზადება, როგორიცაა თუთის ექსპლუატაციის მანქანები და მოწყობილობები, თუთის ტოტებიდან ფოთლების გამცლელი და ფოთოლსაჭრელი მოწყობილობები, მარტივი ტიპის თუთის აბრეშუმხვევიას გამოსაკვები დანადგარები ნაძირის საჭირების შენობის ფარგლებს გარეთ გატანით, აბრეშუმის პარკის ნაპერტყულისაგან საწმენდი მარტივი ტიპის მოწყობილობები, ნედლი აბრეშუმის პარკის ამოსახვევი მარტივი ტიპის დანადგარები და სხვა;
2. უმნიშვნელოვანების დონისძიებად მიწნეული უნდა იქნეს მეაბრეშუმეობის ამხანაგობების, კოოპერატივების, მეურნეობრიობის სხვა ორგანიზაციული ფორმების ჩამოყალიბება, ინტეგრაციის გაღრმავება და მასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა, რაშიც საქართველოს სოფლის მეურნეობის

სამინისტროსთან ერთად ჩატარებული უნდა იყოს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაც.

#### 7.4. ეგონომიკის საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილება

**აკადემიკოს მდივანი - აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი  
სწავლული მდივანი - აკადემიური დოქტორი ანატოლი გიორგაძე**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიკის ეკონომიკის საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილებაში გაერთიანებულია აკადემიკის 8 წევრი, მათ შორის აკადემიკის ნამდვილი წევრი 6 და აკადემიკის წევრ-კორესპონდენტი 2.

**აკადემიკოსები:** ასათიანი რევაზი, კუნჭულია თამაზი, ქარქაშაძე ნაპოლეონი, ქეშელაშვილი ომარი, ჭითანავა ნოდარი, ჯაფარიძე გიგი.

**წევრ-კორესპონდენტები:** კოლუაშვილი პაატა, ნიკოლეიშვილი გიორგი.

განყოფილებაში 2013 წელს ჩატარდა 6 სხდომა.

პირველი სხდომა ჩატარდა 13 მარტს და განხილული იქნა საკითხები: 1. ეკონომიკის სამეცნიერო დარგობრივი განყოფილების 2012 წლის მუშაობის ანგარიში. მომხსენებლები: განყოფილების აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოს ნაპოლეონ ქარქაშაძე, აკადემიკის სწავლული მდივანი, აკად. დოქტორი ანატოლი გიორგაძე 2. ეკონომიკის საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივნის არჩევნები.

მეორე სხდომა ჩატარდა 15 აპრილს და განხილული იქნა შემდეგი საკითხები: 1. ეკონომიკის საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილებიდან საარჩევნო-საექსპერტო კომისიის მიერ კონკურსში დაშვებული კანდიდატის წინასაარჩევნო მოხსენება. მომხსენებლები: აკადემიკის წევრ-კორესპონდენტი თამაზ კუნჭულია. 2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიკის ნამდვილ წევრად არჩევასთან დაკავშირებით საარჩევნო-საექსპერტო კომისიის მიერ დაშვებული კანდიდატისათვის რეკომენდაციის მიცემის შესახებ (ფარული კენჭისყრა).

მესამე სხდომა ჩატარდა 11 ივნისი და განხილული იქნა შემდეგი საკითხები: 1. აგრარული სექტორის ტექნოლოგიურ-რესურსული პოტენციალის ზრდის სტრატეგიული სისტემის შესახებ; მომხსენებელი: განყოფილების აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი. 2. სასოფლო-სამეურნეო კომპერატივებისა და კორპორაციების ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმები. მომხსენებელი: მთავარი სპეცილისტი ბადრი ცერცვაძე, აკად. დოქტორი ასლან დევაძე.

მეოთხე სხდომა ჩატარდა 12 ივლისს და განხილული იქნა შემდეგი საკითხი: საქართველოში წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის პრობლემები; მომხსენებელი: აკადემიკოსი თამაზ კუნჭულია

მეეუთე სხდომა ჩატარდა 18 ოქტომბერს და განხილული იქნა შემდეგი საკითხი: შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდი - განვლილი გზა და ახალი გამოწვევები; მომხსენებელი: აკადემიკოსი რეზო ასათიანი.

მექქვსე სხდომა ჩატარდა 13 ნოემბერს და განხილული იქნა საკითხი: აკადემიაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების საკორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილების აღდგენის შესახებ; მომხსენებელი: აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი;

ადსანიშნავია, რომ განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა აგრეთვე მნიშვნელოვანი ღონისძიებები: სემინარი მეაბრეშუმეობის განვითარების პრობლემები საქართველოში.

#### 7.4.1. აკადემიკოსი რევაზ ასათიანი



1. საანგარიშო პერიოდში აკად. რ. ასათიანის მიერ გაწეული იქნა შემდეგი სახის სამუშაოები: სისტემატურად იღებდა მონაწილეობას საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომებში, აგრეთვე აკადემიის მიერ მოწყობილ სემინარებში, სამეცნიერო კონფერენციებში და სხვა სახის შეხვედრებში;
2. აკადემიის განყოფილებისა და პრეზიდიუმის სხდომაზე გაკეთებულია მოხსენება თემაზე: “შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი-განვლილი გზა და ახალი გამოწვევები”;

სსიპ-შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში, როგორც სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მონაწილეობდა 10 – მდე ახალი სამეცნიერო პროგრამის სახელმძღვანელო ცნობარის (კონკურსის პროგრამისა და პირობების) მომზადებაში, რომელთა უმრავლესობა გადაეცა საქართველოს მთავრობას განხილვისა და დამტკიცებისათვის;

3. მონაწილეობდა სსიპ-შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში ახალგაზრდა მეცნიერთა პრეზიდენტის სახელმძღვანელოს სტიპენდიებზე წარმდგენი, მეცნიერთათვის ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტების, დოქტორანტების, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის, აგრეთვე ლექსიკოგრაფიის სახელმწიფო პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების განმსილველი კომისიების სხდომებში, აგრეთვე სხვადასხვა სახის სამუშაო და სამეცნიერო შეხვედრებსა თუ პრეზენტაციებში;

4. მონაწილეობა მიიღო ქ.თბილისში, ასევე ქუთაისსა და ბათუმში სამეცნიერო ფონდის მიერ ორგანიზებულ რამდენიმე სემინარის მუშაობაში სამეცნიერო საზოგადოების ფართო წრისათვის საკონკურსო პროექტების ხარისხიანად მომზადების და სხვადასხვა სახის შეკითხვებზე პასუხების გაცემისა და კონსულტაციების გაწევის მიზნით;

5. აკად. რ. ასათიანი პირადად აწარმოებდა აგრარული სფეროსა და ეკონომიკაში ფონდში საკონკურსოდ წარმოდგენილი 150-ზე მეტი პროექტისათვის უცხოელი ექსპერტების მოძიების, პროექტებზე მათი განაწილებისა და ექსპერტებთან ყოველდღიური მიმოწერის საქმიანობას, ასევე დეპარტამენტის უფროსთან ერთად კოორდინაციას უწევდა სხვა სამეცნიერო მიმართულებით მოღვაწე კოორდინატორთა ზემოაღნიშნულ საქმიანობას;

6. როგორც კომისიის საბჭოს წევრმა, მონაწილეობა მიიღო “საქართველოს” მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა სახის კონკურსში დასაფინანსებლად 50-მდე პროექტის შეფასებაში, სამუშაო შეხვედრებსა თუ სემინარებში;

7. მონაწილეობა მიიღო ქ. კიშინოვში უკრაინის სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის მიერ ორგანიზებულ დონორი ქვეყნების საბჭოს გამსვლელი სხდომის მუშაობაში, რომელზეც საქართველოდან წარდგენილი 25 პროექტიდან განხილულ იქნა და დასაფინანსებლად შეირჩა 11;

8. დღეისათვის ხელმძღვანელობს 4 დოქტორანტს სოფლის მეურნეობის გეონომიკის თემატიკის მიმართულებით;

#### 7.4.2. აკადემიკოსი თამაზ კუნჭულია



1. საქართველოში მეჩაიერების რეაბილიტაციის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს დავალებით – პროგრამის ხელმძღვანელი.

2. გამოქვეყნებული თეზისები, სტატიები:

- საქართველოს აგროსასურსათო სექტორი; წიგნი “სოფლის მეურნეობა”, გვ. 27-49, თბილისი, 2013 წ. გამომცემლობა “ივერიონი”.

ნაშრომში განხილულია აგროსასურსათო სექტორ-

ში არსებული მდგომარეობა, სოფლის მეურნეობის, გადამამუშავებელი და კვების მრეწველობის განვითარების დინამიკა საბჭოთა და დამოუკიდებლობის წლებში. ახსნილია სექტორის დეგრადაციის მიზეზები, დასახულია პირველ რიგში გასატარებელი დონისძიებები.

- კლიმატური დახასიათება; წიგნი “სოფლის მეურნეობა”. გვ.50-53. თანაავტორობით, თბილისი, 2013 წელი, გამომცემლობა “ივერიონი”.

დახასიათებულია საქართველოში კლიმატის მრავალფეროვნება და მისი გავლენა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე.

- ნიადაგების აგროსაწარმოო დახასიათება; წიგნი “სოფლის მეურნეობა”. გვ.54-61. თანაავტორობით, თბილისი, 2013 წელი, გამომცემლობა “ივერიონი”.

დახასიათებულია საქართველოს ნიადაგური მრავალფეროვნება, მისი გავლენა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე.

- ძირითადი სუბტროპიკული კულტურები; წიგნი “სოფლის მეურნეობა”. გვ. 112-122. თანაავტორობით, თბილისი, 2013 წელი, გამომცემლობა “ივერიონი”.

განხილულია ჩაის, ციტრუსების და სხვა სუბტროპიკული კულტურების პოდუქციის წარმოებაში განხორციელებული ცვლილებები, დასაბუთებულია ჩაიზე მოთხოვნილების ზრდის მიზეზები, უახლეს პერიოდში განსახორციელებელი დონისძიებები.

- “სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩასატარებლად შესყიდული საწვავის სუბსიდირება”; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის “მოამბე”, №32, თბილისი, 2013 წ. გვ. 275-276.

სტატიაში აღწერილია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩასატარებლად გლეხების (ფერმერების) მიერ შესყიდული საწვავის სუბსიდირების მექანიზმი, რაც ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას შეუწყობს ხელს.

- “ეკლესია და თანამდეროვე სოფლის მეურნეობა”; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის “მოამბე”, №32, თბილისი, 2013 წ. გვ. 303-304.

სტატიაში ახლებურადაა დანახული ეკლესიის როლი სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდებაში, რაც მოსახლეობაში ღვთისმოსაობის ზრდას ემყარება.

4. “საქართველო ჩვენი ფასეულობები”; სერიის შემადგენელი ტომი “სოფლის მეურნეობა”, თბილისი, 2013, გვ.336. გამომცემლობა “ივერიონი”. თანაავტორი.

წიგნში აღწერილია საქართველოს სოფლის მეურნეობის ნიადაგურკლიმატური პირობები, აგროსასურსათო სექტორის განვითარების ტენდენციები, ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების, მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების მაჩვენებლები, მცენარეებისა და ცხოველების აბორიგენული ჯიშები და ენდემური სახეობები, მათი სამეურნეო-საწარმოო და სასელექციო მნიშვნელობა. დასაბუთებულია, რომ სოფლის მეურნეობის მოსახლეობის შემოსავლებისა და დასაქმების საუკეთესო სფეროს წარმოადგენს. გათვალისწინებულია წიგნის ინგლისურ და რუსულ ენებზე თარგმნა.

6. საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებში, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობა. თბილისი, სემინარი, ივლისი, “Роль сельского хозяйства в установлении рыночных отношений в Грузии”.

7. საზღვარგარეთ და ადგილობრივ სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა – საქართველოსა რუსთაველის სამეცნიერო ფონდი, “მეთუთეობის განვითრების პერსპექტივები საქართველოში”.

9. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს წევრი.

ტომის “სოფლის მეურნეობა” ახალი რედაქციის მთავარი რედაქტორი. წიგნი გამოვა 2014 წელს.

13. შესამუშავებელია სოფლის მეურენობის, გადამამუშავებელი და პვების მრეწველობის განვითარების სტრატეგია რეალური სიტუაციის გათვალისწინებით. ჩვენს მიერ მომზადებულია ახალი სტრატეგია, რომელიც დაიბეჭდება აკადემიის “მოამბეში” სახელწოდებით “საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის ახალი არჩევანი”. სტატია გამოქვეყნდება 2014 წელს.

### 7.4.3. აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე



28. გრძელდება მუშაობა “მსოფლიო სოფლის მეურნეობის” მონოგრაფია – სახელმძღვანელოს ახალ ვარიანტზე, დამუშავებულია თეორიული ნაწილი, აგრეთვე მსოფლიო მიწის ფონდები, განსაზღვრულია ძირითადი საკვები პროდუქტების წარმოების მსოფლიოს რეგიონები, გვაძებულია მუშაობას აფერხებს ის, რომ გართულდა საჭირო ციფრობრივი მასალების მოძიება, ასეთი მოცულობის სამუშაოს შესრულება მოითხოვს კვალიფიციურ დამხმარე პერსონალს;
29. უმაღლეს სასწავლებლებთან შეხება აღარ აქვს, ვინაიდან საქართველოში სასოფლო-სამეურნეო განათლება, ფაქტიურად ლიკვიდირებულია.
30. გამოქვეყნებულია სამეცნიერო სტატიები:
- 3.1. სსმმ აკადემიის “მოამბეში” (№31, თბილისი, გვ. 278-281) – “ეკოლოგიური საფრთხე”... “(მითი თუ რეალობა” – შრომაში განხილულია ის პროცესები, რომლებიც შეუქცევადა მოჰყვება გლობალურ დათბობას. აღწერილია თუ როგორ შეიძლება განვითარდეს, პროცესები საქართველოში. ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ როგორ დაანგრია სააკაშვილის ხელისუფლებამ აგრო-ბიოლოგიური მიმართულების (და არა მარტო) სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და სხვა სახის სამეცნიერო ცენტრები, რომლებსაც შეეძლოთ მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნების გაკეთება. სტატიაში განხილულია მსოფლიო მნიშვნელობის გლობალური საკითხებიც.
- 3.2. მონაწილეობა მიიღო, სსმმ აკადემიიაში ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში. მოხსენების თემა იყო “მსოფლიო მეურნეობა და ბიზნესგარემო”. მოხსენება დაიბეჭდა კონფერენციისადმი მიძღვნილ შრომათა კრებულში (თბილისი 2013, გვ.449-451); შრომაში ძირითადი განხილულია ის პრობლემები, რომლებიც შეიქმნა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში საქართველოში, დასახულია ბიზნესგარემოს გაუმჯობესების გზები, საკითხი შესწავლილია საწარმოო ერთეულებისა და გაერთიანებების დონეზე.
- 3.3. დამთავრებულია შრომა, რომელიც მათემატიკური მეთოდების გამოყენებით, საშუალებას იძლევა, შევადგინოთ კვების პროდუქტების წარმოება-მიწოდების, მათზე მოთხოვნილების და მოსახლეობის შესაძლებლობების სქემები. მათ ურთიერთკავშირში, თვალნათლივ ჩანს, ის პრობლემები, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებაში.
4. რეცენზირება გაუკეთდა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გადმოგზავნილ სადოქტორო შრომას.
5. მოხსენება გაპეტდა საპატიორქოს მიერ ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების

საკითხებს ეხებოდა, გამოვიდა კონფერენციის მონაწილეთა მოხსენებების კრებული. პერიოდულად მონაწილეობს საპატიოარქოს მიერ ჩატარებულ სხვა ღონისძიებებშიც.

6. არის აკადემიური საბჭოს წევრი და სისტემატურად მონაწილეობს მის მუშაობაში. არის სსმმ აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, რომელმაც მ.წ. ივნისში მოისმინა აკად. ი. ვასაძის მოხსენება მეხილეობის განვითარების საკითხებზე, წლის ბოლომდე, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად დაგეგმილია სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ჩატარება, კოოპერაციების საკითხებზე, რომელზეც აკად. 6. ქარქაშაძის მოხსენება იქნება წარმოდგენილი.

7. არის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის უურნალ „მოამბის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, საქართველოს ენციკლოპედიის სოფლის მეურნეობის სარედაქციო საბჭოს წევრი და სხვა.

8. მიღებული აქვს „საპატიო ნიშნისა“ და „ლირსების“ ორდენები (პირველი 1955 წელს, მეორე -1995 წელს).

9. აკად. 6. ქარქაშაძე ავტორია სათავგადასავლო რომანის „სხივი წყვდიადში“, რომელიც გამოიცა 2013 წელს. რომანში აღწერილია მისი ცხოვრების საინტერესო ეტაპები. უურნალ-გაზეთებში სისტემატურად ბეჭდავს პუბლიცისტურ სტატიებს, ქართული მეცნიერებისა და განათლების, აგრეთვე სოფლის მეურნეობის პრობლემატურ საკითხებზე, არის რამოდენიმე გაზეთის რედკოლეგიებთან არსებული სამეცნიერო ჯგუფის წევრი.

10. სოფლის მეურნეობის პერსპექტიული განვითარების სამი ძირითადი მიმართულებაა:

10.1. მარცვლეულის წარმოება, რომლის რაოდენობაც პერსპექტივაში 800-830 ათას ტონამდე შეიძლება გაიზარდოს;

10.2. საექსპორტო პროდუქციის წარმოება, რომელშიც იგულისხმება: ღვინო და ღვინის პროდუქტების, ჩაის პროდუქციის, ციტრუსების წარმოება. უნდა აღორძინდეს ეთერზეთების წარმოება, ახალი კარტოფილის, ბოსტნეულ-ბალჩეული და სხვა საექსპორტო პროდუქციის წარმოება. საჭიროა გაიხსნას ნატურალური ხილისა და ციტრუსების წვენების, აგრეთვე ყურძნის წვენის დამამზადებელი, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საწარმოები.

10.3. უნდა შეიქმნას საკურორტო-ტურისტული ინდუსტრიისათვის – მაღლუჭადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება – ახალი ხორცი, რძე, რძის პროდუქტები, ნატურალური ხილი, წვენები და ა.შ.

31. საჭიროა ხელისუფლებამ ჩამოაყალიბოს სოფლის მეურნეობის უახლოესი განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები, აუცილებელია რეგიონებში შეიქმნას მათოვის დამახასიათებელი კულტურების წარმოების საჩვენებელი ცენტრები, უნდა დაინერგოს უახლესი აგროტექნოლოგიები, შეიქმნას ტექნიკური, სავეტერინარო და სხვა სახის მომსახურეობის სარაიონობრივი ცენტრები. ცენტრალური წესით უნდა მოხდეს ფერმერების საჭირო მასალებით მომარაგება, მათ მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია და ა.შ. უნდა შეიქმნას პირობები, როდესაც ფერმერი – გლეხი დაკავებული იქნება მხოლოდ

სარისხიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებით. საჭიროა შეიქმნას ფერმერთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო ცენტრები.

ამასთან ერთად, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს სოფლის სოციალური და კულტურული პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაში აქტიურად უნდა ჩაებას, შესაბამისი სახელისუფლებო სტრუქტურები.

32. აუცილებელია აღდგეს თანამედროვე ტიპის სასწავლო უნივერსიტეტები (აგრარული, ზოოვეტერინალური და სუბტროპიკული), აგრეთვე კვლევითი ინსტიტუტები. მათ უნდა გამოეყოთ, შესაბამისი ფართობები, აღიჭურვონ თანამედროვე სამეცნიერო ტექნოლოგიებით, უნდა ვიზრუნოთ კვალიფიციური სამეცნიერო კადრების მოზიდვისათვის.

6. მიზანშეწონილია აღდგეს ორ საფეხურიანი სარისხების მინიჭების წესი (დარგის კანდიდატი-აკადემიური დოქტორის ნაცვლად და დარგის მეცნიერებათა დოქტორი); აღდგეს ასპირანტურა იმ დატვირთვითა და ფუნქციით, რომელიც მას ადრე ქონდა.

7. რაც შეეხება სხდომებზე საკითხების განხილვას, ამ შემთხვევაში კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს სამეცნიერო განყოფილებების როლი. ყოველ აკადემიურ საბჭოზე, საჭიროა ერთი პრობლემის განხილვა მაინც, მიზანშეწონილად მიმართია სამეცნიერო განყოფილების სხდომებზე (ან გაერთიანებულ სხდომებზე) აკადემიის გარეთ დარჩენილი მეცნიერების და პრაქტიკოსი მუშაკების მოსაზრებების მოსმენა.

#### 7.4.4. აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი



##### 1. თემის დასახელება:

2013 წელს, სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარვადგინე 3 მიზნობრივი სამეცნიერ-პრაქტიკული ხასიათის პროექტი, რომლებზეც შესაძლოა გამოიყოს დაფინანსება:

1. სოფლის მეურნეობის გაძლიერების სისტემების ენციკლოპედიური ეკონომიკურ ტექნოლოგიური და საცნობარო-ნორმატიული რეკომენდაციები (სამეცნიერო-გამოყენებითი პროექტი);

2. სასურსათო უსაფრთხოების ეროვნული პროგრამა (უზრუნველყოფის პოტენციალი და ეკონომიკური მექანიზმი (სამეცნიერო-გამოყენებითი პროექტი);

3. სამთო სოფლის მეურნეობის განვითარების ეროვნული პროგრამა (ეკონომიკურ-ტექნოლოგიური რეკომენდაციები და მართვის მექანიზმი (სამეცნიერო-გამოყენებითი პროექტი)

##### 2. გამოქვეყნებული თეზისები, სტატიები:

1. სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები. უურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №1, თბილისი, 2013.
2. აგროსამრეწველო ინტეგრაციის მდგრადობის ეკონომიკური მექანიზმი. უურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №1, თბილისი, 2013. (თანაავტორობით: ჯ. მახარაძე, თ. მახარაძე);
3. რესურსები. უურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №1, თბილისი, 2013.
4. საქონელი. უურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №1, თბილისი, 2013.
5. შრომა. უურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №1, თბილისი, 2013.
6. შემოსავლის წყაროები. უურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №1, თბილისი, 2013.
7. ეკონომიკური კანონები და კატეგორიები. უურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №1, თბილისი, 2013.
8. ბიზნეს-გეგმის შედგენის თეორიულ-მეთოდოლოგიური პოზიციები და ადმინისტრირება. უურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №2, თბილისი, 2013. (თანაავტორობით: ა. ჯაფარიძე).
9. მიწათმოქმედების ზონალურ-დიფერენცირებული მაღალი სამანქანო ტექნოლოგიების ეკონომიკური შეფასება ახალი ენერგეტიკული კრიტერიუმების საფუძველზე. უურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №2, თბილისი, 2013. (თანაავტორობით: რ. მახარობლიძე, თ. ქარჩავა).
10. რა არის და რას შეისწავლის მსოფლიო ეკონომიკა. უურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №2, თბილისი, 2013.
11. ქვეყნების კლასიფიკაცია. უურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №2, თბილისი, 2013.
12. მსოფლიო ეკონომიკის ძირითადი ტენდენციები და გლობალური პრობლემები. უურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №2, თბილისი, 2013.
13. თავისუფალი ეკონომიკური ზონები. უურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №2, თბილისი, 2013.
14. ქართული აგრარული მეცნიერების მშვენება. კრებული: ხსოვნა უკვდავებაა თავად; თბილისი, 2013.
15. მეჩაიეობისა და ჩაის მრეწველობის ინტეგრირებისა და მდგრადი განვითარების სტრატეგიული პროგრამა და მისი რეალიზაციის ეკონომიკური მექანიზმი. უურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №3, თბილისი, 2013.
16. გააზრებები და პოზიციები სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით. უურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №3, თბილისი, 2013.
17. რეგიონალიზმი და თვითმმართველობა. უურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №3, თბილისი, 2013.

18. სამეურნეო რისკის არსის გაგებისათვის. ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №3,თბილისი, 2013. (თანაავტორობით: ა. ჯაფარიძე).
19. სახელმწიფოს როლი. ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №3,თბილისი, 2013.
20. ეკონომიკის განვითარების ეროვნული მოდელები. ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №3,თბილისი, 2013.
21. მსოფლიო მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა. ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №3,თბილისი, 2013.
22. სამთო სოფლის მეურნეობის განვითარების ეროვნული პროგრამა (ეკონომიკურ-ტექნოლოგიური რეკო-მენდაციები და მართვის მექანიზმი-სამეცნიერო-გამოყენებითი პროექტი). ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №4,თბილისი, 2013.
23. სამეურნეო რისკი და მისი მართვა (რისკ-მენეჯმენტი). ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №4,თბილისი, 2013. (თანაავტორობით: ნ. დამენია).
24. ფინანსური რესურსები. ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №4,თბილისი, 2013.
25. საგარეო ვალი. ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №4,თბილისი, 2013.
26. საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები. ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №4,თბილისი, 2013.
27. მსოფლიო ინტეგრირებული გაერთიანებები. ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №4,თბილისი, 2013.
28. ფერმერული მეურნეობა თუ გლეხური მეურნეობა? (რომელი ტერმინი ვიხმაროთ). ჟურნალი „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, №4,თბილისი, 2013.
29. ფერმერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრი (შექმნისა და ფუნქციონირების დასაბუთება და გააზრება). სმმა მოამბე, 2013. (თანაავტორობით: გ. ჯაფარიძე, ა. ჯაფარიძე).
30. მოსაზრებები უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების რეფორმის გასატარებლად. სმმა მოამბე, 2013. (თანაავტორობით: გ. ჯაფარიძე, ა. ჯაფარიძე).
31. სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და მდგრადი განვითარების სტრატეგიულ-პრიორიტეტული მიმართულებები და რეკომენდაციები, ინოვაციური ტექნოლოგიების გათვალისწინებით (ხედვა და წინადადებები). სმმა, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ინოვაციური ტექნოლოგიები აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის“, თბილისი, 2013.

### **3. გამოქვეყნებული მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები:**

გადაეცა გამოსაქვეყნებლად მონოგრაფია: „ინოვაციური სამეცნიერო-გამოყენებითი პროექტიკული კონფერენცია „ინოვაციური ტექნოლოგიები აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის“, თბილისი, 2013.

#### **4. საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა:**

მონაწილეობა მივიღე სმმა ში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაში „ინოვაციური ტექნოლოგიები აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის“, თბილისი, 2013. მოხსენების დასახელება: სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და მდგრადი განვითარების სტრატეგიულ-პრიორიტეტული მიმართულებები და რეკომენდაციები, ინოვაციური ტექნოლოგიების გათვალისწინებით (ხედვა და წინადადებები).

#### **5. სმმ აკადემიის აკადემიურ საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა (საკითხის მომზადება):**

აკადემიის აკადემიურ საბჭოზე განხილული იქნა მის მიერ მომზადებული საკითხები: აგრარული სექტორის ტექნოლოგიურ-რესურსული პოტენციალის ზრდის სტრატეგიული სისტემის შესახებ (ივნისი); სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და მდგრადი განვითარების სტრატეგიულ-პრიორიტეტული მიმართულებები და რეკომენდაციები (დეკამბერი).

**6. სამეცნიერო საბჭოებში, კომისიებში, სარედაქციო კოლეგიებში მონაწილეობა.** საბჭოს, კომისიის, სარედაქციო კოლეგიის დასახელება. საბჭოს, კომისიის, სარედაქციო კოლეგიის დანიშნულება. როლი საბჭოს, კომისიის, სარედაქციო კოლეგიის საქმიანობაში.

1. საერთაშორისო რეფერინგებული ჟურნალის „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“-ის დამფუძნებელ-გამომცემელი, სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი.

2. საერთაშორისო კრებულის „საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“ სარედაქციო კოლეგიის წევრი.

**7. როგორ წარმოგიდგენიათ სოფლის მეურნეობის განვითარება.**

წარმოდგენილია ცალკე დანართების სახით.

**სამეცნიერო საზოგადოების, ასოციაციის, სამეცნიერო საბჭოს წევრობა:**

არის საქართველოს მეცნიერთა უფლებების დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი.

#### **8. საკითხები, რომელიც უნდა განიხილოს აკადემიურმა საბჭომ:**

1. სამთო სოფლის მეურნეობის განვითარების ეროვნული პროგრამა (ეკონომიკურ-ტექნოლოგიური რეკომენდაციები და მართვის მექანიზმი (სამეცნიერო-გამოყენებითი პროექტი);

2. ვერბალური მართვა;

3. ფერმერთა კავლიფიკაციის ამაღლების ცენტრის შესახებ.

## **9. სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და მდგრადი განვითარების სტრატეგიულ-პრიორიტეტული მიმართულებები და რეკომენდაციები**

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში, სოფლის მეურნეობის გაადგილებისა და სპეციალიზაციის, დარგთა შეთანაწყობისა და მათი განვითარების რეგიონული ეკონომიკური და ტექნოლოგიური პრობლემების ირგვლივ მრავალი ათეული წლის განმავლობაში დიდი და ნაყოფიერი მეცნიერული და გამოყენებითი ხასიათის სამუშაოები შესრულდა, ამჟამად, ამ საკითხებისადმი მიდგომა ახლებურ ხედვასა და გადაწყვეტას მოითხოვს, რომლის დროსაც გათვალისწინებული უნდა იყოს ორი ძირითადი ამოსავალი კრიტერიუმი, პირველ ყოვლისა ადგილობრივი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები და მეორე მხრივ საბაზრო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი და ეტაპობრივად ცვალებადი, ქვეყნის შიდა და გარე მარკეტინგული მოტივაციები, მოთხოვნები, შეზღუდვები, სტრატეგია.

ამასთან, დროის მოთხოვნა ხდება, რომ აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტა ეყრდნობოდეს ახლებური და პროგრესული მეთოდოლოგიური და ინფორმაციული ტექნოლოგიების მთელ არსენალს, რომელიც მთლიან მოდელურ წრედში უცილობლად უნდა მოიცავდეს რეგიონულ და მიკროეკონომიკურ გადაწყვეტებს. ამან, უტყუარი საყრდენი ბაზა უნდა შექმნას ქვეყნის მასშტაბით სოფლის მეურნეობის სწრაფი და მდგრადი განვითარების სტრატეგიული პროგრამის დამუშავებისათვის. ეს, დინამიური პროცესი უნდა იყოს.

### **სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობისა და მდგრადი განვითარების სტრატეგიული პრიორიტეტები**

უკანასკნელ წლებში, ქართველ მეცნიერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა შორის კამათი და აზრთა სხვადასხვაობაა იმის შესახებ, თუ რომელი დარგები უნდა გამოიყოს პრიორიტეტულად საქართველოს სოფლის მეურნეობაში.

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ეს კამათი დადებით შედეგებს მოგვცემს თუ გათვალისწინებული იქნება საქართველოში, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის მიკროზონალური ტრადიციები და დაგროვილი გამოცდილება, შრომის დანაწილებაში მათი როლი და მნიშვნელობა, ადგილობრივ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებთან ადაპტაცია და ამ პირობების მაღალი, ბიოლოგიური და ეკონომიკური უკუგებით გამოყენების უნარი, საბაზრო ეკონომიკისა და არსებული და მომავალში გამოსაყოფი საბაზრო სეგმენტების, ამა თუ იმ პროდუქციით გაჯერების მოთხოვნები, მათი საექსპორტოუნარიანობა, ეკონომიკური ბერკეტებისადმი მორგებულობის, მედეგობისა და ლაგირების შესაძლებლობა და სხვა.

გლობალიზაციისა და საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებისა და პოზიციების, აგრეთვე ადგილობრივი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებისა და პოტენციური რესურსები შესაძლებლობების გათვალისწინებით, უკანასკნელ წლებში (2000-იანი წლები), საქართველოში პირველად (ხელმძღვანელი აკად. ო.ქეშელაშვილი), დამუშავდა სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული მარკეტინგული

მოდელი, რომლის მიხედვითაც საბაზრო მოტივაციების შესაბამისად, განისაზღვრა სოფლის მეურნეობის რეგიონული პრიორიტეტები, დარგობრივ ჭრილში, შეფასდა და დადგინდა ის ოპტიმალური ეკონომიკური პარამეტრები, რაც ეკონომიკური და სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით რეალურად მისაღწევ მიჯნებსა და დასაბუთებულ ზღვრებს წარმოადგენს ამა თუ იმ დარგისათვის, როგორც ადგილობრივი საბაზრო სეგმენტების გაჯერების, ისე მყარი საექსპორტო პოზიციების დაკავების მიზნით.

**ამის საფუძველზე, საქართველოს სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობისა და მდგრადი განვითარებისათვის სარეკომენდაციოა კვლევის შედეგად მიღებული შემდეგი დასკვნები:**

საქართველოს სოფლის მეურნეობაში ძირითად პრიორიტეტებად გამოიყო დიდი ტრადიციებისა და ფართო პოტენციური (როგორც ბუნებრივი ისე ეკონომიკური) შესაძლებლობების, აგრეთვე დიდი პერსპექტივების მქონე ისეთი სტრატეგიული მნიშვნელობის დარგები, როგორიცაა: მევნეობა და ნიშანდობლივ სამრეწველო მევნეობა, ასევე სამრეწველო მეხილეობა და სუბტროპიკული მიწათმოქმედების ძირითადი დარგები: მეჩაიეობა და მეციტრუსეობა და მათ ბაზაზე მომუშავე კვების მრეწველობის დარგები.

ამ პრიორიტეტული და სტრატეგიული მნიშვნელობის დარგების განვითარება შესაძლებლობას იძლევა მაქსიმალური ეფექტიანობითა და უკუგებით იქნას გამოყენებული საქართველოს უნიკალური ბიოკლიმატური პოტენციალი, ამასთან მაქსიმალურად იქნას ათვისებული მხოლოდ ის მიკროზონალური სივრცე, სადაც მათვის ყველაზე ხელსაყრელი ბუნებრივი და ეკონომიკური პირობები არსებობს.

ეს დარგები, რომლებიც საექსპორტო და პოტენციურად კონკურენტუნარიან პროდუქციას აწარმოებენ, საქართველოს სოფლის მეურნეობის გლობალური სტრატეგიის შესაბამისად მიეკუთვნა ე.წ. “ენერგომომტანი” დარგების ჯგუფს. ამ დარგებს სწორედ იმიტომ ეწოდა “ენერგომომტანი”, რომ მათი განვითარება საშუალებას იძლევა პროდუქციის ექვივალენტური, ბარტერული და სხვა ფორმის გაცვლების საფუძველზე და ამ ინტერესების შესაბამისად, ინტეგრირებულ საწარმოთა მოწყობითა და სხვა პროგრესული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების გამოყენებით გარკვეულწილად გადავჭრათ სტრატეგიული ენერგეტიკული რესურსებით (ნავთობპროდუქტები, გაზი, ელექტროენერგია) აგრეთვე კალორიატებადი სასურსათო პროდუქტებით (მარ-ცვალი, შაქარი, ცხიმი, ზეთი, კარაქი და სხვა) უზრუნველყოფის პრობლემა.

როგორც ჩანს, ეს გლობალიზაციის პროცესში ჩართვისა და ფუნქციონირების სავსებით მისაღები და რეალური ფორმაა, ამავდროულად საქართველოს სოფლის მეურნეობას უნარჩუნებს თავის სპეციალიზაციასა და თვითმყოფადობას.

ამ პრიორიტეტულ დარგებთან, ადგილობრივი პირობების შესაბამისად, თანაბარი უპირატესობის მიცემით, ნიადაგურ-კლიმატური ფაქტორებისა და მიწათმოქმედების გაძლიერების ისტორიული ტრადიციების მხედველობაში მიღებით, შეთანაწყობილი უნდა იყოს ე.წ. “კალორიატებადი” პროდუქციის მომცემი კულტურების მოვლა-მოყვანა, კერძოდ: თავთავიანი პურეულის, სიმინდის,

მარცვლეულ-პარკოსნების, ბოსტნეულის, კარტოფილის, აგრეთვე ტექნიკური და საკვები კულტურებისა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების სტრატეგიული პოზიცია გვერდის გვერდის, რომ წარმოების ინტეგრირების, კოოპერირებისა და შრომის საერთაშორისო დანაწილების, როგორც დღევანდელი, ისე თვალსაწიერი პერსპექტივის ბიზნესური მოთხოვნებიდან გამომდინარე, მისი სპეციალიზაცია, ისტორიულ-ტრადიციული მოდელიდან დიდ და რადიკალურ გადახრას არ ექვემდებარება. ეს იმას ნიშნავს, რომ სავარაუდო ფართობებს კვლავ ვენახი დაიკავებს, სახორციელებელი, სასიმინდეს-სიმინდი, სუბტროპიკული ზონის სივრცეს-ჩაი, ციტრუსი, სუბტროპიკული ხილი და ა.შ.

აღნიშნული, საერთო, პერსპექტივული პოზიციებიდან გამომდინარე საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით გამოიყოფა შემდეგი ძირითადი მიმართულებები და პოზიციები:

1. გლობალური (საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების) პოზიცია, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოებრივ (ქვეყნის) დონეს. აქ ძირითადად თავსდება ზემოთ აღნიშნული “ენერგომომტანი” დარგები, რომელმაც უნდა აითვისოს ადგილობრივი, ახლომდებარე და შორეული საბაზო სეგმენტები;

—ადგილობრივი, ახლომდებარე და შორეული საბაზო სეგმენტების დასაპყრობად და გასაჯერებლად პრიორიტეტი უნდა მიეცეს დიდი ტრადიციების, ქართული იმიჯის შემქმნელ ისეთ დარგს, როგორიცაა მევენახეობა და მის ბაზაზე მომუშავე მრავალპროფილიანი მედვინეობა. ამ დარგებში საკმაოდ კონკურენტუნარიანი პროდუქტები შეიძლება ვაწარმოოთ (საჭირო იქნება ტექნოლოგიების სრულყოფა და ტექნოლოგიური გადაიარაღება), რასაც საქართველოს მთელი სამარკეტინგო ამინდის შექმნა შეუძლია.

ხაზგასასმელია, რომ ეს დარგები ამჟამად ჩიხშია მოქცეული არამასტიმულირებელი და ჯერ კიდევ დასახვეწი ეკონომიკური გარემოს გამო, რაც დაბრკოლებას უქმნის საქართველოს მარკეტინგულ პოლიტიკას და არასწორ ორიენტაციას აძლევს მას. ანალოგიურად ითქმის სხვა დარგებზეც.

—ადგილობრივი და ახლომდებარე საბაზო სეგმენტების დასაპყრობად და გასაჯერებლად, არსებულ ტრადიციებზე დაყრდნობით, კვლავ ფართოდ უნდა განვითარდეს მეხილეობა და მის ბაზაზე მომუშავე საკონსერვო მრეწველობა.

საქართველოს მეხილეობის განვითარების დიდი ტრადიციები ისტორიის კუთვნილებად არ უნდა დარჩეს. საქართველოში ჩატარებული მდიდარი სელექციური მუშაობის შედეგები საშუალებას იძლევა თვისებრივად ახალ დონეზე ავიყვანოთ მეხილეობის დარგი და პროგრესული და ნაკლებნარჩენიანი ტექნოლოგიების გამოყენებით საკმაოდ კონკურენტუნარიანი ხილი და მისი გადამუშავების პროდუქტები ვაწარმოოთ.

—ადგილობრივი და პოსტსაბჭოთა ქვეყნების საბაზო სეგმენტების გასაჯერებლად უნდა აღორძინდეს და ფართოდ უნდა განვითარდეს მეჩაიერება და მეციტრუსეობა და მათ ბაზაზე მომუშავე მოდერნიზებული, პრო-გრესულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ჩაის მრეწველობა და სუბტროპიკული ხილის გადამმუშავებელი მრეწველობა;

ამ დარგების განვითარებისათვის არსებული ძვირფასი და ხელსაყრელი ნიადაგურ-კლიმატური პირობების რაციონალური გამოუყენებლობის შემთხვევაში საქართველო დიდ მარკეტინგულ მარცხს წააწყდება, გარდა ამისა, დიდი სიძნელეები შეიქმნება შიდამარკეტინგული პოზიციიდან და რაც დიდად ანგარიშგასასაწევია-მიკრორეგიონული სოციალური დაცვის თვალსაზრისით.

თვისებრივად ახალ დონეზე უნდა ავიდეს ადრეული მებოსტნეობა და მეკარტოფილეობა, რაც ამ დარგების განვითარებისათვის არსებული ძვირფასი მიკროკლიმატური პირობების რაციონალურ გამოყენებას მოითხოვს. ამავე ასპექტით, სტრატეგიულ მარკეტინგულ პოზიციას წარმოადგენს სასათბურე მებოსტნეობის აღდგენა და სტაბილური განვითარება.

საგარეო-სავაჭრო ურთიერთობებში განსაკუთრებული როლი შეიძლება შეასრულოს ისეთმა დარგებმა, როგორიცაა მეფუტპრეობა და ეთერზეთების წარმოება.

დიდად ანგარიშგასასაწევია ის, რომ ფუტკარს, თაფლის მოცემის გარდა, გაცილებით (10-15 ჯერ) მეტი სარგებლობა მოაქვს, როგორც მცენარეთა დამტვრიანების ძლიერ ფაქტორს.

2. ლოკალური, შიდასახელმწიფოებრივი და რეგიონულ-დარგობრივი პოზიციები—აქ თავსდება მეცხოველეობა და “კალორიატევადი” სასოფლო-სამეურნეო კულტურები, კერძოდ: მარცვლეული, საარეო და საგვიანო კარტოფილი, მზესუმზირა, შაქრის ჭარხალი.

მეცხოველეობის დარგებიდან მეღორეობა და მეფრინველეობა მეტ-ნაკლებად ყველა რეგიონში, განსაკუთრებით საგარეუბნო ზონებში უნდა განვითარდეს; მეცხვარეობა—მთიან რაიონებში; სატბორე მეთვეზეობა—შესატყვის ადგილებში; მებოცვრეობა (და სხვა)—ლოკალურ მასშტაბებში.

ქვეყნის ყველა რეგიონის საბაზრო სეგმენტები უნდა გაჯერდეს მსხვილფეხა რქოსანი მესაქონლეობის პრ დუქციით, ამ დარგის მეტნაკლები პროპორციებით ყველა რეგიონში განვითარებითა (ბარისა და სამთო პირობებზე მორგებით) და მის ბაზაზე ხორცისა და რძის მრეწველობის დონის ამაღლებით.

3. სახელმწიფოებრივი პროგრამის პოზიციები—ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მარცვლეული მეურნეობის განვითარებას. მარკეტინგული სტრატეგიის შესაბამისად სასურსათო მარცვლეული კულტურების (ხორბალი, სიმინდი) მოყვანა მეტ-ნაკლები მასშტაბით თითქმის ყველა რეგიონში შეიძლება, თუმცა, მის რეგიონულ რეგულირებას ახდენს ისტორიულად ჩამოყალიბებული ობიექტური ფაქტორი—მოსახლეობის სპეციფიკური მოთხოვნები, რომლის შესაბამისადაც აღმოსავლეთ საქართველოში უპირატესად მოიყვანება და მოიხმარება ხორბლეული, ხოლო დასავლეთში—სიმინდი. ეს გარემოება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მარკეტინგულ ბაზეზე და საბაზრო უზრუნველყოფაზე.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მრავალდარგოვანი სტრუქტურა, რაც ობიექტური ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების გავლენით არის ჩამოყალიბებული, საშუალებას არ იძლევა ძირითადი სასურსათო პროდუქტები, მათ შორის სასურსათო და საფურაუე მარცვლეული, გამოკვეთილი მინიშნებით კი ხორბალი, ვაწარმოოთ იმ მოცულობით, რომ

მაქსიმალურად დაკმაყოფილდეს, როგორც საქართველოს მოსახლეობის, ისე, მითუმეტეს ტურისტებისა და საკურორტო და სამკურნალო კერებში მყოფ დამსვენებელთა (რომელთა რიცხვი წლითი-წლობით გაიზრდება) მოთხოვნილება.

პერსპექტივაში კი, თუ გავითვალისწინებოთ და მხედველობაში მივიღებოთ მაღალ და ინტენსიურ ტექნოლოგიებს, სელექციისა და გენეტიკის მიღწევებს, ჰიბრიდიზაციის ძალას და, ამის საფუძველზე პროგრამირებული მოსავლის მიღების პოტენციურ შესაძლებლობებს, ამ შემთხვევაში, საქართველო, საკუთარი წარმოებით შეძლებს დაიკმაყოფილოს მარცვლეულზე სასურსათო მოთხოვნილება, მაგრამ, ეს, ჯერჯერობით თეორიულ და მეცნიერულ ჩარჩოებს არ სცილდება.

ამიტომ, ჩვენ, არ უნდა გამოვედეგნოთ და არ უნდა გაგვიტაცოს მარცლეულით სწავად თვითდაკმაყოფილების კონცეფციამ და პრაქტიკული თვალსაზრისით აქცენტი უნდა გავაკეთოთ და ორიენტირად უნდა მივიჩნიოთ ის გზა, რომელსაც თვით ბუნება გვთავაზობს და გვარნახობს, რაც იმას ნიშნავს, რომ პოტენციურად და აგრობიოლოგიურად ვარგისი სავენახე ფართობები უნდა დაიკავოს მხოლოდ ვენახმა; სახეებილე ფართობები-ხეხილოვანმა კულტურებმა და ისიც შერჩევითა და გამოზომილად: თესლოვნებმა, კურკოვნებმა, კაკლოვნებმა, კენკროვნებმა; ჩაისა და სუბტროპიკული კულტურებმა; საბოსტნე-საბაღჩე-ბოსტნეულ-ბაღჩეულმა;

საკარტოფილე-კარტოფილმა; საბაღახე-სათიბ-საძოვრებმა და ა.შ.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ასეთი გაადგილება და განაწილება საქართველოს ბუნების დაუწერელი კანონია და თუ ამ წესრიგს დავუჯერებოთ და მივყვებით, მას ზედმიწევნით მოერგება და შეეთანაწყობა მთელი ტექნოლოგიური არსენალი და პოტენციალი, შესაბამისად საწარმოო ინფრასტრუქტურა და საბოლოო შედეგად წარმოების მაღალი ეკონომიკური უკუგება.

4. საიმპორტო პოზიციებიდან გამომდინარე საქართველოს საბაზრო სეგმენტები მოსახლეობის მოთხოვნილების შესაბამისად რომ გაჯერდეს აუცილებელი იქნება ისეთი ძირითადი სასურსათო პროდუქტების იმპორტი (ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცვალებადი მოცულობებით), როგორიცაა: მარცვლეული, ხორცი, რძე, და ხორცისა და რძის პროდუქტები, მეფრინველეობის პროდუქცია, ცხიმეული, აგრეთვე პროდუქციის კონკურენტუნარიანობისა და საბაზრო კონიუნქტურის შესაბამისი სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო და კვების მრეწველობის პროდუქტები, რომელიც ეტაპების მიხედვით ცვალებადი მოცულობითა და პროპორციებით იქნება შემოტანილი.

როგორც წესი, ექსპორტისა და იმპორტის რეგულირება უნდა ხდებოდეს ეკონომიკური ბერკეტების მარჯვე გამოყენებით, სწორი სამარკეტინგო სტრატეგიითა და მოქნილი მენეჯმენტით.

5. სერვისის სფერო და ინფრასტრუქტურა. ამ თვალსაზრისით საჭიროა ხელი შეეწყოს სხვადასხვა, მეწარმეობის კანონის შესაბამისი, ორგანიზაციულ-სამრთლებრივი ფორმის სერვისული ტიპის საწარმოების ფუნქციონირებას, რომელიც შებოჭილი არ იქნება მოუქნელი საგადასახადო მექანიზმით და საშუალება ექნება ინდივიდუალურად და დიფერენცირებულად შეუხამოს თავისი საქმიანობა ადგილობრივ მოთხოვნებს და მარკეტინგის პრინციპებს.

## **მენეჯმენტი**

საქართველოს სოფლის მეურნეობის, მარკეტინგულ სისტემასა და გლობალიზაციის ერთიან პროცესში განვითარება უცილობლად უკავშირდება მენეჯმენტს. გლობალიზაციის პროცესის მაღალი დონე გულისხმობს იმას, რომ თვით სახელმწიფო უნდა გამოდიოდეს მენეჯერის როლში.

ამ თვალსაზრისით, ძირითად და მომქმედ ფაქტორებს წარმოადგენს:

- მორგებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი (მ.შ. კოოპერირებული და ინტეგრირებული) ფორმები;
- ფულად-საკრედიტო და საგადასახადო მექანიზმი;
- ეკონომიკური სტიმულები;
- ინსტიტუციონალური სისტემა;
- საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურა;
- გარანტიებშემცველი სამართლებრივი ბაზა.

ამის საფუძველზე, სახელმწიფოს შესაძლებლობა ეძლევა ასტიმულიროს, როგორც ამა თუ იმ ორგანიზაციული ფორმის განვითარება, ისე სახელმწიფო შეკვეთების შესრულება, ექპორტ-იმპორტის პროპორციები, ინტეგრაციული ურთიერთობები, ინფრასტრუქტურის განვითარება, სოციალური პირობები, ეკოლოგიური წონასწორობა, რაც გლობალიზაციის ელემენტებს შეადგენს.

სახელმწიფოს როლის ამაღლების მიზნით, მიზანშეწონილია თითოეული რაიონისათვის დგინდებოდეს სახელმწიფოებრივი და სტრატეგიული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების სავალდებული ზღვრული მოცულობები, რომლებიც მათ, სახელმწიფო შეკვეთის წესით მიეცემათ. ამ პროდუქციის შესახყიდლად წინასწარ იქნება განსაზღვრული შესყიდვის საგარანტიო ფასები, რაც საბაზრო ფასებს 8-10 %-ზე მეტად არ უნდა ჩამორჩებოდეს და პერიოდულად კორექტირდებოდეს.

ამასთან, თითოეული საწარმო უფლებამოსილებას არ კარგავს საგარანტიო ფასით გასაყიდი პროდუქციის გარდა აწარმოოს ნებისმიერი სახისა და რაოდენობის პროდუქცია (რაც კანონით არ იკრძალება) და გაყიდოს თავისუფალ ფასებში, ნებისმიერ ადგილას და პირობებში, როგორც შიდა, ისე საგარეო ბაზარზე. ეს, დიდ სტიმულს მისცემს აგრარულ სექტორში მეწარმეობის განვითარებას.

ცალკე მუშაობა სჭირდება სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეორგანიზაციისა და მისთვის, დარგობრივ-რეგიონულ წარმოსახვაში, სოფლის მეურნეობის აღმავლობის მიზნით რეალური ფუნქციების (განსაკუთრებით წარმოების რეგულირებისა და მართვის თვალსაზრისით) მინიჭების საკითხის დამუშავებას.

**სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების**

**რეალიზაციის ინტენსიური გზები და მეცნიერული რეკომენდაციები**

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამაღლებისა და მდგრადი განვითარებისათვის პრიორიტეტული მიჯნებისა და მასშტაბების მისაღწევად საჭიროა:

- სელექციისა და მეთესლეობის გაუმჯობესებისთვის ხელის შეწყობა და სასოფლო-სამეურნეო კულტურათა თესვა მაღალმოსავლიანი ჯიშებით;

- სარგავი მასალის წარმოების ტექნიკური ბაზის გადაიარაღება და სრულყოფა;
- მცენარეთა დაცვის ინტეგრირებული სისტემის ზედმიწევნით მიზნობრივი და სრულყოფილი გატარება;
- არსებული სარწყავი სისტემებისა და მცირე ქსელების სრულ მზადყოფნაში მოყვანა, მათი რეაბილიტაციისა და განახლების საფუძველზე;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით მომარაგებისა და გამოყენების ზონალურ-დიფერენცირებული რეკომენდაციების დამუშავება და დანერგვა;
- პროდუქციის გადამუშავების (მ.შ ექსპრეს-გადამუშავების), გასაღების, წარმოების საშუალებებით მომარაგებისა და საწარმოო მომსახურების ტიპის დამოუკიდებელი და მინი-ინტეგრირებული საწარმოების (კოოპერატივების და სხვა ფორმის) შექმნა;
- სახელმწიფო დაკვეთებისა და შესყიდვების მექანიზმის შემუშავება და ამოქმედება;
- საბაზო სეგმენტების სწორად შერჩევა და პროდუქციით გაჯერების სტაბილურობის მიღწევა;
- სამეურნეო რისკის მართვა;
- წარმოების ოპტიმიზაციისა და მდგრადი განვითარების ეკონომიკური მოდელების შექმნა და მისი რეალიზაციის ეკონომიკური მექანიზმის დამუშავება.

ზემოთ აღნიშნული, პროგნოზული მარკეტინგული მოდელით დადგენილი პარამეტრები შეესაბამება იმ პოზიციას, რომ, ჯერ თანდათან უნდა დავძლიოთ წლობით დაგროვილი კრიზისული ვითარება და დონე, არაინტენსიური განვითარების ტემპი და თანდათან გადავიდეთ პროგრესულ ტექნოლოგიებზე.

ასეთი მიდგომითა და სტრატეგიული მომართულებების რეალიზაციით საქართველოს შეუძლია მსოფლიოს ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანა გახდეს.

**ეს, რომ რეალობად იქცეს აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიური განვითარება.**

გასული, მთელი ოცი საუკუნის განმავლობაში სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარების საკითხი ისე მწვავედ და აქტუალურად არ დამდგარა, როგორც ახლა, XXI საუკუნის დასაწყისში. ეს გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ევოლუციური (თანდათანობითი) ცვლილებები უკვე ვეღარ ესატყვისება და ვერ ეთავსება ამჟამინდელ და აქამდე უცხო, ეკონომიკური ზრდის (განვითარების) წარმოუდგენლად სწრაფ ტემპებს, ამას გარდა, რესურსული პოტენციალის ათვისებისა და გამოყენების ტერიტორიულ-სივრცობრივმა ფაქტორებმა დაკარგა თავისი ძალა და შესაძლებლობები და გზა დაუთმო რევოლუციურ ანუ ინტენსიურ ფაქტორებს.

ეს იმას ნიშნავს, რომ საჭიროა თითოეული პექტარი მიწა და რესურსი რაც შეიძლება მეტად „გამოიწველოს“ და მისგან, რეალურად რაც შეიძლება მეტის გამოტანა მოხერხდეს. ასეთი, საწარმოო რესურსების გამოწვლილვითი გამოყენების (მოხმარების) მიმართულება ინტენსიური, უფრო სწორად, ინტენსიფიკაციის ფაქტორებით ზემოქმედებასა და რეგულირებას თხოვლობს. სწორედ აქ იჩენს თავს წარმოების ინტესიფიკაციის ისეთი მძლავრი, ქმედითი და თანამედროვეობაზე მორგებული ფაქტორები, როგორიცაა: მექანიზაცია და ელექტრიფიკაცია, ქიმიზაცია, მცენარეთა და ცხოველთა ინტეგრირებული დაცვა,

მელიორაცია (წყლის ძალის გამოყენება და ზედმეტ (ჭარბ) ტენიან ბრძოლა), მოსავლის პროგრამირება, ხარისხის მართვა, რისკის ფაქტორების გავლენის შემცირება, მარკეტინგის მართვის ავტომატიზებული სისტემების გამოყენება, მომავლის საწარმოთა მოდელირება და სხვა. ეს ჩამონათვალი თანდათან უფრო გაფართოვდება თუ მხედველობაში მივიღებთ ნანოტექნოლოგიისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სხვა მიღწევებს.

წარმოების ინტენსიური განვითარების აუცილებლობა გაპირობებულია მსოფლიო გლობალიზაციის შეუქცევადი პროცესით, როდესაც მაქსიმალურად უნდა გამოვლინდეს თითოეული რეგიონის (სახელმწიფოს, მხარის, ზონის და ა.შ.) პოტენციალი, როლი და ადგილი შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, საეციფიკური გეოპოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ნიშანთვისებები, მომავლის მოდელი და ქვეყნის წონადი სახე, სრულად იქნას რეალიზებული პრიორიტეტული-სტრატეგიული, მაგისტრალური მიმართულებები.

### **სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარებისათვის აუცილებელია:**

- ეკონომიკურ-ტექნოლოგიური გარემოს სწორი მეცნიერული შესწავლა და შეფასება;
- ნიადაგური და ბიოკლიმატური პოტენციალის მაღალი დატვირთვითა და მაღალი უკუგებით, ზონალურ-დიფერენცირებული სპეციფიკის შესაბამისი გამოყენება;
- ახალი, ინტენსიურ ტექნოლოგიებზე მორგებული ჯიშებისა და ჰიბრიდული გამოყვანა და მათი ინტენსიური და ინდუსტრიული ტექნოლოგიებით მოვლა-მოყვანა;
- წარმოების ტექნოლოგიური კომპლექსის მართვის ავტომატიზებულ, პროგრამირებულ სისტემებზე გადაყვანა;
- მთელი რესურსეული პოტენციალის: მიწის, წარმოების ძირითადი საშუალებების, ინტენსიფიკაციის ფაქტორების, შრომითი რესურსების, ახლებური, თანამედროვე, ინტენსიური ტექნოლოგიების შესაბამის ნორ-მატივებსა და ენერგეტიკულ კრიტერიუმებზე, ამასთან, ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებულ მოთხოვნებზე დაყრდნობილი, ზონალურ-დიფერენცირებული და მოდიფიცირებული გამოყენება;
- ინტენსიურ საფუძვლებზე მოწყობილი და მართვის ავტომატიზებულ სისტემურ მოდელებზე დაფუძნებული საწარმოო ინფრასტრუქტურა, რასაც ამჟამად არანაკლები როლი მიეკუთვნება, ვიდრე თვით წარმოების პროცესს.
- წარმოების მართვაში რისკ-მენეჯმენტის ფაქტორის აუცილებელი გათვალისწინება;
- ძლიერი ინვესტიციური გარემოს შექმნა და რეგულირებული გამოყენება;
- ინოვაციური (ცოდნის) ეკონომიკის თანდათანობითი და მიზნობრივი გამოყენება. სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარება უნდა გავიგოთ და განვიხილოთ იმ თანამედროვე ფორმულირების პასუხად, როგორიცაა: ახალ დროს ახალი პირობები და ახლებური გადაწყვეტები სჭირდება; ამასთან, საჭიროა იმის გათვალისწინება და გათავისება, რომ ახალ დროს ახალი ადამიანები ქმნიან და წარმოების ახლებურ-ინტენსიურ ტიპს ახალი, ინტენსიურ-ინდუსტრიული ტექნოლოგიები და მართვის ავტომატიზებული, პროგრამირებული სისტემები უზრუნველყოფენ.

აი, ასე სრულად და რთულად დგას ახლა, საქართველოსა და მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის წინაშე, წარმოების ინტენსიური განვითარების, გლობალიზაციის გავლენით წამოჭრილი აუცილებლობის პრობლემა.

**საკითხი, გლობალურად უკვე ასეა დასმული:** მსოფლიო გლობალიზაციის პროცესში გაიმარჯვებს ის ქვეყანა, რომელიც განვითარებს ინოვაციურ ეკონომიკასა და გადაწყვეტს წარმოების, უპირატესად სასოფლო-სამეურნეო წარმოების, ინტენსიურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მდგრადი განვითარების საერთო-სახელმწიფოებრივ ამოცანას.

სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობისა და მდგრადი განვითარების ხელშემწყობი ორგანიზაციულ-სტრუქტურული და მმართველობრივი ხასიათის წინადაღებები და რეკომენდაციები

- წარმოების ორგანიზაციულ-სტრუქტურული სრულყოფის თვალსაზრისით საჭიროა გადაიდგას ნაბიჯი იმ მიმართულებით, რომ ეტაპობრივად (თუმცა, არახანგრძლივი დროის მანძილზე) ნებაყოფლობით (დარწმუნების მეთოდის გამოყენებით), შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის მიღების საფუძველზე მოხდეს ფერმერულ მეურნეობათა მნიშვნელოვანი ნაწილის ბაზაზე, საშუალო სიდიდისა და შედარებით მსხვილი კოოპერირებული და ინტეგრირებული საწარმოების შექმნა. დაჩქარებული ტემპით უნდა დამუშავდეს და დამტკიცდეს კოოპერირებულ და ინტეგრირებულ საწარმოთა სანიმუშო წესდება.

ამ კოოპერატივებსა თუ ინტეგრირებულ ფორმირებებს უნდა გააჩნდეთ თავისი აგროტექსერვისული სამსახურები, სათანადო სასაწყობო მეურნეობები, გადამმუშავებელი (შესაბამისი სიდიდისა და მასშტაბის) საწარმოები, პროდუქციის სარგალიზაციო სამსახურები და სხვა შესაბამისი თანაფორმირებები. დასაშვებია აგრეთვე, ცალკე შეიქმნას კოოპერირებული ტიპის აგროტექსერვისის ფორმირებები.

ასეთი რეორგანიზაცია საშუალებას მოვცემს მაქსიმალური ეფექტურობით გამოვიყენოთ წარმოების ძირითადი საშუალებები (განსაკუთრებით მიწის რესურსები, რომელთა დიდი ნაწილი ამჟამად მიგდებული და გავერანებულ-გატიალებულია), ტექნოლოგიური ხერხები და ღონისძიებები, ინტენსიფიკაციის ფაქტორები, კაპდაბანდებები, მაღალი უკუგებით ავითვისოთ მარკეტინგული სივრცე, განვავითაროთ საგარეო-ეკონომიკური კაგშირები, ინცესტიციების მოზიდვის პროცესი და სრულგეოთ მენეჯმენტი.

## 10. გააზრებები და პოზიციები სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით

სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულ დარგად გამოცხადება და ამ მიზნით სოფლის მეურნეობის სამინისტროს როლისა და ფუნქციების ამაღლება და გაძლიერება სავსებით დროული და მართებულია. ამას, თვით სოფლის მეურნეობის სპეციფიკა, მისი პოტენციური შესაძლებლობები და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დღევანდელი მდგომარეობაც გვკარნახობს.

ამ, დიდი, სახელმწიფოებრივი ამოცანის გადაწყვეტა უნდა ეყრდნობოდეს მეცნიერულულად დასაბუთებულ რეკომენდაციებს, მრავალფაქტორულ ეკონომიკურ

ანალიზს, სრულყოფილ საკოორდინაციო სისტემას, კვალიფიციურ საკონსულტაციო სამსახურს, ახალგაზრდა კადრების აღზრდასა და მათი კვალიფიკაციის სისტემაზე ამაღლებას. ეს სფეროები და ბერკეტები, სოფლის მეურნეობის სამინისტროში, უკანასკნელ წლებში, თითქმის აუმოქმედებელი და გამოუყენებელი იყო. ამის გარეშე კი აგრარული სექტორის წინსვლა წარმოუდგენელია. მაგრამ, ახლა, გვესახება, რომ შემობრუნების ეტაპი იწყება.

აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად და საჭიროდ მიმაჩნია სოფლის მეურნეობის სამინისტროში საგანგებოდ შეიქმნას ერთიანი, ანალიტიკურ-საკოორდინაციო და საკონსულტაციო-საკვალიფიკაციო ცენტრი. ამ ცენტრმა საერთო ხელმძღვანელობა და კოორდინაცია უნდა გაუწიოს ანალოგიურ, ახლებურად გააზრებულ და შესაქმნელ რეგიონულ სტრუქტურებს (ფილიალებს).

ანალიტიკურ-საკოორდინაციო და საკონსულტაციო-საკვალიფიკაციო ცენტრის ფუნქციური დატვირთვა უნდა შეესაბამებოდეს და მოიცავდეს შემდეგი სამუშაოების შესრულებას:

**I. ეკონომიკური ანალიზის, მარკეტინგული სტრატეგიის, განვითარების პრიორიტეტებისა და კოორდინაციის მიმართულებით:**

- მოამზადოს კომპლექსური, დარგობრივ-რეგიონული ეკონომიკურ-ტექნოლოგიური ანალიზის, ახლებური მიდგომისა და ხედვის მეთოდური მიმართულებები, ხელმძღვანელობა და კოორდინაცია გაუწიოს მის რეალიზაციას რაიონულ ფილიალებში და მოამზადოს საერთო, კრებსითი, სარეკომენდაციო და სახელმძღვანელო, ყოველწლიური ანალიტიკური კრებულები (სასურველია გამოიცეს მასობრივი, ლიმიტირებული ტირაჟი);
- კოორდინაცია გაუწიოს სამინისტროს შიდა სტრუქტურების ფუნქციონირებას, კრებსითი მასალების მომზადებისა და მონაცემთა ერთიანი ბანკის შექმნის მიზნით;
- მოამზადოს აგრარული რეფორმის და ამის შესაბამისად სოფლის მეურნეობის განვითარების ახალი, თანამედროვე მოთხოვნებითა და პრიორიტეტული მიდგომებით შეჯერებული კონცეფცია, სტრატეგიული პროგრამა და მისი განხორციელების ეტაპობრივი გზები, პასუხისმგებელი სუბიექტებისა და შესრულების ვადების მითითებით და კოორდინაცია გაუწიოს მის შესრულებას; აღნიშნული პროგრამა უპირატესად უნდა მოიცავდეს ეკონომიკურ-ტექნოლოგიურ პოლიტიკას, პრიორიტეტებს და რეალიზაციის ინსტიტუციონალურ სისტემას; ამ სამუშაოებმა უნდა მოიცვას შესაბამისი საკანონმდებლო პროექტის მომზადებაც;
- უნდა განსაზღვროს (ახლებურად) სოფლის სტატუსი, თვითმმართველობის სისტემისა და სქემის ასახვით და მოამზადოს შესაბამისი საკანონმდებლო პროექტი;
- დაამუშაოს სოფლის მეურნეობის განვითარების ზონალურ-დიფერენცირებული შეფასების მრავალფაქტორული ანალიზი და პერიოდულად განაახლოს იგი;
- დაამუშაოს აგრარული სექტორის ტექნოლოგიურ-რესურსული და ეკონომიკური პოტენციალის შეფასებისა და ზრდის ზონალურ-დიფერენცირებული სტრატეგიული სისტემა და პერიოდულად განაახლოს იგი;
- განსაზღვროს სასურსათო უსაფრთხოების რესურსულ-პროდუქტიული პოტენციალი და დაამუშაოს მისი გამოყენების რეგულირებისა და მართვის მექანიზმი;

- დაამუშაოს სოფლის მეურნეობის განვითარების მარკეტინგული მოდელი, გლობალური და ლოკალური დიფერენციაციითა და პრიორიტეტების გამოყოფით;
- დაამუშაოს სოფლის მეურნეობის განვითარების მრავალვარიანტული (ოპტიმისტური, პესიმისტური და ოპტიმიზტურებული) პროგნოზული ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრები, თვალსაწიერი და შორეული პერსპექტივისათვის, რომელიც მიჩნეული იქნება წინასაპროგრამო მცხნიერულ რეკომენდაციებად;
- დაამუშაოს კოოპერირებული და ინტეგრირებული საწარმოების (ფორმირებების) შექმნისა და განვითარების ეკონომიკური საფუძვლები და რეკომენდაციები, რათა ამ გზით სოფლის მეურნეობა, შეწონასწორებულად, თანდათანობით გადავიდეს კოოპერირებული და ინტეგრირებული განვითარების ფორმებზე (გზაზე). ეს სამუშაოები უნდა მოიცავდეს ამ ფორმირებათა სანიმუშო წესდებებისა და იურიდიული ნორმების (საკანონმდებლო ბაზის) მომზადებასაც;
- ეკონომიკურად შეაფასოს სოფლის მეურნეობის საწარმოო ინფრასტრუქტურის გამოყენება და დაამუშაოს მისი რეგულირებისა და უკუგების ამაღლების რეკომენდაციები;
- დაამუშაოს აგრობიზნესის ადმინისტრირების ეკონომიკურ-პროგრამული, ინსტიტუციონალური მოდელები და პრაქტიკული რეკომენდაციები (მოიცავს ფერმერული და სხვა ტიპის სასოფლო-სამეურნეო, კოოპერირებული და ინტეგრირებული საწარმოების მიერ ეკონომიკური ბერკეტების გამოყენების კრიტერიუმებს, ფორმებს, სარეკომენდაციო პარამეტრულ სიდიდეებს, ფასებისა და ფასწარმოწმის მექანიზმს, მენეჯმენტს და სხვა ინსტიტუციონალურ პოზიციებს);
- დაამუშაოს სამეურნეო რისკის შეფასებისა და მართვის ზონალური რეკომენდაციები;
- დაამუშაოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის სხვადასხვა დონის მენეჯმენტი და მისი ოპტიმალური მოდელები;
- დაამუშაოს რაიონების მიხედვით სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი პროგრამები (საწარმოთა ჭრილში-ხელშეკრულების საფუძველზე);
- დაამუშაოს ფერმერული და სხვა ტიპის სასოფლო-სამეურნეო, კოოპერირებული და ინტეგრირებული საწარმოების ბიზნეს-გეგმები (ხელშეკრულების საფუძველზე);
- შეადგინოს სამინისტროს დაქვემდებარებაში შესაქმნელი სანიმუშო საჩვენებელი კოოპერირებული და ინტეგრირებული საწარმოების წესდება და მენეჯმენტის მოდელი;
- შეადგინოს ინვესტიციების მოზიდვისა და რეგულირებული გამოყენების ეტაპობრივი პროგრამა;
- შეადგინოს ინოვაციებისა და ნოუ-ჰის დანერგვის ეტაპობრივი პროგრამა;
- იმუშაოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკურ მექანიზმსა, ინსტიტუციონალურ სისტემასა და მისი რეგულირების რეკომენდაციების მომზადებაზე;
- დაამუშაოს აგრარული და სასურსაოო ბაზრის ფორმირებისა და რეგულირებული გამოყენების რეკომენდაციები;
- დაამუშაოს საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა სრულყოფის პროგრამა;
- კოორდინაცია გაუწიოს მიწის კადასტრის, მიწის ეკონომიკური შეფასებისა და მიწის ფასის ზონალურ-დიფერენცირებული სიდიდეების განსაზღვრის სამუშაოებს და მისი საკანონმდებლო პროექტის მომზადებას;

- იმუშაოს აგროტექნიკური და ზოოტექნიკური ღონისძიებების ეკონომიკურ შეფასებაზე (ეფექტიანობის განსაზღვრაზე), ცალკეული დარგის მიხედვით;
- იმუშოს აგროტურიზმის სისტემური მოდელის შექმნაზე, მისი განვითარების ზონალურ დიფერენციაციისა და მართვის მექანიზმებზე;
- დაამუშაოს სამეწარმეო სამართლის, საადგილმამულო ურთიერთობებთან, მიწასთან, უძრავ ქონებასთან და სასურსათო და შრომის ბაზრის ოგულიერებასთან დაკავშირებული სამართლებრივი დატვირთვის ნორმების ეკონომიკური დასაბუთებისა და მისი გამოყენების სრულყოფის ოპორმენდაციების დამუშავების მეთოდური მიმართულებები და კოორდინაცია და საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ საქმიანობას (საჭირო იქნება მომზადდეს შესაბამისი საკანონმდებლო პროექტი);
- კოორდინაცია და საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს სოფლის მეურნეობის სპეციფიკის შესაბამისი საკანონმდებლო პროექტების მომზადებასა და მის პარლამენტში წარდგენას, დასამტკიცებლად (უნდა მომზადდეს კანონპროექტები: სოფლის სტატუსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, აგრარული რეფორმის შესახებ, მიწისა და სასოფლო-სამეურნეო უძრავი ქონების პრივატიზაციის შესახებ (ახლებურად), მიწისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შესახებ, მცხნართა ინტეგრირებული დაცვის შესახებ, რაიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ, მთიანი რაიონების განვითარების შესახებ, სასოფლო-სამეურნეო წარმოების კოოპერირებისა და ინტეგრირების შესახებ, სელექციისა და ჯიშთა-გამოცდის შესახებ, ვაზისა და ღვინის შესახებ (განახლებული), ჩაისა და ჩაის მრეწველობის შესახებ, ეკოლოგიურად სუფთა, ბიოპროდუქტების წარმოების შესახებ, საკრედიტო კავშირებისა და საადგილმამულო ბანკის შექმნის შესახებ და სხვა);
- გაშალოს სპეციფიკური სარედაქციო-საგამომცემლო საქმიანობა;
- კოორდინაცია გაუწიოს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის ახალი აგროწესების, შესაბამისი რეკომენდაციებისა და მეთოდური მითითებების შედგენასა და გამოცემას და მათ დარიგებას სახელმძღვანელოდ ფერმერული, სხვა ტიპის სასოფლო-სამეურნეო, კოოპერირებული და ინტეგრირებული საწარმოებისათვის;
- ჩამოაყალიბოს სამინისტროს მუშაკთათვის უწყვეტი სწავლების სკოლა (მრავალფეროვანი თემატიკური სასწავლო ციკლით), საერთო ხელმძღვანელობა და კოორდინაცია გაუწიოს მის მუშაობას.

## **II. საკონსულტაციო სამსახურის ხაზით:**

გაუწიოს მაღალკალიფიციური კონსულტაციები (ცენტრში გაერთიანებულ მოწვევულ მეცნიერთა და სპეციალისტთა მეშვეობით) ფერმერული, სხვა ტიპის სასოფლო-სამეურნეო, კოოპერირებულ თუ ინტეგრირებულ საწარმოთა ხელმძღვანელებს, ბიზნესმენებს, ახალგაზრდა მეცნიერებსა და სპეციალისტებს, სოფლის მეურნეობის ნებისმიერ საკითხზე (ეკონომიკის, მარკეტინგის, მენეჯმენტის, აგროტექნიკის, ზოოტექნიკის, გეტერინარიის, საწარმო და სოციალური ინფრასტრუქტურის, გასაღებისა და რეალიზაციის, პროდუქციის გადამუშავების, ინვესტიციების, ინოვაციების, საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა და სხვა სფეროების ხაზით);

**III. ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხაზით (სამინისტროს დაფინანსებით უნდა შეიქმნას სსმმ აკადემიაში):**

ცენტრის მიზანი უნდა იყოს:

სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე და მუშაობის მსურველ ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა (მათ შორის სამინისტროს თანამშრომელთა) მრავლმხრივი მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, რომელიც დაეყრდნობა მომავალზე ორიენტირებულ, უწყვეტი სწავლების პრინციპებზე აგებული და ინფორმაციული ტექნოლოგიებით გაჯერებული სწავლების ფორმებსა და მეთოდებს, დარგობრივ-რეგიონულ მეცნიერულ-ტექნოლოგიურ საფუძვლებს, გრძელვადიან მარკეტინგულ სტრატეგიას.

ცენტრის ამოცანები და ძირითადი შედეგები იქნება:

- სწავლების ახლებური, პროგრესული, ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე დამყარებული ფორმებისა და მეთოდების შემოდება და დანერგვა;
- ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო სახელმძღვანელოებისა და ნორმატიულ-საცნობარო კრებულების გამოცემა;
- ახალგაზრდა მეცნიერთა ფართო ფენის მომზადება და კვალიფიკაციის სისტემატიური ამაღლება;
- სოფლად მომუშავე ახალგაზრდა სპეციალისტთა ფართო ფენის მომზადება და კვალიფიკაციის სისტემატიური ამაღლება;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო და ეკონომიკური პოტენციალის რაციონალური გამოყენება, მისი დონისა და ეფექტურობის ამაღლება;
- სოფლის მეურნეობის მტკიცე საწარმოო-ტექნიკური ბაზის შექმნა და მისი რაციონალური გამოყენება;
- თითოეული რეგიონის ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების ურთიერთშეწონასწორებული გამოყენება.

ანალიტიკურ-საკოორდინაციო და საკონსულტაციო-საკვალიფიკაციო ცენტრმა, დარგობრივ მეცნიერებებთან კოორდინაციაში, უნდა იმუშაოს ისეთ საკითხებზეც, რაც ადრე, ნაკლებად, ან არ დამუშავებულა:

- უნდა დაამუშაოს და გამოსცეს კაპიტალური ნაშრომი: „რეკომენდაციები სოფლის მეურნეობის გაძლიერების ზონალური სისტემების შესახებ“ (ასეთი ნაშრომი ოც წელზე მეტია აღარ დამუშავებულა, ამ ხაზით კი დიდი ტრადიციებია დაგროვილი);
- უნდა დაამუშაოს საქართველოს აგრომარკეტინგული ატლასი (საერთოდ არ დამუშავებულა);
- უნდა დაამუშაოს და გამოსცეს კაპიტალური ნაშრომი „სოფლის მეურნეობის ეკონომიკურ-ტექნოლოგიური საცნობარო-ნორმატიული მასალების კრებული“ (ასეთი ნაშრომი აღარ გამოცემულა თითქმის 40 წელია. იგი აუცილებელია თითოეული ფერმერული თუ სხვა ტიპის სასოფლო-სამეურნეო და ინტეგრირებული საწარმოსათვის);

- უნდა შექმნას და გამოსცეს სოფლის მეურნეობის ენციკლოპედიის 5 ტომეული (ადრე საერთოდ არ შექმნილა);
- უნდა გამოსცეს მრავალტომეული: აგრარული და აგრარულ-ეკონომიკური ცოდნის საგანძურო-ქრესტომატიული და სარეკომენდაციო ხასიათის ცალკალკე წიგნები თითოეულ სასოფლო-სამეურნეო კულტურაზე, პირუტყვის სახეზე და აგრარულ და აგრარულ-ეკონომიკურ პრობლემებზე (ადრე საერთოდ არ შექმნილა).

#### 7.4.5. აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა



1. საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში აკად. 6. ჭითანავა ასწავლის შემდეგ საგნებს: “ეკონომიკის პრინციპები (ეკონომიკური თეორია)”, “საქართველოს ეკონომიკა”, “სოციალური პოლიტიკა” (ბაკალავრიატი), “ეკონომიკური გლობალიზაცია”, “ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოება” (მაგისტრატურა), “მსოფლიო ეკონომიკა და ეკონომიკური გლობალიზაცია” (დოქტორანტურა);

2013 წელს გამოქვეყნებული აქვს შემდეგი სამეცნიერო სტატიები:

1. 6. ჭითანავა - საქართველოს აგრარული მეურნეობის განვითარების ახალი სტრატეგია (ჟურ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“ №1 აპრილი 2013 წ.)

განხილულია აგრარული მეურნეობის განვითარების თანამედროვე მდგრადირეობა. გამოვლენილია თავისებურებები და ტენდენციები. აგრარული სექტორის კრიზისის გამომწვევი მიზეზები. შემოთავაზებულია დარგის კომპლექსური განვითარების რეკომენდაციები.

2. 6. ჭითანავა - საქართველოს ეკონომიკის განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები. (ჟურ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“ №2 მაისი 2013 წ. №3 ივნისი 2013 წ.).

ვრცლად განხილულია 1990 -2012 წლებში ეროვნული ეკონომიკის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. გაანალიზებულია ტრანსფორმაციული პროცესების კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური ასპექტები. განსაზღვრულია ეროვნული ეკონომიკის განვითარების ძირითადი მიმართულებები.

3. 6. ჭითანავა, გ. მუსეერიძე - მიწის კადასტრის ფორმირების კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური ასპექტები. (ჟურ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“ №6 ოქტომბერი 2013 წ.).

განხილულია საქართველოში მიწის კადასტრის ფორმირების აუცილებლობა. დასაბუთებულია, რომ მიწის კადასტრის შექმნა-განხორციელება ხელს შეუწყობს მიწის ბაზრის განვითარებას და ეფექტიანობის ამაღლებას. წარმოდგენილია წინადადებები მიწის კადასტრის შექმნის დაჩქარებისათვის.

4. 6. ჭითანავა გ. მუსერიძე - მიწის რესურსების გამოყენების აქტუალური პრობლემები საქართველოში . (ურ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“ №7, ნოემბერი 2013 წ.)

განხილულია მიწის რესურსების გამოყენების ამჟამინდელი მდგომარეობა. გამოვლენილია მიწის რესურსების აღრიცხვის ორგანიზაციაში დაშვებული შეცდომები. შემოთავაზებულია რეკომენდაციები მიწის რესურსების ერთიანი სახელმწიფო სამსახურის შექმნის შესახებ.

2013 წელს აკად. 6. ჭითანავას ხელმძღვანელობით საქართველოს დაფილ აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში დაცულია :

ორი საბაკალავრო ნაშრომი თემებზე „გეოგრანომიკური ფაქტორის როლი ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში“ და „საქართველოში საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალი პერიოდის თავისებურებები.“

სამაგისტრო ნაშრომი თემაზე „გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები.“

2013 წლის 3-4 ოქტომბერს ქალქ თბილისში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეგიდით გამართულ საერთაშორისო -სამეცნიერო პრაქტიკულ კონფერენციაზე აკად. 6. ჭითანავა გამოვიდა მოხსენებით თემაზე „საქართველოს აგრარულ სექტორში ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის თავისებურებები და პერსპექტივები.“

არის საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ქურნალ „ბიზნესი და კანონმდებლობა“ - სარედაქციო საბჭოს წევრი.

#### 7.4.6. აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე



1. 2013 წელს და შემდგომშიც აკად. გ. ჯაფარიძის კვლევის ძირითად საგანს წარმოადგენს „სატყეო მეურნეობის წარმართვა მდგრადი განვითარების საფუძველზე“. სატყეო მეურნეობის მდგრადი განვითარების პრინციპებით წარმართვა ნიშნავს ეკოსისტემისათვის უსაფრთხო ტყის რესურსებით სარგებლობას და მართვას, ბიომრავალფეროვნების, პროდუქტიულობის, რეგენერაციის და გამძლეობის უნარის შენარჩუნება-დაცვას, რაც საშუალებას მოგვცემს ხელი შევუწყოთ აწმყოსა და მომავალში ადგილობრივი, ეროვნული და გლობალური მასშტაბებით მნიშვნელოვანი ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ფუნქციების შესრულებას. გარდა

ამისა საქართველოში სატყეო მეურნეობის წარმართვა მდგრადი განვითარების პრინციპების მიხედვით მიზნად ისახავს: დაგვანახოს ის საშიშროება, რომელიც მოსდევს ტყის გადაჭარბებულ სარგებლობას, მიაღწიოს ინფორმაციის ოპტიმალურ გაცვლას, შესაბამის ორგანოებს გააცნოს ტყის დაცვისა და მისი გამოყენების სტრატეგიის შესამუშავებლად ჩამოყალიბებული პრინციპები და თავისი წელილი შეიტანოს სატყეო პოლიტიკის ფორმირებაში.

2. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აკად. გ. ჯაფარიძე მიწვეულია როგორც კონსულტანტი, ამასთანავე პარალელურად საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს ლექციების ციკლზე სატყეო ეკონომიკისა და გარემოსდაცვითი კანონმდებლობის საკითხებთან დაკავშირებით.

3. 2013 წელს გამოქვეყნებულია 5 შრომა, მათ შორის:

3.1. ბუნების დაცვითი კანონმდებლობის ცალკეული ასპექტები - საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია “ინოვაციური ტექნოლოგიები აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის” 3-4 ოქტომბერი, 2013 წელი თბილისი, საქართველო.

3.2. აგრარული მეცნიერების განვითარების ცალკეული პრობლემები და მათი დაძლევის წინადადებების შესახებ. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე №32. 2013 წელი თბილისი.

3.3. მოსაზრებები უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების რეფორმის გასატარებლად. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე №32. 2013 წელი თბილისი.

3.4. წინადადებები ფერმერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის შესახებ. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე №32. 2013 წელი თბილისი.

3.5. საქართველოში მევენახობა-მელვინეობის დარგში არსებული მდგრმარეობა და პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე №32. 2013 წელი თბილისი.

4. 2013 წელს მონაწილეობა მიიღო მრავალ სამეცნიერო პრაქტიკულ კონფერენციაში, სიმპოზიუმებში, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, მათ შორისაა:

4.1. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია – “ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება”. 2013 წლის 11-12 ოქტომბერი თბილისი, საქართველო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

4.2. საერთაშორისო “სასოფლო-სამეურნეო განვითარების პრობლემები აგრარულ სექტორსა და სოფლის მეურნეობაში” 2013 წლის 18 აპრილი, თბილისი.

4.3. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია “ინოვაციური ტექნოლოგიები აგრარული სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის”. 2013 წლის 3-4 ოქტომბერი თბილისი, საქართველო.

4.4. “საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ინვაციური განვითარების კონცეფციის” განხილვა (პრეზენტაცია);

- 4.5. საქართველოს მეცნიერების სექტორის განვითარების გეგმა, ქვეყნის ფარგლებში მიმდინარე და ახალი პროექტები, სამომავლო გეგმები, ახალი შემოთავაზებები (პრეზენტაცია);
- 4.6. მებოსტნეობის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები (სემინარი);
- 4.7. მეხილეობის განვითარების პრობლემები საქართველოში (მრგვალი მაგიდა);
- 4.8. აგრარული სექტორის თანამედროვე მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები (სემინარი);
- 4.9. ქართული ფუტკარი – სელექცია, დაავადებები, საკეთი ბაზა (მრგვალი მაგიდა);
- 4.10. საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარების პრობლემები (სემინარი);
- 4.11. საქართველოს მთიანი ტყეების თანამედროვე მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების გზები (მრგვალი მაგიდა);
- 4.12. მცენარეთა დაცვის დარგში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში (მრგვალი მაგიდა);
- 4.13. სუბტროპიკული კულტურების დარგის განვითარების პრობლემები საქართველოში (სემინარი);
- 4.14. საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა შეკრება (მრგვალი მაგიდა);
- 4.15. საქართველოს სოფლის მეურნეობის აქტუალური პრობლემები.

5. 2013 წლიდან ავტორთა ჯგუფთან ერთად, როგორც თემის სამეცნიერო ხელმძღვანელი აკად. გ. ჯაფარიძე მუშაობს საგრანტო პროექტზე “კლიმატის ცვლილებების გავლენა ვაზის განვითარებასა და მოსავალზე (კახეთი)” პროექტის კვლევის სიახლეს, მიზანსა და ამოცანებს წარმოადგენს:

საქართველოს მევენახეობა-მედვინეობის ისტორია ათასწლეულებს ითვლის. აქ აღწერილია 500-ზე მეტი ადგილობრივი ჯიში. მევენახეობამ განსაკუთრებულ აღმავლობას მე-20 საუკუნეში მიაღწია, როცა ვენახების ფართობმა 120.000 ჰექტარს გადააჭარბა; აშენდა დვინის ახალი ქარხები; შეიქმნა დარგის მართვის მძლავრი სამეცნიერო ცენტრები. შედეგად, ყურძნის წარმოებამ ქვეყანაში გასული საუკუნის 80-იან წლებში 550-560 ათას ტონას მიაღწია.

საქართველოში მევენახეობამ საზოგადოებრივი წარმოების წესის შეცვლის შემდეგ მძიმე რდვევა განიცადა და დღეისათვის არსებული არასრული მონაცემებით ვაზის ნარგაობა 40-60 ათას ჰექტარამდეა შემცირებული, ხოლო ყურძნის წარმოება – 150-220 ათას ტონამდე.

მიუხედავად ასეთი რთული მდგომარეობისა, მევენახეობა-მედვინეობა კვლავ რჩება საქართველოს აგროსასურსათო სექტორის წამყვან დარგად, განსაკუთრებით კი კახეთში, სადაც ვაზის და დვინის წარმოებას განსაკუთრებული პრიორიტეტი ენიჭება.

მევენახეობა-მედვინეობის მრავალფეროვნების მიუხედავად, დღეისათვის სრულყოფილად არ არის შესწავლილი ადგილობრივ (აბორიგენულ) ვაზის ჯიშებზე ცვალებადი აგროკლიმატური ფაქტორების ზეგავლენა ვერტიკალური

ზონალობის მიხედვით, რაც უმნიშვნელოვანესი საკითხია კახეთის გვალვების გამწვევების, წყლის სიმცირის და ნიადაგის დეგრადაციის გამო.

კვლევის მიზანია საქართველოს მევენახეობა-მედვინეობის წამყვან რეგიონში, კერძოდ შიდა კახეთში, სხვადასხვა მიმართულების პროდუქციის საწარმო ჯიშების ძირითადი აგროკლიმატური მაჩვენებლებისადმი მოთხოვნილების გათვალისწინებით შესაბამისი სიმაღლითი მიკროზონების გამოვლინება კლიმატის ცვლილებების გათვალისწინებით და მევენახეობა-მედვინეობის დარგების პოტენციური ადაპტირების შესაძლო გზების დასახვა.

6. როგორც სატყეო დარგის მკვლევარს, აკად. გ. ჯაფარიძეს მიაჩნია ქვეყანაში შეიქმნას ახალი “საქართველოს სატყეო სტრატეგია”, რისი აუცილებლობაც გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით:

დედამიწის ეკოსისტემის ოდვენამ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, როგორსაც არ პქონია ადგილი კაცობრიობის ისტორიაში, ეს პრობლემა სულ უფრო და უფრო მეტად უნდა გავისიგრძებანოთ, მოვლენის ასეთი საშიში ფორმით განვითარება შეიძლება შეწყდეს მხოლოდ მაშინ, თუ ისე ვიცხოვდებთ, რომ ბუნების მიმართ ჩვენი დამოკიდებულება კარგად გვექნება გათვითცნობიერებული, შევძლებო ბუნებაში ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებას და დავიცავო ტყის რესურსებით უწყვეტი სარგებლობის პრინციპს, ბუნებასთან მხოლოდ კეთილმოსურნე ურთიერთობით.

ჯანმრთელი გარემო სტაბილურობისათვის, მდგრადი ეკონომიკისა და ცხოვრების მაღალი დონისათვის უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს.

ეკონომიკის ფარგლებში არც ერთ ქვეყანას არ გააჩნია ისეთი მრავალფეროვანი ლანდშაფტური ფორმები, ბუნებრივი სასიცოცხლო სივრცე, ცხოველთა და მცენარეთა სახეობათა ისეთი სიმრავლე, როგორც საქართველოს. ბუნების დიდებული სილამაზის ლანდშაფტებს ჰარმონიულად ენაცვლება ძველი კულტურის ლანდშაფტები. ეს სიმდიდრე და მჭიდრო კავშირი კულტურასა და ბუნებას შორის, ეკონომიკი ერთ მთლიანობას წარმოადგენს. და მას, როგორც ეკონომიკი მემკვიდრეობის ნაწილს ისე იცავენ. ამიტომ საქართველოშიც სურთ ერთის მხრივ ტყეების და ტყის ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი ნაკრძალად აქციონ, ხოლო მეორე მხრივ შეიმუშაონ დონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკოსისტემებისა და ბუნებრივი რესურსებით უწყვეტი სარგებლობის პრინციპს.

საქართველოში სატყეო მეურნეობის მდგრადი განვითარების პრინციპებით წარმართვის შესატყვისი კონცეფციების შექმნის წინაპირობა გულისხმობს მეურნეობის ამგვარი წარმართვის საფუძვლების სწავლებას.

საქართველოში სატყეო მეურნეობის წარმართვა მდგრადი განვითარების პრინციპების მიხედვით მიზნად ისახავს: დაგვანახოს ის საშიშროება, რომელიც მოსდევს ტყით გადაჭარბებულ სარგებლობას, მიაღწიოს ინფორმაციის ოპტიმალურ გაცვლას, შესაბამის ორგანოებს გააცნოს ტყის დაცვისა და მისი გამოყენების სტრატეგიის შესამუშავებლად ჩამოყალიბებული პრინციპები და თავისი წვლილი შეიტანოს სატყეო პოლიტიკის ფორმირებაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამოსაყოფია პირველი რიგის დონისძიებები და კერძოდ:

- საქართველოს ტყის ახალი კანონმდებლობის შექმნა;
- ტყეებთან დაკავშირებული სხვადასხვა საკანონმდებლო აქტების ურთიერთშესაბამისობაში მოყვანა და პარმონიზაცია;
- ტყეების სოციალურ-ეკოლოგიური ფუნქციების (ნიადაგდაცვითი, წყალმარებულირებელი, კლიმატმარებულირებელი, რეკრეაციული და სხვა) შენარჩუნება-გაძლიერება;
- ტყის კადასტრის დამუშავება;
- ეროვნული სატყეო კონცეფციის (სტრატეგიის) შემუშავება;
- სატყეო მეურნეობის მდგრადი განვითარების პროპაგანდა;
- ეკოლოგიური თვალსაზრისით სრულყოფილ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ტყის ჭრა, მერქნის მიღებასთან ერთად, ტყეების ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის, მათი პროდუქტიულობისა და სარისხობრივი მაჩვენებლების ამაღლების თანამედროვე სატყეო-სამეურნეო, ეკონომიკური, ტექნიკური და სხვა სახის ღონისძიებების განხორციელება. ტყის რესურსებით (მერქნითი თუ არამერქნითი) უწყვეტი და თანაბარი სარგებლობის პრინციპის დაცვა;
- ტყის რესურსების კვლავწარმოების რაციონალური მეთოდებისა და წესების დამუშავება და მათი დანერგვა;
- ტყის მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის ინტეგრირებული სისტემების გადამუშავება-გამოყენება; ბიოლოგიური კონტროლის გაძლიერება;
- ტყეების ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვის სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება;
- ბუნებრივი წარმოშობის ტყეების ტრანსფორმაციისა და დაკარგვის თავიდან აცილების ეროვნული პროგრამის დამუშავება;
- ტყეებში პირუტყვის ძოვების რეგულირება;
- ტყეებში დაცული ტერიტორიების განლაგების ოპტიმალური სისტემის შექმნა;
- მთის ფერთობების დამაგრება დაცვითი და მრავალმიზნობრივი ტყეების გაშენებით;
- ტყეების ბიოლოგიურ-მეტყევეობითი თავისებურებების შესწავლის საფუძველზე მიზნობრივი სამეურნეო დანიშნულების ტყეების აღზრდა-ფორმირება;
- ტყეების კატეგორიებად დაყოფის თავისობრივად ახალი კრიტერიუმების დამუშავება;
- ტყეების მოვლა-დაცვისა და კვლავწარმოებისათვის სახელმწიფო დაფინანსების ოპტიმალური მექანიზმის განსაზღვრა;
- ტყის ბუნებრივი ლანდშაფტების უნიკალობისა და ტყის ბუნებრივი ეკოსისტემების შენარჩუნება;
- ტყის კანონმდებლობის დარღვევის მიზეზების ანალიზი;

- მაღალი პროდუქტიულობისა და ღირებულების ტყის რესურსების მდგრადი გამოყენება;
- ტყის რესურსების ფულადი შეფასება, მსოფლიო საბაზო ფასების გათვალისწინებით;
- მაღალი ღირებულების მერქნის პროდუქტების დამუშავების ინდუსტრიის განვითარების ოპტიმალური გზების დამუშავება;
- სწრაფმზარდი მაღალპროდუქტიული სატყეო პლანტაციების შექმნა;
- სატყეო მარკეტინგის განვითარება;
- ტყესთან და ტყის პროდუქტებთან დაკავშირებული საინფორმაციო სისტემების განვითარება;
- ეკოტურიზმის განვითარება;
- საქართველოს ტერიტორიის ოპტიმალური ტყიანობის ქვედა ზღვრის დადგენა;
- მთის ზედა ზონაში დვარცოფსაშიში კერების გამოკვლევის რეგიონალური პროგრამების დამუშავება;
- სატყეო გეოინფორმაციული და მონაცემთა ბაზების სისტემების შექმნა;
- რეგიონების მიხედვით მოსახლეობის სათბობით მომარაგების სახელმწიფო პროგრამის დამუშავება.

## **7. საქართველოს ახალი სატყეო კანონმდებლობის დამუშავება**

საქართველოს სატყეო მეურნეობის მართვა და გაძლიერება მოითხოვს თვისობრივად ახალი საკანონმდებლო ბაზის შექმნას, სადაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული ყველა ის ცვლილება, რომელიც დაკავშირებულია მის სუვერენიტეტთან და საბაზო ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებასთან.

## **სწრაფმზარდი, მაღალპროდუქტიული ტყის სახეობების სამრეწველო პლანტაციების შექმნა**

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის უვარგის ფართობებზე, დაახლოებით 20-30 ათას ჰექტარზე შესაძლებელია ტყის სამრეწველო პლანტაციების შექმნა, სწრაფმზარდი, მაღალპროდუქტიული მერქნიანი სახეობებიდან მიღებული მერქანი გამოყენებული იქნება ცელულოზა-ქალალდის წარმოებაში, ფარმაცეტულ მრეწველობაში, საბიჯგე და საყრდენი ხე-მასალის დასამზადებლად.

## **8. ბამბუკის სამრეწველო დანიშნულების პლანტაციების შექმნა**

ბამბუკი, რომელიც საქართველოში შემოტანილ იქნა მე-19 საუკუნის I ნახევარში, აქ მეორე სამშობლო ჰპოვა. კოლხეთის დაბლობის ამოშრობილ ფართობებზე 5,0 ათას ჰექტარზე ბამბუკის პლანტაციის გაშენება უზრუნველყოფს ცელულოზა-ქალალდის, დეკორატიული ავეჯის წარმოებას და სხვა სამომხმარებლო მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ამავე დროს მიიღება ეკონომიკური ეფექტი, რომელიც ფართობის ერთეულზე აღემატება ისეთი ძვირადღირებული კულტურების მაჩვენებლებს, როგორიცაა ჩაი და ციტრუსი.

## **9. საქართველოს ტყის პროდუქტების მარკეტინგული გამოკვლევა სათანადო საინფორმაციო სისტემის შექმნით**

საქართველოს სამომხმარებლო სატყეო ბაზარზე შეუძლია წარდგეს ოთხი პროდუქციით: მერქნული, არამერქნული პროდუქციით (სოკო, გარეული ხილ-კენკროვანები, სამკურნალო მცენარეები და ა.შ.) დაცვითი და რეკრეაციული მომსახურებით. აღნიშნულ პროდუქციაზე და მომსახურებაზე მოთხოვნილებისა და მიწოდების შესაძლებლობები როგორც ადგილობრივ ასევე მსოფლიო ბაზარზე სადღეისოდ ცნობილი არ არის. ასევე არ არსებობს სათანადო ინფორმაციული ბანკი, რომელიც ხელმისაწვდომი იქნებოდა ადგილობრივ და უცხოელ დაინტერესებულ ბიზნესმენთათვის.

### **10. ტყეში ეკოტურიზმის განვითარების შესაძლებლობები**

საქართველო გამოირჩევა თავისი ტყეების ბიომრავალფეროვნებით, რომელიც რიგ შემთხვევაში მოიცავს ბუნებრივი წარმოშობის ხელშეუხებელ ლანდშაფტებსა და ეკოსისტემებს. ასე მაგალითად, 50 ათას პექტარზეა გადაჭიმული ბუნებრივი წარმოშობის ხელუხლებელი წიფლნარები, სოჭნარები, ნაძვნარები და ა.შ. რომლებიც საინტერესოა როგორც ფლორის ასევე ფაუნის მრავალფეროვნების თვალსაზრისით. მეტად მიმზიდველია ბუნებრივი ლანდშაფტების ცვალებადობა ვერტიკალური სარტყლიანობის მიხედვით დაწყებული შავი ზღვის სანაპიროდან კაგასიონის მყინვარებით დამთავრებული.

### **11. საქართველოს მთის პირობებში ტყის რესურსების აღრიცხვისა და კოპლექსური შეფასებების მეთოდებისა და ნორმატივების დადგენა**

საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება მოითხოვს ტყის ყოველგვარი რესურსის აღრიცხვის და შეფასების ისეთი სისტემის შექმნას, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს ყველა სახის რესურსის ეფექტურ და რაციონალურ გამოყენებას ეკოლოგიურ მოთხოვნილებათა მაქსიმალური გათვალისწინებით. საინფორმაციო-ნორმატივები ბაზა, აუცილებლობის შემთხვევაში, ხელს შეუწყობს სატყეო მიწების ტრანსფორმაციის გონივრულ განხორციელებას.

### **12. მთის პირობებში ხე-ტყის დამზადების და გამოზიდვის მოწინავე ტექნოლოგიის დამუშავება და განხორციელება**

საქართველოში სათანადო გაანგარიშების საფუძველზე ყოველწლიურად შესაძლებელია 1,0 მლნ კუბური მეტრი ხე-ტყის დამზადება, მათ შორის ისეთი ძვირფას მერქნიანი სახეობისა, როგორიცაა აღმოსავლეთის წიფელი. მთის პირობებში მერქნის დამზადების პროცესი, უპირველეს ყოვლისა, უნდა განხორციელდეს ეკოლოგიური მოთხოვნების სრული დაცვით, რისთვისაც საჭიროა შესაბამისი ტექნოლოგიური პროცესები, ტექნიკური საშუალებები და მაღალკვალიფიციური კადრები. ამჟამად საქართველოში არ არის სათანადო მატერიალური და ფინანსური პირობები ხე-ტყის დამზადებისათვის.

### **13. ადგილობრივი მერქნის შემცვლელი მეორადი ნედლეულის სამრეწველო ათვისება**

საქართველოში ყოველწლიურად დიდი მოცულობით შეიძლება მოპოვებული იქნეს ისეთი მეორადი ნედლეული, როგორიცაა: მაკულატურა, მრავალწლიანი ნარგავების ანასხლავი (ვაზის, თუთის, ხეხილის და ა.შ.). მათი დამზადებისა და გადამუშავების ორგანიზაცია დაკავშირებულია მაღალი ეკონომიკური და ეკოლოგიური ეფექტის მიღებასთან.

### **14. სატყეო პროპაგანდის ორგანიზება**

სატყეო პროპაგანდის გაუმჯობესებას ადგილობრივი და უცხოელი ცნობილი მეცნიერებისა და სპეციალისტების მონაწილეობით მრავალმხრივი დანიშნულება ექნება. საჭიროა ამ მიზნით ჩამოყალიბდეს მუდმივმოქმედი საზოგადოებრივი კურსები. იგი იქნება სატყეო პროპაგანდისა და მსოფლიო სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების პროპაგანდის, მოსახლეობის ეკოლოგიური აღზრდის, მეტყველეობის კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და ა.შ ფუნქციის მატარებელი. ამავე დროს ასეთი კურსების მოქმედების არეალი შეიძლება განისაზღვროს არა მარტო საქართველოთი, არამედ მთელი ამიერკავკასიით.

### **15. საქართველოს ტერიტორიაზე ტყეების გაადგილების ოპტიმალური სქემის დამუშავება**

საქართველოს ტერიტორიაზე ტყეები გაადგილებულია მეტად არათანაბრად, ტყეების გაადგილების ოპტიმალური სქემის შემუშავება უზრუნველყოფს ნიადაგის დაცვას, კლიმატისა და წელის რეჟულირებას და მერქნის საჭირო რაოდენობით მიღებას.

### **16. ტყის პროდუქტებისა და მეორადი ნედლეულის გადამუშავების პროცესული ინდუსტრიის შექმნა**

საქართველოს სატყეო ინდუსტრიის შექმნა, უპირველეს ყოვლისა, მიმართული უნდა იყოს ცელულოზა-ქაღალდის, მაღალხარისხის ხე-ტყის ანათალი ფანერის, ავეჯის წარმოების განვითარებისაკენ. ამ მხრივ საქართველოში ამჟამად მოიპოვება სათანადო სიმძლავრეები, რომლებიც მოითხოვენ ამოქმედებასა და ნაწილობრივ მოდერნიზაციას.

### **17. ტყეების დაცვა მავნებლებისა და დაავადებებისაგან დაცვის სისტემისა და მეორდების დამუშავება**

საქართველოს ტყეებში გავრცელდა სხვადასხვა მავნე ორგანიზმები. საჭიროა მათ წინააღმდეგ ბრძოლა, სასწრაფოდ ინტეგრირებულ დონისძიებათა სისტემის შექმნა ბიოლოგიური მეორდების უპირატესი გამოყენებით.

### **18. სატყეო-სამელიორაციო ნარგაობების ეფექტური სისტემის შექმნა**

სატყეო-სამელიორაციო ნარგაობათა სისტემამ უნდა უზრუნველყოს: საქართველოს მთებში ეროზიული ფართობების, სოფლების და დასახლებული ადგილების დაცვა მავნე სტიქიური მოვლენების (ზვავები, წყალდიდობები და სხვა) გავლენისაგან. აღნიშნულს აქვს დიდი სოციალური და ეკონომიკური ეფექტი და განეკუთვნება გადაუდებელ დონისძიებათა რიცხვს.

## **19. ნაკლებგამოკვლეული კურორტებისა და საკურორტო ადგილების შესწავლა**

საქართველო მდიდარია სხვადასხვა დანიშნულების კურორტებით, მაგრამ მათი პოტენციალი ჯერ კიდევ არ არის სრულად გამოვლენილი და შესწავლილი. ასეთი შესწავლის საფუძველზე უნდა შედგეს იმ კურორტების (დანიშნულების მიხედვით) ნუსხა, რომლებშიც მიზანშეწონილია სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნა, კაპიტალის მოზიდვა და მთლიანობაში საკურორტო მეურნეობის განვითარება.

## **20. ტყის ბუნებრივი ეკოსისტემების ფუნქციონალური მდგომარეობის შეფასება (კონკრეტული სატყეო მეურნეობის მაგალითზე)**

კონკრეტული სატყეო მეურნეობის მაგალითზე ტყის ეკოსისტემების ფუნქციონალური მდგომარეობის შეფასება (აუდიტი) საშუალებას იძლევა დაღგინდეს და შემდგომში, სატყეო მეურნეობის გრძელვადიანი დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული იქნას სატყეო მეურნეობის მიერ ჩატარებული მთავარი სარგებლობის, მოვლითი და სანიტარული ჭრების, ასევე სატყეო სამეურნეო ღონისძიებების გავლენის ხარისხი ბუნებრივი წარმოშობის ტყის ეკოსისტემებზე.

## **21. კონფერენციის ან მრგვალი მაგიდის ორგანიზება თემაზე “მდგრადი განვითარების სატყეო პრინციპები”**

### **ინიციატორი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია**

არასამთავრობო და სამთავრობო სატყეო სექტორის წარმომადგენლებისათვის (35-40 წარმომადგენელი) მდგრადი განვითარების სატყეო პრინციპების შესახებ მოკლევადიანი (ერთი კვირა) სემინარის ორგანიზება. სემინარის თემატურ მასალებში ინტეგრირებული იქნება მდგრადი განვითარების პრობლემებთან დაკავშირებული დოკუმენტები: გაეროს 1992 წლის გარემოს დაცვისა და განვითარების კონფერენციის მასალები, დღის წესრიგი 21-ის ანოტაცია, მდგრადი განვითარების სატყეო პრინციპები და ა.შ.

## **22. სატყეო მეურნეობის სამენეჯმენტო გეგმის დამუშავება (კონკრეტული სატყეო მეურნეობის მაგალითზე)**

კონკრეტული სატყეო მეურნეობის მაგალითზე სამენეჯმენტო გეგმის დამუშავება შესაძლებლობას ქმნის მოხდეს ინტეგრირებული დაგეგმვისა და მართვის მეთოდების უპირატესობათა წარმოჩენა.

## **23. სახელმწიფო ნაკრძალის სამენეჯმენტო გეგმის დამუშავება (კონკრეტული სახელმწიფო ნაკრძალის მაგალითზე)**

კონკრეტული სახელმწიფო ნაკრძალის მაგალითზე სამენეჯმენტო გეგმის დამუშავების აუცილებლობას განაპირობებს მთელი ის ცვლილებები, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ საქართველოს საზოგადოებრივ, სამართლებრივ და პოლიტიკურ სისტემაში უკანასკნელი რამოდენიმე წლის განმავლობაში.

**24. სატყეო კანონმდებლობის საკითხებისადმი მიძღვნილი სემინარის  
ორგანიზება**

**ინიციატორი:** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია  
არასამთავრობო და სამთავრობო სატყეო სექტორის  
წარმომადგენლებისათვის (25-30 წარმომადგენელი) სატყეო კანონმდებლობის  
საკითხებისადმი მიძღვნილი მოკლევადიანი სემინარის ორგანიზება. სემინარის  
თემატურ მასალებში ინტეგრირებული იქნება ამ სფეროში საქართველოსა და  
მსოფლიო სატყეო საკანონმდებლო პრაქტიკის თანამედროვე გამოცდილება და  
ტენდენციები.

**25. მოსახლეობის გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით  
სატყეო პრობლემებისადმი მიძღვნილ საკითხებზე სამეცნიერო და  
პოპულარული პროშურების სერიის გამოცემა**

მოსახლეობის გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით სატყეო  
პრობლემებისადმი მიძღვნილ საკითხებზე სამეცნიერო და პოპულარული  
ბროშურების გამოცემა მეტად აქტუალურია დღევანდელ პირობებში, იმდენად,  
რამდენადაც საზოგადოება არ არის სათანადოდ ინფორმირებული ტყეების  
მნიშვნელობისა და მდგომარეობის შესახებ, ასევე იმ საფრთხის შესახებ,  
რომელიც ემუქრება ადამიანთა ჯანმრთელობასა და ბუნებრივ გარემოს ტყეების  
დეგრადაციისა და მათი ფუნქციების დაქვეითების შედეგად.

**26. საზღვარგარეთის წამყვან სასწავლო და სამეცნიერო ცენტრების  
მიერ აპრობირებული სპეციალური სასწავლო და საცნობარო  
ლიტერატურის თარგმნა და გამოცემა ქართულ ენაზე**

საზღვარგარეთის წამყვან სასწავლო და სამეცნიერო ცენტრების მიერ  
აპრობირებული სპეციალური სასწავლო და საცნობარო ლიტერატურის თარგმნა  
და გამოცემა ქართულ ენაზე (განსაკუთრებით ისეთ დისციპლინებში, როგორებიც  
არის: სატყეო ეკონომიკა, სატყეო მენეჯმენტი, ტყის პროდუქტების მარკეტინგი,  
სატყეო კანონმდებლობა, სატყეო სერთიფიკაცია, სატყეო ეკოლოგია, ტყის  
კონსერვაციის საფუძვლები და ა.შ.) განსაკუთრებით აქტუალურია ქართველი  
მეტყევე სპეციალისტთა კადრების სრულფასოვანი მომზადების თვალსაზრისით.

**27. მიზანშეწონილია აკადემიის ინიციატივით ჩატარდეს საერთაშორისო  
კონფერენცია ან მრგვალი მაგიდა თემაზე “სატყეო მეურნეობის წარმართვა  
მდგრადი განვითარების პრინციპების საფუძველზე”.**

**28. დამატებით აღსანიშნავია, რომ აუცილებელია აკადემიასთან შეიქმნას  
ფერმერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მომზადებისა და  
კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმომქმედი სკოლა ან კურსები და აგრარული  
კვლევის ცენტრი.**

**29. როგორც აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი-აკადემიკოს-მდივანი, აკად. გ. ჯაფარიძე  
მუდმივად მონაწილეობს აკადემიის აკადემიური საბჭოს მუშაობაში, ყველა**

ძირეული საკითხების მომზადებასა და განხილვაში. არის აკადემიის სამეცნიერო ჟურნალი „მოამბის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე და აკადემიის სარეკლამო-საინფორმაციო ბიულეტენის „აკადემიის მაცნეს“ რედაქტორი.

30. აკად. გ. ჯაფარიძე არჩეულია საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსად (ნამდვილ წევრად). დაჯილდოვებულია „საპატიო ნიშნისა და ღირსების ორდენით“, სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ოქროს და ვერცხლის მედლებით.

#### **7.4.7. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პაატა კოლუაშვილი**



1. გამოქვეყნებული მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები:
  - ა. „ილია ჭავჭავაძე მეურნის თვალით“, „მერიდიანი“, თბილისი, 2013.
  - ბ. „უძრავი ქონების ეკონომიკა“, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი. 2013.
2. გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები:
  - 2.1. „იაფი საწვავი გლეხისთვის“, ქ. ახალი ეკონომისტი, №1, 2013, გვ. 27-29.
  - 2.2. „ერთი უარყოფილი საკანონმდებლო წინადაღების შესახებ“, ქ. ახალი ეკონომისტი, №2, 2013.
- 2.3. „მიწაზე მორატორიუმის გამოცხადებასთან დაკავშირებით“, ქ. ახალი ეკონომისტი, №2, 2013.
- 2.4. „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II მიდგომები სოფლის მეურნეობის აღორძინებისადმი“ ბიზნეს-ინჯინიერინგი, №1, 2013. გვ. 33-40.
- 2.5. „საკონსტიტუციო სასამართლოს დანაშაული მიუძღვის“, ბიზნეს-ინჯინიერინგი, №3, 2013.
- 2.6. „კოპერაციის პროცესი სახელმწიფომ უნდა წარმართოს“, სოციალური ეკონომიკა- XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები, №2, 2013. გვ. 41-45.
- 2.7. „მიწა სიცოცხლის საფუძველი“, სოციალური ეკონომიკა-XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები, №3, 2013.
- 2.8. „Problems of the Agricultural policy of Georgia“, Annals of Agrarian Science, Vol 11, №1, 2013. გვ. 114-119.
- 2.9. „The Land Necessary Base of Nation's Existence“, Annals of Agrarian Science, Vol 11, №2, 2013.
- 2.10. “GEORGIA SHOULD ADOPT A NEW LAW ON LAND USE“, "Annals of Agrarian Science" , Vol. 11, # 4, 2013

- 2.11. “რა ემართება და რა ჰმართებს ქართულ სოფელს”. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომათა კრებული №11, 2013.
- 2.12. “კოპერაციის პროცესის სტიმულირებისთვის საჭიროა კოპერატივების შიდა საწარმოო ურთიერთობების რეგულირება”. უურნალი „ეკონომიკა“, №9-10 2013.
- 2.13. “სასურსათო უსაფრთხოების დაცვა მთავრობის უპირველესი მოვალეობაა”. სოციალური ეკონომიკა - XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები, №5, 2013.
- 2.14. “სოფლის გადარჩენა კოპერაციული ტიპის ინტეგრირებული სისტემის შექმნაშია”. სოციალური ეკონომიკა- XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები, №4, 2013.

### **3. სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა:**

- 3.1. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის 80 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, 24-25 მაისი ქუთაისი- 2013.  
მოხსენების თემა: „მიწის კონსოლიდაცია სოფლად ყოფა-ცხოვრებისა და მეურნეობის განვითარების მძლავრი იარაღი“;
- 3.2. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, IV საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულო კონფერენცია – ინოვაციები ტურიზმში, ეკონომიკა და ბიზნესი 8-9 ივნისი, ბათუმი - ტრაპიზონი 2013.  
მოხსენების თემა: „საქართველოში მეწარმეობის განვითარების ეტაპები ტურიზმის კონტექსტში“;
- 3.3. თსუ, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, პროფესორ გიორგი პაპავას დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია – პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე;
- 3.4. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი, სამეცნიერო სემინარი: ეკლესია და სოფლის მეურნეობა. 24 ივნისი 2013 წელი  
მოხსენების თემა: „ქრისტე ვენახია“
- 3.5. მე-8 საუნივერსიტეტოაშორისო სამეცნიერო კონფერენცია-ქრისტიანობა და ეკონომიკა. გორი. 29 ივლისი, 2013. მოხსენებათა კრებული.

მოხსენების თემა: „აგროპროდუქცია, როგორც ძღვენი, საზრდელი და გადასახადი წმინდა წერილში“;

3.6. სხმა – საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია – „ინოვაციური ტექნოლოგიები აგრარულ სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის“;

მოხსენების თემა: „ბიბლიის შეგონება და ქართული რეალობა მიწის საკუთრებასთან დაკავშირებით“;

3.7. თხუ II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, „ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება“ 11-12 ოქტომბერი, თბილისი-2013.

მოხსენების თემა: საქართველოს შეუძლია დაიწყოს ახალი მწვანე „ბიოორგანული რეალუცია“;

მოხსენების თემა: დავიცვათ ჩვენი საარსებო და თავის სარჩენი ბაზა;

3.8. ქუთაისის აკაკი წერეთლის უნივერსიტეტი; საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, „სოციალ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე პრობლემები: ახალი გამოწვევები და პერსპექტივები.“ 26-27 ოქტომბერი, ქუთაისი-2013.

მოხსენების თემა: „ეკოლოგიური ეკონომიკის განვითარების აქტუალური საკითხები საქართველოში“;

3.9. სტუ საინჟინრო-ეკონომიკის დეპარტამენტი, პირველი საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია – „ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ“. 17-18 ოქტომბერი 2013 წელი.

3.9.1. მოხსენების თემა: „სასოფლო-სამეურნეო კოპერატივების ტიპიური წესდების დაუყოვნებლივ მიღება აუცილებელია“;

3.9.2. მოხსენების თემა: „საქართველოს სიძლიერე მიწასთან მარადიული კავშირის ტრადიციაშია“;

3.9.3. მოხსენების თემა: „ადამიანის სარსებო მინიმუმის ხელოვნურად შემცირება დაუშვებელია“;

3.9.4. მოხსენების თემა: „დროულად გავიცნობიეროთ მიწის კონსოლიდაციის მნიშვნელობა“;


4. 2013 წელს გამოქვენებული შრომები ძირითადად მიეძღვნა მიწისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულების საკითხს, მის მარეგულირებელ კანონმდებლობას, ამ სფეროში საერთაშორისო გამოცდილებას. რამდენიმე

შრომა მიეძღვნა სასოფლო-სამეურნეო კოპერაციის მნიშვნელობასა და მისი კანონმდებლობის სრულყოფას. ასევე აგრარული პოლიტიკისა და სასურსათო უსაფრთხოების პრობლემებს, აგრარული წარმოების სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

5. სარედაქციო (სამეცნიერო) კოლეგიის (საბჭოს) წევრობა:

- 5.1. „ბიზნესი და კანონმდებლობა”, სამეცნიერო – ანალიტიკური ჟურნალი.
  - 5.2. „ეკონომიკა”, სამეცნიერო ჟურნალი.
  - 5.3. „აგრარული მეცნიერება და ეკონომიკა”, სამეცნიერო ჟურნალი.
  - 5.4. „ახალი ეკონომისტი“ – სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი.
  - 5.5. „სოციალური ეკონომიკა XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები“ – სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი სტუ.
  - 5.6. „ბიზნეს-ინჯინერინგი“ – სამეცნიერო ჟურნალი.
6. სტუ-ში წაკითხულია სალექციო კურსი – ბაკალავრებთან შემდეგ დისციპლინებში: “უძრავი ქონების ეკონომიკა” და “ტურიზმის ეკონომიკა; ხელმძღვანელობს ოთხ დოქტორანტსა და ერთ მაგისტრანტს
7. არჩეულია ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, ცხემ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად.

#### 7.4.8. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გიორგი ნიკოლეიშვილი



1. 1.1. გამოქვეყნებულია სტატია „საქართველოს მეაბრეშუმეობის არსებული მდგომარეობა, პრობლემები და განვითარების სტრატეგია“. თანაავტორობით. BACSA-ს (შავი, კასპის ზღვის აუზისა და ცენტრალური აზიის რეგიონების ქვეყნების ასოციაცია) VI კონფერენციის მასალები. იტალია, ქ. პადუა 7-12 აპრილი 2013 წ. გვ. 18 - 22.
- 1.2. „საქართველოს მეაბრეშუმეობას ახალი ტექნოლოგიების დანერგვის გარეშე მომავალი არა აქვს“ თანაავტორობით (ე. შავაქიძე). ჟურნალი – აგრარული ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები №4. ობილისი, 2013წ. გვ42-55.

- 1.3. “ცხოველთა საკვებად თუთის ფოთლის გამოყენების შესაძლებლობა და გკონომიკური ეფექტიანობა”.თანაავტორობით. სოფლის მეურნეობის მეციერებათა აპადემიის საერთაშორისო კონფერენციის მასალები. თბილისი 2013 წ.
2. BACSA -ს VI საერთაშორისო კონფერენცია – “მეაბრეშუმეობის ეტაპობრივად განვითარების მნიშვნელობა” იტალია ქ. პადუა 7-12 აპრილი. მოხსენება “საქართველოში მეაბრეშუმეობის არსებული მდგომარეობა, პრობლემები, განვითარების სტრატეგია”. გ. ნიკოლეიშვილი, ნ. ბარამიძე, მ. ბაგრატიონი.
3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის – “თუთის მრავალმიზნობრივი გამოყენების მიზანშეწონილობა და გკონომიკური ეფექტიანობა საქართველოს მთისა და ბარის პირობებში”.(პროექტის ხელმძღვანელი); ვადა: 2013 წლის აპრილი – 2015 წლის 15 აპრილი.
4. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის კომისიის მიერ დამუშავებული კონცეფცია - “საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარების კონცეფცია 2012-2025 პერიოდისათვის”, (კომისიის ხელმძღვანელი); რომელიც გაიგზავნა (ინგლისური ვარიანტი) BACSA-ს VI საერთაშორისო კონფერენციაზე, რასაც მაღალი შეფასება მიაქვა.
5. არის რეფერირებული ქურნალის – “აგრარული ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები”-ს სარედაქციო საბჭოს წევრი.
6. 2013 წელს დადასტურდა თუთის დაგვადება ფოთლის სიხშუჭისადმი მედეგი ჯიშების (ქუთაისური-1 და ქუთაისური-2) თანაავტორობა. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი. მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვა ოფიციალური ბიულეტენი №4 (12) გვ. 8-12.
7. გამოქვეყნებულია ორი საგაზეთო სტატია და მიმდინარეობს მუშაობა (თანაავტორობით ე. შაფაქიძე) მონოგრაფიაზე “მეაბრეშუმეობა შავი, კასპის ზღვის აუზისა და ცენტრალური აზიის რეგიონების ქვეყნების (BACSA) საერთო საზრუნავია”.
8. საქართველოში განადგურებული მეაბრეშუმეობის რეაბილიტაცია-აღორძინების სისტემა ჩამოაყალიბა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ კონცეფციის სახით, რომელიც უნდა წარედგინოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს – განხილვა-დამტკიცებისთვის. ამის შემდეგ გაგრძელდება მუშაობა საინვესტიციო პროგრამის შემუშავებაზე რაიონების (რეგიონების) ჭრილში.

### **წინადადება:**

8. მიზანშეწონილად მიგვაჩნია (აუცილებელია!) განხილული იქნეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს სხდომაზე ან აკადემიის სამეცნიერო კონფერენციაზე, ან მოეწყოს მრგვალი მაგიდა “საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარების პოლიტიკის არსებობის ან არარსებობის საჭიროების მიზანშეწონილობის შესახებ.

## 8.1. გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და მამული შვილი



2013 წლის 26 დეკემბერს დაბადებიდან 100 წლისთვის შეუსრულდა სამთო მიწათმოქმედების და სუბტროპიკული კულტურების შრომაზევად პროცესთა მექანიზაციისათვის მაქანათა სისტემის ფუძემდებელს, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გენერალურ კონსტრუქტორს, ლენინური პრემიის ლაურეატს, სოციალისტური შრომის გმირს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებულ მოღვაწეს, დამსახურებელ გამომგონებელს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ შალვა იასონის-ძე კერესელიძეს.

შალვა კერესელიძე დაიბადა 1913 წლის 26 დეკემბერს ონის რაიონის სოფელ უწერაში. იქვე მიიღო საშუალო განათლება, რის შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1936 წელს და შემდეგ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება სოფლის მეურნეობის შრომატევად პროცესთა მექანიზაციის საქმეს მიყმდვნა.

უმაღლესი სასწავლებლის დამთვრებისთანავე იგი ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების მაშინდელი საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტი ხდება და სწავლას აგრძელებს ქ. მოსკოვში. მალე ის მეორე მსოფლიო ომში გაიწვიეს. ომიდან დაბრუნების შემდეგ მუშაობას იწყებს საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის ტრაქტორებისა და ავტომობილების კათედრის ასისტენტად. საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ შ. კერესელიძე არჩეული იქნა აღნიშნული კათედრის დოცენტად და დაინიშნა მექანიზაციის ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ.

1949 წელს ი. სტალინის განკარგულებით ქ. თბილისში გაისხნა საკავშირო დაქვემდებარების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სახელმწიფო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა მეცნიერი, დოცენტი შ. კერესელიძე. სწორედ იმ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი ურთულესი აგროტექნიკის მქონე ჩაის, სხვა სუბტროპიკული კულტურებისა და სამთო მიწათმოქმედებისათვის საჭირო მანქანების დამუშვების ძირითად მიმართულებებს, რომელთაც მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვებოდათ.

1954 წელს ბატონი შალვა კერესელიძე გადადის სამუშაოდ ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, (შემდეგში საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტი) ტრაქტორებისა და ავტომობილების კათედრის გამგედ, ხოლო შემდგომ პროცესებით სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის დარგში. აქ მან ჩაატარა ურთულესი სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური სამუშაოები, რასაც მოჰყვა საქვეწოდ ცნობილი ჩაის საკრეფი მანქანა “საქართველოს” შექმნა და მისი დანერგვა წარმოებაში.

1961 წელს ბატონი შალვა წარმატებით იცავს სადოქტორო დისერტაციას და მას მაღლ პროფესორის წოდებაც მიენიჭა. იმავე წელს პროფ. შ. კერესელიძე საქართველოს დამსახურებული გამომგონებელი ხდება. 1962 წლიდან იგი საქართველოს კ.მ. ამირეჯიბის სახელობის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტან დაარსებული ჩაის მოვლა-მოყვანისა და ფოთლის კრეფის მანქანათა საპრობლემო სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ხელმძღვანელია.

1967 წელს ჩაის საკრეფი მანქანა “საქართველოს” დამუშავებისა და წარმოებაში დანერგვისათვის პროფ. შ. კერესელიძეს და კონსტრუქტორთა ჯგუფს მიენიჭა მაშინ ფრიად პრესტიული ლენინური პრემია. ამავე პერიოდში მას ირჩევენ საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

1969 წელს პროფ. შ. კერესელიძეს ენიჭება სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

1971 წელს მისი თაოსნობით ჩამოყალიბდა მსოფლიო პრაქტიკაში პირველი სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპიკული კულტურების მანქანათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ინსტიტუტი.

1972 წელს პროფ. შალვა კერესელიძე დაინიშნა სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპიკულ კულტურათა მანქანების გენერალურ კონსტრუქტორად.

1994 წელს პროფ. შ. კერესელიძე არჩეული იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად-აკადემიკოსად.

იგი ავტორია 200-ზე მეტი შრომის, მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოსი. ბატონ შალვას მიღებული ჰქონდა 80-ზე მეტი გამოგონების მოწმობა, ტრაქტორების, სოფლის მეურნეობის მანქანათმშენებლობის, სუბტროპიკული კულტურების აგროტექნიკისა და ტექნოლოგიის დარგში,

აკად. შ. კერესელიძეს თავისი მოლგაწეობის პერიოდში მომზადებული ჰყავს 70-ზე მეტი დოქტორანტი, ასპირანტი და მაძიებელი.

მძიმე სენიორ დაავადებული ბატონი შალვა გარდაიცვალა 1997 წელს.

გამოჩენილი მეცნიერის, დიდებული მამულიშვილის და მოქალაქის აკადემიკოს შალვა კერესელიძის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მისი მეგობრების, კოლეგების და მოწაფეების გულებში.

### საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭო

## 8.2. აკადემიკოს გოგოთურ აგლადის გახსენება



მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 2013 წლის 31 დეკემბერს გარდაიცვალა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გოგოთურ დაგითის-ძე აგლაძე.

აკად. გ. აგლაძე დაიბადა 1930 წლის 15 სექტემბერს ქ. თბილისში. 1953 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი; იყო საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ მუშაკი (1957-1959 წ.წ.), უფროსი მეცნიერ-მუშაკი (1959-1963 წ.წ.), სათიბ-სამოვრების განყოფილების გამგე (1963-1968 წ.წ.), ზოოტექნიკური სექტორის ხელმძღვანელი (1968-1975 წ.წ.), საქართველოს ზოოვეტერინარული სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის რექტორი (1975-1990 წ.წ.), საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (1988 წლიდან), საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1991-2004 წ.წ.).

აკად. გ. აგლაძე ითვლებოდა საკვებწარმოების, ბუნებრივი სათიბების და საძოვრების გაუმჯობესების და გამოყენების ერთ-ერთ ძლიერ და წამყვან სპეციალისტად, აგრეთვე საქართველოს ბუნებრივი საკვები ფართობების ზედაპირული და ძირეული გაუმჯობესების სისტემის ერთ-ერთ ავტორად და შემსრულებლად, იღებდა აქტიურ მონაწილეობას ექსპერიმენტული ქარხნის ჩამოყალიბების ორგანიზაციაში და საქართველოს ზოოვეტერინარული სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ დამუშავებული ქიმიურ-თერაპიული ბიოლოგიური საკვები პრეპარატების სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში დანერგვის საქმეში.


აკად. გ. აგლაძეს გამოქვეყნებული აქვს 200-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, მათ შორის 20 მონოგრაფია და სახელმძღვანელო. მიღებული აქვს 13 საავტორო

მოწმობა და პატენტი გამოგონებაზე. დაჯილდობულია შრომის წითელი დროშის, ხალხთა მეგობრობის და ლირსების ორდენებით, მრავალი მედლებით. იყო საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. 2013 წლის 20 დეკემბერს აკად. გ. აგლაძეს მიენიჭა აგარარულ სფეროში წლის საუკეთესო მეცნიერის საპატიო წოდება.

წავიდა ამ ქვეყნიდან აგრარიკოს მეცნიერთა კიდევ ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი, რომლის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი მოწაფეების, კოლეგების და მეგობრების გულებში.

### საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭო

#### 8.3. აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ვახტაძის გახსენება



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ვახტაძეს 2013 წლის 24 ოქტომბერს 80 წელი შეუსრულდებოდა.

ვახტაძე თევზაბე დაიბადა 1933 წელს ქ. თბილისში. 1952 წელს ოქროს მედლით დაამთავრა ქ. თბილისის მე-7 ვაჟთა საშუალო სკოლა, ხოლო 1957 წელს კი - წარჩინებით საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსის სპეციალობით. 1960 წელს ჩაირიცხა ამავე ინსტიტუტის ასპირანტურაში; 1966 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მას მიანიჭეს ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

1986 წელს ქ. ლენინგრადში სახელმწიფო პიდროლოგიურ ინსტიტუტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მას მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1993 წლიდან მიღებული პქონდა პროფესორის წოდება; 1992 წელს არჩეული იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1995 წელს - საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, 2001 წელს - ფაზისის აკადემიის ნამდვილ წევრად.

შრომითი მოღვაწეობა ბატონ ვახტაძე თევზაბემ დაიწყო ჯერ კიდევ ინსტიტუტის დამთავრებამდე გეოგრაფიულ-სადაზერვო ექსპედიციაში ტექნიკოს-კარტოგრაფად. 1957 წლიდან მუშაობდა საქართველოს პიდროტექნიკის და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ტექნიკოსად, უმცროს მეცნიერ-მუშაკად, უფროს მეცნიერ-მუშაკად, ბუნებრივი კატასტროფული მოვლენების ლაბორატორიის ხელმძღვანელად, ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში.

პროფ. ვ.თევზაძის მეცნიერული კველვის ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა მელიორაციის და ეკოლოგიის პრობლემებთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის ეროზიულ-დგარცოფული მოვლენების შესწავლა და მათი საწინააღმდეგო ლონისძიებების დასახვა. მის მიერ ჩატარებული სამუშაობი

სასიათდებიან მეცნიერული სიდრმით, პროფესიონალიზმითა, დასმული საკითხების პრაქტიკული გამოყენებით და დანერგვისადმი სრულყოფით.

პროფ. ვ. თევზაძის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები მოსმენილი და განხილულია როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ფორუმებზე, თათბირებზე, კონფერენციებზე, რომლებიც გამოქვეყნებულია როგორც სამამულო, ასევე საერთაშორისო ავტორიტეტულ გამოცემებში.

მის კალამს ეკუთვნის 172 სამეცნიერო ნაშრომი, 2 მონოგრაფია და ერთი გამოგონება, არის თანაავტორი პიდროტექნიკაში გამოყენებული საერთაშორისო ნორმატიული საცნობარო მასალების კრებულის. მის მიერ გამოყენებულმა რეოლოგიური კვლევის მეთოდებმა განსაზღვრა ეროზიულ-დგარცოფული მოვლენების შესწავლის დარგში მეტად ნაყოფიერი და პრაქტიკული მიმართულება, რომელმაც შემდგომში განვითარება ჰპოვა მიმდევართა შორის.

კვლევით სამუშაობთან ერთად ბატონი ვ. თევზაძე ეწეოდა პედაგოგიურ მოდვაწეობასაც საქართველოს სახელმწიფო ტექნიკურ და საქართველოს სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტებში, სადაც კითხულობდა ლექციების კურსს დისციპლინებსი “პიდროვლიკას” და “საინჟინრო პიდროლოგია”. მრავალი წლების განმავლობაში იყო საქართველოს პიდროტექნიკის და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი, კვლევითი ინსტიტუტის შრომების რედკოლეგიის წევრი და მთავარი რედაქტორის მოადგილე. მისი ხელმძღვანელობით დაცულია მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. იყო 2 სამთავრობო ჯილდოს მფლობელი.

წავიდა ჩვენგან სახელოვანი მამულიშვილი, დიდი მეცნიერი და დირსებით აღსავსე პიროვნება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვახტანგ თევზაძის ნათელი ხსოვნა სამარადეამოდ იცოცხლებს მისი შთამომავლობის, მრავალრიცხოვან აღზრდილთა, კოლეგებისა და მეგობრების გულებში.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის  
მეცნიერებათა აკადემიის  
აკადემიური საბჭო**